

დენიელ კიზი



ბილი მილიგანის
მრავალი გონება

წინასიტყვაობა

ეს წიგნი დაწვრილებით მოგვითხრობს უილიამ სტენლი მილიგანის შესახებ. ის პირველი ადამიანია აშშ-ში, რომელიც არაერთ მძიმე ბრალდებაში ცნეს უდანაშაულოდ, რადგან ერთსა და იმავე დროს რამდენიმე პიროვნება იყო.

ფსიქიატრიულ და პოპულარულ ლიტერატურაში აღწერილი მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე ადამიანებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოგონილ სახელებს ამოფარებულნი ანონიმებად რჩებოდნენ, მილიგანის პიროვნება დაკავებისა და სასამართლოსთვის გადაცემის მომენტიდანვე ათასგვარი მითქმა-მოთქმის საგნად იქცა. მისი პორტრეტი გაზეთების პირველ გვერდებსა და ჟურნალების ყდებზე იბეჭდებოდა. მისი ფსიქიკური შემოწმების შედეგებს საღამოს სატელევიზიო ახალი ამბები და სტატიების სათაურები მთელ მსოფლიოში ავრცელებდნენ. გარდა ამისა, ის პირველი პაციენტია მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონეთაგან, რომელსაც კლინიკის პირობებში ოცდაათხი საათის განმავლობაში გულდასმით ამოწმებდნენ და რომლის პიროვნების მრავლობითი ხასიათიც ოთხმა ფსიქიატრმა და ერთმა ფსიქოლოგმა სასამართლოზე ფიცით დაადასტურეს. ოცდასამი წლის კაცს პირველად ათენის ფსიქიატრიული ჯანდაცვის ცენტრში, ოჰაიოს ქალაქ ათენში შევხვდი, სადაც ცოტა ხნის წინ სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოეგზავნათ. როცა თავისი ისტორიის დაწერა მთხოვა, ვკითხე, ჰქონდა თუ არა სათქმელი უფრო მეტი, ვიდრე საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ. დამარწმუნა, რომ მასში მცხოვრები ადამიანების მნიშვნელოვანი საიდუმლოებები არავისთვის გაუმხელია, არც ადვოკატებისა და ფსიქიატრებისთვის. ახლა კი სურდა,

მსოფლიოსათვის თავისი ფსიქიკური აშლილობის შესახებ მოეთხრო. დავინტერესდი, თუმცა ეჭვი აღმძრა. რამდენიმე დღის შემდეგ ცნობისმოყვარეობა „ნიუსვიკის“ სტატიის („ბილის ათი სახე“) უკანასკნელმა აბზაცმა გამიმძაფრა:

„ზოგიერთი კითხვა უპასუხოდ რჩება, მაგალითად, სად ისწავლა მილიგანმა ჰუდინის მსგავსი გაუჩინარების ტრიუკი, რომელიც ტომიმ (ერთ-ერთმა პიროვნებათაგანმა) გვიჩვენა? ან კიდევ: როგორ ავხსნათ მისი საუბრები გაუპატიურების მსხვერპლებთან, როცა თავს „პარტიზანსა“ და „დაქირავებულ მებრძოლს“ უწოდებდა? ექიმების ვარაუდით, მილიგანს შესაძლოა კიდევ რამდენიმე ისეთი პიროვნება გააჩნდეს, რომლებსაც თავი ჯერჯერობით არ გამოუვლენიათ და შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს ჯერ დაუდგენელი დანაშაულიც ჰქონდეს ჩადენილი“.

მიღების საათებით რომ ვისარგებლე და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გავესაუბრე, აღმოვაჩინე, რომ ბილი, როგორც მას ჩვეულებრივ ეძახდნენ, ძალზე განსხვავდებოდა იმ დინჯი ყმაწვილისაგან, პირველად რომ შევხვდი. ახლა ყოყმანით საუბრობდა, მუხლები ნერვიულად უცახცახებდა. მეხსიერება არ უვარგოდა, ამნეზიის გამო ხანგრძლივი პერიოდები საერთოდ არ ახსოვდა. მხოლოდ ის შეეძლო, წარსულის ბუნდოვანი მონაკვეთები განეზოგადებინა. მტკივნეულ მოგონებებზე საუბრისას ხმა ხშირად უკანკალებდა და ბევრი დეტალის აღდგენა არ შეეძლო. ერთხანს, წარსული გამოცდილების მისი მეხსიერებიდან ამოთრევას ვერაფრით რომ ვერ ვახერხებდი, მზად ვიყავი, ხელი ჩამექნია.

მერე, ერთ მშვენიერ დღეს, გამაოგნებელი რამ მოხდა. ბილი მილიგანის ნამსხვრევები პირველად შედულაბდა ერთ პიროვნებად და ახალი ინდივიდი, მისი ყველა პიროვნების შენადნობი გამოჩნდა. მან მკაფიოდ, თითქმის სრულად იცოდა ყველაფერი თი-

თოეული პიროვნების შესახებ მათი გაჩენის დღიდან. მათი თითოეული აზრი, მოქმედება, ურთიერთობა, ტრაგიკული გამოცდილება და კომიკური თავგადასავალი ახსოვდა. ამას დასაწყისშივე ვახსენებ, რათა მკითხველმა იცოდეს, როგორ შევძელი მილიგანის ცხოვრების წარსული მოვლენების, პირადი განცდებისა და კერძო საუბრების ჩაწერა. მასალა გამთლიანებულმა მილიგანმა, მისმა სხვა პიროვნებებმა და იმ სამოცდაორმა ადამიანმა მომცეს, რომლებიც მილიგანს ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურზე შეხვედრიან. სცენები და დიალოგები მილიგანის მოგონებების მიხედვით აღვადგინე. ცალკეული ინფორმაცია თერაპიის სესიების ვიდეოჩანაწერებიდან არის აღებული. მე არაფერი გამომიგონია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ჩანაწერების დასაწყისში წავაწყდით, ქრონოლოგიის აღდგენა იყო, რადგან მილიგანს დრო ადრეული ბავშვობიდანვე ხშირად „ეკარგებოდა“, საათებსა თუ კალენდრებს იშვიათად აქცევდა ყურადღებას და ხშირად რცხვენოდა იმის აღიარებისა, რომ თვე, ან რიცხვი არ ახსოვდა. საბოლოოდ, ასე თუ ისე, შევძელი მოვლენათა თანმიმდევრობის გარკვევა იმ ჩეკების, რეცეპტების, სადამზღვევო ანგარიშების, სასკოლო ჩანაწერების, სამუშაო ადგილას მოპოვებული ჩანაწერებისა და იმ საბუთების მეშვეობით, რომლებიც ბილის დედამ, დამ, დამსაქმებლებმა, ადვოკატებმა თუ ექიმებმა გადმომცეს. მილიგანი წერილებს თარიღს იშვიათად აწერდა, თუმცა მის ყოფილ მეგობარ გოგოს ციხიდან გამოგზავნილი ასობით წერილი ჰქონდა შენახული და მათი დათარიღება კონვერტზე დაკრული საფოსტო მარკების მიხედვით მოვახერხე.

მუშაობისას მილიგანი და მე ორ ძირითად წესზე შევთანხმდით: პირველი — ყველა ადამიანს, ადგილსა თუ დაწესებულებას ნამდვილი სახელით მოვიხსენიებდით, გარდა ინდივიდთა სამი ჯგუფისა, რომელთა ვინაობაც საიდუმლოდ უნდა შეგვენახა.

ესენი იყვნენ: ფსიქიატრიული საავადმყოფოს სხვა პაციენტები; დამნაშავეები, რომლებისთვისაც ბრალი ჯერ არ წაეყენებინათ და რომლებთანაც მილიგანს ცმაწვილობასა და ზრდასრულობაში ჰქონდა საქმე; და გაუპატიურების სამი მსხვერპლი ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომელთაგან ორი ინტერვიუმე დამთანხმდა.

მეორე — თუკი მის პიროვნებათაგან რომელიმე ისეთ დანაშაულს გაამჟღავნებდა, რომლის გამოც ჯერ კიდევ შეეძლოთ მისი პასუხისგებაში მიცემა, მილიგანის საფრთხისაგან დაცვის მიზნით შევთანხმდით, რომ ასეთი სცენების აღწერისას თავს „პოეტური იმპროვიზაციის“ უფლებას მივცემდი. მეორე მხრივ, ის დანაშაულები, რომელთათვისაც მილიგანი უკვე გაასამართლეს, აქამდე გაუხმაურებელ დეტალებშია აღწერილი.

მათი უმეტესობა, ვინც ბილი მილიგანს შეხვედრია, მასთან ერთად უმუშავია ან მისი მსხვერპლი გამხდარა, ეთანხმება დასკვნას, რომ მას მრავლობითი პიროვნების იდენტობა აქვს. ბევრ მათგანს მილიგანის ისეთი სიტყვები, ან ნამოქმედარი ახსოვდა, რის საფუძველზეც საბოლოოდ ასკვნიდნენ, რომ „უბრალოდ შეუძლებელი იყო, მას ეთვალთმაქცა“. ზოგს კი კვლავაც სჯერა, რომ ის ყალთაბანდი, ნიჭიერი აფერისტია, რომელიც ციხეში ჯდომის თავიდან ასარიდებლად თავს იგიჟიანებს და უდანაშაულოდ ასაღებს. ვეცადე, ყველას შევხვედროდი, ვინც საუბარზე დამთანხმდა. რესპონდენტებმა შთაბეჭდილებები და მოსაზრებები გამიზიარეს. სკეპტიკურ დამოკიდებულებას მეც ვინარჩუნებდი. დღე არ გასულა ისე, ხან ერთი, ხან კი — მეორე პოზიციისაკენ რომ არ გადავხრილიყავი. მილიგანთან ერთად ამ წიგნზე ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდი და უამრავი დაუჯერებელი რამ მოვისმინე, მაგრამ ეჭვები თითოეული ამბის სიზუსტის დადგენამ გამიქარწყლა.

ოჭაიოს გაზეთები რომ კვლავაც ორაზროვანია, ამას „დეიტონ დეილი ნიუსში“ 1981 წლის 2 იანვარს – უკანასკნელი დანაშაულიდან სამი წლისა და ორი თვის შემდეგ გამოქვეყნებული სტატიაც მოწმობს:

თვალთმაქცი თუ მსხვერპლი?

მილიგანის საქმის ორი მხარის გაშუქება

ავტორი: ჯო ფენლი

„უილიამ სტენლი მილიგანი ტანჯული ადამიანია და ასეთივე ცხოვრებით ცხოვრობს. ის ან ყალთაბანდია, რომელმაც საზოგადოება გაასულელა და მძიმე დანაშაულისთვის პასუხისგებას დაუსხლტა, ან მრავლობითი პიროვნების აშლილობის ჭეშმარიტი მსხვერპლი. სურათი კი ნებისმიერ შემთხვევაში რთულია. მხოლოდ დრო თუ გვიჩვენებს, მილიგანმა მსოფლიო გააცურა, თუ ის ისტორიაში მართლაც ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მსხვერპლია...“

იქნებ ეს „დრო“ სწორედ ახლა დადგა.

დ. კ.

ათენი, ოჭაიო, 3 იანვარი, 1981

მასში მცხოვრები ადამიანები

ათნი

პიროვნებები, რომელთა არსებობა სასამართლო პროცესების მანძილზე ფსიქიატრების, ადვოკატების, პოლიციისა და მედიისთვის გახდა ცნობილი.

01. უილიამ სტენლი მილიგანი („ბილი“), 26 წლის. მთავარი, თუ ძირითადი პიროვნება, რომელიც შემდგომში „დანაწევრებული ბილის“, ან „დ-ბილის“ სახელით მოიხსენიება. სწავლა მიატოვა. სიმაღლე – 183 სმ. წონა – 86 კგ. ცისფერი თვალები, ყავისფერი თმა.

02. არტური, 22 წლის. ინგლისელი. რაციონალური, უემოციო. ბრიტანული აქცენტით საუბრობს. დამოუკიდებლად შეისწავლა ფიზიკა და ქიმია, ახლა სამედიცინო ლიტერატურას ეცნობა. თავისუფლად კითხულობს და წერს არაბულად. მიუხედავად იმისა, რომ ურყევი კონსერვატორია და თავს კაპიტალისტად მიიჩნევს, ათეისტია. დანარჩენები პირველად მან აღმოაჩინა. უსაფრთხო გარემოში დომინირებს და წყვეტს, „ოჯახის წევრებიდან“ რომელი იჩენს თავს და ჩაიგდებს ხელში ცნობიერებას. სათვალეს ატარებს.

03. რეიგენ ვადასკოვინიჩი, 23 წლის. სიძულვილის მცველი. მისი სახელი მომდინარეობს სიტყვებიდან „რეიჯ“¹ და „ეგენ“.²

¹ ინგლ. „რისხვა“

² ინგლ. „ისევ“

იუგოსლავიელია, ინგლისურად გამოკვეთილი სლავური აქცენტით მეტყველებს; კითხულობს, წერს და საუბრობს სერბულ-ხორვატულად. იარაღისა და აღჭურვილობის საკითხების ექსპერტი და კარატეს სპეციალისტი რეიგენი ადრენალინის მოზღვაების კონტროლის უნარის წყალობით არნახულად ძლიერია. ის კომუნისტია და ათეისტი. მისი ფუნქცია ოჯახისა და ზოგადად, ქალებისა და ბავშვების დაცვაა. სახიფათო ადგილებში ცნობიერების სადავებს ხელში ის იღებს. დამნაშავეებთან და ნარკომანებთან აქვს საქმე და აღიარებს, რომ დანაშაულს, ზოგჯერ — სისასტიკესაც ჩადის ხოლმე. 95 კილოგრამს იწონის, უშველებელი მკლავები, შავი თმა და გრძელი, ჩამოყრილი უღვაშები აქვს. შავ-თეთრად ხატავს, რადგან დალტონიზმი სჭირს.

04. ალენი, 18 წლის. თაღლითი. მანიპულატორი ალენი უცხოებთან ყველაზე ხშირად აგვარებს საქმეებს. აგნოსტიკოსია და მისი პოზიციაა: „მიიღე ცხოვრებისაგან საუკეთესო“. დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავს, ხატავს პორტრეტებს და პიროვნებათაგან ერთადერთია, ვინც სიგარეტს ეწევა. ბილის დედასთან ახლოს არის. უილიამის სიმალლისაა, თუმცა მასზე ნაკლებს იწონის (75 კგ.). თმა მარჯვნივ აქვს გადაყოფილი და მარჯვენა ხელი მხოლოდ მას აქვს წამყვანი.

05. ტომი, 16 წლის. გაქცევის ოსტატი. ტომი, რომელიც ხშირად ალენში ეშლებათ, აგრესიული და ანტისოციალურია. უკრავს საქსოფონზე, ელექტრონიკის მცოდნე და პეიზაჟების მხატვარია. მუქი ქერა თმა და მუქი თაფლისფერი თვალები აქვს.

06. დენი, 14 წლის. შეშინებული. ეშინია ადამიანების, განსაკუთრებით კი — ვაცების. საკუთარი საფლავის გათხრა აიძულეს და შიგ ცოცხლად ჩამარხეს. ამიტომ ამის შემდეგ მხოლოდ ნატურმორტებს ხატავს. მხრებამდე სიგრძის ქერა თმა და ცისფერი თვალები აქვს, დაბალი და გამხდარია.

07. დევიდი, 8 წლის. ტკივილის მიმღები, ანუ თანამგრძობი. ყველა დანარჩენი პიროვნების ტკივილსა და ტანჯვას შთანთქმავს. უკიდურესად მგრძობიარეა, თუმცა ყურადღების მოკრების უნარი ძალზე შეზღუდული აქვს. უმეტესწილად დაბნეულია. მუქი მოწითალო-ყავისფერი თმა და ცისფერი თვალები აქვს, ტანად პატარაა.

08. ქრისტინი, 3 წლის. „კუთხის ბავშვი“ დაარქვეს, რადგან სკოლაში კუთხეში იდგა ხოლმე. ჭკვიანი ინგლისელი პატარა გოგოა, კითხვა და ბეჭდვა შეუძლია, მაგრამ დისლექსია აქვს. ყვავილებისა და პეპლების ხატვა და გაფერადება უყვარს. ქერა თმა მხრებამდე სწვდება, ცისფერი თვალები აქვს.

09. ქრისტოფერი, 13 წლის. ქრისტინის ძმა. ბრიტანული აქცენტით ლაპარაკობს. დამჯერი, მაგრამ შფოთიანია. ტუჩის გარმონზე უკრავს. ქრისტინივით მოყავისფრო-ქერა თმა შუბლზე მოკლედ აქვს შეჭრილი.

10. ადალანა, 19 წლის. ლესბოსელი. მორცხვი, მარტოსული და საკუთარ თავში ჩაკეტილია, ლექსებს წერს, დანარჩენებს საჭმელს უმზადებს და სახლს ულაგებს. ადალანას მეჩხერი შავი თმა აქვს და რადგანაც ყავისფერი თვალები დროდადრო უთამაშებს, ამბობენ, „მოცეკვავე თვალები აქვსო“.

არასასურველები

არტურმა ისინი არასასურველი თვისებების გამო განდევნა. თავი პირველად ათენის ფსიქიატრიული ჯანდაცვის ცენტრში, ექიმ დევიდ კოლის წინაშე გამოააშკარავეს.

11. ფილიპი, 20 წლის. განგსტერი. ნიუ იორკელია, მკვეთრი ბრუკლინური აქცენტი აქვს, ვულგარულ გამოთქმებს იყენებს. „ფილის“ ხსენებამ პოლიცია და მედია მიახვედრა, რომ მათთვის ცნობილი ათი პიროვნების გარდა კიდევ სხვებიც არსებობდნენ. უმძიმესი დანაშაულები აქვს ჩადენილი. ხვეული ყავისფერი თმა, ყავისფერი თვალები და ნისკარტივით ცხვირი აქვს.

12. კევინი, 20 წლის. დამგვეგმავი. წვრილმანი ხულიგანი. აფთიაქის ძარცვა დაგეგმა. წერა უყვარს. ქერა თმა და მწვანე თვალები აქვს.

13. უოლტერი, 22 წლის. ავსტრალიელი. თავს მსხვილ ნადირზე მონადირედ მიიჩნევს. აქვს ორიენტირების შესანიშნავი უნარი და ხშირად „მზვერავის“ ფუნქციას ითავსებს. ემოციებს თრგუნავს. ექსცენტრულია. ულვაშს ატარებს.

14. ეიპრილი, 19 წლის. ძუკნა. ბოსტონური აქცენტით საუბრობს. თავი ბილის მამინაცვალზე ჯოჯოხეთური შურისძიების ამრებითა და გეგმებით აქვს სავსე. დანარჩენები ამბობენ, გიჟიაო. ძაფს ართავს და სახლს ალაგებს ხოლმე. შავი თმა და ყავისფერი თვალები აქვს.

15. სემუელი, 18 წლის. მოხეტიალე ებრაელი. თავისი აღმსარებლობის განუხრელად მიმდევარი სემუელი ერთადერთი მორწმუნეა. მოქანდაკე და ხეზე კვეთის ოსტატია. შავი, ხვეული თმა და წვერი აქვს, ყავისფერი თვალები.

16. მარკი, 16 წლის. მშრომელი. ინიციატივას არ იჩენს. სანამ სხვები არ ეტყვიან, არაფერს აკეთებს. მონოტონურ სამუშაოს ასრულებს. თუ საქმე არაფერია, კედელს არის მიშტერებული. ზოგჯერ „ზომბიდ“ იწოდება.

17. სტივი, 21 წლის. მარადი თვითმარქვია. ხალხის გამოჯავრება და დაცინვა უყვარს. საკუთარ თავზე შეეყვარებული სტივი ერთადერთია შინაგან „მე“-თაგან, რომელიც მრავლობითი პიროვნების აშლილობის დიაგნოზს არ აღიარებს. მისი იმიტატორული გამოჯავრებები დანარჩენებს ხშირად პრობლემებს უქმნის.

18. ლი, 20 წლის. კომიკოსი. ხუმარა, ჯამბაზი, ენამახვილი. მისი ენამწარე ხუმრობები სხვებს ხშირად აღიზიანებს, რაც მათ შორის შეხლა-შემოხლას, შედეგად კი – მათ კარცერში გამწესებას იწვევს. არც სიცოცხლე ანაღვლებს და არც საკუთარი ქცევის შედეგები. მუქი ყავისფერი თმა და ყავისფერი თვალები აქვს.

19. ჯეისონი, 13 წლის. „წნევის სარქველი“. ისტერიული რეაქციებითა და ემოციური აფეთქებებით, რომლებიც ხშირად სასჯელს იწვევს, გარკვეულწილად, ორთქლს უშვებს. თან მიაქვს ცუდი მოგონებები, რათა დანარჩენებმა მათი დავიწყება შეძლონ, რასაც ამნებია მოსდევს. ყავისფერი თმა და ყავისფერი თვალები აქვს.

20. რობერტი (ბობი), 17 წლის. მეოცნებე. გამუდმებით მოგზაურობასა და თავგადასავლებს წარმოისახავს ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ოცნებობს, სამყარო უკეთესი გახადოს, არც ამბიციის გააჩნია და არც ინტელექტუალური ინტერესები.

21. შონი, 4 წლის. ყრუ. ყურადღების კონცენტრაციის შეზღუდული უნარი აქვს და ხშირად გონებრივად ჩამორჩენილად მიიჩნევენ. თავში ვიბრაცია რომ იგრძნოს, ბუზუნისმაგვარ ხმებს გამოსცემს.

22. მარტინი, 19 წლის. სნობი. ნიუ-იორკელია და ყოყლოჩინა. ამპარტავანია და ცხვირაწეული. ყველაფრის დაუმსახურებლად მიღება უნდა. ქერა თმა და ნაცრისფერი თვალები აქვს.

23. ტიმოთი (ტიმი), 15 წლის. ყვავილების მაღაზიაში მუშაობისას ჰომოსექსუალს გადაეყარა, რომელმაც დააფრთხო. ამის შემდეგ თავის სამყაროში ჩაიკეტა.

მასწავლებელი

24. მასწავლებელი, 26 წლის. ოცდასამივე ალტერ ეგოს ჯამი. დანარჩენებს ყველაფერი მან ასწავლა. ჭკვიანია, მგრძნობიარე, დახვეწილი იუმორის გრძნობა აქვს. ამბობს, „მილიგანი კი არა, ბალაგანი ვარო“, დანარჩენებს კი მოიხსენიებს, როგორც „ჩემი შექმნილი ანდროიდები“. მასწავლებელს თითქმის ყველაფერი ახსოვს და ამ წიგნის დაწერა სწორედ მისმა გამოჩენამ და თანამშრომლობამ გახადა შესაძლებელი.

წიგნი პირველი - არეული დრო

თავი პირველი

1

1977 წლის 22 ოქტომბერს, შაბათს, უნივერსიტეტის დაცვის უფროსმა, ჯონ კლებერგმა ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ტერიტორია პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ მოაქცია. შეიარაღებული ოფიცრები მანქანებით და ფეხით კამპუსს უვლიდნენ გარს, სახურავებზე კი შეიარაღებული მზვერავები მორიგეობდნენ. ქალები გააფრთხილეს, მარტო სიარულისაგან თავი შეეკავებინათ და თუ მამაკაცებს მანქანაში ჩაუსხდებოდნენ, ფრთხილად ყოფილიყვნენ. რვა დღის განმავლობაში დილის 7-დან 8 საათამდე, კამპუსიდან, პირდაპირ დაცვის პუნქტთან, უკვე ორი ახალგაზრდა ქალი გაიტაცეს. პირველი ოპტომეტრიის ოცდახუთი წლის სტუდენტი იყო, მეორე — ოცდაოთხი წლის მედდა. ორივე მათგანი ქალაქგარეთ წაიყვანეს, გააუპატიურეს, ფულის განაღდება აიძულეს და გაძარცვეს. გაზეთებში პოლიციის მიერ მიწოდებული ფოტორობოტი გამოქვეყნდა, რომელსაც საზოგადოება ასობით სატელეფონო ზარით, სახელებითა და აღწერილობით გამოეხმაურა. ყველა მათგანი უსარგებლო იყო. არც რაიმე საყურადღებო მინიშნება ჩანდა და არც ეჭვმიტანილები. უნივერსიტეტში დაძაბულობა მატულობდა. მას შემდეგ, რაც სტუდენტურმა ორგანიზაციებმა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარმა ჯგუფებმა ოჰაიოს გაზეთებისა და ტელემაუწყებლობის მიერ „კამპუსის მოძალადედ“ წოდებული მამაკაცის დაკავება მოითხოვეს, პოლიციის უფროსი კლებერგი კიდევ უფრო ძლიერი წნეხის ქვეშ მოექ-

ცა. დამნაშავეზე ნადირობა კლებერგმა ელიოტ ბოქსერბაუმს, საგამოძიებო სამსახურის ახალგაზრდა ხელმძღვანელს მიანდო.

ბოქსერბაუმი, რომელიც თავს „ლიბერალს“ უწოდებდა, პოლიციის საქმიანობაში ჯერ კიდევ 1970 წელს, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას ჩაება, როცა სტუდენტური პროტესტის გამო კამპუსი დროებით დაიხურა.

ამავე წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იმ პირობით, რომ გრძელ თმას შეიჭრიდა და უღვაშს მოიპარსავდა, სამსახურის დაწყება უნივერსიტეტის პოლიციის განყოფილებაში შესთავაზეს. თმა შეიჭრა, მაგრამ უღვაშთან გამოთხოვებაზე უარი განაცხადა. მაინც აიყვანეს.

ბოქსერბაუმმა და კლებერგმა ფოტორობოტები და ორი მსხვერპლის მიერ მიწოდებული მონაცემები რომ შეამოწმეს, ყველაფერი ერთ თავდამსხმელზე მიუთითებდა — ეს იყო თეთრკანიანი ამერიკელი მამაკაცი, სადღაც 23-27 წლისა. წონა 80--დან 84 კილოგრამამდე, ყავისფერი თუ მოწითურო-ყავისფერი თმით. ორივე შემთხვევაში მამაკაცს ყავისფერი სპორტული მაისური, ჯინსი და თეთრი სპორტული ფეხსაცმელი ეცვა.

პირველ მსხვერპლს, კერი დრაიერს ახსოვდა, რომ მოძალადეს თან ხელთათმანები და პატარა რევოლვერი ჰქონდა. თვალები კი დროდადრო აქეთ-იქით გაურბოდა — ამ სიმპტომში მსხვერპლმა ნისტაგმად წოდებული თვალის დაავადება ამოიცნო. კაცმა მანქანის კარზე ხელბორკილებით შიგნიდან მიაბა და ქალაქგარეთ უკაცრიელ ადგილას წაიყვანა, სადაც გააუპატიურა. გაუპატიურების შემდეგ უთხრა, თუ პოლიციაში მიხვალ, ჩემი თავი არ აუწერო, გაზეთებში რამეს თუ წავაწყდი, ვინმეს გამოგიგზავნი და ის გაგისწორდებაო. იმის დასამტკიცებლად, რომ არ ხუმრობდა, მისი მისამართების წიგნაკიდან სახელები და ტელეფონის ნომრები ამოიწერა. დონა უესტმა, ტანდაბალმა, ჩასუ-

ქებულმა მომვლელმა თქვა, რომ კაცს, რომელიც თავს დაესხა, ავტომატური პისტოლეტი ჰქონდა. ხელებზე რაღაც ეცხო — ჭუჭყი ან ტალახი კი არა, რაღაც ზეთოვანი. ერთხელ უთხრა, ფილი მქვიაო. ბევრს იგინებოდა. ყავისფრად დაბურული მზის სათვალე ეკეთა და მისი თვალები არ დაუნახავს. ახლობლების კოორდინატები ამოიწერა და გააფრთხილა, რომ თუ დაასმენდა, მას ან მისი ოჯახის წევრს „საძმო მოუვლიდა“. პოლიციის დასკვნით, რომელიღაც ტერორისტული დაჯგუფებისა თუ მაფიის წევრობით ტრაბახობდა. კლებერგსა და ბოქსერბაუმს ორ აღწერილობას შორის მხოლოდ ერთი ნიშანდობლივი განსხვავება აბნევდა. პირველ მამაკაცს აღწერილობის მიხედვით მსხვილი, აკურატულად შეკრეჭილი უღვაში ჰქონდა. მეორეს — სამი დღის გაუპარსავი წვერი, თუმცა უუღვაშო იყო. „ალბათ პირველ და მეორე შემთხვევებს შორის მოიპარსა“, — ილიმის ბოქსერბაუმი.

ქალაქ კოლამბუსის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულ პოლიციის ცენტრალურ სამმართველოში სქესობრივ დანაშაულთა განყოფილების თანამშრომელი, ნიკი მილერი მეორე ცვლაში მორიგეობას ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს, დღის სამ საათზე შეუდგა.

ოთხშაბათს, 26 ოქტომბერს მილერი ლას-ვეგასში გატარებული ორკვირიანი შვებულებიდან ახლადდაბრუნებული იყო. გაკაჟებული, დასვენებული იერი ჰქონდა, ყავისფერ თვალებსა და აჭრილ ქერა თმაზე რუჯი ძალიან უხდებოდა. დეტექტივმა გრამლიჩმა, რომელიც პირველ ცვლაში მუშაობდა, უთხრა, რომ უნივერსიტეტის საავადმყოფოდან გაუპატიურების ახალგაზრდა მსხვერპლი მოჰყავდა. რადგან ეს მილერის საქმე იყო, გრამლიჩმა მისთვის ცნობილი რამდენიმე დეტალი გაუზიარა. პოლინიუტონი, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 21 წლის სტუდენტი, უნივერსიტეტის კამპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან დი-

ლის 8 საათისათვის გაიტაცეს. ის-ის იყო, ბოიფრენდის ლურჯი „კორვეტი“ ადგილზე დააყენა და გადმოვიდა, რომ იძულებით ისევ მანქანაში ჩასვეს, საჭესთან დაჯდომა და ქალაქგარეთ, უკაცრიელ ადგილას წასვლა აიძულეს, სადაც გააუპატიურეს. ამის შემდეგ თავდამსხმელმა ორი ჩეკის გასანაღდებლად თავი უკან, კოლამბუსში წააყვანინა, მერე კი ისევ კამპუსის ტერიტორიაზე. შემდეგ ურჩია, მორიგი ჩეკი გაენაღდებინა, გადასახადების გადახდა შეეწყვიტა და ფული თავისთვის დაეტოვებინა. რადგანაც ნიკი მილერი შვებულებაში იმყოფებოდა, უნივერსიტეტის კამპუსის მოძალადის შესახებ არაფერი წაეკითხა და არც ფოტორობოტი ენახა. დეტალები პირველ ცვლაში მომუშავე დეტექტივებმა გააცნეს. „საქმის დეტალები“, – აღნიშნავდა მილერი ანგარიშში, „გაუპატიურებისა და გატაცების იმ ორი შემთხვევის დეტალებს ემთხვევა, რომლებსაც ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიცია იძიებს, რამდენადაც ეს მათ სამუშაო ტერიტორიაზე მოხდა“.

ნიკი მილერი და მისი პარტნიორი, ოფიცერი ეი ჯეი ბესელი მანქანით გაემართნენ უნივერსიტეტის საავადმყოფოში მყოფ პოლი ნიუტონთან, მუქ წითურთმიან გოგონასთან სასაუბროდ. პოლის თქმით, გამტაცებელმა უთხრა, რომ დაჯგუფება „THE WEATHERMEN“ – ის წევრი იყო, გარდა ამისა, საკუთარი ბიზნესი ჰქონდა და „მაზერატი“ ჰყავდა.

მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში სამედიცინო დახმარება გაუწიეს, პოლი მილერსა და ბესელს იმ ადგილის მოსაძებნად წაჰყვა, სადაც მანქანით წასვლა აიძულეს. მაგრამ უკვე ბნელდებოდა და ადგილის პოვნა გაუჭირდა. დათანხმდა, მეორე დილას კიდევ ეცადა. დანაშაულის ადგილის მაძიებელთა ბრიგადამ მისი მანქანიდან თითის ანაბეჭდები აიღო. აღმოჩენილ იქნა საკმაოდ მკვეთრი სამი ანაბეჭდი.

მილერმა და ბესელმა პოლი ისევ საგამოძიებო ბიუროში წაიყვანეს განყოფილების მხატვართან ერთად ფოტორობოტზე სამუშაოდ. შემდეგ მილერმა პოლის თეთრკანიანი სექსუალური ძალადობის ჩამდენი მამაკაცების ფოტოების გაცნობა სთხოვა. პოლიმ ფოტოებით სავსე სამი ალბომი დაათვალიერა, თითოეული ასჯერ მაინც, თუმცა უშედეგოდ. ღამის 10 საათზე პოლიციაში გატარებული შვიდი საათის შემდეგ დაქანცულმა პოლიმ მუშაობა შეწყვიტა. მეორე დილას დილის ცვლაში მომუშავე დეტექტივთა ბრიგადის წევრებმა პოლი ნიუტონი დელავერის ოლქში წაიყვანეს. დღის შუქზე მან შეძლო იმ ადგილის პოვნა, სადაც გააუპატიურეს. იქ, თხრილის პირას, ცხრამილიმეტრიანი ტყვიის ჰილბები ეყარა. როგორც პოლიმ დეტექტივებს უთხრა, აქედან ის კაცი ჩამწკრივებულ ლუდის ბოთლებს ესროდა და წყალში ყრიდა. განყოფილებაში რომ დაბრუნდნენ, ნიკი მილერი ის-ის იყო, სამსახურში მოსულიყო. მან პოლი მიმდების პირდაპირ მდებარე პატარა ოთახში დასვა და ფოტოების მორიგი შეკვრა მიუტანა. მერე მარტო დატოვა და კარი გაიხურა. ხუთ წუთში საგამოძიებო ბიუროში ელიოტ ბოქსერბაუმი მივიდა მეორე მსხვერპლთან, მედდა დონა უესტთან ერთად. ბოქსერბაუმს უნდოდა, მასაც დაეთვალიერებინა ფოტოალბომები. მან და პოლიციის უფროსმა კლებერგმა გადაწყვიტეს, ოპტომეტრიის სტუდენტი თადარიგში ჰყლოლოდათ იმ შემთხვევისათვის, თუკი საქმე პიროვნების ამოცნობის გზით იდენტიფიკაციაზე მიდგებოდა. ნიკი მილერმა დონა უესტი არქივის გასწვრივ მდებარე დერეფანში მაგიდასთან დასვა და ფოტოების სამი ალბომი მიუტანა. „ღმერთო ჩემო!“ — თქვა მან, — „ნუთუ ქუჩებში ამდენი სექსუალური მანიაკი დასეირნობს?!“ სანამ დონა სახეებს სათითაოდ აკვირდებოდა, ბოქსერბაუმი და მილერი იქვე იცდიდნენ. გაბრაზებული და იმედგაცრუებული დონა სწრაფად ფურცლავდა ალბომს. ნაც-

ნობ სახესაც გადააწყდა — არა იმ კაცს, ვინც გააუპატიურა, არამედ ყოფილ კლასელს — კაცს, რომელსაც ამასწინათ ქუჩაში შეხვდა. ფოტოს უკანა მხარეზე წაიკითხა, რომ კაცი უხამსი ქცევითის დაეპატიმრებინათ. „ღმერთო, რას აღარ გაიგებ!“ — წაიბურტყუნა მან. ნახევარი ალბომი რომ დაათვალიერა, დონა მსხვილბაკენბარდებიანი, მგერაგაყინული სიმპატიური ახალგაზრდა კაცის ფოტოზე შეჩერდა. უცებ ისე წამოხტა, რომ კინაღამ სკამი გადააყირავა. „ეს არის! ეს არის! დარწმუნებული ვარ!“ მილერმა დონას ფოტოს უკანა მხარეს თავისი სახელი მიაწერინა, შემდეგ საიდენტიფიკაციო ნომერი მოძებნა, ჩანაწერს შეადარა და დაწერა: „უილიამ ს. მილიგანი“. ფოტო ძველი იყო. შემდეგ იდენტიფიცირებული ფოტო ალბომის ბოლოსკენ ჩადო, რომელიც პოლი ნიუტონს ჯერ არ ენახა. ის, ბოქსერბაუმი, დეტექტივი, გვარად ბრაში და ოფიცერი ბესელი იმ ოთახისკენ გაემართნენ, სადაც პოლი იჯდა. ნიკი მილერმა იგრძნო, რომ პოლი თითქოს ხვდებოდა, მისგან ამ ალბომის რომელიმე ფოტოს არჩევას რომ ელოდნენ. პოლი ბარათებს თითებით სინჯავდა, ფრთხილად ფურცლავდა. შუა ნაწილს რომ გასცდა, მილერი დაიძაბა. თუკი პოლი იმავე ფოტოს ამოარჩევდა, კამპუსის მოძალადე მათ ხელთ იყო. პოლი მილიგანის ფოტოზე შეჩერდა, შემდეგ კი ისიც გადაფურცლა. მილერს დაძაბულობისაგან მხრები და მკლავები დაეჭიმა. შემდეგ პოლიმ უკან გადაფურცლა ფოტოები და მსხვილბაკენბარდებიან ახალგაზრდას ისევ შეხედა. „აი, ეს ჰგავს ძალიან, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ“, — თქვა მან. ბოქსერბაუმი მილიგანის სახელზე დაპატიმრების ორდერის გამოწერას ყოყმანობდა. მიუხედავად იმისა, რომ დონა უესტმა დამნაშავე ამოიცნო, მას ის ფაქტი აფიქრებდა, რომ ფოტო სამი წლის წინანდელი იყო. სურდა, თითის ანაბეჭდების ტესტისთვის მოეცადა. დეტექტივმა ბრაშმა მილიგანის საიდენტიფიკაციო მონაცე-

მები პირველ სართულზე მდებარე დამნაშავეთა იდენტიფიკაციის ბიუროში ჩაიტანა, რომ მისი თითების ანაბეჭდი პოლის მანქანიდან აღებული სათვის შეედარებინა.

ნიკი მილერს ეს შეფერხება აღიზიანებდა. ფიქრობდა, რომ კაცს თავიდანვე სწორად ჩაუდგნენ კვალში და მისი დაუყოვნებლივ აყვანა სურდა. მაგრამ რადგან მის მსხვერპლს, პოლინიუტონს ამოცნობა არ დაუდასტურებია, სხვა რა გზა ჰქონდა — უნდა მოეცადა. ორ საათში ანგარიში მოვიდა. „კორვეტის“ მარჯვენა კარის შუშის გარე ნაწილიდან აღებული მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის, მარჯვენა ხელის არათითისა და მარჯვენა მტევნის ანაბეჭდი მილიგანს ეკუთვნოდა. ყველა ანაბეჭდი სავსებით გამოსადეგი იყო. ათიანში მოარტყეს. თავისუფლად შეეძლოთ, სასამართლოსათვის წარედგინათ. ბოქსერბაუმი და კლებერგი ყოყმანობდნენ. სანამ ეჭვმიტანილს აიყვანდნენ, უნდოდათ, ბოლომდე დარწმუნებულები ყოფილიყვნენ და ანაბეჭდების შესაფასებლად ექსპერტის მოწვევა ითხოვეს. რადგან მილიგანის ანაბეჭდები მსხვერპლის მანქანიდან აღებულს დაემთხვა, ნიკი მილერმა გადაწყვიტა, გატაცების, ყაჩაღობისა და გაუპატოურების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღეძრა. დაკავების ორდერს მიიღებდა, მილიგანს განყოფილებაში მიიყვანდა და პოლის მისი უშუალოდ ამოცნობის შესაძლებლობა ექნებოდა. ბოქსერბაუმმა ეს ყველაფერი თავის შეფს, კლებერგს შეატყობინა. რომელმაც დაჟინებით მოსთხოვა, რომ ექსპერტის შეფასებისათვის მოეცადა. ამას ხომ კიდევ სულ რაღაც ორიოდე საათი დასჭირდებოდა. სჯობდა, დარწმუნებულები ყოფილიყვნენ. საღამოს რვა საათი იყო, როცა მოწვეულმა ექსპერტმა დაამოწმა, რომ ანაბეჭდები მილიგანს ეკუთვნოდა. ბოქსერბაუმმა თქვა: „კარგი, გატაცების მუხლით აღვძრავ საქმეს. ეს ერთადერთი დანაშაულია, რომელიც უშუალოდ კამპუსის ტერიტო-

რიაზე მოხდა და რომლის გამოძიებაც ჩვენს უფლებამოსილება-
შია. გაუპატიურება სხვაგან მოხდა“. დამნაშავეთა იდენტიფიკა-
ციის ბიუროდან შემოსული ინფორმაცია ამოიწერა: უილიამ
სტენლი მილიგანი, 22 წლისა, ნასამართლვეი. ექვსი თვის წინ
ვადამდე იქნა გათავისუფლებული ოჰაიოს შტატის ლიბანის გა-
მასწორებელი დაწესებულებიდან. პოლიციისათვის ცნობილი
მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი ოჰაიოს შტატი, ლან-
კასტერი, სპრინგ-სტრიტი, ნომერი 933 იყო. მილერმა სპეცრაზმი
გამოიძახა. ოპერაციის დასაგეგმად ყველამ სქესობრივი დანა-
შაულის წინააღმდეგ მებრძოლი ბრიგადის ოფისში მოიყარა თა-
ვი. უნდა დაედგინათ, ბინაში მილიგანთან ერთად რამდენი ადა-
მიანი ცხოვრობდა. გაუპატიურების ორი მსხვერპლის თქმით, ის
ამბობდა, ტერორისტი და დაქირავებული მებრძოლი ვარო. პო-
ლის თანდასწრებით იარაღიდან ისროლა კიდევ. როგორც ჩან-
და, მილიგანი შეიარაღებული და სახიფათო იყო. სპეცრაზმის
ოფიცერმა კრეიგმა პოლის ასეთი ხრიკი შესთავაზა — მილიგანს
კარზე პიცის ცარიელი ყუთით მიადგებოდა და ეტყოდა, რომ ვი-
ლაცამ ამ მისამართიდან პიცა შეუკვეთა. კარს რომ გაუღებდნენ,
კრეიგი ბინის დათვალიერებას შეეცდებოდა. გეგმა მიიღეს, მაგ-
რამ ბოქსერბაუმს მისამართი აეჭვებდა — რატომ უნდა გაეფლო
ვილაცის გასაუპატიურებლად ნასამართლვე ადამიანს 72 კილო-
მეტრი ლანკასტერიდან კოლამბუსამდე ორი კვირის განმავლო-
ბაში სამჯერ? რაღაც რიგზე ვერ იყო. რადგანაც გასვლას აპირებ-
დნენ, ბოქსერბაუმმა ყურმილი აიღო, საცნობარო ბიუროს ნომე-
რი აკრიფა, იკითხა, უილიამ მილიგანის სახელზე ახალი ჩანაწე-
რი ხომ არ ჰქონდათ და მისამართი უცებ ჩაინიშნა. „გადასულა.
რეინოლდსბურგი, ოლდ ლივინგსტონ ავენიუ 5673“, — გამოაც-
ხადა ბოქსერბაუმმა. „მანქანით ათი წუთის სავალზეა, აღმოსავ-
ლეთით. ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია“. ყველას ერთბაშად

მოეშვა. ცხრა საათზე ბოქსერბაუმი, კლებერგი, მილერი, ბესელი და კოლამბუსის სპეცრაზმის ოთხი ოფიცერი უკაცრიელ გზაზე სამი მანქანით, 32 კმ/სთ სიჩქარით მიდიოდნენ. ისეთი სქელი ბურუსი იყო ჩამოწოლილი, რომ ფარების შუქი ვერ ატანდა. პირველი ადგილზე სპეცრაზმის ბრიგადა მივიდა. თხუთმეტი წუთის გზას ერთ საათს მოუნდნენ. მიხვეულ-მოხვეულ, ახლადდაგებულ ქუჩაზე მდებარე ჩენინგუის საცხოვრებელ კომპლექსში მისამართის ძებნას კიდევ 15 წუთი დასჭირდა. სანამ დანარჩენების მისვლას ელოდებოდნენ, სპეცრაზმის ოფიცრები მეზობლებს გამოელაპარაკნენ. მილიგანის ბინაში შუქი ენთო. როცა დეტექტივები და უნივერსიტეტის ოფიცრები მივიდნენ, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა. ნიკი მილერი შიდა ეზოს მარჯვენა კუთხეში მოეფარა თვალს. ბესელმა შენობას კუთხიდან მოუარა. დანარჩენმა სამმა სპეცრაზმის ოფიცრმა მეორე მხარეს დაიკავა პოზიციები. ბოქსერბაუმი და კლებერგი სირბილით მივიდნენ სახლის უკანა მხარეს და ორმაგ მოძრავ შუშის კარს აქეთ-იქით ამოუდგნენ. კრეიგმა პიცის ცარიელი ყუთი საბარგულიდან ამოიღო და შავი მარკერით დააწერა: „მილიგანი, ოლდ ლივინგსტონის 5673“. რევოლვერი რომ დაემალა, პერანგის კალთა ჯინსიდან ამოიჩანა და შიდა ეზოზე გამავალი ოთხი კარიდან ერთ-ერთს აუჩქარებლად მიადგა. ზარი დარეკა. პასუხი არავის გაუცია. ისევ დარეკა და შიგნიდან ხმაური რომ მოესმა, გაბებრებული პოზა მიიღო — ცალ ხელში პიცის ყუთი ეჭირა, მეორე კი იარაღთან ახლოს, თეძოზე დაიდო. სახლის უკნიდან ბოქსერბაუმმა დიდი ფერადი ტელევიზორის პირდაპირ, ყავისფერ სარწეველაში მჯდარი ახალგაზრდა დაინახა. წინკარის მარცხნივ წითელი სკამი მოჩანდა. ლ-ის ფორმის მისაღები-სასადილო. შიგნით მეტი არავინ ჩანდა. ტელევიზორს რომ უყურებდა, ის კაცი წამოდგა და კარის გასაღებად გაემართა. კრეიგმა ზარი ისევ რომ დარეკა, უცებ

დანიხა, რომ კარის გვერდით განთავსებული შუშის პანელის მიღმიდან ვიღაც უყურებდა. კარი გაიღო და სიმჰათიური ახალგაზრდა კაცი მიაშტერდა.

— პიცა მოგიტანეთ.

— მე პიცა არ შემიკვეთავს.

კრეიგი შეეცადა, მის მხარს მიღმა ბინაში შეეხედა. ფარდები გადაწეული იყო და უკანა, შუშის კარს იქით ბოქსერბაუმს ხედავდა.

— ეს მისამართი მომცეს. უილიამ მილიგანისთვის. თქვენ ხართ?

— არა.

— ვიღაცამ აქედან დარეკა შეკვეთაზე, — თქვა კრეიგმა, — თქვენ ვინ ხართ?

— ეს მეგობრის ბინაა.

— მეგობარი სად არის?

— ახლა აქ არ არის, — დუნე, მერყევი ხმით საუბრობდა.

— კი მაგრამ, სად არის? ამ მისამართიდან ვიღაცამ პიცა შეუკვეთა. ბილ მილიგანი. ეს მისამართი წერია.

— არ ვიცი. მეზობლები იცნობენ. იქნებ იმათ გითხრან. ან იქნებ იმათ შეუკვეთეს.

— მაჩვენებთ?

ახალგაზრდამ თავი დაუქნია, თავისი კარიდან რამდენიმე ნაბიჯში მდებარე კართან მივიდა, დააკაკუნა, რამდენიმე წამით მოიცადა და შემდეგ ისევ დააკაკუნა. პასუხი არავის გაუცია.

კრეიგმა პიცის ყუთი დააგდო, იარაღი ამოიღო და ეჭვმიტანილს კეფაზე მიაბჯინა.

— არ გაინძრე! ვიცი, რომ მილიგანი ხარ! — ხელბორკილებმა გაიჩხრიალა. ახალგაზრდა გაოგნებული იყო.

— ეგ რისთვის? არაფერი დამიშავებია.

კრეიგმა იარაღი ბეჭებს შორის მიადლო და მილიგანის გრძელი თმა სადავესავით მოზიდა.

— შიგნით შევიდეთ.

კრეიგმა კაცი ისევ ბინაში რომ შეათრია, SWAT-ის ოფიცრები იარაღშემართულები შეიჭრნენ და ექვმიტანილს ალყა შემოარტყეს. მათ ბოქსერბაუმი და კლებერგი შემოუერთდნენ. ნიკი მილერს ფოტო ეჭირა და მილიგანის კისერზე უთითებდა, სადაც ხალი ეტყობოდა.

— ხალი აქვს. სახეც იგივეა. ეს არის.

მილიგანი წითელ სკამზე დასვეს და მილერმა შეამჩნია, რომ დაბნეული, ტრანსში მყოფის მსგავსი გამომეტყველებით კაცი თითქოს მის მიღმა იცქირებოდა. სერჟანტი დემპსი დაიხარა და სკამის ქვეშ შეიხედა.

— აი იარაღი, — თქვა მან და ფანქრით გამოაცოცა, — ცხრამილიმეტრიანი მაგნუმია, „სმიტ-ვესონი“.

სპეცრაზმის ოფიცერმა ტელევიზორის პირდაპირ მდგარი ყავისფერი სავარძელი გადააბრუნა და მჭიდისა და ტყვიებით სავსე ცელოფნის ალება დააპირა, მაგრამ დემპსიმ შეაჩერა.

— მოიცა, დაკავების ორდერი გვაქვს, ჩხრეკის კი არა.

მილიგანს მიუბრუნდა.

— რას იტყვი, რომ გავჩხრიკოთ?

მილიგანი უაზროდ იყურებოდა. კლებერგმა იცოდა, რომ სხვა ოთახებში ხალხის მოსაძებნად ჩხრეკის ორდერი სულაც არ ესაჭიროებოდა, საძინებელში შევიდა და აწეწილ ლოგინზე დაგდებული ყავისფერი სპორტული ჟაკეტი დაინახა. არეულ-დარეულ ოთახში თეთრეული მთელ იატაკზე იყო მიმოფენილი. კლებერგმა გამოღებულ კედლის კარადაში შეიხედა და თაროზე დონა უესტისა და კერი დრაიერის აკურატულად დაწყობილი საკრედიტო ბარათები დაინახა. ქალებისთვის წართმეული ქალაღდის

ნაგლეჯებიც კი იქვე ეწყო. ყავისფრად დაფერილი მზის სათვალე და საფულე კარადაზე იდო. კლებერგი ბოქსერბაუმის ძებნას შეუდგა, უნდოდა ეთქვა, რა იპოვა. ბოლოს მხატვრის სახელოსნოდ გადაკეთებულ სასადილო კუთხეში მიაგნო.

— ამას შეხედეთ, — ბოქსერბაუმმა მაქმანით გაწყობილ ლურჯ მოსასხამში გამოწყობილი დედოფლის თუ მეთვრამეტე საუკუნის არისტოკრატი ქალის პორტრეტზე მიუთითა, პიანინოსთან რომ იჯდა და ხელში ნოტები ეჭირა... დეტალები არაჩვეულებრივი სიზუსტით იყო გადმოცემული. ნახატს ხელს „მილიგანი“ აწერდა.

— ვაჰ, რა ლამაზია, — თქვა კლებერგმა. მან კედელთან აყუდებულ დანარჩენ ტილოებს, ფუნჯებსა და საღებავის ტუბებს გადახედა. ბოქსერბაუმმა შუბლზე ხელი შემოირტყა.

— დონა უესტი რომ დალაქავებულ ხელს ახსენებდა. აი, რისი ლაქები იყო. იქამდე ალბათ ხატავდა.

ნახატი ნიკი მილერსაც ენახა. ის ეჭვმიტანილს მიუახლოვდა, რომელიც ისევ სკამზე იჯდა.

— თქვენ ხართ მილიგანი, ხომ ასეა?

მან დაბნეულმა ახედა.

— არა, — წაიბურტყუნა მან.

— რა ლამაზი ნახატია. თქვენ დახატეთ?

თავი დაუქნია.

— ჰოდა, გედ „მილიგანი“ აწერია, — უთხრა მილერმა ღიმილით. ბოქსერბაუმი მილიგანს მიუახლოვდა.

— ბილ, მე ელიოტ ბოქსერბაუმი ვარ, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიციიდან. არ დამელაპარაკებით?

კაცს პასუხი არ გაუცია. კერი დრაიერის მიერ აღწერილი თვალის სპაზმური სიმპტომები არსად ჩანდა.

— ვინმემ თავისი უფლებები გააცნო?

არავის უპასუხებია, ამიტომ ბოქსერბაუმი უფლებების ამონაწერი ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა.

— ბილ, კამპუსიდან გოგონების გატაცება გედებათ ბრალად. გინდათ ამაზე საუბარი?

ელდანაცემმა მილიგანმა თავი ასწია.

— რა ხდება? ვინმეს რამე დავუშავე?

— იმათ უთხარით, რომ სხვები გაუსწორდებოდნენ. ვისზე ამბობდით?

— იმედია, არავისთვის არაფერი დამიშავებია.

ოფიცერი საძინებლისკენ რომ გაემართა, მილიგანმა ისევ ახედა:

— იმ ყუთს არ დაეჯახოთ, აფეთქდება.

— ბომბია? — სწრაფად ჰკითხა კლებერგმა.

— იქ არის...

— მაჩვენებთ? — შეეკითხა ბოქსერბაუმი.

მილიგანი ნელა წამოდგა და საძინებლისკენ წავიდა. კართან შეჩერდა და თავი კარადის გვერდით, იატაკზე მდებარე მუყაოს პატარა ყუთისაკენ გაიქნია. სანამ ბოქსერბაუმი იქაურობას ათვალიერებდა, კლებერგი მილიგანთან დარჩა. დანარჩენი ოფიცრები კარში, მილიგანის ბურგსუკან იყვნენ ჩამწკრივებულები. ბოქსერბაუმი ყუთთან ჩაიმუხლა. ღია სახურავს მიღმა მავთულები და რაღაც საათის მსგავსი მექანიზმი ჩანდა. პოლიციელმა უკან დაიხია და სერჟანტ დემპსის მიმართა: — სახანძრო განყოფილების გამნაღმველთა ბრიგადას დაურეკეთ. კლებერგი და მე სადგურზე ვბრუნდებით. მილიგანს თან წავიყვანთ.

კლებერგი უნივერსიტეტის პოლიციის მანქანის საჭეს მიუჯდა. სპეცრაზმის ბრიგადის წევრი, როკველი მის გვერდით დაჯდა. ბოქსერბაუმი უკან ჩაჯდა მილიგანთან ერთად, რომელიც გაუპატიურების შესახებ დასმულ კითხვებს არ პასუხობდა. რადგან ხე-

ლები ხელბორკილით ზურგსუკან ჰქონდა შეკრული, წინ უხერხულად გადახრილიყო და უაზრო ფრაზებს ბურტყუნებდა: — ჩემი ძმა, სტიუარტი მკვდარია. ვინმეს რამე დავუშავე?

— ამ გოგონებიდან რომელიმეს იცნობდით? — ჰკითხა ბოქსერბაუმმა, — მედღას იცნობდით?

— დედაჩემია მედღა, — ჩაიბურტყუნა მილიგანმა.

— მითხარით, მსხვერპლის საძებნელად ოჰაიოს უნივერსიტეტის კამპუსში რა გინდოდათ?

— გერმანელები მიპოვიან და გამისწორდებიან.

— მოდი, მომხდარზე ვილაპარაკოთ, ბილ. მედღის გრძელმა, შავმა თმამ მიგიზიდათ?

მილიგანმა შეხედა.

— რა უცნაური ხართ.

მერე ისევ შეხედა და თქვა: — ჩემი და რომ გაიგებს, შევძულდები.

ბოქსერბაუმმა ფარ-ხმალი დაყარა.

პოლიციის ცენტრალურ სამმართველოში მივიდნენ და ტყვე საპროცედუროში, მესამე სართულზე, უკანა შესასვლელიდან აიყვანეს. ბოქსერბაუმი და კლებერგი მეორე ოთახში გავიდნენ, რომ ნიკი მილერს ჩხრეკის ორდერისათვის ცნობის მომზადებაში დახმარებოდნენ. თორმეტის ნახევარზე ოფიცერმა ბესელმა მილიგანს ისევ გააცნო თავისი უფლებები და ჰკითხა, მოაწერდა თუ არა ხელს დოკუმენტს უფლებებზე უარის თქმის შესახებ. მილიგანი უაზროდ იყურებოდა. ნიკი მილერმა გაიგო, როგორ ამბობდა ბესელი: „მისმინეთ, ბილი, თქვენ სამი ქალი გააუპატიურეთ. გვინდა დეტალები ვიცოდეთ“.

— მართლა ასე ვქენი? — იკითხა მილიგანმა, — ვინმეს რამე დავუშავე? თუ დავუშავე, ვწუხვარ.

ამის შემდეგ მილიგანი მუხჯივით იჯდა. ბესელმა ანაბეჭდების ასაღებად და ფოტოების გადასაღებად მეოთხე სართულზე აიყვანა. რომ შევიდნენ, უნიფორმიანმა პოლიციელმა ქალმა ახედათ. ბესელი მილიგანის ხელს სწვდა, რომ მისთვის ანაბეჭდები აელო, მაგრამ ტყვემ უეცრად უკან ისე დაიხია, თითქოს მისი შეხებისა ეშინოდა და თავდასაცავად პოლიციელ ქალს ამოეფარა.

— რაღაცის ეშინია, — თქვა ქალმა. გაფითრებულ, აკანკალებულ ახალგაზრდას მიუბრუნდა და ისე ნაზად დაელაპარაკა, თითქოს ბავშვს მიმართავდა.

— შენი ანაბეჭდები უნდა ავიღოთ. ხვდები რას გეუბნები?

— არ მინდა მომეკაროს!

— კარგი, მაშინ მე ვიზამ, ხომ? — უთხრა ქალმა.

მილიგანმა თავი დაუქნია და ანაბეჭდების აღების ნება დართო. ანაბეჭდების აღებისა და ფოტოების გადაღების შემდეგ ოფიცერმა მოსაცდელ საკანში გაგზავნა.

ჩხრეკის ორდერის შევსება რომ დაასრულა, ნიკი მილერმა მოსამართლე უესტს დაურეკა. უესტმა მისი დასაბუთება მოისმინა, საქმის გადაუდებლობის გათვალისწინებით შინ დაიბარა და იმ ღამით, ორის ოც წუთზე ორდერებს ხელი მოაწერა. მილერი მანქანით ისევ ჩანინგუეის საცხოვრებელ კომპლექსში დაბრუნდა. ნისლი გზაზე ამასობაში კიდევ უფრო შესქელებულიყო. მილერმა ტელეფონით დანაშაულის ადგილის ჩხრეკის მობილური ჯგუფი გამოიძახა. სამის თხუთმეტ წუთზე, ბინაში რომ მივიდნენ, ორდერები წარუდგინა და ჩხრეკა ჩაატარეს. ექვმიტანილის ბინიდან წამოღებული ნივთები: სარკიანი კომოდი — 343 დოლარი ნაღდი ფული, მზის სათვალე, ხელბორკილები და გასაღები, საფულე, პირადობის მოწმობა უილიამ სიმსისა და უილიამ მილიგანის სახელზე, სავაჭრო ჩეკი დონა უესტის სახელზე. კარადა — ბანკის კლიენტის მოწმობა დონა უესტისა და კერი დრაიერის სა-

ხელზე, დონა უესტის სამედიცინო ბარათი, პოლი ნიუტონის ფოტო, 25-კალიბრიანი ავტომატური პისტოლეტი ხუთი სავსე ვაზნით.

ტუალეტის მაგიდა – 31/2/11 ზომის ქალაღის ფურცელი ზედ მიწერილი პოლი ნიუტონის მისამართით. მისი ტელეფონების წიგნიდან ამოხეული ფურცელი. საწოლის თავი – ზამბარიანი დანა, ფხვნილით სავსე ორი პაკეტი. კომოდი – მილიგანის სახელზე გამოგზავნილი სატელეფონი ქვითარი, „სმიტ-ვესონის“ ფირმის ბუდე. წითელი სკამის ქვეშ – 9-მილიმეტრიანი „სმიტ-ვესონი“ მჭიდითა და ექვსი ვაზნით. ყავისფერი სკამის ქვეშ – მჭიდი თხუთმეტი ვაზნით და ცელოფნის პარკში გახვეული კიდევ თხუთმეტი ვაზნა. პოლიციის ცენტრალურ ოფისში დაბრუნებულმა ნიკი მილერმა ნივთმტკიცება სასამართლოს კლერკს გადასცა, ნოტარიულად დაამოწმებინა და შემნახველ კამერას მიაბარა. „სასამართლოში წარსადგენად საკმარისია“, – თქვა მან. მილიგანი ერთი ციციქნა საკნის კუთხეში მოკრუნჩხულიყო, ერთიანად ცახცახებდა. უეცრად ხრიალის მსგავსი ხმა ამოუშვა და გული წაუვიდა. წუთის შემდეგ თვალები გაახილა და გაოგნებულმა კედლებს, ტუალეტს, საწოლს დაუწყო თვალიერება. „ჯანდაბა, არა!“ – იყვირა მან, – „ოღონდ ისევ ეს არა!“ იატაკზე დაჯდა და სივრცეს უაზრო სახით მიაშტერდა. მერე კუთხეში ტარაკნები დაინახა და გამომეტყველება შეეცვალა. ფეხებგადაჯვარედინებული ახლოს მიუხობდა და ნიკაპი ხელებს ჩამოაყრდნო. აკვირდებოდა, როგორ დარბოდნენ წრებე და ბავშვივით იღიმებოდა.

რამდენიმე საათში გადასაყვანად რომ მოაკითხეს, მილიგანს ეღვიძა. ტუსაღების რიგში ხელბორკილით ზორბა შავკანიანს მიაბეს. პატიმრები კორიდორიდან კიბით ქვევით ჩაიყვანეს და უკანა კარიდან მანქანების სადგომთან გაიყვანეს. იქ ფრანკლინის საოლქო ციხის ფურგონში ჩასვეს. მანქანა ქალაქის შუაგულში მდებარე კოლამბუსის სავაჭრო ცენტრს მიუახლოვდა, სადაც ფუტურისტული ციხე-სიმაგრე იდგა. ბეტონის მასიური და ყრუ კედლები ოდნავ შიგნით იზნიქებოდა და ორი სართულის სიმაღლეზე იყო აღმართული. მეორე სართულს თანამედროვე საოფისე ოთახების მსგავსი ფართი ჰქონდა დაშენებული. ფრანკლინის ოლქის ციხის შიდა ეზოს ბენჯამინ ფრანკლინის ქანდაკება განაგებდა. ფურგონმა ციხის უკან გამავალ ვიწრო ქუჩაზე შეუხვია და გარაჟის რელიეფურ ფოლადის კარს მიადგა. ამ კუთხიდან თუ შეხედავდი, ციხეს გვერდით მდგარი, უფრო მაღალი შენობის — ფრანკლინის ოლქის სასამართლოს ჩრდილი ეცემოდა. ფოლადის კარი ღრჭიალით ასწიეს მაღლა. ფურგონი შიგნით შევიდა და მის უკან კარი ისევ დაეშვა. ხელდაბორკილი პატიმრები ფურგონიდან ციხისკენ მიმავალ ვიწრო გასასვლელში — ფოლადის ორ ასაწევ კარს შორის მდებარე სივრცეში გაიყვანეს. ყველა, ერთის გარდა. მილიგანს ხელები ხელბორკილებიდან გამოეძვრინა და ისევ ფურგონში იყო. „გამოეთრეე მაქედან, მილიგან!“ — დაუყვირა ოფიცერმა, — „გამო, შე ძუკნის გაგდებულ ახვარო. როგორ გგონია, სად მოხვედი?“

შავკანიანმა, რომელზეც მილიგანი იყო მიბმული, თქვა: „მე არაფერი მიქნია. ღმერთს ვფიცავ, ეგრევე აიღო და მოიძრო“. ციხის კარი სისინით გაიღო და ექვსი ტუსაღი გარე კარსა და გისო-

სებით აჭედელ სივრცეს შორის გასასვლელში შეაგდეს. გისოსე-ბიდან საკონტროლო ცენტრი ჩანდა — ტელევიზორის ეკრანები, კომპიუტერები და მრავალი ოფიცერი — კაცებს რუხი შარვლები და შავი პერანგები ეცვათ, ქალებს — რუხი ქვედაკაბები და შავი პერანგები. როცა გარეთა კარი მათ ზურგსუკან დაიხურა, გისოსეიანი შიდა ჭიშკარი გაიღო და ტუსალები შიგნით შეიყვანეს. დერეფანი შავპერანგიანი, აქეთ-იქით მოსიარულე ხალხით და კომპიუტერის კლავიატურის კაკუნით იყო სავსე. შესასვლელში მილიგანს ქალმა ოფიცერმა ქალაქის კონვერტი გაუწოდა.

— ძვირფასეულობა, — თქვა მან, — ბეჭდები, საათები, სამკაული, საფულე.

როცა მილიგანმა ჯიბეები დაიცარიელა, ქალმა მისი ქურთუკი აიღო და სანამ შემნახველი კამერის მორიგე ოფიცერს გადასცემდა, სარჩული ხელით მოუსინჯა. ამის შემდეგ მილიგანი ახალგაზრდა ოფიცერმა კიდევ ერთხელ და უფრო დაკვირვებით გაჩხრიკა და დანარჩენ პატიმრებთან ერთად მოსაცდელ კამერაში შეიყვანა, სადაც რეგისტრაციას ელოდებოდნენ. პატარა კვადრატული ფანჯრიდან თვალები იცქირებოდა. მილიგანს შავკანიანმა მუჯლუგუნი გაჰკრა და უთხრა:

— შენ მაგარი ვინმე ჩანხარ. ბორკილები ხო მოიძრე. ეხა ბარემ აქედანაც გაგვიყვანე.

მილიგანმა უაზროდ შეხედა.

— პოლიციას ნუ გადაიკიდებ, — უთხრა შავკანიანმა. — გაგხევენ ცემაში. ეგრეა. აქ ბევრჯერ ვარ ნამყოფი. ნაჯდომი ხარ?

მილიგანმა თავი დაუქნია.

— მაგიტომაც არ მომწონს. მაგიტო მინდა გასვლა.

ციხიდან ერთ კვარტალში მდებარე სახალხო დამცველის ოფისში ტელეფონმა რომ დარეკა, გერი შვეიკარტი — ოცდაცამეტი წლის მაღალი, წვერებიანი ადვოკატი ჩიბუხს უკიდებდა. რონ რედმონდი რეკავდა, საშტატო ადვოკატი.

— საქალაქო სასამართლოში რაღაც გავიგე, — უთხრა რედმონდმა, — გუშინ ღამით პოლიციამ კამპუსის მოძალადე აიყვანა და ახლახან ფრანკლინის საოლქო ციხეში გადაუყვანიათ. საპროცესო შეთანხმების თანხა ნახევარი მილიონია. ვინმე უნდა გაუშვათ სასწრაფო პირველადი კონსულტაციისთვის.

— ამწუთას აქ სხვა არავინ მყავს, რონ. მარტო ვმორიგეობ.

— ხმა უკვე დაირხა და იქაურობას მალე „სიტიზენ-ჯორნელის“ და „დისპეჩის“ რეპორტიორები მოედებიან. გული მიგრძნობს, პოლიცია ბიჭს მაგრად მიაწვება.

სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, როცა პოლიცია, როგორც წესი, გამოძიებას დაკავების შემდეგაც აგრძელებდა, გერი შვეიკარტი ალაღბედზე ირჩევდა ხოლმე რიგით ადვოკატს საოლქო ციხეში გასაგზავნად. მაგრამ ეს რიგითი დაკავების ამბავი როდი იყო. კამპუსის მოძალადის მიმართ მედიის დიდი ინტერესი ამ საქმის გახსნას კოლამბუსის პოლიციის დეპარტამენტის დიდ წარმატებად აქცევდა და შვეიკარტმა ივარაუდა, რომ პატიმარს მანამ მიაწვებოდნენ, სანამ აღიარებით ჩვენებას არ დაწერდა. მისი უფლებების დასაცავად დიდი ძალისხმევა დასჭირდებოდათ. შვეიკარტმა გადაწყვიტა, საოლქო ციხეში გაეგლო. იმ ვაცს ერთ-ორ სიტყვას ეტყოდა, თავს წარუდგენდა, როგორც სახალხო დამცველი და გაათრთხილებდა, ადვოკატის გარდა არავის დალაპარაკებოდა. შვეიკარტი საოლქო ციხე-

ში იმ დროს შეუშვეს, როცა ორ პოლიციელს მილიგანი სასეირნო ბილიკისკენ მიჰყავდა მორიგე ოფიცრისთვის გადასაცემად. შვეიკარტმა ოფიცერს სთხოვა, პატიმართან ცოტა ხნით გასაუბრების საშუალება მიეცა.

— რაზეც მეუბნებიან რომ ჩავიდინე, არაფერი არ მახსოვს, — სლუკუნებდა მილიგანი, — არ მახსოვს. მოვიდნენ და...

— მომისმინეთ, მე მხოლოდ თქვენთვის თავის წარდგენა მინდოდა, — უთხრა შვეიკარტმა, — ხალხით სავსე დერეფანი საქმის დეტალებზე სასაუბრო ადგილი არ არის. პირადად ერთ-ორ დღე-ში ვისაუბრებთ.

— მაგრამ მე ხომ არ მახსოვს. იმათ ეს რაღაცები ჩემს ბინაში იპოვეს და...

— ეი, ნუ ყვებით! აქ კედლებსაც ყურები აქვთ. გევით რომ აგიყვანენ, ფრთხილად იყავით. პოლიციამ ბევრი ხრიკი იცის. არავის დაელაპარაკოთ. არც სხვა პატიმრებს. შეიძლება ვინმე შემოგზავნილი იყოს. ყოველთვის არიან ისეთები, ყურები რომ აქვთ დაცქვეტილი, იქნებ რამე ისეთს ჩააფლონ, მერე ვინმეს რომ მიყიდონ. თუ გინდათ, პროცესმა სამართლიანად ჩაიაროს, ენას კბილი დააჭირეთ.

მილიგანი თავის კანტურსა და ლოყების სრესას აგრძელებდა და ისევ საქმის დეტალებზე ლაპარაკს ცდილობდა. მერე ამოილულლულა:

— უთხარით, რომ არ ვარ დამნაშავე. მე მგონი გიჟი ვარ.

— ვნახოთ, — უთხრა შვეიკარტმა, — ოღონდ მაგაზე აქ ნუ ვილაპარაკებთ.

— ქალი იურისტი არის ჩემ საქმეს რომ მოკიდოს ხელი?

— კი, გვყავს ქალი იურისტი. ვნახავ, რას მოვახერხებ.

ოფიცერმა მილიგანი ტანსაცმლის გამოსაცვლელად და ლურჯი სპორტული უნიფორმის ჩასაცმელად რომ წაიყვანა,

შვეიკარტმა თვალი გააყოლა. ძნელი იქნებოდა ამ ბიჭთან მუშაობა. ცარიელი ნერვები ჩანდა. დანაშაულს პირდაპირ როდი უარყოფდა. მხოლოდ იმას იმეორებდა, რომ არ ახსოვდა. ეს უჩვეულო იყო. მაგრამ კამპუსის მოძალადე და შეურაცხადი? შვეიკარტს წარმოედგინა, გაზეთებს რა დღე გაუთენდებოდათ.

ფრანკლინის საოლქო ციხიდან რომ გავიდა, „კოლამბუს დისპეჩი“ იყიდა და პირველ გვერდზე სათაური დაინახა:

„პოლიციამ კამპუსის ტერიტორიაზე მომხდარ გაუპატიურებებში ეჭვმიტანილი დააპატიმრა“.

რეპორტაჟში ეწერა, რომ ერთ-ერთ მსხვერპლს, ოცდაექვსი წლის კურსდამთავრებულს, რომელიც ორი კვირის წინ გააუპატიურეს, პოლიციაში ეჭვმიტანილის ამოცნობა სთხოვეს. სტატიის თავზე ფოტოსურათი იყო, რომელსაც „მილიგანი“ ეწერა.

სახალხო დამცველის ოფისში დაბრუნებულმა შვეიკარტმა სხვა ადგილობრივ გაზეთებში დარეკა და სთხოვა, ფოტო არ გამოექვეყნებინათ, რადგან ამას შეიძლებოდა ორშაბათს ამოცნობის პროცესი მიკერძოებულად წარემართა. მათ უარი უთხრეს, რადგან სურათი მოვიპოვეთ, გამოქვეყნების უფლებაც გვაქვსო. შვეიკარტმა წვერი ჩიბუხის ტარით მოიფხანა და მერე დააპირა ცოლისთვის დაერეკა, რომ ეთქვა, სადილზე დამაგვიანდებაო.

— ეი, — გაისმა ხმა მისი ოფისის კარიდან, — სკაში ცხვირის შეყოფის მომენტში გამოჭერილ დათვის გავხარ.

აიხედა და ჯუდი სტივენსონის მოლიმარი სახე დაინახა.

— ჰო, არა? — წაიბურღლუნა მან, ყურმილი დაკიდა და საპასუხოდ გაუღიმა, — აბა გამოიცანი, შენს თავს ვინ გვთხოვს?

ჯუდიმ წაბლისფერი თმა სახიდან უკან გადაიყარა და მარცხენა ყვრიმალზე ხალი გამოუჩნდა. მისი ყავისფერი თვალები შეკითხვას გამოხატავდნენ.

შვეიცარტმა გაზეთი მიუჩონა, სტატიასა და სათაურზე მიუთითა და პატარა ოფისი ბოხი სიცილით გააყრუა.

— ამოცნობის პროცედურა ორშაბათს დილით უნდა ჩატარდეს. მილიგანმა ქალი-ადვოკატი ითხოვა. კამპუსის მოძალადე შენია.

ჯუდი სტივენსონი პოლიციაში 31 ოქტომბერს, ორშაბათს, დილის ათის თხუთმეტ წუთზე მივიდა და როცა მილიგანი მოსაუბრედელ საკანში მოიყვანეს, ნახა, როგორი შეშინებული და სასოწარკვეთილი ჩანდა.

— სახალხო დამცველის ოფისიდან ვარ, — უთხრა მან, — გერი შვეიკარტმა მითხრა, რომ ქალი-ადვოკატი გინდოდათ, ასე რომ, ის და მე ერთად ვიმუშავებთ. ახლა კი დამშვიდდით. ისე გამოიყურებით, თითქოს სადაცაა ნერვები გიმტყუნებთ.

მან დაკეცილი ქალაღდი გაუწოდა.

— წინასწარი დაკავების ოფიცერმა პარასკევს ეს მომიტანა.

ჯუდიმ გაშალა ფურცელი და ნახა, რომ ეს ზრდასრულთა წინასწარი დაკავების ჩინოსნის მიერ გამოწერილი „დაკავების ორდერი“ იყო. მილიგანი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ჰყოლოდათ და უნდა შეეტყობინებინათ, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის წინასწარი მოსმენა პირობითი გათავისუფლების პერიოდში ფრანკლინის საოლქო ციხეში ჩატარდებოდა. რადგანაც პოლიციამ დაკავებისას მის სახლში იარაღი აღმოაჩინა, ჯუდი მიხვდა, რომ მისი პირობითი გათავისუფლება შეეძლოთ გაეუქმებინათ და დაუყოვნებლივ ცინცინატის მახლობლად მდებარე ლიბანის ციხეში გაეგზავნათ, რათა სასამართლოს იქ დალოდებოდა.

— მოსმენა ამ ოთხშაბათიდან სულ ერთ კვირაშია. ვეცდებით, აქ გაგაჩეროთ. სჯობს კოლამბუსში იყოთ, აქ თქვენთან შეხვედრა შეგვიძლია.

— არ მინდა ლიბანში დაბრუნება.

— კარგი, დაწყნარდით.

– არაფერი არ მახსოვს რომ გამეკეთებინოს, რაზეც მეუბნებიან გააკეთეო.

– კონსულტაცია მერე გვექნება, მოგვიანებით. ახლა, უბრალოდ, აი იმ პლატფორმაზე უნდა ახვიდეთ და დადგეთ. ხომ შეძლებთ?

– მგონი ჰო.

– თმა გადაიწიეთ სახიდან, რომ კარგად დაგინახონ.

პოლიციის ოფიცერმა საფეხურებზე აიყვანა, დანარჩენებთან ერთად, მწკრივში რომ ჩამდგარიყო. ნომერი „ორი“ ერგო.

მწკრივში ამოსაცნობად ოთხი ადამიანი იდგა. დონა უესტს, მედდას, რომელმაც მისი ფოტო ამოიწყო, უთხრეს, რომ მისი დახმარება აღარ სჭირდებოდათ და ისიც საქმროსთან ერთად კლივლენდში დაბრუნდა. სინტია მენდოსამ, კროგერის მაღაზიის კლერკმა, რომელმაც ერთ-ერთი ჩეკი გაანაღდა, მილიგანის იდენტიფიცირება ვერ შეძლო. მის ნაცვლად ნომერ „სამზე“ მიუთითა. ქალმა, რომელიც აგვისტოში, სულ სხვა ვითარებაში გააუპატიურეს, თქვა, რომ ეს შესაძლოა, ნომერი „ორი“ ყოფილიყო, მაგრამ დარწმუნებული არ იყო. კერი დრაიერმა თქვა, რომ ულვაშის გარეშე დანამდვილებით უჭირდა თქმა, მაგრამ ნომერი „ორი“ ეცნობოდა. პოლი ნიუტონმა დაადასტურა მილიგანის ამოცნობა.

3 ნოემბერს მსაჯულთა დიდი კოლეგიის ვერდიქტის თანახმად, მილიგანი ბრალეულად ცნეს სამი გატაცების, დამამძიმებელ გარემოებებში სამი ყაჩაღობისა და ოთხი გაუპატიურების საქმეში. თითოეული სისხლის სამართლის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს წარმოადგენდა და ყოველი ფაქტისათვის ბრალდებულს 4-დან 25 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა. პროკურატურა ბრალმდებელთა დანიშვნაში იშვიათად იღებდა მონაწილეობას, თვით მკვლელობის შემთხვევებშიც კი. მძიმე დანაშა-

ულთა განყოფილების უფროსი 2-3 კვირით ადრე შემთხვევითი შერჩევის მეთოდით დანიშნავდა ხოლმე ერთ-ერთ უფროს პროკურორს. მაგრამ საოლქო პროკურორმა, ჯორჯ სმიტმა, ორი საუკეთესო ბრალმდებელი დაიბარა და უთხრა, რომ კამპუსის მოძალადის ამბის გახმაურებამ ფართო საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამიტომ სურდა, საქმის სადავეები მტკიცე ხელისთვის მიენდო.

33 წლის შავ, ხუჭუჭთმიან და გაწკეპილულვაშიან ტერი შერმანს სქესობრივი მოძალადეების წინააღმდეგ დაუნდობელი მებრძოლის რეპუტაცია ჰქონდა და თავი იმით მოჰქონდა, რომ სასამართლოზე გაუპატიურების საქმე არც ერთხელ არ წაეგო. საქაღალდეს რომ გადახედა, გაეცინა.

— დამთავრებული საქმეა. ორდერები საფუძვლიანი იყო. ტიპი ჯიბეში გვიზის. სახალხო დამცველებს ხელში არაფერი უჭირავთ.

ბერნარდ ზალიგ იავიჩმა, პროკურატურის 35 წლის წევრმა იურიდიული ფაკულტეტი ჯუდი სტივენსონსა და გერი შვეიკარტზე ორი წლით ადრე დაამთავრა და ორივეს კარგად იცნობდა. გერი მასთან კლერკად იყო ნამუშევარი. სანამ პროკურატურაში მივიდოდა, იავიჩი ოთხი წელი სახალხო დამცველად მუშაობდა. ისიც დაეთანხმა შერმანს, რომ ამ საქმის მოგება არ გაუჭირდებოდათ.

— არ გაგვიჭირდებაო? — თქვა შერმანმა, — მთელი სამხილები, თითის ანაბეჭდები, იდენტიფიკაცია — ყველაფერი ჩვენს მხარეზეა. გეუბნებით, იმათ ხელში არაფერი არ აქვთ.

რამდენიმე დღის შემდეგ შერმანი ჯუდის ესაუბრა და გააფრთხილა:

— მილიგანის საქმეში განაჩენის შემსუბუქების შანსი არ იქნება. ის ყმაწვილი ჩვენია და ბრალის ცნობასაც ვეცდებით და მაქსიმალური ვადის მისჯასაც. უშანსოდ ხართ.

მაგრამ ბერნი იავიჩი ჩაფიქრებული იყო. როგორც ყოფილმა სახალხო დამცველმა, კარგად იცოდა, ჯუდისა და გერის ადგილას რასაც იზამდა.

— ერთი რამ დარჩენიათ — ფსიქიკურად დაავადებულად სცნონ.

შერმანს გაეცინა.

მეორე დღეს უილიამ მილიგანმა საკნის კედელზე თავის მირტყმით თვითმკვლელობა სცადა.

— ეგ ბიჭი სასამართლომდე ვერ იცოცხლებს, — უთხრა გერი შვეიკარტმა ჯუდი სტივენსონს, ეს ამბავი რომ გაიგო.

— არა მგონია სასამართლოზე წარსადგენად ქმედუნარიანი იყოს, — უპასუხა ჯუდიმ, — ვფიქრობ, მოსამართლეს უნდა ვუთხრათ, რომ ის უძღურია, სასამართლოს წინაშე თავი დაიცვას.

— ფსიქიატრს გინდა შეამოწმებინო?

— უნდა შევამოწმებინოთ.

— ღმერთო ჩემო, — თქვა გერიმ, — უკვე წარმომიდგენია გაზეთების სათაურები.

— ეშმაკსაც წაუღია გაზეთები. ბიჭს რაღაც სჭირს. არ ვიცი რა, მაგრამ შენც ხომ ნახე, სხვადასხვა დროს როგორი სხვადასხვანაირია. რომ მეუბნება, არ მახსოვს ვინმეს გაუპატიურებაო, მჯერა. უნდა გავსინჯოთ.

— მერე მაგას ვინ აანაზღაურებს?

— ამისათვის თანხა გვაქვს გამოყოფილი.

— კი, როგორ არა, მილიონები.

— ო, კარგი რა. ფსიქოლოგმა რომ შეამოწმოს, იმდენი ფული კი გვაქვს.

— ეგ მოსამართლეს უთხარი, — ჩაიბუზღუნა გერიმ.

როცა სასამართლო მოსმენის გადადებაზე დათანხმდა, რათა უილიამ მილიგანი ფსიქოლოგს შეემოწმებინა, გერი შვეიკარტმა

ყურადღება პირობითი გათავისუფლების კომისიის მიერ ოთხშაბათს, დილის ცხრის ნახევარზე დანიშნულ საქმის წინასწარ მოსმენას მიაქცია.

— ისევ ლიბანის ციხეში გამგზავნიან, — თქვა მილიგანმა.

— ჩვენ თუ ჩავერევით, ვერსადაც ვერ გაგაგზავნიან, — უთხრა გერიმ.

— ჩემს ბინაში იარაღი იპოვეს. „მომაკვდინებელი ან ცეცხლსასროლი იარაღის შექმნის, ფლობის, გამოყენების თუ კონტროლქვეშ ქონის“ უფლება არ მქონდა. ეს ჩემი გათავისუფლების ერთ-ერთი პირობა იყო.

— შეიძლება, — თქვა გერიმ, — მაგრამ შენს დაცვას თუ ვაპირებთ, აქ, კოლამბუსში უნდა იყო, რომ შენთან თანამშრომლობა შევძლოთ. ლიბანის ციხე შორს არის.

— რას იზამთ?

— ეგ მე მომანდე.

გერიმ მილიგანს ღიმილი და თვალების ისეთი აღგზნებული გამომეტყველება შეამჩნია, ადრე რომ არასოდეს ენახა. ლაღი და უდარდელი ჩანდა, თითქმის მხიარული. ეს ის ნერვების გროვა როდი იყო, პირველ დღეს რომ შეხვდა. მისი დაცვა შეიძლება გაცილებით უფრო მარტივი გამომდგარიყო, ვიდრე ეგონა.

— ეგრე, ეგრე, — უთხრა გერიმ, — მშვიდად იყავი.

მან მილიგანი საკონფერენციო დარბაზში შეიყვანა, სადაც პირობითი გათავისუფლების ორგანოს წარმომადგენლები ერთმანეთს უკვე მილიგანის პირადი ოფიცრის ანგარიშის ასლებსა და სერჟანტ დემპსის ჩვენების ტექსტს აწვდიდნენ, რომლის თანახმადაც მილიგანის დაკავებისას მან 9-მილიმეტრიანი „სმიტ-ვესონი“ და 25-კალიბრიანი ნახევრადავტომატური იარაღი იპოვა, რომლის მჭიდშიც ხუთი ტყვია იდო.

— მითხარით, ბატონებო, — იკითხა შვეიკარტმა წვერზე თითების სმით, — ეს იარაღი გასროლით უკვე გამოსცადეს?

— არა, — მიუგო თავმჯდომარემ, — მაგრამ ნამდვილია, დატენილი.

— ბალისტიკური შემოწმება თუ არ გაუვლია, რა ვიცით, რომ ნამდვილია?

— საცდელი გასროლა მომდევნო კვირამდე არ იგეგმება.

გერიმ გაშლილი ხელი მაგიდას დაარტყა.

— დაჟინებით მოვითხოვ, რომ ვადამდელი გათავისუფლების საქმეს დღესვე გადახედოთ, ან ამის გაკეთება უკვე მოსმენის შემდეგ მოგიწევთ. არის კი ეს იარაღი? თუ სათამაშოა? ჩემთვის არ დაგიმტკიცებიათ, რომ იარაღია.

მან წვერებს სათითაოდ გადახედა.

თავმჯდომარემ თავი დაუქნია.

— ბატონებო, ვფიქრობ, არჩევანი არ გვაქვს. პირობითი გათავისუფლების გადაწყვეტილებას ვერ გადავხედავთ, სანამ არ დავადასტურებთ, რომ ეს მართლაც იარაღია.

მეორე დილას, თერთმეტის თხუთმეტ წუთზე მილიგანის პირობითი გათავისუფლების ოფიცერმა მოიტანა ცნობა, რომ პირობითი გათავისუფლების საქმის მოსმენა 1977 წლის 12 დეკემბერს, ლიბანის გამასწორებელ დაწესებულებაში შედგებოდა.

მილიგანის დასწრება სავალდებულო არ იყო.

ჯუდი მილიგანის სანახავად მივიდა. ჩხრეკის განყოფილების მიერ მის ბინაში ნაპოვნი სამხილის შესახებ უნდოდა საუბარი.

— თქვენ გგონიათ, რომ ეს მე გავაკეთე, არა?

ჯუდიმ მის თვალეში სასოწარკვეთა დაინახა.

— არა მგონია ამას მნიშვნელობა ჰქონდეს, ბილ. საქმე ნაპოვნი სამხილს ეხება. უნდა აგვიხსნა, რატომ გქონდა ეს ყველაფერი.

ჯუდიმ შეამჩნია, როგორ ჩაუქრა მილიგანს მზერა. ისევ გაუცხოვდა და თავის თავში ჩაიკეტა.

— მაგას არ აქვს მნიშვნელობა, აღარაფერს აღარა აქვს მნიშვნელობა, — თქვა მან.

მეორე დღეს ჯუდიმ საჯარო დაწესებულების ცალხაზიან ყვითელ ფურცელზე დაწერილი წერილი მიიღო.

ძვირფასო მის ჯუდი,

ამ წერილს იმიტომ გწერთ, რომ ზოგჯერ ვერ გამოვხატავ, რას ვგრძნობ და ყველაზე მეტად ის მინდა, რომ თქვენ გამიგოთ. პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რაც მე გამიკეთეთ. თქვენ კეთილი, საყვარელი ადამიანი ხართ და ყველაფერი იღონეთ, რაც შეგეძლოთ. ამაზე მეტი რა უნდა უნდოდეს კაცს.

ახლა შეგიძლიათ, დამშვიდებული სინდისით დამივიწყოთ. თქვენს ოფისს გადაეცით, რომ ადვოკატი არ მინდა. არ დამჭირდება. რადგან თქვენც გჯერათ, რომ დამნაშავე ვარ, ესე იგი, ასეა. უბრალოდ, მინდოდა ამაში დავრწმუნებულიყავი. მთელი ცხოვრება მართო იმას ვაკეთებდი, რომ ვინც მიყვარდა, იმათ ტკივილს ვაყენებდი. ცუდი ის არის, რომ ვერ ვჩერდები, იმიტომ, რომ არ შემიძლია. ციხეში გამოკეტვა უფრო უარეს დღეში ჩამაგდებს. წინაზეც ასე მოხდა. ფსიქიატრებმა არ იციან რა ქნან, იმიტომ რომ ვერ ხვდებიან, რა მჭირს. ახლა როგორმე უნდა შევჩერდე. ფარ-ხმალს ვყრი. უკვე აღარაფერი მანაღვლებს. უკანასკნელ რამეს გააკეთებთ ჩემთვის? დედას და ქეთის დაურეკეთ და უთხარით, აქ აღარ მოვიდნენ. აღარავის ნახვა აღარ მინდა და აქ მოსასვლელად ბენზინს ნულარ დახარჯავენ. ორივე მიყვარს და ვწუხვარ. ვიცი, რომ საუკეთესო იურისტი ხართ და ყოველთვის მემახსოვრება, როგორ კეთილად მექცეოდით.

მშვიდობით,

ბილი.

იმ საღამოს მორიგე სერჟანტმა შვეიკარტს შინ დაურეკა.

— თქვენმა კლიენტმა ისევ სცადა თვითმკვლელობა.

— ღმერთო! რა ქნა?

— არ დაიჯერებთ, მაგრამ მის წინააღმდეგ ოლქის საკუთრების დაზიანების მუხლით საქმე უნდა აღვძრათ. საკანში უნიტაზი დაამსხვრია და მაჯები ფაიფურის ბასრი ნატეხებით გადაისერა.

— ჯანდაბა!

— კიდევ რაღაც უნდა გითხრათ — თქვენს კლიენტს უცნაური რამ სჭირს, უნიტაზი მუშტით დაამტვრია.

შვეიცარტმა და სტივენსონმა ყურაც არ შეიბერტყეს იმაზე, რომ მილიგანი წერილში მათ დათხოვნას ითხოვდა და ციხეში ყოველდღე აკითხავდნენ. სახალხო დამცველის ოფისმა ფსიქოლოგიური შემოწმებისათვის თანხა გამოყო და 1978 წლის 8 და 13 იანვარს კლინიკურმა ფსიქოლოგმა, ექიმმა უილის დრისკოლმა ტესტირება ჩაატარა.

ინტელექტის ტესტმა აჩვენა, რომ მილიგანის 1ქ ნმ-ის ტოლი იყო, მაგრამ დრისკოლის თქმით, ქულა ასეთი დაბალი დეპრესიის გამო იყო.

ანგარიშმა მწვავე შიზოფრენიის დიაგნოზი აჩვენა.

„ის იდენტობის ძლიერ დანაკარგს განიცდის, მისი ეგოს საზღვრები უკიდურესად მყიდვია. შიზოფრენიისათვის დამახასიათებელი სივრცის აღქმის უნარის დაკარგვა აღენიშნება და გარესამყაროსაგან თვითდიფერენცირება თითქმის არ შეუძლია. ესმის ხმები, რომლებიც რაღაცის გაკეთებას უბრძანებენ და როცა არ ემორჩილება, უკვირიან და უყვირიან. მილიგანის თქმით, მას სჯერა, რომ ეს იმ ადამიანების ხმებია, რომლებიც მის დასატანჯად ჯოჯოხეთიდან მობრუნდნენ. ის იმ კარგ ადამიანებსაც ახსენებს, რომლებიც მის სხეულს პერიოდულად იპყრობენ ბოროტ ხალხთან საბრძოლველად. ჩემი აზრით, მისტერ მილიგანს ამჟამად არ შესწევს სასამართლოს წინაშე თავის დაცვის უნარი. მას არ ძალუძს რეალობასთან ადეკვატური კავშირის დამყარება და ირგვლივ განვითარებული მოვლენების ჯეროვნად აღქმა. სამომავლო გამოკვლევისა და მკურნალობის დანიშვნის მიზნით მის ჰოსპიტალიზაციას გირჩევთ“.

პირველი სასამართლო შეხლა-შემოხლა 19 იანვარს მოხდა, როცა სტივენსონმა და შვეიკარტმა ანგარიში მოსამართლე ჯეი ფლაუერსს წარუდგინეს, როგორც მოწმობა იმისა, რომ მათ კლიენტს საკუთარი ინტერესების დაცვის უნარი არ შესწევდა. ფლაუერსმა განაცხადა, რომ აპირებდა გაეცა განკარგულება, ბრალდებული კოლამბუსის საუთვესტის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრის სასამართლო ფსიქიატრიის ექსპერტს გაესინჯა. გერი და ჯუდი დელავდნენ, რადგან „საუთვესტი“, როგორც წესი, პროკურატურის მხარეს იჭერდა ხოლმე. გერი მოითხოვდა, რომ „საუთვესტის“ მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალური ყოფილიყო და მათი კლიენტის წინააღმდეგ არც ერთ შემთხვევაში არ გამოეყენებინათ. შერმანი და იავიჩი უარზე იყვნენ. სახალხო დამცველები დაიმუქრნენ, რომ მილიგანს გააფრთხილებდნენ, „საუთვესტი“ ფსიქიატრებსა და ფსიქოლოგებს არ დალაპარაკებოდა. მოსამართლე ფლაუერსმა ისინი ლამის სასამართლოსადმი დაუმორჩილებლობაში დაადანაშაულა. კომპრომისამდე მაშინ მივიდნენ, როცა ბრალდების მხარემ დაადასტურა, რომ მილიგანს მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰკითხავდნენ სასამართლოს მიერ დანიშნული ფსიქოლოგებისათვის გაზიარებული მამხილებელი ფაქტების შესახებ, თუკი ის თვითონ გამოვიდოდა ჩვენებით თავის დასაცავად. არაფერს ისევ ნაწილობრივი გამარჯვება სჯობდა. სახალხო დამცველებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს, გაერისკათ და „საუთვესტის“ სასამართლო ფსიქიატრიის განყოფილებისთვის უილიამ მილიგანის გემოაღწერილი პირობით გასინჯვის უფლება მიეცათ.

— ვარგი ცდა იყო, — უთხრა სიცილით შერმანმა სახალხო დამცველებს მოსამართლე ფლაუერსის კაბინეტიდან გამოსვლისას,

— მაგარი თავგანწირულები ჩანხართ, მაგრამ ეგ არ გიშველით. ისევ იმ აზრზე ვარ, ეს საქმე განწირულია.

მომავალში თვითმკვლელობის მცდელობების თავიდან ასაცილებლად შერიფის ოფისმა მილიგანი საავადმყოფო განყოფილებაში, ერთკაციან პალატაში გადაიყვანა, სადაც დამაწყნარებელი ხალათი ჩააცვეს. იმავე საღამოს, მოგვიანებით, პალატაში პაციენტის მდგომარეობის შესამოწმებლად რომ შეიხედა, ექიმმა რას ჰიღმა ისეთი რამ დაინახა, რომ თვალებს არ დაუჯერა. მან სერჟანტ უილისს უხმო, რომელიც ცვლაში სამიდან თერთმეტამდე მუშაობდა და გისოსებს მიღმა მილიგანზე მიუთითა. უილისმა გაოცებისგან პირი დააღო. მილიგანს ხალათი გაეხადა, თავქვეშ ამოედო და ღრმად ეძინა.

თავი მეორე

1

„საუთვესტში“ პირველი გასაუბრება 1978 წლის 31 იანვარს იყო დანიშნული. დოროთი ტერნერმა — ნაზმა, დედობრივი მანერებისა და მორცხვი, თითქმის შეშინებული გამომეტყველების მქონე ფსიქოლოგმა თავი მაშინ ასწია, როცა სერჟანტმა უილისმა მილიგანი ინტერვიუს ოთახში შეიყვანა. მის წინაშე ლურჯ სპორტულ კოსტიუმში ჩაცმული, დაახლოებით 1,80 მეტრის სიმაღლის სიმპატიური ახალგაზრდა კაცი იდგა. მსხვილი უღვაში და გრძელი ბაკენბარდები ჰქონდა, თვალეში ბავშვური შიში ედგა. დოროთის დანახვით გაოცებული ჩანდა, მაგრამ მის პირდაპირ მდგარ სავარძელში რომ ჩაჯდა, უკვე იღიმებოდა. ხელები კალთაზე დაეწყო.

— მისტერ მილიგან, — უთხრა მან, — მე დოროთი ტერნერი ვარ, საუთვესტის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრიდან. რამდენიმე შეკითხვა უნდა დაგისვათ. ამჟამად სად ცხოვრობთ?

მან მიმოიხედა.

— აქ.

— თქვენი სოციალური დაზღვევის ნომერი მითხარით.

მან შუბლი შეჭმუნა. პასუხზე დიდხანს ფიქრობდა და იატაკს, ყვითელი ბეტონის კედლებს, მაგიდაზე მდგარ თუნუქის ქილას ათვალიერებდა. ფრჩხილი მოიკვნითა და მის ქვეშ კანის დაკვირვებით თვალიერებას მოჰყვა.

— მისტერ მილიგან, — უთხრა დოროთიმ, — თუ გინდათ, დაგეხმაროთ, უნდა ითანამშრომლოთ ჩემთან. რომ გავიგო, რაშია

საქმე, ჩემს კითხვებს უნდა უპასუხოთ. აბა, მითხარით თქვენი სოციალური დაზღვევის ნომერი?

მან მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი.

დღორითიმ ჩანაწერს ჩახედა და ნომერი ამოიკითხა.

მან თავი გაიქნია.

— ეს ჩემი ნომერი არ არის. ალბათ ბილისია.

დღორითიმ გველნაკბენივით ახედა.

— კი მაგრამ, თქვენ ბილი არ ხართ?

— არა, — თქვა მან, — მე არა.

დღორითიმ წარბები შეკრა.

— მოიცადეთ, აბა ბილი თუ არ ხართ, მაშინ ვინა ხართ?

— დეივიდი ვარ.

— კი მაგრამ, ბილი სადღაა?

— სძინავს.

— სად სძინავს?

— აქ, — ხელი მკერდზე მიიღო, — აქ არის. სძინავს.

დღორითი ტერნერმა ამოიხვნეშა, თავი ხელში აიყვანა და მშვიდად წარმოთქვა:

— ბილის უნდა ველაპარაკო.

— არტური ნებას არ მოგცემთ. ბილის სძინავს, არტური არ გააღვიძებს, იმიტო რო, თუ გააღვიძა, ბილი თავს მოიკლავს.

დღორითი ახალგაზრდა კაცს კარგა ხანს აკვირდებოდა. არ იცოდა, როგორ გაეგრძელებინა. საუბრისას მისი ხმა და გამომეტყველება ბავშვური იყო.

— მოიცადეთ ერთი წუთით. ამიხსენით.

— არ შემიძლია. შემეშალა. არაფერი არ უნდა მეთქვა.

— რატომ?

— დანარჩენები მეჩხუბებიან.

მის ბავშვურ ხმაში პანიკა ჟღერდა.

— დეივიდი გქვია?

მან თავი დაუქნია.

— დანარჩენები ვინ არიან?

— ვერ გეტყვით.

დღორითი მაგიდაზე მსუბუქად დააკაკუნა.

— აბა, დეივიდ, თუ გინდა რომ დაგეხმარო, უნდა მომიყვე.

— ვერა, — თქვა მან, — ძალიან გაბრაზდებიან და აღარ გამო-
მიშვებენ.

— ვინმეს უნდა უთხრა, იმიტომ რომ ძალიან გეშინია, არა?

— ჰო, — მიუგო მან. თვალები ცრემლებით ავესო.

— უნდა მენდო, დეივიდ. უნდა გამაგებინო, რა ხდება, რომ და-
გეხმარო.

ამაზე დიდხანს და ღრმად ჩაფიქრდა და ბოლოს მხრები აიჩე-
ჩა.

— კაი, ერთი პირობით გეტყვით. უნდა დამპირდეთ, რო
საიდუმლოს დედამიწაზე არავის არ ეტყვით. სულ-სულ-სულ არა-
ვის.

— ჰო, გპირდები, — უთხრა მან.

— სულ არავის?

მან თავი დაუქნია.

— მითხარით, რომ მპირდებით.

— გპირდები.

— კარგი, გეტყვით. არაფერიც არ ვიცი. მარტო არტურმა იცის.
როგორც თქვით, მეშინია, იმიტომ რომ ძაან ხშირად არ ვიცი, რა
ხდება.

— რამდენი წლის ხარ, დეივიდ?

— რვის, მალე ცხრის გავხდები.

— და შენ რატომ მელაპარაკები?

— არც კი ვიცოდი, შუქზე მე რომ გამოვდიოდი. ციხეში ვილაც დაშავდა და მოვედი, რომ ტკივილი მე მიმეღო.

— შეგიძლია ამიხსნა, რას გულისხმობ?

— არტური ამბობს, რომ მე ის ვარ, ვინც ტკივილს იღებს. როცა ტკივილია, შუქზე მე გამოვდივარ და მე ვგრძნობ.

— ალბათ საშინელებაა, არა?

მან თავი დაუქნია და თვალებში ცრემლი აუკიაფდა.

— უსამართლობაა.

— „შუქი“ რა არის, დევიდ?

— არტური ეგრე ეძახის. აგვიხსნა, როგორ ხდება ეგ, როცა ერთ-ერთის გამოსვლის დროა. დიდი, თეთრი, მრგვალი შუქია. ყველა გარშემო დგას, უყურებენ ან თავიანთ ლოგინებში სძინავთ. ვინც შუქს დააბიჯებს, გარეთ გამოდის. არტური ამბობს, „ვინც შუქზე გამოდის, ცნობიერებას ის მართავს“.

— სხვები ვინ არიან?

— ბევრნი არიან, ყველას არ ვიცნობ. ზოგს ვიცნობ, მაგრამ ყველას არა. აუ! — აღმოხდა უცებ.

— რა მოხდა?

— არტურის სახელი გითხარით. ახლა ნამდვილად მომხვდება საიდუმლოს გამხელისათვის.

— არა უშავს, დევიდ, ხომ გითხარი, არავის ვეტყვი-მეთქი.

სკამზე მოიკუნტა.

— ველარ დაგელაპარაკებით, მეშინია.

— კარგი, დევიდ, დღეს გვეყოფა, მაგრამ ხვალ ისევ მოვალ და დაგელაპარაკები.

ფრანკლინის საოლქო ციხიდან გამოსული დოროთი შეჩერდა და ცივი ქარისგან თავდასაცავად ქურთუკი მჭიდროდ შემოიხვია. აქ ახალგაზრდა დამნაშავესთან შესახვედრად მოვიდა, რომე-

ლიც სასჯელის თავიდან ასაცილებლად, სავარაუდოდ, თავს იგი-
ჟიანებდა, მაგრამ ასეთ რამეს ნამდვილად არ ელოდა.

მეორე დღეს პაციენტი ინტერვიუს ოთახში რომ შევიდა, დო-
 როთი ტერნერმა მის გამომეტყველებაში ცვლილება შენიშნა. მი-
 ლიგანმა მზერა აარიდა, სკამზე ფეხმორთხმით დაჯდა და ფეხ-
 საცმელების წვალეხას მოჰყვა. დოროთიმ ჰკითხა, თავს როგორ
 გრძნობო. მას ერთხანს ხმა არ ამოუდია. აქეთ-იქით იყურებოდა
 და თითქოს ვერ სცნობდა. მერე თავი გაიქნია და კოკნისაქცენ-
 ტიანი ბიჭის ხმით დაილაპარაკა.

— რა ხმაურია. რა იყო... ვერ გავიგე რა ხდება.

— რა უცნაურად ლაპარაკობ, დევიდ. ეს რა აქცენტია?
 მან ეშმაკურად ახედა.

— დევიდი არა უარ. ქრისტოფერი უარ.

— კი მაგრამ, დევიდი სად არის?

— დევიდი ცუდათ იქცეოდა.

— რას გულისხმობ?

— სხვები მაგრა გაბრაზდენ, იმიტო, რო ის თქვა.

— შეგიძლია ამიხსნა?

— არ შემიღია. არ მინდა დევიდივით შარში ვიყო.

— რატომ არის შარში?

— იმიტო, რო ის რაღაცა თქვა.

— რა თქვა?

— იცით, რაც. საიდუმლო გააბაზრა.

— მაშინ შენს თავზე მითხარი რამე, ქრისტოფერ. რამდენი
 წლის ხარ?

— ცამეტის.

— რას აკეთებ?

– ცოტა დასარტყამებზე უკრავ. მარა ჰარმონიკაზე უფრო მაგ-
რათ გამომდის.

– სადაური ხარ?

– ინგლისელი.

– და-ძმა გყავს?

– მარტო ქრისტინი. სამი წლის არის.

დღორთი ყურადღებით აკვირდებოდა მკვეთრ „კოკნიზე“ მო-
საუბრის სახეს. გულლია, გულწრფელი, ბედნიერი იყო. როგორ
განსხვავდებოდა იმ პიროვნებისგან, წინა დღეს რომ ესაუბრა.
როგორც ჩანდა, მილიგანი საოცრად კარგი მსახიობი იყო.

4 თებერვალს, მესამე შეხვედრისას დღორთი ტერნერმა შეამჩნია, რომ ინტერვიუს ოთახში შესული ახალგაზრდა კაცის მანერები განსხვავდებოდა მის მიერ ნანახი წინა ორისაგან. სკამზე დაუდევრად გადაწოლილიყო და ქედმაღლურად უყურებდა.

— აბა, დღეს როგორ ხარ? — ჰკითხა დღორთიმ. პასუხს ლამის შიშით ელოდა.

მან მხრები აიჩეჩა.

— არა მიშავს.

— დევიდი და ქრისტოფერი როგორ არიან?

მან წარბები შეკრა და მიაშტერდა.

— ე, ქალბატონო, გიცნობთ?

— შენს დასახმარებლად მოვედი. უნდა განვიხილოთ, შენს თავს რა ხდება.

— ჯანდაბა. არ ვიცი რა ხდება.

— გუშინწინ რომ მელაპარაკე, არ გახსოვს?

— არა, დასწყევლოს ეშმაკმა. ცხოვრებაში პირველად გხედავთ.

— თქვენს სახელს ხომ ვერ მეტყვით?

— ტომი.

— ტომი... ვინ?

— ტომი, რა.

— რა ასაკის ხართ?

— თექვსმეტის.

— თქვენს შესახებ რამეს ხომ ვერ მეტყვით?

— ქალბატონო, უცხოებს არ ველაპარაკები და თავი დამანებეთ, რა.

მომდევნო თხუთმეტი წუთის განმავლობაში დოროთი მის საუბარში აყოლიებას ცდილობდა, მაგრამ ტომი ჯიუტად დუმდა. ფრანკლინის საოლქო ციხიდან გამოსული დოროთი ტერნერი ცოტა ხნით ფრონტ-სტრიტზე შეჩერდა. გაოგნებული იდგა და ქრისტოფერისა და დეივიდისთვის მიცემულ პირობაზე ფიქრობდა. ეს ყველაფერი მილიგანის ადვოკატებისთვის აუცილებლად უნდა მოეყოლა. მოგვიანებით სახალხო დამცველის ოფისში დარეკა და ჯუდი სტივენსონი იკითხა.

— მისმინეთ, — უთხრა დოროთიმ სტივენსონს, როცა მან ყურმილი აიღო, — ახლა ვერ დაგელაპარაკებით, მაგრამ „სიბილი“³ თუ არ გაქვთ წაკითხული, იყიდეთ და წაიკითხეთ.

ტერნერის ბარით გაოცებულმა ჯუდი სტივენსონმა იმ საღამოს „სიბილის“ თხელყდიანი გამოცემა იყიდა და კითხვას შეუდგა.

როცა მიხვდა, თხრობა საით მიდიოდა, ლოგინზე გადაწვა, ჭერს მიაშტერდა და ფიქრებში წავიდა. „ო, კარგი რა! მრავლობითი პიროვნება? ამის თქმა უნდოდა ტერნერს?“ სცადა, ამოსაცნობ მწკრივში მოცახცახე მილიგანი ხელახლა წარმოედგინა. მერე სხვა ეპიზოდები გაიხსენა — მომენტები, როცა მილიგანი ლაქლაქა, გაქექილი, ხუმარა, გონებამახვილი იყო. მისი ქცევის ცვლილებას სულ დეპრესიით ხსნიდა. მერე სერჟანტ უილისის მოყოლილი ამბები გაახსენდა მსხლტომარე ტიპზე, ყველანაირი დამაწყნარებელი ხალათიდან გამოძვრომა რომ შეეძლო და რას ჰილის კომენტარები მილიგანის მიერ დროდადრო გამოვლენილი ზეადამიანური ძალის შესახებ. გონებაში მილიგანის სიტყვე-

³ „სიბილი“ — 1973 წელს გამოსული წიგნი ფლორა რეტა შრაიბერის ავტორობით, რომელიც ფსიქიატრ კორნელია უილბურის მიერ სიბილ დორსეტის, მრავლობითი პიროვნების ამლილობის მქონე ქალის მკურნალობის პროცესს აღწერს.

ბი ჩაესმოდა ექოდ: „არაფერი არ მახსოვს, რაზეც მეუბნებიან, ჩაიდინეო. არაფერი არ ვიცი“.

უნდოდა, ქმარი გაეღვიძებინა და ეს ყველაფერი ეთქვა, მაგრამ იცოდა, ელი რასაც ეტყოდა. ისიც იცოდა, რას უპასუხებდა მის ადგილას ნებისმიერი სხვა, ვისთვისაც იმის ახსნას შეეცდებოდა, რაზეც ახლა ფიქრობდა. სახალხო დამცველის ოფისში სამი წლის განმავლობაში მილიგანის მსგავსი არავინ ენახა. გადაწყვიტა, ჯერ გერისთვისაც არაფერი ეთქვა. ჯერ თვითონ ცდიდა. მეორე დილას დოროთი ტერნერს დაურეკა.

— მისმინეთ, — უთხრა მან, — უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში მილიგანს რომ ვხვდებოდი და ველაპარაკებოდი, ხანდახან უცნაურად იქცეოდა. ხასიათი ეცვლებოდა ხოლმე. იმპულსური ტიპია, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შემინიშნავს, რომ დამესკვნა, სიბილის ფენომენის მსგავს რაღაცასთან გვაქვს საქმე-მეთქი.

— რამდენიმე დღეა საკუთარ თავს ვებრძვი, — უთხრა ტერნერმა, — დავპირდი, რომ არავის გავუმხელდი და სიტყვა არც გამიტეხავს. მხოლოდ ის გითხარით, რომ წიგნი წაგეკითხათ. მაგრამ ვეცდები დავითანხმო, რომ უფლება მომცეს, საიდუმლო თქვენც გაგიმხილოთ.

ჯუდიმ თავს შეახსენა, რომ საუთვესტის ფსიქოლოგს, ანუ ბრალდების მხარეს ესაუბრებოდა და უთხრა:

— იმოქმედეთ. თუ ჩემგან რამე დაგჭირდათ, გამაგებინეთ.

როცა დოროთი ტერნერი მესამედ მივიდა მილიგანის სანახავად, ოთახში ის შეშინებული პატარა ბიჭი დახვდა, პირველ დღეს თავს დეივიდს რომ უწოდებდა.

— ვიცი, დავპირდი, საიდუმლოს არავის გავუმხელ-მეთქი, მაგრამ ჯუდი სტივენსონს უნდა გავაგებინო, — უთხრა დოროთიმ.

— არა! — იყვირა მან და ფეხზე წამოხტა, — თქვენ ხომ შემპირდით! მის ჯუდის აღარ მოვეწონები, თუ ეტყვი.

— მოეწონები. შენი ადვოკატია და უნდა იცოდეს, რომ შენი დახმარება შეძლოს.

— თქვენ ხომ დამპირდით. პირობის დარღვევა იგივე ტყუილია. არ უთხრათ. ცუდი დღე დამადგება. არტური და რეიგენი ჩემზე ბრაზობენ, საიდუმლო რომ წამომცდა და...

— რეიგენი ვინ არის?

— თქვენ დამპირდით, დაპირება კი ყველაზე მნიშვნელოვანი რამეა.

— არ გესმის, დეივიდ? ჯუდის თუ არ ეტყვი, ვერ გიშველის. შეიძლება ციხეშიც გაგიშვან დიდი ხნით.

— არ მაინტერესებს, თქვენ ხომ დამპირდით.

— კი, მაგრამ...

დღორთიმ დაინახა, როგორ გაეყინა მილიგანს მზერა. პირს ისე ამოძრავებდა, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებო. შემდეგ გაიმართა, წამოჯდა, თითები შეატყუპა და დღორთის მიაშტერდა.

— მადამ, — თქვა მან მკვეთრი მაღალი წრის ბრიტანული აქცენტით. ქვედა ყბას ოდნავ შესამჩნევად ამოძრავებდა, — უფლება არ გაქვთ, ამ ახალგაზრდისათვის მიცემული სიტყვა გატეხოთ.

— მგონი, არ შევხვედრივართ, — თქვა დღორთიმ და სკამის სახელურს ხელი მაგრად ჩასჭიდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცდილობდა, გაოცება არ შეემჩნია.

— ის უკვე გესაუბრათ ჩემ შესახებ.

— არტური ხართ?

მან მოკლე თავისდაკვრით დაუდასტურა. დღორთიმ ღრმად ჩაისუნთქა.

— არტურ, ძალიან მნიშვნელოვანია ადვოკატებს ვუთხრათ, რა ხდება.

— არა, არ დაგიჯერებენ, — თქვა მან.

— რატომ არ უნდა ვცადოთ? ჯუდი სტივენსონს მოვიყვან, რომ შეგახვედროთ და...

— არა.

— ამან შეიძლება ციხისგან გიხსნათ. საშუალება უნდა...

ის წინ გადაიხარა და ზიზღით მიაჩერდა.

— აი, რას გეტყვით, მის ტერნერ, სხვებს თუ მოიყვანთ თან, დანარჩენები ხმას არ ამოიღებენ და იდიოტის როლში აღმოჩნდებით.

არტურთან თხუთმეტწუთიანი კამათის შემდეგ დოროთიმ ისევ დაინახა, როგორ გაუხევდა მზერა მილიგანს. სკამის საზურგეზე გადაწვა და როცა ისევ წინ გადმოიხარა, სხვანაირი ხმა ჰქონდა, გამომეტყველება — უშუალო და მეგობრული.

— საიდუმლო არ უნდა გასცეთ, თქვენ პირობა დადეთ, ეს კი წმინდათაწმინდა რამაა, — თქვა მან.

— ვის ვესაუბრები? — წაიჩურჩულა დოროთიმ.

— ალენს. ჯუდის და გერის უმეტესად მე ველაპარაკები ხოლმე.

— მაგრამ ისინი ხომ მხოლოდ ბილი მილიგანს იცნობენ?

— „ბილის“ როცა გვეძახიან, ყველანი ვპასუხობთ, რომ საიდუმლო არ გამჟღავნდეს. მაგრამ ბილის სძინავს. დიდი ხანია სძინავს. მის ტერნერ, ხომ შეიძლება „დოროთი“ დაგიძახოთ? ბილის დედასაც დოროთი ჰქვია.

— თქვენ თქვით, ჯუდისა და გერის უმეტესად მე ვესაუბრებიო. კიდევ ვის შეხვდნენ?

— არ იციან, იმიტომ, რომ ტომი თითქმის ჩემნაირად ლაპარაკობს. ტომის შეხვედრიხართ — ეს ის არის, დამაწყნარებელ ხალათს და ხელბორკილებს რომ არ იჩერებს. ერთმანეთს ძალიან

ვგავართ, იმ განსხვავებით, რომ ლაპარაკით, ძირითადად, მე ვლაპარაკობ. ტომი ზოგჯერ უხეში და სარკასტულია ხოლმე, ხალხთან ურთიერთობა ჩემსავით არ ეხერხება.

— კიდევ ვის შეხვდნენ?

მან მხრები აიჩეჩა.

— პირველი, ვისაც გერი შეხვდა ციხეში რომ მოგვიყვანეს, დენი იყო, შეშინებული და დაბნეული. კარგად ვერ ხვდება რა ხდება. სულ რაღაც თოთხმეტი წლის არის.

— თქვენ რამდენი წლის ხართ?

— თვრამეტის.

დღორთიმ ამოიხვნეშა და თავი გაიქნია.

— კარგი... ალენ. ჭკვიანი ახალგაზრდა ჩანხართ. გესმით, რომ დაპირება უნდა გამაუქმებინოთ. ჯუდიმ და გერიმ უნდა იცოდნენ, რა ხდება, რომ თქვენი დაცვა შეძლონ.

— არტური და რეიგენი წინააღმდეგეები არიან, — უპასუხა მან, — ისინი ამბობენ, ხალხს გიჟები ვეგონებითო.

— მაგრამ ეს ხომ ღირს იმად, რომ სამაგიეროდ ციხეში დაბრუნება აიცილო თავიდან?

მან თავი გაიქნია.

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ამ საიდუმლოს მთელი ცხოვრებაა ვინახავთ.

— ვისი გადასაწყვეტია?

— რა ვიცი, ყველასი. მოთავე არტურია, მაგრამ საიდუმლო ყველას გვეკუთვნის. დეივიდმა თქვენ გაგიმხილათ, მაგრამ ამ ამბავმა ამბზე შორს არ უნდა გაჟონოს.

დღორთი შეეცადა აეხსნა, რომ როგორც ფსიქოლოგი, ვალდებული იყო ეს ამბავი ადვოკატისთვის შეეტყობინებინა, მაგრამ ალენმა გადაჭრით უთხრა, არანაირი გარანტია არ არსებობს, რომ ეს საქმეს უშველის და გასაჯაროებისა და საგაზეთო სტა-

ტიების შემდეგ ჩვენთვის ციხეში ცხოვრება საერთოდ გაუსაძლისი გახდებაო.

შემდეგ დეივიდი გამოვიდა, რომელიც დოროთიმ პატარა ბიჭის მიხრა-მოხრით იცნო. დეივიდი შეევედრა, პირობა შეენახა. დოროთიმ ისევ არტურთან საუბარი ითხოვა. არტური წარბშეკრული გამოვიდა.

— რა დაჟინებული ხართ, — თქვა მან.

დოროთი დიდხანს ეკამათა და ბოლოს იგრძნო, რომ არტური ნელ-ნელა მოლბა.

— ქალბატონებთან კამათი არ მიყვარს, — თქვა მან, ამოიოხრა და უკან გადაწვა, — თუ თვლით, რომ ეს აბსოლუტურად აუცილებელია და სხვებიც გეთანხმებიან, ნებას გრთავთ. მაგრამ სათითაოდ ყველასგან უნდა მიიღოთ თანხმობა.

კამათი რამდენიმე საათს გაგრძელდა. დოროთი თითოეულ „გარეთ გამოსულს“ ცალ-ცალკე უხსნიდა ვითარებას და ყოველი მომდევნო ტრანსფორმაციის მოწმე, ვერც ერთხელ ვერ იკავებდა გაოცებას. მეხუთე დღეს ის ტომის დაუპირისპირდა, რომელიც გაუთავებლად ცხვირში იქექებოდა.

— ხვდები თუ არა, რომ მის ჯუდის უნდა ვუთხრა?

— ქალბატონო, სულ ფეხებზე მკიდია, რაც გინდათ ის გიქნიათ, ოღონდ თავიდან მომწყდით.

ალენმა უთხრა:

— დამპირდით, რომ ჯუდის გარდა არც ერთ სულიერს არ ეტყვით. და იმასაც ჩამოართვით სიტყვა, რომ სხვას არავის ეტყვის.

— თანახმა ვარ, — უთხრა დოროთიმ, — იცოდე, არ ინანებ.

იმ საღამოს დოროთი ტერნერი ციხიდან პირდაპირ სახალხო დამცველის ოფისში მივიდა და ჯუდი სტივენსონს დაელაპარაკა. მან ჯუდის მილიგანის მიერ წამოყენებული პირობა განუმარტა.

— ესე იგი, გერი შვეიკარტსაც ვერ ვეტყვი?

– სიტყვა უნდა მიმეცა, სხვა გზა არ იყო. იმაზეც ძლივს დავითანხმე, რომ თქვენთვის მეთქვა.

– მე ეჭვი მეპარება, – თქვა ჯუდიმ.

ტერნერმა თავი დაუქნია.

– ჰო, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ სიტყვას გაძლევთ, თქვენს კლიენტს რომ შევხვდებით, დიდი სიურპრიზი გელით.

სერჟანტმა უილისმა მილიგანი საკონფერენციო დარბაზში რომ შეიყვანა, ჯუდიმ შენიშნა, რომ მისი კლიენტი მორცხვი მობარდივით იქცეოდა. ოფიცერს ისე უფრთხოდა, როგორც უცხოს და მაგიდასთან სწრაფად მიირბინა, რომ დოროთი ტერნერს გვერდში მისჯდომოდა. სანამ უილისი არ გავიდა, ხმა არ ამოუღია. მაჯებს განუწყვეტლივ ისრესდა.

— ეტყვი ჯუდი სტივენსონს, ვინ ხარ? — უთხრა ტერნერმა.

ის სკამის საბურგეს მიეყრდნო და თავი გააქნია. კარს ისე უყურებდა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ოფიცერი მართლაც გავიდა.

— ჯუდი, — თქვა ბოლოს ტერნერმა, — ეს დენია. ამასობაში კარგად გავიცანი.

— გამარჯობა, დენი, — სტივენსონი შეეცადა, განსხვავებული ხმითა და გამომეტყველებით გამოწვეული გაოგნება დაემალა.

მან ტერნერს ახედა და წაიჩურჩულა:

— აი, ხომ ხედავთ. ისე მიყურებს, თითქოს გიჟი ვიყო.

— არა, — უთხრა ჯუდიმ, — უბრალოდ, დაბნეული ვარ. ძალიან უჩვეულო სიტუაციაა. რამდენი წლისა ხარ, დენი?

მან მაჯები ისე მოისრისა, თითქოს ის-ის იყო ბორკილები მოეხსნათ და სისხლის მიმოქცევის აღდგენას ცდილობდა. არ უპასუხებია.

— დენი თოთხმეტის არის, — თქვა ტერნერმა, — მხატვარია.

— როგორ ნახატებს ხატავ? — ჰკითხა სტივენსონმა.

— ძირითადად, ნატურმორტებს, — თქვა დენიმ.

— ის პეიზაჟებიც შენი დახატულია, პოლიციამ შენს ბინაში რომ იპოვა?

— პეიზაჟებს არ ვხატავ. მიწა არ მიყვარს.

— რატომ?

— ვერ გეტყვით. რომ გითხრათ, მომკლავს.

— ვინ მოგკლავს? — ჯუდის თავადაც გაუკვირდა, როცა თავი დაიჭირა, რომ ბრალდებულს კითხვებს უსვამდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბის სრულებით არ სჯეროდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ თაღლითობას არ წამოგებოდა, თუმცა ამ ბრწყინვალე შესრულებით აღტაცებას ვერ მალავდა.

ბიჭმა თვალები დახუჭა და ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. ჯუდი, რომელიც ამ ყველაფრის შემხედვარე სულ უფრო მეტად შეცბუნებული იყო, ყურადღებით აკვირდებოდა მილიგანს, რომელიც საკუთარ თავში იძირებოდა. მისმა ტუჩებმა უხმოდ იწყეს მოძრაობა. მზერა ჯერ გაეყინა, შემდეგ კი თვალები ისევ ამოძრავდნენ. მან გაოცებით მიმოიხედა. შემდეგ ქალები იცნო და გაიაზრა, სად იმყოფებოდა. უკან გადაწვა, ფეხი ფეხზე გადაიდო და სიგარეტი მარჯვენა წინდიდან ისე ამოიძრო, რომ კოლოფიც კი არ ამოუღია.

— სანთებელა არ გაქვთ?

ჯუდიმ მოუკიდა. მან ღრმა ნათაზი დაარტყა, თავსებმით გააბოლა და იკითხა:

— აბა, რა არის ახალი?

— არ ეტყვი ჯუდი სტივენსონს, ვინ ხარ?

მან თავი დაუქნია და კვამლის რგოლი გამოუშვა.

— ალენი ვარ.

— შევხვედრით ადრე? — ჰკითხა ჯუდიმ, რომელიც იმედოვნებდა, რომ ხმაში თრთოლვა არ ეტყობოდა.

— რამდენჯერმე. შენ და გერი საქმეზე სალაპარაკოდ რომ მოხვედით, ადგილზე მე ვიყავი.

— მაგრამ ჩვენ ხომ ყოველთვის ისე მოგმართავდით, როგორც ბილი მილიგანს.

მან მხრები აიჩეჩა.

— „ბილის“ რომ გვეძახიან, ყველა ვეპასუხებით. ეს ზედმეტი ახსნა-განმარტებებისგან გვაზღვევს. მაგრამ არასდროს არ მიტევაშს, ბილი ვარ-მეთქი. რადგან თქვენ ასე დაასკვნით, ვიფიქრე, უარყოფა ხეირს არ მოგვიტანს-მეთქი.

— შეიძლება ბილის დაველაპარაკო? — ჰკითხა ჯუდიმ.

— არა-ა. სძინავს და არ აღვიძებენ. თუ გამოუშვეს, თავს მოიკლავეს.

— რატომ?

— ისევ ეშინია, რომ რამეს დაუშავებენ. დანარჩენებზე არაფერი არ იცის. მარტო იმას ხვდება, რომ დრო ეკარგება ხოლმე.

— რას ნიშნავს „დრო ეკარგება“? — ჰკითხა ჯუდიმ.

— ეს ყველა ჩვენგანს ემართება. სადღაც ხარ, რაღაცას აკეთებ. მერე უცებ სულ სხვაგან ხარ და ხვდები, რომ დრო გავიდა, მაგრამ არ იცი, რა მოხდა.

ჯუდიმ თავი გაიქნია.

— რა საშინელებაა.

— ეგ ისეთი რამეა, ვერასდროს რომ ვერ მიეჩვევი კაცი, — თქვა ალენმა.

როცა სერჟანტი უილისი დაბრუნდა, რომ საკანში დაებრუნებინა, ალენმა ახედა და გაუღიმა.

— ეს სერჟანტი უილისია, — უთხრა მან ქალებს, — კარგი ტიპია.

ჯუდი სტივენსონი ფრანკლინის საოლქო ციხიდან ტერნერთან ერთად წამოვიდა.

— ახლა ხომ გესმით, რატომაც მოგმართეთ, — უთხრა დოროთიმ.

სტივენსონმა ამოიოხრა.

– აქ რომ მოვდიოდი, დარწმუნებული ვიყავი, ყალთაბანდობას გამოვააშკარავებ-მეთქი, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ წელან ორ სხვადასხვა ადამიანს ველაპარაკე. ახლა მესმის, რატომ იყო ხოლმე ხანდახან სხვანაირი. მე გუნება-განწყობის ცვლილებას მივაწერდი. გერის უნდა ვუთხრათ.

– თქვენთვის სათქმელადაც მეტისმეტად გამიჭირდა ნებართვის მიღება. არა მგონია, მილიგანმა ამის ნება მოგვცეს.

– უნდა მოგვცეს, ამას მარტო ვერ შევძლებ, – თქვა ჯუდიმ.

ციხიდან წამოსულ ჯუდი სტივენსონს თავში სრული აურზაური ჰქონდა – შეძრწუნებული, განრისხებული და დაბნეული იყო. ეს ყველაფერი წარმოუდგენელი, შეუძლებელი ჩანდა. მაგრამ გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ სულ ცოტაც და დაიჯერებდა. მოგვიანებით შინ გერიმ დაურეკა – შერიფის ოფისს მისთვის შეეტყობინებინა, რომ მილიგანს თავის საკნის კედელზე მიხლით ისევ ეცადა თვითმკვლელობა.

– უცნაურია, – თქვა გერიმ, – მის მონაცემებს გადავხედე და ახლავა მივხვდი, რომ დღეს 14 თებერვალია. დღეს 23 წლის გახდა. და კიდევ: დღეს ხომ ვალენტინობაა.

მეორე დღეს დოროთიმ და ჯუდიმ ალენს უთხრეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო, საიდუმლო გერი შვეიკარტისათვისაც ეთქვათ.

— არავითარ შემთხვევაში.

— აუცილებლად უნდა დაგვრთო ნება, — აუხსნა ჯუდიმ, — ციხიდან რომ გამოგიყვანოთ, ხალხს უნდა გავაგებინოთ.

— თქვენ შემპირდით. შეთანხმება ასეთი იყო.

— ვიცი, მაგრამ ეს აუცილებელია, — გაუმეორა ჯუდიმ.

— არტური უარბეა.

— არტურთან დამალაპარაკე, — უთხრა დოროთიმ.

არტური გამოვიდა და ორივეს დაჟინებით მიაშტერდა.

— ეს ყოველივე უკვე ძალიან დამღლეელი ხდება. უამრავი საფიქრალი და სამეცადინო მაქვს და ეს თქვენი გაუთავებელი გამოძახებები ენერგიას მაცლის.

— ნება უნდა დაგვრთო, რომ გერის ვუთხრათ, — უთხრა ჯუდიმ.

— არავითარ შემთხვევაში. უკვე ორმა კაცმა რომ იცის, ესეც ბევრია.

— შენს დასახმარებლად ეს აუცილებელია, — უთხრა ტერნერმა.

— დახმარება არ მჭირდება, მადამ. დენის და დეივიდს შეიძლება სჭირდებოდეთ, თუმცა ეს ჩემი სადარდებელი არ არის.

— ბილისთვის სიცოცხლის გადარჩენა არ გადარდება? — ჰკითხა არტურის ქედმაღლური დამოკიდებულებით განრისხებულმა ჯუდიმ.

— კი, — უთხრა მან, — თუმცა რის ფასად? ყველა იმას იტყვის, რომ გიჟები ვართ. ვითარება ლამისაა უკონტროლო გახდეს. ბი-

ლის სიცოცხლეს იმ დღიდან ვიცავთ, სკოლის სახურავიდან გად-
მოხტომა რომ სცადა.

— რას გულისხმობ? როგორ იცავთ ბილის სიცოცხლეს? —
ჰკითხა ტერნერმა.

— როგორ და სულ მძინარე გვყავს.

— შენ რა, არ გესმის ეს საქმეს როგორ ცვლის? — უთხრა ჯუ-
დიმ, — ამან შეიძლება ციხეში ჩაჯდომა-არჩაჯდომის საკითხი გა-
დაწყვიტოს. ციხის გარეთ საკითხავად და სასწავლებლად მეტი
დრო არ გექნება? თუ ლიბანის ციხეში გინდა დაბრუნება?

არტურმა ფეხი ფეხზე გადაიდო და ჯერ ჯუდის შეხედა, მერე
დოროთის, მერე — ისევ ჯუდის.

— ქალბატონებთან კამათი გულზე არ მეხატება. მხოლოდ იმ
შემთხვევაში დაგთანხმდებით, თუ წინანდელივით ყველა დანარ-
ჩენს დაითანხმებთ.

სამი დღის შემდეგ ჯუდი სტივენსონმა გერი შვეიკარტისთვის
საიდუმლოს განდობის ნებართვა მიიღო.

თებერვლის ცივ დილას ჯუდი ფრანკლინის საოლქო ციხიდან
სახალხო დამცველის ოფისში დაბრუნდა. ყავა დაისხა, პირდა-
პირ გერის არეულ-დარეულ კაბინეტში შევიდა, დაჯდა და გამბე-
დაობა მოიკრიბა.

— უთხარი, ვინც არ უნდა დარეკოს, არ შეგაერთონ. ბილიზე
უნდა გითხრა რაღაც.

როცა დოროთი ტერნერსა და მილიგანთან შეხვედრის შესა-
ხებ საუბარი დაასრულა, გერიმ ისე შეხედა, თითქოს ფიქრობდა,
გაგიჟდაო.

— ჩემი თვალით ვნახე, მე თვითონ ველაპარაკე, — არწმუნებ-
და ჯუდი.

გერი ადგა და გაიარ-გამოიარა. გაჩეჩილი თმა საყელოზე ჰქონდა ჩამოყრილი. მოჩვარული პერანგი შარვლიდან ნახევრად ამოსჩაჩოდა.

— აბა, რას ამბობ! — ეცადა შეკამათებას, — წარმოუდგენელია. ვიცი, რომ ფსიქიკურად დაავადებულია და შენს მხარეზე ვარ. მაგრამ ეს ნაღდად არ გაჭრის.

— უნდა წამოხვიდე და შენ თვითონ ნახო. უბრალოდ, ვერ წარმოიდგენ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

— კარგი, მაგრამ გეუბნები, არ მჯერა. არც პროკურორი არ დაიჯერებს, არც მოსამართლე. ჯუდი, შენი მჯერა. კარგი იურისტი ხარ და ადამიანებში ძალიან კარგად ერკვევი. მაგრამ ეს ტიპი აშკარად აფერისტია და მაგრადაც გაჭამა.

მეორე დღეს, 3 საათზე, გერი ჯუდის ფრანკლინის საოლქო ციხეში წაჰყვა. იქ სულ ნახევარ საათს აპირებდა გაჩერებას. სტივენსონის ნათქვამს მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა. წარმოუდგენელი ამბავი იყო. მაგრამ როცა მის თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით ხან ერთი პიროვნება გამოჩნდა, ხან — მეორე, მისი სკეპტიციზმი ცნობისმოყვარეობაში გადაიზარდა. უყურებდა, როგორ იქცა შეშინებული დეივიდი მორცხვ დენიდ, რომელსაც ახსოვდა, როგორ შეხვდა გერის იმ პირველ საშინელ დღეს, როცა ციხეში მოიყვანეს.

— აზრზე არ ვიყავი, რა ხდებოდა, როცა ბინაში შემოცვივდნენ და დამაპატიმრეს, — თქვა დენიმ.

— რატომ უთხარი, რომ იქ ბომბი იყო?

— არ მითქვამს, ბომბია-მეთქი.

— ოფიცერს უთხარი, „აფეთქდება“.

— ტომი სულ ამბობს, „ჩემ ნივთებს არ მიეკაროთ, აგიფეთქდებათ“.

— ამას რატომ ამბობს?

— ჰკითხეთ. ელექტრიკოსია, სულ მავთულებით და ეგეთი რა-
დაცეებით მაიმუნობს. ყუთი მაგისი იყო.

შვეიკარტმა წვერი რამდენჯერმე მოიწიწვანა.

— გაქცევის ოსტატი და ელექტრიკოსი. კარგი, ტომის რომ და-
ველაპარაკოთ, შეიძლება?

— არ ვიცი. ტომი მარტო იმათ ელაპარაკება, ვისთანაც თითონ
უნდა ლაპარაკი.

— შეგიძლია გამოიყვანო? — სთხოვა ჯუდიმ.

— ასე არ შემიძლია. თავისით უნდა მოხდეს. ისე, შემიძლია
ვთხოვო, რომ დაგელაპარაკოთ.

— სცადე, — უთხრა შვეიკარტმა და ღიმილი ძლივს შეიკავა, —
მაგრად სცადე.

მილიგანის სხეული თითქოს საკუთარ არსებაში ჩაიყუჟა. სახე
გაუფითრდა, თვალები შუშის გაუხდა, თითქოს გუგები შიგნით
შეუბრუნდაო. საკუთარ თავს ტუჩების მოძრაობით ელაპარაკე-
ბოდა. პატარა ოთახი დაძაბულობით აივსო. სუნთქვაშეკრულ
შვეიკარტს სახიდან ირონიული ღიმილი გაუქრა. მილიგანის
თვალები ისევ ამოძრავდა. ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს
ღრმა ძილიდან ის-ის იყო გამოფხიზლებულიყო და ხელი მარჯვე-
ნა ლოყაზე მიიღო, გეგონება ამოწმებდა, მთელია თუ არაო. მერე
სკამზე ქედმაღლურად გადაწვა და ორ ადვოკატს მიაშტერდა. გე-
რიმ ძლივს ამოისუნთქა. შთაბეჭდილების ქვეშ იყო.

— ტომი ხარ? — იკითხა მან.

— ვინ კითხულობს რო?

— მე შენი ადვოკატი ვარ.

— ჩემი ადვოკატი არა ისა.

— ვინც არ უნდა იყო, მე ვაპირებ ჯუდი სტივენსონს მაგ შენი
უკანალის ციხისგან დახსნაში დავეხმარო.

— ეუფ. არავის დახსნა არ მჭირდება. მსოფლიოში ვერც ერთი ციხე ვერ გამაჩერებს. როცა გამისწორდება, მაშინ დავტყდები. გერიმ ზემოდან დახედა.

— აჰა, ესე იგი, დამაწყნარებელი ხალათიდან შენ ძვრები ხოლმე წარამარა. ტომი უნდა იყო.

ტომი გაბეზრებული ჩანდა.

— ჰოო, ჰოო.

— დენი იმ ელექტრომოწყობილობის ყუთზე გველაპარაკებოდა, პოლიციამ რომ იპოვა ბინაში. გვითხრა, რომ შენი იყო.

— მაგას ენა სულ გრძელი ჰქონდა.

— ყალბი ბომბი რატომ გააკეთე?

— რა ჩემი ფეხების ბომბი იყო! პოლიციელები დაუნები იყვნენ და შავი ყუთი არ იცოდნენ რა არი, ჩემი რა ბრალია.

— რას გულისხმობ?

— რაც გაიგე. სატელეფონო სისტემის მოსატყუებელი შავი ყუთი იყო. მანქანისთვის ახალ ტელეფონზე ვწალიჩობდი. ცილინდრებზე წარწერა წითლად იყო და იმ კრეტინმა პოლიციელებმა იფიქრეს, ბომბიაო.

— დენის უთხარი, შეიძლება აფეთქდესო.

— როგორ წაიღეთ ტვინი. წვრილფეხობას სუ ეგრე ვეუბნები, ჩემ ნივთებს ხელი რო არ ტანტრონ ხოლმე.

— ელექტრობა სად ისწავლე, ტომი? — ჰკითხა ჯუდიმ.

ტომიმ მხრები აიჩეჩა.

— მე თითონ. წიგნებიდან. სუ მაინტერესებდა რაღაცეები როგორ მუშაობს.

— და გაქცევის ოსტატობა? — შეეკითხა ჯუდი.

— არტურმა მირჩია, ისწავლეო. თუ ჩაგვაყუდეს, ვინმემ ხო უნდა იცოდეს თოკებიდან გამოძრომა. ხელის კუნთების და ძვლე-

ბის კონტროლი ვისწავლე. მერე საკეტები და ხრახნები დავამუ-
ლაძე.

შვეიცარტი წუთით დაფიქრდა.

— იარაღიც შენია?

ტომიმ თავი გაიქნია.

— იარაღზე ჩალიჩის უფლება მარტო რეიგენს აქვს.

— უფლება? ვინ აძლევს უფლებას? — ჰკითხა ჯუდიმ.

— გააჩნია, მაგ დროს სადა ვართ. დავიღალე ინფორმაციას
რო მწურავთ. ეგ არტურის და ალენის საქმეა. მაგათ კითხეთ რა,
მე წავედი.

— მოიცადე!

მაგრამ ჯუდიმ დააგვიანა. ბიჭს მზერა გაუშეშდა და პოზა შეიც-
ვალა. თითის წვერები პირამიდასავით შეატყუპა. ნიკაპი რომ ას-
წია, ჯუდიმ გამომეტყველებით მაშინვე არტური იცნო და გერის
წარუდგინა.

— ტომის უნდა აპატიოთ, — ცივად თქვა არტურმა, — ცოტა არ
იყოს, ანტისოციალური ახალგაზრდაა. ელექტრომოწყობილო-
ბებში და საკეტებში ასე კარგად რომ არ ერკვეოდეს, ვფიქრობ,
დიდი ხნის წინ გავაძევებდით. მაგრამ მისი უნარები ძალზე სა-
სარგებლოა.

— შენ რაღა უნარები გაქვს? — ჰკითხა გერიმ.

არტურმა ხელი აგდებულად აიქნია.

— მოყვარული ვარ და მეტი არაფერი. ბიოლოგიასა და მედი-
ცინაში ვჩხირკედელაობ ცოტას.

— გერი ტომის იარაღზე ეკითხებოდა, — უთხრა ჯუდიმ, — ხომ
იცი, ეს თავდებით გათავისუფლების პირობის დარღვევაა.

არტურმა თავი დაუქნია.

— ერთადერთი, ვისაც იარაღის ტარების უფლება აქვს, რეიგე-
ნია — რისხვის მცველი. მაგრამ მისი გამოყენება მხოლოდ თავ-

დაცვისა და გადარჩენისთვის შეუძლია. ისევე, როგორც თავისი განუზომელი ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ დანარჩენების სასარგებლოდ და არა — საზიანოდ. ადრენალინის კონტროლი და კონცენტრირება კარგად ეხერხება.

— იარაღი იმ ოთხი ქალის გასათაცებლად და გასაუპატიურებლადაც ხომ გამოიყენა, — უთხრა გერიმ.

არტურის ხმაში უეცრად ყინულივით ცივი სიმშვიდე გაისმა.

— რეიგენს არავინ გაუუპატიურებია. ვესაუბრე ამ საკითხზე. ყაჩაღობა იმიტომ დაიწყო, რომ გადაუხდელი გადასახადები ადარდებდა. აღიარებს, რომ ოქტომბერში ის სამი ქალი გაძარცვა, მაგრამ კატეგორიულად უარყოფს აგვისტოში იმ ქალებთან, ან რომელიმე სხვა სქესობრივ დანაშაულთან რაიმე კავშირს.

გერი წინ გადაიხარა და არტურის სახეს ყურადღებით დააკვირდა. გრძნობდა, როგორ ღღვებოდა ნელ-ნელა მისი სკეპტიციზმი.

— კი მაგრამ, სამხილები?

— ეშმაკსაც წაუღია სამხილები! თუ რეიგენი ამბობს, ეს მე არ მიქნიაო, დაეჭვების საფუძველი არ გაქვთ. რეიგენი არ იტყუება. მძარცველია, მაგრამ მოძალადე არ არის.

— ამბობ, რეიგენს ვესაუბრეო, — უთხრა ჯუდიმ, — ეგ როგორ ხდება? ერთმანეთს ხმამაღლა ელაპარაკებით თუ გონებაში? ლაპარაკობთ თუ ფიქრობთ?

არტურმა ხელები შეატყუპა.

— ხან ასე, ხან — ისე. ზოგჯერ ეს შიგნით ხდება და დანამდვილებით შემძლია ვთქვა, რომ ამ დროს ამის შესახებ სხვამ არავინ იცის. სხვა დროს, ჩვეულებრივ, როცა მარტოები ვართ, ცხადია, ხმამაღლა ვსაუბრობთ. წარმომიდგენია, ვიღაცა რომ გვიყურებდეს, რა გიჟები ვეგონებოდით.

გერი უკან გადაწვა, ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლიდან ოფლი მოიწმინდა.

— ამას ვინ დაიჯერებს?

არტურმა მოწყალედ გაიღიმა.

— როგორც უკვე ვთქვი, რეიგენი, როგორც ყველა ჩვენგანი, არასდროს იტყუება. ადამიანები მთელი ცხოვრება მატყუარობას გვწამებდნენ. ჩვენთვის ღირსების საკითხია, არასდროს ვიცრუოთ. დიდად არ გვანადვლებს, ვინ დაგვიჯერებს და ვინ — არა.

— კი მაგრამ, სიმართლის თქმაზეც ყოველთვის არ დებთ ხოლმე თავს, — უთხრა ჯუდიმ.

— ეს კი უნებლიე ტყუილია, — დაამატა გერიმ.

— ოჰ, კარგი ერთი, — თქვა არტურმა. დამცინავი ტონის შესანიღბად თავიც არ შეუწუხებია, — ადვოკატი ხართ და ძალიან კარგად იცით, რომ მოწმე არ არის ვალდებული, ნებით გასცეს ინფორმაცია, რომელზეც მისთვის არაფერი უკითხავთ. პირველი თქვენ ეტყოდით კლიენტს, მაქსიმალურად ეცადა, მხოლოდ „კი“ და „არა“ ეპასუხა და არ დაეწყო წიაღსვლები, თუკი ეს მისსავე ინტერესებში არ შედიოდა. თუ ადგებით და პირდაპირ გვკითხავთ რამეს, პასუხად ან სიმართლეს მიიღებთ, ან — დუმილს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ სიმართლე შეიძლება სხვადასხვანაირად გაიგოს. ინგლისური ენა ბუნებით ორაზროვანია.

გერიმ ფიქრიანად დაუქნია თავი.

— ამას გავითვალისწინებ. მაგრამ თემას გადავუხვიეთ. იარაღზე ვამბობდი...

— რეიგენმა ყველაზე უკეთ იცის, იმ სამი დანაშაულის დილას რა ხდებოდა. მას დაელაპარაკეთ.

— ახლა არა, — თქვა გერიმ, — ჯერ არა.

— ისეთი განცდა მაქვს, თითქოს მასთან შეხვედრის გემინიათ. გერიმ ჯიქურ ახედა.

– თქვენც ეს არ გინდათ? ამიტომ არ გვეუბნებით, როგორი ბოროტი და საშიშია?

– ბოროტია-მეთქი არ მითქვამს.

– ჩვენ კიდევ სწორედ ასეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, – უთხრა გერიმ.

– ფვიქრობ, თქვენთვის რეიგენის გაცნობა მნიშვნელოვანია, – თქვა არტურმა, – პანდორას ყუთის კლიტე უკვე გააღეთ. ახლა სარქველის ახდალა დაგრჩენიათ. მაგრამ თუ არ გინდათ, არ გამოვა.

– თვითონ უნდა ჩვენთან ლაპარაკი? – ჰკითხა ჯუდიმ.

– საკითხავი ის არის, თქვენ თუ გინდათ მასთან ლაპარაკი.

გერიმ იგრძნო, რომ რეიგენის გამოსვლის წარმოდგენა მართლაც აშინებდა.

– მე მგონი, ღირს, – თქვა ჯუდიმ და გერის გადახედა.

– არაფერს დაგიშავებთ, – უთხრა არტურმა და უხმოდ ჩაიღიმა, – იცის, რომ აქ ორივე ბილის დასახმარებლად ხართ. ამაზე ვისაუბრეთ და რადგან საიდუმლო გაითქვა, გვესმის, რომ თქვენთან ახლა გულახდილობა გვმართებს. როგორც მისის სტივენსონმა ბრძანა დამაჯერებლად, ეს ჩვენი ციხიდან დახსნის უკანასკნელი იმედია.

გერიმ ამოიოხრა და თავით სკამს მიეყრდნო.

– კარგი, არტურ, შევხვდები რეიგენს.

არტურმა სკამი პატარა სასაუბრო ოთახის ბოლოში გადაიტანა, რომ მათ შორის რაც შეიძლება დიდი მანძილი ყოფილიყო. მერე ისევ დაჯდა და მზერა ჩაუქრა, თითქოს შიგნით იყურებო. ტუჩები ამოძრავდნენ. სახეზე ხელი იტაცა. ყბები შეეკუმშა. მერე შეირხა, გამართულად მჯდარმა სხეულმა მდგომარეობა შეიცვალა და აგრესიულად მომართული, ნახტომისთვის მომზადებული მებრძოლის პოზა მიიღო.

— არასცორია. არ უნდოდა გაგვემჟგავნებინა საიდუმლო.

ჯუდი და გერი გაოგნებულები უსმენდნენ ამ ბოხ, უხეშ, ძალაუფლებითა და სისასტიკით სავსე ტემბრს. პატარა ოთახში დაბალი, მჟღერი, სლავური აქცენტით გაჟღენთილი ხმა ყრუდ გაისმოდა.

— აი, რას გეტკვით, — თქვა რეიგენმა და მიაშტერდა. დაძაბულობისგან სახე მოღრეცოდა, თვალებს აკვესებდა, წარბები შეკრული ჰქონდა, — დევიდს რომ შეეშალა და საიდუმლო ტკვა, მე ცინააგმდეგი ვიკავი.

ეს სლავური აქცენტის იმიტაციას როდი ჰგავდა. აღმოსავლეთ ევროპაში გაზრდილი კაცისთვის დამახასიათებელი შიშინა ბგერებით საუბრობდა, ინგლისური რომ ისწავლა, მაგრამ აქცენტი არ დაუკარგავს.

— რატომ იყავით სიმართლის გამოაშკარავების წინააღმდეგი? — ჰკითხა ჯუდიმ.

— ვინ დაიჟერებს? — თქვა მან და მუშტი შეკრა, — იტკვიან, გიჟები ვართ. ეგრე არ ვარგა.

— ამან შეიძლება ციხისგან გიხსნათ, — უთხრა გერიმ.

— რანაირად შეიძლება? — გამოსცრა კბილებში რეიგენმა, — მე სულელი არა ვარ, მისტერ შვეიკარტ. პოლიციას აკვს მტკიცება, რომ მე ქურდობა ჩავიდინე. უნივერსტეტთან სამი გაკურდვა ვაგიარებ. მართლ სამი. მაგრამ სხვა რაგაცები რომ ამბობენ გავაკეტე, არის ტკუილი. არავინ არ გავაუპატიურე. სასამართლოზე ცავალ და კურდობას ვაგიარებ. მაგრამ ციხეში ტუ ცავედიტ, ბაუშევებს მოვკლავ. როგორც ევტანაზია. ციხე პატარების ადგილი არ არის.

— კი მაგრამ... პატარებს თუ მოკლავთ... თქვენც ხომ მოკვდებით? — ჰკითხა ჯუდიმ.

— ეგ აუცილებლად არ არის, — თქვა რეიგენმა, — ჩვენ სულ სხვადასხვა ადამიანი ვართ.

გერიმ თმა მოუსვენრად მოიჩეჩა.

— მისმინეთ, წინა კვირაში ბილიმ, თუ ვინც იყო, თავი საკნის კედელს რომ მიარტყა, თქვენი თავის ქალა რა, არ დააზიანა? რეიგენმა ხელი შუბლზე მიიდო.

— კი, როგორ არა. მაგრამ ტკივილი ჩემი არ კოპილა.

— აბა ვის ეტკინა? — შეეკითხა ჯუდი.

— დევიდი არის ტკივილის დარაჟი. მაგან განიცდის კველა ტკივილი. დევიდი არის ემპატი.

გერი სკამიდან წამოდგა, რომ გაეველ-გამოეველო, მაგრამ რეიგენს დაძაბულობა რომ შეატყო, გადაიფიქრა და ისევ დაჯდა.

— ეგ დევიდია, კედელზე ტვინის მისხმა რომ სცადა?

რეიგენმა თავი გაიქნია.

— ბილი.

— ა, — თქვა გერიმ, — მე მეგონა ბილის ეძინა.

— მარტალია. მაგრამ მაგის დაბადების დღე იკო. პატარა კრის-წინი დაბადების დღის მისალოცვი ბარატი გაუკეტებს ხოლმე და უნდოდა ეჩუკებინა. არტური ნებას ადბლევს ბილის, რომ დაბადების დღეზე გამოვიდეს შუკზე. მე ვიკავი ცინააგმდეგი. მე დამცველი ვარ. ეს ჩემი საკმე არის. შეიძლება არტური ჩემზე ჩკვიანი არის, მაგრამ ისიც ადამიანი. არტურსაც აკვს შეცდომები.

— ბილიმ რომ გაიღვიძა, მერე რა მოხდა? — ჰკითხა გერიმ.

— ბილი მიიხედა, მოიხედა. დაინახა ციხეში არის. იფიქრა, რა-მე ცუდი გავაკეტე და დაარტკა კედელს თავი.

ჯუდი შეკრთა.

— საკმე იმაში, ბილიმ ჩვენი არაპერი იცის, — თქვა რეიგენმა, — მაგას აკვს... რა კვია? — ამნიზია. მე მგონი, ასე. ერთხელ სკოლაში რომ იკო, ბევრი დრო გაკრა. ცავიდა სახურავზე რომ გად-

მოხტეს. შუკიდან ცავიკვანე რომ გავაჩერო. იმის მერე ძინავს სულ. მე და არტური ვაჩერებთ დაძინებული, რომ გადავარჩინოტ.

— ეს როდის მოხდა? — ჰკითხა ჯუდიმ.

— ზუსტად რომ გახდა ტეკვსმეტის. დეპრესია კონდა, იმიტომ, რომ მამამისი უტხრა, იმუშავე, ტავის დაბადების დგეზე.

— ღმერთო ჩემო, — წაიჩურჩულა გერიმ, — შვიდი წელია სძინავს?

— ახლაც ძინავს. ერთი-ორი ცუტი იკო გაგვიძებული. არ უნდა შუკზე გამოგვეშვა.

— კი მაგრამ, ვინ მოქმედებდა? — ჰკითხა გერიმ, — ვინ მუშაობდა, ან ხალხს ვინ ელაპარაკებოდა ამის შემდეგ? ვისაც ვესაუბრეთ, იმათგან ბრიტანული ან რუსული აქცენტი არავის უხსენებია.

— არა რუსული, მისტერ შვეიკარტ. იუგოსლავიური.

— ბოდიშს ვიხდი.

— ეგ არაპერი. ეგ სიზუსტის ხატრიტ. რომ გიპასუხოტ — ალენი და ტომი არიან შუკზე ძირიტადატ, ხალხს რომ ესაუბრონ.

— როცა მოეპრიანებათ, მაშინ მოდიან და მიდიან? — ჰკითხა ჯუდიმ.

— მოდიტ, ასე ვიტკვი — სხვადასხვა სიტუაციაში შუკი ვმარტავ მე ან არტური, გააჩნია. ციხეში შუკი ვაკონტროლებ მე — ვინ მოვა, ვინ ცავა — იმიტომ საშიში ადგილი არის. როგორც დამცველი, მე მაკვს სრული კონტროლი. ისეტ სიტუაციაში, როცა ჩკუა და ტვინი მნიშვნელოვანი არის, მაშინ არის არტური.

— ახლა ვინ აკონტროლებს სიტუაციას? — ჰკითხა გერიმ, რომელიც ხვდებოდა, რომ პროფესიული დისტანცია საბოლოოდ დაკარგა და თავით ფეხებამდე ცნობისმოყვარეობით მოცული, ამ დაუჯერებელი ფენომენით მონუსხულიყო.

რეიგენმა მხრები აიჩეჩა და ირგვლივ მიმოიხედა.

— ციხეში არ ვართ?

მოულოდნელად სასაუბრო ოთახის კარი გაიღო. რეიგენმა კატასავით ისკუპა და საფრთხის მოლოდინში კარატეს პოზა მიიღო. როცა ნახა, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ რიგითი ადვოკატი იყო, რომელიც ამოწმებდა, ოთახი დაკავებული იყო თუ არა, დამშვიდდა და დაჯდა.

გერი კლიენტთან დიდი-დიდი 15-30 წუთის გატარებას და მისი ყალთაბანდობის გამოაშკარავებას გეგმავდა, მაგრამ საპატრიმრო ხუთი საათის შემდეგ დატოვა სრულიად დარწმუნებულმა იმაში, რომ ბილი მილიგანი მრავლობითი პიროვნება იყო. ჯუდისთან ერთად ცივ ღამეში გარეთ გამოსული გერის გონება აბსურდულ იდეას უტრიალებდა — გამგზავრებულიყო ინგლისსა და იუგოსლავიაში და არტურის, ან რეიგენის არსებობის დამამტკიცებელი საბუთები მოეძებნა. არც რეინკარნაციის სჯეროდა და არც ეშმაკით შეპყრობილობის, მაგრამ ახლა, როცა ქუჩაში გაოგნებული მიაბიჯებდა, აღიარებდა, რომ იმ პატარა სასაუბრო ოთახში რამდენიმე სხვადასხვა ადამიანს შეხვდა. მან ჯუდის გადახედა, გაოგნებული გვერდით მდუმარედ რომ მოჰყევებოდა.

— უნდა ვაღიარო, რომ ინტელექტუალურ და ემოციურ შოკში ვარ. მჯერა. და მე მგონი, იმასაც კი შევძლებ, რომ ჯო ენიც დავარწმუნო ჩემს სიმართლეში, როცა მკითხავს, რატომ არ მივედი შინ სადილად. მაგრამ ეს ოხერი, პროკურორს და მოსამართლეს როგორღა დავუმტკიცოთ?

21 თებერვალს ექიმ ტერნერის კოლეგამ, საუთვესტის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრის ფსიქიატრმა, დიუ სტელა კაროლინმა სახალხო დამცველებს შეატყობინა, რომ ექიმმა კორნელია უილბურმა, რომელმაც სახელი სიბილის, თექვსმეტი ალტერნატიული პიროვნების მქონე ქალის მკურნალობით გაითქვა, 10 მარტს მილიგანის სანახავად კენტუკიდან ჩამოსვლაზე თანხმობა განაცხადა. დოროთი ტერნერმა და ჯუდი სტივენსონმა, რომლებიც უილბურის სტუმრობისთვის ემზადებოდნენ, საკუთარ თავზე აიღეს არტურის, რეიგენის და სხვების დარწმუნება, რომ საიდუმლო კიდევ ერთი ადამიანისთვის გაემხილათ. თითოეული პიროვნების დარწმუნებას ისევ საათები დასჭირდა. აქამდე ცხრა სახელი იცოდნენ: არტური, ალენი, ტომი, რეიგენი, დევიდი, დენი და ქრისტოფერი, მაგრამ ქრისტინს, ქრისტოფერის სამი წლის დას, ჯერ არ შეხვედროდნენ. არც მთავარ, თუ „ძირითად“ პიროვნებას — ბილის იცნობდნენ, რომლის ძილსაც დანარჩენები სდარაჯობდნენ.

როცა, ბოლოს და ბოლოს, საიდუმლოს სხვებისთვის გაზიარების ნებართვა მიიღეს, ჯგუფი შეკრიბეს, რომელშიც პროკურორიც შედიოდა, რათა ფრანკლინის ციხეში ექიმ უილბურისა და მილიგანის შეხვედრას დაკვირვებოდა.

ჯუდი და გერი ბილის დედას — დოროთის, უმცროს დას — ქეთის და უფროს ძმას — ჯიმს გაესაუბრნენ და მიუხედავად იმისა, რომ ბილიზე ძალადობის შესახებ უშუალო ინფორმაციის მიწოდება ვერც ერთმა ვერ შეძლო, ბილის დედამ თქვა, რომ ჩაღმერ მილიგანი მის ვაჟს ზოგჯერ სცემდა ხოლმე. მასწავლებლებმა, მეგობრებმა და ნათესავებმა სახალხო დამცველებს ბილის უც-

ნაური ქცევა, თვითმკვლელობის მცდელობები და ტრანსული მდგომარეობის შემთხვევები აუწერეს. ჯუდის და გერის ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ოჰაიოს კანონმდებლობის შესაბამისად, სრული საფუძველი ჰქონდათ განეცხადებინათ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფს სასამართლოს წინაშე წარდგენა არ შეეძლო. მაგრამ ისიც ესმოდათ, რომ აქ კიდევ ერთი დაბრკოლება იკვეთებოდა — თუკი მოსამართლე ფლაუერსი „საუთვესტის“ ანგარიშს მიიღებდა, ბილი მილიგანს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გაგზავნიდნენ გამოკვლევისა და მკურნალობის ჩასატარებლად. მისი ლიმის სახელმწიფო სასამართლო-ფსიქიატრიულ კლინიკაში გაგზავნა არ უნდოდათ, რადგან ამ დაწესებულებას ყოფილი კლიენტებისაგან იცნობდნენ და დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბილი იქ ვერ გადარჩებოდა.

ექიმ უილბურს მილიგანი პარასკევს უნდა ენახა, მაგრამ პირადი მიზეზების გამო გეგმა შეეცვალა და ჯუდიმ გერის ამის სათქმელად სახლიდან დაურეკა.

— შუადღის მერე ოფისში მოდიხარ? — ჰკითხა მან.

— არ ვაპირებდი.

— ეს ამბავი უნდა გავარკვიოთ, — თქვა ჯუდიმ, — „საუთვესტი“ გვიმტკიცებს, ლიმას ვერაფერი შეცვლისო, მე კიდევ რაღაც მკარნახობს, რომ სხვა რამის მოფიქრებაც შეგვიძლია.

— მისმინე, რაც თერმოსტატი გამორთეს, ოფისში ყინავს, — უთხრა ჯუდიმ, — ელი გასულია, მე კიდევ აქ ბუხარი მინთია. გამო, ირლანდიურ ყავას გაგიკეთებ და გადავხედოთ.

გერის გაეცინა.

— ოკეი, შემაბი და ეგ არის.

ნახევარ საათში ბუხრის წინ ისხდნენ. გერი ხელებს ჩაიდნის ორთქლზე ითბობდა.

– გეუბნები, რეიგენი რომ გამოვიდა, მართლა მაგრად დაფეთდი. მიკვირს, რა კარგი ტიპი გამოდგა.

– მეც ზუსტად მაგას ვფიქრობდი, – უთხრა ჯუდიმ.

– არტური „სიძულვილის მცველს“ ეძახის. რამე ცოტა საშიშს ველოდებოდი. არადა სინამდვილეში რა სასიამოვნო და საინტერესო ტიპია. აგვისტოში „ნეიშენუაიდ პლაზაზე“ იმ ქალის გაუპატიურებას რომ უარყოფს, მისი ბოლომდე მჯერა. მაგრამ როცა ამბობს, ის სამი ქალი არ გამოუპატიურებიაო, ამაში უკვე ეჭვი მეპარება.

– პირველზე გეთანხმები. მაგ ბრალდებას აშკარად ტენიან. სულ სხვანაირი დანაშაულის მოდელია. მაგრამ სამი ქალი ხომ ნამდვილად გაიტაცეს, გაძარცვეს და გააუპატიურეს, – თქვა ჯუდიმ.

– დანაშაულებების შესახებ ხომ მხოლოდ მისი მოგონებების ფრაგმენტები და ნამსხვრევები გვაქვს. ძალიან უცნაურია, რეიგენი რომ ამბობს, რომ მეორე მსხვერპლი იცნო და ადრეც შეხვედრია.

– ახლა კი ვიგებთ, რომ ტომის გაახსენდა, როგორ გამოვიდა შუქზე „უნდის“ საგზაო რესტორანთან, როცა მესამე მსხვერპლთან ერთად ჰამბურგერს ჭამდა და როგორ დაასკვნა, რომ მის ერთ-ერთ პიროვნებას იმ ქალთან პაემანი ჰქონდა.

– პოლი ნიუტონის ჩვენება საჰამბურგერესთან გაჩერებას ადასტურებს. ისიც თქვა, რომ მოძალადე უცნაურად გამოიყურებოდა, სექსი ორიოდე წუთში შეწყვიტა, თქვა, რომ ამის გაკეთება არ შეეძლო და საკუთარ თავს მიმართა: „ბილ, რა გჭირს? აბა, თავი ხელში აიყვანე!“ მერე კი პოლის უთხრა, რომ აზრზე მოსასვლელად ცივი შხაპის გადავლება სჭირდებოდა.

– და ის რაღაც სიგიჟე, რომ ამტკიცებდა, „თჰე ჭეატჰერმენ“-ის წევრი ვარ და მაზერატი მყავსო?

— ეტყობა, ერთ-ერთი ტრაბახობდა.

— ოკეი, მოდი ვალიართ, რომ არც ჩვენ ვიცით, რა მოხდა და არც რომელიმე იმ პიროვნებამ, ვისაც შევხვდით.

— რეიგენი ძარცვას აღიარებს, — თქვა ჯუდიმ.

— ჰო, მაგრამ გაუპატიურებებს უარყოფს. ეს ამბავი უცნაურია. როგორ წარმოგიდგენია, ორი კვირის მანძილზე რეიგენს სამჯერ დაეღია, ამფეტამინები მიეღო, მერე დილაადრიან ოჰაიოს უნივერსიტეტის კამპუსამდე თერთმეტი მილი ერბინა, მსხვერპლი აერჩია და მაშინვე გათიშულიყო?

— შექიდან გასულიყო, — შეუსწორა ჯუდიმ.

— ჰო, მაგას ვგულისხმობ, — და ჭიქა შესავსებად გაუწოდა, — თითოეული შემთხვევისას შექიდან გადის და მერე შუა კოლამბუსში მოდის აზრზე, ჯიბე ფულით აქვს გამოტენილი და ასკვნის, რომ დაგეგმილი ძარცვა ჩაიდინა. მაგრამ თვითონ ძარცვა არ ახსოვს. სამიდან არც ერთი. როგორც ამბობს, ამასობაში რომელიღაცამ დრო მოიპარა.

— რაღაც ნაწილები აკლია, — თქვა ჯუდიმ, — ვიღაცა სროლაში ვარჯიშობდა — ბოთლებს ესროდა და არხში ყრიდა.

— ეს იმას მოწმობს, რომ ეგ რეიგენი ვერ იქნებოდა. როგორც იმ ქალმა თქვა, რამდენიმე წამი იარაღი ვერ მომართა. დიდხანს ეჩალიჩებოდა, რომ დამცავი მოეხსნა და მერე რამდენიმე ბოთლს ააცილა. რეიგენისნაირი ექსპერტი არ ააცილებდა.

— მაგრამ არტური ხომ ამბობს, დანარჩენებს რეიგენის იარაღისთვის ხელის ხლება აკრძალული აქვთო.

— ერთი ჩვენი თავი მანახა, მოსამართლე ფლაუერსისთვის მაგის ახსნას რომ დავიწყებთ.

— ავუხსნათ?

— არ ვიცი, — თქვა გერიმ, — მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე პიროვნებისათვის შეურაცხადობის საბუთის გამო-

ყენება სისულელეა. ოფიციალურად ეგ სინდრომი ფსიქოზად კი არა, ნევროზად არის კლასიფიცირებული. თვითონ ფსიქიატრები ამბობენ, რომ მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონეები შეურაცხადები არ არიან.

— კარგი, — სიტყვა ჩამოართვა ჯუდიმ, — მაშინ, მოდი, ავიღოთ და პირდაპირ უდანაშაულობას მივაწვეთ, შეურაცხადობის მტკიცების გარეშე. მოქმედების წინასწარგანზრახულობას შევუყენოთ წყალი, როგორც კალიფორნიელი მრავლობითი პიროვნების დაცვის მხარემ გააკეთა.

— იქ მეორეხარისხოვან დანაშაულზე იყო ლაპარაკი. ჩვენს შემთხვევაში მრავლობითი პიროვნების ასე მარტივად დაცვა არ გამოვა. ცხოვრება ვერაგია.

ჯუდიმ ამოიოხრა და ცეცხლს მიაშტერდა.

— ერთსაც გეტყვი, — განაგრძო გერიმ და წვერზე ხელი ჩამოისვა, — მოსამართლე ფლაუერსმა საქმეს ჩვენი თვალითაც რომ შეხედოს, მაინც ლიმაში გაგზავნის. ბილის ლიმისნაირი ადგილის შესახებ ციხეში ყოფნისას სმენია. გახსოვს რეიგენმა რა თქვა ევთანაზიაზე? თუ იქ გამიშვებენ, ბავშვებს დავხოცავო. ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე მოიქცევა.

— მაშინ სადმე სხვაგან გავაგზავნინოთ!

— „საუთვესტი“ ამბობს, სასამართლომდე ლიმა ერთადერთი ადგილია, სადაც სამკურნალოდ გავგზავნითო.

— ლიმაში ცოცხალი თავით არ გავატან, — თქვა ჯუდიმ.

— პატარა შესწორება, — მიუგო გერიმ და ჭიქა ასწია, — არ გავატანთ.

ჭიქები მიუჭახუნეს და მერე ჯუდიმ ისევ გაავსო.

— ვერ ვეგუები, არჩევანი რომ არ გვაქვს.

— ჩვენც ავდგეთ და ვიპოვოთ გამოსავალი, — უთხრა გერიმ.

— მართალი ხარ, ვიპოვით, — დაეთანხმა ჯუდი.

— ჩვენამდე ეს არავის გაუკეთებია, — თქვა გერიმ და წვერიდან ნაღები მოიწმინდა.

— მერე რა? ოჰაიოში ბილი მილიგანს აქამდე არ უცხოვრია.

ჯუდიმ თაროდან „ოჰაიოს სისხლის სამართლის კოდექსის“ გაცვეთილი ტომი ჩამოიღო და რიგრიგობით შეუდგნენ ხმამაღლა კითხვას.

— კიდევ დაგისხა ირლანდიური? — ჰკითხა ჯუდიმ.

— არა, მაგარი შავი ყავა გამიკეთე.

ორი საათის შემდეგ გერიმ ჯუდის ისევ წააკითხა ამონარიდი კოდექსიდან. ჯუდი თითოთ ჩამოყვა გვერდს მუხლამდე ნომრით 2945.38

„...თუკი სასამართლო ან საბჭო მას ფსიქიკურად არაჯანსაღად სცნობს, ამის შემდეგ სასამართლო მას საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში მოქმედ ფსიქიკურად დაავადებულთა ან გონებრივად ჩამორჩენილთა საავადმყოფოს გადასცემს. თუკი სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს, ბრალდებულს ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოს გადასცემს მანამდე, სანამ არ განიკურნება. გამოჯანმრთელების შემდეგ კი იგი კანონის თანახმად, სასამართლოზე უნდა წარსდგეს“.

— აჰა! — იყვირა გერიმ და წამოხტა, — „საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში მოქმედ საავადმყოფოს“ — ეს ხომ მართლ ლიმას არ გულისხმობს.

— ვიპოვეთ!

— ღმერთო, — თქვა გერიმ, — ჩვენ კიდევ გვეუბნებოდნენ, სასამართლომდე ლიმის ალტერნატივა არ არსებობსო.

— ახლა სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ მყოფი სხვა ფსიქიატრიული უნდა ვიპოვოთ.

გერიმ შუბლზე ხელი იტკიცა.

— ღმერთო ჩემო, ვიცი ერთი ასეთი. ჯარის მერე იქ ფსიქიატრის თანაშემწედ ვმუშაობდი. ჰარდინგის საავადმყოფო.

— ჰარდინგი? მერე სასამართლოს იურისდიქციის ქვეშ არის?

— კი. უორთინგტონშია, ოჰაიოში. და ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატიული, რესპექტაბელური ფსიქიატრიული საავადმყოფოა. მეშვიდე დღის ადვენტისტების ეკლესიასთან არის ასოცირებული. ყველაზე მკაცრი პროკურორებისგან მსმენია: „თუ ჯორჯ ჰარდინგი-უმცროსი იტყვის, ეს კაცი შეურაცხადია, დავიჯერებთ“. ამბობენ, სხვა ექიმებივით არ არის, ნახევარი საათი რომ სინჯავენ პაციენტს და მერე პირდაპირ რომ აცხადებენ, გიჟიაო.

— პროკურორები ასე ამბობენ?

გერიმ მარჯვენა ხელი მაღლა ასწია.

— სწორედ ასე, მე მგონი მაგას საერთოდაც ტერი შერმანი ამბობდა. ჰო, და კიდევ მგონი დოროთი ტერნერი ამბობდა, რომ ჰარდინგისთვის ხშირად ატარებდა ტესტებს.

— ჰოდა, ჰარდინგში გავეუშვებთ, — თქვა ჯუდიმ.

გერი უცებ დაჯდა და მოიღუშა.

— ერთი პრობლემაა — ჰარდინგის საავადმყოფო ექსკლუზიური, ძვირი, კერძო კლინიკაა. ბილის კიდევ ფული არა აქვს.

— ეგ ვერ შეგვაჩერებს, — უთხრა ჯუდიმ.

— კი მაგრამ, იქ როგორ დავაწვენთ?

— ისე ვიზამთ, რომ ბილის აყვანა თვითონ მოუნდეთ.

— მაგას როგორ ვაპირებთ? — ჰკითხა შვეიკარტმა.

ნახევარი საათის შემდეგ გერიმ ჩექმებიდან თოვლი ჩამოიბერტყა და ჰარდინგის კარზე ბარი დარეკა. უცებ თავისი თავი წარმოიდგინა — წვერებიანი, დარტყმული სახალხო დამცველი კონსერვატიული, ოფიციალური ფსიქიატრის — არც მეტი, არც

ნაკლები, პრეზიდენტ უორენ გ. ჰარდინგის ძმის შვილიშვილის პირისპირ, მისსავე მდიდრულ სახლში.

აჯობებდა, ჯუდი მოსულიყო. უკეთეს შთაბეჭდილებას მოახდენდა. გერიმ მოშვებული ჰალსტუხი მოიჭირა, პერანგის ამოჩაჩული საყელო პიჯაკში ჩაიტანა და კარიც გაიღო.

ორმოცდაცხრა წლის ჯორჯ ჰარდინგი უზადოდ ჩაცმული, თხელი, სუფთად გაპარსული მამაკაცი იყო რბილი გამომეტყველებითა და წყნარი ხმით. გერის ის საკმაოდ სანდომიანი ეჩვენა.

— მობრძანდით, მისტერ შვეიკარტ.

გერიმ წვალებით გაიხადა ჩექმები და ფოიეში დატოვა. მერე პალტო საკიდზე ჩამოკიდა და ექიმ ჰარდინგს მისაღებში გაჰყვა.

— თქვენი სახელი მეცნო, — თქვა ჰარდინგმა, — მერე, ტელეფონზე რომ გესაუბრეთ, გაზეთები გადავამოწმე. მილიგანს იცავთ, არა? იმ ახალგაზრდას, ოჰაიოს უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ოთხ ქალს რომ დაესხა თავს.

გერიმ თავი გაიქნია.

— სამს. აგვისტოში, „ნეიშენუაიდ პლაზაზე“ მომხდარი თავდასხმა სრულიად განსხვავებული იყო და სიიდან უეჭველად ამოვარდება. საქმე ძალიან უჩვეულოდ შემოტრიალდა. ამ საკითხზე თქვენი კონსულტაციის მიღების იმედი მქონდა.

ჰარდინგმა გერის რბილ ტახტზე დაჯდომა ანიშნა, თვითონ კი მაგარ სკამზე დაჯდა. მან თითის წვერები შეატყუპა და ყურადღებით უსმენდა გერის, რომელიც დეტალურად უყვებოდა, რა შეიტყვეს მან და ჯუდიმ მილიგანის შესახებ და რა შეხვედრა იყო დაგეგმილი კვირას ფრანკლინის ციხეში. ჰარდინგმა თავი ფიქრიანად დაუქნია. საუბარი რომ წამოიწყო, სიტყვებს საგულდაგულოდ არჩევდა.

— სტელა კაროლინსა და დოროთი ტერნერს ნამდვილად ვაფასებ, — აქ ჰარდინგი ჩაფიქრდა და ჭერს მიაშტერდა, — ტერნე-

რი შეთავსებით ჩვენთანაც მუშაობს ტესტირებაზე და ამ საქმეზე უკვე მესაუბრა. რამდენადაც ექიმი უილბურიც იქ იქნება... — თითის წვერებს შორის იატაკს დახედა, — მიზემს ვერ ვხედავ, მე რატომ არ შეიძლება დავესწრო. კვირასო, ასე თქვით, ხომ?

გერიმ, რომელიც ხმის ამოდებას ვერ ბედავდა, თავი დაუქნია.

— უნდა გითხრათ, მისტერ შვეიკარტ, რომ „მრავლობითი პიროვნების აშლილობის“ სახელით ცნობილ სინდრომს დიდი ეჭვით ვუყურებ. მიუხედავად იმისა, რომ ექიმმა კორნელია უილბურმა 1975 წლის ზაფხულში ჰარდინგის საავადმყოფოში მართლაც ჩაატარა ლექცია სიბილის შესახებ, დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რომ ამის მჯერა. მისი და ასეთ ხალხთან მომუშავე სხვა ფსიქიატრების მიმართ ჩემი პატივისცემის მიუხედავად... ამგვარ შემთხვევებში სავსებით შესაძლებელია, პაციენტი ამნემიას აყალბებდეს. თუმცა, თუ ტერნერი და კაროლინი იქ იქნებიან... და თუ ექიმი უილბურიც ჩამოდის...

ჰარდინგი წამოდგა.

— ჩემი ან საავადმყოფოს სახელით თავს ვერ დავდებ, მაგრამ შეხვედრას სიამოვნებით დავესწრები.

როგორც კი შინ მივიდა, გერიმ ჯუდის დაურეკა.

— ეი, ადვოკატო, — უთხრა სიცილით, — ჰარდინგი საქმეშია.

შაბათს, 11 მარტს, ჯუდი ფრანკლინის ციხეში მივიდა, რათა მილიგანისთვის ეთქვა, რომ გეგმები შეიცვალა და ექიმი უილბური მხოლოდ მეორე დღეს ჩამოდიოდა.

— გუშინ უნდა მეთქვა, — უთხრა ჯუდიმ, — მაპატიე.

მილიგანს ძლიერი კანკალი აუტყდა. გამომეტყველების მიხედვით ჯუდი მიხვდა, რომ დენის ესაუბრებოდა.

— დოროთი ტერნერი არ დაბრუნდება, არა?

— დაბრუნდება, დენი, აბა რას იზამს. ეგ რამ გაფიქრებინა?

— ადამიანები გპირდებიან და მერე ივიწყებენ ხოლმე. არ მიმატოვოთ.

— არ მიგატოვებ, მაგრამ თავი ხელში უნდა აიყვანო. ექიმი უიღბური ხვალ ჩამოვა, სტელა კაროლინიც აქ იქნება, დოროთი ტერნერიც, მეც... და კიდევ რამდენიმე კაცი.

დენიმ თვალები დაჭყიტა.

— სხვა ხალხი?

— კიდევ ერთი ექიმი — ექიმი ჰარდინგი, ჰარდინგის საავადმყოფოდან და პროკურორი ბერნი იავიჩი.

— კაცები? — ამოილულულა დენიმ. ისე ცახცახებდა, კბილს კბილზე აცემინებდა.

— შენს დასაცავად ეს აუცილებელია, — მიუგო ჯუდიმ, — მაგრამ მე და გერიც იქ ვიქნებით. მისმინე, მგონი ჯობია, დასამშვიდებლად რამე წამალი მოგიტანო.

დენიმ თავი დაუქნია.

ჯუდიმ დაცვას დაურეკა და სთხოვა, სანამ ექიმთან ავიდოდა, მისი კლიენტი მოსაცდელში გაეჩერებინათ. რამდენიმე წუთში მობრუნებულებს მილიგანი ოთახის შორეულ კუთხეში მოკუნტული დახვდათ, სახე სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, ცხვირიდანაც სისხლი სდიოდა. თავი კედლისთვის მიერთყა.

მან უმწეოდ ახედა და ჯუდი მიხვდა, რომ ეს უკვე დენი კი არა, ტკივილის მცველი იყო.

— დეივიდი ხარ? — ჰკითხა მან.

მან თავი დაუქნია.

— მტკივა, მის ჯუდი. ძალიან მტკივა. აღარ მინდა სიცოცხლე.

ჯუდიმ ის თავისკენ მიიზიდა, მოეხვია და მკლავებში დაარწია.

— მაგას ნუ ამბობ, დეივიდ. უამრავი რამეა, რის გამოც უნდა იცხოვრო. შენი ბევრს სჯერა და დაგეხმარებიან.

— ციხეში წასვლის მეშინია.

- არ გაგიშვებენ ციხეში, დევიდ, ვიბრძოლებთ ამისთვის.
- ცუდი არაფერი გამიკეთებია.
- ვიცი, დევიდ, მჯერა შენი.
- დღორითი ტერნერი როდის მოვა ჩემს სანახავად?
- ხომ გით... – და უცებ მიხვდა, რომ მას კი არა, დენის უთხრა.
- ხვალ, დევიდ. სხვა ფსიქიატრთან ერთად. ექიმი უილბური ჰქვია.
- საიდუმლოს ხომ არ ეტყვით?
- ჯუდიმ თავი გაიქნია.
- არა, დევიდ, დარწმუნებული ვარ, ექიმ უილბურისთვის თქმა არ მოგვიწევს.

12 მარტს, კვირას, დილა ნათელი და სუსხიანი იყო. ბერნი იავიჩი მანქანიდან გადმოვიდა და ფრანკლინის ციხეში შევიდა. ეს ყველაფერი ძალზე ეუცნაურებოდა. პირველი შემთხვევა იყო, როცა იგი, როგორც პროკურორი, ფსიქიატრის მიერ ბრალდებულის გასინჯვას უნდა დასწრებოდა. „საუთვესტის“ და პოლიციის გამოგზავნილი ანგარიშები გულდასმით რამდენჯერმე გადაიკითხა, მაგრამ მაინც ვერ ხვდებოდა, რისი მოლოდინი უნდა ჰქონოდა. ვერ დაეჯერებინა, რომ მთელი ეს სახელგანთქმული ექიმები ამ „მრავლობითი პიროვნების“ ამბავს სერიოზულად აღიქვამდნენ. ის, რომ მილიგანის გასასინჯად კორნელია უილბური ჩამოდიოდა, მასზე შთაბეჭდილებას არ ახდენდა. უილბურს ამ ამბის სჯეროდა და შესაბამისად, დიაგნოზის დამადასტურებელი სიმპტომების ძებნას დაიწყო. სათვალავში ჩასაგდები მხოლოდ ექიმი ჰარდინგის აზრი იქნებოდა. იავიჩს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ოჰაიოში უფრო პატივსაცემ ფსიქიატრს ვერ იპოვიდა. იცოდა, ექიმ ჰარდინგს თავს ვერავინ ვერაფერს მოახვევდა. ბევრ ისეთ წამყვან პროკურორს, ფსიქიატრებს ანგარიშს დიდად რომ არ უწევდა, უთქვამს, ჯორჯ ჰარდინგი — უმცროსი გამო-ნაკლისიაო.

ცოტა ხნის შემდეგ დანარჩენებიც მოგროვდნენ და გადაწყვიტეს, ინტერვიუ ქვედა სართულზე მდებარე ოთახში მოეწყოთ, სადაც დასაკვეცი სკამები, დაფები და მაგიდა იყო — აქ პოლიციელები ყოველ ცვლაში იკრიბებოდნენ.

იავიჩი ექიმ სტელა კაროლინს, შეილა კაროლინსა და „საუთვესტის“ სოციალურ მუშავს, შეილა პორტერს მიესალმა, მათ კი ის ექიმებს — უილბურსა და ჰარდინგს წარუდგინეს. მერე კარი

გაიღო და იავიჩმა პირველად დაინახა ბილი მილიგანი. დღორითი ტერნერი წინ მიუძღოდა, უკან გერი მიჰყვებოდა. გვერდით კი — ჯუდი სტივენსონი, რომელსაც მილიგანისთვის ხელი ჩაეველო. ოთახში რომ შემოვიდნენ, ამდენი ხალხის შემხედვარე მილიგანი შეეცოცმანდა. დღორითი ტერნერმა სათითაოდ გააცნო ყველას ერთმანეთი და ბილი კორნელია უილბურის გვერდით დასვა.

— ექიმო უილბურ, ეს დენია, — თქვა ჩუმად დღორითიმ.

— გამარჯობა დენი, — მიესალმა უილბური, — მიხარია, რომ გაგიცანი. თავს როგორ გრძნობ?

— კარგად, — უპასუხა მან და დღორითის მკლავს ჩაებღაუჭა.

— ვიცი, ალბათ ამდენ უცხო ადამიანთან ერთად ოთახში ყოფნა გაშფოთებს, მაგრამ ჩვენ აქ შენს დასახმარებლად ვართ, — უთხრა უილბურმა.

ყველამ კუთვნილი ადგილი დაიკავა. შვეიკარტი წინ გადაიხარა და იავიჩს უჩურჩულა:

— ამას რომ ნახავ, კიდევ თუ არ დაიჯერებ, მზად ვარ იურისტის ლიცენზია ჩემი ნებით დავაბრუნო უკან.

უილბური მილიგანისთვის შეკითხვების დასმას რომ შეუდგა, იავიჩი მოეშვა. ჟღალთმიანი და წითელპომადიანი უილბური მიმზიდველ, ენერგიულ დედას ჰგავდა. დენიმ მის შეკითხვებს უპასუხა და არტურზე, რეიგენსა და ალენზე მოუთხრო. უილბური იავიჩს მიუბრუნდა.

— ხედავთ? მრავლობითი პიროვნებისთვის ტიპურია, როცა დანარჩენების შესახებ უპრობლემოდ გიყვება, მაგრამ საკუთარ თავზე საუბარი უჭირს.

კიდევ რამდენიმე შეკითხვისა და პასუხის შემდეგ მან ექიმ ჯორჯ ჰარდინგს მიმართა:

— ეს ისტერიული ნევროტიკის დისოციაციური მდგომარეობის ნათელი მაგალითია.

დენიმ ჯუდის შეხედა და თქვა:

— ეს ქალი, მგონი, შუქიდან გავიდა.

ჯუდიმ გაუღიმა და წაიჩურჩულა:

— არა, დენი, მას ასე არ ემართება.

— არა, ამას შიგნით ნამდვილად ბევრი ადამიანი ჰყავს, — დაიწინა დენიმ, — მე სხვანაირად მელაპარაკება, მერე იცვლება და არტურივით სერიოზული სიტყვებით იწყებს ლაპარაკს.

— ნეტავ ამ ყველაფერს მოსამართლე ფლაუერსი ხედავდეს, — თქვა უილბურმა, — ვიცი ამ ახალგაზრდა კაცის შიგნით რაც ხდება. ვიცი რაც სჭირდება.

დენიმ თავი მოატრიალა და დოროთი ტერნერს საყვედურით შეხედა:

— ამას უთხარით, არა? დამპირდით, არ ვეტყვიო და მაინც უთხარით!

— არა, დენი, — თქვა ტერნერმა, — არ მითქვამს. ექიმი უილბური ხვდება რაშია საქმე, იმიტომ, რომ შენნაირ სხვა ადამიანებსაც იცნობს.

კორნელია უილბურმა დენი მტკიცე, მაგრამ ნაზი ხმით დააშოშმინა. თვალებში ჩახედა, სთხოვა, დამშვიდებულიყო. მარცხენა ხელი შუბლზე მიიდო და მისი ბრილიანტის ბეჭედი დენის თვალებში აირეკლა და აბრჭყვიალდა.

— ახლა სრულებით მოდუნებული ხარ და თავს საუცხოოდ გრძნობ, დენი. არაფერი გაწუხებს. მოდუნდი. შეგიძლია თქვა ან გააკეთო ნებისმიერი რამ, რაც გინდა.

— წასვლა მინდა, შუქიდან მინდა გავიდე, — თქვა დენიმ.

— რაც მოგესურვება, ის გააკეთე, დენი. იცი რა, შენ რომ წახვალ, ბილის მინდა დაველაპარაკო. იმ ბილის, ამ სახელით რომ დაიბადა.

დენიმ მხრები აიჩეჩა.

— ბილის ვერ მოვიყვან. სძინავს. მისი გაღვიძება მხოლოდ არტურს და რეიგენს შეუძლიათ.

— უთხარი არტურს და რეიგენს, რომ ბილის უნდა ველაპარაკო. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

იავიჩი გაოგნებული უყურებდა, როგორ ჩაუქრა მზერა დენის. ტუჩები ამოძრავდნენ, ტანი გაიმართა და დაბნეული სახით მიმოიხედა. თავიდან არაფერს ამბობდა. შემდეგ სიგარეტი ითხოვა. ექიმმა უილბურმა ერთი ღერი მიაწოდა და ახალგაზრდა კაცი უკან რომ გადაწვა, ჯუდი სტივენსონმა იავიჩს უჩურჩულა, ერთადერთი მწეველი პიროვნება ალენიაო. უილბურმა კიდევ ერთხელ წარუდგინა თავი და ოთახში მყოფი ადამიანები, რომელთაც ალენი არ შეხვედროდა. იავიჩი გაოგნებული იყო, როგორი შეცვლილი ჩანდა მილიგანი, როგორი მოდუნებული და კომუნიკაბელური. იღიმებოდა, გულახდილად და ლაღად საუბრობდა. პატარა ბიჭივით მორცხვი დენისგან ძალიან განსხვავდებოდა. ალენმა უპასუხა უილბურის შეკითხვებს მისი ინტერესების შესახებ. უთხრა, ფორტეპიანოსა და დასარტყამ ინსტრუმენტებზე ვუკრავ, ასევე ვხატავ — უმეტესად, პორტრეტებსო. თვრამეტისა იყო და ბეისბოლი უყვარდა, მაშინ, როცა ტომის ეს თამაში ეზიზღებოდა.

— კარგი, ალენ, — უთხრა უილბურმა, — ახლა არტურს მინდა ვესაუბრო.

— კი ბატონო, — თქვა ალენმა.

იავიჩი უყურებდა, როგორ დაართყა ალენმა წასვლამდე სიგარეტის ორიოდუე სწრაფი, ღრმა ნაფაზი. ეს მწეველისათვის დამახასიათებელი პაწაწინა დეტალი იყო — ერთი-ორის სწრაფად მოქაჩვა მანამდე, სანამ არამწეველი არტური გამოჩნდებოდა. მზერა ისევ გაეყინა, ქუთუთოები უთრთოდა. მერე თვალები გაახილა, უკან გადაიხარა, ქედმაღლური გამომეტყველებით მიმოიხე-

და და თითები პირამიდასავით შეატყუპა. ხმა რომ ამოიღო, მაღალი წრის ბრიტანული აქცენტით საუბრობდა.

იავიჩი წარბშეკრული უსმენდა. ხედავდა და ესმოდა, როგორ ესაუბრებოდა ექიმ უილბურს სრულიად სხვა ადამიანი. არტურის მზერა და სხეულის ენა ალენისაგან აშკარად განსხვავებული იყო. იავიჩს ერთი ბრიტანელი მეგობარი ჰყავდა — კლივლენდელი ბუდალტერი — და პროკურორი მათი საუბრის მსგავსებით, მეტყველების ავთენტურობით განცვიფრებული იყო.

— ამ ხალხს, მგონი, არ შევხვედრივარ, — თქვა არტურმა.

ყველა დამსწრე გააცნეს და იავიჩმა თავი იდიოტად იგრძნო არტურს ისე რომ ესალმებოდა, გეგონება ოთახში ეს-ესაა შემოსულიყო. როცა უილბური არტურს დანარჩენებზე შეეკითხა, მან ყველას როლი აუწერა და ახსნა, ვის ჰქონდა ან არ ჰქონდა გამოსვლის უფლება. ბოლოს ექიმმა უილბურმა თქვა:

— ბილის უნდა ველაპარაკოთ.

— მისი გაღვიძება ძალზე სახიფათოა, — თქვა არტურმა, — მოგეხსენებათ, თვითმკვლელობისადმი ძლიერი მიდრეკილება ახასიათებს.

— ძალიან მნიშვნელოვანია, ექიმ ჰარდინგს შევახვედროთ. სასამართლო პროცესის შედეგი შესაძლოა, ამაზე იყოს დამოკიდებული. თავისუფლება და მკურნალობა, ან — ციხე.

არტური დაფიქრდა, ტუჩები მოკუმბა და თქვა:

— ეს ჩემი გადასაწყვეტი როდია. რამდენადაც ციხეში — მტრულ გარემოში ვართ, დომინანტი რეიგენია და მხოლოდ ის იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, შუქზე ვინ გამოვა და ვინ — არა.

— რეიგენი თქვენს ცხოვრებაში რა როლს ასრულებს? — ჰკითხა უილბურმა.

— რეიგენი რისხვის მცველი და განმკარგველია.

— კარგი, რეიგენს უნდა ველაპარაკო, — მოჭრა ექიმმა უილბურმა.

— მადამ, ჩემი რჩევაა...

— არტურ, დრო ცოტა გვაქვს. უამრავმა დაკავებულმა ადამიანმა გამოყო შაბათის დილა, აქ შენს დასახმარებლად რომ მოსულიყო. რეიგენი უნდა დაგვთანხმდეს და ბილი დაგვალაპარაკოს.

მილიგანს გამომეტყველება ისევ გაეყინა, მზერა ტრანსში მყოფივით გაუშეშდა. ტუჩები ამოძრავდნენ, თითქოს შინაგანი, უხმო საუბარი მიმდინარეობდა. მერე ყბები დაუვიწროვდა და წარბი მოეჭმუნა.

— არ შეიძლება, — დაიბუხუნა ხმამ ძლიერი, სლავური აქცენტით.

— რას გულისხმობთ? — ჰკითხა უილბურმა.

— არ შეიძლება რომ ბილისთან ილაპარაკოტ.

— ვინ ხართ?

— მე რეიგენ ვადასკოვინიჩი. ეს ხალხი ვინ არიან?

ექიმმა უილბურმა ყველა გააცნო. იავიჩი კიდევ ერთხელ გაოცდა ცვლილებით, მკვეთრი სლავური აქცენტით. ინატრა, იუგოსლავურად ან სერბულ-ხორვატულად ორიოდ ფრაზა სცოდნოდა, რომ გაეგო, რეიგენს მხოლოდ აქცენტი ჰქონდა, თუ ენაც ესმოდა. უნდოდა, უილბური ჩასძიებოდა და თქმას აპირებოდა, მაგრამ ყველა წინასწარ გაფრთხილებული იყო, გაცნობის შემდეგ ხმა არ ამოეღოთ. ექიმმა უილბურმა რეიგენს ჰკითხა:

— საიდან იცოდით ბილისთან რომ მიხდოდა საუბარი?

— არტური იკითხა ჩემი აზრი. მე არ ვეტანხმები. ეს ჩემი უპლება როგორც დამცველის, გადავწყვიტო ვინ გამოდის შუკბე. ბილისტვის გამოსვლა შეუძლებელი.

— კი მაგრამ, რატომ?

– თქვენ ეკიმი, ხომ? მოდი ახლა ასე ვიტკვი – შეუძლებელი, იმიტომ თუ ბილი გაიგვიძებს, ტავს მოიკლავს.

– ეს ასე დანამდვილებით საიდან იცით?

რეიგენმა მხრები აიჩეჩა.

– როცა ბილი შუკზე გამოდის, პიკრობს რაგაცა ცუდი გავაკეთე და ცდილობს, ტავი მოიკლას. ეს ჩემი პასუხის გება არის. მე ვამბობ არა.

– თქვენი პასუხისმგებლობა რა არის?

– დაიცვა კველა, განსაკუთრებით პატარები.

– გასაგებია. და მოვალეობას ყოველთვის უნაკლოდ ასრულებდით? პატარებისთვის არასდროს არაფერი დაუშავებიათ, ან უტკენიათ, იმიტომ, რომ ამისგან თქვენ იცავდით?

– სულ ასე არა. დევიდი გრძნობს ტკივილი.

– და დევიდს ტკივილის მიღების საშუალებას აძლევთ?

– ეს მისი მოვალეობა.

– თქვენისთანა დიდი, ღონიერი კაცი პატარა ბავშვს აიძულებს მთელი თავისი ტკივილის და ტანჯვის გადატანას?

– ეკიმი, უილბურ, მე არ...

– გრცხვენოდეთ, რეიგენ. არა მგონია ავტორიტეტობას იმსახურებდეთ. მე ექიმი ვარ და ასეთ შემთხვევებთან ადრეც მქონია საქმე. ვფიქრობ, რომ მე უნდა ვწყვეტდე, შეუძლია თუ არა ბილის გამოსვლა და არა ის, ვინც უმწეო ბავშვს ტკივილის გადატანას აიძულებს, როცა თვითონ იქვეა და შეუძლია ცოტაოდენი ტანჯვა თავის მხრებზეც გაინაწილოს.

რეიგენი შეიშმუშნა, შერცხვენილი და დამნაშავე გამომეტყველება მიიღო. წაილულლულა, რომ ექიმს სიტუაცია საერთოდ არ ესმოდა, მაგრამ უილბურის წყნარმა და მკვეთრად დამაჯერებელმა ხმამ კვლავ დაადუმა.

— კარგი, — თქვა მან ბოლოს, — ტკვენია პასუხის გება. მაგრამ კველა კაცი უნდა გავიდეს. ბილის ეშინია კაცების იმის მერე, რაც მამამისი გაუკეტა.

გერი, ბერნი იავიჩი და ექიმი ჰარდინგი ადგნენ და გასასვლელად მოემზადნენ, მაგრამ ჯუდიმ თქვა:

— რეიგენ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ექიმ ჰარდინგს დარჩენისა და ბილის ნახვის საშუალება მივცეთ. უნდა მენდო. ექიმი ჰარდინგი ამ შემთხვევის სამედიცინო ასპექტებით ძალზე დაინტერესებულია და დარჩენის ნება უნდა დავართოთ.

— ჩვენ გავალთ, — თქვა გერიმ და თავის თავზე და იავიჩზე მიუთითა. რეიგენმა ვითარების შესაფასებლად ოთახში მიმოიხედა.

— ნებას ვაძლევ, — თქვა მან და დიდი ოთახის ბოლოში მდგარ სკამზე მიუთითა, — მაგრამ იკ უკან დაჯდება და იკ გაჩერდეს.

ჯორჯ ჰარდინგი თავს უხერხულად გრძნობდა. მან ოდნავ გაიღიმა, თავი დაუქნია და კუთხეში დაჯდა.

— და არ გაინდობრეს! — თქვა რეიგენმა.

— არ გავინძრევი.

გერი და ბერნი იავიჩი დერეფანში გავიდნენ და გერიმ თქვა:

— მთავარ პიროვნებას, ბილის არ შევხვედრივარ. არ ვიცი, გამოვა თუ არა. მაგრამ შენ რა რეაქცია გქონდა იმაზე, რაც ნახე და მოისმინე?

იავიჩმა ამოიოხრა.

— თავიდან ძალიან სკეპტიკური განწყობა მქონდა. ახლა არ ვიცი რა ვიფიქრო. თუმცა არა მგონია, თამაშობდეს.

ოთახში დარჩენილები ყურადღებით აკვირდებოდნენ, როგორ გაფითრდა მილიგანი. თვალები ამოუბრუნდა, ტუჩები აუმოძრავდა, თითქოს ძილში ლაპარაკობსო. უცებ თვალები ფართოდ გაახილა.

— ღმერთო ჩემო! — იყვირა მან, — მეგონა, მოვკვდი!

მილიგანი სკამზე მკვეთრად შემოტრიალდა. მასზე მიშტერებული ხალხი რომ დაინახა, სკამიდან იატაკზე გადახტა და მოპირდაპირე კედლისაკენ კიბორჩხალასავით ოთხზე გახობდა, რომ მათგან რაც შეიძლება შორს ყოფილიყო. ორ დასაკვეც სკამს შორის გაძვრა, მოიკუნტა და ასლუკუნდა.

— ახლა რაღა დავაშავე?

კორნელია უილბურმა ნაზი, მაგრამ ურყევი ხმით უთხრა:

— არაფერი დაგიშავებიათ, ახალგაზრდავ. სადარდებელი არაფერი გაქვთ.

მილიგანი ცახცახებდა, კედელს ისე ეკვროდა, გეგონება მის მიღმა გაძვრომა უნდაო. თმა თვალეებზე ჩამოშლოდა და მის მიღმა იყურებოდა. უკან გადაწევა არც უცდია.

— ბილი, ალბათ არ იცი, მაგრამ ამ ოთახში ყველა შენს დასახმარებლად არის მოსული. ახლა სჯობს, იატაკიდან ადგე და სკამზე დაჯდე, რომ შენთან საუბარი შეეძლოს.

ოთახში მყოფებისათვის ცხადი იყო, რომ უილბური ვითარებას აკონტროლებდა და ზუსტად იცოდა, რას აკეთებდა — პაციენტის ფსიქიკის საჭირო სიმებს ათამაშებდა, რათა რეაქცია გამოეწვია.

ბილი ადგა და სკამზე დაჯდა. მუხლები ნერვიულად უცახცახებდა, მთელი სხეულით თრთოდა.

— არ მოვმკვდარვარ?

— ძალიანაც ცოცხალი ხარ, ბილი. ვიცით, რომ პრობლემები გაქვს და დახმარება გჭირდება. ხომ ასეა?

თვალეებგაფართოებულმა ბილიმ თავი დაუქნია.

— მითხარი, ბილი, რატომ მიარტყი იმ დღეს კედელს თავი?

— მეგონა, მოვკვდი. მერე გამეღვიძა და აღმოვაჩინე, რომ ციხეში ვიყავი, — თქვა მან.

— იქამდე რა გახსოვს?

— სკოლის სახურავზე რომ ავედი. აღარ მინდოდა კიდევ ექიმებთან მისვლა. ლანკასტერის ფსიქიატრიულის ექიმმა ბრაუნმა ვერ მომარჩინა. მე მეგონა, გადავხტი. რატომ არ ვარ მკვდარი? თქვენ ვინლა ხართ? ასე რატომ მიყურებთ?

— ექიმები და ადვოკატები ვართ, ბილი. აქ შენს დასახმარებლად მოვედით.

— ექიმები? მამილო ჩალი მომკლავს თქვენ თუ დაგელაპარაკებით.

— რატომ, ბილი?

— არ უნდა ვინმეს ვუთხრა, რა გამიკეთა.

უილბურმა შეკითხვის გამომხატველი სახით ჯუდი სტივენსონს გადახედა.

— მამინაცვალი, დედამისი ჩალმერ მილიგანს ექვსი წლის წინ გასცილდა, — აუხსნა ჯუდიმ,

ბილიმ გაოგნებულმა მიმოიხედა.

— გაშორდა? ექვსი წელია?

სახე ხელებით მოისინჯა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილი იყო.

— შეუძლებელია.

— ბევრ რამეზე უნდა დავილაპარაკოთ, ბილი, უამრავი ამოვარდნილი რამ უნდა აღვადგინოთ, — უთხრა უილბურმა.

ბილიმ გაშმაგებით მიმოიხედა.

— აქ როგორ მოვხვდი? რა ხდება?

ასლუკუნდა და წინ და უკან ქანაობა დაიწყო.

— ვიცი, რომ დაღლილი ხარ, ბილი, ახლა შეგიძლია დაბრუნდე და დაისვენო, — თქვა უილბურმა.

უეცრად ტირილი შეწყდა. ბილის სახეზე დაკვირვებული, თუმცა დაბნეული გამომეტყველება აღიბეჭდა. ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლები ხელით მოისინჯა და წარბები შეკრა.

— რა ხდება აქ? ტირილის ხმა მესმოდა, მაგრამ არ ვიცოდი, საიდან მოდიოდა. ღმერთო, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ცოტაც და გაიქცეოდა და კედელს შეასკდებოდა. ვინ იყო?

— ეს ბილი იყო, — თქვა უილბურმა, — პირველადი ბილი, „მასპინძელი“ ან „ძირითადი პიროვნება“. შენ ვინ ხარ?

— არ ვიცოდი ბილის გამოსვლის უფლება თუ მიცეს. ჩემთვის არავის უთქვამს. მე ტომი ვარ.

გერისა და ბერნი იავიჩს ოთახში დაბრუნების ნება დართეს. ტომი ყველას წარუდგინეს, რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს და ისევ თავის საკანში დააბრუნეს. როცა იავიჩმა გაიგო, რაც მოხდა, თავი გააქნია. ეს ყველაფერი ისეთივე არარეალური ჩანდა, როგორც სულებით და დემონებით შეპყრობილი სხეულების ისტორიები. გერის და ჯუდის უთხრა:

— არ ვიცი, რას ნიშნავს ეს ყველაფერი, მაგრამ თქვენი, დანარჩენების მხარეზე ვარ. არა მგონია თამაშობდეს.

მხოლოდ ექიმ ჰარდინგს არ უთქვამს გარკვევით არაფერი. თქვა, ჯერჯერობით მსჯელობისაგან თავს ვიკავებო. ნანახი და მოსმენილი უნდა შეეფასებინა და მეორე დღეს თავისი დასკვნა მოსამართლე ფლაუერსისთვის გაეგზავნა.

რას ჰილს, ექიმს, რომელმაც ტომი ისევ ზევით აიყვანა, წარმოდგენა არ ჰქონდა, მილიგანის თავს რა ხდებოდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ პაციენტის სანახავად უამრავი ექიმი თუ ადვოკატი მიმოდოდა. კიდევ ის, რომ მილიგანი ძალზე ცვალებადი გუნების ახალგაზრდა იყო და კარგად ხატავდა. კვირის დიდი შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ რასმა საკანს ჩაუარა და დაინახა, როგორ ხატავდა მილიგანი. გისოსებს შორის შეიჭყიტა და ძალიან ბავშვური ნახატი დაინახა. ქვეშ ბეჭდური ასოებით რამდენიმე სიტყვა ეწერა. მცველი მიუახლოვდა და სიცილი დაიწყო.

— უსინდისო ვიყო, ჩემი ორი წლის ბავშვი ამ წყეულ მოძალადეზე უკეთ თუ არ ხატავდეს...

— თავი დაანებე, — უთხრა ჰილმა.

მცველს ხელში წყლიანი ჭიქა ეჭირა. წყალი გისოსებს შორის შეასხა და ნახატი დაასველა.

— ეს რატომ გააკეთე? რა ჯანდაბა დაგემართა? — ჰკითხა ჰილმა.

მაგრამ მცველმა გისოსებს მიღმა მილიგანის სახე დაინახა და სასწრაფოდ უკან დაიხია. პატიმარი აშკარად გამწარებული იყო. ირგვლივ იყურებოდა, რამე რომ მოეხელთებინა და ესროლა. უცებ უნიტაბს დასწვდა, კედლიდან მოგლიჯა, გისოსებს ესროლა და მიამსხვრია. მცველი უკან გახტა და განგაშის ღილაკზე დასაჭერად გაიქცა.

— ღმერთო, მილიგან! — იყვირა ჰილმა.

— კრისწინის ნახატი ცვალი შეასხა. ბავშვების ნახატების გაპუჩება არ შეიძლება!

კორიდორში ექვსი პოლიციელი შემოიჭრა, მაგრამ ამ დროისთვის მილიგანი უკვე გაოცებული სახით იატაკზე იჯდა.

— ზარალის გადახდა მოგიწევს, შე ძაღლიშვილო! ეს ოლქის ქონებაა! — დაუყვირა მცველმა.

ტომი ზურგით კედელს მიეყუდა, ხელები აგდებულად ამოიღო თავქვეშ და უთხრა:

— გაგვარი ოლქის ქონებას.

1978 წლის 13 მარტით დათარიღებულ წერილს ექიმი ჯორჯ ჰარდინგი მოსამართლე ფლაუერს სწერდა:

„ინტერვიუზე დაყრდნობით მივიჩნევ, რომ უილიამ ს. მილიგანი არაკომპეტენტურია სასამართლოზე წარსადგენად, რადგან თავის დასაცავად ადვოკატთან თანამშრომლობა არ შეუძლია. გარდა ამისა, ემოციური წონასწორობა აკლია იმისათვის, რომ გამამართლებელი ჩვენება მისცეს, მოწმეთა წინაშე წარსდგეს, სასამართლოს დაესწროს და ამავე დროს, ქმედუნარიანი ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეინარჩუნოს“.

ექიმ ჰარდინგს ახლა კიდევ ერთი გადაწყვეტილება უნდა მიეღო. შვეიკარტმა და იავიჩმა სთხოვეს, ქმედუნარიანობის შეფასებაზე მეტი გაეკეთებინა და მოეთხოვა, ჰარდინგის საავადმყოფოს მილიგანი შესამოწმებლად და სამკურნალოდ მიეღო. ჯორჯ ჰარდინგი ჭოჭმანობდა. ინტერვიუზე პროკურორ იავიჩის დასწრებამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პროკურორის მხრიდან ეს, მისი აზრით, ფრიად უჩვეულო საქციელი იყო. შვეიკარტმა და იავიჩმა დაარწმუნეს, რომ ამით მილიგანი „დაცვის მხარის“ ან „საბრალდებო მხარის“ ინტერესების სასარგებლო მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა. ორივე მხარე თანახმა იყო, რომ მისი ანგარიში პროტოკოლში „საგანგებო პოზიციის“ სტატუსით შესულიყო. როგორ უნდა ეთქვა უარი, როცა ამას ორივე მხარე სთხოვდა? მან, როგორც ჰარდინგის საავადმყოფო-

ფოს სამედიცინო დირექტორმა, განაცხადი ადმინისტრატორსა და ფინანსურ ოფიცერს წარუდგინა.

— პრობლემებისთვის თავი არასოდეს აგვირიდება, — უთხრა მათ ჰარდინგმა, — ჰარდინგის საავადმყოფო საკუთარ თავზე მხოლოდ მარტივ საქმეებს როდი იღებს.

ჯორჯ ჰარდინგის ბრწყინვალე რეკომენდაციის საფუძველზე, სადაც ეწერა, რომ ეს თანამშრომელთათვის დამატებითი გამოცდილების მიღების კარგი შესაძლებლობა, საავადმყოფოსთვის კი ფსიქიატრიული ცოდნის სფეროში წვლილის შეტანის მშვენიერი შანსი იქნებოდა, კომიტეტი დათანხმდა, მიეღოთ ბილი მილიგანი სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამი თვის განმავლობაში.

14 მარტს მილიგანს ჰილმა და კიდევ ერთმა პოლიციელმა მიაკითხეს.

— ქვევით გეძახიან, — უთხრა მცველმა, — მაგრამ შერიფმა თქვა, დამაწყნარებელი ხალათი ჩააცვით და ისე წაიყვანეთო.

ხალათი ისე ჩააცვეს და საკნიდან ლიფტამდე ისე მიიყვანეს, მილიგანს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ქვევით, კორიდორში ჯუდი და გერი ელოდნენ, ერთი სული ჰქონდათ, როდის ეტყოდნენ, რომ მისთვის კარგი ამბავი ჰქონდათ. ლიფტის კარი რომ გაიღო, მათ რას ჰილი და მცველი დაინახეს, რომლებიც პირდაღებულები უყურებდნენ დამაწყნარებელი ხალათიდან თითქმის მთლიანად გამომძვრალ მილიგანს.

— შეუძლებელია, — თქვა მცველმა.

— ხომ გითხარით, ეგ ვერ დამაკავებს-მეთქი. ვერც ციხე და საავადმყოფო დამაკავებს.

— ტომი, შენ ხარ? — ჰკითხა ჯუდიმ.

— კი ბატონო, — ჩაიფრუტუნა მან.

– აქეთ წამო, – უთხრა გერიმ და საკონფერენციო დარბაზისკენ წაიყვანა, – სალაპარაკო გვაქვს.

ტომიმ გერის მკლავი გამოსტაცა.

– რა ხდება?

– კარგი ამბავია, – მიუგო ჯუდიმ.

გერიმ თქვა:

– ექიმი ჯორჯ ჰარდინგი თანახმაა, სასამართლომდელი დაკვირვებისა და მკურნალობის მიზნით ჰარდინგის საავადმყოფოში მიგიღოს.

– ეგ რას ნიშნავს?

– ორი ვარიანტია, – აუხსნა ჯუდიმ, – გარკვეული დროის შემდეგ ან ქმედუნარიანად გამოგაცხადებენ და სასამართლოს თარიღს დანიშნავენ, ან პროცესისათვის ქმედუნაროდ გცნობენ და ბრალდებას გააუქმებენ. პროკურატურა თანახმაა და მოსამართლე ფლაუერსმა იმ კვირაში შენი აქედან ჰარდინგის საავადმყოფოში გადაყვანის მითითება გასცა, ოღონდ ერთი პირობით...

– რა სულ პირობებს მიყენებენ, – თქვა ტომიმ.

გერი წინ გადაიხარა და მაგიდაზე თითით დააკაკუნა.

– ექიმმა უილბურმა მოსამართლეს უთხრა, რომ მრავლობითი პიროვნებები სიტყვის პატრონები არიან. იცის, თქვენთვის სიტყვის მიცემა როგორი მნიშვნელოვანია.

– მერე?

– მოსამართლე ფლაუერსი ამბობს, რომ თუკი პირობას მოგვცემ, რომ ჰარდინგის საავადმყოფოდან გაქცევას არ ეცდები, ახლავე შეგვიძლია შენი გათავისუფლება და იქ გაგზავნა.

ტომიმ გულხელი დაიკრიფა.

– ჯანდაბა, მაგას არ დაგპირდებით.

– უნდა დაგვპირდე! – იყვირა გერიმ, – თავები დავიხოცეთ, ლიმაში რომ არ გაეგზავნე და ახლა ამას გვეუბნები?

— აბა რა გეგონათ, — თქვა ტომიმ, — გაქცევა ყველაზე მაგრად გამოდის. აქ ჯერ კიდევ იმიტომ ვარ, რომ ჩემი ნიჭის გამოყენების უფლება არ მომცეს.

გერიმ თმაში თითები ისე შეიცურა, გეგონებოდა, დაგლეჯას აპირებსო. ჯუდიმ ტომს ხელი მკლავზე დაადო.

— ტომი, უნდა დაგვპირდე. შენს თავზე თუ არ ფიქრობ, ბავშვებზე იფიქრე. პატარებზე. ხომ იცი, მათთვის ეს რა ცუდი ადგილია. ჰარდინგის საავადმყოფოში კარგად მოუვლიან.

ტომიმ ხელები ჩამოუშვა და მაგიდას მიაშტერდა. ჯუდიმ იცოდა, რომ სუსტ წერტილს მიაგნო. უკვე ხვდებოდა, რომ სხვა პიროვნებებს პატარები ძალიან უყვარდათ და დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ.

— კარგი, ჰო, გპირდებით, — უხალისოდ უთხრა მან.

ტომის არ გაუშხელია, რომ როცა პირველად გაიგო, რომ შეიძლებოდა ლიმაში გადაეყვანათ, სანდო პირისგან სამართებლის პირი იყიდა, რომელიც ახლა მარცხენა ფეხსაცმლის ლანჩაში ედო. თქმა არ იყო აუცილებელი, მისთვის ხომ არავის უკითხავს. დიდი ხნის წინ ისწავლა, რომ როცა ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაჰყავხარ, თან ყოველთვის უნდა გქონდეს რაიმე იარაღი. პირობას ვერ დაარღვევდა, ვერ გაიქცეოდა, მაგრამ თუ ვინმე მის გაუპატიურებას შეეცდებოდა, თავს მაინც დაიცავდა. თუ არადა, ბილის მისცემდა და ყელს გამოაჭრევინებდა. ჰარდინგის საავადმყოფოში გადაყვანამდე ოთხი დღით ადრე მის საკანში სერუანტი უილისი შევიდა. სთხოვა, ეჩვენებინა, დამაწყნარებელი ხალათიდან როგორ გამოძვრა. ტომიმ შეხედა გამხდარ, შემელოტებულ პოლიციელს, რომლის მუქ სახეს ჭაღარა თმის შერჩენილი ბლუჯები ირგვლივ ჩარჩოსავით ერტყა და წარბშეკრულმა უთხრა:

— რატომ უნდა გაჩვენოთ?

— აქედან ხომ მაინც მიდიხარ. მე კიდევ არც ისეთი მოხუცი ვარ, ახალი რამე რომ ვერ ავითვისო, — უთხრა უილისმა.

— სერჟანტო, ძან ჯიგრულად კი მექცეოდით, მაგრამ საიდუმლოებს ასე ადვილად არ გავცემ ხოლმე, — უთხრა ტომიმ.

— ამით შეგიძლია ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინო.

ტომი ზურგშექცევით იდგა, მაგრამ ახლა უკვე ცნობისმოყვარედ გამოხედა.

— ეგ როგორ?

— შენ რომ ავად არ ხარ, ეგ ვიცით, მაგრამ აქ სხვა ხალხი გყავს, ნამდვილი ავადმყოფები. ხალათს იმიტომ ვაცმევთ, რომ დავიცვათ. აქედან რომ გავიდნენ, შეიძლება თავი მოიკლან. თუ მაჩვენებ, ამას როგორ აკეთებ, შეგიძლია თავი დავიზღვიოთ იმისგან, რომ სხვებმაც იგივე არ გააკეთონ. ასე მათ სიცოცხლეს გადაარჩენ.

ტომიმ მხრები აიჩეჩა, ვითომდა, ეგ რა ჩემი სადარდებელიაო. მაგრამ მეორე დღეს სერჟანტ უილისს დამაწყნარებელი ხალათის გახდის ხრიკი უჩვენა. მერე ასწავლა, როგორ ჩაეცმია ის ვინმესათვის ისე, რომ იქიდან თავისით ვეღარ გამომძვრალიყო.

იმ ღამით გვიანობისას ჯუდის დოროთი ტერნერმა დაურეკა.

— კიდევ ერთია, — უთხრა ტერნერმა.

— კიდევ ერთი რა?

— კიდევ ერთი პიროვნება, რომელზეც არაფერი ვიცოდით. ცხრამეტი წლის გოგო, სახელად ადალანა.

— ღმერთო ჩემო, ესე იგი, ათნი არიან, — წაიჩურჩულა ჯუდიმ.

დოროთიმ უამბო, როგორ მივიდა ციხეში გვიან ღამით, როგორ დაინახა იატაკზე მჯდარი მილიგანი და როგორ გაიგონა მისი ნაზი საუბარი სიყვარულისა და სინაზის საჭიროებაზე. დოროთი გვერდით მიუჯდა, ამშვიდებდა, ცრემლებს სწმენდდა. მერე „ადალანამ“ ახსენა, როგორ წერდა ჩუმად ლექსებს. ტირილით

აუხსნა, რომ მხოლოდ მას შეეძლო შუქიდან რომელიმე სხვა პიროვნების გაყვანა ჩაეფიქრებინა. მისი არსებობის შესახებ დღემდე მხოლოდ არტურმა და ქრისტინმა იცოდნენ.

ჯუდი შეეცადა, სცენა წარმოედგინა: იატაკზე მჯდარი დოროთი, რომელიც მილიგანს ეხვეოდა.

— ახლა რატომ გადაწყვიტა თავის გამოაშკარავება? — ჰკითხა ჯუდიმ.

— ადალანა თავს იდანაშაულებს იმაში, რაც ბიჭებს შეემთხვათ, — უთხრა დოროთიმ, — ეს მან მოჰპარა დრო რეიგენს გაუპატიურებებისას.

— რას გულისხმობ?

— ადალანამ თქვა, ეს იმიტომ ჩავიდინე, რომ ძალიან მჭირდებოდა ვინმეს ჩახუტება, მოფერება და სიყვარული.

— როგორ? ადალანამ?

— ადალანა ლესბოსელია.

ჯუდიმ დაკიდა და ტელეფონს დიდხანს იყო მიშტერებული. ქმარმა ჰკითხა, რაზე დაურეკეს. მან პირი გააღო სათქმელად, მაგრამ მერე თავი გაიქნია და სინათლე ჩააქრო.

თავი მესამე

1

ბილი მილიგანი ფრანკლინის ციხიდან ჰარდინგის საავადმყოფოში ორი დღით ადრე, 16 მარტის დილას გადაიყვანეს. ექიმმა ჰარდინგმა წინასწარ შეკრიბა და მოამზადა მილიგანი-სათვის თერაპევტების გუნდი, მაგრამ როცა მილიგანი მოულოდნელად მიიყვანეს, ჰარდინგი იქ არ დახვდა — ჩიკაგოში იყო, ფსიქიატრთა შეხვედრაზე. ჯუდი სტივენსონმა და დოროთი ტერნერმა, რომლებიც ჰარდინგის საავადმყოფოსკენ მომავალ პოლიციის მანქანას უკან მოჰყვებოდნენ, იცოდნენ, რა საშინელი დარტყმა იქნებოდა დენისათვის ისევ ციხეში დაბრუნება. მორიგე ექიმი შუმეიკერი დათანხმდა, ექიმ ჰარდინგის დაბრუნებამდე პაციენტი პერსონალური მეთვალყურეობის ქვეშ აეყვანა და შერიფის წარმომადგენელმა ტუსალი გადასცა. ჯუდიმ და დოროთიმ დენი „უეიკენფილდ კოტეჯამდე“ მიაცილეს — ეს დახურული ფსიქიატრიული დაწესებულება თოთხმეტ მძიმე პაციენტზე იყო გათვლილი, რომლებიც მუდმივ დაკვირვებასა და ყურადღებას საჭიროებდნენ. დენი ერთ-ერთ „განსაკუთრებული მზრუნველობის“ ოთახში გაანაწილეს, რომლის მუხის მძიმე კარს ოცდაოთხსაათიანი დაკვირვებისთვის განსაზღვრული ჭუჭრუტანები ჰქონდა დატანებული. მედდებმა (რომლებსაც ჰარდინგის კლინიკაში „ფსიქ.ტექს“ უწოდებდნენ) სადილი ლანგრით მიუტანეს და სანამ ჭამდა, ორივე ქალი მასთან დარჩა. ნასადილევს მათ ექიმი შუმეიკერი და სამი მედდა შემოემატა. ტერნერმა, რომელიც გრძნობდა, რომ თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვანი

იყო, თავად ენახათ მრავლობითი პიროვნების სინდრომის გამოვლინება, დენის შესთავაზა, იქნებ არტური გამოსულიყო იმ ადამიანების გასაცნობად, ამიერიდან მასთან რომ უნდა ემუშავათ. მედლა ედრიენ მაკკანი, განყოფილების კოორდინატორი და თერაპიის ჯგუფის წევრი, ადრევე გააფრთხილეს, მაგრამ ორი დანარჩენი მედლა სრულიად გაოგნებული იყო. დონა ეგარს, ხუთი ქალიშვილის დედას, უჭირდა გარკვეულიყო, რას გრძნობდა კამპუსის მოძალადესთან შეხვედრისას. ეგარი ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ ლაპარაკობდა პატარა ბიჭი, შემდეგ როგორ გაეყინა მზერა და ტრანსში როგორ ჩავარდა, ტუჩები ჩუმად როგორ აუმოძრავდა და საკუთარ თავთან უხმოდ ლაპარაკს როგორ მოჰყვა. რომ ამოიხედა, მკაცრი და ქედმაღლური გამომეტყველება ჰქონდა. ბრიტანული აქცენტით საუბრობდა. დონა სიცილისგან თავს ძლივს იკავებდა — არც დენისა და არც არტურის არსებობა მასზე შთაბეჭდილებას არ ახდენდა — ეს შესანიშნავი მსახიობის კარგ თამაშს ჰგავდა, ციხიდან თავის დაძვრენას რომ ცდილობდა. მაგრამ აინტერესებდა, ბილი მილიგანი როგორი იყო. უნდოდა გაეგო, რა ჯურის ადამიანს უნდა ჩაედინა ისეთი რამ, რაც მან ჩაიდინა. დოროთი და ჯუდი არტურს ესაუბრნენ, არწმუნებდნენ, რომ უსაფრთხო ადგილას იყო. დოროთიმ უთხრა, რამდენიმე დღეში ფსიქოლოგიური ტესტირებისთვის გამოვივლიო. ჯუდი დაჰპირდა, რომ ისა და გერი დროდადრო მოინახულებდნენ საქმესთან დაკავშირებით. „ფსიქ.ტექი“ ტიმ შეპარდი ახალ პაციენტს ჭუჭრუტანიდან 15 წუთში ერთხელ აკვირდებოდა და პირველი დღის საგანგებო საპროცედურო ანგარიშისათვის ჩანაწერებს აკეთებდა.

5:00 — ლოგინზე ზის, ფეხებგადაჯვარედინებული. ჩუმად არის.

5:15 – ლოგინზე ზის, ფეხებგადაჯვარედინებული. გაშტერებულია.

5:32 – დგას, ფანჯრიდან იყურება.

5:45 – სადილი მიართევს.

6:02 – საწოლის კიდეზე ზის. გაშტერებულია.

6:07 – ლანგარი წაიღეს. კარგად უჭამია.

რვის თხუთმეტ წუთზე მილიგანმა ბოლთის ცემა დაიწყო.

რვა საათზე მედდა ჰელენ იეგერი მის ოთახში შევიდა და მასთან ერთად ორმოცი წუთი დაჰყო. მედდის ანგარიშში პირველი ჩანაწერი მოკლე იყო:

„16.03.78 – ბ-ნი მილიგანი კვლავ განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ გვყავს. საგანგებო პირობებში, ყურადღებით აკვირდებიან. მისი მრავალი პიროვნების შესახებ ვისაუბრეთ. ძირითადად „არტური“ ლაპარაკობდა – ინგლისური აქცენტი აქვს. განაცხადა, რომ მისი ერთ-ერთი პიროვნება – კერძოდ, ბილი – თვითმკვლელობისკენ არის მიდრეკილი და 16 წლის ასაკიდან სძინავს, რათა დანარჩენებს საფრთხე აარიდოს. კარგად ჭამს. კუჭი კარგად მოქმედებს. საკვებს კარგად ინელებს. სასიამოვნოდ იქცევა და თანამშრომლობისათვის კარგად არის განწყობილი“.

მედდა იეგერის წასვლის შემდეგ არტურმა ჩუმად უპატაკა დანარჩენებს, რომ ჰარდინგის საავადმყოფო უსაფრთხო და დაცული გარემო იყო. რადგანაც თერაპიისას ექიმების დასახმარებლად გამჭრიახობა და ლოგიკა იქნებოდა საჭირო, ამიერიდან შუქზე მხოლოდ არტური იქნებოდა. იმ დღეს, სამის ოცდახუთ წუთზე, ფსიქ.ტექმა კრის კანმა ოთახიდან ხმაური გაიგონა. შესამოწმებლად რომ შევიდა, პაციენტი იატაკზე მჯდარი დახვდა. ტომი ლოგინიდან ჩამოვარდნილიყო და ბრაზობდა. რამდენიმე წამში ნაბიჯების ხმა გაიგო და ჭუჭრუტანაში თვალი დაინახა. რო-

გორც კი ნაბიჯების ხმა მიწყნარდა, ტომიმ ლანჩიდან სამართებლის პირი ამოაძრო და საგულდაგულოდ დამალა – საწოლის ტიხრის შიდა მხარეს მიაკრა. ეცოდინებოდა, საჭირო დროს სად მოეძებნა.

19 მარტს ჩიკაგოდან დაბრუნებული ჯორჯ ჰარდინგ-უმცროსი უკმაყოფილო დარჩა როცა ნახა, რომ მისი საგანგებოდ გაწერილი გეგმა პაციენტის ნაადრევად გადმოყვანას აერია. მილიგანის მიღებას ის პირადად გეგმავდა. თერაპევტების ჯგუფის შესაკრებად გვარიანი ოფლი ღვარა: ფსიქოლოგი, არტთერაპევტი, ექსტრათერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმები, მედდები, ფსიქოტექნიკები და უეიკფილდის განყოფილების კოორდინატორი მოიხმო და მათთან ერთად მრავლობით პიროვნებასთან დაკავშირებული სირთულეები განიხილა. როცა გუნდის ნაწილმა ღიად განაცხადა, რომ დიაგნოზისა არ სჯეროდათ, ჰარდინგმა მოთმინებით მოუსმინა, საკუთარ სკეფსისზე ესაუბრა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში დახმარება სთხოვა. თითოეული მათგანი მზად უნდა ყოფილიყო უილიამ სტენლი მილიგანის საიდუმლოს გასახსნელად. ექიმმა პერი ეირესმა მილიგანს ექიმ ჰარდინგის დაბრუნების შემდეგ სამედიცინო შემოწმება ჩაუტარა. ეირესმა სამედიცინო ისტორიაში ჩაწერა, რომ მილიგანი კითხვაზე პასუხის გაცემამდე, ჩვეულებრივ, ტუჩებს ამოძრავებდა და თვალებს მარჯვენა მხარეს ატრიალებდა. ეირესმა აღნიშნა, რომ როცა პაციენტს ჰკითხა, ასე რატომ აკეთებდა, მან უპასუხა, დანარჩენებს, უფრო ხშირად კი არტურს ვესაუბრები, რომ კითხვებზე პასუხი მივიღო.

— მაგრამ თქვენ „ბილი“ უნდა დაგვიძახოთ, — უთხრა მილიგანმა, — რომ გიჟი არავის ვეგონოთ. მე დენი ვარ. ფორმა ალენმა შეავსო. დანარჩენებზე საუბრის უფლება არ მაქვს.

ექიმმა ეირესმა ანგარიშში ესეც ახსენა და დასძინა:

– წინასწარ შევთანხმდით, რომ მხოლოდ ბილიზე ვისაუბრებდით. ვფიქრობდით, რომ დენი ყველა დანარჩენის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ბილიზე საუბრისას მოგვაწვდიდა, მაგრამ მან ვერ შეძლო შეთანხმების დაცვა და სხვა პიროვნებების სახელებიც წამოცდა. ავადმყოფობის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ახსოვს, თიაქრის ოპერაციაა, რომელიც 9 წლის ბილის გაუკეთეს. „დევიდი ყოველთვის 9 წლის იყო“. ეს დევიდს გაუკეთეს თიაქრის ოპერაცია. ალენს პერიფერიული მხედველობის დარღვევა აქვს, თუმცა ყველა დანარჩენი ნორმალურად ხედავს.

აქვე: გასასინჯ ოთახში შესვლამდე მოსალოდნელი შემოწმების შესახებ მოვუყევი და დეტალებში ავუწერე. ჩავთვალე, რომ რადგან შარდვის პროცესი დარღვეული ჰქონდა, მნიშვნელოვანი იყო, მისი პროსტატა და თიაქრის ოპერაციის შედეგები რექტალური გზით შეგვემოწმებინა. ეს რომ ვუთხარი, ძალიან აღელდა, ტუჩები და თვალები სწრაფად აამოძრავა. როგორც ჩანს, დანარჩენებს ესაუბრებოდა. ნერვიულად, მაგრამ თავაზიანად მითხრა:

– ამან შეიძლება ბილი და დევიდი გააღიზიანოს, იმიტომ, რომ ფერმაში რომ ვცხოვრობდით, ჩალმერმა ორივე მათგანი მაგ ადგილში გააუპატიურა ოთხ-ოთხჯერ. ჩალმერი ჩვენი მამინაცვალი იყო.

ამასთან დაკავშირებით ისიც დაამატა, რომ ოჯახის ისტორიაში აღწერილი დედა ბილის დედაა.

– მაგრამ დედაჩემი არ არის – დედაჩემს არ ვიცნობ.

რობალი დრეიკს და ნიკ კიკოს, უეიკფილდ კოტეჯის „მინი-ჯგუფის“ პროგრამის დამხმარე თერაპევტებს, ყოველდღიური მუშაობისას მილიგანთან ყველაზე ახლო შეხება ჰქონდათ. ყოველ დილას ათზე და ნაშუადღევს სამზე უეიკფილდის შვიდი-რვა პაციენტი ჯგუფურ პროექტებზე სამუშაოდ იკრიბებოდა. 21 მარტს ნიკ-

მა მილიგანი სპეციალური მეთვალყურეობის ოთახიდან, რომელსაც ახლა მხოლოდ ღამით კეტავდნენ, სამუშაო ოთახში გაიყვანა. გამხდარ ოცდაშვიდი წლის ფსიქ.ტექს, რომელსაც ხშირი წვერი და ორი საყურე – ოქროს თხელი რგოლი და ქარვის თვალი ამშვენებდა, ყური მოეკრა მამაკაცებისადმი ბილის მტრულ დამოკიდებულებაზე ბავშვობაში გადატანილი სექსუალური ძალადობის გამო. მრავლობითი პიროვნება ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა, თუმცა მთლიანობაში ამ საკითხისადმი სკეპტიკურად იყო განწყობილი. როზალის – ოცდაათს მიღწეულ ქერა, ცისფერთვალა შრომით თერაპევტს – მრავლობითი პიროვნების აშლილობასთან საქმე ადრე არასოდეს ჰქონია. მაგრამ ექიმ ჰარდინგისაგან მიღებული ინსტრუქციების შემდეგ გაიაზრა, რომ თანამშრომლები მაშინვე ორ ბანაკად დაიყვნენ – ნაწილს სჯეროდა მილიგანის მრავლობითი პიროვნებისა, ნაწილი კი თაღლითად თვლიდა. თაღლითად, რომელიც ცდილობდა, გაუპატიურებისთვის ციხეში ჩაჯდომა ეგზოტიკური დაავადების მოგონებით აერიდებინა თავიდან. როზალი ცდილობდა, მიუკერძოებლობა შეენარჩუნებინა. როცა მილიგანი ყველასგან მოშორებით მაგიდის კიდეში დაჯდა, როზალიმ უთხრა, რომ მინიჯგუფის პაციენტებმა წინა დღით გადაწყვიტეს, ისეთი კოლაჟები გაეკეთებინათ, მათთვის საყვარელ ადამიანს მათ შესახებ რამეს რომ ეტყოდა.

— არავინ არ მიყვარს და ვისთვის გავაკეთო, — უთხრა მან.

— მაშინ ჩვენთვის გააკეთე, — უთხრა როზალიმ, — ყველა აკეთებს.

და თავისი სამუშაო ფურცელი უჩვენა.

— მე და ნიკიც ვაკეთებთ.

როზალი შორიდან უყურებდა, როგორ აიღო მილიგანმა ქალღალდი ზომით 8X11 და როგორ დაიწყო ჟურნალებიდან ფო-

ტოების ამოჭრა. სმენოდა, რომ მილიგანი კარგად ხატავდა და ახლა, როცა მორცხვ, ჩუმ პაციენტს უმზერდა, ცნობისმოყვარეობა კლავდა, რას გააკეთებდა. ჩუმად, წყნარად მუშაობდა. რომ დაამთავრა, როზალი მივიდა და შეხედა. კოლაჟმა განაცვიფრა. შეშინებულ, აცრემლებულ ბავშვს ქვეშ „მორისონი“ ეწერა. თავზე წითლებში ჩაცმული, გაბრაზებული კაცი დაჰყურებდა, ზედ „საფრთხე“ ეწერა. ქვედა მარჯვენა კუთხეში თავის ქალა ეხატა. შეტყობინების პირდაპირობამ და ემოციის სიღრმემ როზალი შეძრა. ასეთ რამეს არ ელოდა. იფიქრა, რომ კოლაჟი მტკივნეულ ამბავს ყვებოდა. ნახატს რომ შეხედა, გააჟრჟოლა და მიხვდა, რომ მისი გული უკვე მონადირებული იყო. რაც არ უნდა ეფიქრათ მილიგანზე საავადმყოფოში დანარჩენებს, როზალიმ იცოდა, რომ ეს გულქვა სოციოპათის ნამუშევარი არ იყო. ნიკ კიკო როზალის დაეთანხმა.

ექიმი ჯორჯი (მამისგან, ექიმ ჯორჯ ჰარდინგ-უფროსისაგან რომ გაერჩიათ, თანამშრომლები და პაციენტები ასე ეძახდნენ) თემატურ ფსიქიატრიულ ჟურნალებს გაეცნო და აღმოაჩინა, რომ მრავლობითი პიროვნების სინდრომად წოდებული აშლილობა ბოლო დროს გახშირებულიყო. ექიმმა რამდენიმე ფსიქიატრს დაურეკა და ყველამ დაახლოებით ერთი და იგივე უთხრა: „შეგვიძლია ის მცირედი ცოდნა გაგიზიაროთ, რაც გაგვაჩნია, მაგრამ ეს სფერო ჩვენთვის ბოლომდე გასაგები არ არის. გზის გაკვალვა თავად მოგიწევთ“.

ამას უფრო მეტი დრო და ძალისხმევა დასჭირდებოდა, ვიდრე ექიმ ჯორჯს თავიდან წარმოედგინა. ეჭვობდა, რამდენად სწორად მოიქცა, ეს პაციენტი დაფინანსების მოსაპოვებელი გაცხარებული კამპანიისა და საავადმყოფოს გაფართოების ახლადწამოწყებული პროექტის დროს რომ მიიღო. თავი დაირწმუნა, რომ ეს ბილი მილიგანისთვის ბევრს ნიშნავდა, მისი პროფესიისთვის კი

ადამიანის გონების შესახებ ცოდნის გაფართოება იყო მნიშვნელოვანი. ვიდრე სასამართლოს პაციენტის მდგომარეობის ანგარიშს გადასცემდა, ბილი მილიგანის ისტორიის შესწავლა მოუწევდა. ძლიერი ამნეზიის გათვალისწინებით, ეს პრობლემატური საკითხი ჩანდა.

ხუთშაბათს, 23 მარტს გერი შვეიკარტმა და ჯუდი სტივენსონმა კლიენტი ერთი საათით მოინახულეს. მილიგანის ბუნდოვანი მოგონებების აღდგენას, მისი მონათხრობის სამი დაზარალებულის მონაყოლთან შედარებას და ექიმ ჰარდინგის ანგარიშზე დაყრდნობით ალტერნატიული სასამართლო სტრატეგიის შემუშავებას ცდილობდნენ. ორივე ადვოკატს მილიგანი უფრო დამშვიდებული ეჩვენა, თუმცა საგანგებო მეთვალყურეობის ოთახში გამოკეტვა და სპეციალური წარწერის მქონე ტანსაცმლის ტარება არ მოსწონდა.

— ექიმმა ჯორჯმა თქვა, რომ ისე შეუძლიათ მომექცნენ, როგორც დანარჩენ პაციენტებს, მაგრამ აქ არავინ მენდობა. სხვა პაციენტებს ებოში და ექსკურსიებზე სასეირნოდ უშვებენ, მე კი — არა. და მაცოფებს, ყველა დაჟინებით „ბილის“ რომ მეძახის.

ჯუდი და გერი შეეცადნენ, დაემშვიდებინათ. აუხსნეს, რომ ექიმი ჯორჯი მისი აყვანით რისკზე მიდიოდა და ფრთხილად უნდა ყოფილიყო, რომ პერსონალი წყობიდან არ გამოეყვანა. ჯუდი გრძნობდა, რომ ეს ალენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ უკითხავს — ეშინოდა, რომ ვერ ეცნო, არ სწყენოდა. გერიმ უთხრა:

— ვფიქრობ, უნდა ეცადო, აქაურ თანამშრომლებს შეეწყო. ეს შენი ციხისგან გადარჩენის ერთადერთი შანსია.

რომ წამოვიდნენ, ორივემ ერთხმად აღნიშნა, რომ მილიგანის უსაფრთხო მდგომარეობაში ნახვამ შვება მოჰგვარა და ყოველდღიური პასუხისმგებლობის დარდი ცოტა ხნით მაინც ჩამოსცილდათ მხრებიდან. იმავე დღეს, მოგვიანებით დანიშნული თე-

რაპიის პირველი სეანსი ექიმ ჰარდინგისათვის ორმოცდაათწუთიანი დაძაბული შეხვედრა გამოდგა. მილიგანი უეიკფილდის სასაუბრო ოთახში ფანჯრის პირდაპირ, სკამზე იჯდა. თავიდან მზერით კონტაქტზე საერთოდ უარს აცხადებდა. წარსულის შესახებ ძალზე ცოტა რამ ახსოვდა, თუმცა მამინაცვლის მხრიდან განცდილ ძალადობაზე თავისუფლად საუბრობდა. ჰარდინგი ხვდებოდა, რომ პაციენტს მეტისმეტი სიფრთხილით ეპარებოდა. ექიმმა უილბურმა ურჩია, რაც შეიძლება მალე გაერკვია, რამდენ პიროვნებასთან ჰქონდა საქმე და მათი იდენტობები დაედგინა. ალტერნატიული პიროვნებებისათვის ბიძგი უნდა მიეცა, რომ თავად ეთქვათ, რატომ არსებობდნენ და თავისუფლად მოეთხროთ იმ სპეციფიკური გარემოებების შესახებ, რამაც მათი შექმნა გამოიწვია. შემდეგ თითოეული ალტერნატიული პიროვნება ერთმანეთისთვის უნდა გაეცნოთ, რათა მათ შორის კავშირი დამყარებულიყო და ერთმანეთს პრობლემებთან გამკლავებაში დახმარებოდნენ, განცალკევებისა და გაუცხოების ნაცვლად, ყველაფერი ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ. უილბურის თქმით, სტრატეგია პიროვნებების ერთად შეკრების შედეგად ბილისთვის — საფუძველმდებარე პიროვნებისათვის — წარსულის მოგონებების გაცნობაში მდგომარეობდა. შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა შერწყმის მცდელობაც. მიუხედავად იმისა, რომ უილბურის მეთოდით მუშაობის ცდუნება დიდი იყო (ჰარდინგს ახსოვდა, რა ოსტატურად გამოჰყავდა მას ციხეში სააშკარაოზე სხვადასხვა პიროვნებები), ჯორჯ ჰარდინგმა დიდი ხნის წინ მნიშვნელოვანი გაკვეთილი მიიღო — ის, რაც სხვის ხელში მუშაობდა, მის შემთხვევაში ყოველთვის არ ამართლებდა. თავს ძალზე კონსერვატულ ადამიანად თვლიდა. ამიტომ აპირებდა, თავისებურად, მისთვის ხელსაყრელ დროს ემოქმედა და ასე გაერკვია, საბოლოოდ ვისთან, თუ რასთან ჰქონდა საქმე. ამასობაში მედდა

დონა ეგარმა აღმოაჩინა, რომ მილიგანთან პირისპირ ყოფნა საკმაოდ ხშირად უწევდა. მილიგანს ცოტა ეძინა, გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე პაციენტების უმეტესობას. თანაც, ადრე დგებოდა და დონას ხშირად ესაუბრებოდა. იმ ხალხზე უყვებოდა, მის სხეულში მასთან ერთად რომ ცხოვრობდნენ. ერთ დღეს წარწერებიანი ფურცელი მიაწოდა, რომელსაც ქვეშ ხელს „არტური“ აწერდა. შეშინებული ჩანდა და უთხრა:

— „არტურს“ არავის ვიცნობ და ვერ ვხვდები, ფურცელზე რა წერია.

მალე თანამშრომლებმა ექიმ ჯორჯთან წუწუნი დაიწყეს. სულ უფრო და უფრო უჭირდათ ისეთ ადამიანთან ურთიერთობა, წამდაუწუმ რომ ამბობდა, ეს მე არ მიქნია, ვიღაც სხვამ გააკეთაო. ამ დროს, საკუთარი თვალთ ხედავდნენ, რომ ამას სწორედ მილიგანი აკეთებდა. ამბობდნენ, რომ ბილი თანამშრომლებს სხვა პაციენტების მკურნალობაში ხელს უშლიდა და მათით მანიპულირებდა — ხან ერთთან მიდიოდა და ხან მეორესთან, რომ როგორმე ის მიეღო, რაც უნდოდა. გამუდმებით მიანიშნებდა, რომ შეიძლებოდა, რეიგენი გამოსულიყო და საქმეებისთვის მას მიეხედა, თანამშრომლები კი ამას შენიღბულ მუქარად აღიქვამდნენ. ექიმმა წინადადება წამოაყენა, რომ ამიერიდან მილიგანის ალტერნატიულ პიროვნებებთან საქმე მხოლოდ მას ექნებოდა, და ისიც მხოლოდ თერაპიის სეანსებზე. თანამშრომელთა გუნდს სხვა სახელები არ უნდა ეხსენებინა და მათზე არავის არ უნდა ესაუბრა, განსაკუთრებით, სხვა პაციენტების თანდასწრებით. ჰელენ იეგერმა, მედდამ, რომელიც მილიგანს პირველ დღეს გამოელაპარაკა, მკურნალობის ეს გეგმა მედდის ამოცანების ჩანაწერებში 28 მარტს შეიტანა:

„ერთი თვის განმავლობაში ბატონმა მილიგანმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ქმედებებზე, რომელთაც უარყოფს, რადგან ეს ქმედებები თვითმხილველების მიერ არის დადასტურებული“.

გეგმა:

როცა ფორტეპიანოზე დაკვრის ცოდნას უარყოფს, თანამშრომლები ეტყვიან, რომ დაინახეს, ან გაიგონეს, როგორ უკრავდა პიანინოზე (სასხვათაშორისო ტონის შენარჩუნებით). როცა უარყოფს ჩანაწერების დატოვებას და მათზე ინფორმაციის ქონას, თანამშრომლები ეტყვიან, რომ დაინახეს, როგორ წერდა.

როცა პაციენტს თავი სხვა პიროვნებად მოაქვს, თანამშრომლები შეახსენებენ, რომ მას ბილი ჰქვია.

ექიმმა ჯორჯმა თავისი მიდგომა ალენს თერაპიის სენსისას განუმარტა და აუხსნა, რომ დაწესებულების სხვა პაციენტები სხვადასხვა პიროვნებების სახელების გაგებაზე იბნეოდნენ.

— ზოგი თავის თავს სულაც ნაპოლეონს ან იესო ქრისტეს ეძახის, — უთხრა ალენმა.

— კი, მაგრამ მე და თანამშრომლები თუ ერთ დღეს დენის დაგიძახებთ, მეორე დღეს კი — არტურს, რეიგენს, ტომის ან ალენს, ეს უკვე განსხვავებული შემთხვევა იქნება. გთავაზობ, იქნებ თანამშრომლების და პაციენტების წინაშე ყველა შენი პიროვნება თანახმა იყოს, რომ „ბილი“ დაუძახონ...

— პიროვნებები არ არიან, ექიმო ჯორჯ, ადამიანები არიან.

— ამ ცნებებს რატომ ასხვავებ?

— „პიროვნებებს“ რომ ეძახით, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ფიქრობთ, რომ ნამდვილები არ არიან.

3

მ აპრილს, დღოროთი ტერნერის მიერ ფსიქოლოგიური ტესტირების პროგრამის დაწყებიდან რამდენიმე დღეში დონა ეგარმა დაინახა, როგორ სცემდა თავის ოთახში ბოლთას გაბრაზებული მილიგანი. როცა ჰკითხა, რა დაგემართაო, მან ბრიტანული აქცენტით უპასუხა:

— მცირეოდენი წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა ხდება.

მერე დონამ დაინახა, როგორ შეეცვალა მილიგანს სახე, პოზა, სიარულის მანერა და მეტყველება და დენი იცნო. მისი პიროვნების ცვლილების მუდმივობის, პიროვნებების რეალურობის შემხედვარე მედდას აღარ ჰქონდა ეჭვი, რომ მილიგანი ყალბაბანდობდა. მედდებიდან მხოლოდ ის გამოდგა „მორწმუნე“. ორიოდ დღის შემდეგ მილიგანი მასთან მივიდა. ძალიან არეული ჩანდა. დონა სწრაფად მიხვდა, რომ ეს დენი იყო. მან შეხედა და საწყლად ჰკითხა:

— აქ რატომ ვარ?

— რას გულისხმობ, ამ ოთახს თუ ამ შენობას?

მან თავი გაიქნია.

— ვილაც პაციენტებმა მკითხეს, საავადმყოფოში რატომ ვარ.

— იქნებ დღოროთი ტერნერმა აგისხნას, ტესტის ჩასატარებლად რომ მოვა, — უთხრა მედდამ.

იმ საღამოს, დღოროთი ტერნერთან ტესტირებას რომ მორჩა, ხმას აღარავის სცემდა. ოთახში შევარდა და სახის დასაბანად აბაზანაში შევიდა. რამდენიმე წამში დენიმ კარის გაღებისა და დახურვის ხმა გაიგონა. გამოიხედა და ახალგაზრდა პაციენტი ქალი, სახელად დორინი დაინახა. მიუხედავად იმისა, რომ მის პრობლემებს ხშირად თანაგრძნობით ისმენდა და საკუთარსაც უზიარებდა, მისდამი სხვა ინტერესები არ ჰქონდა.

— აქ რა გინდა? — ჰკითხა მილიგანმა.

– შენთან ლაპარაკი მინდოდა. რატომ გაღიზიანდი ასე დღეს საღამოს?

– ხომ იცი, აქ შემოსვლა არ შეიძლება. აკრძალულია.

– ჰო, მაგრამ ისეთი დათრგუნული ჩანხარ...

– ვილაცაზე გავიგე, რაღაც ცუდი როგორ ჩაიდინა. საშინელებაა. სიცოცხლის ღირსი არა ვარ.

ამ დროს ნაბიჯების ხმა მოახლოვდა და კარზე კაკუნიც გაისმა. დორინი მილიგანთან ერთად აბაზანაში შეხტა და კარი მოიხურა.

– ეგ რაღასთვის ქენი? – უხეშად წაიჩურჩულა მილიგანმა, – უარეს შარში გამხვიე. ახლა უარეს ხათაბალაში ვიქნები.

დორინმა გადაიკისკისა.

– ბილი და დორინ, – დაუძახა მედდა იეგერმა, – როცა მზად იქნებით, შეგიძლიათ გამოხვიდეთ.

1979 წლის 9 აპრილის მედდის ჩანაწერებში მედდა იეგერმა ჩაწერა:

„ჩაბნელებულ აბაზანაში მდებრობითი სქესის პაციენტთან ნაპოვნმა მისტერ მილიგანმა შეკითხვაზე გვიპასუხა, რომ დორინთან მარტო ყოფნა სჭირდებოდა, რადგან გაიგო, რომ რაღაც ჩაიდინა და უნდოდა, მისთვის მოეყოლა. იმ საღამოს ფსიქოლოგიური ტესტირებისას მილიგანმა გაიგო, რომ სამი ქალი გაუუპატიურებია. ატირდა, ამბობდა, რომ „რეიგენი და ადალანა სიკვდილის ღირსები არიან“. ექიმ ჯორჯს რომ დაუძახეს, ყველაფერი ახსნა. მილიგანი სპეციალური მეთვალყურეობის ოთახში მოათავსეს. რამდენიმე წუთის შემდეგ პაციენტი იატაკზე მჯდარი დაინახეს, ხელში ხალათის ქამარი ეჭირა. ისევ აცრემლებული იყო და ამბობდა, მათი დახოცვა მინდაო. ცოტა ხანი ვესაუბრეთ და როგორც იქნა, დავარწმუნეთ, რომ ქამრისთვის, რომელიც აქამდე ყელზე ჰქონდა შემოხვეული, თავი დაენებებინა“.

ტესტირებისას დოროთი ტერნერმა სხვადასხვა პიროვნებას შორის ინტელექტის კოეფიციენტის მნიშვნელოვანი სხვაობები აღმოაჩინა.

ქრისტიანი ტესტირებისთვის მეტისმეტად პატარა იყო. ადალანა არ გამოდიოდა, არტურმა კი უარი განაცხადა 1ქ-ს ტესტის ჩაბარებაზე, ამბობდა, ეს ჩემს ღირსებას აღემატებაო. ტერნერმა აღმოაჩინა, რომ დენის რორშახის ტესტის შედეგები ცუდად შენიღბულ მტრულ დამოკიდებულებას და უცხოობისა და არაადეკვატურობის დასაძლევად გარეშეთა მხარდაჭერის მოთხოვნისადაც ამჟღავნებდა. ტომი დენიზე მეტ სიმწიფესა და მოქმედებისადმი მეტ მზაობას აჩვენებდა. მას ყველაზე შიზოიდური მახასიათებლები ჰქონდა და დანარჩენებისადმი ყველაზე გულგრილი იყო. რეიგენმა ძალადობრივი ქცევის ყველაზე დიდი პოტენციალი აჩვენა. არტურს დოროთი მაღალინტელექტუალურად თვლიდა და გრძნობდა, რომ სწორედ ამით ცდილობდა სხვებზე ზეგავლენის შენარჩუნებას. საკუთარი უპირატესობის მტკიცება მისთვის სხვა დანაკლისების კომპენსაციის მექანიზმს წარმოადგენდა, მაგრამ დაძაბულ სიტუაციაში უხერხულობისა და შიშის განცდა იპყრობდა. ალენი ემოციურად თითქმის შეუვალი ჩანდა. ტერნერმა რამდენიმე პიროვნების საერთო მახასიათებელი დაადგინა — მდებარეობითი იდენტობის ნიშნები და ძლიერი სუპერეგო, რომელსაც რისხვის განცდა წალეკავდა ხოლმე. ფსიქოტური პროცესების, ან აბროვნების შიზოფრენიული დარღვევის სიმპტომები არ გამოვლენილა. როცა როზალი დრეიკმა და ნიკ კიკომ გამოაცხადეს, რომ 19 აპრილს მინი ჯგუფი ნდობის სავარჯიშოებს შეასრულებდა, არტურმა შუქზე დენი გამოუშვა. თანამშრომლებმა ოთახი მაგიდებით, სკამებით, ტახტებითა და დაფებით ისე გააწყვეს, რომ „წინააღმდეგობიან სივრცედ“ აქციეს. ნიკმა იცოდა, როგორ ეშინოდა მილიგანს ვაცების და ამიტომ მისთვის

თვალეების ახვევა და წინაღობებიან გზაზე გატარება როზალის შესთავაზა.

— ჩემთან უნდა ითანამშრომლო, ბილი, — უთხრა როზალიმ, — ეს ერთადერთი გზაა სხვა ადამიანებისადმი რწმენის ჩამოყალიბებისათვის, რომ რეალურ სამყაროში არსებობა შეძლო.

ბოლოს, როგორც იქნა, მილიგანმა ნება დართო, მისთვის თვალეები აეხვია.

— ახლა ხელი მომკიდე, — უთხრა როზალიმ და ოთახში შეუძღვა, — წინაღობებს გაგატარებ და დაგიცავ, რომ არაფერს დაეჯახო.

რომ მიჰყავდა, როზალი ცხადად ხედავდა და გრძნობდა მის უკონტროლო შიშს — არ იცოდა საით მიდიოდა და რას შეიძლებოდა დაჯახებოდა. ჯერ ნელა მიდიოდნენ, მერე უფრო სწრაფად — სკამების ირგვლივ, მაგიდების ქვეშ, კიბეზე — ხან ბევით, ხან ქვევით. როზალი და ნიკი აღტაცებით უყურებდნენ, როგორ ძლევდა მილიგანი წინაღობებს.

— ხომ უვნებლად გამოგიყვანე, ბილი?
დენიმ თავი დაუქნია.

— უნდა ისწავლო, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შეგიძლია ენდო. ყველა არა, მაგრამ ზოგიერთი ასეთია.

როზალიმ შენიშნა, რომ მისი თანდასწრებით მილიგანი უფრო და უფრო ხშირად ასრულებდა იმ პატარა ბიჭის როლს, რომელსაც „დენიდ“ იცნობდა. ძალიან განიცდიდა, როცა ხედავდა, რომ მისი ნახატებიდან ბევრი სიკვდილის სცენებს შეიცავდა. მომდევნო სამშაბათს ალენს პირველად დართეს დამატებითი თერაპიის შენობაში სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე დასწრების ნება, სადაც ხაზვისა და ხატვის საშუალება ექნებოდა. დონ ჯონსზე, სასიამოვნო მანერების მქონე არტთერაპევტზე მილიგანის ბუნებრივმა ნიჭმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ ხედავდა,

როგორ შფოთავდა და თავნებობდა ახალმოსული. ხვდებოდა, რომ უცნაური ნახატების მეშვეობით ბილი ყურადღების მიპყრობასა და აღიარების მოპოვებას ცდილობდა. ჯონსმა საფლავის ქვის ნახატზე მიუთითა, რომელზეც „არ განუსვენოს“ ეწერა.

— ამის შესახებ რას გვეტყვი, ბილი? რას გრძნობდი, როცა ამას ხატავდი?

— ეს ბილის ნამდვილი მამაა, — თქვა ალენმა, — ფლორიდაში, მაიამიში ცხოვრობდა, კომიკოსი და კონფერანსიე იყო. მერე თავი მოიკლა.

— იქნებ გვითხრა, რას გრძნობდი? ამ შემთხვევაში შენი განცდების გაგება უფრო გვინდა, ვიდრე დეტალებისა, ბილი.

ალენმა გაბრაზებით მიაგდო ფანქარი მაგიდაზე. მის ნახატს ისევ ბილის მიაწერდნენ. საათს ახედა.

— განყოფილებაში უნდა დავბრუნდე, ლოგინი უნდა გავასწორო.

მეორე დღეს მედდა იეგერს არასწორი მოპყრობის შესახებ შესჩივლა. როცა მედდამ უთხრა, რომ თანამშრომლებსა და პაციენტებს ხელს უშლიდა, ეწყინა.

— ჩემი სხვა ადამიანების საქციელზე პასუხს მე ვერ ვაგებ, — უთხრა მან.

— სხვებს ვერ მივმართავთ, — უთხრა იეგერმა, — მართო ბილის.

მილიგანმა იყვირა:

— ექიმი ჰარდინგი ისე არ მექცევა, როგორც ექიმმა უილბურმა უთხრა. ასეთი მკურნალობა არ ვარგა.

მილიგანმა ჩანაწერების გაცნობა მოითხოვა და როცა მედდა იეგერმა უარი უთხრა, თქვა, რომ ანკეტის ნახვის უფლება ჰქონდა. თქვა, რომ დარწმუნებული იყო, თანამშრომლები მისი ქცევის ცვლილებებს არ იწერდნენ და რომ დაკარგული დროის აღ-

დგენას ველარ შეძლებდა. იმ საღამოს ექიმმა ჯორჯმა რომ მოინახულა, ტომიმ თანამშრომლებს განუცხადა, რომ თავის მკურნალ ექიმს სამსახურიდან ათავისუფლებდა. მერე ოთახიდან ალენი გამოვიდა და თქვა, ექიმს უკან ვაბრუნებო. მას შემდეგ, რაც მონახულების ნება დართეს, მილიგანის დედა, დოროთი მური თითქმის ყოველკვირა მოდიოდა, ხშირად ქალიშვილთან, ქეთისთან ერთად. მისი ვაჟის რეაქციების წინასწარმეტყველება შეუძლებელი იყო. დედის ვიზიტის შემდეგ ზოგჯერ ბედნიერი და გულღია იყო, სხვა დროს — დეპრესიული. ჯონ უინსლოუმ, ფსიქიატრიული მიმართულების სოციალურმა მუშაკმა გუნდის შეხვედრაზე თქვა, რომ დოროთის ყოველ მოსვლაზე ესაუბრებოდა. უინსლოუმ ის თბილ და მოსიყვარულე პიროვნებად დაახასიათა, მაგრამ ეჭვობდა, რომ მორცხვი და სხვაზე დამოკიდებული ბუნების გამო ძალადობის შემთხვევებს წინააღმდეგობას ვერ უწევდა. დოროთის მისთვის უთქვამს, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ბილი ორი ადამიანი იყო — ერთი — კეთილი და მოსიყვარულე ბიჭი და კიდევ მეორე, რომელსაც არ ანაღვლებდა, თუკი ვინმეს გულს სტკენდაო. ნიკ კიკომ აღნიშნა ჩანაწერებში, რომ მისის მურის 18 აპრილის ვიზიტის შემდეგ მილიგანი ძალიან განაწყენებული ჩანდა, ოთახში განმარტოებულიყო და თავზე ბალიში ეფარა. აპრილის ბოლოსთვის, როცა თორმეტი კვირიდან ექვსი უკვე გასული იყო, ექიმმა ჯორჯმა იგრძნო, რომ მოვლენები მეტისმეტად ნელა ვითარდებოდა. სხვა პიროვნებებსა და საწყის პიროვნებას, ბილის შორის დასაკავშირებელი გეგმა ესაჭიროებოდა. მაგრამ ჯერ გარღვევა უნდა მოეხდინა და ბილიმდე მიეღწია, რომელიც იმ დღის შემდეგ არ ენახა, რაც ექიმმა უილბურმა რეიგენი დაარწმუნა და გამოაშვებინა. ექიმმა ჯორჯმა იფიქრა, რომ შესაძლოა, ალტერ ეგოები და ძირითადი პიროვნება მათი საუბრისა და ქცევის ამსახველი ვიდეოჩანაწერების მეშვეობით შეეპირისპირები-

ნა. ექიმმა ჯორჯმა ეს იდეა ალენს გაუზიარა და აუხსნა, როგორი მნიშვნელოვანი იყო პიროვნებებისათვის ერთმანეთთან და ბილისთან ურთიერთობა. ალენი დათანხმდა. მოგვიანებით ალენმა როზალის უთხრა, როგორ უხაროდა ვიდეოზე რომ გადაიღებდნენ. ნერვიულობდა, მაგრამ ექიმმა ჯორჯმა დაარწმუნა, რომ საკუთარ თავზე ბევრ რამეს შეიტყობდა. ექიმმა ვიდეოჩანაწერების პირველი სესია 1-ელ მაისს ჩაატარა. მას დღორითი ტერნერიც ესწრებოდა, რადგან ჰარდინგმა იცოდა, რომ ბილი მისი თანდასწრებით თავს უფრო მშვიდად გრძნობდა და ამით ადალანას გამოყვანაც უფრო გაუადვილდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ადრე ახალი ხალხის გამოყვანის წინააღმდეგი იყო, გაიაზრა, რომ მილიგანის პიროვნების ამ მდებრობითი ასპექტის გაგება, უბრალოდ, აუცილებელი იყო. რამდენჯერმე გაიმეორა, როგორ დაეხმარებოდათ ადალანას გამოსვლა და მასთან საუბარი. ბოლოს, რამდენიმე ცვლილების შემდეგ მილიგანის სახემ ნაზი, ცრემლიანი გამომეტყველება მიიღო. ხმა მოგუდული და ცხვირისმიერი გაუხდა. სახე თითქმის ქალისა იყო. თვალის გუგები უნებურად უტოკავდა.

— მტკივნეულია ლაპარაკი, — თქვა ადალანამ.

ექიმი ჯორჯი შეეცადა, მისი გამოჩენით გამოწვეული აღელვება დაემალა. უნდოდა გამოსულიყო, ელოდა, მაგრამ როცა ეს მართლაც მოხდა, გაოცდა.

— რატომ არის მტკივნეული? — ჰკითხა მან.

— ბიჭების გამო. უბედურებას გადავყარე.

— რა ჩაიდინე? — ჰკითხა ექიმმა.

დღორითი ტერნერი, რომელიც ადალანას გადმოყვანის წინა დღეს ციხეში შეხვდა, ჩუმად იჯდა და უყურებდა.

— არ ესმით, სიყვარული რა არის, — თქვა ადალანამ, — რას ნიშნავს, როცა გეხვევიან და ზრუნავენ შენზე. დრო მე მოვიპარე.

ვიგრძენი, რომ რეიგენი მთვრალი იყო და ტაბლეტები ჰქონდა გადაყლაპული. ო, ძალიან მტკივნეულია ამაზე ლაპარაკი...

— ჰო, მაგრამ საჭიროა, — უთხრა ექიმმა ჯორჯმა, — რომ გავიგოთ...

— ეს მე ჩავიდინე. ახლა გვიანია იმის თქმა, რომ ვწუხვარ, ჰო? ბიჭებს ცხოვრება დაუვნგრე. მაგრამ იმათ უბრალოდ არ ესმოდათ...

— რა არ ესმოდათ? — ჰკითხა ტერნერმა.

— რა არის სიყვარული. რას ნიშნავს სიყვარული რომ გჭირდება. რომ გეხუტებიან. თბილად და დაცულად რომ გრძნობ თავს. არ ვიცი ეს რამ გამაკეთებინა.

— იმ დროს თავს თბილად და დაცულად გრძნობდი?

ადალანა წამით შეჩერდა და მერე წაიჩურჩულა:

— სულ ცოტა ხნით... ის დრო მოვიპარე. არტურს არ გამოვუშვივარ. რეიგენი გავუშვი შუქიდან.

ირგვლივ აცრემლებულმა მიმოიხედა.

— ამას ვერ გადავიტან. სასამართლოზე ვერ გავალ. არ მინდა რეიგენს რამე ვუთხრა... მინდა ბიჭების ცხოვრებიდან გავიდე. აღარ მინდა შარში გავხვიო... ისე საზიზღრად და დამნაშავედ ვგრძნობ თავს... ეს რატომ გავაკეთე?

— პირველად როდის დაიწყე შუქზე გამოსვლა? — ჰკითხა ექიმმა ჯორჯმა.

— შარშან ზაფხულს დავიწყე დროის მოპარვა. ბიჭები ლიბანში ცალკე საკანში რომ იყვნენ, ცოტა დროს ვიპარავდი ლექსების დასაწერად... — და ატირდა, — ბიჭებს რა ელით?

— არ ვიცი, — უთხრა წყნარად ექიმმა ჯორჯმა, — ვცდილობთ, გავიგოთ.

— ძალიან არ ატკინოთ, — უთხრა ადალანამ.

— ოქტომბერში ის შემთხვევები რომ მოხდა, იცოდი, რა იგეგმებოდა? — ჰკითხა მან.

— ჰო, ყველაფერი ვიცოდი. ისეთები ვიცი, თვითონ არტურმაც რომ არ იცის... მაგრამ ვერ შევაჩერებდი. ტაბლეტებს და ალკოჰოლს ვგრძნობდი. არ ვიცი, ეს რატომ ჩავიდინე. ისეთი მარტოსული ვიყავი...

დაისრუტუნა და ერთჯერადი ცხვირსახოცი ითხოვა.

ექიმი ჯორჯი ადალანას სახეს ყურადღებით უყურებდა და კითხვებს ძალიან ფრთხილად უსვამდა, რომ არ დაეფრთხო.

— ისეთი მეგობრები არ გყავდა... სიამოვნებას... რომ მოგანიჭებდნენ? შენს მარტოობას რომ გამკლავებოდი?...

— არასოდეს არავის არ ველაპარაკები. არც ბიჭებს. მარტო ქრისტინს.

— შენ ამბობ, პირველად ზაფხულში გამოვედი შუქზეო, მერე — ლიბანში. მანამდე შუქზე ყოფილხარ?

— შუქზე არა, მაგრამ ადგილზე სულ ვიყავი. დიდი ხანია იქ ვარ.

— როცა ჩალმერმა...

— ჰო! — წამოიყვირა მან, — არ ახსენოთ!

— ბილის დედასთან შეგიძლია ურთიერთობა?

— არა, იმას ურთიერთობა ბიჭებთანაც კი არ შეუძლია.

— ბილის დასთან, ქეთისთან?

— კი, ქეთისთან მილაპარაკია, მაგრამ არ იცოდა. მაღაზიებში წავედით ერთად.

— ბილის ძმასთან, ჯეიმსთან?

— არა, ეგ საერთოდ არ მომწონს.

ადალანამ თვალები შეიმშრალა, სკამის ზურგს მიეყრდნო და სრუტუნით ვიდუოჩამწერს მიაჩერდა. მერე გაჩუმდა და ექიმი

ჯორჯი მიხვდა, რომ ადალანა გავიდა. გაყინულ გამომეტყველებას უყურებდა და ელოდა, შემდეგი ვინ გამოვიდოდა.

— ძალიან დაგვეხმარებოდა ბილისთან საუბარი, — თქვა მან ნაზად და მტკიცედ.

სახემ გაოცებული, შეშინებული გამომეტყველება მიიღო, ბილიმ სწრაფად მიმოიხედა ირგვლივ, რომ გაეგო, სად იმყოფებოდა. ექიმმა ჯორჯმა იცნო ფრანკლინის ციხეში იმ დღეს ნანახი გამომეტყველება, ექიმმა უილბურმა ბილი, ძირითადი პიროვნება, რომ გამოიყვანა. ექიმი ჯორჯი ფრთხილად გამოელაპარაკა, ეშინოდა, მანამდე არ გამქრალიყო, სანამ მასთან კონტაქტში შევიდოდა. ბილის მუხლები ნერვიულად უცახცახებდა, თვალებს შეშინებული აცეცებდა აქეთ-იქით.

— იცი სად იმყოფები? — ჰკითხა ექიმმა ჯორჯმა.

— არა? — მან მხრები აიჩეჩა და სიტყვა ისე წარმოთქვა, გეგონება სკოლის გამოცდაზე „კი“ ან „არა“ უნდა უპასუხოს და ეშინია, არასწორი პასუხი ხომ არ გავეციო.

— ეს საავადმყოფოა, მე კი შენი ექიმი ვარ.

— ვაიმე, მომკლავს ექიმს თუ დაველაპარაკები.

— ვინ მოგკლავს?

ბილიმ მიმოიხედა და მისკენ დამიზნებული ვიდეოჩამწერი დაინახა.

— ეს რა არის?

— ეს ამ სეანსის ჩასაწერად არის. ვიდეოჩამწერი მანქანაა და ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა, სეანსი ჩაგვეწერა, რომ მერე იმის ნახვა შეძლო, რა ხდებოდა.

მაგრამ ბილი გამქრალიყო.

— ამ რაღაცამ შეაშინა, — ზიზღით თქვა ტომიმ.

— ავუხსენი, რომ ჩამწერია და...

ტომიმ დაიჭიხვინა.

— ალბათ აზრზე არ იყო, რაზე ელაპარაკებოდით.

სეანსი რომ დამთავრდა და ტომი „უეიკფილდ კოტეჯში“ დაბრუნდა, ექიმი ჯორჯი თავის კაბინეტში ჩაიკეტა და ჩაფიქრდა. იცოდა, სასამართლოსთვის იმის თქმა მოუწევდა, რომ თუმცაღა უილიამ მილიგანი შეშლილი — ესე იგი, ფსიქოტური აშლილობის მქონე არ იყო (რადგანაც დისოციაციური დარღვევა ნევროზების კატეგორიას მიეკუთვნებოდა), რეალობას იმდენად დაშორებოდა, რომ საკუთარი ქცევის კანონის სტანდარტებისათვის მისადგება არ ძალუძდა და ამრიგად, შეუძლებელი იყო დანაშაულებზე პასუხისმგებელი ყოფილიყო. ისღა დარჩენოდა, პაციენტის მკურნალობა გაეგრძელებინა და იმ მდგომარეობამდე მიეყვანა, რომ სასამართლოზე წარდგენა შეძლებოდა. მაგრამ სასამართლოს მიერ გამოყოფილი 3 თვიდან 6 კვირა უკვე მიიწურა. ასე მოკლე ხანში როგორ უნდა განეკურნა აშლილობა, რომლის შესწავლასაც კორნელია უილბურისნაირმა ფსიქონალიტიკოსმა ათ წელიწადზე მეტი მოანდომა? მეორე დილას არტურმა გადაწყვიტა, რაც ექიმ ჯორჯის ვიდვოსეანსებიდან ადალანას შესახებ შეიტყო, რეიგენისთვის გაეზიარებინა. საგანგებო მეთვალყურეობის ოთახში ბოლთას სცემდა და რეიგენს ხმამაღლა ესაუბრებოდა:

— გაუპატიურებების საიდუმლო ამოხსნილია. ვიცი ვინ ჩაიდინა.

მისი ხმა უცებ რეიგენისად იქცა.

— საიდან იცი?

— ახალი ფაქტები შევიტყვე და სურათი აღვადგინე.

— ვინ იკო?

— ვფიქრობ, რამდენადაც ბრაალი დაგდეს დანაშაულში, რომელიც არ ჩაგიდენია, უფლება გაქვს, იცოდე.

საუბარი სწრაფი მონაცვლეობით მიმდინარეობდა. ზოგჯერ ხმამაღლა, ზოგჯერ კი უხმოდ, გონებაში.

— რეიგენ, წარსულში როდისმე ქალის ხმა გსმენია?

— კი, კრისწინის ხმა. და სხვა კალების ხმები.

— ჰოდა ოქტომბერში სამჯერ რომ გახვედი მოსაპარად, ჩვენი ერთ-ერთი ქალი ჩაერთო საქმეში.

— რისი ტკმა გინდა?

— ახალგაზრდა ქალია, რომელსაც არ შეხვედრიხარ, სახელად ადალანა.

— მე არ გამიგია.

— ძალიან საყვარელი და ნაზი პიროვნებაა. ეს ის გვიმზადებდა საჭმელს და გვილაგებდა. ალენმა ყვავილების მაღაზიაში გამოყიდველის ადგილი რომ იშოვა, ყვავილებს ის აწყობდა ხოლმე. არასოდეს მიფიქრია, რომ...

— მერე იმან რა გააკეთა? პული ცაიგო?

— არა, რეიგენ, შენი მსხვერპლები გააუპატიურა.

— გოგოები გააპატიურა? არტურ, გოგოები როგორ გააპატიურა?

— რეიგენ, ლესბოსელების შესახებ გსმენია რამე?

— კარგი, — თქვა რეიგენმა, — როგორ უნდა გააუპატიუროს ლესბიანმა სხვა გოგო?

— ამიტომაც შენ გაბრალებენ. როცა ჩვენი კაცებიდან რომელიმე შუქზე გამოდის, ზოგს სექსის ქონის ფიზიკური შესაძლებლობა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ვიცით, ჩვენთვის უბიწოების კანონი შემოვიღე. მან შენი სხეული გამოიყენა.

— შენ ამბობ, მე ვარ დაბრალებული მტელი ეს დრო იმ დზუკნის გაკეთებული გაუპატიურებისთვის?

— ჰო, მაგრამ მინდა დაელაპარაკო და ახსნის საშუალება მისცე.

— ესე იგი, ამიტომ სულ გაუპატიურებზე ლაპარაკი? მოვკლავ!

— რეიგენ, გონს მოეგე.

— მოეგე?

— ადალანა, მინდა რეიგენი გაგაცნო. რადგან რეიგენი შენი დამცველია, უფლება აქვს, იცოდეს, რა მოხდა. თავი მის წინაშე უნდა იმართლო და შენი ქცევის მიზეზებიც მას უნდა აუხსნა.

მის გონებაში ნაზი, წყნარი ხმა ისე გაისმა, თითქოს მიღმიერი სამყაროს წყვდიადიდან მოდიოდა. ეს რაღაც ჰალუცინაციის, ან სიზმარში გაგონილი ხმის მსგავსი იყო.

— რეიგენ, ბოდიშს გიხდი უბედურებაში რომ გაგხვიე...

— ბოდიში? — გამოსცრა რეიგენმა, თან ბოლთას სცემდა, — შე ბინდბური ბოზო. კალებს რატომ აპატიურებ? ვერ ვხდები კველას რას გვიკეტებ?

მერე მკვეთრად შეტრიალდა, შუქიდან გავიდა და ოთახი ქალის ტირილის ხმით აივსო.

ჭუჭრუტანაში მედდა ჰელენ იეგერის სახე გამოჩნდა.

— ბილი, ხომ არ დაგეხმარო?

— ეშმაკმა წაგიღოთ, ქალბატონო! — უყვირა არტურმა, — თავი დაგვანებეთ!

იეგერი წავიდა. ნაწყენი იყო, არტური ასე რომ ეცა. როცა მედდა თვალს მიეფარა, ადალანამ თავის მართლება დაიწყო:

— რეიგენ, შენ არ გესმის. მე დანარჩენებისგან განსხვავებული მოთხოვნილებები მაქვს.

— კალებთან რაგა ჟანდაბად გაკ სეკსი? შენ ტვიტონ ქალი.

— თქვენ, კაცებს, არ გესმით. ბავშვებმა მაინც იციან, რა არის სიყვარული, თანაგრძნობა, არ გესმით რას ნიშნავს, ვილაცას რომ მოეხვევი და ეტყვი: „მიყვარხარ, ჩემთვის მნიშვნელოვანი ხარ, შენ მიმართ გრძნობები მაქვს“.

— უნდა ჩაგეტრათ, — თქვა არტურმა, — მაგრამ ყოველთვის ვთვლიდი, რომ ფიზიკური სიყვარული ალოგიკური და ანაქრონულია. უახლეს სამეცნიერო აღმოჩენებს თუ გავითვალისწინებთ...

— ორივენი გიჟები ხართ! — იყვირა ადალანამ. შემდეგ ხმა ისევ შეურბილდა, — აი, რომ გამოგეცადათ, რა კარგია ჩახუტება და სიყვარული, მაშინ გაიგებდით.

— აკეტ მოიხედე, დბუკნა, — მოუჭრა რეიგენმა, — არ ვიცი და არ მაინტერესებს ვინა ხარ და რა ხარ. ამ განკოპილებაში ვინმეს ტუ დაელაპარაკები, ან ვინმე სხვა ადამიანი, მოგკლავ.

— ერთი წუთით, — თქვა არტურმა, — ჰარდინგში ასეთ გადაწყვეტილებებს შენ როდი იღებ. აქ მე ვარ მთავარი და შენ მე მემორჩილები.

— შენ რა, გინდა შერჩეს?

— არავითარ შემთხვევაში! ამას მე მოვუვლი. მაგრამ შენ არ გაქვს უფლება, უბრძანო, შუქზე მეტად აღარ გამოხვიდეო. ამბზე ხმა არ ამოგელება. შენი იდიოტობაც გეყოფა, დროის მოპარვის საშუალება რომ მიეცი. თავს საკმარისად ვერ აკონტროლებდი. შენმა არაყმა, მარიხუანამ და ამფეტამინებმა ისე გაგასაცოდავა, რომ ბილის და ყველას სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდე. ჰო, ეს ადალანამ ჩაიდინა, მაგრამ პასუხისმგებლობა შენ გეკისრება, იმიტომ რომ შენ დამცველი ხარ. და როცა დუნდები, არა მხოლოდ შენს თავს, არამედ დანარჩენებსაც საშიშროების წინაშე აყენებ.

რეიგენმა ხმის ამოღება სცადა, მაგრამ უკან დაიხია. ფანჯრის რაფაზე მდგარი მცენარე დაინახა, ხელი მოიქნია და იატაკზე გადმოაგდო.

— ზემოთქმულის გათვალისწინებით, — განაგრძო არტურმა, — გეთანხმები, რომ ამიერიდან ადალანა „არასასურველად“ იქნას

კლასიფიცირებული. ადალანა, შუქზე აღარასოდეს აღარ გამოხვალ. დროით აღარ ისარგებლებ.

ადალანა კუთხეში გადგა, პირით კედლისკენ შებრუნდა და მანამ ტიროდა, სანამ შუქიდან არ გავიდა. ჯერ ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოწვა. მერე დევიდი გამოვიდა, თვალებიდან ცრემლები მოიწმინდა და იატაკზე დაგდებული მცენარე და გატეხილი ქოთანის დაინახა. უყურებდა და იცოდა, რომ კვდებოდა. მისი ყურება ტკივილს ჰგვრიდა. ეგდო და მიწიდან ფესვები ამოჩროდა. გრძობდა, როგორ ჭკნებოდა.

მედდა იეგერი საჭმლით სავსე ლანგრით დაბრუნდა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ვერაფრით დაგეხმარები?

დევიდი მოიკუნტა.

— მცენარის მოკვლისთვის ციხეში უნდა ჩამსვათ?

მედდამ ლანგარი დადო და ხელი გამამხნეველად მოხვია მხარზე.

— არა, ბილი, ციხეში არავინ ჩაგსვამს. მოგივლით და უკეთ გახდები.

ექიმმა ჯორჯმა დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად მოახერხა და მ მისს, ორშაბათს, ატლანტაში გამართულ ამერიკის ფსიქიატრიული ასოციაციის შეხვედრას დაესწრო. მილიგანს ის წინა პარასკევს შეხვდა და ფსიქოლოგიის განყოფილების დირექტორთან, ექიმ მარლენ კოკანთან მისი ინტენსიური თერაპიის დაწყება დაგეგმა. ნიუ იორკელი მარლენ კოკანი ჰარდინგის საავადმყოფოს იმ თანამშრომელთა რიცხვს განეკუთვნებოდა, თავიდანვე რომ ეჭვი შეჰქონდა მრავლობითი პიროვნების აშლილობის დიაგნოზში, თუმცა ეს ღიად არასდროს გამოუხატავს. მერე, ერთ საღამოს, როცა თავის კაბინეტში ალენს ესაუბრებოდა, მედდა დონა იგარი მიესალმა.

— გამარჯობა, მარლენ, როგორ ხარ?

აღენი სწრაფად შეტრიალდა და წამოისროლა:

— მარლენი ტომის გოგოს ჰქვია.

ექიმა კოკანმა რომ ნახა, როგორი სპონტანური იყო მისი იმწუთიერი რეპლიკა, როცა დაფიქრების დროც კი არ ჰქონდა, გადაწყვიტა, რომ მილიგანი არ ყალთაბანდობდა.

— მეც ასე მეძახიან, — უთხრა კოკანმა, — რაო, ტომის გოგაო, ამბობ?

— ჰო. ოღონდ არ იცის, რომ ტომის ხვდება. ყველას „ბილის“ გვეძახის. მაგრამ ნიშნობის ბეჭედი ტომიმ მისცა. საიდუმლო არ იცის.

— რომ გაიგებს, მისთვის დიდი შოკი იქნება, — თქვა ფიქრიანად ექიმა კოკანმა.

„აფა“-ს შეხვედრაზე ექიმა ჰარდინგმა კორნელია უილბურს მილიგანის მკურნალობის მიმდინარეობა გააცნო. უთხრა, რომ ახლა მილიგანის მრავლობითი პიროვნების სინდრომისა მთელი არსებით სწამდა. მერე მილიგანის მხრიდან სხვა სახელების საჯაროდ ცნობაზე უარისა და ამით გამოწვეული პრობლემების შესახებ მოუთხრო.

— ექიმ პუგლისის ჯგუფური თერაპიის სეანზე ასე მოიქცა და სხვა პაციენტებთან საქმე გაგვირთულა. როცა სთხოვენ, თავის პრობლემებზე ისაუბროს, ეუბნება, ამაზე ლაპარაკი ჩემმა ექიმმა ამიკრძალაო. ხომ წარმოგიდგენიათ, ამას როგორი რეაქცია მოჰყვებოდა. ჯგუფიდან გამოაგდეს.

— უნდა გესმოდეთ, — უთხრა უილბურმა, — ალტერნატიული პიროვნებებისათვის რას ნიშნავს, როცა არ აღიარებენ. რა თქმა უნდა, ძირითადი პიროვნების სახელზე რეაგირებას მიჩვეულები არიან, მაგრამ ახლა, როცა საიდუმლო გამჟღავნებულია, თავს არასასურველად გრძნობენ.

ექიმმა ჯორჯმა შენიშვნა მიიღო და უილბურს ჰკითხა, რას ფიქრობდა მისი მხრიდან მილიგანის მცირე დროში განკურნების მცდელობაზე.

— ვფიქრობ, სასამართლოს უნდა სთხოვოთ, სულ ცოტა, კიდევ ოთხმოცდაათი დღე დაგიმატონ, — უთხრა მან, — მერე კი ვფიქრობ, მისი გამთლიანება უნდა სცადოთ, რომ ადვოკატების დახმარება და სასამართლოზე წარდგომა შეძლოს.

— ორ კვირაში, 26 მაისს, სასამართლო ფსიქიატრს გზავნის მის შესამოწმებლად. ვიფიქრე, საავადმყოფოში კონსულტაციისათვის ხომ არ მოხვიდოდით. თქვენი მხარდაჭერა ძალზე წაგვადგებოდა.

უილბურმა თანხმობა განუცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ „აფა“-ს შეხვედრა პარასკევამდე გრძელდებოდა, ექიმი ჯორჯი ატლანტიდან ოთხშაბათს წამოვიდა. მეორე დღეს უეიკფილდში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დანიშნა და თანამშრომლებს უთხრა, რომ შემთხვევის ექიმ უილბურთან განხილვის შედეგად ალტერნატიული პიროვნებების ცნობაზე უარის თქმა თერაპიისათვის ხელის შემშლელად მიიჩნია.

— ვფიქრობდით, რომ ჩვენი მხრიდან მრავლობითი პიროვნებების იგნორირებას შესაძლოა, მათი გაერთიანებისთვის მიეცა ბიძგი, მაგრამ ამან ისინი, უბრალოდ, იატაკქვეშეთში განდევნა. აუცილებელია, პაციენტისგან კვლავაც მოვითხოვოთ პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულების პატიოსნად დაცვა, მაგრამ ცალკეული პიროვნებების რეპრესირებას თავი უნდა ავარიდოთ.

მან ხაზი გაუსვა, რომ თუკი შერწყმის რაიმე შანსი არსებობდა, რათა მილიგანს სასამართლოზე გამოსვლა შესძლებოდა, თითოეული პიროვნების აღიარება და მათი ინდივიდუალად ცნობა მოუწევდათ. რობალი დრეიკმა შვება იგრძნო. ჩუმ-ჩუმად ის მა-

ინც ყოველთვის არჩევდა პიროვნებებს, განსაკუთრებით, დენის. ახლა ყველასთვის უფრო მარტივად იქნებოდა საქმე — იმის ნაცვლად, რომ რამდენიმე „ურწმუნოს“ ხათრით თავი მოეკატუნებინა, თითქოს ისინი არ არსებობდნენ, ყველაფერს ღიად განიხილავდნენ.

დონა ეგარმა 1978 წლის 12 მაისის მედლის ჩანაწერებში ღიმილით ჩაწერა:

„მისტერ მილიგანს ნებას დართავენ, იყოს სხვადასხვა პიროვნება, რათა იმ განცდებზე საუბარი შეძლოს, რომელთა გამოხატვა სხვა შემთხვევაში უჭირს. შედეგად, მას თანამშრომლებთან ღიად შეეძლება საუბარი.

გეგმა:

არ უნდა უარვეყოთ, რომ ის ამგვარ დისოციაციას განიცდის.

როცა სჯერა, რომ სხვა პიროვნებაა, დავადგინოთ ამ დროს მისი განცდები“.

როცა მინი ჯგუფმა მაისის შუა რიცხვებში ბაღში მუშაობა დაიწყო, რობალი დრეიკმა და ნიკ კიკომ აღმოაჩინეს, რომ კულტივატორი დენის თავზარს სცემდა. თერაპევტებმა მისთვის შიშის მოხსნაზე დაიწყეს მუშაობა — დენის ნელ-ნელა მანქანასთან მიახლოვებას სთხოვდნენ. როცა ნიკმა უთხრა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მანქანის შიში გაუქრებოდა და მისით სარგებლობასაც კი შეძლებდა, დენის კინაღამ გული წაუვიდა. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ერთმა მამაკაცმა პაციენტმა თქვა უარი მებაღეობის პროექტში მონაწილეობაზე. ალენს შემჩნეული ჰქონდა, როგორ სიამოვნებდა იმ კაცს რობალის დამცირება.

— ეს რა კრეტილობაა! — უყვირა ერთხელ მან რობალის, — გეტყობა, რომ აზრზე არ ხარ მებაღეობის.

— რას ვიზამთ, აქ ყველანი მოყვარულები ვართ, — უთხრა რობალიმ.

— ერთი გამოსირებული ტუტუცი გოგო ხარ, ერთი მებაღეობა გამოგდის და მეორე — ჯგუფური თერაპია, — უპასუხა პაციენტმა.

ალენმა დაინახა, რომ რობალი ტირილის პირას იყო, მაგრამ არაფერი უთქვამს. ცოტა ხნით დენი გამოუშვა ნიკთან სამუშაოდ. მოგვიანებით ოთახში ალენმა შუქზე გამოსვლა დაიწყო, მაგრამ უცებ იგრძნო, როგორ უბიძგეს და კედელს მიანარცხეს. ამას მხოლოდ რეიგენი თუ იზამდა, თანაც, შუქზე ადგილების შეცვლის მომენტში.

— კი მაგრამ, რას მერჩი? — დაიხურჩულა ალენმა.

— დგეს დილიტ ბაგში იმ ახვარს კალბატონის შეურაწკოპა აცალე.

— ეგ ჩემი მოვალეობა ხომ არ არის.

— ცესები კარგატ იცი. არ დგახარ ისე და არ უკურებ როცა კალი ან ბავში აცკენინებენ.

— შენ რატომ არ ქენი რამე?

— მე შუკბე არ ვიკავი. ეს იკო შენი პასუხის გება. დაიმახსოვრე, მეორედქერ შუკბე რომ იკნები, ტავ-პირი დაგალეცავ.

მეორე დღეს, როცა აგრესიულმა პაციენტმა როზალის ისევ მიაყენა შეურაცხყოფა, ალენმა საყელოში ხელი სტაცა და მრისხანედ შეხედა თვალებში.

— მოკეტე!

იმედი ჰქონდა, რომ ის კაცი საპასუხოდ არაფერს იზამდა. და თუ მაინც დააპირებდა რამეს, ალენს გადაწყვეტილი ჰქონდა, საჩხუბრად უეჭველად რეიგენი გამოეშვა.

როზალი დრეიკი დარწმუნდა, რომ გამუდმებით უნდა დაეცვა მილიგანი მათგან, ვინც მას ციხისთვის თავის არიდების მოსურნე ჩვეულებრივ თაღლითად თვლიდა. ასევე მათგან, ვისაც ალენის მხრიდან პრივილეგიების მოთხოვნა, არტურის ამპარტავნება და ტომის ანტისოციალურობა აღიზიანებდა. ბრაზი ერეოდა, როცა ზოგი მედდის ნათქვამს მოკრავდა ყურს, რომ ექიმი ჯორჯის ნებიერ პაციენტზე კლინიკის დროისა და რესურსების მეტისმეტად დიდი ნაწილი იხარჯებოდა. როცა გაუთავებლად ესმოდა გესლიანი შენიშვნები, რომ „ამ მოძალადეზე უფრო მეტად დელავენ, ვიდრე მის მსხვერპლებზე“, ითრგუნებოდა. მისი თქმით, როცა ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანის დახმარებას ცდილობდი, შურისძიების ინსტინქტი გვერდზე უნდა გადაგედო და ინდივიდზე უნდა გებრუნა. ერთ დილას როზალი უყურებდა, როგორ დაჯდა მილიგანი უეიკფილდ კოტეჯის წინ, კიბის საფეხურზე. ტუჩებს ამოძრავებდა და საკუთარ თავს ესაუბრებოდა. უცბე ცვლილების ტალღამ გადაუარა — ამოიხედა, გაოგნებულმა თავი გაიქნ-გამოიქნია და ლოყები ხელებით მოისინჯა. მერე პე-

პელა შენიშნა, დაიხარა და დაიჭირა. მომუშტულ მტევნებს შორის რომ შეიჭყიტა, ფეხზე ყვირილით წამოხტა. გაშლილ ხელებს მალლა იქნევდა, თითქოს ცდილობდა, პეპელას აფრენაში დახმარებოდა. პეპელა ძირს დაეცა და აღარ განძრეულა. მილიგანი მწუხარედ დაჰყურებდა. რობალი რომ მიუახლოვდა, შეშინებული, თვალცრემლიანი შემობრუნდა. რობალიმ თვითონაც არ იცოდა, საიდან გრძნობდა, რომ ეს ვიდაც სხვა იყო, რომელსაც ჯერ არ შეხვედროდა. უცნობმა პეპელა აიყვანა.

— აღარ დაფრინავს.

ქალმა თბილად გაუღიმა. ფიქრობდა, ნეტავ ღირდა თუ არა, გაერისკა და ნამდვილი სახელით მიემართა. ბოლოს დაიჩურჩულა:

— გამარჯობა, ბილი. დიდი ხანია, შენთან შეხვედრას ველი.

რობალი ბილის გვერდით მიუჯდა. მან ხელები მუხლებზე შემოიჭდო და განცვიფრებული უყურებდა ბალახს, ხეებსა და ცას.

რამდენიმე დღის შემდეგ მინიჯგუფში არტურმა ბილი შუქზე ისევ გამოუშვა და თიხაზე მუშაობის ნება დართო. ნიკმა წაახალისა, თავი გამოძერწეო და ბილი თითქმის მთელ საათს მუშაობდა — თიხა დააგორგოლავა, თვალებისა და ცხვირისათვის ნაწილები დაუმატა და თვალის გუგებიც კი გამოკვეთა.

— თავი გავაკეთე! — თქვა ამაყად.

— ძალიან კარგია! — უთხრა ნიკმა, — ვინ არის?

— ვინმე უნდა იყოს?

— არა, ისე, ვიფიქრე, იქნებ ვინმეა-მეთქი.

ბილიმ რომ გაიხედა, შუქზე ალენი გამოვიდა და თიხის თავს ზიზღით შეხედა. ეს ხომ მხოლოდ რუხი კოლტი იყო, რომელზეც რაღაც დეტალები მიეკოწიწებინათ. საჭრეთელი აიღო, რომ გადაეკეთებინა. აბრაჰამ ლინკოლნის, ან ექიმ ჯორჯის ბიუსტს გააკეთებდა და ნიკს უჩვენებდა, რა არის ნამდვილი ქანდაკება.

სახეს რომ მიადგა, საჭრეთელი აუსხლტა, მკლავში შეესო და სისხლი წამოუვიდა. ალენმა გაოცებისგან პირი დაალო. მას ხომ მოუქნელობა არ სჩვეოდა. უცებ იგრძნო, კედელს როგორ მიაჯახეს. ჯანდაბა. ისევ რეიგენი იყო.

— ახლა რაღა გინდა? — დაიჩურჩულა ალენმა.

პასუხი თავში ექოდ გაისმა:

— ბილის გაკეტებულს ხელი არ ახლო.

— ჯანდაბა, მარტო გადაკე... —

— თავის მოცონება გინდოდა. რომ აჩვენო როგორი კარგი მხატვარი. მაგრამ ახლა უპრო მნიშვნელოვანი ბილის ტერაპია.

იმ საღამოს ოთახში განმარტოებულმა ალენმა არტურს შესჩივლა, რომ რეიგენის თავდასხმები ყელში ამოუვიდა.

— თუ ყველაფერში ეგეთი მაგარია, აიღოს და თვითონ აკეთოს ყველაფერი, ან ვინმე სხვამ.

— კამათი გაგიტკბა, — უთხრა არტურმა, — ეს კი უთანხმოებას იწვევს. შენ გამო ექიმმა პუგლისმა თერაპიის ჯგუფიდან გაგვრიცხა. შენმა გაუთავებელმა მანიპულაციებმა უეიკფილდის თანამშრომლები ერთმანეთს გადაჰკიდა.

— ჰოდა, მაშინ ვინმე სხვამ აკეთოს ყველაფერი. ისეთმა, ბევრს რომ არ ლაპარაკობს. მკურნალობა ბილის და ბავშვებს სჭირდებათ. იმათ იურთიერთონ ხალხთან.

— ვგეგმავ, ბილი შუქზე უფრო ხშირად გამოვუშვა ხოლმე, — თქვა არტურმა, — ექიმ ჯორჯს რომ შეხვდება, მერე იმის დროც დადგება, დანარჩენები გაგვიცნოს.

ოთხშაბათს, 24 მაისს, მილიგანი სასაუბრო ოთახში რომ შევიდა, ექიმმა ჯორჯმა მის თვალებში შიში, თითქმის სასოწარკვეთა შენიშნა, გეგონებოდა, ეს-ესაა, გული წაუვაო. იატაკს ჩასჩერებოდა. ექიმი ჯორჯი მიხვდა, რომ მის პაციენტს რეალობასთან მხოლოდ უწვრილესი ძაფი აკავშირებდა. ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ, ბილის მუხლები ნერვიულად უკანკალებდა. მერე ექიმმა ჯორჯმა ნაზად უთხრა:

— ხომ არ მეტყვი ორიოდე სიტყვით, როგორ გრძნობ თავს ამ დილას, აქ მოსვლა და ჩემთან საუბარი რომ გიწევს?

— არაფერი არ ვიცი, — თქვა ბილიმ. ცხვირისმიერი, ცრემლნარევი ხმით ლაპარაკობდა.

— არ იცოდი, აქ რომ ამოხვიდოდი და მე შემხვდებოდი? როდის გამოხვედი შუქზე?

ბილიმ დაბნეულად შეხედა:

— შუქზე?

— როდის მიხვდი, რომ მე და შენ უნდა გველაპარაკა?

— როცა ის ტიპი მოვიდა და მითხრა, წამომყევით.

— რა იფიქრე, რომ ხდებოდა?

— მითხრა, ექიმს უნდა შეხვდეო. რატომ, არ ვიცოდი.

მუხლები უკონტროლოდ უხტუნავდა.

საუბარი ნელა, მტანჯველი პაუზებით მიმდინარეობდა. ექიმი ჯორჯი ფიქრობდა, როგორ აეწყო კომუნიკაცია „მთავარ“ ბილისთან. იმ მეთევზესავით იქცეოდა, ანკვესს ფაქიზად რომ ხმარობდა, ძუა რომ არ გაეწყვიტა.

— თავს როგორ გრძნობ?

— რა ვიცი, კარგად.

- რა გაწუხებს?
- რაღაცებს ვაკეთებ და მერე აღარ მახსოვს. ვიძინებ და რომ ვიღვიძებ, ხალხი მეუბნება, რომ რაღაცებს ვაკეთებ.
- როგორ რაღაცებს აკეთებო, რას გეუბნებიან?
- ცუდ რაღაცებს, დანაშაულს.
- გიფიქრია ასეთი რამეების გაკეთებაზე? ზოგჯერ ყველანი ვფიქრობთ ათასგვარი რაღაცის ჩადენაზე.
- ყოველთვის, როცა მეღვიძება, ვიღაც მეუბნება, რომ რაღაც ცუდი ჩავიდინე.
- რას ფიქრობ ხოლმე, როცა გეუბნებიან, რაღაც ცუდი ჩაიდინეო?
- სიკვდილი მინდა... იმიტომ, რომ არ მინდა, ვინმეს რამე დავუშავო.
- ისე ცახცახებდა, რომ ექიმმა ჯორჯმა თემა სასწრაფოდ შეცვალა.
- ძილზე მეუბნებოდით. რამდენ ხანს გძინავს?
- თითქოს დიდხანს არა, მაგრამ დიდხანს. კიდევ, რაღაცები მესმის... ვიღაც ცდილობს, დამელაპარაკოს.
- რის თქმას ცდილობენ?
- არ მესმის ხოლმე.
- რატომ, ჩურჩულით გელაპარაკებიან? თუ დამახინჯებულად? თუ გაურკვეველად და სიტყვებს ვერ არჩევ?
- ჩუმიად... და თითქოს სხვა ადგილიდან.
- სხვა ოთახიდან? თუ სხვა ქვეყნიდან?
- ჰო, – თქვა ბილიმ, – თითქოს სხვა ქვეყნიდან.
- რომელიმე კონკრეტული ქვეყნიდან?
- ხანგრძლივი პაუზა ჩამოწვა, თითქოს იხსენებდა. მერე თქვა:

— აი, ჯეიმს ბონდში რომ ლაპარაკობენ, ისე. და სხვა ხმები რუსულივით ლაპარაკობენ. ეს ის ხალხია, იმ ქალმა რომ მითხრა, შენში ცხოვრობენო?

— შეიძლება, — თითქმის უხმოდ წაიჩურჩულა ექიმმა ჯორჯმა, რომელმაც ბილის სახეზე განგაშის კვალი შენიშნა და აღელდა.

ბილიმ ხმას აუწია:

— მერე იქ რა უნდათ?

— რას გეუბნებიან? ეს შეიძლება გაგებაში დაგვეხმაროს. მითითებებს გაძლევენ? სადღაც მიგიძღვიან? რამეს გირჩევენ?

— თითქოს იმეორებენ: „მოუსმინე რას გეუბნება, მოუსმინე რას გეუბნება“.

— ვის გულისხმობენ? მე?

— ჰო, მე მგონი.

— როცა მარტო ხარ და მე იქ არ ვარ, მაშინაც გელაპარაკებიან?

ბილიმ ღრმად ამოისუნთქა.

— ჩემზე ლაპარაკობენ. სხვებს ელაპარაკებიან ჩემზე.

— ისე იქცევიან, თითქოს გიფრთხილდებიან? სხვებს ელაპარაკებიან, ოღონდ ისე, რომ შენ გიცავენ?

— მაძინებენ.

— როდის გაძინებენ?

— ძალიან როცა ვნერვიულობ ხოლმე.

— როცა ნერვიულობას ვერ უმკლავდები? ხალხი ზოგჯერ ამიტომ იძინებს ხოლმე, რაც ანერვიულებთ, იმას რომ დააღწიონ თავი. გრძნობ ახლა თავს ისე მოღონიერებულად, რომ შენი დაცვა აღარ სჭირდებოდეთ?

— ვინ არიან? — ისევ აყვირდა ბილი და მის ხმაში კვლავ განგაში გაისმა, — ვინ არის ეს ხალხი? რატომ არ მაცლიან ფხიზლად ყოფნას?

ექიმი ჯორჯი მიხვდა, რომ დრო იყო, მიმართულება შეეცვალა.

— ყველაზე ძალიან რასთან გიჭირს გამკლავება?

— ვილაცა რაღაცას რომ მიშავენს.

— ეს შიშს გგვრის?

— მაძინებს.

— ჰო, მაგრამ ასე ხომ მაინც დაგიშავენ რამეს, — ჩაეკითხა ექიმი ჯორჯი, — თუნდაც ამის შესახებ არ იცოდე.

ბილიმ ხელები აცახცახებულ მუხლებზე დაიდო.

— თუ დავიძინებ, ვერაფერს დამიშავენს.

— მერე რა ხდება?

— რა ვიცი... რომ მეღვიძება, მერე არაფერი მჭირს ხოლმე.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ისევ ამოიხედა.

— არავინ არ მეუბნება, ის ხალხი იქ რატომ არის.

— იმ ხალხზე ამბობ, ვინც გელაპარაკება?

— ჰო.

— ალბათ იმ მიზეზის გამო, რაც ახლა ახსენე — როცა არ იცოდი, საფრთხისგან თავი როგორ დაგეცვა, შენი მეორე მხარე რაღაცნაირად პოულობდა შენთვის ზიანის თავიდან არიდების გზას.

— მეორე მხარე?

ექიმმა ჯორჯმა გაუღიმა, თავი დაუქნია და პასუხს დაელოდა. ბილის ხმა აუკანკალდა:

— რატომ არ ვიცნობ ამ მეორე მხარეს?

— იმიტომ, რომ შენში რაღაც დიდი შიში ცხოვრობს, — უთხრა ექიმმა ჯორჯმა, — მისგან პარალიზებული ხარ და თავდაცვის უნარს კარგავ. ამგვარად, იმისთვის, რომ შენ ნაცვლად შენმა „მეორე მხარემ“ დაგიცვას, გაძინებენ.

ბილი, როგორც ჩანდა, ექიმის ნათქვამზე ფიქრობდა. მერე ამოიხედა, თითქოს წვალობდა, რომ ამ აზრს როგორმე ჩასწვდომოდა.

— ასე რატომ ვარ?

— ძალიან პატარა რომ იყავი, სავარაუდოდ, რაღაცამ ძალიან შეგაშინა.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ბილი ასლუკუნდა:

— არ მინდა იმ რაღაცეებზე ფიქრი. მტკივა.

— შენ მეკითხებოდი, რატომ გეძინებოდა ისეთ სიტუაციებში, როცა გეშინოდა შენთვის რამე არ დაეშავებინათ.

ბილიმ მიმოიხედა და მოგუდული ხმით თქვა:

— ამ საავადმყოფოში როგორ მოხვდები?

— მისის ტერნერმა, ექიმმა კაროლინმა და ექიმმა უილბურმა იფიქრეს, რომ თუ ამ საავადმყოფოში გადმოგიყვანდით, დაძინება აღარ დაგჭირდებოდა და სახიფათო პრობლემებთან გამკლავებას ისწავლიდი.

— შეგიძლიათ ამის გაკეთება? — დაისლუკუნა ბილიმ.

— გვინდა, ვცადოთ და დაგეხმაროთ. შენც ხომ გინდა?

ბილის ხმაში ისევ ცრემლი გაერია.

— ესე იგი, იმ ხალხს ჩემგან გამოიყვანთ?

ექიმი ჯორჯი უკან გადაიხარა. ფრთხილად უნდა ყოფილიყო, ბედმეტს რომ არ შეჰპირებოდა.

— გვინდა დაგეხმაროთ, რომ დაძინება აღარ გიწევდეს. ისე გავაკეთოთ, რომ შენი სხვა მხარეები დაგეხმარონ შენს ძლიერ და ჯანსაღ ადამიანად ქცევაში.

— იმათ ხმებს ველარ გავიგებ? და ველარ დამაძინებენ?

ექიმი ჯორჯი სიტყვებს ფრთხილად არჩევდა.

— თუ საკმარისად ძლიერი იქნები, შენი დაძინება საჭირო აღარ იქნება.

— მე მეგონა, ვერასოდეს ვერავინ ვერ დამეხმარება-მეთქი... არ ვიცოდი... რამდენჯერაც მოვბრუნდებოდი, ვიღვიძებდი... ოთახში ვიყავი გამოკეტილი... ისევ იმ ყუთში... — ახრიალდა. თვალები შიშისგან აქეთ-იქით გაურბოდა.

— ალბათ საშინელი რამ იყო, — უთხრა გამამხნეველად ექიმმა ჯორჯმა, — საზარელი.

— სულ ყუთში მამწყვდევდნენ, — თქვა ბილიმ და ხმას აუწია, — იცის აქ რომ ვარ?

— ვინ?

— მამაჩემმა.

— არ დავკავშირებივარ. არ ვიცი, იცის თუ არა, აქ რომ ხარ.

— რაღაცეები არ უნდა ვთქვა. რომ სცოდნოდა, რომ გელაპარაკებით... ვაიმე!... მომკლავდა... და ჩამმარხავდა...

ბილი მოიკრუნხხა და თავი ჩაქინდრა. მისი სახის ტკივილით სავსე გამომეტყველება საზარელი სანახავი იყო. ძაფი გაწყდა. ექიმი ჯორჯი მიხვდა, რომ ბილი იქ უკვე აღარ იყო.

— ბილის სძინავს. არტურს არ დაუძინებია. უბრალოდ, დაიძინა, იმიტომ, რომ გახსენება დაიწყო, — გაისმა ალენის მშვიდი ხმა.

— ამაზე საუბარი მეტისმეტად გაუჭირდა, არა?

— რაზე საუბრობდით?

— ჩალმერზე.

— ო, ეგ კი შეაშინებდა, — თქვა მან და ვიდეოჩამწერს ახედა, — ეს ვიდეოკამერა რატომ არის ჩართული?

— ბილის ვუთხარი, რომ ვიდეოჩანაწერის გაკეთება მინდოდა. ავუსხენი რისთვისაც. მითხრა, კარგიო. შენ რატომ გამოხვედი?

— არტურმა მითხრა, შუქზე გადიო. ალბათ ამ გახსენებებით ბილი დააფრთხეთ. თავი მახეში გაბმულად იგრძნო.

ექიმი ჯორჯი შეუდგა ახსნას, რაზე საუბრობდნენ ის და ბილი და უცებ იდგა მოუვიდა.

— მითხარი, შესაძლებელი იქნება აქ შენ და არტურს ერთად რომ გესაუბროთ? მომხდარზე სამივემ რომ ვილაპარაკოთ?

— არტურს შემიძლია ვკითხო.

— მინდა ვკითხო და არტურის მოსაზრებაც გავიგო, არის თუ არა ბილი ახლა უფრო ძლიერი, თვითმკვლევლობისკენ მიდრეკილება გაუქრა თუ არა და შეძლებს თუ არა უფრო მეტ რამესთან გამკლავებას?

— თვითმკვლევლობისკენ არ არის მიდრეკილი.

ეს მშვიდმა, მკაფიო, მაღალი წრის ინგლისურაქცენტთანმა ხმამ წარმოთქვა და ექიმი ჯორჯი მიხვდა, რომ არტურმა გამოსვლა და თავისი პირით საუბარი ისურვა. არტურს ციხეში იმ კვირა დილით ექიმ უილბურთან ერთად გამართული შემოწმების შემდეგ აღარ შეხვედრია. შეეცადა, საუბარი ისე განეგრძო, რომ სიმშვიდე შეენარჩუნებინა და გაოცება არ შესტყობოდა.

— ისევ ძალიან ფრთხილი მიდგომა სჭირდება? ისევ ისეთი სუსტია?

— დიახ, — თქვა არტურმა და თითის წვერები შეატყუპა, — ადვილად ფრთხება. ნამდვილი პარანოიკია.

ექიმმა ჯორჯმა ხაზი გაუსვა, რომ ჩალმერზე ამ ეტაპზე საერთოდ არ გეგმავდა საუბარს, მაგრამ ბილის ეტყობოდა, რომ სჭირდებოდა ამაზე ლაპარაკი.

— წარსულის მოგონებას შეეხეთ, — უთხრა ფრთხილად არტურმა, — და თავში პირველი ეს მოუვიდა. საერთო შიშმაც სძლია და ეს საკმარისი იყო, ძილისკენ რომ წასულიყო. ამას ვერაფერს მოვეუხერხებდი. მე მხოლოდ გაღვიძების ნება დავრთე...

— რასაც ამბობს, ყველაფერი გესმის?

– ნაწილობრივ და ისიც ყოველთვის არა. ყოველთვის გარკვევით არ მესმის რას ფიქრობს. მაგრამ როცა ფიქრობს, შიშს ვგრძნობ. რასაც ვეუბნები, რატომღაც ყოველთვის გარკვევით არ ესმის. მაგრამ მგონი იცის, რომ დროდადრო ვაძინებთ და რომ თვითონაც შეუძლია დაიძინოს.

ექიმმა ჯორჯმა და არტურმა სხვა ალტერნატიული პიროვნებების წარსულიც განიხილეს, მაგრამ როგორც კი არტურმა გახსენება დაიწყო, უცებ შეჩერდა, მიაყურადა და საუბარი შეწყვიტა.

– კართან ვიღაცაა, – თქვა მან და გაქრა.

ეს ფსიქ.ტექი, ჯეფ ჯანატა იყო, რომელსაც ნათქვამი ჰქონდა, თორმეტის თხუთმეტ წუთზე დავბრუნდებიო. არტურმა ტომი გამოუშვა და ისიც ჯეფს უეიკფილდ კოტეჯში წაჰყვა. მეორე დღეს, ექიმი უილბურის ვიზიტამდე ორი დღით ადრე, ექიმი ჯორჯი აკანკალებულმა მუხლებმა მიახვედრა, რომ ეს ბილი გამოვიდა თერაპიაზე. ბილის უკვე სმენოდა „არტურისა“ და „რეიგენის“ შესახებ და ახლა უნდოდა გაეგო, ვინ იყვნენ ისინი. როგორ უნდა აეხსნათ? ჰარდინგი საგონებელში იყო. თვალწინ საზარელი სცენა ედგა, სადაც ბილი სიმართლის გაგების შემდეგ თავს იკლავდა. ჰარდინგმა ხომ იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ მრავლობითი პიროვნება იყო, მისი კოლეგის პაციენტმა ბალტიმორის ციხეში თავი ჩამოიხრჩო. ექიმმა ჯორჯმა ღრმად ჩაისუნთქა და თქვა:

– ჯეიმს ბონდივით რომ საუბრობს, ის არტურია. არტური შენი ერთ-ერთი სახელია.

მუხლებმა ცახცახი შეწყვიტეს. ბილის თვალები გაუფართოვდა.

– შენ ნაწილობრივ არტური ხარ. გინდა გაიცნო?

ბილი აკანკალდა, მუხლები ისე აუცახცახდა, რომ თვითონაც შეამჩნია და შესაჩერებლად ზედ ხელები დაიწყო.

— არა, ძილი მინდა.

— ბილი, მე მგონი, თუ ძალიან მოინდომებ, შეძლებ, რომ როცა არტური გამოდის და საუბრობს, ფხიზლად დარჩე. შეძლებ მოისმინო, რას ამბობს და გაიგო, რა პრობლემა გაქვს.

— მეშინია.

— მენდობი?

ბილიმ თავი დაუქნია.

— კარგი. სანამ აქ ზიხარ, არტური შუქზე გამოვა და დამელაპარაკება. შენ არ დაიძინებ. ყველაფერს მოისმენ, რასაც ამბობს და დაიხსომებ, როგორც სხვები. შუქიდან გახვალ, მაგრამ ცნობიერად ჩართული დარჩები.

— „შუქი“ რა არის? იმ დღეს მითხარით, მაგრამ არ ამიხსენით.

— არტური ასე ეძახის მდგომარეობას, როცა ერთ-ერთი შინაგანი პიროვნება რეალობაში გამოდის და ხელში მოქმედების სადავეს იღებს. ეს რამპის დიდი შუქივით არის და ვინც მასზე გამოდის, ცნობიერებას იპყრობს. თვალები დახუჭე და ნახავ.

ბილიმ თვალები რომ დახუჭა, ჰარდინგს სუნთქვა შეეკრა.

— ვხედავ! თითქოს ჩაბნელებულ სცენაზე ვდგავარ და პროექტორის შუქი ზედ მანათებს.

— კარგი, ბილი. თუ გვერდზე გაიწევი და შუქს მოშორდები, დარწმუნებული ვარ, არტური გამოვა და დაგველაპარაკება.

— გავედი შუქიდან, — თქვა ბილიმ და მისმა მუხლებმა ცაბცახი შეწყვიტეს.

— არტურ, ბილის შენთან საუბარი უნდა, — თქვა ჰარდინგმა. — მაპატიე, რომ გაწუხებ და გიხმობ, მაგრამ ბილის მკურნალობისათვის არსებითია შენი და სხვების შესახებ გაიგოს.

ჰარდინგმა იგრძნო, რომ ხელისგულები ოფლით ეცვარებოდა. მისმა პაციენტმა თვალები რომ გაახილა, ბილის მოღუშული გამომეტყველება არტურის მძიმე, ქედმაღლურმა მზერამ შეცვა-

ლა. გაისმა ხმა, რომელიც წინა დღეს მოისმინა — მაღალი წრის ბრიტანული გამოთქმა, რომელიც მაგრად მოკუმული პირიდან ისმოდა, ტუჩებს ოდნავ შესამჩნევად თუ ამოძრავებდა.

— უილიამ, არტური გესაუბრება. მინდა იცოდე, რომ ეს უსაფრთხო ადგილია და ადამიანები აქ შენს დახმარებას ცდილობენ.

სახემ მყისიერად ბილისათვის დამახასიათებელი, თვალეგაფართოებული გამომეტყველება მიიღო. მან გოცებით მიმოიხედა და იკითხა:

— შენ შესახებ ადრე რატომ არაფერი ვიცოდი?

მერე ბილი ისევ არტურმა შეცვალა.

— ვფიქრობდი, რომ სანამ ამისთვის მზად არ იქნებოდი, ცოდნა არას გარგებდა. თვითმკვლელობისკენ იყავი მიდრეკილი. სათანადო დრომდე უნდა მოგვეცადა, ვიდრე საიდუმლოს გაგიმხელდით.

ექიმი ჯორჯი თავბარდაცემული, მაგრამ კმაყოფილი უსმენდა, როგორ ესაუბრა არტური ბილის თითქმის მთელი ათი წუთი, როგორ მოუყვა რეიგენისა და დანარჩენი რვა პიროვნების შესახებ და როგორ აუხსნა, რომ ექიმი ჯორჯი ცდილობდა, მის გასამთლიანებლად ყველა ცალკეული გონება ერთად შეეკრიბა.

— შეგიძლიათ ამის გაკეთება? — იკითხა ბილიმ და ექიმ ჯორჯს მიუბრუნდა.

— ამას შერწყმას ვუწოდებთ, ბილი. ამას ნელა გავაკეთებთ. ჯერ ალენსა და ტომის გავაერთიანებთ, რადგან უამრავი რამ აქვთ საერთო. შემდეგ დენისა და დეივიდს — ორივეს ძალიან სჭირდება თერაპია. მერე ასე რიგრიგობით დანარჩენებსაც გავაერთიანებთ, სანამ არ გავამთლიანებთ.

— ის ხალხი რატომ უნდა შემომიერთოთ? პირდაპირ ვერ მოიშორებთ?

ექიმმა ჯორჯმა თითისწვერები შეატყუა.

– იმიტომ, რომ ეს სხვა თერაპევტებმა სცადეს მსგავს შემთხვევებში და არ გაამართლა. გამომჯობინების საუკეთესო შანსი შენთვის ყველა ამ ფრაგმენტის გაერთიანებაა – ჯერ ერთმანეთთან ურთიერთობის გზით, მერე – იმ ყველაფრის გახსენებით, რასაც თითოეული აკეთებს. ამით ამნეზიისგან გათავისუფლდები. ამას თანაცნობიერებას ვეძახით. საბოლოოდ შენ თვითონ დაიწყებ სხვადასხვა პიროვნებების გაერთიანებაზე მუშაობას. აი, ეს არის შერწყმა.

– ამას როდის იზამთ?

– ზეგ შენს სანახავად ექიმი უიღბური ჩამოდის. საავადმყოფოს შენთან მომუშავე თანამშრომლების დიდ ნაწილთან პრეზენტაციასა და დისკუსიას ჩავატარებთ. ჩვენს თანამშრომლებს ვიდეოჩანაწერებს ვაჩვენებთ – ზოგიერთს არასდროს ჰქონია ამგვარ მენტალურ მდგომარეობასთან მუშაობის გამოცდილება, ეს კი მათ შენს უკეთ გაგებასა და შველაში დაეხმარება.

ბილიმ თავი დაუქნია. მერე ყურადღება შიგნით მიმართა, თვალები გაუფართოვდა. თავი რამდენჯერმე დაიქნია და ექიმ ჯორჯს გაოგნებით ახედა.

– რა იყო, ბილი?

– არტური მეუბნება, რომ სურს, თვითონ გადაწყვიტოს, შეხვედრაზე წარსადგენად შუქზე ვინ გამოუშვას.

ჰარდინგის საავადმყოფოში ჩოჩქოლი იყო. ექიმ კორნელია უილბურს იქ 1955 წელს უკვე ჩაეტარებინა ლექცია, მაგრამ ახლა განთქმული პაციენტი ჰყავდათ — პირველი მრავლობითი პიროვნება, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ოცდაოთხსაათიან რეჟიმში რომ აკვირდებოდნენ. თანამშრომლების დამოკიდებულება დიანოზის მიმართ კვლავაც არაერთგვაროვანი იყო, მაგრამ იმ ოთახში ყოფნა, სადაც ექიმი უილბური ბილი მილიგანზე აპირებდა საუბარს, ყველას უნდოდა. უეიკფილდის თანამშრომლები გაფრთხილებულები იყვნენ, რომ საუბარს ათი-თხუთმეტი კაცი დაესწრებოდა, მაგრამ ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე ასამდე ადამიანს მოეყარა თავი. ექიმებსა და ადმინისტრატორებს თან ცოლები მოეყვანათ. საავადმყოფოს სხვა განყოფილებათა თანამშრომლები, რომლებსაც მილიგანის მკურნალობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ, ოთახის ბოლოში შეჯგუფებულები იყვნენ და იატაკზე ისხდნენ. ზოგი მეზობელ ოთახებში, კედლებთან ატუმბულიყო. ექიმმა ჯორჯმა აუდიტორიას უახლესი ვიდეოჩანაწერები უჩვენა, სადაც ის და დოროთი ტერნერი სხვადასხვა პიროვნებებთან მუშაობდნენ. არტურმა და რეიგენმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს, რადგან უეიკფილდის გარეთ ისინი არც ერთ თანამშრომელს არ ენახა. ადალანამ, რომელსაც დოროთი ტერნერის გარდა არავინ შეხვედროდა, ზოგს თავზარი დასცა, სხვებში კი დამცინავი რეაქცია გამოიჩინა. მაგრამ როცა ეკრანზე მთავარი პიროვნება — ბილი გამოჩნდა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. როცა ბილიმ წამოიძახა: „ვინ არის ეს ხალხი? რატომ არ მაცლიან ფხიზლად ყოფნას?“ — ბევრმა, მათ შორის, როზალი დრეიკმა, ცრემლები ძლივს შეიკა-

ვა. როცა ჩვენება დასრულდა, ექიმმა უილბურმა ბილი ოთახში შემოიყვანა და მოკლე ინტერვიუ ჩაუტარა. არტურს, რეიგენს, დენისა და დეივიდს ესაუბრა. შეკითხვებს ყველა მათგანი პასუხობდა, მაგრამ როზალი ხედავდა, როგორი აღელვებულები იყვნენ. სხდომა რომ დასრულდა, უკმაყოფილო ზუზუნმა როზალი მიახვედრა, რომ უეიკფილდის თანამშრომლები გაღიზიანებულები იყვნენ. მედდები – ედრიენ მაკკანი და ლორა ფიშერი ჩიოდნენ, რომ ამ გზით მილიგანს კიდევ ერთხელ აგრძნობინეს თავი განსაკუთრებულად და სცენაზე გამოსვლის შანსი მისცეს. როზალი, ნიკ კიკო და დონა ეგარი გაბრაზებულები იყვნენ, რომ ბილი ასე საჯაროდ გამოაჭენეს.

ექიმი უილბურის ვიზიტის შემდეგ თერაპიის სტრატეგია კვლავ შეიცვალა და ექიმმა ჯორჯმა მიზნად პიროვნებების შერწყმა დაისახა. ექიმმა მარლენ კოკანმა რეგულარული სეანსები დანიშნა. პიროვნებებმა მათზე განხორციელებული ძალადობისა და წამების შემთხვევების გახსენება დაიწყეს, მათში გარკვევას ცდილობდნენ და ხელახლა განიცდიდნენ ტკივილს, რომელმაც რვა წლის ასაკში ძირითადი დისოციაცია გამოიწვია. ექიმი კოკანი შერწყმის გეგმას არ იზიარებდა. მისი თქმით, იცოდა, რომ ექიმი უილბური სიბილთან ამ მეთოდით მუშაობდა და სხვა გარემოებებში ამას შესაძლოა, კარგი შედეგი ჰქონოდა, მაგრამ იმაზეც უნდა ეფიქრათ, რა მოხდებოდა, რეიგენი დანარჩენებში რომ ათქვეფილიყო და მილიგანი ციხეში რომ გაეგზავნათ. მტრულ გარემოში ხომ ის თავის დაცვას ვეღარ შეძლებდა და გადარჩენის ერთადერთ საშუალებასაც თუ მოაშორებდნენ, შეიძლებოდა, მოეკლათ.

— ციხეში ადრეც ყოფილა და გადარჩენილა, — თქვა ვილბურმა.

— ჰო, მაგრამ იქ რეიგენი იცავდა. მტრულად განწყობილმა მა-
მაკაცმა ისევ რომ გააუპატიუროს — ეს კი ციხეში ხშირად ხდება —
ალბათ თავს მოიკლავს.

— ჩვენი მოვალეობა მათი შერწყმაა, — თქვა ჰარდინგმა, — სა-
სამართლოსგან ეს გვაქვს დავალებული.

მთავარ ბილის მისი დანარჩენი პიროვნებებისთვის ყურის-
გდებას და მათი არსებობის გაცნობიერებას, მათ გაცნობას ურ-
ჩევდნენ. მუდმივი შთაგონების წყალობით ბილი შუქზე სულ უფ-
რო და უფრო მეტი ხნით ახერხებდა დარჩენას. შერწყმა ნაბიჯ-
ნაბიჯ უნდა მომხდარიყო. ერთმანეთის მსგავსი, ან თავსებადი
მახასიათებლების მქონე პიროვნებები პირველები უნდა გაერ-
თიანებულიყვნენ წყვილ-წყვილად, შემდეგ კი ინტენსიური შთა-
გონების გზით ამ ჰიბრიდებს გააერთიანებდნენ მანამდე, სანამ
ძირითად ბილიში არ გამოთლიანდებოდნენ. რადგანაც ერთმა-
ნეთს ყველაზე მეტად ტომი და ალენი ჰგავდნენ, ჯერ ისინი უნდა
გაერთიანებინათ. ალენის თქმით, ექიმ ჯორჯთან საათობით ვა-
მათი და ანალიზი არტურსა და რეიგენტან კიდევ უფრო ხან-
გრძლივი შინაგანი დისკუსიით გრძელდებოდა. ალენი და ტომი
ექიმ ჯორჯთან ერთად ბევრს შრომობდნენ შერწყმაზე, მაგრამ ეს
ძნელი იყო, რადგან ტომის ისეთი შიშები ჰქონდა, ალენს რომ არ
გააჩნდა. მაგალითად, ალენს ბეისბოლი უყვარდა, მაგრამ ტომის
ეშინოდა თამაშის, იმიტომ, რომ პატარა რომ იყო და მეორე ბაბა-
ში რომ თამაშობდა, შეცდომების დაშვების გამო ხშირად ხვდე-
ბოდა. ექიმი ჯორჯი ნიკ კიკოს, ალენს და სხვებს სთავაზობდა,
ტომისთან მის შიშებზე ესაუბრათ და წაეხალისებინათ, რომ ბეის-
ბოლი ეთამაშა. არტურაპიაც ისევ გრძელდებოდა და ახლა ის
ზეთის საღებავებით ხატვასაც მოიცავდა. ალენის თქმით, პატა-
რები შერწყმის იდეას ვერ გაიგებდნენ, თუ არტური მაგალითის
საფუძველზე არ აუხსნიდა. არტურმა შერწყმა „ქულ-ვიდის“

ფხვნილს შეადარა, რომელსაც ბავშვები კარგად იცნობდნენ — აუხსნა, რომ „ქულ-ეიდი“ ცალკეული კრისტალებისგან შედგება, თითოეული მარცვალი ცალ-ცალკე არსებობს. წყალს თუ დაახამდი, მარცვლები მასში გაიხსნებოდა. მაგრამ თუ ნარევეს თავახდილს დატოვებდი, წყალი აორთქლდებოდა და ნარევისგან მყარი მასა დარჩებოდა. არაფერი აკლდებოდა და ემატებოდა — უბრალოდ, იცვლებოდა.

ახლა ეს ყველას ესმის, — თქვა ალენმა, — შერწყმა „ქულ-ეიდის“ არევაა და მეტი არაფერი.

მედდა ნენ გრეივსმა 5 ივნისს ჩაინიშნა: „მისტერ მილიგანმა განაცხადა, რომ ერთი საათით მასში „ტომი“ და „ალენი“ შეერთდნენ და ეს უცნაური განცდა იყო“.

დონა ეგარის თქმით, მილიგანმა უთხრა, რომ შერწყმაზე ნერვიულობდა, რადგან არ უნდოდა რომელიმე მათგანი მომკვდარიყო, ან მათი ნიჭი და ძალა შესუსტებულიყო.

— მაგრამ ამაზე ვმუშაობთ, — დაარწმუნა ალენმა.

მეორე დღეს გერი შვეიკარტი მოვიდა და თან კარგი ამბავი მოიტანა — სასამართლომ ჰარდინგის საავადმყოფოში ბილი მილიგანზე დაკვირვებისა და მისი მკურნალობის ვადის გახანგრძლივებაზე თანხმობა განაცხადა და შერწყმის დასასრულებლად სამი თვე მისცა.

14 ივნისს, ოთხშაბათ საღამოს, რობალი დრეიკმა უყურა და უსმინა, როგორ უკრავდა ტომი დასარტყამ ინსტრუმენტებზე. რობალიმ იცოდა, რომ დასარტყამებზე ადრე მხოლოდ ალენი უკრავდა. შერწყმულ მდგომარეობაში ის ალენზე გაცილებით უარესი დრამერი იყო.

— ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ალენის ნიჭს ვიპარავ, — უთხრა მან რობალის.

— ისევ ტომი ხარ?

- კომბინაცია ვარ და ახლა სახელიც არ მაქვს. ეს მაწუხებს.
- თუმცა, ხალხი „ბილის“ რომ გეძახის, პასუხობ, არა?
- ამას ყოველთვის ვაკეთებდი, – უთხრა მან, თან დოღზე ნელ რიტმს უტყაპუნებდა.
- რამე გიშლის, ახლაც რომ ასე გააგრძელო?
- მან მხრები აიჩეჩა.
- ალბათ ეს ყველასთვის ნაკლებად დამაბნეველი იქნებოდა.
- კარგი, – და დოღს დაჰკრა, – ბილია და ბილი იყოს.

შერწყმა ერთბაშად არ მომხდარა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხანგრძლივობის შრომის შედეგად შვიდი ალტერნატიული პიროვნება – ანუ ყველა, არტურის, რეიგენისა და ბილის გარდა – გაერთიანდა. დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად არტურმა ნაზავს ახალი სახელი – „კენი“ დაარქვა. მაგრამ სახელმა დიდხანს ვერ იარსება და ყველა ისევ „ბილის“ დაუბრუნდა.

საღამოს ერთ-ერთმა პაციენტმა მედდა იეგერს ჩანაწერი მიუტანა, რომელიც მილიგანის სანაგვე კალათაში იპოვა. ის ძალიან ჰგავდა თვითმკვლელის ჩანაწერს. მილიგანისთვის სასწრაფოდ მიიღეს საგანგებო ზომები. მედდა იეგერის თქმით, დანარჩენი კვირის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ის ერთიანდებოდა და კვლავ იშლებოდა, ჩანდა, რომ შერწყმულ მდგომარეობაში უფრო და უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე რჩებოდა. 14 ივლისისთვის თითქმის მთელი დღის მანძილზე შერწყმული და მშვიდი ჩანდა. დღეები გადიოდა და მილიგანი ნაწილობრივ მთლიანობას, ძირითადად, ინარჩუნებდა, თუმცა დროდადრო ცოტა ხნით ითიშებოდა და შუქის კონტროლის უნარს საერთოდ კარგავდა. 28 აგვისტოს გერიმ და ჯუდიმ კლიენტი ისევ მოინახულეს და აღნიშნეს, რომ ექიმ ჯორჯს ანგარიში მოსამართლისთვის სამ კვირაში უნდა წარედგინა. თუკი ექიმი ჯორჯი ჩათ-

ვლიდა, რომ მილიგანი გამთლიანებული და კომპეტენტური იყო, ახლა უკვე მოსამართლე ფლაუერსზე იქნებოდა დამოკიდებული, როდის დანიშნავდა მოსმენას.

— ვფიქრობ, სასამართლო პროცესისთვის სტრატეგია უნდა შევიმუშავოთ, — თქვა არტურმა, — აპელაციის შეცვლა გვინდა. რეიგენი თანახმაა, აღიაროს დანაშაული და სამი ძარცვისთვის სასჯელი მოიხადოს, მაგრამ გაუპატიურებების აღიარებას არ აპირებს.

— კი, მაგრამ საბრალოდებო აქტის ათი პუნქტიდან ოთხს გაუპატიურება შეადგენს.

— ადალანას მონაცოლის მიხედვით, სამი ქალიდან წინააღმდეგობა არც ერთს არ გაუწევია, — თქვა არტურმა, — დაშავებით არც ერთი არ დაშავებულა. სამივეს ჰქონდა გაქცევის საშუალება. გარდა ამისა, ადალანა ამბობს, რომ თითოეულს ფულის ნაწილი დაუბრუნა, რათა სადაზღვევო კომპანიებისგან დახმარების მიღებამდე თავის გატანა შესძლებოდათ.

— ის ქალები ასე არ ამბობენ, — თქვა ჯუდიმ.

— ვის უჯერებთ? — ჩაიფრუტუნა არტურმა, — მათ თუ მე?

— მათგან მხოლოდ ერთის მონათხრობი რომ ეწინააღმდეგებოდეს ადალანას ვერსიას, ამაზე დავფიქრდებოდით. მაგრამ სამივე ასე ამბობს. ისიც ხომ გესმის, რომ ეს ქალები ერთმანეთს არ იცნობდნენ და არანაირი კონტაქტი არ ჰქონიათ.

— მერე რა, ცალ-ცალკეც შეიძლება უარობდნენ სიმართლის აღიარებას.

— რა იცი, სინამდვილეში რა მოხდა? — ჰკითხა ჯუდიმ, — იქ ხომ არ იყავი.

— სამაგიეროდ, ადალანა იყო, — თქვა არტურმა.

არც ჯუდის და არც გერის არ სჯეროდათ, რომ არც ერთ დაზარალებულს წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია, მაგრამ ხვდე-

ბოდნენ, რომ არტური მომხდარის ადალანასეულ ვერსიაზე საუბრობდა.

— შეგვიძლია ადალანას ვესაუბროთ? — ჰკითხა გერიმ.

არტურმა თავი გაიქნია.

— ჩადენილის გამო შუქზე გამოსვლა სამუდამოდ აეკრძალა. გამონაკლისს ვერ დავუშვებთ.

— მაშინ ვშიშობ, აპელაციას ვერ შევცვლით, — თქვა გერიმ, — მოვითხოვთ, უდანაშაულოდ სცნონ. უდანაშაულოდ შეურაცხადობის გამო.

არტურმა ცივად შეხედა და ტუჩებმოკუმულმა გამოსცრა:

— ვფიქრობ, ჩემს შემთხვევაში აპელაციას შეურაცხადობაზე ვერ ააგებთ.

— ეს ჩვენი ერთადერთი იმედია, — თქვა ჯუდიმ.

— გიჟი არ ვარ, — დაიჟინა არტურმა, — და საუბარი დამთავრებულია.

მეორე დღეს ჯუდიმ და გერიმ ცალხაზიანი ყვითელი ქაღალდი მიიღეს, რომელზეც ეწერა, რომ უილიამ ს. მილიგანს მეტად აღარ სურდა, მისი წარმომადგენლები ყოფილიყვნენ და თავის დაცვას თვითონ აპირებდა.

— ისევ დაგვითხოვა, — თქვა გერიმ, — რას ფიქრობ?

— ეს ქაღალდი თვალით არ მინახავს, — თქვა ჯუდიმ და ქაღალდი საქაღალდეში ჩადო, — ქაღალდები იკარგება და დანიშნულების ადგილს ვერ აღწევს. ვფიქრობ, დაარქივების ჩვენი სისტემის წყალობით ამ ფურცლის ამოქექვას ექვსი თვე მაინც დასჭირდება.

მომდევნო დღეებში ადვოკატებმა მათთვის გამოგზავნილი ოთხი ასეთი წერილი შეინახეს გაუგებარ ფაილში და როცა არავინ უპასუხა, არტურმა, როგორც იქნა, შეწყვიტა მათი დათხოვნის მცდელობა.

— შევძლებთ საქმის შეურაცხადლობის საფუძველზე მოგებას? — იკითხა ჯუდიმ.

გერიმ ჩიბუხს მოუკიდა და გააბოლა.

— თუ კაროლინი, ტერნერი, კოკანი, ჰარდინგი და უილბური დაგვიდასტურებენ, რომ ოჰაიოს კანონმდებლობის განმარტების მიხედვით, დანაშაულის ჩადენისას ბილი მართლაც შეურაცხადი იყო, მგონი, მიზანში მორტყმის საკმაოდ კარგი შანსი გვაქვს.

— კი მაგრამ, პირველმა შენ არ მითხარი, რომ მძიმე დანაშაულის შემთხვევაში შეურაცხადობის საბუთით ჯერ არც ერთი მრავლობითი პიროვნება არ უცვნიათ უდანაშაულოდ?

— ჰოდა, პირველი უილიამ სტენლი მილიგანი იქნება, — თქვა გერიმ და წვერებში ჩაიღიმა.

ექიმ ჯორჯ ჰარდინგ-უმცროსს მერყეობამ დარია ხელი. იმაში ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბილი ახლა შერწყმული იყო, ან სასამართლომდე მოახერხებდა ამას და სავარაუდოდ, იმდენად მაინც შეძლებდა გამთლიანებას, რომ სასამართლოზე წარმდგარიყო. ეს პრობლემას არ წარმოადგენდა. აგვისტოს მიწურულს ექიმ ჯორჯს მთელი ღამეები არ ეძინა. მოსამართლე ფლაუერსისთვის გასაგზავნ ანგარიშს კითხულობდა და ფიქრობდა, მორალურად რამდენად გამართლებული იქნებოდა მრავლობითი პიროვნების დიაგნოზის გამოყენება მძიმე დანაშაულში ბრალდებულის დასაცავად. დანაშაულთან დაკავშირებული პასუხისმგებლობით შეძრული იყო. ღელავდა, რომ მისი სიტყვები შესაძლოა, არასწორად გამოეყენებინათ, რაც მრავლობითი პიროვნების დიაგნოზის დისკრედიტაციას გამოიწვევდა და ამ სინდრომის მქონე სხვა პაციენტებსა თუ მთლიანად პროფესიას მიაყენებდა ჩრდილს. შესაძლოა, ამის შემდეგ ფსიქიატრების სასამართლო ჩვენებები საერთოდ ეჭვქვეშ დაეყენებინათ. თუკი მოსამართლე ფლაუერსი მიიღებდა მის მოსაზრებას, რომ დისოციაციური აშლილობა, რომელსაც აქამდე „ნევროზის“ კატეგორიას მიაკუთვნებდნენ, საკმარისი საბუთი იყო, რათა პაციენტი შეურაცხადობის მიზნით უდანაშაულოდ ეცნოთ, იცოდა, რომ ეს ოჰაიოს შტატისა და სავარაუდოდ, მთელი ქვეყნის კანონმდებლობაში ახალ პრეცედენტს შექმნიდა. ექიმ ჯორჯს სწამდა, რომ გასული ოქტომბრის იმ სამ საბედისწერო დღეს ბილი მილიგანი თავის მოქმედებებს ვერ აკონტროლებდა. უფრო მეტის გაგება და გაუკვალავ სივრცეში შეჭრა მისი პროფესიული მოვალეობა იყო. ამ საქმისა და ბილისადმი ისე მიდგომა, რომ მსგავსი პრობლემების გადაჭ-

რისას საზოგადოებისთვის სარგებელი მოეტანა, მის პასუხისმგებლობას წარმოადგენდა. ჰარდინგმა კიდევ ერთხელ ჩამოურეკა კოლეგებს რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის, თანამშრომლებს მოეთათბირა და 1978 წლის 12 სექტემბერს მოსამართლე ფლაუერსისათვის ცხრაგვერდიანი ანგარიში დაწერა, სადაც ბილი მილიგანის სამედიცინო, სოციალური და ფსიქიატრიული ისტორია აღწერა.

ექიმი წერდა:

„პაციენტის თქმით, დედასა და შვილებს ხშირად აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. მისტერ მილიგანისგან მას გადატანილი აქვს სადისტური მოპყრობა და სექსუალური ძალადობა, მათ შორის, ანალური კონტაქტი. პაციენტის თქმით, ეს მაშინ ხდებოდა, როცა ის რვა თუ ცხრა წლის იყო, ერთი წლის მანძილზე, ძირითადად, ფერმაში, სადაც მამინაცვალთან მართო რჩებოდა. აღნიშნავს, რომ ეშინოდა, მამინაცვალს არ მოეკლა, რადგანაც ის დაემუქრა, „მოგკლავ და საბძელში ჩაგმარხავ, დედაშენს კი ეგონება, რომ სახლიდან გაიქეციო“. საქმის ფსიქოდინამიკური ასპექტების გაანალიზებისას ჰარდინგმა აღნიშნა, რომ ღვიძლი მამის თვითმკვლელობამ მას მამობრივი მზრუნველობისა და ყურადღების მიღების საშუალება მოუსპო და „ირაციონალურობისა და ყოვლისმომცველი დანაშაულის განცდის ამარა დატოვა, რამაც შეფოთვა, შინაგანი კონფლიქტი და ფანტაზიის მზარდი განვითარება გამოიწვია“. შესაბამისად, ის „უძლური იყო მამინაცვლის, ჩაღმერ მილიგანის ძალადობის წინაშე, რომელიც ბავშვის მოთხოვნილებას, მიეღო სიახლოვე და მზრუნველობა, საკუთარი ფრუსტრაციის სექსუალური და სადისტური ძალადობის გზით საკომპენსაციოდ იყენებდა“. რადგანაც პატარა მილიგანი იდენტიფიკაციას ახდენდა დედასთან, რომელსაც ქმარი სცემდა, ამან მასში „შიშისა და ტკივილის განცდები“ გამოიწვია. ჩამოუყა-

ლიბა იზოლაციის შიში და არამყარი ფანტაზიის ანაბარა დარჩა, რომელიც განუსაზღვრელი და ბუნდოვანი ოცნებების ნიშნით იყო აღბეჭდილი. ამ ყველაფერმა მამინაცვლის მხრიდან ჩაგვრასთან, სადისტურ მოპყრობასა და სექსუალურ ძალადობასთან ერთად პერიოდული დისოციაციებისაკენ წაიყვანა.

ჰარდინგის დასკვნა ასეთი იყო: „ვფიქრობ, რომ ამჟამად პაციენტს, რომელმაც მრავლობითი პიროვნებების გამთლიანების ამოცანას თავი გაართვა, სასამართლოს წინაშე წარდგენის ძალა შესწევს. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ პაციენტი სულიერად დაავადებულია და ამ აშლილობის შედეგად, 1977 წლის ოქტომბრის მიწურულს, როცა ჩადენილ იქნა სისხლის სამართლის დანაშაული, ის თავის ქცევაზე პასუხისმგებელი არ იყო“.

19 სექტემბერს ჯუდი სტივენსონმა სასამართლოში შუამდგომლობა გაგზავნა, რომელშიც მიუთითებდა, რომ დაცვის მხარე კლიენტს „შეურაცხადობის საფუძველზე უდანაშაულოდ მიიჩნევდა“.

ამ დრომდე მილიგანის საქმეში მრავლობითი პიროვნების დიაგნოზი ჯერ არ გაეხმაურებინათ. ამის შესახებ მხოლოდ მკურნალებმა, პროკურორებმა და მოსამართლემ იცოდნენ. სახალხო დამცველები დაჟინებით მოითხოვდნენ მრავლობითი პიროვნების აშლილობის დიაგნოზის სადუმლოდ შენახვას, რადგან თუკი ეს ამბავი გასკდებოდა და საინფორმაციო გამოშვებების მთავარი მოვლენა გახდებოდა, მისი მკურნალობაცა და მისი საქმის განხილვაც ძალზე გართულდებოდა. ბერნი იავიჩი ეთანხმებოდა – თვლიდა, რომ მისი, როგორც პროკურორის პირადი ეთიკის გათვალისწინებით, არ უნდა გაემჟღავნებინა, ბრალდებულის თავს რა ხდებოდა, რადგანაც ამის შესახებ სასამართლოში ჩვენება ჯერ არავის მიეცა. მაგრამ 27 სექტემბრის დილას „კოლამბუს სიტიზენ ჯორნელმა“ ამბავი ყდაზე გამოტანილი მსხვილი სათაურით გააშუქა:

„სასამართლო მოსმენისათვის
პიროვნებები გაამთლიანეს“

„გაუპატიურებაში ეჭვმიტანილში
10 პიროვნება „სახლობს“

როცა ჰარდინგის საავადმყოფოში დილის გაზვითის შესახებ შეიტყვეს, თანამშრომლებმა ბილის ურჩიეს, სხვა პაციენტებისთვის თავისი ამბავი თავადვე მოეყოლა, სანამ ამის შესახებ გარე წყაროებიდან შეიტყობდნენ. მინი ჯგუფს ბილიმ უთხრა, რომ ბრალი ედებოდა ყაჩაღობებსა და გაუპატიურებებში, თუმცა დარწმუნებული არ იყო, რომ ეს დანაშაულები თავად ჩაიდინა, რადგან იმ დროისათვის „დანაწევრებული“ იყო. სალამოს ამბავი სატელევიზიო ახალ ამბებშიც გადმოსცეს და ატირებული ბილი თავის

ოთახში შეიკეტა. რამდენიმე დღის შემდეგ ბილიმ ლამაზი ახალგაზრდა ქალი დახატა ტანჯულის მზერით და მედდა ნენ გრეივსმა განაცხადა, ბილიმ თქვა, ეს ადალანას პორტრეტიაო. გერი შვეიკარტმა მილიგანი 3 ოქტომბერს ინახულა. ბილის ნახატების წასაღებად ის მიკროავტობუსით მოვიდა. მისი თქმით, ჯუდი სტივენსონი ქმართან ერთად შვეებულებით იტალიაში იმყოფებოდა და ქმედუნარიანობის შესახებ გამართულ მოსმენას ვერ დაესწრებოდა, მაგრამ პროცესს დროზე ჩამოუსწრებდა. ერთად გაისეირნეს, ისაუბრეს და გერი ეცადა, ბილი ფრანკლინის ციხეში გადაყვანისთვის მოემზადებინა, სადაც მოსმენას უნდა დალოდებოდა. უნდოდა, ბილი დამარცხებისთვისაც მზად ყოფილიყო.

ექიმ ჯორჯს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბილი გამთლიანებული იყო. ამას იმის საფუძველზე ასკვნიდა, რომ გახლეჩის ეპიზოდებს ველარ ამჩნევდა და თანაც, ბილის სხვადასხვა პიროვნებების მახასიათებლები შეეთვისებინა. თავიდან ხან ერთი პიროვნების ნიშნებს ამჩნევდა, ხან — მეორის, მაგრამ ნელ-ნელა ნარევი ერთგვაროვანი გახდა. ამას თანამშრომლებიც ხედავდნენ. სხვადასხვა პიროვნებების ასპექტებს ახლა ერთ ადამიანში — ბილი მილიგანში ხედავდნენ. ექიმმა ჯორჯმა განაცხადა, რომ პაციენტი მზად იყო. 4 ოქტომბერს, ფრანკლინის ციხეში ბილის დაბრუნებამდე ორი დღით ადრე „სიტიზენ ჯორნელის“ ჟურნალისტმა, ჰარი ფრანკენმა მილიგანზე მეორე წამყვანი სტატია გამოაცხო. მას ანონიმური პირისაგან ჰარდინგის ანგარიშის ასლი ჩაეგდო ხელში და კომენტარისათვის გერისა და ჯუდის მიადგა. იმუქრებოდა, სტატიას აუცილებლად გამოვაქვეყნებო. გერიმ და ჯუდიმ ეს მოსამართლე ფლაურსს შეატყობინეს, რომელმაც გადაწყვიტა, რომ სტატია “კოლამბუს დისპეჩშიც” უნდა დაბეჭდილიყო. რადგანაც ამბავმა უკვე გაჟონა, სახალხო დამცველები კომენტარზე დასთანხმდნენ. ფოტოგრაფებს ნება დართეს, საავადმყოფ-

ფოდან გერის წამოღებული ნახატებისათვის ფოტოები გადაეღოთ: მოსე, რომელიც ათი მცნების ამსახველი დაფის გატეხას აპირებდა; ებრაელი მუსიკოსი, რომელიც საყვირზე უკრავდა; ლანდშაფტი და ადალანას პორტრეტი. ბილი სტატიების გამოღელავდა და ექიმ კოკანთან ბოლო სეანსის დროს დათრგუნული იყო. ეშინოდა, მისი ერთ-ერთი პიროვნების ლესბოსელობის გახმაურების შემდეგ პატიმრებს მისთვის რამე არ დაეშავებინათ. ექიმ კოკანს უთხრა:

— თუ დამნაშავედ მცნობენ და ისევ ლიბანში გამგზავნიან, თავის მოკვლა მომიწევს.

— მაშინ ჩალმერი გაიმარჯვებს.

— აბა რა ვქნა? მთელი ეს სიძულვილი შიგნით მაქვს დაგროვილი. ვერაფერს ვუხერხებ.

ჩვეულებრივ, ექიმი კოკანი ირიბ მეთოდს ამჯობინებდა, რათა თერაპიის წამყვანი თავად პაციენტი ყოფილიყო და რჩევებსა და მითითებებს იშვიათად აძლევდა. თუმცა მიხვდა, რომ ახლა ამგვარი თერაპიის დრო არ იყო.

— შეგიძლია, სიძულვილი დადებითად გამოიყენო, — ურჩია მან, — ბავშვობაში ძალადობა გადაიტანე. შეგიძლია თავი ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ მუშაობას მიუძღვნა და საზარელი მოგონებები ასე დაამარცხო. ცოცხალი თუ დარჩები, შეგიძლია იბრძოლო და გაიმარჯვო. თუ მოკვდები, ის კაცი გაიმარჯვებს, შენზე რომ ძალადობდა, შენ კი — დამარცხდები.

მოგვიანებით თავის ოთახში დონა ეგართან საუბრისას ბილიმ ხელი საწოლქვეშ შეეყო და ტომის მიერ თითქმის შვიდი თვის წინ გადამალული სამართებელი გამოაძვრინა.

— გამომართვით, — უთხრა დონას და გაუწოდა, — აღარ დამჭირდება. სიცოცხლე მინდა.

ბილის რომ მოეხვია, დონას თვალები ცრემლებით ჰქონდა სასესე.

ბილიმ როზალის უთხრა:

— მინიჯგუფში დღეს არ მინდა. მარტოობისთვის უნდა მოვემზადო. უნდა მოვმავრდე. დამშვიდობების თავი არ მაქვს.

მაგრამ მინიჯგუფის წევრებმა გამოსამშვიდობებელი ბარათები მოუშზადეს და როზალიმ რომ მიუტანა, ბილი ატირდა.

— ასე მგონია, ცხოვრებაში პირველად მაქვს ნორმალური ადამიანური რეაქცია. ისეთი განცდა მაქვს, „შერეულ ემოციებს“ რომ უწოდებენ. ადრე ასეთი შეგრძნებები არ მქონია.

პარასკევს, ნ ოქტომბერს, როცა ბილი ფრანკლინში უნდა გადაეყვანათ, როზალის დასვენების დღე ჰქონდა, მაგრამ საავადმყოფოში მაინც მივიდა, რათა მის გვერდით ყოფილიყო. იცოდა, უეიკფილდის ზოგი თანამშრომლისგან სარკასტულ შენიშვნებს მიიღებდა, მაგრამ არ ადარდებდა. როზალი ოთახში შევიდა და ცისფერ კოსტიუმში გამოწყობილი ბილი დაინახა. იცდიდა და ბოლთას სცემდა, მშვიდად გამოიყურებოდა, ჩანდა, თავს მთლიანად აკონტროლებდა. როზალიმ და დონა ეგარმა ბილი ადმინისტრაციულ შენობასთან მიაცილეს. მიმღებთან შერიფის მუქსათვალის თანაშემწე ელოდათ. პოლიციელმა ხელბორკილები რომ ამოიღო, როზალი ბილის გადაეფარა და იკითხა, რა საჭირო იყო მისი ცხოველივით დაბმა.

— საჭიროა, მემ, წესი ეგეთია, — უთხრა თანაშემწემ.

— ღვთის გულისათვის! — დაიყვირა დონამ, — აქ რომ მოიყვანეს, თან ორი ქალი ახლდა. ახლა რა, დიდ ცუდ პოლიციელს თამაშობთ და ხელბორკილები უნდა დაადოთ?

— ასე მოითხოვენ, მემ, ბოდიში.

ბილიმ მაჯები გაუწოდა და ბორკილებმა რომ გაიტკაცუნა, როზალიმ დაინახა, როგორ შეკრთა მისი პაციენტი. ბილი ციხის

ფურგონში შეძვრა და სანამ მანქანა ქვის ხიდამდე მიმავალ დაკ-
ლაკნილ გზაზე წელა მიდიოდა, მედდები გვერდით მიჰყვებოდ-
ნენ. მერე ხელი დაუქნიეს, შენობაში შებრუნდნენ და დიდხანს ტი-
როდნენ.

თავი მეოთხე

1

ბერნი იავიჩმა და ტერი შერმანმა ექიმი ჯორჯის ანგარიში წაიკითხეს და აღიარეს, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე გამოწვლილვით ჩატარებული ფსიქიატრიული ანალიზი იყო, რაც ენახათ. რასაც ფსიქიატრების ჩვენებებში, ჩვეულებრივ, ქარცეცხლში ატარებდნენ და, როგორც წესი, ეჭვქვეშ აყენებდნენ, ჰარდინგის ანგარიშში ურყევი ეჩვენებოდათ. სტანდარტული, სამ-ოთხსაათიანი შემოწმების ნაცვლად, პაციენტს კლინიკაში შვიდი თვე აკვირდებოდნენ. აქ მხოლოდ ჰარდინგის პოზიცია კი არა, სხვა უამრავი ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მოსაზრებაც იყო მოცემული. 1978 წლის 6 ოქტომბერს მოსამართლე ფლაუერსმა ქმედუნარიანობის შესაფასებლად ჩატარებული მცირე მოსმენის შემდეგ ჰარდინგის ანგარიშის განხილვის საფუძველზე დაასკვნა, რომ მილიგანს სასამართლოზე წარდგომა შეეძლო. სასამართლო მოსმენის დღედ კი 4 დეკემბერი დანიშნა. შვეიკარტმა განაცხადა, რომ დასკვნა დამაკმაყოფილებელი იყო, მხოლოდ ერთი პირობით — სასამართლო დანაშაულების ჩადენის პერიოდში მოქმედ კანონმდებლობაზე დაყრდნობით უნდა წარმართულიყო (1 ნოემბერს ოჰაიოს კანონმდებლობა იცვლებოდა — ცვლილების მიხედვით, პროკურატურას კი არ უნდა დაემტკიცებინა ბრალდებულის შერაცხადობა, არამედ დაცვის მხარეს ეკისრებოდა შეურაცხადობის მტკიცების ტვირთი). იავიჩი შვეიკარტს არ ეთანხმებოდა.

— მზად ვარ, მოცემული შუამდგომლობა განვიხილო, — თქვა მოსამართლე ფლაუერსმა, — ისეთ შუამდგომლობებთან, რომელთა შედეგად კანონში ცვლილებები შეიტანეს, ადრეც მქონია საქმე, მაგალითად, სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემთხვევა. უმეტესწილად, თითქმის გამონაკლისის გარეშე, აღიარებდნენ, რომ დაცვის მხარეს თავის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების უფლება აქვს. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში თქვენი კატეგორიის საქმეების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას არ ვფლობ.

სასამართლოდან რომ გამოდიოდნენ, შვეიკარტმა იავიჩსა და შერმანს უთხრა, რომ თავისი კლიენტის სახელით ნაფიც მსაჯულთა საბჭოზე უარის თქმასა და მოსამართლისათვის მოსმენის დანიშვნის თხოვნას აპირებდა. შვეიკარტი რომ წავიდა, იავიჩმა თქვა:

— ესეც ჩვენი საქმე.

— არც ისეთი მარტივია, როგორც თავიდან ჩანდა, — თქვა შერმანმა.

როგორც მოგვიანებით მოსამართლე ფლაუერსმა თქვა, ბრალდების მხარემ ჰარდინგის ანგარიშის მიღებით, მაგრამ მილიგანის შეურაცხადად ცნობაზე უარის გამოცხადებით საქმე ძალიან გაურთულა.

ფრანკლინის ციხეში დაბრუნებულმა გერიმ და ჯუდიმ შეამჩნიეს, რომ ბილი ისევ დაითრგუნა და დროის უდიდეს ნაწილს ხატვასა და ლოდინში ატარებდა. საქმის გასაჯაროება აწუხებდა. შემდეგ უფრო და უფრო მეტხანს ეძინა, ცივ, შიშველ გარესამყაროს ასე ემიჯნებოდა.

— სასამართლომდე ჰარდინგში რომ დავიცადო, არ შეიძლება? — ჰკითხა მან ჯუდის.

— შეუძლებელია, — უთხრა მან, — სასამართლომ იქ შვიდი თვე რომ გაგაჩერა, ეგეც სასწაულია. გამაგრდი. უკვე ორ თვეზე ნაკლები დარჩა.

— ახლა თავი ხელში უნდა აიყვანო, — განაგრძო გერიმ, — ძლიერი წინათგრძნობა მაქვს, რომ თუ სასამართლოზე კარგად გამოხვალ, უდანაშაულოდ გალიარებენ. მაგრამ თუ გატყდი და პროცესს ვერ გაუძელი, ლიმაში დაგაბრუნებენ.

ერთ საღამოს ერთ-ერთმა მცველმა უყურა, როგორ იწვა ბილი და ფანქრით როგორ ხატავდა. მან გისოსებში გაიხედა და დაინახა ნახატი — ნაჭრის თოჯინა, „ფეთხუმი ენი“, რომელიც დამსხვრეული სარკის წინ ყულფზე ეკიდა.

— ეი, მილიგან, ეს რატომ დაგიხატავს?

— იმიტომ რომ გაბრაზებული, — გაისმა ბოხი, სლავურაქცენტიანი ხმა, — ვილაცის სიკვდილის დროა.

ამის გაგონება იყო და მცველმა განგაშის ღილაკს დააჭირა. რეიგენი უყურებდა და მისი რეაქცია ართობდა.

— კედელთან, სწრაფად, ვინც არ უნდა იყო, — უთხრა მცველმა, — ეგ ნახატი საწოლზე დატოვე და კედელთან დადექი.

რეიგენი დაემორჩილა. დაინახა, როგორ შემოეხვივნენ მის საკანს სხვა მცველები. კარი გააღეს, სწრაფად შევიდნენ, აიღეს ნახატი და ისევ ჩაკეტეს.

— ღმერთო, — თქვა ერთ-ერთმა, — რა ავადმყოფური ნახატია.

— ამის ადვოკატს დაურეკეთ, — თქვა ვილაცამ, — ისევ გარეკა.

გერი და ჯუდი რომ მოვიდნენ, მათ არტური დახვდათ, რომელმაც აუხსნა, რომ ბილი ბოლომდე არასდროს გამთლიანებულა.

— თუმცა, სასამართლოზე წარსადგენად საკმარისად შერწყმულია, — დაარწმუნა მან, — ბილის ახლა მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების არსის გაგება და თავის დასაცავად თანამშრომლობა შეუძლია. მაგრამ მე და რეიგენი განცალკევებულე-

ბად დავრჩით. როგორც ხედავთ, აქ მტრული გარემოა და რეიგენი დომინირებს. მაგრამ ბილის აქედან საავადმყოფოში თუ არ გადაიყვანენ, გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ მთლიანობას ნაწილობრივ მაინც შეინარჩუნებს.

ფრანკლინის ოლქის შერიფმა, ჰარი ბერკემერმა „კოლამბუს დისპენის“ რეპორტიორს უთხრა, რომ როცა მილიგანში რეიგენმა გაიღვიძა, მისი თანაშემწეები გასაოცარი ძალისა და გამძლეობის მოწმენი გახდნენ. პატიმრების სავარჯიშო დარბაზში რეიგენმა სავარჯიშოდ მოკრივეებისთვის განკუთვნილი ტომარა აირჩია.

— ცხრამეტი წუთი და ოცდაათი წამი შეუჩერებლად ურტყა, — თქვა ბერკემერმა, — ჩვეულებრივ კაცს არაქათი სამ წუთში ეცლება. ისეთი ძალით ურტყამდა, რომ ვიფიქრე, ხელი ხომ არ მოიტეხა-მეთქი და შესამოწმებლად ექიმთან წავიყვანე.

მაგრამ რეიგენი მთელი და უვნებელი იყო.

24 ოქტომბერს მოსამართლე ფლაუერსმა „საუთვესტის“ ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრს კვლავ დაავალა მილიგანის შემოწმება და მისი სასამართლოზე წარდგენის უნარის შესახებ ანგარიშის მომზადება. ჯორჯ ჰარდინგ-უმცროსს, შეხედულებისამებრ, შეეძლო, შემოწმებას დასწრებოდა. მოსამართლემ მილიგანის ციხიდან ოჰაიოს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაუყოვნებლივ გადაყვანის მითითებაც გასცა. 15 ნოემბერს მარიონ კოლოსკიმ, „საუთვესტის“ ფსიქიატრიული ცენტრის სასამართლოსთან თანამშრომლობის პროგრამის დირექტორმა, განაცხადა, რომ როცა ექიმებმა — სტელა კაროლინმა და დოროთი ტერნერმა მილიგანი უკანასკნელად ნახეს, იგი სასამართლოზე წარსადგენად და ადვოკატთან თანამშრომლობისთვის მზად იყო, მაგრამ დაუმატა, რომ:

„მისი ფსიქიკური მდგომარეობა ძალზე მერყევია. ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია გამთლიანებული პიროვნების ფრაგმენტაცია ძველებურად დისოცირებულ პიროვნებებად“.

29 ნოემბერს „დეიტონ დეილი ნიუსმა“ და „კოლამბუს დისპენსმა“ ჩალმერ მილიგანის სიტყვები გამოაქვეყნეს, სადაც ის გერბე სექსუალური ძალადობის შესახებ ხმებს უარყოფდა. „ესო-შიეიტედ პრესის“ შემდეგი სტატია „კოლამბუს დისპენსიცი“ დაიბეჭდა:

„მამინაცვალი ამბობს, რომ პატარა მილიგანზე არ უძალადია.

ჩალმერ მილიგანი ამბობს, რომ „ძალიან გაანაწყენა“ გაზეთებში გამოქვეყნებულმა მასალამ, სადაც ეწერა, რომ ის გერბე, უილიამ ს. მილიგანზე, რომელსაც, ექიმების თქმით, ათი პიროვნება ჰყავს, სექსუალურ ძალადობას ახორციელებდა.

— მე არავინ დამლაპარაკებია, — ჩივის მილიგანი. მისი მტკიცებით, ძალადობის ბრალდება გერის მხრიდან „სრული სიცრუეა“.

ექიმ ჯორჯ ჰარდინგის მიერ შედგენილი ანგარიშის თანახმად, ფსიქიატრებმაც დაასკვნეს, რომ მილიგანს მრავლობითი პიროვნების აშლილობა აქვს და მისმა ზოგიერთმა პიროვნებამ სხვების მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ არაფერი იცოდა. მის მდგომარეობას ნაწილობრივ ბავშვობაში გადატანილ ძალადობას აბრალებენ. ჩალმერ მილიგანი ამბობს, რომ გამოქვეყნებული სტატიების შედეგად მნიშვნელოვანი სირთულეების გადატანამ მოუწია.

— ყველაფერს არასწორად იგებთ ხოლმე, ეს ძალიან საწყენია, — განაცხადა მან. ის განსაკუთრებით უკმაყოფილოა იმ სტატიებით, რომლებშიც არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა როლი მიუძღვით საქმეში უილიამსა და მის ფსიქიატრებს.

– ეს ამბავი სულ ბიჭისგან მოდის, – ამბობს მილიგანი, – ეს პუბლიკაციები მარტო მაგათ (ე.ი. ფსიქიატრების და ახალგაზრდა მილიგანის) ნათქვამს იმეორებენ.

შეკითხვაზე, აპირებს თუ არა ცილისწამების ბრალდებით საქმის აღძვრას, მილიგანი არ გვპასუხობს“.

ჯუდი და გერი, რომლებიც ნელ-ნელა სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ ბილის შეურაცხადობის საფუძველზე უდანაშაულოდ ცნობდნენ, ხვდებოდნენ, რომ წინ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება მაინც ელოდათ. ამ დრომდე ყველა ამგვარი ვერდიქტის შემდეგ ბრალდებულს ლიმაში გზავნიდნენ. მაგრამ სამი დღის შემდეგ, 1 დეკემბერს, ძალაში შედიოდა ფსიქიკური დარღვევის მქონე პაციენტების შესახებ ოჰაიოს შტატის ახალი კანონი, რომლის თანახმად შეურაცხადობის მიზეზით უდანაშაულოდ მიჩნეულ პაციენტს ისე უნდა მოპყრობოდნენ, როგორც ავადმყოფს და არა როგორც დამნაშავეს. ახალი კანონი მოითხოვდა, რომ იგი ნაკლებად მკაცრ დაწესებულებაში მოეთავსებინათ, რომელიც მისი და მისი გარშემომყოფების უსაფრთხოებას მაქსიმალურად დაიცავდა. პაციენტის ფსიქიატრიული დაწესებულებისათვის გადაცემა საპრობაციო სასამართლოს იურისდიქციით უნდა განხორციელებულიყო. სასამართლო 4 დეკემბერს იყო დანიშნული და ბილი პირველი იქნებოდა, ვისაც ოჰაიოს ახალი კანონი შეეხებოდა. თუკი დაცვის მხარე მისი მკურნალობისათვის სათანადო ადგილს მიუთითებდა, კარგი შანსი ჰქონდათ, საპრობაციო სასამართლოს მის, ლიმის ნაცვლად, სხვაგან გადაყვანაზე თანხმობა განეცხადებინა. ჰარდინგის საავადმყოფო სიძვირის გამო არ განიხილებოდა. ეს რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება უნდა ყოფილიყო, სადაც მრავლობითი პიროვნების აშლილობის სპეციალისტი იქნებოდა და მის მკურნალობას ითავებდა. ექიმ კორნელია უილბურს ნათქვამი ჰქონდა, რომ კო-

ლაბუსიდან სამოცდათხუთმეტი მილის დაშორებით მდებარე სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მუშაობდა ექიმი, რომელსაც რამდენიმე მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე პაციენტისათვის ემკურნალა და ამ სფეროში გამოცდილად ითვლებოდა. მან ექიმ დევიდ კოლს, ათენის ფსიქიატრიული ცენტრის დირექტორს, გაუწია რეკომენდაცია. ახალ კანონთან დაკავშირებული პროცედურების განსახილველად პროკურორის ოფისმა საპრობაციო მოსამართლე რიჩარდ მეტკალფთან წინასწარი შეხვედრა ითხოვა. მოსამართლე ფლაუერსი დასთანხმდა და შეხვედრა დანიშნა. მაგრამ ჯუდიმ და გერიმ იცოდნენ, რომ შეხვედრა ამით არ შემოიფარგლებოდა. მას მოსამართლე ფლაუერსიც დაესწრებოდა და საბოლოოდ, გადაწყვეტდნენ, რომელი ჩვენება მიეღოთ ორშაბათს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და რომელ დაწესებულებაში გაგზავნიდნენ მილიგანს იმ შემთხვევაში, თუკი შეურაცხადობის საფუძველზე უდანაშაულოდ ცნობდნენ. გერიმ და ჯუდიმ გადაწყვიტეს, რომ მნიშვნელოვანი იყო გაეგოთ, თანახმა იქნებოდა თუ არა ექიმი კოლი ბილის მიღებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჯუდის ექიმი კოლის შესახებ ადრეც სმენოდა და ივლისში მრავლობითი პიროვნების სინდრომის შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდა კიდევ, მასთან ბილის სახელი არ უხსენებია. ახლა კი დაურეკა და ჰკითხა, თანახმა იყო თუ არა, ბილი მილიგანი პაციენტად აეყვანა და შეძლებდა თუ არა პარასკევს კოლამბუსში ჩამოსვლასა და შეხვედრაზე დასწრებას. კოლმა უპასუხა, რომ ეს საკითხი კლინიკის ხელმძღვანელ სიუ ფოსტერთან უნდა შეეთანხმებინა, რომელიც, თავის მხრივ, შტატის ფსიქიატრიული ჯანდაცვის დეპარტამენტს ჩააყენებდა საქმის კურსში. კოლმა თქვა, რომ ფოსტერთან შეთანხმების შემდეგ მილიგანის მიღებაზე დაფიქრდებოდა და პარასკევს კოლამბუსში ჩამოსვლასა და შეხ-

ვედრაზე დასწრებაზე დასტური განაცხადა. 1-ელ დეკემბერს ჯუდი ექიმ კოლს მოუთმენლად ელოდა. მოსამართლე მეტკალფის კაბინეტის მოსაცდელი ბილის საქმესთან დაკავშირებული ხალხით იყო სავსე. მათ შორის იყვნენ ექიმი ჯორჯ ჰარდინგი, დოროთი ტერნერი და ბერნი იავიჩი. ათი საათი რომ შესრულდა, მდინვანმა შუახნის, პატარა ტანის მსუქან მამაკაცზე ანიშნა. მის ხორციან, მუქკანიან სახეს გარს ჭადარა თმა ერტყა. მკვეთრი, გამჭოლი არწივისებური მზერა ჰქონდა. ჯუდიმ ის გერისა და სხვებს წარუდგინა და მოსამართლე მეტკალფის კაბინეტში შეუძღვა. ექიმი კოლი მეორე რიგში დაჯდა და უსმენდა, როგორ მსჯელობდნენ იურისტები ახალი კანონის მილიგანის საქმესთან თავსებადობის საკითხზე. მალე კაბინეტში მოსამართლე ფლაუერსი შევიდა და მოსამართლე მეტკალფთან ერთად საქმე და მოცემულ დრომდე განხორციელებული პროცედურები შეაჯამა. ბერნი იავიჩმა პროკურატურის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე ისაუბრა და აღიარა, რომ დანაშაულებების ჩადენისას მილიგანის მდგომარეობის შესახებ არსებული ჩვენებების უკუგდება რთული იყო. ჰარდინგისა და საუთვესტის დასკვნებს ის ეჭვქვეშ არ აყენებდა. გერიმ ხაზი გაუსვა, რომ დაცვის მხარე არ აპირებდა უარეყო მილიგანის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რომლის გამოც მას ბრალდების მხარე უჩიოდა. დევიდ კოლი ხვდებოდა, რომ მხარეები ორშაბათს დაგეგმილი სასამართლო პროცესის მოსალოდნელ სცენარს განიხილავდნენ. გერი და ჯუდი ჩანაწერებიდან მსხვერპლთა სახელების ამოღებაზე დასთანხმდნენ. იმის განსაზღვრავდა რჩებოდა, რა ბედი ელოდა ბილის, თუკი მოსამართლე ფლაუერსი მას შეურაცხადობის საფუძველზე უდანაშაულოდ ცნობდა. გერი წამოდგა და თქვა:

— ჩვენთან იმყოფება ექიმი კოლი ათენის საავადმყოფოდან. მას ათენის ფსიქიატრიული ჯანდაცვის ცენტრში, სახელმწიფო

დაწესებულებაში მრავლობითი პიროვნების სინდრომის მქონე პაციენტებისათვის ადრეც უმკურნალა. ექიმ კოლს რეკომენდაციას უწევინ რაღაც ელისონი კალიფორნიიდან და კორნელია უილბური კენტუკიდან, რომლებიც ფსიქიატრიის ამ სფეროში ექსპერტებად მიიჩნევიან.

კოლმა იგრძნო, რომ ყველა მისკენ იყურებოდა. მოსამართლე ფლაუერსმა ჰკითხა:

— ექიმო კოლ, მზად ხართ, მიიღოთ და უმკურნალოთ მილიგანს?

ექიმმა კოლმა უეცრად იფიქრა, რომ ეს რაღაც „ცხელი კარტოფილის გადაცემის“ მსგავსი თამაში იყო და აჯობებდა, თავისი პოზიციები მკაფიოდ გამოეკვეთა.

— დიახ, მე მას ავიყვან, — თქვა კოლმა, — მაგრამ თუ ათენში ჩამოვა, მინდა იმ მეთოდით ვუმკურნალო, რომელსაც ჩვენს ღია თერაპიულ გარემოში სხვა პაციენტებთან ვიყენებდი.

კოლმა მიშტერებულ ხალხს გადახედა, მერე ისევ მოსამართლეებს მიუბრუნდა და ხაზგასმით წარმოთქვა:

— თუ ამის საშუალებას არ მომცემთ, მაშინ ნუ გამოგზავნიან.

რომ მიმოიხედა, დაინახა, რომ ყველა თავს იქნევდა. უკან, ათენისკენ მიმავალ გზაზე, ექიმმა კოლმა ნანახი და მოსმენილი გააანალიზა და აღმოაჩინა, რომ თითქმის ყველა იქ მყოფი, მათ შორის, პროკურორი იაფიჩი ეთანხმებოდა იმ ფაქტს, რომ მილიგანი მრავლობითი პიროვნება იყო. ხვდებოდა, რომ თუ სასამართლოზე ყველაფერი ისევე ჩაივლიდა, როგორც ამ შეხვედრაზე, მილიგანი მძიმე დანაშაულში პირველი ბრალდებული იქნებოდა, ვისაც შეურაცხადობის საფუძველზე უდანაშაულოდ ცნობდნენ. ექიმ კოლს ესმოდა, რომ შეხვედრა, რომელსაც ახლახან დაესწრო, ორშაბათის სასამართლოზე საკანონმდებლო და ფსი-

ქიატრიული სფეროების ისტორიაში პრეცედენტის შექმნას მოასწავებდა.

4 დეკემბერს ბილი მილიგანმა რომ გაიდვიდა — ეს ის დილა იყო, როცა ოჰაიოს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან ფრანკლინის სასამართლოში უნდა გადაეყვანათ, — სარკვეში ჩაიხედა და გაოგნებულმა აღმოაჩინა, რომ მისი ულვაში გამქრალიყო. არ ახსოვდა, როდის მოეპარსა და ფიქრობდა, ნეტავ ეს ვინ ჩაიდინაო. ულვაში ადრე პირველ და მეორე გაუპატიურებებს შორის ჰქონდა მოპარსული და მერე ისევ მოიბარდა. ახლა დრო ისევ „დაკარგული“ ჰქონდა. ის უცნაური შეგრძნება დაუბრუნდა, ჰარდინგისა და ფრანკლინის ციხეში ბოლო დღეების მანძილზე რომ ჰქონდა — რომ რეიგენი და არტური ისევ განცალკევებულად რჩებოდნენ და შეერთებას არ აპირებდნენ, ვიდრე არ დარწმუნდებოდნენ, რომ ციხეში არ გაგზავნიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ ხომ მაინც იყო გამთლიანებული — იმდენად მაინც, რომ სასამართლოზე წარდგომა შეძლებოდა. „ბილის“ რომ ეძახდნენ, კვლავაც ჩვეულებრივად პასუხობდა, თუმცა იცოდა, რომ არც „ძირითადი ბილი“ იყო და არც „მთლიანად შერწყმული ბილი“, რაღაც შუალედურს წარმოადგენდა. პოლიციის მანქანისკენ რომ მიდიოდნენ, ფიქრობდა, ნეტავ ბოლომდე გამთლიანება როგორი შეგრძნება იქნებაო. როცა საავადმყოფოსთან გაჩერებულ მანქანაში ჩაჯდა, შეამჩნია, რომ სასამართლოს წარმომადგენლები უცნაურად უყურებდნენ. ჩასაფრებული ჟურნალისტებისა და რეპორტიორებისთვის თავის ასარიდებლად პოლიციის ფურგონმა სასამართლოსკენ მიმავალი გზა ხუთი მილით გაიგრძელა. მაგრამ როცა ფრონტ-სტრიტზე შეუხვია და ფრანკლინის ციხის შესასვლელს მიადგა, სანამ ასაწევი კარი დაიხურებოდა,

მანქანას ტელეკამერიანი ახალგაზრდა ქალი და კაცი მიუახლოვდნენ.

— მოვედით, მილიგან, — უთხრა მძღოლმა და კარი გაუღო.

— სანამ ეს კამერიანი რეპორტიორები აქ არიან, არ გადმოვალ, — თქვა ბილიმ.

— თუ არ დამიცავთ, როგორც კი შიგნით მოვხვდები, ჩემს ადვოკატებს ვეტყვი.

მძღოლი მიბრუნდა და ჟურნალისტები დაინახა.

— ვინ ხართ?

— „მეთხე არხის“ ახალი ამბებიდან ვართ. აქ ყოფნის ნებართვა გვაქვს.

მძღოლმა ბილის გადახედა, რომელმაც თავი გაიქნია.

— ადვოკატებმა მითხრეს, რომ ჟურნალისტებს ახლოს არ უნდა გავეკარო. არ გადმოვალ.

— სანამ აქ ხართ, გადმოსვლას არ აპირებს, — უთხრა ოფიცერმა რეპორტიორებს.

— უფლება გვაქვს... — დაიწყო ქალმა.

— ეს ჩემი უფლებების დარღვევაა, — დაუძახა ბილიმ მანქანიდან.

— რა ხდება მანდ? — დაიყვირა მეორე ოფიცერმა ჭიშკარს მიღმა.

— მილიგანი უარს ამბობს გადმოსვლაზე, სანამ აქ ეს ხალხია, — უპასუხა მძღოლმა.

— მისმინეთ, ხალხნო, — თქვა სერჟანტმა უილისმა, — ვშიშობ, სანამ შიგნით შევიყვან, წასვლა მოგიჩევთ.

როცა ოპერატორი და რეპორტიორი ასაწევ კარს გასცდნენ და ფოლადის კარი ხმაურით დაიხურა, ბილი უილისს გაჰყვა. შიგნით შერიფის შავპერანგიანი წარმომადგენლები შეჯგუფებულიყვნენ, რომ ენახათ, მილიგანს როგორ შემოიყვანდნენ. გავ-

ლა რომ შეძლებოდა, უილისმა ბილის კორიდორი გაუკეთა და მესამე სართულზე აიყვანა.

— შვილო, გახსოვარ?

ლიფტიდან რომ გამოვიდნენ, ბილიმ თავი დაუქნია.

— ღირსეულად მექცეოდით.

— არაფრით შეგიწუხებივარ, იმ უნიტაბებს თუ არ ჩავთვლით.

— და უილისმა სიგარეტი მიაწოდა, — დიდი ცნობილი კაცი ხარ.

— ცნობილად კი არა, საშინლად ვგრძნობ თავს. ყველას ვძულვარ, — უთხრა ბილიმ.

— გარეთ „მეოთხე არხი“, „მეთე არხი“, „ეი-ბი-სი“, „ენ-ბი-სი“ და „სი-ბი-ესი“ ვნახე. შენს საქმეზე უფრო მეტი ტელევიზიაა, ვიდრე დიდი მკვლევლობების ამბებზე მინახავს ერთად მოსული.

პატარა მიმღების გისოსებიან გასასვლელთან შეჩერდნენ, რომლის მიღმა ფრანკლინის სასამართლო დარბაზისკენ მიმავალი დერეფანი ჩანდა. მიმღებთან მდგარმა მცველმა თავი დაუკრა.

— უულვაშოდ ლამის ვერ გიცანი.

მერე ღილაკს დააჭირა და ცენტრალურ საკონტროლო ოთახს დაუკავშირდა. უთხრა, მილიგანისთვის სასამართლოს ჭიშკარი გაეღოთ. კარი გაიღო. სასამართლო ბაღრაგმა ბილი კედელთან მიაყენა და საგულდაგულოდ გაჩხრიკა.

— ყველაფერი წესრიგშია, — თქვა ერთ-ერთმა, — გასასვლელისკენ გამიძეხი. სასამართლო დარბაზის მეშვიდე სართულს რომ მიაღწიეს, მათ ჯუდი და გერი შეუერთდნენ. დამცველებმა შეამჩნიეს, რომ ბილის ულვაში აღარ ჰქონდა.

— ასე უკეთ გამოიყურები, — უთხრა ჯუდიმ, — უფრო მოვლილი იერი გაქვს.

ბილიმ ტუჩზე თითი მიიდო და გერიმ იგრძნო, რომ რაღაც ისე ვერ იყო. რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ამ დროს რაციითა

და ყურსაცმებით აღჭურვილი ოფიცერი მივიდა, ბილის მკლავში ხელი ჩაავლო და თქვა, რომ შერიფს უნდოდა, ბილი მეორე სართულზე ჩაეყვანათ.

— მოიცადეთ, სასამართლო ამ სართულზეა დანიშნული, — თქვა გერიმ.

— არ ვიცი რა ხდება, სერ, — უთხრა ოფიცერმა, — მაგრამ შერიფი სასწრაფოდ მოითხოვს, ქვევით ჩამოიყვანეთო.

— აქ მოიცადე, — უთხრა გერიმ ჯუდის, — ქვევით გავყვები და ვნახავ, რა ხდება.

ბილისა და ოფიცერთან ერთად ლიფტში ჩაჯდა, მაგრამ მეორე სართულზე კარი რომ გაიღო, მაშინვე დაინახა, რაშიც იყო საქმე. შინაგანი განგაში ჩაცხრა. ეს „კოლამბუს დისპეჩის“ ფოტოგრაფი და რეპორტიორი იყვნენ.

— ეს რა ჯანდაბაა? — იყვირა გერიმ, — იდიოტი გგონივართ? ამას არ მოვითმენ!

რეპორტიორმა განუმარტა, რომ რამდენიმე ფოტოს გადაღება უნდოდათ — ისეთების, სადაც ხელბორკილები არ გამოჩნდებოდა. შერიფი, მისი თქმით, თანახმა იყო.

— ფეხებზე მკიდია, — გამოსცრა გერიმ, — ჩემს კლიენტთან ამის უფლებას არ მოგცემთ.

მან ბილი მიაბრუნა და ისევ ლიფტში შეუძღვა.

ოფიცერმა ზევით აიყვანა და მოსაცდელ ოთახში შეიყვანა. მოსაცდელში დოროთი ტერნერი და სტელა კაროლინი შევიდნენ, ბილის გადაეხვივნენ და დაამშვიდეს. მაგრამ როცა ისინიც გავიდნენ და ბილი ოფიცერთან მართლ დარჩა, აკანკალდა და ხელები სკამს ჩასჭიდა.

— კარგი, მილიგან, — უთხრა ოფიცერმა, — ახლა შეგიძლია შეხვიდე დარბაზში.

გერიმ შეამჩნია, რომ ბილის დარბაზში რომ შემოუძღვნენ, სასამართლოს მხატვრები ჯერ მიაშტერდნენ, მერე ერთდროულად სწვდნენ საშლელებს და გულმოდგინედ შეუდგნენ წაშლას. გერის გაელიმა. უღვაშს შლიდნენ.

— თქვენო ღირსებავ, — თქვა გერი შვეიკარტმა და კათედრას მიუახლოვდა, — ბრალდებისა და დაცვის მხარეები თანხმდებიან, რომ მოწმეების ან ბატონი მილიგანის გამოძახება საჭიროებას არ წარმოადგენს. საქმესთან დაკავშირებული ფაქტები ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე პროტოკოლში იქნება შეტანილი.

მოსამართლე ფლაუერსმა შენიშვნებს ჩახედა.

— ბრალდებას არ ასაჩივრებთ და არ უარყოფთ, რომ თქვენმა კლიენტმა ჩაიდინა დანაშაულებები, რომლებშიც ბრალი ედება, გარდა სექსუალური ძალადობის პირველი ფაქტისა, არა?

— ასეა, თქვენო ღირსებავ, მაგრამ ჩვენ მას შეურაცხადობის საფუძველზე უდანაშაულოდ მივიჩნევთ.

— მისტერ იავიჩი, ასაჩივრებთ საუთვესტის ფსიქიატრიული ჯანდაცვის ცენტრისა და ჰარდინგის საავადმყოფოს დასკვნას?

იავიჩი წამოდგა.

— არა, თქვენო ღირსებავ, ბრალდების მხარე ეთანხმება დანაშაულის ჩადენისას ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობის შესახებ ექიმ ჰარდინგის, ექიმ ტერნერის, ექიმ კაროლინისა და ექიმ უილბურის ჩვენებებს.

ჯუდი სტივენსომა გასუსულ დარბაზს ფიცის ქვეშ მიცემული ჩვენება წაუკითხა. კითხვისას დროდადრო ბილის უყურებდა. ხედავდა, რა გაფითრებული იყო. იმედი ჰქონდა, რომ ჩვენების მოსმენა მისთვის ისეთი მტკივნეული არ აღმოჩნდებოდა, რომ გახლეჩა გამოეწვია.

„მისის მარგარეტ ჩანგრეტს შეუძლია დაამოწმოს, რომ რამდენჯერმე უნახავს ბილის დედა მას შემდეგ, რაც მას მისტერ მი-

ლიგანმა სცემა. ის ადასტურებს, რომ ერთხელ ბილიმ დაურეკა და უთხრა, დედა ძალიან ნაცემიაო. მისის ჩანგრეტი მილიგანებთან მივიდა და ნახა, რომ მისის მური იწვა. მისი თქმით, ის ერთიანად დალილავებული იყო და კანკალებდა. მისის ჩანგრეტმა ექიმსა და მღვდელს დაუძახა და მთელი დღე მასთან დარჩა. ბრალდებულის დედა, დოროთი მური, საჭიროების შემთხვევაში, მზადაა დაამოწმოს, რომ მისი ყოფილი ქმარი, ჩალმერ მილიგანი მის მიმართ ძალიან სასტიკი იყო და როცა სვამდა, ხშირად სცემდა. როცა ურტყამდა, ბავშვებს, როგორც წესი, საძინებელში კეტავდა. ის დაამოწმებს, რომ ცემის შემდეგ „ჩალმერი ხშირად სექსუალურად აღგზნებული იყო“. მისის მური ამბობს, რომ მისტერ მილიგანი ბილიზე ეჭვიანობდა და „დასჯის მიზნით“ ხშირად სცემდა. ერთხელ გუთანზე მიაბა, შემდეგ კი — საბძლის კარზე, რომ „ჭკუა ესწავლებინა“. მისის მური დაამოწმებს, რომ ცემის სისასტიკისა და ბილიზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ მოცემული საქმის გახსნამდე არაფერი იცოდა“.

გერიმ დაინახა, როგორ აიფარა ბილიმ ხელები თვალებზე და ჰკითხა:

— ცხვირსახოცი არ გაქვთ?

გერი შებრუნდა და დაინახა, როგორ ამოიღო ათეულობით ადამიანმა ცხვირსახოცი და როგორ გაუწოდა ბილის.

„მისის მური ადასტურებს, რომ ერთხელ, როცა ბილიმ საუბმე მოუმზადა, დედა მისი ქალური მხარის გამოვლინების მოწმე გახდა. მისი თქმით, ბილი გოგოსავით დადიოდა და საუბრითაც გოგოსავით ლაპარაკობდა. მისის მური დაამოწმებს, რომ ბილი ლანკასტერის რაიონში მდებარე შენობის სახანძრო კიბებზე „ტრანსისმაგვარ“ მდგომარეობაში იპოვა. სკოლიდან უნებართვოდ წამოსულიყო და დამრიგებელმა მისის მურს დაურეკა, რომ ამის შესახებ შეეტყობინებინა. მისის მური ამბობს, რომ ბი-

ლი „ტრანსში“ რამდენჯერმე უნახავს. დაამოწმებს, რომ როცა ბილი „ტრანსიდან“ გამოდიოდა, „ტრანსის“ დროს მომხდარი არაფერი ახსოვდა. მისის მური დაამოწმებს, რომ არაფერი არ უღონია მისტერ მილიგანთან ურთიერთობის გასარკვევად, რადგან ოჯახის შენარჩუნება უნდოდა. მისტერ მილიგანს მხოლოდ შვილების მიერ წაყენებული ულტიმატუმის შედეგად გაშორდა“.

სასამართლო ჩანაწერისათვის წაიკითხეს კაროლინისა და ტერნერის ანგარიშებიც.

შემდეგ ბილის ძმის, ჯიმის ჩვენება მოდიოდა:

— თუ ჯიმს მილიგანს სასამართლოზე წარდგენა მოუწევს, ის დაადასტურებს, რომ ჩალმერ მილიგანს ჯიმსი და ბილი ხშირად მიჰყავდა საოჯახო ნაკვეთში, სადაც საბძელი იდგა. რომ მას, ჯიმს, მინდორში, კურდღლებზე სანადიროდ უშვებდნენ, ბილი კი სულ მამინაცვალთან რჩებოდა. ყველა ამ შემთხვევისას საბძელთან დაბრუნებულ ჯიმსს ბილი ატირებული ხვდებოდა. ხშირად ბილი ჯიმსს ეუბნებოდა, რომ მამინაცვალმა ატკინა. ყოველთვის, როცა ჩალმერი ხედავდა, ბილი ჯიმსთან ამ ინციდენტებზე როგორ საუბრობდა, ბილის ეუბნებოდა: „საბძელში არაფერი მომხდარა, ხომ ასეა?“ ბილი, რომელსაც მამინაცვლის ძალიან ეშინოდა, პასუხობდა, არაო. ჩალმერი განუცხადებდა ხოლმე, „დედათქვენს არ უნდა ვაწყენინოთ, არა?“ და შემდეგ შინ დაბრუნებამდე ჯიმი და ბილი სანაყინეში მიჰყავდა. ის ასევე ადასტურებს იმ ყოველდღიურ ტრავმებს, რომელთა გადატანაც ბილის მოუწია“.

პირველის ნახევარზე მოსამართლე ფლაუერსმა იკითხა, რომელიმე მხარეს შემაჯამებელი არგუმენტების წარმოდგენა ხომ არ სურდა. ეს უფლება არც ერთ მხარეს არ გამოუყენებია.

მოსამართლემ გაუპატიურების პირველი ბრალდება უკუაგდო იმით, რომ მიუთითა დამამტკიცებელი ჩვენების არარსებობასა და მოქმედების სქემის განსხვავებულობაზე.

— ახლა შეურაცხადობის საკითხს მივუბრუნდეთ, — თქვა მოსამართლე ფლაუერსმა, — თითოეული წარმოდგენილი ჩვენება დამოწმებულ სამედიცინო საბუთს წარმოადგენს. ყველა ექიმი ადასტურებს, რომ ზემოხსენებული აქტებისას, რომლებშიც მას ბრალი ედება, ბრალდებული ფსიქიკურად დაავადებული იყო. რომ მისი ფსიქიკური აშლილობის გამო ის უძლური იყო, გაერჩია „სწორი“ „არასწორისაგან“ და რომ იგი უძლური იყო, ამ მოქმედებებისგან თავი შეეკავებინა.

გერის სუნთქვა შეეკრა.

— საწინააღმდეგო მტკიცებულებების არქონის გამო, — განაგრძო ფლაუერსმა, — სასამართლო სხვა გზას ვერ ხედავს. ჩემ წინაშე არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, მოპასუხე უდანაშაულოდ უნდა მივიჩნიოთ, რადგან იგი შეურაცხადია.

მოსამართლე ფლაუერსმა ბილი მილიგანი ფრანკლინის საპრობაციო სასამართლოს გადასცა, ჩაქუჩით სამჯერ დააკაკუნა და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯუდის ეტირებოდა, მაგრამ თავი შეიმაგრა. ის ბილის ჩაეხუტა და ბრბოსთვის რომ გაერიდებინა, საკნისკენ უბიძგა. მისალოცად დოროთი ტერნერი მივიდა, მივიდნენ სტელა კაროლინი და სხვებიც. ყველა ტიროდა.

მხოლოდ გერი იყო განზე გამდგარი, გულხელდაკრეფილი კედელს ფიქრიანად მიყრდნობოდა. ამ ხანგრძლივმა ბრძოლამ ბევრი ღამე გაათენებინა და კინაღამ ოჯახი დაუნგრია. ახლა კი საქმე თითქმის დამთავრებული იყო.

— კარგი, ბილი, — თქვა მან, — მოსამართლე მეტკალფს უნდა მივუსწროთ საპრობაციო სასამართლოში. ოღონდ მისაღების

გავლა და იმ რეპორტიორების და კამერების ხროვაში გაღწევა მოგვიწევს.

— უკანა გასასვლელიდან ვერ გავალთ?

გერიმ თავი გააქნია.

— პროცესი მოვიგეთ. არ მინდა, პრესასთან ცუდი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდეს. აქ საათებია იცდიან. კამერებს უნდა შეხედო და ერთ-ორ კითხვაზე უპასუხო. ნუ ვათქმევინებთ, რომ უკანა გასასვლელიდან გავიძურწეთ.

გერი და ბილი გასასვლელში რომ გავიდნენ, რეპორტიორები და ოპერატორები ირგვლივ შემოეხვივნენ, გვერდით მიჰყვებოდნენ და უღებდნენ.

— თავს როგორ გრძნობთ, მისტერ მილიგან?

— არა მიშავს.

— სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ ოპტიმისტურ გუნებაზე ხართ?

— ნწ.

— რას გულისხმობთ?

— წინ კიდევ ბევრი რამეა, — უპასუხა ბილიმ.

— ახლა რა გეგმები გაქვთ?

— მინდა, ისევ სრულფასოვანი მოქალაქე გავხდე. მინდა, ცხოვრება თავიდან ვისწავლო.

გერიმ ზურგზე მსუბუქად უბიძგა და ბილიმ სიარული განაგრძო. მერვე სართულზე, საპრობაციო სასამართლოში ავიდნენ მოსამართლე მეტკალფის კაბინეტში, მაგრამ ის სასადილოდ გასული დახვდათ. ბერნი იავიჩმა, დაპირებისამებრ, ყველა დაზარალებულს ჩამოურეკა და უთხრა, რა მოხდა სასამართლოზე.

— ჩვენებებსა და კანონზე დაყრდნობით, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ მოსამართლე ფლაუერსმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, — უთხრა მან.

ტერი შერმანი დაეთანხმა.

სადილის შემდეგ მოსამართლე მეტკალფმა ფსიქიატრთა რეკომენდაციებს გადაავლო თვალი და მილიგანი ათენის ფსიქიატრიული ჯანდაცვის ცენტრში ექიმ დევიდ კოლის მეთვალყურეობის ქვეშ გაამწესა.

ბილი ისევ დაბლა, საკონფერენციო დარბაზში ჩაიყვანეს, სადაც „მე-ნ არხის“ ჟურნალისტმა, ჯენ რაიანმა, რომელიც ბავშვებზე ძალადობის საწინააღმდეგო ფონდისათვის ბილიზე დოკუმენტურ ფილმს ამზადებდა, შეკითხვები დაუსვა და სპეციალური გადაცემისთვის რამდენიმე კადრი გადაიღო. ჯუდის და გერის სადაც დაუძახეს. სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ, დარბაზის კარზე ოფიცერმა დააკაკუნა და უთხრა, რომ ბილი ათენში უნდა გადაეყვანათ. ბილიმ თავი ცუდად იგრძნო, გერისთან და ჯუდისთან დამშვიდობების გარეშე რომ უწევდა წასვლა, მაგრამ ოფიცერმა ხელბორკილები დაადო, მჭიდროდ მოუჭირა ხელებზე და სწრაფად ჩაიყვანა კიბეზე ქვევით, სადაც პოლიციის ფურგონი იცდიდა. მეორე ოფიცერმა ხელში ცხელი ყავით სავსე ერთჯერადი ჭიქა ჩასწარა და კარი მიუჯახუნა. ფურგონმა კუთხეში რომ შეუხვია, ბილის ცხელი ყავა ახალ პიჯაკზე გადაესხა, ჭიქა გაუვარდა და სკამის ქვეშ შეგორდა. თავს საზიზღრად გრძნობდა და ეს განცდა სულ უფრო აუტანელი ხდებოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, ათენის ფსიქიკური ჯანმრელობის ცენტრი როგორი უნდა ყოფილიყო. იქნებ იქაც რაღაც ციხისმაგვარი დახვედროდა. უნდა ხსომებოდა, რომ წამების დამთავრებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევი იყო. ჯერ კიდევ უამრავ ხალხს უნდოდა მისი გისოსებს მიღმა გამომწყვდევა. იცოდა, რომ მისი ვადამდელი გათავისუფლების დამდგენმა კომისიამ გერის შეატყობინა, რომ იარაღის შენახვით მან პირობითი გათავისუფლების წესები დაარღვია და, როგორც კი გამოჯანმრთელდებოდა, მაშინვე ციხეში დააბრუნებდნენ. ალ-

ბათ ლიბანში არა. აგრესიული ქცევის გამო ალბათ ლუკასვილად წოდებულ ჯოჯოხეთში გაამწესებდნენ. სად იყო არტური? და რეიგენი? ნეტავ ოდესმე თუ გაერთიანდებოდნენ? დათოვლილი 33-ე ქუჩით მიდიოდნენ, გაიარეს ლანკასტერი, სადაც ბილი გაიზარდა, სკოლაში დადიოდა და თვითმკვლელობა სცადა. ამის ატანა უკვე შეუძლებელი იყო. ძალიან დაიღალა და დასვენება სჭირდებოდა. ბილიმ თვალები დახუჭა და ყველაფერი გაქრა...

რამდენიმე წამში დენიმ მიმოიხედა და იფიქრა, ნეტავ სად მიდივარო. სციოდა, მარტო იყო და ეშინოდა.

თავი მეხუთე

1

უკვე თითქმის ბნელოდა, როცა ათენს მიაღწიეს და შარაგზიდან გადაუხვიეს. ფსიქიატრიული საავადმყოფო დათოვლილ ბორცვზე გაშენებულ ვიქტორიანულ ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენდა, რომელიც ოჰაიოს უნივერსიტეტის კამპუსს თავზე დაჰყურებდა. ფართო გამზირი რომ გადაჭრეს და ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ გზაზე გადავიდნენ, დენი აცახცახდა. ორმა ოფიცერმა ფურგონიდან გადმოიყვანა და წვრილი თეთრი სვეტებით გაფორმებული აგურის ძველი შენობის კიბეზე აიყვანა. პოლიციელები ძველ კორიდორში შეუძღვნენ, ლიფტში ჩასვეს და მესამე სართულზე აიყვანეს. ლიფტის კარი რომ გაიღო, ერთ-ერთმა უთხრა:

— მაგრად გაგიმართლათ, მისტერ.

დენიმ უკან დაიხია, მაგრამ ოფიცერმა მძიმე რკინის კარისკენ უბიძგა, რომელსაც „მიმღები და ინტენსიური თერაპია“ ეწერა. ციხისა და საავადმყოფოსგან განსხვავებით, ხალიჩებით, შანდლებით, ფარდებითა და ტყავის სკამებით გაწყობილი პალატა პატარა სასტუმროს გრძელ ვესტიბიულს ჰგავდა. მოპირდაპირე კედლებზე კარები იყო ჩამწკრივებული. მედდების პოსტი სასტუმროს მიმღები გეგონებოდა.

— ღმერთო ჩემო, ნამდვილი სანატორიუმია, — თქვა ოფიცერმა.

მარჯვნივ მდებარე კაბინეტის კართან მსხვილ-მსხვილი, ხანში შესული ქალი იდგა. მის ფართო, მეგობრულ სახეს გარს შავი

კულულები ერთყა, გეგონებოდა, თმა ეს-ესაა შეუღებავსო. პატარა მისაღებ კაბინეტში რომ შევიდნენ, გაიღიმა და პოლიციელს მიმართა:

— შეიძლება სახელი გკითხოთ?

— მე პაციენტი არა ვარ, ქალბატონო.

— პაციენტი თქვენგან უნდა ჩავიბარო და თქვენი სახელი მჭირდება, რომ გავაფორმო, ვინ მოიყვანა.

ოფიცერმა უხალისოდ ჩააწერინა სახელი. დენი უხერხულად გამდგარიყო გვერდზე და მჭიდრო ხელბორკილებისგან დაბუყებული თითებს ისრესდა.

ექიმმა დევიდ კოლმა, რომელმაც დაინახა, როგორ უბიძგა პოლიციელმა მილიგანს კაბინეტში, შეხედა და გამოსცრა:

— მოაშორეთ ეს ოხერი ბორკილები!

ოფიცერმა გასაღები მოიჩხრიკა და ხელბორკილები მოხსნა. დენიმ მაჯები მოისრისა და კანზე ღრმად ჩამჯდარ ნაჭდევებს დახედა.

— ახლა რა მოხდება? — ამოიკნავლა მან.

— რა გქვიათ, ახალგაზრდავ? — ჰკითხა ექიმმა კოლმა.

— დენი.

ოფიცერმა, რომელმაც ბორკილები მოხსნა, გაიცინა და თქვა.

— აუჰ!

ექიმი კოლი წამოხტა და კარი ცხვირწინ მიუჯახუნა. გახლენა არ გაჰკვირვებია. ექიმმა ჰარდინგმა გააფრთხილა, რომ მთლიანობა მყიფე იყო. მრავლობით პიროვნებებთან მუშაობისას მიღებულმა გამოცდილებამ ასწავლა, რომ ისეთ სტრესულ ვითარებას, როგორიც სასამართლო პროცესია, შესაძლოა, გახლენა გამოეწვია. ახლა დენის ნდობა უნდა მოეპოვებინა.

— სასიამოვნოა შენი გაცნობა, დენი, — უთხრა მან, — რამდენი წლის ხარ?

— თოთხმეტის.

— სად დაიბადე?

მან მხრები აიჩეჩა.

— არ მახსოვს, მგონი, ლანკასტერში.

კოლი რამდენიმე წუთით დაფიქრდა. ხედავდა, როგორი გასათვებელი იყო მილიგანი და კალამი დადო.

— ვფიქრობ, ეს შეკითხვები სხვა დროისთვის შეგვიძლია გადავდოთ. ამალამ უბრალოდ ეცადა, დამშვიდდე. ეს მისის ქეთრინ გილოტია, ჩვენი ფსიქიატრიული განყოფილების ერთ-ერთი მედდა. შენს ოთახს გიჩვენებს. შეგიძლია ჩემოდანი დადო და ქურთუკი ჩამოკიდო.

ექიმი კოლი რომ წავიდა, მისის გილოტმა მილიგანი ვესტიბიულის გავლით მარცხნივ მდებარე პირველ ოთახში შეიყვანა. კარი ღია იყო.

— ჩემი ოთახია? ეს ჩემი ოთახი როგორ არის?...

— მობრძანდით, ყმაწვილო, — უთხრა მისის გილოტმა, ოთახში შევიდა და ფანჯარა გამოაღო, — აქედან მშვენიერი ხედი იმლება. ათენი და ოჰაიოს უნივერსიტეტი ჩანს. ახლა კი ბნელა, მაგრამ დილით დაინახავთ. თქვენს გემოზე მოეწყვეთ.

მაგრამ როცა მედდა გავიდა და მარტო დატოვა, დენი გარეთ, ოთახის კართან მდგარ სკამზე დარჩა და ასე იჯდა. განძრევისაგ კი ეშინოდა, სანამ სხვა მედდამ კორიდორში სინათლე არ ჩააქრო. მილიგანი ოთახში შევიდა და ლოგინზე დაჯდა. სხეული უცახცახებდა, თვალებში ცრემლი ედგა. იცოდა, რომ როცა ვიღაც კარგად გექცევა, ამისთვის, ადრე თუ გვიან, რამით უნდა ბლო. ყველგან ხატანგს უნდა ელოდო. დაწვა და ფიქრობდა, ნეტავ რა მელისო. შეეცადა, ეფხიზლა, მაგრამ მძიმე დღის შემდეგ ძილმა მალე დარია ხელი.

1978 წლის 5 დეკემბერს დენიმ თვალები გაახილა, ფანჯრიდან გადაიხედა და მდინარე, მის გადაღმა კი — უნივერსიტეტის შენობები დაინახა. ფანჯარასთან იდგა, სანამ კარზე კაკუნი არ გაისმა. მომხიბვლელი შუახნის ქალი იყო, მოკლე თმითა და შორიშორს ჩამჭდარი თვალებით.

— მე ნორმა დიშონგი ვარ, შენი დილის პროცედურების ხელმძღვანელი. თუ წამომყვები, გიჩვენებ, სასაუბმოდ სად უნდა მიხვიდე.

დენი გაჰყვა. მედდამ ტელევიზორის ოთახი, ბილიარდის ოთახი და წასახემსებელი ოთახი უჩვენა. ორმაგ კარს მიღმა პატარა კაფეტერია იყო. ცენტრში ერთი გრძელი მაგიდა იდგა, კედლების გასწვრივ კი — კიდევ ოთხი, ბანქოს მაგიდისხელა კვადრატული მაგიდა. სულ ბოლოში — დახლი.

— ლანგარი და დანა-ჩანგალი აიღე და, რაც გინდა, მიირთვი.

მან ლანგარი აიღო და ხელი ჩანგლის ასაღებად გაიწოდა, მაგრამ როცა დაინახა, რომ, ჩანგლის ნაცვლად, შემთხვევით დანა აეღო, შეეშინდა და შორს მოისროლა. დანა კედელს მოხვდა და იატაკზე წკრიალით დაეცა. ყველამ გამოიხედა.

— რა მოხდა? — ჰკითხა დიშონგმა.

— მე... მე დანების მეშინია... არ მიყვარს.

მედდამ დანა აიღო, მერე ჩანგალი მიაწოდა და ლანგარზე დაუდო.

— მიდი, საჭმელი აიღე, — უთხრა მან.

საუბმის შემდეგ მილიგანმა მედდების პოსტს რომ ჩაუარა, ნორმა გამოეგება.

— მართლა, შენობის დათვალიერება თუ გინდა, ამ ქალაქს მოაწერე ხელი, კედელზე რომ კიდია. უნდა ვიცოდეთ, რომ განყოფილებიდან ხარ გასული.

მილიგანმა განცვიფრებით შეხედა.

— მე რა, აქედან გასვლა შემიძლია?

— განყოფილება ღიაა. სანამ საავადმყოფოში ხარ, შეგიძლია, როცა მოგინდება, წახვიდე და მოხვიდე. თუკი ექიმი კოლი დარწმუნდება, რომ ამისთვის მზად ხარ, მერე შეგეძლება შენობიდან გახვიდე და ბაღშიც ისეირნო.

— ბაღში? კი მაგრამ, კედლები და ღობეები?

ნორმას გაელიმა.

— ეს საავადმყოფოა, ციხე კი არა.

იმ საღამოს ექიმმა კოლმა ბილის თავის ოთახში შეუარა.

— თავს როგორ გრძნობ?

— კარგად. არ მეგონა, ხალხს აქ თვალთვალის გარეშე წასვლა-წამოსვლის უფლებას თუ აძლევდით. ჰარდინგში სულ მითვალთვალეებდნენ.

— ეგ სასამართლომდე იყო, — უთხრა კოლმა, — ერთი რამ მინდა და დამინახოვრო — სასამართლოზე უდანაშაულოდ გცნეს. ჩვენთვის შენ დამნაშავე არ ხარ. მნიშვნელობა არ აქვს, წარსულში რა ჩაიდინე, ან შენში მცხოვრებმა პიროვნებამ რა ჩაიდინა. ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. აქ ახალ ცხოვრებას იწყებ. შენს თავზე მუშაობა, მოვლენების მშვიდად მიღება, ბილისთან თანამშრომლობა და თავის ხელში აყვანა — აი, რა გამოგამჯობინებს. მთავარია უკეთ გახდომა გინდოდეს. აქ არავინ დაგამცირებს.

იმავე დღეს, მოგვიანებით, „კოლამბუს დისპეჩმა“ მილიგანის ათენში გადაყვანის ამბავი გააშუქა და დასკვნის სახით სასამართლოზე ჩალმერ მილიგანის მიერ ცოლსა და ბავშვებზე განხორციელებული ძალადობის მამხილებელი მასალაც დაურთო. იქვე

„დისპენისათვის“ ჩალმერისა და მისი ადვოკატის მიერ გადაცემული ჩვენებაც გამოაქვეყნეს:

„მე, ჩალმერ მილიგანი, უილიამ სტენლი მილიგანის დედაზე 1963 წლის ოქტომბერში დავქორწინდი. უილიამი თავის და--ძმასთან ერთად მალევე ოფიციალურად ვიშვილე. უილიამმა მუქარაში, ძალადობასა და გაუპატიურებაში დამლო ბრალი. მისი თქმით, ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ის 8 თუ 9 წლისა იყო. ეს ბრალდება სრული სიცრუეა. მეტიც, არც ერთ ფსიქიატრსა თუ ფსიქოლოგს, რომლებმაც მოსამართლე ფლაუერსისთვის ანგარიში მოამზადეს, მოცემული დოკუმენტის მომზადებამდე და გადაცემამდე ჩემთან საერთოდ არ უსაუბრია. ეჭვი არ მეპარება, რომ უილიამმა ისინი არაერთხელ მოატყუა. იმ ათი წლის განმავლობაში, დედამისთან რომ ვცხოვრობდი, უილიამს ტყუილი ჩვენვად ჰქონდა. ვფიქრობ, უილიამი ახლაც მრავალი წლის წინ შემუშავებულ ტყუილების სქემას მიჰყვება. მისმა ბრალდებამ, რომელიც ჟურნალ-გაზეთებში უხვად დაიბეჭდა, უაღრესად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო, მომაყენა სულიერი ტკივილი და ტანჯვა. ამ განცხადებას იმისთვის ვაკეთებ, რომ საქმეს ნათელი მოეფინოს და ჩემი რეპუტაცია აღდგეს“.

კლინიკაში მოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ ექიმი კოლი მილიგანს კვლავ ესტუმრა.

— ვფიქრობ, მე და შენ თერაპია დღეს უნდა დავიწყოთ. წამოდი, ჩემს კაბინეტში წავიდეთ.

შეშინებული დენი წაჰყვა. კოლმა მყუდრო სავარძელზე მიუთითა, პირდაპირ დაუჯდა და ხელები მოზრდილ ღიპზე დაიწყო.

— მინდა გესმოდეს, რომ სასამართლო დოკუმენტებიდან შენ შესახებ უამრავი რამ ვიცი. გვარიანი დასტაა. ახლა რაღაც ისეთს გავაკეთებთ, ექიმმა უილბურმა რომ გააკეთა. ველაპარაკე და

ვიცი, რომ დაგამშვიდა და არტურთან, რეიგენტან და სხვებთან საუბარიც მოახერხა. ჩვენც ამას გავაკეთებთ.

— როგორ? იმათ მე ვერ გამოვიყვან.

— შენ მყუდროდ მოკალათდი და ჩემს ხმას უსმინე. დარწმუნებული ვარ, არტური მიხვდება, რომ მე და ექიმი უილბური მეგობრები ვართ. სამკურნალოდ შენი აქ გადმოყვანა იმიტომ შემოგვთავაზა, რომ მენდობა. იმედი მაქვს, ჩემ მიმართ ნდობა შენც გაგიჩნდება.

დენი სავარძელში მოიკუნტა, მერე უკან გადაწვა და მოდუნდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. რამდენიმე წამში მიმოიხედა, სახეზე სიფხიბლე ეწერა.

— დიახ, ექიმო კოლ, — თქვა მან და თითის წვერები შეატყუპა, — ვაფასებ, რომ ექიმმა უილბურმა რეკომენდაცია გაგიწიათ. ჩათვალეთ, რომ თანამშრომლობაზე ჩემი თანხმობა უკვე თქვენს ხელთ არის.

კოლი ელოდა ინგლისელს, ასე რომ, ცვლილება არ გაჰკვირვებია. მეტისმეტად ბევრი მრავლობითი პიროვნება ენახა და ალტერ ეგოს გამოჩენა არ აოცებდა.

— ჰმ... ა... ჰო. და თქვენს სახელს ვერ მეტყოდით? რომ ჩავინიშნო.

— მე არტური ვარ. ჩემთან საუბარი გსურდათ.

— ჰო, არტური. რა თქმა უნდა, ვიცოდი, ვინც იყავით, გამოკვეთილმა ინგლისურმა აქცენტმა მიმახვედრა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გესმით, რომ მნიშვნელოვანია, წინასწარი დასკვნები არ გავაკეთო...

— ექიმო კოლ, აქცენტი მე კი არა, თქვენ გაქვთ.

კოლმა წამით დაბნეულად შეხედა.

— ა, ჰო, ბოდიშს გიხდით. იმედია, წინააღმდეგი არ იქნებით, რამდენიმე კითხვაზე რომ მიპასუხოთ, — თქვა მან.

— რას ბრძანებთ. აქ სწორედ ამისთვის ვარ. რითაც შემიძლია, დაგეხმარებით.

— თქვენთან რამდენიმე პიროვნების ცხოვრებისეული ფაქტების განხილვა მინდოდა.

— ადამიანების და არა „პიროვნებების“, ექიმო კოლ. ეს ისეთ შთაბეჭდილებას გვიქმნის, თითქოს ჩვენს არსებობას არ ცნობთ. ეს კი თერაპიას გაართულებს.

კოლი ყურადღებით დააკვირდა არტურს და დაასკვნა, რომ ეს ქედმაღალი სნობი გულზე დიდად არ ეხატებოდა.

— შენიშვნა მიღებულია, იმ ადამიანების შესახებ მინდა გკითხოთ, — უთხრა მან.

— შევეცდები, მაქსიმალური ინფორმაცია მოგაწოდოთ.

კოლმა შეკითხვები დაუსვა და არტურმა ექიმ ჰარდინგის მიერ დაფიქსირებული ცხრა ადამიანის ასაკი, გარეგნობა, ჩვევები, უნარები და გამორჩენის მიზეზები აუწერა.

— პატარა ბავშვი საიდან გაჩნდა? ქრისტიანს ვგულისხმობ. მას რაღა როლი აქვს?

— მარტოსული ბავშვის კომპანიონია.

— როგორი ხასიათი აქვს?

— მორცხვია, მაგრამ იმის შიშმა, რომ რეიგენი სისასტიკეს ჩაიდენს, შეიძლება მოქმედებისკენ უბიძგოს. რეიგენი ქრისტიანს აღმერთებს და მას შეუძლია, წინასწარგანზრახული ძალადობა გაბრაზებითა და ფეხების ბაკუნით გადააფიქრებინოს.

— სულ სამი წლისად რატომ რჩება?

არტურმა მცოდნის ღიმილით ჩაიღიმა.

— მნიშვნელოვანი იყო, ვინმე ისეთი გვეოლოდა, რომელმაც ცოტა, ან საერთოდ არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა. მისი არცოდნა მნიშვნელოვანი დამცავი მექანიზმი იყო. თუ უილიამს რაიმეს დამალვა სჭირდებოდა, შუქზე ქრისტიანი გამო-

დიოდა — ხატავდა, კლასობანას თამაშობდა, ან პატარა თოჯინას — „ფეთხუმ ენს“ ეხუტებოდა, ადალანამ რომ გაუკეთა. შესანიშნავი ბავშვია. განსაკუთრებულად მიყვარს. თანაც ბრიტანელია.

— არ ვიცოდი.

— ჰო, ქრისტოფერის დაა.

კოლი წამით დააკვირდა.

— არტურ, ყველა დანარჩენს იცნობ?

— დიახ.

— ყოველთვის იცნობდი?

— არა.

— მათი არსებობის შესახებ როგორ შეიტყვე?

— დედუქციური მეთოდით. როცა მივხვდი, რომ დრო მეკარგებოდა, სხვებზე დაკვირვება დავიწყე. აღმოვაჩინე, რომ მათგან განვსხვავდებოდი და კვალში ჩავუდექი. მერე შეკითხვების დასმა დავიწყე — როგორც გონებაში, ისე — ღიად და ბოლოს და ბოლოს სიმართლე აღმოვაჩინე. ნელ-ნელა, წლების მანძილზე, კონტაქტი ყველასთან დავამყარე.

— ძალიან კარგი. თუ ასეა, მოხარული ვარ, რომ გაგიცანი. თუ ბილის... ყველა თქვენგანის შველა მე მაკისრია, შენი დახმარება დამჭირდება.

— შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მომმართოთ.

— სანამ წახვალ, ერთი მნიშვნელოვანი კითხვა მაქვს.

— გისმენთ.

— გერი შევიკარტმა რაღაც ახსენა, რაც ახლა პრესაშიც გაავრცელეს. თქვა, რომ თქვენს ნათქვამსა და დაზარალებულთა ჩვენებებს შორის წინააღმდეგობაა — უხამსი გამოთქმები, საუბარი კრიმინალური ქცევის შესახებ და სახელი „ფილი“. გერი ფიქრობდა, რომ, შესაძლოა, უკვე გამოვლენილ ათ პიროვნებაზე მეტი არსებობდეს. ამის შესახებ რამე ხომ არ იცი?

პასუხის ნაცვლად არტურს მზერა გაეყინა და ტუჩები აამოძრავა. ნელა, თითქმის შეუმჩნეველად წავიდა. რამდენიმე წამში ახალგაზრდამ თვალები აახამხამა და მიმოიხედა.

— ღმერთო, ოღონდ ისევ ეს არა!

— გამარჯობა, — უთხრა ექიმა კოლმა, — მე ექიმი კოლი ვარ. თქვენს სახელს ხომ არ მეტყოდით, რომ ვიცოდეთ?

— ბილი.

— გასაგებია. გამარჯობა, ბილი, მე შენი ექიმი ვარ. აქ ჩემი მეთვალყურეობის ქვეშ მოგათავსეს.

ბილიმ თავზე ხელი მიიღო, ჯერ კიდევ გაბრუებული იყო.

— სასამართლოდან გამოვედი, ფურგონში ჩავჯექი...

სწრაფად დაიხედა მაჯებზე, მერე — ტანსაცმელზე.

— რას იხსენებ, ბილი?

— პოლიციელმა ბორკილები ძალიან მაგრად მომიჭირა. მერე ცხელი ყავით სავსე ჭიქა მომაჩენა და ფურგონის კარი მოაჯახუნა. რომ დაიძრა, ცხელი ყავა ზედ ახალ პიჯაკზე გადამესხა. ბოლოს ეს მახ... სად არის ჩემი პიჯაკი?

— შენთან კიდეა, ბილი, კარადაში. ქიმწმენდაში გავგზავნით. ლაქები, წესით, უნდა ამოვიდეს.

— ძალიან უცნაურად ვგრძნობ თავს, — თქვა მან.

— შეგიძლია სცადო და ამიწერო?

— გეგონება, გონებაში რაღაც მაკლიაო.

— მოგონება?

— არა, აი, როგორც... სასამართლომდე... თითქოს სხვებთან... თითქოს უფრო ერთიანი ვიყავი. მაგრამ ახლა თითქოს აქ რაღაც მეტი ნაწილი მაკლია, — და ხელი თავზე დაირტყა.

— ჰო, იქნებ მომდევნო რამდენიმე დღისა და კვირის მანძილზე ვცადოთ მაგ ნაწილების პოვნა და შეერთება.

— სად ვარ?

— ეს ოჰაიოში, ათენში მდებარე ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრია.

ბილი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო.

— ჰო, მოსამართლე მეტკალფმა ასე თქვა. მახსოვს, ამბობდა, რომ აქ უნდა გამოვეგზავნე.

ექიმმა კოლმა იცოდა, რომ ახლა ნაწილობრივ შერწყმულ ძირითად ბილის, მასპინძელ პიროვნებას ესაუბრებოდა და ფრთხილად, ფაქიზად მიმართავდა, ნეიტრალურ კითხვებს უსვამდა. ექიმი მონუსხა პიროვნების ცვალებადობით გამოწვეულმა გამომეტყველების ცვლილებამ. არტურის ვიწრო ყბები, მაგრად მოკუმული ტუჩები და მოჭუტული მზერა, რომელიც მას ქედმაღლურ გამომეტყველებას ანიჭებდა, ბილის თვალეგაფართოებულმა, მერყევმა გამომეტყველებამ შეცვალა. სუსტი და უმწეო ჩანდა. დენისათვის დამახასიათებელი შიშისა და შფოთვის ნაცვლად, ბილი გაოგნებას გამოხატავდა. მიუხედავად იმისა, რომ ცდილობდა, ექიმისთვის ესამოვნებინა და შეკითხვებს ხალისით პასუხობდა, აშკარა იყო, რომ ბევრი რამ არ იცოდა, ან არ ახსოვდა.

— ბოდიში, ექიმო კოლ. ბოგჯერ რაღაცას რომ მეკითხებით, მგონია, რომ პასუხი უნდა ვიცოდე, მაგრამ ძეხნას რომ ვუწყებ, იქ აღარ მხვდება. ჩემს არტურს ან ჩემს რეიგენს ეცოდინებათ. ჩემზე ჭკვიანები არიან და უკეთესი მენსიერება აქვთ. ოღონდ არ ვიცი, სად წავიდნენ.

— არა უშავს, ბილი. მენსიერება გაგიუმჯობესდება და აღმოაჩენ, რომ უფრო მეტი იცი, ვიდრე გგონია.

— ექიმი ჰარდინგიც მაგას მეუბნებოდა. მითხრა, ეგ მაშინ მოხდება, როცა გამთლიანდებიო. გავმთლიანდი, მაგრამ სასამართლოს მერე დავიშალე. რატომ?

— პასუხი არ მაქვს, ბილი. შენ როგორ ფიქრობ, რატომ მოხდა ასე?

ბილიმ თავი გაიქნია.

— მარტო ის ვიცი, რომ არტური და რეიგენი ახლა ჩემთან არ არიან და როცა არ არიან, რაღაცებს ისე კარგად ვერ ვიხსენებ. ცხოვრებაში ბევრი რაღაც გამოვტოვე იმიტომ, რომ დიდი ხანი მეძინა. არტურმა მითხრა.

— არტური ბევრს გელაპარაკება?

ბილიმ თავი დაუქნია.

— რაც ექიმმა ჯორჯმა ჩემი თავი ჰარდინგის საავადმყოფოში გააცნო, სულ მელაპარაკება. ახლა არტური მეუბნება, რა უნდა გავაკეთო ხოლმე.

— ვფიქრობ, არტურს უნდა მოუსმინო. მრავალი პიროვნების მექნე ადამიანებს, როგორც წესი, შიგნით ისეთი ვინმე ჰყავთ, ვინც ყველა დანარჩენს იცნობს და ცდილობს, დაეხმაროს. ამას „შინაგან დამხმარეს“ ვეძახით. მოკლედ „შ.დ.“-ს.

— არტური შ.დ.-ა?

— მგონი ასეა. ამ როლს კარგად ერგება — ჭკვიანია, დანარჩენების არსებობის შესახებ იცის, მაღალზნეობრივია...

— არტური ძალიან ზნეობრივია. წესები მან მოიგონა.

— რა წესები?

— ქცევის წესები — რა უნდა გააკეთო, რა არ უნდა გააკეთო.

— ვფიქრობ, არტური თუ ჩვენთან ითანამშრომლებს, შენს მკურნალობაში ძალიან დაგვეხმარება.

— დარწმუნებული ვარ, — თქვა ბილიმ, — იმიტომ, რომ არტური სულ ამბობს, როგორი მნიშვნელოვანია ჩვენთვის ერთად ყოფნა და გამოჯანმრთელება, რომ სასარგებლო მოქალაქედ ჩამოვყალიბდე. მაგრამ ახლა არ ვიცი, სად არის.

საუბრის მანძილზე კოლს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ნელ-ნელა ბილის მისდამი ნდობა უმყარდებოდა. მერე ისევ განყოფილებაში წაიყვანა, თავისი ოთახი უჩვენა და პროცედურების

ხელმძღვანელი და განყოფილების სხვა წევრები თავიდან გააცნო.

— ნორმა, ეს ბილია, აქ ახალმოსულია. ვინმე უნდა გავაყოლოთ და მიმი დავათვალიერებინოთ, — უთხრა კოლმა.

— რა თქმა უნდა, ექიმო კოლ.

მაგრამ როცა ნორმამ ბილი ისევ ოთახამდე მიაცილა, ჯიქურ შეხედა.

— ბილი, შენ უკვე იცი გზა, ასე რომ, ყველაფრის თავიდან გავლა აღარ გვჭირდება.

— მიმი რა არის? — იკითხა მან.

ნორმამ განყოფილების მთავარ შესასვლელთან მიიყვანა, მძიმე კარი გააღო და აბრაზე მიუთითა:

— „მიმღები და ინტენსიური მკურნალობა“. მოკლედ მიმს ვეცახით.

მერე გატრიალდა და წავიდა.

ბილი ფიქრობდა, ნეტავ, რა დავაშავე, ასე უკმეხად რომ მეპყრობაო, მაგრამ ვერაფერი გაეგო.

როცა შეიტყო, რომ დედამისი და მისი და იმ საღამოს მოსანახულებლად უნდა მოსულიყვნენ, ბილი დაიძაბა. და — ქეთი — სასამართლოზე ნახა და როცა, როგორც იქნა, გადახარშა, რომ მისი თოთხმეტი წლის და უკვე ოცდაერთი წლის მიმზიდველ ქალად ქცეულიყო, მასთან პრობლემა აღარ შეჰქმნია. მაგრამ დედამისი, ბილის დაჟინებული თხოვნით, სასამართლოს არ დასწრებია. მიუხედავად იმისა, რომ ქეთი არწმუნებდა, დედამ ჰარდინგის საავადმყოფოშიც გინახულა და ლიბანის ციხეშიცო, ბილის არაფერი ახსოვდა. დედა ბოლოს თექვსმეტი წლისამ ნახა, დაძინებამდე. მაგრამ თავში უფრო აღრინდელი სურათი უტრიალებდა — გასისხლიანებული მშვენიერი სახე, თავიდან ამოგლეჯილი

თმის დიდი ბლუჯა... აი ეს ხატი ჩარჩა იმ დროიდან, თოთხმეტი წლის რომ იყო.

მიმში მისულმა ბილიმ რომ ნახა, დედამისს წლები როგორ მომატებოდა, გაოგნებული დარჩა. სახე ნაოჭებით ჰქონდა დაღარული. მუქ კულულებად დახვეული თმა პარიკს მიუგავდა, მაგრამ ლურჯი თვალები და მსხვილი ტუჩები ისევ ლამაზი ჰქონდა. მან და ქეთიმ წარსული გაიხსენეს. ერთმანეთს ისეთი მომენტების გახსენებაში ეჯიბრებოდნენ, ბილის ბავშვობაში დამაბნეველი რომ ჩანდა, ახლა კი რომელიმე სხვა პიროვნების გამოჩენით ხსნიდნენ.

— ყოველთვის ვიცოდი, რომ ორნი იყვნენ, — თქვა დედამ, — სულ ვამბობდი, რომ იყო ჩემი ბილი და კიდევ — ის ვიღაც მეორე. ვცდილობდი, ყველა დამერწმუნებინა, რომ დახმარება გჭირდებოდა, მაგრამ არავინ მისმენდა. ექიმებსაც ვუთხარი და იმ ადვოკატსაც, ლიბანის ციხეში უმცირესი ვადით გაშვება რომ მოგიხერხა, მაგრამ არავინ დამიჯერა.

ქეთიმ დედას გადახედა.

— ჩალმერბე რომ გეთქვა, მოგისმენდნენ.

— არ ვიცოდი, ქეთი, ღმერთია მოწმე! რომ მცოდნოდა, ბილის რა უქნა, გულს ამოვგლეჯდი. იმ დანას არ წაგართმევდი, ბილი! — თქვა დოროთი მურმა.

ბილიმ შუბლი შეკრა.

— რა დანას?

— ისე მახსოვს, თითქოს გუშინ იყო, — თქვა დედამ და გრძელ, გარუჯულ ფეხებზე ქვედატანი გაისწორა.

— ალბათ თოთხმეტის იყავი. შენი ბალიშის ქვეშ სამზარეულოს დანა ვნახე და გკითხე, იქ რა უნდოდა. იცი, რა მიპასუხე? მე მგონი, ეს იმ მეორემ მიპასუხა. „მადამ, წესით და რიგით,

თქვენი ქმარი ამ დილას უკვე ყელგამოჭრილი უნდა ყოფილიყო“. ზუსტად ასე მითხარი, ღმერთია მოწმე.

— ჩელა როგორ არის? — თემა შეცვალა და ჰკითხა ბილიმ.

დედა იატაკს მიაჩერდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ბილიმ.

— კარგად არის, — თქვა დედამ.

— ვხვდები, რომ რაღაც ცუდი მოხდა.

— ორსულად არის, — თქვა ქეთიმ, — ქმარს გაშორდა და ოჰაიოში ბრუნდება, დედასთან იცხოვრებს, სანამ ბავშვს გააჩენს.

ბილიმ თვალწინ ხელი ისე აიქნია, გეგონებოდა, კვამლს, ან ნისლს ფანტავსო.

— ვიცოდი, რომ რაღაც მოხდა. ვიგრძენი.

დედამ თავი დაუქნია.

— სულ ასე გრძნობდი ხოლმე რაღაცეებს. ამას რა ჰქვია?

— „ექსტრასენსორული აღქმა“, — თქვა ქეთიმ.

— შენც ასე იყავი, — თქვა დედამ, — თქვენ ორმა სულ ასე იცოდით ხოლმე, ერთი სულ ხვდებოდა, მეორის თავში რა ხდებოდა. ეს სულ მაშინებდა.

დაახლოებით ერთ საათს დარჩნენ. რომ წავიდნენ, ბილი საწოლზე დაწვა და ფანჯრიდან ათენის სინათლეებს უყურებდა.

მომდევნო დღეებში ბილი საავადმყოფოს ბაღის ირგვლივ დარბოდა, კითხულობდა, ტელევიზორს უყურებდა და თერაპიის სესიებზე დადიოდა. კოლამბუსის გაზეთები მის შესახებ სტატიებს რეგულარულად აქვეყნებდნენ. ჟურნალმა „ფიფლმა“ მისი ცხოვრების ისტორიას გრძელი სტატია მიუძღვნა, მისი ფოტოსურათი კი „კოლამბუს მანთლის“ ყდაზე დაიბეჭდა. საავადმყოფო წალეკა ზარებმა იმ ხალხისაგან, მის შესახებ რომ წაეკითხათ, ან მისი ნახატების ფოტოები ენახათ და ახლა მისი ნამუშევრების შეძენა რომ უნდოდათ. ექიმი კოლის ნებართვით ბილიმ სამხატვრო ატრიბუტები მოატანინა, ოთახში მოლბერტი დადგა და ათეულობით პორტრეტი, ნატურმორტი და პეიზაჟი დახატა. ბილიმ ექიმ კოლს უთხრა, რომ ჯუდის და გერის უამრავი ხალხი დაუკავშირდა, რათა მისი ცხოვრების ისტორიაზე წიგნის დაწერის უფლება მიეღოთ. სხვები კი მის „ფილ დონაჰიუს შოუში“, „დაინაში“ და „ნი წუთში“ გამოჩენას ითხოვდნენ.

— გინდა შენზე ვინმემ დაწეროს, ბილი? — ჰკითხა კოლმა.

— ფული გამომადგებოდა. რომ გამოვჯანმრთელდები და საზოგადოებას დავუბრუნდები, სახსრები დამჭირდება. სამსახურში, აბა, ვინ ამიყვანს?

— ფული რომ დავივიწყოთ, როგორ ფიქრობ, თავს როგორ იგრძნობდი, მთელ მსოფლიოს შენი ცხოვრების შესახებ დაწერილი წიგნის წაკითხვა რომ შეძლებოდა?

ბილი დაფიქრდა.

— ვფიქრობ, ხალხმა უნდა იცოდეს. შეიძლება, ეს იმის გაგებაში დაეხმაროთ, ბავშვებზე ძალადობას რა შეიძლება მოჰყვეს.

— თუ მართლა გადაწყვეტ, რომ გინდა, ვინმემ შენი ამბავი აღწეროს, შემძღვია ერთი მწერალი გირჩიო, რომელსაც ვიცნობდა ვენდობი. აქ, ათენში, ოჰაიოს უნივერსიტეტში ასწავლის. მისი ერთ-ერთი წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღეს. ამას იმიტომ ვახსენებ, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი გაითვალისწინო.

— როგორ ფიქრობთ, მოუნდება ნამდვილ მწერალს ჩემზე წიგნის დაწერა?

— რა გიშლის ხელს, რომ შეხვდე და გაიგო, რას იტყვის.

— ო კეი. კარგი აზრია. სიამოვნებით შევხვდებოდი.

იმ დამით ბილი შეეცადა წარმოედგინა, მწერალთან საუბარი როგორი იქნებოდა. სცადა, ის კაცი წარმოედგინა. ალბათ არტურივით ტვიდის პიჯაკი ეცმებოდა და ჩიბუხის მწვევლი იქნებოდა. რამდენად კარგი მწერალი უნდა ყოფილიყო, თუკი აქაურ უნივერსიტეტში უწევდა სწავლება? მწერალი ნიუ-იორკში, ან ბევრელი ჰილსზე უნდა ცხოვრობდეს. და ექიმი კოლი რატომღა უწევდა რეკომენდაციას? ფრთხილად უნდა ყოფილიყო. როგორც გერიმ უთხრა, წიგნი შეიძლებოდა ძალიან სარფიანი გამომდგარიყო. ფილმიც. ისიც იფიქრა, ნეტავ ჩემს როლს ვინ ითამაშებსო. მთელი ღამე ბორგავდა. ღელავდა და შფოთავდა, ნამდვილ მწერალს რომ უნდა შეხვედროდა, რომლის წიგნზეც ფილმი გადაეღოთ. განთიადისას, როცა, როგორც იქნა, ჩაეძინა, არტურმა გადაწყვიტა, რომ ბილი მწერალთან ინტერვიუს ვერ გაუმკლავდებოდა. შუქზე ალენი უნდა გამოსულიყო.

— მე რატომ? — იკითხა ალენმა.

— მოხერხებული შენ ხარ. აბა სხვას ვის შეუძლია, ფხიზლად იყოს და ბილის გასულელების ნება არავის მისცეს?

— სულ მე როგორ უნდა ვიყო პირველი ვიოლინო, — აჯიჯინდა ალენი.

— მაგ საქმეში საუკეთესო ხარ, — უთხრა არტურმა.

მეორე დღეს, როცა ალენი მწერალს შეხვდა, შოკირებული და იმედგაცრუებული დარჩა. მაღალი, გლამურული ავტორის მაგივრად ხელში დაბალი, გამხდარი, მოწითალო ველვეტის ქურთუკში გამოწყობილი წვერიანი და სათვალისანი კაცი შერჩა. ექიმმა კოლმა ერთმანეთი გააცნო და სასაუბროდ მის კაბინეტში შევიდნენ. ალენი ტყავის სავარძელზე გადაწვა და სიგარეტს მოუკიდა. მწერალი მის პირდაპირ დაჯდა და არტურივით ჩიბუხს მოუკიდა. ცოტა ხანს უმნიშვნელო რამეებზე ისაუბრეს. მერე ალენმა სიტყვა საქმეზე ჩამოუგდო.

— ექიმმა კოლმა მითხრა, რომ შესაძლოა, ჩემი ისტორიის დასაწერად საავტორო უფლების მოპოვებით დაინტერესდეთ, — უთხრა ალენმა, — როგორ ფიქრობთ, ეს რა ეღირება?

მწერალმა გაიღიმა და გააბოლა.

— გააჩნია. რომ დავრწმუნდე, ამ ამბის გამოქვეყნება გამომცემელს დააინტერესებს, თქვენ შესახებ უფრო მეტი უნდა გავიგო. მაგალითად, ისეთი რამ, რაც „ტაიმსა“ და „ნიუსვიკში“ ჯერ არ დაბეჭდილა.

კოლმა გაიღიმა და თითები მუცელზე გადაიჭვარედინა.

— მაგაში დარწმუნებული იყავით.

ალენი წინ გადაიხარა და იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო.

— მოსაყოლი გაცილებით მეტი მაქვს, მაგრამ მუქთად ვერავის მივცემ. ჩემმა კოლამბუსელმა ადვოკატებმა მითხრეს, რომ საავტორო უფლების მოპოვება ძალიან ბევრს უნდა. ერთი ჰოლივუდელი ტიპი მთავაზობს, სატელევიზიო და მხატვრული ფილმის გადაღების უფლება მივყიდო. ამ კვირაში კიდევ ერთი მწერალი აპირებს ჩამოსვლას, გამზადებული კონტრაქტით.

— იმედის მომცემად ჟღერს, — თქვა მწერალმა, — დარწმუნებული ვარ, თქვენი ცხოვრების ისტორიის წაკითხვა ძალიან ბევრს ენდომება.

აღენმა თავი დაუქნია და გაუღიმა. გადაწყვიტა, უფრო შორს შეეტოპა.

— თქვენი დაწერილი რამე მინდა წავიკითხო, თქვენს შემოქმედებაზე წარმოდგენა რომ შემექმნას. ექიმმა კოლმა მითხრა, რომ თქვენი ერთ-ერთი წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღეს.

— წიგნს გამოგიგზავნით. წაკითხვის შემდეგ თუ დაინტერესდებით, შეგვიძლია ისევ დავილაპარაკოთ, — უთხრა ავტორმა.

მწერალი რომ წავიდა, ექიმმა კოლმა ბილის შესთავაზა, სანამ მომდევნო ნაბიჯს გადადგამდა, თავისი ინტერესების დასაცავად ადგილობრივი ადვოკატი აეყვანა. კოლამბუსელი სახალხო დამცველები მისი წარმომადგენლები ველარ იქნებოდნენ. მომდევნო კვირის განმავლობაში აღენი, არტური და ბილი რიგრიგობით კითხულობდნენ მწერლის გამოგზავნილ წიგნს. რომ დაამთავრეს, ბილიმ არტურს უთხრა:

— ვფიქრობ, წიგნის დაწერა ამ კაცს უნდა მივანდოთ.

— გეთანხმები, — უთხრა არტურმა, — ჩვენს ამბავსაც ისე მინდა მოჰყვეს, როგორც ამ წიგნშია — პერსონაჟის გონებაში კარგად აღწევს. თუ ვინმეს ბილის პრობლემის გაგება უნდა, ამბავი შიგნიდან უნდა დაინახოს. ბილის ტყავში უნდა შეძვრეს.

საუბარში რეიგენიც ჩაერთო:

— მე არა ვარ ტანახმა. მე მგონია, ციგნი არ უნდა დაიცეროს.

— რატომ? — ჰკითხა აღენმა.

— მოდი ასე ვიტკვი — ბილი დაელაპარაკება ის კაცი, შენც და სხვებიც. შეიძლება ისეთი რაგაცები უტხრაატ, რომ მე კიდევ მოვხვდე ციხეში. სხვა კრიმინალებიც.

არტური დაფიქრდა.

— ამის შესახებ არაფერს ვეტყვით.

— გარდა ამისა, — თქვა აღენმა, — ნებისმიერ დროს შეგვიძლია უარი ვთქვათ. თუ საუბრისას ისეთი ინფორმაცია გამჟღავ-

ნდება, რომელიც შეიძლება ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენონ, ბილის ყოველთვის შეეძლება წიგნი გაანადგუროს.

— ეგ როგორ შეიძლება?

— ავიღებთ და ყველაფერს უარვყოფთ, — უპასუხა ალენმა, — მე შემიძლია ვთქვა, რომ ვიტყუებოდი, ვითომ მრავლობითი პიროვნება ვარ. თუ ვიტყვი, რომ ტყუილია, წიგნს აღარავინ იყიდის.

— მაგას ვინ დაიდურებს? — იკითხა რეიგენმა.

ალენმა მხრები აიჩეჩა.

— რა მნიშვნელობა აქვს. რომელი გამომცემელი დასთანხმდება წიგნის გამოცემას ადამიანზე, რომელიც ამბობს, ყველაფერი, რაც მანდ წერია, ტყუილიაო?

— ალენი მართალია, — მიუგო არტურმა.

— იგივე შეეხება ყველა იმ კონტრაქტს, რომელზეც ბილიმ შეიძლება ხელი მოაწეროს, — დასძინა ალენმა.

— შენ ამბობ, ტავი მოვიკატუნოტ, რომ არაკომპეტენტური, რომ ხელი მოაცეროს? — ჰკითხა რეიგენმა.

ალენმა გაიღიმა.

— „უდანაშაულო შეურაცხადობის საფუძველზე“ — ასე არ არის? ამაზე გერი შვეიკარტს ვესაუბრე ტელეფონით. მითხრა, რომ ყოველთვის შემიძლია ვთქვა, რომ კონტრაქტს ხელი სიგიჟის ფონზე მოვაწერე, ან რომ ეს ექიმმა კოლმა მაიძულა და კონტრაქტიც გაბათილდება.

არტურმა თავი დაუქნია.

— მაშინ, ვფიქრობ, მშვიდად შეგვიძლია მწერალს ვუთხრათ, გამომცემელი მოძებნოს.

— მე მგონი, ეს მაინც სისულელე, — არ დაიშალა რეიგენმა.

— ვფიქრობ, ამ ამბის მსოფლიოსთვის მოყოლა ძალიან მნიშვნელოვანია, — თქვა არტურმა, — მრავლობითი პიროვნების შესახებ წიგნები ადრეც დაწერილა, მაგრამ ბილის ამბის მსგავსი —

არაფერი. თუ ადამიანები გაიგებენ, ეს როგორ ხდება, შეიძლება ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის საქმეში წვლილი შევიტანოთ.

— გარდა ამისა, კარგ ფულსაც გავაკეთებთ, — მიუგო ალენმა.

— ეს არის ყველაზე კარგი და ჩკვიანი არგუმენტი, რაც დგეს მოვისმინე, — თქვა რეიგენმა.

— ასეც ვიფიქრე, რომ ფულის ამბავი მოგეწონებოდა, — უთხრა ალენმა.

— ეს რეიგენში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წინააღმდეგობრიობაა — თავგადაკლული კომუნისტი, რომელსაც ფული ისე უყვარს, რომ შეუძლია, უბრალოდ აიღოს და მოიპაროს, — განაცხადა არტურმა.

— მაგრამ დამეტანხმებით, რომ რაც ჩვენი გადასახადს არ ჩირდება, სულ ვაძლევ დარიბებს, — თქვა რეიგენმა.

— ჰო, არა? — გაეცინა ალენს, — იქნებ ქველმოქმედების ამბავში ცოტა ვალებიც ჩამოგვაჭრან.

19 დეკემბერს „ათენს მესინჯერის“ რედაქტორმა საავადმყოფოში დარეკა, რომ ბილისთან ინტერვიუს ჩაწერის უფლება აეღო. ბილი და ექიმი კოლი დასთანხმდნენ. კოლმა ბილი საკონფერენციო დარბაზში შეიყვანა, სადაც მისი თავი ადგილობრივ რედაქტორს — ჰერბ ეიმის, რეპორტიორ ბობ იკის და ფოტოგრაფ გეილ ფიშერს წარუდგინა. კოლმა მათ ბილის ნახატები უჩვენა და ბილიმ უპასუხა მათ შეკითხვებს წარსულის, გადატანილი ძალადობის, თვითმკვლელობის მცდელობისა და სხვა პიროვნებების მიერ მისი დამორჩილების შესახებ.

— ძალადობის ამბებზე რას იტყვით? — ჰკითხა ეიმიმ, — როგორ უნდა დავარწმუნოთ ათენის მოსახლეობა, რომ ტერიტორიის დატოვების ნებას თუ დაგრთავენ, როგორც ღია განყოფილების პაციენტების შემთხვევაში ხშირად ხდება, მათ და მათ ბავშვებს საფრთხეს არ შეუქმნით?

— ვფიქრობ, ძალადობის შესახებ კითხვებს ბილიმ კი არა, მისმა ერთ-ერთმა პიროვნებამ უნდა უპასუხოს.

მან ბილი საკონფერენციო დარბაზიდან დერეფნის გავლით თავის კაბინეტში შეიყვანა.

— მისმინე, ბილი, ვფიქრობ, შენტვის ათენის მედიასთან კარგი ურთიერთობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანია. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მათთვის სახიფათო არ ხარ. ადრე თუ გვიან საღებავების საყიდლად, კინოში წასასვლელად ან ჰამბურგერის საჭმელად ქალაქში გამყოლის გარეშე გასვლა მოგინდება. ეს ჟურნალისტები აშკარად თანაგიგრძნობენ. ვფიქრობ, რეიგენტთან საუბრის საშუალება უნდა მივცეთ.

ბილი ჩუმად იჯდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა. რამდენიმე წამში წინ გადაიხარა და კოლს ამოხედა.

— ტკვენ რა, გააპრინეტ ეკიმო კოლი?

უხეში ხმის გაგონებაზე კოლს სუნთქვა შეეკრა.

— ასე რატომ ამბობ, რეიგენ?

— იმიტომ, რომ ამის გაკეტება არასცორო. ჩვენ აკ ვცვალობტ, რომ ბილის ეგვიძოს.

— მნიშვნელოვანი საქმე რომ არ იყოს, არ დაგიძახებდი.

— ეს არ არის მნიშვნელოვანი. ეს არის ეკსპლუატაცია გაზეტე-ბისტვის. მე ცინაგმდეგი! გაბრაზებული ვარ!

— მართალი ხარ, — უთხრა კოლმა და ფრთხილად შეათვალიერა, — მაგრამ საზოგადოება უნდა დავარწმუნოთ, რომ ის ხარ, რაც სასამართლომ თქვა, რომ ხარ.

— საზოგადება რას პიკრობს, მე არ მაინტერესებს. არ მინდა გაზეტებმა ჩემზე პული აკეტონ და სატაურებიტ სისულელები დაცერონ.

— მაგრამ ათენის პრესასთან კარგი ურთიერთობა აუცილებელია. ამ ქალაქის მოსახლეობის აზრს შენს თერაპიასა და რეჟიმზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება.

რეიგენი დაფიქრდა. გრძნობდა, რომ კოლი იყენებდა, რათა პრესისათვის გაკეთებული განცხადებებისთვის მეტი წონა მიეცა, მაგრამ მისი არგუმენტები ლოგიკური ჩანდა.

— ტკვენ პიკრობტ, ეს სცორო არის?

— ასე რომ არ ვფიქრობდე, არც გირჩევდი.

— კარგი, დაველაპარაკები რეპორტიორებს, — დასთანხმდა რეიგენი.

კოლმა ისევ საკონფერენციო დარბაზში შეიყვანა.

— ვუპასუხებ კიტხვებს, — თქვა რეიგენმა.

აქცენტით გაოგნებულ იკის ენა დაება.

— მე... მე... ისა... ჩვენ გვინდოდა გვეკითხა... გვინდოდა მოსახლეობა დაგვერწმუნებინა, რომ თქვენ... რომ ბილი სახიფათო არ არის.

— მე ვიკნებოდი სახიპატო ტუ ვიგაცა ეცდება, ბილის აცკენინოს, ან კალი ან ბავშვი რამე დაუშავოს ბილის ტვალცინ, — თქვა რეიგენმა, — მარტო ამ შემტხვევაში მე ჩავერევი. მოდიტ ასე ვიტკვი — ვინმეს ნება მისცემტ რომ ტკვენი ბავშვი ატკინოს? — არა. ტკვენ დაიცავტ ცოლი, ბავშვი ტუ რომელიმე კალი. ტუ ვინმე აცკენინოს ბილის, მე დავიცავ. მაგრამ შეტევა მიზების გარეშე არის ბარბაროსობა. მე არა ვარ ბარბაროსი.

კიდევ რამდენიმე შეკითხვის შემდეგ რეპორტიორებმა არტურთან საუბარი ითხოვეს. კოლმა მათი თხოვნა მიიღო და ჟურნალისტებმა დაინახეს, როგორ შეიცვალა რეიგენის ფიცხი გამომეტყველება. სახე თითქოს მოლღვაო. რამდენიმე წამში მასზე ქედმაღლური, ტუჩებმოკუმული და წარბაწეული გამომეტყველება აღიბეჭდა. აღელვებულმა არტურმა მიმოიხედა, ჯიბიდან ჩიბუხი ამოიღო, მოუკიდა და კვამლის გრძელი ბოლქვი გამოუშვა.

— ეს სრული აბსურდია, — თქვა მან.

— რა? — ჰკითხა ექიმმა კოლმა.

— უილიამის დაძინება და ჩვენი გამოჭენება. რაც ძალი და ღონე მქონდა, ვცდილობდი, მისთვის სიფხიზლე შემენარჩუნებინა. მისთვის კონტროლის შენარჩუნება მნიშვნელოვანია. თუმცაღა, — და რეპორტიორებს მიუბრუნდა, — ძალადობის შესახებ თქვენს შეკითხვას უნდა ვუპასუხო — მინდა აქაური დედები დავარწმუნო, რომ კარის აჭედვის საფუძველი ნამდვილად არ გააჩნიათ. უილიამის ჯანმრთელობა უმჯობესდება. ჩემგან ლოგიკური აბროვნების უნარს სესხულობს, რეიგენისგან კი — რისხვის გამოხატვის უნარს. ჩვენ ვასწავლით, ის კი ნელ-ნელა შთანთქავს.

როცა უილიამი ყველაფერს აითვისებს, რისი სწავლაც ჩვენგან შეუძლია, გავქრებით.

რეპორტიორებმა ბლოკნოტებში სასწრაფოდ რაღაც ჩაიწერეს.

კოლმა ბილი დააბრუნა და ახლადგამოსულს ჩიბუხის კვამლზე ხველა აუტყდა.

— ღმერთო, რა ნაგავია! — თქვა მან და ჩიბუხი მაგიდაზე მოისროლა, — მე არ ვეწევი.

ბილიმ დანარჩენ შეკითხვებსაც უპასუხა. თქვა, რომ არაფერი ახსოვდა იმ მომენტის შემდეგ, ექიმი კოლმა სხვა ოთახში რომ შეიყვანა. ბორძიკით საუბრობდა თავის სანუკვარ სურვილებზე. იმედი ჰქონდა, რომ ნახატების გაყიდვას შეძლებდა და ფულის ნაწილს ბავშვების ძალადობისგან დაცვის ცენტრს გადაურიცხავდა. „მესინჯერის“ თანამშრომლები რომ გადიოდნენ, კოლმა შენიშნა, რომ სამივე გაბრუებული ჩანდა.

— ფიქრობ, რამდენიმე ახალი მორწმუნე შემოგვემატა, — უთხრა მან ბილის მიმისკენ მიმავალ გზაზე.

ჯუდი სტივენსონი დაკავებული იყო, ამიტომ გერი შვეიკარტმა ათენში ბილის სანახავად თან სახალხო დამცველის ოფისის ხელმძღვანელი გაიყოლა. გერის უნდოდა, მეტი რამ გაეგო წიგნის დაწერის მსურველი ავტორისა და ალან გოლდსბერის — იმ ადვოკატის შესახებ, ბილიმ სამოქალაქო საკითხების მოსაგვარებლად რომ დაიქირავა. თერთმეტ საათზე საკონფერენციო დარბაზში შეხვდნენ ექიმი კოლის, ბილის დისა და მისი საქმროს, რობის თანხლებით. ბილიმ დაიჟინა, რომ გადაწყვეტილება უკვე მიიღო და უნდოდა, წიგნზე სწორედ ამ მწერალს ემუშავა. შვეიკარტმა გოლდსბერის სია გადასცა, სადაც გამომცემლების, პოტენციური ავტორებისა და იმ პროდიუსერის საკონტაქტო ინფორმაცია იყო, ბილის ამბის მიხედვით ფილმის გადაღებისა და

საავტორო უფლებების მოპოვების სურვილი რომ გამოთქვეს. შეხვედრის შემდეგ გერი ბილისთან ცალკე სასაუბროდ გავიდა.

— ახლა კიდევ ერთი საქმე მიმყავს, რომელზეც გაზეთები ალაპარაკდნენ, — უთხრა გერიმ, — ოცდაორკალიბრიანი მკვლელის ამბავი.

ბილიმ სერიოზულად შეხედა და უთხრა:

— რაღაცას უნდა დამპირდეთ.

— რას?

— თუ ეს მართლა ჩაიდინა, არ დაიცვათ.

გერის გაელიმა.

— რა ნიშანდობლივია, ამას შენ რომ მეუბნები, ბილი.

ახლა, როცა იცოდა, რომ ბილი უკვე სხვის ხელში გადავიდა, ატენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრიდან წამოსულ გერის ურთიერთსაწინააღმდეგო განცდები აწუხებდა. მისთვის ეს გასაოცარი თოთხმეტი თვე იყო — ყოვლისმომცველი, ყოვლისშთანთქმელი. ამ პერიოდმა ჯო ენთან განქორწინებაშიც შეიტანა წვლილი. დრო, რომელიც ოჯახთან ერთად უნდა გაეტარებინა, საქმემ შეიწირა და უეცარი სავალალო „დიდება“ — როცა ღამ-ღამობით მასთან უცხო ხალხმა იწყო რეკვა და მოძალადის დაცვის გამო ლანძღვა — აუტანელ ტვირთად ექცა. მის ერთ-ერთ შვილს სკოლაში ჩაგვრა დაუწყეს იმის გამო, რომ მამამისმა მილიგანი დაიცვა. ამ საქმეზე მუშაობისას სულ იმაზე ფიქრობდა, რამდენ კლიენტს აკლებდნენ დროსა და ძალისხმევას ის და ჯუდი მილიგანის საქმის სირთულის გამო. როგორც ჯუდიმ თქვა, „იმის შიშით, რომ ვინმე უყურადღებოდ არ დაგრჩეს, ათმაგად მუშაობ, შედეგად კი საკუთარი ოჯახი გეჩაგრება“. მანქანაში რომ ჩაჯდა, გერიმ უშველებელ, ულაბათო ვიქტორიანულ შენობას ახედა და მძლოლს თავი დაუქნია. ბილი მილიგანზე ზრუნვა და პასუხისმგებლობა ახლა უკვე სხვას ეკისრებოდა.

23 დეკემბერს ბილის აღელვებულს გაეღვიძა — მწერალთან მოსალოდნელი საუბრის ამბავი აშფოთებდა. თავისი ცხოვრების ადრეული წლების შესახებ ძალიან ცოტა რამ ახსოვდა — მხოლოდ ის ფრაგმენტები და ნაწყვეტები, დანარჩენებისგან რომ იცოდა. აბა, მწერლისთვის თავისი ცხოვრების ისტორია როგორ უნდა მოეყოლა?

საუბმის შემდეგ დახლთან მივიდა, აპარატიდან მეორე ჭიქა ყავა დაისხა და დაჯდა. მწერალს ელოდებოდა. წინა კვირას ახალმა ადვოკატმა, აღან გოლდსბერიმ წიგნთან დაკავშირებული მოლაპარაკებისას მისი წარმომადგენლობა ითავა და მან და ბილიმ მწერალსა და გამომცემელთან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს. ეს მარტივი როდი იყო, თუმცა ახლა ბილის გონებაში პანიკა ნელ-ნელა ცხრებოდა.

— ბილი, შენთან სტუმარია, — ნორმა დიშონგის ხმამ ბილი შეაკრთო. წამოხტა და ყავა ჯინსზე გადაისხა. დაინახა, როგორ შემოვიდა მწერალი განყოფილების კარიდან და კორიდორის გავლით კიბეს როგორ ჩამოუყვავა.

ღმერთო, ეს რაში გაყო თავი!

— გაუმარჯოს! — უთხრა მწერალმა და გაუღიმა, — აბა, დავიწყოთ?

ბილი თავის ოთახში შეუძღვა. კაფანდარა, წვეროსანმა მწერალმა თავისი აუდიოჩამწერი, ბლოკნოტი, ფანქრები, ჩიბუხი და თამბაქო ამოაძვრინა და სკამის საბურავებზე გადაწვა.

— მოდი, ყოველი ახალი ჩანაწერის შენი სახელით დაწყება წესად შემოვიღოთ. ისე, ახლა ვის ვესაუბრები, რომ ვიცოდე?

— ბილის.

— კარგი. ახლა მინდა გკითხო — პირველად რომ შევხვდით ექიმი კოლის ოთახში, მან რაღაც „შუქი“ ახსენა. შენ უთხარი, რომ საკმარისად ახლოს არ მიცნობდი საიმისოდ, რომ ჩემთვის ამის შესახებ მოგეყოლა. ახლა როგორ ფიქრობ?

დამორცხვებულმა ბილიმ თვალები დახარა.

— პირველ დღეს რომ შეგხვდათ, ეგ მე არ ვიყავი. მრცხვენოდა და ვერ დაგელაპარაკეთ.

— ჰოო? აბა ის ვინ იყო?

— ალენი.

მწერალი მოიღუშა და ჩიბუხი ფიქრიანად გააბოლა.

— კარგი, — თქვა და ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა, — „შუქზე“ შეგიძლია მომიყვე?

— ამის, ისევე, როგორც ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილის შესახებ ჰარდინგის საავადმყოფოში შევიტყვე, სადაც ნაწილობრივ გავმთლიანდი. ასე არტური უხსნიდა პატარებს, რას ნიშნავდა „რეალობაში“ ყოფნა.

— როგორ გამოიყურება „შუქი“? კონკრეტულად რას ხედავ ხოლმე?

— დიდი თეთრი ლაქაა, რომელიც იატაკზე ანათებს. ყველა მის ირგვლივ დგას, ან იქვე, სიბნელეში მდგარ საწოლებში წევს. ზოგი აქეთ იყურება, ზოგს სძინავს, ზოგი კი თავისი საქმით არის გართული. მაგრამ ვინც შუქს აბიჯებს, ცნობიერებაზე კონტროლსაც ის იღებს.

— ყველა შენი პიროვნება რეაგირებს, როცა „ბილის“ ეძახიან?

— როცა მეძინა და გარედან ვინმე „ბილის“ მეძახდა, ჩემი ხალხი პასუხობდა ხოლმე. როგორც ერთხელ ექიმმა უილბურმა ამიხსნა, დანარჩენები ყველა ღონეს ხმარობდნენ იმის დასამალად, რომ მრავლობითი პიროვნებები არიან. სიმართლე მართლ

მაშინ გამჟღავნდა, როცა დევიდს შეეშინდა და ღორთი ტერ-
ნერს უთხრა.

— იცი, პირველად როდის დაიწყეს შენმა ადამიანებმა არსებო-
ბა?

ბილიმ თავი დაუქნია, უკან გადაწვა და დაფიქრდა.

— ქრისტიანი მაშინ მოვიდა, როცა ძალიან პატარა ვიყავი. არ
მახსოვს, როდის. დანარჩენების უმეტესობა — რვა წლის რომ ვი-
ყავი და ცხრის რომ ვხდებოდი. როცა ჩალმერმა... როცა მამილო
ჩალ...

ბილის ენა დაება.

— თუ გაწუხებს, არ გინდა ამაზე საუბარი.

— არა უშავს, — თქვა მან, — ექიმებმა მითხრეს, რომ სისტემის
ამისგან გაწმენდა მნიშვნელოვანია.

ბილიმ თვალები დახუჭა.

— მახსოვს, რომ ეს პირველი აპრილის მერე მოხდა. მეოთხე
კლასში ვიყავი. მან ფერმაში წამიყვანა ბაღის მარგვლაში დასახ-
მარებლად. საბძელში შემიყვანა და სახნისზე მიმაბა. მერე... მე-
რე... — თვალები ცრემლებით ავესო, ენა დაება, ხმა ჩაუწყდა და
პატარა ბიჭისა გაუხდა.

— იქნებ არ გინდა...

— მცემა, — თქვა მან და მაჯები მოისრისა, — ძრავა ჩართო და
მეგონა, სახნისი ჩამითრევიდა და დანებით ნაკუწ-ნაკუწ დამგლეჯ-
და. მითხრა, რომ დედაჩემს თუ ვეტყოდი, საბძელში ჩამმარხავ-
და და დედას ეტყოდა, რომ სახლიდან გავიქეცი იმიტომ, რომ
მძულდა.

ბილი ლაპარაკობდა და ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდიოდა.

— ეს მეორედ რომ მოხდა, უბრალოდ, თვალები დავხუჭე და
სხვაგან წავედი. ჰარდინგის საავადმყოფოში ექიმი ჯორჯი დამეხ-

მარა გახსენებაში და ახლა ვიცი, რომ სახნისს რომ მიაბეს, ეს დენი იყო. მერე კი დეივიდი გამოვიდა, რომ ტკივილი მიეღო.

მწერალი ბრაზისგან ცახცახებდა.

— ღმერთო, სასწაულია, საერთოდ რომ გადარჩი.

— ახლა ვხვდები, — დაიწურულა ბილიმ, — პოლიციამ რომ ჩინგუეიდან ამიყვანა, კი არ დამაპატიმრეს, გადამარჩინეს. ვწუხვარ, რომ სანამ ეს მოხდებოდა, ხალხი დაზარალდა, მაგრამ ვგრძნობ, ოცდაორი წლის შემდეგ ღმერთმა, როგორც იქნა, გადმომხედა.

თავი მეექვსე

1

შობის მეორე დღეს მწერალი ათენის საავადმყოფოსკენ მიმავალ გრძელ, დაკლავნილ გზას გაუყვა ბილი მილიგანთან მეორე ინტერვიუს ჩასაწერად. ხვდებოდა, რომ ბილი დათრგუნული უნდა ყოფილიყო, დღესასწაულის საავადმყოფოში გატარება რომ მოუწია. მწერალმა გაიგო, რომ შობამდე ერთი კვირით ადრე ბილი ექიმ კოლს ეხვეწა, შობის ოჯახთან ერთად აღსანიშნავად ლოგანში, დასთან გაეშვა. კოლმა უთხრა, რომ ეს მეტისმეტად ადრე იყო — მისი მოსვლიდან სულ რაღაც ორიოდ კვირა იყო გასული. მაგრამ ბილი არ იშლიდა. მიმის სხვა პაციენტებს ხანმოკლე არდადეგებზე შინ წასვლის ნებას რთავდნენ. თუ ექიმი მართლაც აპირებდა მისთვის ისე ემკურნალა, როგორც სხვა პაციენტებისთვის, მაშინ უნდა ეცადა, არდადეგებზე წასვლის ნებართვა მისთვისაც მოეპოვებინა. კოლი ხვდებოდა, რომ პაციენტი ცდიდა. კარგად ესმოდა, როგორი მნიშვნელოვანი იყო ბილის რწმენისა და ნდობის მოპოვება და განცხადების შეტანაზე დასთანხმდა. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ უარს მიიღებდა. განცხადებამ ვადამდელი გათავისუფლების კომიტეტში, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო დეპარტამენტსა და კოლამბუსის პროკურატურაში დიდი ორომტრიალი გამოიწვია. როცა იავინმა გერი შვეიკარტს დაურეკა და ჰკითხა, ათენში რა ჯანდაბა ხდებოა, გერი საქმეში გარკვევას დაჰპირდა.

— მაგრამ მე მისი ადვოკატი აღარა ვარ, — დაამატა მან.

– შენს ადგილას ათენში მის ექიმს დავურეკავდი, – უთხრა იავიჩმა, – და ვეტყოდი, ცოტა აზრზე მოდიო-მეთქი. ფსიქიკურად დაავადებული დამნაშავეების კონტროლთან დაკავშირებული ახალი კანონმდებლობის შესახებ აურზაურს თუ რამე გამოიწვევს, ეგ საავადმყოფოში ჩაბარებიდან ორ კვირაში გარეთ მოსვ-ირნე მილიგანი იქნება.

როგორც კოლი ელოდა, ნებართვაზე უარი მიიღეს.

რკინის მძიმე კარი რომ გააღო და ბილის ოთახისკენ წავიდა, მწერალმა შენიშნა, რომ მიმი თითქმის ცარიელი იყო. ბილის კარზე დააკაკუნა.

– ერთი წამით, – გაისმა ნამძინარევი ხმა.

კარი რომ გაიღო, მწერალმა დაინახა, ბილი ახლადგალვიძე-ბულივით გამოიყურებოდა. დაბნეული ჩანდა. უცებ მაჯაზე ელექტროსაათს დახედა და თქვა:

– ეს არ მახსოვს.

მაგიდასთან მივიდა და ქაღალდს დახედა. მერე აიღო და მწე-რალს უჩვენა. ეს ოცდაექვს დოლარზე გამოწერილი საავადმყოფოს მომარაგების ცენტრის ქვითარი იყო.

– არ მახსოვს, ეს მეყიდოს, ვიღაც ფულს მიხარჯავს – ჩემი ნა-ბატების გაყიდვით ნაშოვნ ფულს. აბა, ეს რა არის?

– იქნებ ჩეკი უკან მიიღონ, – ურჩია მწერალმა.

ბილიმ ჩეკი შეათვალიერა.

– ალბათ დავიტოვებ. ახლა მჭირდება საათი. დიდი არაფე-რია, მაგრამ იყოს.

– შენ თუ არ გიყიდა, როგორ ფიქრობ, ვინ იყიდა?

ბილიმ მიმოიხედა, მოლურჯო-მომწვანო თვალებით ოთახს ისე უტრიალებდა, თითქოს იქ ვიღაც უნდა ყოფილიყო.

– უცნაური სახელები მესმოდა.

– რა სახელები?

— „კევენი“ და „ფილიპი“.

მწერალი შეეცადა, გაკვირვება არ დასტყობოდა. ათი პიროვნების შესახებ წაეკითხა, მაგრამ ის სახელები, ბილიმ რომ ამწამს უთხრა, არავის უხსენებია.

მწერალმა შეამოწმა, რომ აუდიოჩამწერი ნამდვილად იწერდა.

— ექიმ კოლს უთხარი ეს ამბავი?

— ჯერ არა, — უპასუხა ბილიმ, — ალბათ ვეტყვი. მაგრამ არ მესმის, ეს რას უნდა ნიშნავდეს. ვინ არიან? მათზე რატომ ვფიქრობ?

ბილი რომ ლაპარაკობდა, მწერალს 18 დეკემბრის „ნიუსვიკის“ სტატიიდან ნაწყვეტი გაახსენდა: „თუმცადა, რჩება უპასუხო შეკითხვებიც... როგორ ავხსნათ მისი საუბრები დაზარალებულებთან, სადაც თავს „პარტიზანსა“ და „დაქირავებულ მებრძოლს“ უწოდებდა? ექიმების ვარაუდით, მილიგანს შესაძლოა კიდევ რამდენიმე ისეთი პიროვნება ჰყავდეს, თავი ჯერჯერობით რომ არ გამოუვლენიათ და, შესაძლოა, ზოგიერთ მათგანს ჯერაც დაუდგენელი დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი“.

— სანამ კიდევ რამეს იტყვი, ბილი, ვფიქრობ, რამდენიმე ძირითადი წესი უნდა განვსაზღვროთ. არ მინდა, რომ ვინმემ შენი ნათქვამი შენს საზიანოდ გამოიყენოს. თუ რამე ისეთის თქმას დააპირებ, რამაც შეიძლება, დაგაზარალოს, უბრალოდ, მითხარი და ჩამწერს გამოვრთავ. არაფერს ჩავიწერ ისეთს, რაც დაგაზარალებს. თუ დაგავიწყდება, მე შეგაჩერებ და ჩაწერას შევწყვეტ. კარგი?

ბილიმ თავი დაუქნია.

— კიდევ ერთი — თუ რაიმე ფორმით კანონის დარღვევას აპირებ, არ მითხრა. თუ ამას გააკეთებ, პირდაპირ პოლიციაში მომიწევს მისვლა. თუ არადა, თანამონაწილეობაში დამედება ბრალი.

ბილი გაოგნდა.

— დანაშაულის ჩადენას აღარ ვაპირებ.

— მიხარია. ახლა იმ ორ სახელზე ვილაპარაკოთ — კეცინსა და ფილიპზე. ეს სახელები რას გეუბნება?

ბილიმ მაგიდის ზემოთ ჩამოკიდებულ სარკვეში ჩაიხედა.

— არაფერს. ვერ ვიხსენებ. მაგრამ თავში ერთი რაღაც მომდის — „არასასურველები“. ამას არტურთან უნდა ჰქონდეს რაღაც კავშირი. მაგრამ არ ვიცი, რა.

მწერალი წინ გადაიხარა.

— არტურზე მომიყევი. როგორი ადამიანია?

— ემოციები არ აქვს. „სტარ ტრეკში“ რომ მისტერ სპოკია, იმას მაგონებს. ისეთი ტიპია, რესტორანში მომსახურებაზე უყოყმანოდ რომ ჩივიან ხოლმე. ახსნა-განმარტებით თავს არ იწუხებს, მაგრამ ღიზიანდება, თუ ვინმეს არ ესმის, რას ამბობს. შემწყნარებლობის დრო არ აქვს. ამბობს, დატვირთული გრაფიკით ვმუშაობო — ათასი რამე აქვს დასალაგებელი, დასაგეგმი, მოსაწყობი.

— ოდესმე ისვენებს, ან ერთობა?

— ზოგჯერ ჭადრაკს თამაშობს ხოლმე. ძირითადად, რეიგენს ეთამაშება, სვლებს ალენი აკეთებს — მაგრამ დროის ფლანგვა არ უყვარს.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მაინცდამაინც გულზე არ გეხატება.

ბილიმ მხრები აიჩეჩა.

— არტური როგორ შეიძლება გიყვარდეს, ან არ გიყვარდეს. შეიძლება პატივს სცემდე.

— შენსავით გამოიყურება?

— დაახლოებით ჩემი სიმაღლისა და წონის არის — მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი, ოთხმოცდაექვსი კილოგრამი, მაგრამ მეტალისჩარჩოიანი სათვალე უკეთია.

მეორე ინტერვიუმ სამ საათს გასტანა. ისაუბრეს გაზეთებში მოხსენიებულ ზოგიერთ პიროვნებაზე, ბილის ნამდვილ ოჯახთან დაკავშირებულ ფაქტებზე, მის ბავშვობის მოგონებებზე. მწერალი ცდილობდა, ინფორმაციის ამ ნაკადის თავმოყრის მეთოდი მოეფიქრებინა. მთავარი პრობლემა ამნებია იყო. რადგანაც ბილის მეხსიერებაში ამდენი გარღვევა ჰქონდა, მისი ბავშვობის, ან იმ შვიდი წლის შესახებ, როცა ბილის ეძინა და მისი ცხოვრებით სხვა პიროვნებები ცხოვრობდნენ, შეუძლებელი იყო, ბევრი რამ გაეგო. მწერალს განებრახა, ზოგიერთი ისტორიის შესაძლო დრამატიზაციის მიუხედავად, ყოველთვის ბილის მიერ მიწოდებულ ფაქტებს დაყრდნობოდა. გამოუძიებელი დანაშაულების გარდა, ყველაფერს ისე აღწერდა, როგორც ბილი მოუყვებოდა. მაგრამ ეშინოდა, ამბავი დანაწევრებული არ გამოსულიყო. ასეთ შემთხვევაში წიგნი, უბრალოდ, ვერ შედგებოდა.

ექიმმა კოლმა თავი ასწია. კაბინეტში შემომავალი ხმამაღალი საუბარი ხელს უშლიდა. მისი მდივანი გვარიანი ბრუკლინური აქცენტის მქონე კაცს ელაპარაკებოდა.

— ექიმი კოლი დაკავებულია. ახლა ვერ მიგიღებთ.

— ქალბატონო, სუ ფეხებზე მკიდია, როგორი დაკავებულია. უნა ვნახო. რაღაცა უნა მივცე.

კოლმა სკამიდან წამოიწია, მაგრამ უცებ კაბინეტის კარი გაიღო. ზღურბლზე ბილი მილიგანი იდგა.

— ხო ბილის ექიმი ხართ?

— მე ექიმი კოლი ვარ.

— ხო, მე ფილიპი ვარ. აქ ვიღაცეები ვფიქროფთ, რო ეს თქვენ უნა მოქცეთ.

მაგიდაზე ყვითელი ფურცელი დაახეთქა, შებრუნდა და გავიდა. კოლმა დახედა და სწრაფად შენიშნა, რომ ეს სახელების გრძელი ჩამონათვალი იყო — ბილის ათი პიროვნება და კიდევ სხვები. უკანასკნელი მათგანის სახელი მითითებული არ იყო — უბრალოდ „მასწავლებელი“ ეწერა.

ექიმმა კოლმა ის-ის იყო დააპირა, პაციენტს გაჰკიდებოდა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა. ყურმილი აიღო, მიკროტალღური თერაპიის განყოფილების სპეციალისტს დაუკავშირდა და უთხრა:

— ჯორჯ, დღეს ბილი მილიგანთან და დეივ მაღავისტასთან სენსი მაქვს დანიშნული. მინდა, ვიდეოზე გადაიღო.

მერე ყურმილი დაკიდა და სიას დააკვირდა. ძალიან ბევრი უცნობი სახელი ეწერა. სულ — ოცდაოთხი. კოლი თვალებს არ უჯერებდა. კი მაგრამ, ასეთ რამეს როგორ უნდა მორეოდა? ღმერთო, ეს „მასწავლებელი“ ვინლა იყო?

სადილის შემდეგ კოლი მიმში ავიდა და მილიგანის ოთახის კარზე დააკაკუნა. რამდენიმე წამში ნამძინარევთვალეებიანმა და თმააჩეჩილმა ბილიმ გაუღო.

— რა ხდება?

— დღეს სალამოს სეანსი გვაქვს, ბილი. მიდი, გამოუხიზლდი.

— ა, ჰო, კარგი, ექიმო კოლ.

ბილი ენერგიულ ჩია კაცს გაჰყვა — კიბე აიარა და მიმიდან გავიდა. გერიატრიის თანამედროვე შენობა გაიარეს, უალკოჰოლოლ სასმელისა და ტკბილეულის აპარატებს ჩაუარეს და მიკროტალღური თერაპიის ოთახში შევიდნენ.

ჯორჯი საკონფერენციო დარბაზში იყო, ვიდეოკამერას აყენებდა. ბილი და ექიმი კოლი რომ შევიდნენ, თავი დაუქნია. მარჯვნივ სკამები თითქოს არარსებული აუდიტორიისთვის ჩაემწკრივებინათ. მარცხნივ, ორნამენტებიან კარს იქით, ვიდეოკამერა და მონიტორი იდგა. ბილი იქ დაჯდა, სადაც ექიმმა კოლმა მიუთითა, ჯორჯი საყელოზე მიკროფონის მიმაგრებაში დაეხმარა. ამ დროს ოთახში ახალგაზრდა შავთმიანი კაცი შევიდა. კოლი მიესალმა — ეს უფროსი ფსიქოლოგი, დეივ მალავისტა იყო. ჯორჯმა ანიშნა, რომ კამერა მზად იყო და კოლმა სეანსი დაიწყო.

— შენს სახელს ხომ არ გვეტყობდი?

— ბილი.

— კარგი, ბილი. ახლა რაღაც უნდა გკითხო. გავიგეთ, „შენს ხალხს“ რომ ეძახი და პერიოდულად რომ ჩნდებიან, იმ პიროვნებებს შორის ახალი სახელები გამოჩნდა. გაქვს რაიმე ინფორმაცია სხვების არსებობის შესახებ?

გაკვირვებულმა ბილიმ ჯერ კოლს შეხედა, მერე — მალავისტას, მერე — ისევ კოლს.

— კოლამბუსში ერთმა ფსიქოლოგმა ვიღაც „ფილიპზე“ მკითხა.

კოლმა შენიშნა, რომ ბილის მუხლები ნერვიულად უცახცახებდა.

— სახელები: „შონი“, „მარკი“, ან „რობერტი“ რამეს გეუბნება? ბილი წამით დაფიქრდა, გონებით თითქოს სადღაც სხვაგან წავიდა. მერე ტუჩები აამოძრავა — შიგნით ვიღაცას ესაუბრებოდა. მერე წაილულლულა:

— თავში რაღაც ლაპარაკი გავიგე. არტური და ვიღაც კამათობდნენ. რაღაც სახელებს ამბობდნენ, არ ვიცი, ვის სახელებს, — ბილი ყოყმანით შეჩერდა, — არტურმა თქვა, რომ „შონი“ ჩამორჩენილი, ყოველ შემთხვევაში, ფსიქიკურად ჩამორჩენილი არ არის. ყრუ დაიბადა და განვითარებაში შეფერხებულიაო. თავის ასაკს არ შეესაბამებო... მას შემდეგ, რაც ექიმმა უიღბურმა გამაღვიძა და მანამდე, სანამ დავიძინებდი, შიგნით სულ ომია.

ტუჩები ისევ აუმოძრავდა და კოლმა თვალით ჯორჯს ანიშნა, კამერით უფრო მსხვილი ხედი აეღო, რომ ბილის გამომეტყველება აღებეჭდა.

— გინდათ ეს ვინმემ ახსნას? — ნერვიულად იკითხა ბილიმ.

— როგორ ფიქრობ, ვის უნდა დაველაპარაკო?

— ზუსტად არ ვიცი. ბოლო დროს ყველაფერი ძალიან აირია. არ ვიცი, ვისგან შეიძლება ინფორმაცია მიიღოთ.

— ბილი, შეგიძლია შენ თვითონ შუქიდან გახვიდე?

ბილი გაოცებული და ცოტა ნაწყენი ჩანდა, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს ექიმი კოლი აგდებდა.

— ბილი, არ გეწყინოს...

ბილის მზერა გაეყინა. რამდენიმე წამს გაშეშებული იჯდა. მერე მიმოიხედა, თითქოს ახლადგალავიძებული იყო, ეჭვითა და საფრთხის მოლოდინით აღსავსე. თითები დაატკაცუნა და ექიმს შეხედა:

— ტკვენ მტრები გაიჩინეტ, ეკიმო კოლ.

— ხომ ვერ ამიხსნიდი, რას გულისხმობ?

— ეხლა მე არ ვარ მტერი, არტური მტერი.

— რატომ?

— არასასურველებმა შემოაგციეს.

— „არასასურველები“ ვინ არიან?

— არტურმა ვინც გააჩუმა, იმიტომ რომ მაგატი პუნჯციები აგარ იკოლ საჩირო.

— თუ აღარ იყვნენ საჭიროები, ისევ აქ რატომ არიან?

რეიგენი დაჟინებით მიაშტერდა.

— რა გინდატ რომ ვკნატ — მოვკლათ?

— გასაგებია, — უთხრა კოლმა, — განაგრძე.

— მე არ მომცონს არტურის გადაცკვეტილებები. ისიც უნდა იკოს დამცველი, როგორც მე. მართო მე ვერ გავაკეტებ კველაპერი.

— ამ არასასურველებზე ცოტა მეტს ვერ მეტყობდი? აგრესიულები არიან? დანაშაული აქვთ ჩადენილი?

— აგრესიული მართო მე. და ისიც, როცა მიზეზია.

უცებ რეიგენმა საკუთარ ხელზე საათი შენიშნა და გაუკვირდა.

— ეს შენი საათია? — ჰკითხა კოლმა.

— აზრზე არა ვარ, საიდან გაჩდა. ალბატ ბილიმ იკიდა, რო არ ვუკურებდი. როგორც მე ვტკვი, დანარჩენები არ არიან კურდები, — რეიგენმა გაიღიმა, — არტური ვერ იტანს არასასურველებს და დანარჩენებს უტხრა, არ ახსენოტ ეგენი არც ერთი. უნდა იკოს საიდუმლო.

— ადრე რატომ არ გამოაშკარავდა, რომ სხვებიც არიან?

— არავის არ უკითხია.

— არასოდეს?

რეიგენმა მხრები აიჩეჩა.

– შეიძლება კიტხეს ბილი, ან დეივიდი, რომლებიც არ იცოდნენ, რომ ისინი არსებობენ. არასასურველები არ უნდა გამოჩენილიყვნენ, სანამ ნდობა ბოლომდე არ იკნებოდა.

– მაშინ მე რატომ მეჩვენნენ?

– არტური კარგავს დომინაცია. არასასურველები აჯანკებულები არიან და გადაცკვიტეს დაგანახონ ტავისი ტავი. კევინმა დაცერა სია. ეს ძალიან საჩირო ნაბიჯი. მაგრამ ცუდია ძალიან ბევრის ჩვენება, როცა ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე ნდობა. ჩვენ დავკარგეთ დაცვის მეკანიზმი. მე დამაპიცეს რომ არ მეტკვა მაგრამ ვერ მოვიტკუებოდი.

– ახლა რა მოხდება, რეიგენ?

– გავერთიანდებით. კველანი ერთად. სრული კონტროლი. ამნებია აგარ იკნება. მართო ერთი იკნება დომინანტი.

– ვინ იქნება?

– მასცავლებელი.

– „მასწავლებელი“ ვინ არის?

– ძალიან კარგი ადამიანი. მაგას აკვს კარგი და ცუდი, როგორც უმეტესობა ადამიანი. ბილის იცნობტ ისეთი, როგორიც ეხლა არის. ემოციები ეცვლება სიტუაციებით. მასცავლებელი არ ამბობს ტავისი სახელი, მაგრამ მე ვიცი, ვინ არის მასცავლებელი. ტუ იცი, ვინ არის მასცავლებელი, ჩვენზე კველაზე ალბატ იტკვიტ, რომ გიჟები ვართ.

– ეს რას ნიშნავს?

– ტკვენ შეგხვდატ მასწავლებლის ნაცილები, ეკიმო კოლ. მოდიტ ასე ვიტკვი. მტავარი კიტხვა არის, როგორ ვისცავლეთ კველამ კველაპერი, რაც ვიცით? – მასცავლებლისგან. მაგან ასცავლა ტომის ელექტრობა და გაცკევა. არტურს ასცავლა ბიოლოგია და პიზიკა და ხიშია. მე მასცავლა იარაგები და ადრენალინის

კონტროლი, რომ მივაგციო მაკსიმალური ძალა. კველას გვას-
ცავლა ხატვა და ხაზვა. მასცავლებელმა იცის კველაპერი.

— რეიგენ, ვინ არის „მასწავლებელი“?

— მასცავლებელი არის გაერთიანებული ბილი. მაგრამ ბილიმ
არ იცის.

— შენ რატომ ხარ ახლა შუქზე გამოსული, რეიგენ, შენ რატომ
მიყვები ამას?

— იმიტომ, რომ არტური არის ნაცკენი. მაგან დაკარგა კონ-
ტროლი და კვეინს და პილიპს მიცა საშუალება, გამოუშვან არა-
სასურველები. არტური ჩკვიანი არის, მაგრამ ისიც ადამიანი. ახ-
ლა შიგნიტ აჯანკება არის.

კოლმა მალავისტას ანიშნა, სკამი უფრო ახლოს მოეწია.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნები, მალავისტა რომ შემოგვიერ-
ოდეს?

— ბილი ნერვიულობდა, მაგრამ მე არ მეშინია, — რეიგენმა
მიიხედ-მოიხედა, დახვეულ მავთულებსა და ელექტროაღჭურვი-
ლობას შეხედა და თავი გაიქნია, — ეს გავს ტომის სატამაშო ოტა-
ხი.

— მასწავლებლის შესახებ შეგიძლია მესაუბრო? — ჰკითხა მა-
ლავისტამ.

— მოდიტ ასე ვიტკვი. ბილი როცა პატარა იყო, ვუნდერკინდი
ბავშვი იყო. ის იყო კველა ჩვენ გაერთიანებული. ეხლა ეს არ
იცის.

— მაშინ თქვენ რისთვისღა სჭირდებოდით? — ჰკითხა მალა-
ვისტამ.

— მე პიზიკური უსაპრტხოებისტვის შემკმნა.

— მაგრამ შენ ხომ იცი, რომ მხოლოდ და მხოლოდ ბილის წარ-
მოსახვის ნაყოფი ხარ.

რეიგენი სკამის ზურგს მიეყრდნო და გაიღიმა.

– მიტხრეს. მე მივიგე, რომ ბილის ცარმოსახვის ნაკოპი ვარ. ბილიმ ეს ვერ მიიგო. ბილის ბევრი რამე არ გამოსდის, ამიტომ არიან არასასურველები.

– როგორ ფიქრობ, ბილიმ უნდა იცოდეს, რომ მასწავლებელია? – ჰკითხა მაღავისტამ.

– ინერვიულებს რომ გაიგოს. მაგრამ მასწავლებელს რომ დაელაპარაკებიტ, ბილის დაელაპარაკებიტ – ერთ პიროვნებაში კველას, – რეიგენმა საათს დახედა, – რა ცესია ბილის პულს მისი ცოდნის გარეშე რომ ხარდჟავენ. მაგრამ ესე გაიგებს რამდენი დროს ხარდჟავს.

კოლმა უთხრა:

– რეიგენ, როგორ ფიქრობ, არ დადგა დრო, რომ რეალობას ყველამ შეხედოთ თვალებში და თქვენს პრობლემებზე იმუშაოთ?

– მე არ მაკვს პრობლემა. მე ვარ პრობლემის ნაცილი.

– როგორ ფიქრობ, ბილის რა რეაქცია ექნებოდა, რომ გაეგო, რომ მასწავლებელია?

– განადგურდება ტუ გაიგებს.

თერაპიის მომდევნო სეანსზე რეიგენმა ექიმ კოლს უთხრა, რომ ის და არტური ხანგრძლივი და ცხარე დისკუსიის შემდეგ, როგორც იქნა, მორიგდნენ და გადაწყვიტეს, ბილის უთხრან, რომ მასწავლებელია. არტური თავიდან ამბობდა, რომ ამით გამოწვეული შოკი ბილისთვის მეტისმეტი იქნებოდა და თუ გაიგებდა, ვერ გადაიტანდა და გაგიჟდებოდა. ახლა ორივე თანხმდებოდა იმაზე, რომ ბილის გამოჯანმრთელებისთვის აუცილებელი იყო, სიმართლე გაეგო. კოლი გახარებული იყო გადაწყვეტილებით. რეიგენის მონათხრობი მისი და არტურის კონფლიქტსა და არასასურველთა აჯანყებაზე მიუთითებდა, რომ ყველაფერი კულმინაციისკენ მიდიოდა. კოლი ფიქრობდა, რომ დადგა დრო, ბილის დანარჩენები დაენახა და მიმხვდარიყო, რომ თავად და-

აგროვა მთელი ცოდნა, შეიძინა ყველა უნარი და გადასცა დანარჩენებს. იმის ცოდნა, რომ მასწავლებელი თვითონ იყო, ძალას შემატებდა. კოლმა ბილისთან საუბარი ითხოვა. როცა აკანკალებული მუხლები დაინახა და მიხვდა, ვის ესაუბრებოდა, არტურისა და რეიგენის გადაწყვეტილება გააცნო. როცა ბილიმ თავი დაუქნია და უთხრა, რომ მზად იყო, კოლმა სახეზე შიშნარევი სიხარული შეატყო. ექიმმა ჩანაწერი აპარატში ჩადო, ხმა დაარეგულირა და ისე დაჯდა, რომ პაციენტის რეაქციას დაკვირვებოდა. ბილი თავის თავს ეკრანზე მორცხვად უყურებდა. როცა მოცახცახე მუხლები დაინახა და შეამჩნია, რომ ახლაც ასე ცახცახებდა, მუხლებზე ხელები დაიწყო და კანკალის შეჩერება სცადა. მონიტორზე მისი ტუჩების ნელი მოძრაობა რომ გამოჩნდა, ხელი პირზე აიფარა. თვალები გაფართოებოდა, გაოგნებული იყო. მერე რეიგენის სახე გამოჩნდა, რომელიც ზუსტად მასავით გამოიყურებოდა და მერე მისი ხმა გაისმა — პირველად არა მისსავე თავში, არამედ — ეკრანზე. და სიტყვები:

— მტრები გამოგიჩნდატ, ეკიმო კოლ.

ამ წუთამდე ბილის მხოლოდ სხვებისგან სმენოდა, რომ მრავლობითი პიროვნება იყო. აქამდე მხოლოდ ის იცოდა, რომ დროდადრო ხმები ესმოდა და დრო ეკარგებოდა. რასაც ექიმები ეუბნებოდნენ, სჯეროდა, მაგრამ ეს უშუალოდ არასოდეს უგრძნია. ახლა კი პირველად დაინახა, პირველად გაიგონა. შიშნარევი ალტაცებით უყურებდა, როგორ საუბრობდა რეიგენი ფურცელზე ჩამოწერილი ოცდაოთხი სახელისა და არასასურველების შესახებ. როცა რეიგენმა მასწავლებელი ახსენა, რომელმაც ყველა პიროვნებას ასწავლა ყველაფერი, რაც იცოდნენ, პირი დაალო. მასწავლებელი ვინლა იყო?

— მასწავლებელი გამთლიანებული ბილია. ბილიმ არ იცის, რომ მასწავლებელია, — თქვა რეიგენმა ეკრანიდან.

კოლი უყურებდა, როგორ მოიჩვარა და მოიღვენთა ბილი. ოფლი ასხამდა.

ბილი მიკროტალღური თერაპიის ოთახიდან გამოვიდა და მესამე სართულზე ამავე კიბეს აუყვა. ხალხი მიდი-მოდიოდა, ესალმებოდა, მაგრამ ის არ პასუხობდა. მიმის თითქმის ცარიელი მისაღებს რომ გასცდა, მუხლები მოეკვეთა და აცახცახებული, სავარძელში ჩაენარცხა.

მასწავლებელი იყო.

ეს მას ჰქონდა განვითარებული ინტელექტი, მხატვრობის ნიჭი, ძალა და გაქცევის უნარი. სცადა, ეს ყველაფერი გაეაზრებინა. თავიდან მხოლოდ ძირითადი ბილი იყო — ის, ვინც დაიბადა და საკუთარი დაბადების მოწმობაც ჰქონდა. მერე ბევრ ნაწილად დაიშალა, მაგრამ მთელი ამ დროის მანძილზე ამ ნაწილებს მიღმა ვიღაც არსებობდა — ვიღაც უსახელო, რომელსაც რეიგენი „მასწავლებელს“ უწოდებდა. უხილავმა, დანაწევრებულმა, სულის მსგავსმა რაღაცამ, რომელსაც „მასწავლებელი“ ერქვა, დანარჩენები შექმნა — ერთსა და იმავე დროს, ბავშვებიცა და მონსტრებიც — და, ამგვარად, მათ დანაშაულზე პასუხისმგებლობა მას და მხოლოდ მას ეკისრებოდა. ოცდაოთხი ადამიანი რომ გაგერთიანებინა, მასწავლებელს მიიღებდი. ეს მთლიანი ბილი იქნებოდა. ნეტავ რას იგრძნობდა? მიხვდებოდა კი? ექიმი კოლი მასწავლებელს უნდა შეხვედროდა. ეს თერაპიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მასწავლებელი მწერალსაც სჭირდებოდა, რომ ყველაფერი გაეგო... ბილიმ თვალები დახუჭა და იგრძნო, როგორ დაუარა უცნაურმა სითბომ ფეხებიდან მკერდისაკენ, მკლავებიდან — მხრებისა და თავისაკენ. იგრძნო, როგორ ცახცახებდა, როგორ უცემდა გული. ძირს დაიხედა და მკვეთრი, თეთრი, თვალისმომჭრელი შუქი დაინახა. იყურებოდა დაბლა და ხვდებოდა, რომ შუქზე ისინი უნდა გამოსულიყვნენ, ყველანი ერთ-

თად. მერე ისინი შუქზე იყვნენ, თვითონაც შუქზე იყო... და შუქში... და შუქის მიღმა... თითქოს უფსკრულში ვარდებოდა... შინაგან უფსკრულში მიქროდა... ყველანი ერთად მილივლივებდნენ... მისრიალებდნენ... ერთმანეთში იხლართებოდნენ...

მერე მეორე მხარეს იყო. მილიგანმა ხელი ხელს მოუჭირა და წინ გაიშვირა, რომ დაეხედა. ახლა იცოდა, ადრე მთლიანად შერწყმული რატომ არასდროს ყოფილა. სხვების არსებობა აქამდე ჯერ კიდევ არ იყო გამოაშკარავებული. ყველა დანარჩენი, ვინც შექმნა — მათი ყველა მოქმედება, აზრი, მოგონება ადრეული ბავშვობიდან ამ წუთამდე — ყველაფერი დაუბრუნდა. ახლა წარმატებულების ამბავიც იცოდა და წარუმატებლებისაც — არასასურველების, რომელთა გაკონტროლებასა და დამალვას ამაოდ ცდილობდა არტური. ახლა უკვე იცოდა თავისი ისტორია — მათი აბსურდულობა, მათი ტრაგედიები, მათი გაუხსნელი დანაშაულები. ისიც იცოდა, რომ თუ რაღაცას გაიფიქრებდა, გაიხსენებდა ან მის შესახებ მწერალს მოუყვებოდა, ამას დანარჩენი ოცდასამიცი შეიტყობდა. მათი საერთო ცხოვრების ისტორიასაც გაიგებდნენ. და როცა გაიგებდნენ და ამნებია გაქრებოდა, უკვე ველარასდროს იქნებოდნენ ისეთები, როგორებიც იყვნენ. ამან სევდა მოჰგვარა, თითქოს რაღაც დაჰკარგოდა. მაგრამ რამდენი ხნით? უეცრად იგრძნო, რომ დერეფანში ვიღაც მოდიოდა და მიბრუნდა, რომ დაენახა, ვინ იყო. იცოდა, რომ მისი ნაწილები ტანმორჩილ ექიმს უკვე შეხვედროდნენ. ექიმმა კოლმა მიმის მისაღები გამოიარა, მუდღების ოთახს გაუსწორდა და დაინახა. თავიდან იფიქრა, რომ ტელევიზორის ოთახში მჯდარი ვაცი ბილი იყო. მაგრამ როცა პაციენტი ადგა და შემობრუნდა, კოლმა იცოდა, რომ ეს არც ბილი იყო და არც რომელიმე სხვა პიროვნება, ვისაც აქამდე შეხვედროდა. თავისუფალი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ისეთი გამჭოლი მზერა, რომ ფარ-ხმალს დაგაყრევინებდა. კოლი მიხვდა, რომ რა-

ღაც მოხდა. გრძნობდა, მნიშვნელოვანი იყო პაციენტისთვის ენ-
ვენებინა, რომ მისი ექიმი საკმარისად მგრძნობიარე იყო და შე-
კითხვებისა და თქმის გარეშეც ყველაფერს მიმხვდარიყო. უნდა
გაერისკა. კოლმა გულხელი დაიკრიფა და პირდაპირ გამჭოლ
თვალეებში შეხედა.

— მასწავლებელი ხარ, არა? გელოდებოდი.

მასწავლებელმა დახედა და თავი დაუქნია. მის ოდნავ შესამ-
ჩნევ ღიმილში ძალა იგრძნობოდა.

— ყველა დამცავი შრე შემომაცალეთ, ექიმო კოლ.

— კარგად იცი, რომ ეს მე არ გამიკეთებია. უკვე დრო იყო.

— ძველებურად აღარაფერი იქნება.

— გინდა, რომ ყველაფერი უცვლელად დარჩეს?

— არა მგონია.

— ახლა შეგეძლება, მწერალს მთელი ისტორია მოუყვე. რა
არის ყველაზე ძველი, რაც შეგიძლია გაიხსენო?

მასწავლებელმა დინჯად შეხედა.

— ყველაფერი მახსოვს. მახსოვს, როგორ მიიყვანეს ერთი
თვის ბილი ფლორიდის საავადმყოფოში — ყელში რაღაც გაეჩხი-
რა და კინალამ მოკვდა. მისი ნამდვილი მამა მახსოვს, ჯონი მო-
რისონი, ებრაელი კომიკოსი და კონფერანსიე, რომელმაც თავი
მოიკლა. მახსოვს ბილის პირველი წარმოსახვითი მეგობარი.

კოლმა თავი ღიმილით დაუქნია და ხელი მკლავზე მოუთათუ-
ნა.

— კარგია, რომ აქ გვყავხარ, მასწავლებელო. ჩვენ ყველას
ბევრი რამ გვაქვს შენგან სასწავლი.

წიგნი მეორე - როგორ გახდა მასწავლებელი

თავი მეშვიდე

1

დღივით სენდსმა 1955 წლის მარტი გაიხსენა — როგორ ეჭირა ხელში ერთი თვის შვილი, ცოტა ხნით ადრე წამალი რომ მისცა. უეცრად შეამჩნია, ბავშვს სახე როგორ წამოუჭარხლდა და ტუჩების ირგვლივ კანი გაუთეთრდა.

— ჯონი! — იკივლა ქალმა, — ბილი საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ!

ჯონი მორისონი სამზარეულოში შემოვარდა.

— ვერაფრით გადავაცლაპე, სულ მალლა ამოდის. ნახე, რას უშვრება ეს წამალი, — უთხრა დღივით.

ჯონიმ მოახლე მიმის დაუყვირა, პატარა ჯიმისთვის თვალყური ედევნებინა და მანქანის დასაქოქად გავარდა. დღივითი ჩვილი ბილით ხელში წინ ჩაუჯდა და მაიამი ბიჩის მაუნტ სინაის საავადმყოფოსკენ გაქანდნენ. სასწრაფოს ოთახში ახალგაზრდა სტაჟიორმა ბავშვს შეხედა და თქვა:

— დაგაგვიანდათ, ქალბატონო.

— ცოცხალია! — დაუყვირა მან, — ბავშვს გაუკეთე რამე, შე ძალიშვილო!

დედის სიტყვებით გამოცოცხლებულმა სტაჟიორმა ბავშვი აიყვანა და წაილულლულა:

— ჩვენ... ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რაც შეგვიძლია.

მიმღებში მედდამ განაცხადის ფორმა შეავსო.

– ბავშვის სახელი და მისამართი?

– უილიამ სტენლი მორისონი, – უთხრა ჯონიმ, – 1311 ჩრდილო-აღმოსავლეთი, 154-ე ქუჩა. მაიამის ჩრდილოეთი სანაპირო.

– რელიგია?

ჯონი გაჩუმდა და დოროთის გადახედა. დოროთიმ იცოდა, რომ ჯონი „იუდეველის“ თქმას აპირებდა, მაგრამ მისი გამომეტყველება რომ დაინახა, შეეცოცმანდა.

– კათოლიკე, – თქვა დოროთიმ.

ჯონი მორისონი გატრიალდა და მოსაცდელისკენ წავიდა. დოროთი უკან გაჰყვა, პლასტმასის ტახტზე დაჯდა და უყურა, მისი ქმარი ღერს ღერზე როგორ ეწეოდა. ხვდებოდა, რომ ჯონი ჯერ კიდევ ეჭვობდა, ბავშვი მართლა მისი იყო თუ არა. ბილი არ ჰგავდა შავთმიან, შავ-შავ ჯიმს, თითქმის წელიწადნახევრით ადრე რომ დაიბადა. მაშინ ჯონის ეს ამბავი ისე გაუხარდა, რომ ყოფილი ცოლის მონახვასა და განქორწინებაზე ალაპარაკდა, მაგრამ ასე არ მოქცეულა. თუმცა პალმიან ებოში მდგარი ვარდისფრად შელესილი სახლი მაინც იყიდა, რადგან ამბობდა, შოუბიზნესის ხალხისთვის მყუდრო, შინაური ცხოვრება მნიშვნელოვანიაო. ეს ოჯახური ცხოვრება დოროთისთვის ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე ყოფილ ქმართან, დიკ ჯონასთან ოჰაიოში, სირკლვილში გატარებული დრო. მაგრამ ხვდებოდა, რომ ჯონის ახლა შავი დღე ედგა. მისი ხუმრობები ვეღარ საღდებოდა. მოთხოვნა ახლა ახალგაზრდა კომიკოსებზე იყო და ჯონი ნელ-ნელა ჩრდილში გადადიოდა. თავის დროზე მაღალი დონის წამყვანი და მუსიკოსი იყო, ახლა კი, სცენაზე მუშაობის ნაცვლად, თამაშობდა და სვამდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ „საწყის დობას“ ღამის კლუბში პირველი გამოსვლის წინ იღებდა და ნელ-ნელა იმდენს უმატებდა, რომ ბოლო გამოსვლისას ფეხზე ვეღარ იდგა. თავს „ნახევრად მუსი-

კოსად, ნახევრად ოხუნჯად“ აცხადებდა, ახლა კი ისიც შეეძლო დაემატებინა, რომ ერთი მეხუთედი ვისკი „ბურბონისგან“ შედგებოდა. ეს ის ჯონი მორისონი აღარ იყო, ვოკალურ გამოსვლებს რომ გეგმავდა და სახლში სიმშვიდესა და სიმყუდროვეზე ზრუნავდა, რომ „თავისი ოცდაორი წლის ლოყაწითელი ოჰაიოელი ფერმერი გოგო დაეცვა“. ეს ის ჯონი აღარ იყო, რომლის გვერდზეც ასე დაცულად გრძნობდა თავს და ვისი იმედიცაა მორიგ აბეზარ არშიყს ასე მოიგერიებდა, „ფრთხილად იყავი, ჯონი მორისონის გოგო ვარო“.

ახლა ფიქრობდა, ოცდათექვსმეტი წლის, ცალი თვალით ბრმა, ჯმუხი, ბოქსიორის აღნაგობის ჯონი მამად უფრო შემეფერებო.

— ნუ ეწევი, რა, ამდენს, — უთხრა დოროთიმ.

ჯონიმ სიგარეტი საფერფლეში ჩაწვა და ხელები ჯიბეებში ჩაიწყო.

— ამაღამ შოუბე გამოსვლის თავი არ მაქვს.

— ამ თვეში უკვე ძალიან ბევრი გააცდინე, ჯონი...

სიტყვა ჯონის ჯიქურმა მზერამ გააწყვეტინა. მან რაღაცის სათქმელად პირი გააღო და დოროთი, ის-ის იყო, უკმეხობის მოსასმენად შეემზადა, რომ მიმღებში ექიმი შემოვიდა.

— ბატონო მორისონ, ქალბატონო მორისონ, ვფიქრობ, თქვენი ბავშვი გამომჯობინდება. ყელში არსებული წანაზარდი საყლაპავს უხერგავს, მაგრამ მისი კონტროლი შეგვიძლია. მდგომარეობა სტაბილურია. შეგიძლიათ შინ წაბრძანდეთ. თუკი რაიმე შეიცვლება, დაგიკავშირდებით.

ბილი გადარჩა. ერთი წელი მაიამის საავადმყოფოებში დაარბენინებდნენ. როცა დოროთი და ჯონი ქალაქიდან გადიოდნენ, ბილის და ჯიმბოს მიმისთან ან ბავშვთა მზრუნველობის ცენტრში ტოვებდნენ. დოროთი ბილის დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ მესამედ დაფეხმძიმდა. ჯონიმ შესთავაზა, კუბაზე წავიდეთ და აბორტი იქ გაიკეთეო. დოროთიმ უარი უთხრა. წლების მერე შვილებს მოუყვა, რომ ამას ვერ ჩაიდენდა, რადგან მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა. ქეთი ჯო ახალი წლის ღამეს, 1956 წლის 31 დეკემბერს დაიბადა. სამედიცინო მომსახურების ხარჯებმა ჯონის დიდი დარტყმა მიაყენა. მეტს სესხულობდა, მეტს თამაშობდა, მეტს სვამდა და ბოლოს დოროთიმ გაიგო, რომ ვალმა ექვსი ათას დოლარს მიაღწია. დოროთი ეჩხუბა. ჯონიმ სცემა. 1956 წლის შემოდგომაზე ჯონი მწვავე ალკოჰოლიზმისა და დეპრესიის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ 19 ოქტომბერს, ჯიმბოს მეხუთე დაბადების დღის წინა დღეს შინ გაუშვეს. იმ ღამით შინ გვიან დაბრუნებულ დოროთის ჯონი მაგიდაზე გართხმული დახვდა. იატაკზე ვისკის სანახევროდ დაცლილი ბოთლი და ძილის წამლის ცარიელი შუშა ეყარა.

მასწავლებელს ახსოვდა, რომ ბილის პირველი შინაგანი მეგობარი უსახელო იყო. ერთხელ, მის მეოთხე დაბადების დღემდე ოთხი თვით ადრე, როცა ჯიმბო თამაშზე უარს ეუბნებოდა, ქეთი ჯერ ძალიან პატარა იყო, მამა კი წიგნის კითხვით იყო გართული, ბილი მარტო იჯდა სათამაშოებით სავსე ოთახში, თავს მარტოსულად გრძნობდა და მოწყენილი იყო. მერე პატარა, შავთმიანი და მუქთვალეა ბიჭი დაინახა, რომელიც მის პირდაპირ იჯდა და უყურებდა. ბილიმ სათამაშო ჯარისკაცი გაუწოდა. ბიჭმა აიღო, საბარგო მანქანაში ჩასვა და გაატარ-გამოატარა. ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ, მაგრამ სულ მარტო ყოფნას მაინც ეს სჯობდა. იმ ღამით ბილიმ და უსახელო პატარა ბიჭმა დაინახეს, რომ მამიკო წამლებს ოთახში შევიდა და აბებიანი ბოთლი აიღო. მამიკოს სახე სარკეში ირეკლებოდა. ყვითელი კაფსულები ბოთლიდან ხელისგულზე გადმოიყარა და გადაყლაპა. მერე მამა მაგიდას მიუჯდა, ბილი თავის პატარა საწოლში ჩაწვა და უსახელო პატარა ბიჭი გაქრა. შუალამისას ბილი დედის კივილმა გააღვიძა. დაინახა, როგორ მივარდა ტელეფონს და როგორ გამოიძახა პოლიცია. ბილი, რომელიც ჯიმბოსთან ერთად ფანჯრიდან იყურებოდა, ხედავდა, როგორ გაშალეს საკაცე და როგორ წაიყვანეს სირენებიანმა მანქანებმა მამიკო. მომდევნო დღეებში მამიკო სათამაშოდ აღარ მოდიოდა, დედიკო სულ გაბრაზებული და დაკავებული იყო, ჯიმბო სადღაც გაქრა, ქეთი კი ძალიან პატარა იყო. ბილის ქეთისთან უნდოდა თამაში, უნდოდა დალაპარაკებოდა, მაგრამ დედიკომ თქვა, ქეთი ძალიან პატარაა და ბილი ძალიან, ძალიან ფრთხილად უნდა მოექცესო. როცა თავი ისევ მარტოდ იგრძნო და მოიწყინა, თვალეები დახუჭა და დაიძინა. „ქრისტიანმა“

თვალეები გაახილა და ქეთის საწოლთან მივიდა. როცა ქეთიმ ტირილი დაიწყო, ქრისტინი მისი სახის გამომეტყველებით მიხვდა, რა უნდოდა და ლამაზ ქალბატონთან მივიდა, რომ ეთქვა, ქეთის შიამო.

— გმადლობ, ბილი, — უთხრა დოროთიმ, — კარგი ბიჭი ხარ. დას ყურადღება მიაქციე, მე ვახშამს მოვუმზადებ. მერე მოვალ და, სანამ სამსახურში წავალ, ძილის წინ ზღაპარს წაგიკითხავ.

ქრისტინმა არ იცოდა, ვინ იყო ბილი, ან ასე რატომ ეძახდნენ, მაგრამ უხაროდა, რომ ქეთისთან თამაში შეეძლო. წითელი ფანქარი აიღო, საწოლთან მივიდა და ქეთისთვის კედელზე თოჯინა დახატა. ქრისტინმა ნაბიჯების ხმა გაიგო. მიიხედა და დაინახა, რომ ლამაზი ქალბატონი კედელზე მიხატულ თოჯინას და წითელ ფანქარს უყურებდა, რომელიც ქრისტინს ხელში ეჭირა.

— არ შეიძლება! არა! არა! — დაიყვირა დოროთიმ.

ქრისტინმა თვალეები დახუჭა და გაქრა.

ბილიმ თვალეები გაახილა და დედის განრისხებული სახე დაინახა. დოროთიმ ხელი რომ ჩაავლო და შეანჯღრია, შეეშინდა და ატირდა. არ იცოდა, რატომ სჯიდნენ. მერე კედელზე მიჯღაბნილი ნახატი დაინახა და გაუკვირდა, ეს საძაგლობა ვინ ჩაიდინაო.

— მე არა! — ტიროდა ბილი.

— შენ დახატე ეს კედელზე! — უყვიროდა დოროთი.

მან თავი გაიქნია.

— ბილიმ არა, ქეთიმ ქნა, — და თითი საწოლისკენ გაიშვირა.

— ნუ იტყუები! — უთხრა დოროთიმ და საჩვენებელი თითი პატარა მკერდზე მიაბჯინა, — ტყუილი ცუდია. მატყუარები ჯოჯოხეთში ხვდებიან. ახლა შენს ოთახში წადი.

ჯიმბო არ ელაპარაკებოდა. ბილი ფიქრობდა, ის ნახატი ჯიმბომ ხომ არ დახატა კედელზეო. ცოტა ხანს ტიროდა, მერე თვალეები დახუჭა და დაიძინა...

ქრისტიანმა თვალეები რომ გაახილა, ოთახის მეორე მხარეს მძინარე უფროსი ბიჭი დაინახა. მიმოიხედა, თოჯინას ეძებდა, რომ ეთამაშა, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ ჯარისკაცები და სატვირთო მანქანები იყო. ეს სათამაშოები არ უნდოდა. თოჯინები უნდოდა, საწოვარიანი ბოთლები და ქეთის „ფეთხუმი ენი“. ოთახიდან გაიპარა, ქეთის საწოლს ეძებდა — ოთახებში იჭყიტებოდა, სანამ არ იპოვა. ქეთის ეძინა, ქრისტიანმა „ფეთხუმი ენი“ აიღო და ლოგინში დაბრუნდა. დილით ბილი ქეთის თოჯინის აღებისათვის დასაჯეს. დოროთიმ თოჯინა საწოლში უპოვა და იქამდე ანჯღრევდა, სანამ ლამის თავი არ მოსძვრა.

— არ გაბედო მეორედ ამის გაკეთება! ეს ქეთის თოჯინაა! — უყვირა მან.

ქრისტიანი მიხვდა, რომ როცა ბილის დედა იქვე იყო, ქეთისთან თამაშისას ფრთხილად უნდა ყოფილიყო. თავიდან იფიქრა, ბილი ალბათ მეორე საწოლში რომ წევს, ის ბიჭიან, მაგრამ იმას ყველა ჯიბოს ეძახდა და ქრისტიანმა იცოდა, რომ ის უფროსი ძმა იყო. თვითონ ქრისტიანი ერქვა, მაგრამ რადგან ყველა „ბილის“ ეძახდა, ისიც პასუხობდა. ქეთი ძალიან უყვარდა და გამუდმებით ეთამაშებოდა, სიტყვებს ასწავლიდა, უყურებდა, როგორ სწავლობდა სიარულს. ხვდებოდა, როდის შიოდა და იცოდა, რა საჭმელი უყვარდა. ხვდებოდა, როცა ქეთის რამე სტკიოდა და დოროთის ეუბნებოდა. ქეთი რომ წამოიზარდა, სახლობანას თამაშობდნენ ხოლმე და, თუ ქეთის დედიკო სახლში არ იყო, მისი ტანსაცმლის ჩაცმა უყვარდათ. დოროთის კაბებსა და ფეხსაცმელებს იცვამდნენ, ქუდებს იხურავდნენ და ვითომ ლამის კლუბში გამოდიოდნენ. ყველაზე მეტად ქრისტიანს ქეთისთვის ნახატების ხატვა უყვარდა, მაგრამ კედლებზე აღარ ხატავდა. დოროთის მისთვის უამრავი ქაღალდი და ფანქარი მოჰქონდა და ყველა აღნიშნავდა, რა კარგად ხატავდა ბილი. ჯონი საავადმყოფოდან

რომ დაბრუნდა, დოროთი ღელავდა. როცა ბავშვებთან თამაშობდა ან წარმოდგენისთვის ახალ სიმღერებს და ნომრებს ამზადებდა, კაცი იფიქრებდა, სულ მთლად გამოჯანმრთელდაო, მაგრამ საკმარისი იყო, დოროთი შორს დაეგულებინა, რომ მაშინვე ბუკმეკერებთან იწყებდა რეკვას. დოროთი შეეცადა, დაემღევი-ნებინა, მაგრამ ჯონიმ უყვირა და სცემა. საცხოვრებლად ცალკე, მოტელში გადავიდა. არც შობა გაუტარებია ბავშვებთან ერთად და არც ქეთის მესამე დაბადების დღეს დასწრებია ახალი წლის ღამეს.

18 იანვარს დოროთის პოლიციის განყოფილებიდან დაურეკეს და გააღვიძეს. ჯონის ცხედარი მოტელთან მდგარ მის ფურგონში ეპოვათ. გამოსაბოლქვ მილში შლანგი შეეერთებინა. მისი მეორე ბოლო უკანა ფანჯრიდან დახურულ ძარაში შედიოდა. სიკვდილის წინ რვაგვერდიანი წერილი დაეტოვებინა, სადაც დოროთის აძაგებდა და ინსტრუქციას აძლევდა, დაზღვევის ფულიდან ვალები როგორ დაეფარა. როცა დოროთიმ ბავშვებს უთხრა, ჯონი სამოთხეში წავიდაო, ჯიმბო და ბილი ფანჯარასთან მიცვივდნენ და ცაში აიხედეს. მეორე კვირას მევალეებმა დოროთის უთხრეს, თუ არ გინდა, შენ და შენს შვილებს რამე დაგემართოთ, გირჩევნია, ჯონის ვალად დარჩენილი ექვსი ათასი გაგვისტუმროს. დოროთიმ შვილებს ხელი მოჰკიდა და გაიქცა — ჯერ თავის დასთან, ჯო ენ ბასისთან, ლარგოში, მერე კი — შინ, სირკლსვილში, ოჰაიოში. იქ ყოფილ ქმარს, დიკ ჯონასს ისევ შეხვდა. რამდენიმე შეხვედრისა და ჯონასის დაპირების შემდეგ, რომ ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა, ისევ ცოლად გაჰყვა.

ბილი ხუთის ხდებოდა, როცა ერთ დილას სამზარეულოში შევიდა და ჭურჭლის ტილოს ასაღებად თითის წვერებზე აიწია. უცებ ტილოზე მდგარი ნამცხვრის ჯამი გადმოვარდა და დაიმსხვრა. ბილი ცდილობდა, ნამტვრევები შეეერთებინა, მაგრამ ამაოდ. ფეხის ხმა რომ გაიგო, აკანკალდა. არ უნდოდა, დაესაჯათ. არ უნდოდა, რამე ტკივილი მიეყენებინათ. იცოდა, რომ რაღაც დააშავა, მაგრამ არ უნდოდა სცოდნოდა, მერე რა მოხდებოდა, არ უნდოდა გაეგონა, როგორ უკიოდა დედიკო. თვალები დახუჭა და დაიძინა.

შონმა თვალები გაახილა და მიმოიხედა. იატაკზე დამსხვრეული ჯამი დაინახა და მიაშტერდა. რა იყო? რატომ იყო დამსხვრეული? აქ რატომ იყო?

ლამაზი ქალი შემოვიდა, შეხედა და ტუჩები აამოძრავა, მაგრამ შონს ხმა არ ესმოდა. ქალმა შეანჯღრია, მერე კიდევ და კიდევ, საჩვენებელი თითი მკერდზე მიაბჯინა, პირს ისევ ამოძრავებდა. შონს წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ უჯავრდებოდა ის ქალი. მან ოთახისკენ წაათრია, შეაგდო და კარი მიუხურა. იჯდა იქ სამარისებურ სიჩუმეში და ფიქრობდა, ახლა რა მოხდებაო. მერე დაეძინა. როცა ბილიმ თვალები გაახილა, მოიკუნტა — ელოდა, ჯამის გატეხვისთვის მომხვდებო, მაგრამ მისთვის არავის დაურტყამს. თავის ოთახში როგორ მოხვდა? უკვე ეჩვეოდა, რომ ხან სად ამოყოფდა ხოლმე თავს, ხან — სად. დახუჭავდა თვალებს და სხვაგან, სხვა დროში აღმოჩნდებოდა ხოლმე. ეგონა, ყველას ასე ემართებაო. აქამდე სულ „მატყუარას“ ეძახდნენ და რაც არ ჩაუდენია, იმისთვის სჯიდნენ, ახლა კი პირველად მოხდა ისე, რომ რაღაც დააშავა, გაელვიძა და აღმოაჩინა, რომ არაფერი და-

მართნია. ფიქრობდა, ნეტავ როდის დამსჯის დედისკო გატეხილი ჯამისთვისო. ნერვიულობდა. მთელი დღე მარტომ გაატარა ოთახში. ნატრობდა, ნეტა ჯიბბო დაბრუნდეს სკოლიდან ან ის პატარა შავთმიანი ბიჭი გამოჩნდეს, ჯარისკაცებით და საბარგო მანქანებით რომ მეთამაშებოდანო. მაგრამ არაფერი მომხდარა. უცნაური ის იყო, რომ თავი მარტოდ მეტად აღარ უგრძნია. როგორც კი მარტობას ან მოწყენილობას გრძნობდა, უბრალოდ თვალებს ხუჭავდა. როცა ახელდა, უკვე სხვა ადგილას იყო და ყველაფერი სხვანაირი ჩანდა. ზოგჯერ, თვალებს რომ ხუჭავდა, გარეთ მზე კაშკაშებდა და როცა ახელდა, უკვე ღამე იყო, ზოგჯერ — პირიქით. სხვა დროს ქეთის ან ჯიბბოსთან თამაშის დროს თვალს დაახამხამებდა და უცებ იატაკზე მარტო აღმოჩნდებოდა ხოლმე. ზოგჯერ, როცა ასე ხდებოდა, ხელებზე წითელი კვალი ეტყობოდა ან საჯდომი სტკიოდა, თითქოს ვიღაცას გაეტყიპა. მაგრამ მეტად აღარავის უცემია ან შეუხჯღრევია. უხაროდა, რომ აღარ სჯიდნენ.

დღორითი დიკ ჯონასთან ერთ წელიწადს დარჩა. მერე სიტუაცია მეტისმეტად აუტანელი გახდა და მეორედ მიატოვა. ოჯახს ლანკასტერის კლუბში მიმტანობითა და სიმღერით არჩენდა. ბავშვები სირკლვილის წმინდა იოსების სკოლაში შეიყვანა. ბილი პირველ კლასში კარგად სწავლობდა. მონაბვნები ხატვის ნიჭს უქებდნენ. სწრაფად ხატავდა და შუქ-ჩრდილებს ექვსი წლის ბავშვისათვის უჩვეულო ოსტატობით იყენებდა. მაგრამ მეორე კლასში მონაბონმა ჯენ სტივენსმა გადაწყვიტა ეიძულებინა, მხოლოდ მარჯვენა ხელით ეწერა და ეხატა.

— მარცხენა ხელში ეშმაკი გყავს შეჩენილი, უილიამ. უნდა განვდევნოთ.

ბილიმ დაინახა, როგორ აიღო მონაბონმა სახაზავი და თვალები დახუჭა.

შონმა მიმოიხედა და შავკაბიანი, თეთრსაყელოიანი ქალი დაინახა. სახაზავი ეჭირა და უახლოვდებოდა. იცოდა, რომ რაღაცისთვის უნდა დაესაჯათ, მაგრამ რისთვის? მონაბონი პირს ამოძრავებდა, მაგრამ შონს არ ესმოდა, რას ამბობდა. მხოლოდ მოიკუნტა და მის წითელ, ბრაზიან სახეს მიაშტერდა. მან ხელი მარცხენა ხელში ჩაავლო, სახაზავი ასწია და მის ხელისგულს რამდენჯერმე უხმოდ დაჰკრა. შონს ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა და ისევ უკვირდა, აქ რატომ იყო და რატომ სჯიდნენ ისეთი რამისთვის, რაც არ ჩაუდენია. ეს უსამართლობა იყო. შონი რომ წავიდა, ბილიმ თვალები გაახილა და დაინახა, რომ და სტივენსი მიდიოდა. მარცხენა ხელზე დაიხედა და წითელი ნაიარევი დაინახა: იგრძნო, როგორ ეწვოდა. სახეზეც იგრძნო რაღაც და მარჯვენა ხელი მიიღო. ცრემლები?

ჯიმბოს არასდროს დავიწყებია, როგორ შესთავაზა სახლიდან გაქცევა ერთი წლითა და ოთხი თვით უმცროსმა ძმამ, შვიდი წლის ბილიმ. უთხრა, ცოტა საჭმელს წავიღებთ, დანას და ტანსაცმელს და თავგადასავლების საძიებლად წავალთ, უკან მდიდრები და სახელგანთქმულები დავბრუნდებითო. უმცროსი ძმის საზრიანობითა და სითამამით შთაგონებული ჯიმბო დასთანხმდა. ჩანთებაკიდებულები გაიპარნენ შინიდან და სირკლვილიდან ქალაქის შემოგარენისკენ წავიდნენ. დასახლებას რომ გაცდნენ, დიდ, სამყურით დაფარულ მინდორს მიადგნენ. ბილიმ იქვე მდგარი ხუთი-ექვსი ვაშლის ხისკენ გაიშვირა ხელი და თქვა, სადილად აქ შევჩერდეთო. ჯიმბო გაჰყვა. ისხდნენ, ხეებს ეყუდებოდნენ, ვაშლს ჭამდნენ და სამომავლო თავგადასავლებზე ლაპარაკობდნენ. ამ დროს ჯიმბომ ძლიერი ქარის მოახლოება იგრძნო. ვაშლები ირგვლივ სეტყვასავით ცვიოდა მიწაზე.

— ქარიშხალი იქნება, — თქვა ჯიმბომ.

ბილიმ მიმოიხედა.

— ფუტკრებს შეხედე!

ჯიმბომ დაინახა, რომ მთელი მინდორი მოფუთფუთე, მოზუმუნე ფუტკრებით იყო სავსე.

— ყველგან არიან. ისე დაგვკბენენ, დავიხოცებით. ვერ გავაღწევთ. გვიშველეთ! გვიშველეთ! ვინმე მოგვეშველეთ!

ბილიმ სწრაფად ჩაალაგა ჩანთა.

— აქეთ რომ მოვდიოდით, არ დაუვკბენივართ. ამიტომ ჯობია, საიდანაც მოვედით, იმ გზით წავიდეთ, ოღონდ სირბილით. წამო!

ჯიმბომ ყვირილი შეწყვიტა და მიჰყვა.

გაიქცნენ, მინდორი გადაჭრეს და გზაზე ისე დაბრუნდნენ, რომ არც ერთ ფუტკარს არ უკბენია.

— რა მაგრად მოიფიქრე, — უთხრა ჯიმბომ.

ბილიმ მოქუფრულ ცას ახედა.

— ცუდი ამბავია. გავეჩხირეთ, ამიტომ, მოდი, დღეს გადავდოთ. სახლში დავბრუნდეთ, მაგრამ არაფერი ვთქვათ. სხვა დროს გავიქცეთ.

სახლისკენ რომ მიდიოდნენ, ჯიმბოს გუნებაში უკვირდა, რატომ აძლევდა უმცროს ძმას უფლებას, თავის ჭკუაზე ეტარებინა. იმ ზაფხულს სირკლვილის ტყეების დასაზვერად წავიდნენ. მდინარე ჰარგის კრიკს რომ მიუახლოვდნენ, გუბურის თავზე ტოტიდან ჩამოშვებული თოკი დაინახეს.

— თოკით შეგვიძლია მეორე მხარეს გადავხტეთ, — თქვა ბილიმ.

— შევამოწმებ, — მიუგო ჯიმბომ, — უფროსი მე ვარ. ჯერ მე წავალ. თუ უსაფრთხოა, მერე შენც გადმოხტი.

ჯიმბომ თოკი მოქაჩა, უკან დაიხია და გადახტა. გზის სამ მეოთხედზე თოკიდან მოწყდა და ტალახში ჩავარდა, რომელიც ნელ-ნელა ითრევდა.

— ჭაობია! — იყვირა ჯიმბომ.

ბილი სწრაფად მოქმედებდა. დიდი ჯოხი იპოვა და გადაუგდო. მერე ხეზე აცოცდა, იმ ტოტზე გადავიდა, საიდანაც თოკი ჩამოებათ და ძმა სამშვიდობოს გამოიყვანა. ნაპირზე რომ გამოვიდნენ, ჯიმბომ თავი უკან გადასწია და შეხედა. ბილის ხმა არ ამოუღია. ჯიმბომ პატარა ძმას მხარზე ხელი მოხვია.

— სიკვდილისგან მიხსენი, ბილ. შენთან ვალში ვარ.

ბილისა და ჯიმბოსგან განსხვავებით, ქეთის უყვარდა კათოლიკური სკოლა და მონაზვნებზე გიჟდებოდა. გადაწყვიტა, რომ გავიზრდები, აუცილებლად მონაზონი გავხდებო. მამის ხსოვნას სათუთად ინახავდა და ცდილობდა, ჯონი მორისონის შესახებ ყველაფერი გაეგო. დედამ ბავშვებს უთხრა, რომ მამა ავადმყოფობდა, მერე საავადმყოფოში გადაიყვანეს და გარდაიცვალა. ახლა რაც არ უნდა გაეკეთებინა, ხუთი წლის ქეთი ჯერ კითხუ-

ლობდა: „მამიკო ჯონის ენდომებოდა, ეს რომ გამეკეთებინა?“ ამას მოზრდილობაშიც აგრძელებდა.

დოროთიმ გამოსვლებიდან ცოტაოდენი ფული შეაგროვა და ბარ „ცილინდრის“ მეწილე გახდა. სიმპათიურ, კარგად მოსაუბრე ახალგაზრდა კაცს შეხვდა, რომელსაც შესანიშნავი იდეა ჰქონდა — ფლორიდაში სავახშმო კლუბი გაეხსნათ. აუხსნა, რომ სწრაფად უნდა ემოქმედათ — დოროთი ბავშვებით სწრაფად უნდა გადასულიყო ფლორიდაში, რომ შესაფერისი ადგილები შეეთვალიერებინა, ის კი სირკლვილში დარჩებოდა, დოროთის წილს გაყიდდა და ფლორიდაში ჩააკითხავდა. დოროთის თავისი წილის მასზე გადაფორმებალა დარჩენოდა. დოროთი ისე მოიქცა, როგორც უთხრეს — ბავშვები დასთან, ფლორიდაში წაიყვანა, გასაყიდი კლუბები მოძებნა და ერთ თვეს ელოდა. ის კაცი არ გამოჩენილა. დოროთი მიხვდა, რომ თაღლითმა გააბრიყვა და განადგურებული ისევ სირკლვილში დაბრუნდა. 1962 წელს ბოულინგ--კლუბში გამოსვლისას დოროთიმ ქვრივი ჩალმერ მილიგანი გაიცნო. ბილის კბილა ქალიშვილთან, ჩელასთან ერთად ცხოვრობდა. უფროსი შვილიც ჰყავდა, რომელიც მედდად მუშაობდა. დოროთისთან შეხვედრა დაიწყო და სამსახური უშოვა ტელეფონების დეტალების დამამზადებელ კომპანიაში, სადაც თვითონ მწნეხავად მუშაობდა. ბილის ჩალმერი თავიდანვე არ მოუვიდა თვალში. ჯიმბოს უთხრა, არ ვენდობიო.

შუა დასავლეთში განთქმული სირკლვილის გოგარის ყოველწლიური ფესტივალი ქალაქის ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. აღლუმებსა და საზეიმო მსვლელობებთან ერთად ქალაქი გოგარის ბაზრობად იქცეოდა ხოლმე. გამყიდველები დახლებიდან გოგარიან ფუნთუშებს, გოგარის ღვეზელებსა და გოგარის ჰამბურგერებსაც კი ყიდდნენ. ქალაქი გოგარის ჯადოსნურ, ჩირაღდნებით, ლენტებითა და კარნავალებით სავსე ქვეყანას ემსგავსებო-

და. 1963 წლის გოგრის ფესტივალი ბედნიერი დღე იყო. დღითი გრძნობდა, რომ მისი ცხოვრება სასიკეთოდ შემობრუნდა. მუდმივი სამსახურის მქონე კაცს შეხვდა, მასზე ზრუნვა რომ შეეძლო და მისი სამი ბავშვის შვილად აყვანას რომ აპირებდა. ფიქრობდა, კარგი მამა იქნება, მე კი ჩელას კარგ დედობას გავუწევო. 1963 წლის 27 ოქტომბერს დღითი ჩალმერ მილიგანზე დაქორწინდა. ქორწინებიდან სამი კვირის თავზე, შუა ნოემბერში, კვირა დღეს, ჩალმერმა ყველანი მამამისის ფერმის სანახავად, 15 წუთის სავალზე მდებარე ოჰაიოს შტატის ქალაქ ბრემენში წაიყვანა. ბავშვები გახალისდნენ — ფერმის თეთრი შენობა მოათვალიერეს, პარმალზე მდგარ სარწეველაზე იქანავეს, სახლის უკან მდგარ სათბურში მიწა ამოჩიქნეს, ძველ წითელ საბძელში შეიხედეს. ჩალმერმა თქვა, რომ ბიჭებს აქ შაბათ-კვირას სამუშაოდ მოსვლა მოუწევდათ. ბოსტნეულის დასათესად მიწა იყო მოსამზადებელი. ბილიმ მინდორში გაბნეულ დამპალ გოგრებს, საბძელსა და ლანდშაფტს გონების თვალი გადაავლო. გადაწყვიტა, შინ რომ მივალ, აქაურობას დავხატავ და ახალ მამილო ჩალს ვაჩუქებო.

შემდეგ პარასკევს დედა-წინამძღვარი და მამა მეისონი მესამეკლასელთა ოთახში შევიდნენ და და სტივენსს რაღაც უჩურჩულეს.

— ბავშვებო, ყველანი ადექით და თავები დახარეთ, — თქვა და სტივენსმა. სახეზე ცრემლები ჩამოსდიოდა.

მამა მეისონის საზვიამო ხმით გაბრუებული ბავშვები უსმენდნენ, როგორ საუბრობდა. ხმა უთრთოდა.

— ბავშვებო, თქვენ, შესაძლოა, არ გესმოდეთ, მსოფლიოში ახლა როგორი ვითარებაა. ამას თქვენგან არც ველი. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ამ დილით ჩვენი პრეზიდენტი, ჯონ ფ. კენედი მოკლეს. ვილოცოთ.

„მამაო ჩვენო“ რომ წაიკითხა, ბავშვები გარეთ გაუშვეს, რომ ავტობუსებს დალოდებოდნენ და შინ წასულიყვნენ. ბავშვებს უფროსების მწუხარება გადასდებოდათ და ჩუმად იცდიდნენ. იმ შაბათ-კვირას, ოჯახი ახალ ამბებსა და სამგლოვიარო პროცესიას ტელევიზორში რომ უყურებდა, ბილიმ დაინახა, დედამისი ტირილდა. ეს გულს სტკენდა. ასეთს ვერ უყურებდა, მისი სლუკუნის მოსმენა არ შეეძლო და თვალები დახუჭა...

შონი გამოვიდა და მდუმარე ეკრანზე მოძრავ გამოსახულებებსა და დანარჩენებს მიაშტერდა, ტელევიზორს რომ უყურებდნენ. ეკრანთან მივიდა და სახე მიადო, ვიბრაციას გრძნობდა. ჩელამ ხელი ჰკრა და გასწია. შონი ოთახში შევიდა და საწოლზე დაჯდა. აღმოაჩინა, რომ თუ კბილებს ერთმანეთს მიაბჯენდა და პირიდან ჰაერს ნელ-ნელა გამოუშვებდა, თავში ისეთივე უცნაურ ვიბრაციას გრძნობდა — „ზზზზზზ“. დიდხანს იჯდა მარტო ოთახში და იმეორებდა: „ზზზზზზზზზზ“.

ჩალმერმა სამივე წმ. იოსების სკოლიდან გამოიყვანა და სირკლვილის საჯარო სკოლაში შეიყვანა. მას, ირლანდიელ პროტესტანტს, არ უნდოდა, მისი ოჯახის წევრებს კათოლიკურ სკოლაში ევლოთ. ყველა მეთოდისტურ სკოლაში უნდა ყოფილიყო. ბავშვებს არ მოსწონდათ, რომ „დიდური“ ლოცვები, „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო ქალწულო“, რომლებსაც აქამდე მიეწვივნენ, იმ ბავშვური ლოცვებით უნდა ჩაენაცვლებინათ, ჩელა რომ კითხულობდა. ბილიმ გადაწყვიტა, რომ თუ სარწმუნოებას შეიცვლიდა, მამამისის — ჯონი მორისონის რელიგიას აირჩევდა და იუდეველი გახდებოდა.

თავი მერვე

1

ქორწინების შემდეგ, როცა ყველანი იქვე მდებარე ქალაქ ლანკასტერში გადავიდნენ საცხოვრებლად, დოროთიმ აღმოაჩინა, რომ ჩალმერი ბავშვებს უჩვეულოდ მკაცრად ექცეოდა. სადილის დროს ლაპარაკს უკრძალავდა. სიცილი არ შეიძლებოდა. მარილი საათის ისრის მიმართულებით უნდა გადაეწოდებინათ. სტუმრები რომ მოვიდოდნენ, ბავშვები გამართულები უნდა მსხდარიყვნენ, ფეხები იატაკზე დაელაგებინათ, ხელები — მუხლებზე. ქეთის დედის კალთაში ჯდომა ეკრძალებოდა.

— მაგისტვის უკვე დიდი ხარ, — უთხრა ჩალმერმა შვიდი წლის გოგონას.

ერთხელ, როცა ჯიმბომ ბილის სთხოვა, მარილი მომაწოდეო, ბილი ასე შორს ვერ მისწვდა და ცოტა გადმოეყარა.

ჩალმერმა უყვირა:

— რა არის, წესიერად ვერაფერი ვერ უნდა გააკეთო? ცხრა წლის ხარ და პატარა ბავშვივით იქცევი!

ბავშვებს მამილო ჩალის შიში გაუჩნდათ. როცა ლუდს სვამდა, საქმე კიდევ უფრო უარესად მიდიოდა. ბილის ბრაზის გამოხატვის ეშინოდა და თავის თავში იკეტებოდა. არ ესმოდა, რა საჭირო იყო ეს სიმკაცრე, სისასტიკე, დასჯა. ერთხელ, როცა ჩალმერმა დაუყვირა და ბილიმ პირდაპირ თვალებში შეხედა, ჩალმერმა ცივად წაისისინა:

— დახარე ეგ თვალები, როცა გელაპარაკები.

ამ ხმის გაგონებაზე ბილი მოიკუნტა და თვალები დახარა.

როცა შონი თვალებს ახელდა, ხშირად ხედავდა, რომ ვიღაც მიშტერებოდა, ტუჩებს ამოძრავებდა და განრისხებული სახით უყურებდა. ზოგჯერ ეს ლამაზი ქალბატონი იყო, ზოგჯერ რომელიმე გოგო ან მასზე ცოტა უფროსი ბიჭი, რომელიც ხელს ჰკრავდა ან სათამაშოს ართმევდა. ტუჩებს რომ ამოძრავებდა, შონიც ასე აკეთებდა და კბილებს შორის ზუზუნებდა. ამას რომ შვრებოდა, იმათ ეცინებოდათ. მართო დიდი ბრაზიანი კაცი არ იცინოდა. კაცი უყურებდა. მერე შონი ტირილს იწყებდა და თავში ტირილისგანაც უცნაური შეგრძნება უჩნდებოდა. მერე თვალებს ხუჭავდა და მიდიოდა. ქეთიმ მოგვიანებით ბილის ბავშვობის საყვარელი თამაში გაიხსენა.

— ბილი, ფუტკარი გააკეთე, — უთხრა ქეთიმ, — ჩელას უჩვენე. ბილიმ დაბნეულმა შეხედა.

— რა ფუტკარი?

— აი, ფუტკარს რომ აკეთებ ხოლმე. „ზზზზ“.

დაბნეულმა ბილიმ ფუტკარის ზუზუნს გამოაჯავრა.

— რა სასაცილო ხარ, — უთხრა ქეთიმ.

— ღამით რატომ ზუზუნებ ხოლმე? — ჰკითხა ჯიმბომ მოგვიანებით ოთახში. ხის ძველ, ორკაციან საწოლში ეძინათ და ჯიმბოს ძმის ზუზუნზე რამდენიმეჯერ გამოელვია.

ბილი შეცბა, გოგოებივით ჯიმბომაც რომ უხსენა ზუზუნი, რომელზეც არაფერი იცოდა და პასუხი უცებ მოიფიქრა.

— ჩემი მოგონილი თამაშია.

— რა თამაში?

— „პატარა ფუტკარი“. მოიცა, გიჩვენებ.

ბილიმ ხელები საბნის ქვეშ შეყო და წრიულად აამოძრავა.

— „ზზზზ“... ხედავ, საბნის ქვეშ ფუტკრების ოჯახია.

ჯიმბოს ეჩვენებოდა, რომ ზუზუნის ხმა მართლა საბნის ქვეშიდან მოდიოდა. ბილიმ ერთი ხელი ამოიღო, მომუჭა და ახლა ზუ-

ზუნი თითქოს მუჭიდან მოდიოდა. მერე თითებით ფუტკარი ვითომ ბალიშზე გადაატარ-გადმოატარა. მერე რამდენჯერმე გაიმეორა იგივე და უეცრად ჯიმბომ მკლავში მწვავე ტკივილი იგრძნო.

— აუ! ეს რატომ გააკეთე?

— ფუტკარმა გიკბინა. ახლა უნდა დაიჭირო. გასრისე ან ხელი დააფარე.

ჯიმბომ რამდენჯერმე გატყლიტა და დაიჭირა ფუტკარი, რომელმაც უკბინა. მორიგი ფუტკარი რომ დაიჭირა, ოთახი უფრო ხმამაღალი და ბრაზიანი ზუზუნით გაივსო, მეორე ხელი გამორჩინდა და უფრო და უფრო მწარედ დაჩქმიტა.

— აუ! აუ! ეე, მეტკინა!

— მე რა შუაში ვარ, — უთხრა ბილიმ, — პატარა ფუტკარი დაიჭირე. ახლა მამამისი და უფროსი ძმა მოვიდნენ, რომ დაგსაჯონ.

ჯიმბომ პატარა ფუტკარს ხელი გაუშვა და ბილის ბალიშზე მთელი ოჯახი პატარა ფუტკარის გარშემო დაფრინავდა.

— კარგი თამაშია, — უთხრა ჯიმბომ, — მოდი, ხვალ ღამითაც ვითამაშოთ.

სანამ ჩაეძინებოდა, ბილი იწვა და ფიქრობდა, ალბათ ეს ზუზუნი მართლა აქედან გაჩნდაო. ალბათ თავში იგონებდა ამ თამაშს, ზუზუნებდა და ვერ ხვდებოდა, რომ სახლში მისი ხმა სხვებსაც ესმოდათ. ეს ალბათ ბევრს მოსდიოდა. როგორც ის, დრო რომ ეკარგებოდა ხოლმე. ფიქრობდა, დრო ყველას ეკარგებაო. ხშირად გაუგია დედამისის ან რომელიმე მეზობლის ნათქვამი, „ღმერთო, დრომ ისე გაირბინა, ვერც გავიგე“, ან: „გვიანია?“ ანდა: „დღემ როგორ ჩაიქროლა“.

მასწავლებელს ნათლად ახსოვდა ერთი შაბათი დღე. ეს პირველი აპრილის მომდევნო კვირაში მოხდა. ბილიმ, რომელიც შვიდი კვირით ადრე ცხრა წლისა შესრულდა, შეამჩნია, რომ მამილო ჩალი დაჟინებით აკვირდებოდა. ბილიმ ჟურნალი აიღო და თვალიერება დაიწყო, მაგრამ რომ ამოიხედა, დაინახა, რომ ჩალმერი ისევ მიშტერებოდა — ნიკაპი ხელზე ჩამოეყრდნო და სახე გაშეშებოდა. მოლურჯო-მომწვანო თვალების ცარიელი მზერით მის ყოველ მოძრაობას ადევნებდა თვალყურს. ბილი ადგა, ჟურნალი მაგიდაზე აკურატულად დადო და ტახტზე ისე დაჯდა, როგორც ასწავლეს — ფეხები იატაკს დააბჯინა, ხელები მუხლებზე დაიწყო. მაგრამ ჩალმერი ისევ უყურებდა და ბილი ადგა და უკანა პარმაღზე გავიდა. თავს მოუსვენრად გრძნობდა, არ იცოდა რა ეკეთებინა და ბოლოს გადაწყვიტა, ბლექჯეკს ვეთამაშებო. ბლექჯეკზე ყველა ამბობდა, ავი ძაღლიაო, მაგრამ ბილის არ ერჩოდა ხოლმე. მაღლა რომ აიხედა, ბილიმ დაინახა, რომ ჩალმერი აბაზანის ფანჯრიდან უთვალთვალედა. ახლა უკვე შეშინდა და, ჩალმერის მზერას რომ გასცლოდა, სახლს შემოუარა და წინა ეზოში გავიდა. იქ იჯდა და, მიუხედავად იმისა, რომ თბილი საღამო იყო, კანკალებდა. გაზეთების დამტარებელმა ბიჭმა გაზეთი გადაუგდო. ბილი ადგა და გაზეთის სახლში შეტანა დააპირა, მაგრამ დაინახა, რომ ჩალმერი ახლა წინა ფასადის ფანჯრიდან უყურებდა. მთელი შაბათი დღის და საღამოს მანძილზე ბილი გრძნობდა, როგორ ბურღავდა თვალებით ჩალმერი. ბილი კანკალებდა, ვერ გაეგო, მამინაცვალი რას უპირებდა. ჩალმერს არაფერი უთქვამს, ხმაც არ ამოუღია. მხოლოდ მისი თვალები დაჰყვებოდნენ ბილის ყველგან. ოჯახმა „უოლტ დისნე-

ის ჯადოსნურ ფერად სამყაროს“ უყურა და ბილი იატაკზე გაიშო-
ტა. დროდადრო გახედავდა და ჩალმერის ცივ, ცარიელ მზერას
აწყდებოდა. როცა ადგა და დედამისთან ახლოს გადაჯდომა
დააპირა, ჩალმერი ადგა და ოთახიდან გავიდა. იმ ღამეს ბილის
თითქმის არ უძინია. მეორე დილას საუზმემდე ჩალმერი სამზა-
რეულოში შევიდა. ისე გამოიყურებოდა, ეტყობოდა, ღამით მა-
საც არ სძინებოდა. გამოაცხადა, რომ ის და ბილი ფერმაში უნდა
წასულიყვნენ. ბევრი საქმე იყო გასაკეთებელი. ჩალმერს მთელი
გზა ხმა არ ამოუღია. გარაჟი გააღო და ტრაქტორი საბძელში შე-
იყვანა. მერე ბილიმ თვალები დახუჭა და ტკივილი იგრძნო...

სასამართლო ანგარიშში ექიმი ჯორჯ ჰარდინგი ამის შესახებ
წერდა:

„პაციენტი მოგვითხრობს... რომ მისტერ მილიგანისაგან მან
სადისტური და სექსუალური ძალადობა განიცადა, მათ შორის,
ანალური კონტაქტი. პაციენტის სიტყვებით, ეს ხდებოდა ერთი
წლის მანძილზე, მაშინ, როცა ის რვა თუ ცხრა წლის იყო, უმეტე-
სად, ფერმაში, სადაც მამინაცვალთან პირისპირ მართო აღმოჩ-
ნდებოდა ხოლმე. ეშინოდა, რომ მამინაცვალი მოკლავდა, რად-
გან ის დაემუქრა, „საბძელში ჩაგფლავ და დედაშენს ვეტყვი, რომ
სახლიდან გაიქეციო“.

იმ წამიდან მისი გონება, გრძნობები და სული ოცდაოთხ ნაწი-
ლად დაიშალა.

მოგვიანებით ქეთიმ, ჯიმბომ და ჩელამ დაადასტურეს მასწავლებლის მონათხრობი დედის პირველად ცემის შესახებ. დოროთის თანახმად, ჩალმერმა დაინახა, როგორ გამოელაპარაკა ის სამსახურში შავკანიან მამაკაც თანამშრომელს და გაცეცხლდა. დოროთის შეემჩნია, რომ კაცმა სამუშაო დაზგასთან ჩათვლიმა, მიუახლოვდა, შეანჯღრია, გააღვიძა და უთხრა, რომ ასე ძილი საშიში იყო. კაცმა გაუღიმა და მადლობა გადაუხადა. თავის მაგიდასთან დაბრუნებულმა, დაინახა, რომ ჩალმერი ჯიქურ უყურებდა. შინისკენ მიმავალ გზაზე ცუდ ხასიათზე იყო და ხმა არ ამოუღია. შინ რომ მივიდნენ, დოროთიმ ჰკითხა:

— რა მოხდა? რამის თქმა ხომ არ გინდა?

— შენ და ის ბანგი... — უთხრა ჩალმერმა, — რა ხდება?

— ხდება? კი მაგრამ, რას გულისხმობ?

მან დაარტყა. ბავშვები სასტუმრო ოთახიდან უყურებდნენ, როგორ ურტყამდა. ბილი დაფეთებული იდგა. უნდოდა, დედას მიშველებოდა, უნდოდა, შეეჩერებინა ჩალმერი, რომ დედამისისთვის არაფერი დაეშავებინა. მაგრამ ჩალმერს სასმლის სუნი ასდიოდა და შეეშინდა, რომ ჩამარხავდა და დედას ეტყოდა, სახლიდან გაიქცაო.

ბილი თავის ოთახში შევარდა, კარი მიიჯახუნა, ზურგით მიეყრდნო და ყურებზე ხელები აიფარა. მაგრამ დედამისის კვილს ვერაფერი ახშობდა. ბილი ტირილით ნელ-ნელა ჩაცურდა ძირს და იატაკზე დაჯდა. თვალები მაგრად დახუჭა და შონის სიყრუემ ყველაფერი ჩააჩუმა...

ეს დროის არევის პირველი ცუდი შემთხვევა იყო, რომელიც მასწავლებელს ახსოვდა. ცხოვრება უფრო და უფრო აწეწილი

ხდებოდა, ბილი უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა, დროს გამუდმებით კარგავდა; აღარ იცოდა, რა რიცხვი იყო, რა თვე. მეოთხე კლასში მასწავლებლებმა მისი უცნაური ქცევა შენიშნეს და როცა მისი რომელიმე პიროვნება, რომელმაც არ იცოდა, რა ხდებოდა, რაღაც გაუგებარს ამბობდა ან იღვიძებდა და ოთახში ბორიალს იწყებდა, კუთხეში აყენებდნენ. კედელთან სამი წლის ქრისტინი დგებოდა ხოლმე. დიდხანს შეეძლო იქ ჩუმად მდგარიყო და არაფერი ეთქვა, რითაც ბილის საფრთხისგან იცავდა. მის ადგილას მარკი, რომელსაც ყურადღების მოკრება მხოლოდ ცოტა ხნით შეეძლო (ისიც მაშინ, თუ ხელი სამუშაოთი ჰქონდა დაკავებული), ერთ ადგილას ვერ გაჩერდებოდა და წავიდოდა. ტომი აჯანყდებოდა. დევიდი დაიტანჯებოდა. „ჯეისონი“ — „წნევის სარქველი“ — აყვირდებოდა. „ბობი“ ოცნებებში წავიდოდა. „სემუელი“, რომელიც ჯონი მორისონივით ებრაელი იყო, ლოცვას დაიწყებდა. ნებისმიერ მათგანს შეიძლებოდა, რაღაც ჩაედინა და ბილი უარეს ხათაბალაში გაეხვია. მხოლოდ ქრისტინს, რომელიც სულ სამი წლისა იყო, შეეძლო კუთხეში მოთმინებით მდგარიყო და არაფერი ეთქვა. ის „კუთხის ბავშვი“ იყო, პირველი, ვინც სხვა პიროვნების ხმა გაიგონა. ერთ დილას სკოლისკენ მიდიოდა და ცოტა ხნით მინდორში შეჩერდა ყვავილების დასაკრეფად. თუთუბო და ხართუთა იპოვა, თაიგულად უნდოდა შეეკრა. მეოთხე კლასის მასწავლებელს, მისის როთს თუ მიუტანდა, იქნებ ისე ხშირად აღარ დაეყენებინა კუთხეში. ვაშლის ხეს რომ ჩაუარა, გადაიფიქრა და ვაშლის წალეხა გადაწყვიტა. მინდვრის ყვავილები გადაყარა და სცადა, ვაშლებს მისწვდომოდა. ვაშლები ძალიან მაღლა იყო. დანაღვლიანდა და ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— რა იყო, პატარა გოგო? რატომ ტირი?

ქრისტინმა მიმოიხედა, მაგრამ ვერაფერს დაინახა.

— ხე ვაშლებს არ მაძლევს, — თქვა მან.

— არ იტირო, რეიგენი მოგიტანს ვაშლებს.

ის ხეზე აძვრა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოქანა, მსხვილი ტოტი მოტეხა და ძირს ჩამოაგდო.

— აგე, — უთხრა მან, — აი რამდენი ვაშლები მაკვს შენთვის. ვაშლები ხელში დაიჭირა და ქრისტინი სკოლაში წაიყვანა.

რეიგენი რომ წავიდა, ქრისტინს ვაშლები შუა ქუჩაში დაუცვივდა. ყველაზე დიდი, პრიალა ვაშლისკენ მანქანა მიქროდა. ქრისტინს მისის როთისთვის ეს ვაშლი უნდოდა. მის ასაღებად რომ გაიწია, რეიგენმა უბიძგა და მანქანის დაჯახებას გადაარჩინა. ქრისტინმა დაინახა, როგორ გატყლიტა მანქანამ ვაშლი და ატირდა, მაგრამ რეიგენმა მეორე ვაშლი აიღო, თითქმის ისეთივე ლამაზი, გააპრიალა და ქრისტინს მისცა სკოლაში წასაღებად. ვაშლი მაგიდაზე რომ დადო, მისის როთმა უთხრა:

— მადლობა, ბილი.

ქრისტინს ეწყინა, ვაშლი ხომ მან მოიტანა. ოთახის ბოლოსკენ წავიდა, ფიქრობდა, სად დამჯდარიყო. მარცხნივ დაჯდა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ბორბა ბიჭმა უთხრა:

— ადე, ეგ ჩემი ადგილია.

ქრისტინს გულმა რეჩხი უყო, მაგრამ როცა იგრძნო, რომ რეიგენი აპირებდა, გამოსულიყო და ბიჭისთვის დაერტყა, სწრაფად ადგა და სხვა სკამთან მივიდა.

— ეგ ჩემი ადგილია! — დაიძახა დაფასთან გასულმა გოგომ, — ბილი ჩემს ადგილზე დაჯდა!

— ბილი, შენ რა, შენი ადგილი არ იცი? — ჰკითხა მისის როთმა.

ქრისტინმა თავი გაიქნია. მისის როთმა მარჯვნივ მდგარ ცარიელ სკამზე მიუთითა.

— მიდი, იმ სკამზე დაჯექი, ბილი. წადი.

ქრისტინს ვერ გაეგო, რატომ ბრაზობდა მისის როთი. როგორ ცდილობდა, მასწავლებლისთვის თავი მოეწონებინა. ცრემლები

მოაწვა. გრძნობდა, რომ რეიგენი გამოსვლას და მასწავლებლისთვის რამე ცუდის გაკეთებას აპირებდა. ამიტომ თვალები მაგრად დახუჭა, ფეხები დააბაკუნა და რეიგენი შეაჩერა. მერე თვითონაც გაქრა. ბილიმ თვალები გაახილა, გაბრუებულმა მიმოიხედა და აღმოაჩინა, რომ კლასში იჯდა. ღმერთო, იქ როგორ მოხვდა? რატომ უყურებდნენ? რა აცინებდათ?

კლასიდან რომ გადიოდა, გაიგონა, მისის როთმა როგორ დაუძახა:

— გმადლობ ვაშლისთვის, ბილი. ძალიან თავაზიანი ხარ. ვწუხვარ, რომ შენი დატუქსვა მომიწია.

ბილი კორიდორში მიმავალ მისის როთს უყურებდა და ფიქრობდა, ნეტავი, ამით რისი თქმა უნდოდაო.

როცა ჯიმბომ და ქეთიმ ბრიტანული აქცენტი პირველად მოისმინეს, იფიქრეს, რომ ბილი მაიმუნობდა. ჯიმბო და ბილი ერთად იყვნენ ოთახში, სარეცხს ახარისხებდნენ. ქეთიმ შეიხედა, რომ ენახა, მზად იყო თუ არა ბილი, რომ მას და ჩელას სკოლაში წაჰყოლოდა.

— რა იყო, ბილი? — ჰკითხა ქეთიმ, მისი დაბნეული სახე რომ დაინახა.

მან ჯერ ქეთის გადახედა, მერე ოთახში მიმოიხედა და მერე მეორე ბიჭს მოჰკრა თვალი — ისიც მას მოშტერებოდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იყო ეს ორი, ან თვითონ აქ რატომ იყო. „ბილის“ არავის იცნობდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ არტური ერქვა და ლონდონელი იყო. დაიხედა და დაინახა, რომ ცალ ფეხზე შავი წინდა ეცვა, ცალზე — იისფერი.

— ჰო, ცხადია, ესენი ამხანაგები არ უნდა იყვნენ.

გოგომ გადაიკისკისა. ბიჭმაც გაიცინა.

— რა შტერი ხარ, ბილი. მაგრად გამოგდის. ზუსტად ექიმი უოტსონივით ამბობ, იმ შენს შერლოკ ჰოლმსის ფილმებში რომ არის. არა, ჯიმბო?

გოგონა ადგილს მოსწყდა. ბიჭი, ჯიმბოს რომ ეძახდნენ, უკან მიჰყვა. ორივე უყვიროდა:

— ჩქარა, თორემ დაგაგვიანდება!

რატომ ეძახდნენ ბილის, როცა არტური ერქვა? თავს სხვა ვინმედ ასალებდა? ნუთუ ჯაშუშად იყო ამ სახლში მოგზავნილი? იქნებ დეტექტივი იყო? დეტალებისგან თავსატეხის აწყობას ლოგიკა სჭირდებოდა. სხვადასხვა ფერის წინდები რატომ ეცვა? ვინ ჩააცვა? საერთოდ, რა ხდებოდა აქ?

— არ მოდიხარ, ბილი? ხომ იცი, მამილო ჩალი რასაც გიზამს, თუ დაგაგვიანდა?

არტურმა გადაწყვიტა, რომ თუ თვითმარქვია იყო, ბარემ ბოლომდე უნდა ეთვალთმაქცა. ნიკოლას დრაივის სკოლისკენ მიმავალ ჩელას და ქეთის დაეწია. მაგრამ მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ოთახს რომ ჩაუარეს, ქეთიმ უთხრა:

— სად მიდიხარ, ბილი? დროზე, შედი.

სანამ არტური გაერკვეოდა, უკანა რიგში, ბოლო თავისუფალ სკამთან ისე მივიდა, არც აქეთ გაუხედავს და არც — იქით. თავი მაღლა აეწია, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ხვდებოდა, მის საუბარზე იმიტომ ეცინებოდათ, რომ განსხვავებულად ლაპარაკობდა. მასწავლებელმა არითმეტიკის ტესტის ნაბეჭდი ფურცლები დაარია.

— რომ დაამთავრებთ, შეგიძლიათ ფურცლები წიგნებში ჩადოთ და შესვენებაზე გარეთ გახვიდეთ. რომ დაბრუნდებით, პასუხები შეამოწმეთ. მერე ფურცლებს ავკრეფ და ნიშნებს დაგიწერთ, — გამოაცხადა მასწავლებელმა.

არტურმა ტესტს დახედა და გამრავლებისა და ქვეშმიწერით გაყოფის სავარჯიშოებზე დამცინავად ჩაეცინა. ფანქარი აიღო და ფურცელს სწრაფად დაუყვა. მაგალითებს თავში ხსნიდა და პასუხებს პირდაპირ წერდა. რომ დაამთავრა, ფურცელი წიგნში ჩადო, გულხელი დაიკრიფა და ცარიელ სივრცეს მიაშტერდა. რა ელემენტარული იყო ყველაფერი! სკოლის ეზოში მოყაყანე ბავშვებმა გააღიზიანეს და თვალები დახუჭა...

შესვენების შემდეგ მასწავლებელმა უთხრა:

— ამოიღეთ ფურცლები წიგნებიდან.

დაბნეულმა ბილიმ თავი ასწია. კლასში რა უნდოდა? აქ როგორ მოხვდა? ახსოვდა, დილას როგორ გაიღვიძა, მაგრამ როგორ ჩაიცვა ან სკოლაში როგორ მოვიდა, ვერ იგონებდა. წარ-

მოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა სახლში გაღვიძებიდან ამ მომენტამდე.

— სანამ ფურცლებს ჩამაბარებთ, შეგიძლიათ პასუხებს გადახედოთ.

რა ფურცლებს? წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა, მაგრამ გადაწყვიტა, რომ თუ მასწავლებელი ჰკითხავდა, სად იყო მისი ფურცელი, ეთქვა, დამავიწყდა ან გარეთ დავკარგეო. რაღაც ხომ უნდა ეთქვა. წიგნი რომ გადაშალა, დაბნეული მიაშტერდა. თვალებს ვერ უჯერებდა. იქ ტესტის ფურცელი იყო, ორმოცდაათივე მაგალითის შევსებული პასუხებით. შენიშნა, რომ ხელწერა მისი არ იყო — მისას ძალიან ჰგავდა, მაგრამ ძალიან სწრაფად და გაკვრით ნაწერს მოგაგონებდა. ფურცლებს ხშირად პოულობდა და ფიქრობდა, ალბათ, ჩემიაო. მაგრამ იცოდა, რომ უბრალოდ შეუძლებელი იყო, მათემატიკაში მასავით სუსტ მოსწავლეს ყველა ეს მაგალითი ამოეხსნა. გვერდით მდგარ მერხს რომ გახედა, დაინახა, რომ გოგონა იმავე ტესტს ხსნიდა. ბილიმ მხრები აიჩინა, აიღო ფანქარი და ფურცელს თავზე „ბილ მილიგანი“ დააწერა. შემოწმებას არ აპირებდა. პასუხები როგორ უნდა შეემოწმებინა, როცა ამოხსნა არ იცოდა?

— უკვე დაამთავრე?

ბილიმ აიხედა და დაინახა, რომ თავზე მასწავლებელი ედგა.

— ჰო.

— პასუხები არ შეგიმოწმებია?

— ნწ.

— ასეთი დარწმუნებული ხარ, რომ ტესტს ჩააბარებ?

— რა ვიცი, — თქვა ბილიმ, — მაგას, რო შეამოწმებთ, მერე გავიგებთ.

მასწავლებელმა ტესტის ფურცელი მაგიდასთან წაიღო. რამდენიმე წამში ბილიმ დაინახა, რომ მან წარბები შეკრა. მასწავლებელი ბილის მერხთან დაბრუნდა და მიმართა:

— წიგნი მაჩვენე, ბილი.

ბილიმ წიგნი მიაწოდა და მასწავლებელმა ფურცვლა დაიწყო.

— ხელები მაჩვენე.

ბილიმ ხელები აჩვენა. მერე მასწავლებელმა პერანგის საყელოს, ჯიბეების და მერხის უჯრის ჩვენება მოსთხოვა.

— კი მაგრამ, — თქვა ბოლოს, — ვერ გამიგია. შეუძლებელია პასუხები გცოდნოდა — ტესტი ამ დილას ავკრიფე და პასუხების ერთადერთი ასლი ჩანთაში მაქვს.

— ჩავაბარე? — ჰკითხა ბილიმ.

მასწავლებელმა ფურცელი უხალისოდ დაუბრუნა.

— უმაღლესი ქულა გაქვს.

მასწავლებლები ბილის ზარმაცს, ცელქს, მატყუარას ეძახდნენ. მეოთხედან მერვე კლასამდე კაბინეტიდან კაბინეტში დადიოდა — კონსულტანტებთან, დამრიგებელთან, სკოლის ფსიქოლოგთან. ბილისათვის გაბრდა მუდმივი ბრძოლა იყო — გაუთავებლად თხზავდა ისტორიებს, სიმართლეს ამახინჯებდა, სხვადასხვაგვარ ახსნა-განმარტებას იგონებდა, ოღონდ არ ეღიარებინა, რომ უმეტესი დროის განმავლობაში არ იცოდა, დღეების, საათების, წუთების წინ მის თავს რა ხდებოდა. მისი ტრანსული მდგომარეობა ყველას შემჩნეული ჰქონდა. ყველა ამბობდა, უცნაურიყო. როცა იმის გააზრება დაიწყო, რომ სხვებს არ ჰგავდა, დრო ყველას არ ეკარგებოდა, ირგვლივ კი ყველა ეუბნებოდა, რომ ისეთი რამეები თქვა და გააკეთა, მხოლოდ თვითონ რომ არ ახსოვდა, გადაწყვიტა, ალბათ შეშლილი ვარო. ეს არავისთვის გაუმხელია. საიდუმლოს შენახვა როგორღაც მოახერხა.

მასწავლებელი იგონებდა, რომ 1969 წლის გაზაფხული იყო, როცა თოთხმეტი წლის მერვეკლასელი ბილი ჩალმერმა ფერმაში, სიმინდის ყანის გადაღმა წაიყვანა, ნიჩაბი მისცა და უბრძანა, თხრა დაეწყო...

ექიმმა სტელა კაროლინმა ეს მოვლენა სასამართლოს ანგარიშში ასე აღწერა:

„[მამინაცვალი] ბილიზე სექსუალურად ძალადობდა და ემუქრებოდა, რომ, თუ დედას ეტყოდა, ცოცხლად დამარხავდა. ერთხელ ბავშვი ჩამარხა კიდეც, სახესთან სასუნთქად მილი დაუტოვა... სანამ ამოთხრიდა, მილიდან მის სახეზე მოშარდა“ („ნიუსვიკი“, 1978 წლის 18 დეკემბერი).

ამ დღის შემდეგ დენის მიწის ეშინოდა. აღარასოდეს დაწოლილა ბალახზე, აღარ შეხებია მიწას და აღარასოდეს დაუხატავს პეიზაჟი.

რამდენიმე დღის შემდეგ ბილი ოთახში შევიდა და ლოგინის გვერდით მდგარი მაგიდის ნათურის ჩამრთველს თითი დააჭირა. არ აინთო. მერე კიდევ დააჭირა, მერე კიდევ. ისევ არაფერი. სამზარეულოში გავიდა და ახალი ნათურა აიღო. ადრე ენახა, დედამისი როგორ ცვლიდა ნათურას და იფიქრა, მეც გამოვცვლიო. დენით მიღებული შოკი ისეთი ძლიერი იყო, რომ უკანა კედელს მიახეთქა...

ტომიმ თვალები გაახილა და მიმოიხედა. არ იცოდა, რა ხდებოდა. ლოგინზე ნათურა დაინახა, აიღო, აბაჟურს დახედა და ჩახრახნას შეუდგა. მეტალის ხრახნს რომ შეეხო, დენმა დაარტყა. ფუ, ეს ნაბიჭვარი! ეს რა დოზანა იყო? აბაჟური ახადა და ხვრელს ჩახედა. შეეხო და ისევ დენმა დაარტყა. იჯდა და ცდილობდა, თავსატეხი ამოეხსნა. ეს ოხრობა საიდან მოდიოდა? კედელში შეერთებულ ელექტროკაბელს გაჰყვა. შტეფსელიდან გამორთო და ხრახნს ისევ შეეხო. არაფერი მომხდარა. ესე იგი, ის შოკი თურაღაც ჯანდაბა კედლიდან მოდიოდა. კედელში დატანებულ ორ პატარა ხვრელს მიაშტერდა, მერე წამოხტა და ქვევით ჩაირბინა. ჭერიდან ჩამოსულ კაბელებს დამცავ ფარამდე მიჰყვა, იქიდან კი — გარეთ. დაინახა, რომ ტელეფონის ხაზები ქუჩაში მდგარ ბოძებამდე მიდიოდა და გაოგნებული შეჩერდა. აი, თურმე რისთვის იყო ეს რაღაცები! ტომი ბოძებს გაჰყვა, რომ ენახა, ისინი სადღა მიდიოდა. თითქმის ბნელოდა, როცა მავთულის ღობეშემორტყმულ შენობასთან აღმოჩნდა, რომელსაც აბრაზე „ოჰაიოს ენერგოსადგური“ ეწერა. „აჰა“, — იფიქრა მან, — „იმ რაღაცას საიდანღა ჩითავენ, შუქებს რო რთავს და იმ ოხერ დენს რო გართყავს?“

შინ დაბრუნებულმა სატელეფონო ცნობარი გამოათრია, „ოჰაიოს ენერგოსადგური“ მოძებნა და მისამართი ამოიწერა. ახლა უკვე ძალიან ბნელოდა, მაგრამ ხვალ დილით მივიდოდა და ნახავდა, დენი საიდან მოდიოდა.

მეორე დღეს ტომი ოჰაიოს ენერგოსადგურთან მივიდა. შიგნით შევიდა და ელდანაცემი გაშტერდა. მაგიდებთან ხალხი იჯდა, ტელეფონებს პასუხობდნენ და ბეჭდავდნენ. ეს რა კანტორა იყო?! ჯანდაბა, ისევ არ გაუმართლა. მთავარ ქუჩაზე რომ მიყიალებდა და ფიქრობდა, ნეტავ სად ოხრობაში გავიგო, ის რაღაცა საიდან მოდისო, მუნიციპალიტეტის შენობის წინ ბიბლიოთეკის ნიშანს ჩაუარა. კარგი, მაშინ წიგნებში მონახავდა. მეორე სართულზე ავიდა, მონახა ბარათი სახელწოდებით „დენი“, იპოვა წიგნები და კითხვას შეუდგა. გაოგნდა, როცა კაშხლების, ჰიდროელექტროსადგურების, ნახშირისა და სხვა აალებადი მასალის წვის შედეგად მანქანების მუშაობისა და სინათლის მიღების შესახებ წაიკითხა. გვიანობამდე კითხულობდა. მერე ლანკასტერის ქუჩებში დაეხეტებოდა, გახარებული აკვირდებოდა ანთებულ სინათლეებს. ახლა უკვე იცოდა, საიდან მოდიოდა დენი და უნდოდა, ყველაფერი გაეგო, რაც ელექტრობას უკავშირდებოდა. მაღაზიის ვიტრინასთან შეჩერდა და გამოფენილ ელექტრომომწყობილობას შეხედა. ტელევიზორებთან ხალხი შეჯგუფულიყო და უყურებდა, სკაფანდრიანი კაცი კიბეზე როგორ ჩამოდიოდა.

— წარმოგიდგენიათ? — თქვა ვიღაცამ, — მთვარიდან რომ უყურებ ყველაფერს, როგორი იქნება?!

— ერთი გიგანტური ნაბიჯი კაცობრიობისათვის... — ამბობდა ხმა ტელევიზორიდან.

ტომიმ მთვარეს ახედა, მერე ისევ ტელევიზორს მიაპყრო მზერა. ეს კიდევ ერთი რამ იყო, რის შესახებაც ყველაფერი უნდა გაეგო. მერე ფანჯარაში ქალის ანარეკლი დაინახა.

– ბილი, წამო სახლში, – უთხრა დოროთიმ.

ტომიმ ახედა ბილის ლამაზ დედას და დააპირა ეთქვა, ბილი კი არა, ტომი მქვიაო, მაგრამ მან მხარზე ხელი დაადო და მანქანისკენ წაიყვანა.

– გეყოფა ქალაქში ხეტიალი, ბილი. სახლში ჩალის სამსახურიდან დაბრუნებამდე უნდა მოხვიდე, თორემ ხომ იცი, რაც მოხდება.

სახლისკენ რომ მიდიოდნენ, დოროთი მთელი გზა გამომცდელად უყურებდა გვერდულად, მაგრამ ტომი დუმდა. დოროთიმ აჭამა და მერე უთხრა:

– არ გინდა, შემოხვიდე და რამე დახატო, ბილი? ხომ იცი, როგორ გამშვიდებს. გაღიზიანებული ჩანხარ.

ტომიმ მხრები აიჩეჩა და თავის ოთახში შევიდა, სადაც სახატავი მოწყობილობები ჰქონდა. სწრაფი მონასმებით ღამის სცენა დახატა – ქუჩა ტელეფონის ბოძებით. რომ დაამთავრა, უკან დაიწია და შეხედა. დამწყების კვალობაზე მხეცური გამოუვიდა. მეორე დილას ადრე ადგა და მიუხედავად იმისა, რომ დილა იყო, მთვარით განათებული პეიზაჟი დახატა.

ბილის უყვარდა ყვავილები, პოეზია და სიხარულით ეხმარებოდა დედას სახლის საქმეებში, მაგრამ იცოდა, რომ ჩალმერი ამის გამო „ქალაჩუნას“ და „დარტყმულს“ ეძახდა. ამიტომ დედამისის დახმარება და ლექსების წერა შეწყვიტა. ამას ჩუმ-ჩუმად ადალანა აკეთებდა.

ერთ საღამოს ჩალმერი მეორე მსოფლიო ომის შესახებ გადაღებულ ფილმს უყურებდა, სადაც „გესტაპოელი“ მსხვერპლს შლანგით სცემდა. ფილმი რომ დამთავრდა, ჩალმერი ებოში გავიდა, ებოს შლანგს ოთხი ფუტის სიგრძის ნაჭერი ჩამოაჭრა, ორად გაკეცა და გადანაჭერს შავი ლენტი გადაახვია. სახლში რომ შებრუნდა, დაინახა, რომ ბილი თეფშებს რეცხავდა. სანამ გონს მოეგებოდა, ადალანამ ზურგზე ძლიერი დარტყმა იგრძნო, რომელმაც იატაკზე დასცა. ჩალმერმა შლანგი საძინებლის კარზე ჩამოკიდა და დასაძინებლად დაწვა. ადალანამ ისწავლა, რომ კაცები მოძალადეები და ბოროტები იყვნენ და მათი ნდობა არ შეიძლებოდა. უნდოდა, დოროთი, ან რომელიმე გოგო — ქეთი ან ჩელა ჩახუტებოდა, ეკოცნა და მისი შიში და უსიამოვნო განცდები გაეფანტა. მაგრამ იცოდა, რომ ეს პრობლემებს გამოიწვევდა. ამიტომ დაწვა და ტირილ-ტირილით ჩაეძინა.

ჩალმერი შლანგს ხშირად იყენებდა. ძირითადად, ბილის სცემდა ხოლმე. დოროთიმ გაიხსენა, რომ კარის სახელურზე ჩამოცმულ შლანგზე კაბას, ან ღამის პერანგს კიდებდა ხოლმე იმ იმედით, რომ თუ ჩალმერი შლანგს ვერ დაინახავდა, იქნებ დავიწყებოდა კიდევ. ერთ დღეს, როცა ჩალმერს შლანგი დიდი ხნის მივიწყებული ჰქონდა, დოროთიმ აიღო და გადააგდო. ჩალმერს არც არასდროს გაუგია, მის იარაღს რა ბედი ეწია. ძრავებითა და

ელექტრომონოპოლით ჩუმ-ჩუმად თამაშთან ერთად ტომიმ გაქცევის ხერხების ათვისება დაიწყო. გაქცევის დიდი ოსტატების, ჰუდინისა და სილვესტერის შესახებ კითხულობდა და როცა გაიგო, რომ მათი ცნობილი გაქცევის დემონსტრაციების უმეტესობა ხრიკი იყო, გული დასწყდა.

ჯიმბოს ახსოვდა, რომ მოგვიანებით ძმა სთხოვდა ხოლმე, მისთვის ხელები ბაწრით მაგრად დაეხა და წასულიყო. მარტოდ დარჩენილი ტომი კვანძებს სწავლობდა და მაჯების გათავისუფლებისა და თოკის მოშვების ყველაზე მარტივ გზებს ეძებდა. ცალი ხელის დაბმასა და მერე ხელის ზურგსუკან გახსნაში ვარჯიშობდა. მერე აფრიკული მაიმუნის ხაფანგების შესახებ წაიკითხა — ცხოველი ვიწრო ხვრელში თათს ყოფდა, რომ ხილს მისწვდომოდა, მერე კი თათი იქვე ეჭედებოდა, რადგან ხილი ჰქონდა ჩაბღუჯული და თათს არ უშვებდა. ამის შემდეგ ტომიმ ადამიანის ხელის აგებულებაზე დაიწყო ფიქრი. ენციკლოპედიის ილუსტრაციებზე ძვლის სტრუქტურა შეისწავლა და აღმოაჩინა, რომ ხელს მაჯაზე ვიწროდ თუ შეკუმშავდი, თოკიდან გამოძვრენას სულ მარტივად შეძლებდი. ხელები და მაჯები გაიზომა და ვარჯიში დაიწყო — ძვლებსა და სახსრებს კუმშავდა და საჭირო მდგომარეობაში მოჰყავდა. როცა, როგორც იქნა, მიაღწია იმ მდგომარეობას, რომ მტევნის მაჯაზე უფრო ვიწროდ შეკუმშვას ახერხებდა, უკვე იცოდა, რომ ვერანაირი თოკი და ჯაჭვი ველარ დააკავებდა. ტომიმ გადაწყვიტა, რომ იმის სწავლაც სჭირდებოდა, დაკეტილი ოთახიდან როგორ გამოსულიყო. როცა სახლში მარტო იყო, აიღო სახრახნისი, კარს ურდული მოხსნა და საკეტის მექანიზმი შეისწავლა. კლიტის შიდა აგებულების ნახაზი გააკეთა და ფორმები დაიმახსოვრა. განსხვავებულ საკეტს თუ ნახავდა, შლიდა, სწავლობდა და მერე ისევ აწყობდა. ერთხელ ქალაქში გაიარა და საბეინკლოში შევიდა. მოხუცმა ზეინკალმა სხვადასხვანაირი სა-

კეტები აჩვენა, რომ მათი მუშაობის პრინციპები დაემახსოვრებინა. წიგნიც კი ათხოვა მაგნიტური და ბზრიალასებრი ჩამკეტებისა და სხვადასხვანაირი სეიფების შესახებ. ტომი ბეჯითად სწავლობდა, სულ საკუთარი თავის გამოცდაში იყო. სპორტული საქონლის მაღაზიაში ბორკილები დაინახა და გადაწყვიტა, რომ, როგორც კი ფულს მოიხელთებდა, ერთი წყვილი ეყიდა და შეესწავლა. ერთ საღამოს, როცა ჩალმერი ვახშამზე განსაკუთრებით აღრენილი იყო, ტომიმ მოიფიქრა, როგორ ესწავლებინა ჭკუა მამინაცვლისთვის ისე, რომ ვერავის გამოეჭირა. იარაღების ყუთიდან ქლიბი აიღო, ჩალმერის ელექტროსაპარსს თავი მოხსნა და სამივე მბრუნავი სამართებელი დააბლაგვა. მერე თავი ისევ მიახრახნა და გავიდა. მეორე დილას ჩალმერი რომ იპარსავდა, ტომი აბაზანასთან იდგა. ჯერ საპარსის ჩართვის ხმა გაიგონა, მერე — ყვირილი. ბლაგვი სამართებლები გაპარსვის ნაცვლად წვერს წიწვნიდა. ჩალმერი აბაზანიდან გამოენთო.

— რას მიყურებ, შე დამპალო ნაბიჭვარო, რას დარტობილხარ? ტომიმ ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და გაეცალა. თავი მიატრიალა, რომ ჩალმერს არ დაენახა, როგორ ეღიმებოდა.

ალენი პირველად მაშინ გამოვიდა შუქზე, როცა ბილის მეზობლის ბიჭები შენობის საძირკვლისთვის გათხრილ სამშენებლო ორმოში აგდებდნენ. ჯერ მთელი თავისი აფერისტული უნარების გამოყენებით ეკამათა, მაგრამ ამან არ გაჭრა. მაინც ჩააგდეს ორმოში და ქვები დაუშინეს. მიხვდა, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა...

დენიმ მის გვერდით მიწაზე დაცემული ქვის ხმა გაიგონა. მერე მეორე ქვა დაეცა, მერე — მესამე. აიხედა და ორმოს თავზე ბიჭები დაინახა, რომლებიც ქვებს ესროდნენ. ერთი ფეხში მოხვდა, მეორე — ფერდში. დენი ორმოს კიდისკენ გაიქცა, წრებზე დადიოდა, ასასვლელს ეძებდა. ბოლოს მიხვდა, რომ ორმოს კედ-

ლები მეტისმეტად ციცაბო იყო და ვერ აცოცდებოდა, დაჯდა ტალახში და ფეხი ფეხზე გადაიღო...

ტომიმ მაშინ ამოიხედა, როცა ქვა ზურგში მოხვდა. სწრაფად გაიაზრა სიტუაცია და მიხვდა, რომ გაქცევა იყო საჭირო. ბოქლომების გაღებასა და თოკების გახსნაში დაოსტატებული იყო, მაგრამ აქ სხვაგვარად უნდა გაქცეულიყო. ამას ძალა სჭირდებოდა...

რეიგენი ფეხზე წამოხტა, ჯიბის დანა ამოიღო, ორმოს კედელზე აძვრა და ბიჭებს ეცა. დანა გახსნა და ხან ერთ ჩხუბისთავს უყურებდა, ხან — მეორეს. ცდილობდა, ბრაზი დაეოკებინა და ელოდა, პირველი რომელი დაესხმოდა თავს. მზად იყო, დანა ნებისმიერისთვის გაეყარა. როცა მათზე ერთი თავით დაბალ ბიჭზე თავდასხმა გადაწყვიტეს, შარისთავეები წინააღმდეგობას არ ელოდნენ, მაგრამ დანის დანახვაზე დაიფანტნენ და რეიგენიც შინისკენ წავიდა.

მოგვიანებით ჯიმბო იხსენებდა, რომ როცა ბიჭების დედებმა დაიჩივლეს, ბილი ჩვენს ვაჟებს დანით დაემუქრაო, ჩალმერმა მათი მხარე დაიჭირა — ბილი გარეთ გაიყვანა და სცემა.

დღორთიმ იცოდა, რომ მისი უმცროსი ვაჟი შეიცვალა და უცნაურად იქცეოდა.

„ბილი ზოგჯერ ბილი არ იყო“, — იხსენებდა მოგვიანებით, — „ხასიათი წამდაუწუმ ეცვლებოდა, თავის თავში იკეტებოდა. ზოგჯერ რაღაცას ვეტყვოდი და ხმას არ მცემდა, გეგონება, ცხრა მთას იქით ყოფილიყო. ერთ წერტილს მიშტერებოდა და ფიქრობდა. ქალაქში ისე დახეტიალობდა, მთვარეულობისას რომ იცოდა ხოლმე. სკოლის პერიოდებიდან ასე იყო. ზოგჯერ თუ მანამდე დაიჭერდნენ, სანამ სკოლიდან გასვლას მოასწრებდა, მე მირეკავდნენ, რომ მივსულიყავი და წამომეყვანა. ზოგჯერ გადიოდა და მერე მირეკავდნენ. მის საძებნელად ყველგან დავდიოდი, შუა ქალაქში მოხეტიალეს ვპოულობდი, სახლში მიმყავდა და ვეუბნებოდი: „წადი, ბილი, დაწეი“. მაგრამ ბავშვმა ისიც კი არ იცოდა, მისი საძინებელი საით იყო. შევდიოდი მის ოთახში და ვფიქრობდი, „ღმერთო! ღმერთო!“ თუ ეღვიძა, ვეკითხებოდი, როდის გაიღვიძე-მეთქი. გაოგნებული შემომხედავდა და მეკითხებოდა: „დღეს რა, სახლში დავრჩი?“ ვეტყვოდი: „არა, ბილი, დღეს სახლში არ დარჩენილხარ. არ გახსოვს, რომ მოგაკითხე? სკოლაში იყავი, მისტერ იანგმა დამირეკა და სკოლაში გამოგიარე. არ გახსოვს, შინ ერთად რომ მოვედით?“ თავს დაბნეულად დამიქნევდა და მეტყვოდა:

— ა, ჰო.

— არ გახსოვს?

— მე მგონი, დღეს რაღაც ვერ ვიყავი კარგად.

მეუბნებოდნენ, ნარკოტიკების ამბავი, მაგრამ ვიცოდი, რომ არ იყო. ბიჭი ნარკოტიკს ცხოვრებაში არ გაჰკარებია. ასპი-

რინიც კი არ დაუღევია. წამალი თუ სჭირდებოდა, სულ ჩხუბით ვასმევდი ხოლმე. ზოგჯერ თავისით მოდიოდა შინ. ტრანსში იყო. სანამ არ გამოიძინებდა, ხმას არ მცემდა. მერე გამოვიდოდა და ისევ ჩემი ბილი იყო. ვეუბნებოდი. ყველას ვეუბნებოდი, ბიჭს დახმარება სჭირდება-მეთქი“.

ართური სკოლაში დროდადრო მსოფლიო ისტორიის მასწავლებლისთვის შენიშვნების მისაცემად ჩნდებოდა. განსაკუთრებით, როცა საქმე ინგლისსა და მის კოლონიებს ეხებოდა. დროის უმეტეს ნაწილს ლანკასტერის ბიბლიოთეკაში კითხვაში ატარებდა. წიგნებიდან და საკუთარი გამოცდილებიდან უფრო მეტს იგებდა, ვიდრე ამ შეზღუდული, პროვინციელი მასწავლებლები-საგან. „ბოსტონის ჩაის სმის“ მასწავლებლისეულმა ვერსიამ არტური წყობიდან გამოიყვანა. სიმართლე კანადურ წიგნში, „მხოლოდ ფაქტები“ წაეკითხა, რომელიც ერთი მუჭა მთვრალი მეზღვაურების ამბის ყალბ პატრიოტულ ვერსიას ფარდას ხდიდა. მაგრამ ამაზე ხმა რომ ამოიღო, სიცილი დააყარეს. არტური კლასიდან გავიდა, ხითხითის ხმა ზურგსუკან მოიტოვა. ბიბლიოთეკაში დაბრუნდა — ლამაზი ბიბლიოთეკარი ქალი აქცენტის გამო არ დასცინებდა. არტურმა კარგად იცოდა, რომ სხვებიც არსებობდნენ. კალენდარში თარიღები რომ შეამოწმა, მიხვდა, რომ რაღაც ვერ იყო წესრიგში. წაკითხულისა და დაკვირვების საფუძველზე ირკვეოდა, რომ სხვებს იმდენი არ ეძინათ, რამდენიც მას. ხალხის გამოკითხვას შეუდგა.

— გუშინ რას ვშვრებოდი? — ეკითხებოდა ქეთის, ჯიშს, ჩელას ან დოროთის.

თავისი ქცევის შესახებ მათი მონათხრობი სრულიად უცნაური ეჩვენებოდა. მერე დედუქციის გზით ამოწმებდა. ერთხელ დაძინებას რომ აპირებდა, გონებაში ვიღაც სხვის არსებობა იგრძნო და თავი აიძულა, ეფხიზლა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა არტურმა, — მოვითხოვ, ამიხსნა, ვინ ხარ. გაიგონა, როგორ უპასუხა ხმამ:

— შენ თვითონ ვინ ჯანდაბა ხარ?

— მე არტური ვარ. შენ ვინ ხარ?

— ტომი.

— აქ რას აკეთებ, ტომი?

— შენ რას აკეთებ რო?

მის გონებაში კითხვა-პასუხი გაიმართა.

— აქ როგორ მოხვდი? — ჰკითხა არტურმა.

— რა ვი, აბა. შენ იცი?

— არა, მაგრამ უეჭველად უნდა გავარკვიო.

— როგორ?

— ლოგიკურად უნდა ვიმსჯელოთ. იდეა მაქვს — მოდი, მე და შენ დავიმახსოვროთ, როდის ფუხიზლობთ, შევაჯამოთ და ვნახოთ, მთელი დღე თუ გამოგვივა.

— ვა, ეგ კარგი აზრია.

— ყოველი გასული საათი, რომლის აღრიცხვასაც შეძლებ, კარადის კარზე მონიშნე. მეც ასე ვიზამ. შევკრებთ, კალენდარს შევადარებთ და ვნახავთ, მთელი დრო გვექნება აღრიცხული თუ არა, — უთხრა არტურმა.

დრო არ დაემთხვა.

ესე იგი, კიდევ სხვებიც იყვნენ.

არტური ცნობიერად გატარებულ ყოველ საათს დაკარგული დროის თავსატეხის ამოხსნაში და სხვების ძიებაში ატარებდა, რომლებიც, როგორც ჩანდა, მის სხეულსა და გონებას იზიარებდნენ. ტომისთან შეხვედრის შემდეგ ნელ-ნელა სათითაოდ აღმოაჩინა დანარჩენები — სულ ოცდასამი და კიდევ ერთი, რომელსაც სხვა ადამიანები ბილის, ან ბილს ეძახდნენ. ლოგიკური დედუქციის გზით დაადგინა, ვინ იყვნენ, როგორ იქცეოდნენ და რას აკეთებდნენ. როგორც ჩანდა, დანარჩენების არსებობის შესახებ არტურამდე მხოლოდ პატარა ქრისტიანმა იცოდა. არტურმა დაას-

კვნა, რომ მას სხვების აზრების ამოცნობა შეეძლო, როცა ისინი ცნობიერ მდგომარეობაში იყვნენ. არტური ფიქრობდა, ნეტავი, ამ უნარის განვითარება თუ შეიძლებაო. ამაზე სიტყვა ვინმე ალენს, მანიპულატორს ჩამოუგდო — ყბედს, რთული სიტუაციიდან თავის დასაძვრენად ყოველთვის მზად რომ იყო.

— ალენ, შემდეგში, როცა ცნობიერება შენს ხელთ იქნება, მინდა, რომ კარგად დაფიქრდე და ყველაფრის შესახებ მომიყვე, რაც შენ ირგვლივ ხდება.

ალენი დაჰპირდა, ვცდიო და როცა გამოვიდა, არტურს ნანახი დაწვრილებით აუწერა. არტური დიდხანს ცდილობდა, ყველაფერი ცოცხლად წარმოედგინა, სანამ ფოკუსი არ გამკვეთრდა. მერე ნებისყოფის უდიდესი დაძაბვით მოვლენების ალენის თვალთ დანახვა შეძლო. თუმცა აღმოაჩინა, რომ ეს მხოლოდ მაშინ ხერხდებოდა, როცა ყურადღების კონცენტრირებას ახდენდა და ფხიზლობდა. მაშინაც კი, თუ ცნობიერება ჩართული არ ჰქონდა. ასე მიაღწია თავის პირველ ინტელექტუალურ ტრიუმფს — გონების გამარჯვებას.

არტურმა გააცნობიერა, რომ რადგან ცოდნას მხოლოდ ის ფლობდა, დიდ, ჭრელ ოჯახზე პასუხისმგებლობაც მას ეკისრებოდა. ყველას ერთი სხეული ჰქონდა და რაღაც უნდა მოემოქმედებინა, რომ ამ ქაოტურ სიტუაციაზე წესრიგი დაემყარებინა. რადგან დავალების უემოციოდ შესრულების უნარი მხოლოდ მას შესწევდა, აუცილებლად მოიფიქრებდა რაღაცას და სამართლიან, პრაქტიკულ და, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკურ გამოსავალს იპოვიდა.

დერეფნებში მოხეტიალე, გაბრუებულ ბილის სკოლაში ბავშვები დასცინოდნენ. ხედავდნენ, როგორ ესაუბრებოდა თავის თავს, ზოგჯერ პატარა გოგოსავით როგორ იქცეოდა და გადაეკიდნენ. ერთ ცივ საღამოს შესვენებაზე სკოლის ეზოში რამ-

დენიმე ბიჭი აუხირდა. ვიღაცამ ქვა ესროლა და ფერდში მოარტყა. ჯერ ვერ მიხვდა, რა მოხდა, მაგრამ იცოდა, რომ გაბრაზების უფლება არ ჰქონდა — ჩალმერი დასჯიდა. რეიგენი შემობრუნდა და მოცინარ ბიჭებს მიაშტერდა. ახლა მეორე ბიჭმა აიღო ქვა და ესროლა, მაგრამ რეიგენმა ქვა დაიჭირა, ბიჭს უკან გაუქანა და თავში მოარტყა. გაოცებულმა ბიჭებმა უკან დაიხიეს. რეიგენმა ჯიბიდან ზამბარიანი დანა ამოიღო და მიუახლოვდა. ბიჭები გაიქცნენ. რეიგენი იდგა და აქეთ-იქით იყურებოდა. ცდილობდა გაეგო, სად იყო და აქ როგორ მოხვდა. დანა დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და იქაურობას გაეცალა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რა ხდებოდა. სამაგიეროდ, მის სიფიცხესა და ბრაზს არტური აკვირდებოდა, რომელიც რეიგენის არსებობის მიზეზს მიხვდა. ესმოდა, რომ რეიგენის უეცარ ემოციურ აფეთქებებს კონტროლი სჭირდებოდა. მაგრამ სანამ რეიგენი თვითონ გაეცნობოდა, მანამდე მისი შესწავლა და გაგება იყო საჭირო. ყველაზე ძალიან ის აოცებდა, რომ რეიგენი სლავური აქცენტით ფიქრობდა. არტური სლავებს პირველ ბარბაროსებად თვლიდა. რეიგენის სახით საქმე ბარბაროსთან ექნებოდა. სახიფათო პიროვნება იყო, მაგრამ ხიფათის დროს — საჭირო. მის ძალას მიზანმიმართული კონტროლი ესაჭიროებოდა. არტურს მოთმინებით უნდა მოეცადა და მაშინ დაკავშირებოდა, როცა იგრძნობდა, რომ ამის დრო დადგა. რამდენიმე კვირის შემდეგ „კევინი“ მეზობლის ბავშვებთან ტალახის გორახებით ბრძოლაში რამდენიმე „მაგარ ბიჭს“ შეუერთდა. ბრძოლის ველი დიდი სამშენებლო ორმოს უკან მდებარე ტალახის გორა იყო. კევინი უხეში იყო და ყოჩაღი. როცა აცილებდა, უყურებდა, გორახები ტალახის ყუმბარებივით როგორ სკდებოდა და იცინოდა. მერე სადღაც გვერდიდან უცნაური ხმა მოესმა:

— დაბლა, დაბლა ესროლე!

კვეინი შეჩერდა და მიმოიხედა, მაგრამ ახლომახლო არავინ იყო. მერე ხმა ისევ მოესმა:

— დაბლა, დაბლა ესროლე!

ეს იმ ბრუკლინელი ჯარისკაცების ხმას ჰგავდა, ტელევიზორში ნანახი ფილმიდან რომ ახსოვდა.

— დაბლა უნა ესროლო ეგ ოხერი გორახები!

კვეინს თავგზა აებნა. სროლა შეწყვიტა და ტალახის გროვანგე ჩამოჯდა, რომ გაეგო, ვინ ელაპარაკებოდა.

— სად ხარ? — ჰკითხა კვეინმა.

— სად ხარ? — გაიმეორა ხმამ.

— ორმოს უკან, ტალახში.

— ჰლო? მეც.

— რა გქვია? — ჰკითხა კვეინმა.

— ფილიპი, შენ?

— კვეინი.

— ეუჰ, მაგარი სახელია.

— ჰლო? რო გხედავდე, მაგისტვის მაგარს გლეწავდი.

— სად ცხოვროფ? — ჰკითხა ფილიპმა.

— სპრინგ-სტრიტზე. შენ სადაური ხარ?

— ბრუკლინელი. ნიუ იორკელი. მარა მეც სპრინგ-სტრიტზე ვცხოვროფ.

— სპრინგ-სტრიტის ნომერი 933. თეთრი სახლი. პატრონი — ვილაც ჩალმერ მილიგანი, — თქვა კვეინმა, — ეგ მასტი „ბილის“ მეძახის.

— ვაა. მეც მანდ ვცხოვროფ. მეც ვიცნობ მაგ კლიენტს. მეც ბილის მეძახის. მარა იქ რო არ მინახიხარ?

— მეც არ მინახიხარ, — უთხრა კვეინმა.

— დაიკიდე, — უთხრა ფილიპმა, — წამო, სკოლის ფანჯრები ჩავამტვრიოთ.

– ბაზარი არ არი, – უთხრა კევინმა. სკოლისკენ გაიქცნენ და ათეულობით შუშა ჩაღეწეს.

არტურმა უსმინა, უყურა და გადაწყვიტა, რომ ამ ტიპებს აშკარად კრიმინალური მიდრეკილებები ჰქონდათ და შეიძლებოდა დიდი ხათაბალა გამოეწვიათ. რეიგენი იცნობდა ზოგიერთს, ვისთანაც სხეულს იყოფდა. ბილის, რომელიც მაშინვე გაიცნო, როდესაც თავისი არსებობა გააცნობიერა; დეივიდს, რომელიც ტკივილს იღებდა; დენის, რომელიც მუდმივ შიშში ცხოვრობდა და სამი წლის ქრისტინს, რომელსაც აღმერთებდა. მაგრამ იცოდა, რომ სხვებიც იყვნენ – ბევრნი და მათ ჯერ არ შეხვედროდა. იმ ხმებსა და მოვლენებს მხოლოდ ხუთი კაცის არსებობით ვერ ახსნიდი. რეიგენმა იცოდა, რომ იუგოსლავიელი, გვარად ვადასკოვინიჩი იყო და მისი არსებობის მიზეზი გადარჩენა და სხვების, განსაკუთრებით, ბავშვების დასაცავად ნებისმიერი საშუალების გამოყენება იყო. თავისი ძალა და საფრთხის წინასწარმეტყველების უნარი კარგად ჰქონდა გაცნობიერებული – საშიშროებას ისე გრძნობდა, როგორც ობობა თავის ქსელში დაუპატიჟებელი სტუმრის გაბმას. ყველა დანარჩენის შიშის შთანთქმა და მოქმედებად გარდაქმნა შეეძლო. აღთქმა დადო, რომ ივარჯიშებდა, თავის სხეულს სრულყოფდა და საბრძოლო ხელოვნებას დაეუფლებოდა. მაგრამ ამ მტრულ სამყაროში ეს საკმარისი როდი იყო. ქალაქის სპორტულ მაღაზიაში სასროლი დანა იყიდა. მერე ტყეში გავიდა და დანის ჩექმიდან სწრაფად ამოძრობასა და ხისთვის სროლაში ვარჯიშობდა. როცა ისე დაღამდა, რომ თვალთან თითს ვეღარ მიიტანდი, შინისკენ წავიდა. დანა ისევ ჩექმის ყელში შეინახა და გადაწყვიტა, უიარაღოდ აღარასოდეს ევლო. შინისკენ მიმავალ გზაზე უცნაური ხმა გაიგონა. ვილაც ბრიტანული აქცენტით ესაუბრებოდა. სწრაფად შემოტრიალდა, დაიხარა და დანა დააძრო, მაგრამ იქ არავინ იყო.

— შენს თავში ვარ, რეიგენ ვადასკოვინიჩ. ჩვენ ერთი სხეული გვაქვს.

არტური რეიგენს გზაში ესაუბრა, უხსნიდა, სხვების შესახებ რა იცოდა.

— შენ რა, მარტლა ჩემს თავში?

— დიახ, ასეა.

— და იცი, მე რას ვაკეტებ?

— ბოლო ხანს გაკვირდებოდი. ვფიქრობ, დანას საუცხოოდ ხმარობ, მაგრამ მხოლოდ ერთი ტიპის იარაღით არ უნდა შემოიფარგლო. საბრძოლო ხელოვნებასთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღი და ყუმბარებიც უნდა აითვისო.

— ასაფეთკებლები კარგატ არ ვიცი. ის რაგაც მავტულები და კონტაქტები არ მეხერხება.

— ამის ათვისება ტომის შეუძლია — ელექტროობას და მექანიკას შესანიშნავად ფლობს.

— ტომი ვინ არის?

— ერთხელ გაგაცნობ. თუ გადარჩენა გვინდა, ამ ქაოსიდან წესრიგი უნდა შევქმნათ.

— „კაოსი“ რატომ?

— როცა ბილი დახეტილობს და ხან ერთი პიროვნება გამოდის ხალხის თვალწინ, ხან — მეორე, ისე, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიჰყავთ და ისეთ ხათაბალაში ეხვევიან, საიდანაც დანარჩენებს მერე გამოძრომა უწევთ, ამას ქაოსს ვუწოდებ. მოვლენათა კონტროლის გზა უნდა არსებობდეს.

— არ მომცონს ბევრი კონტროლი, — თქვა რეიგენმა.

— მნიშვნელოვანია, მოვლენებისა და ადამიანების კონტროლი ისე შევძლოთ, რომ გადავრჩეთ. ეს პირველი პრიორიტეტია, — თქვა არტურმა.

— მეორე პრიორიტეტი რა არის?

— საკუთარ თავზე მუშაობა.

— გეტანხმები, — თქვა რეიგენმა.

— ერთ წიგნზე უნდა მოგიყვე, სადაც წერია, როგორ შეიძლება ადრენალინის ისე კონტროლი, რომ ძალის მაქსიმალური ზრდისკენ მივმართოთ.

რეიგენი უსმენდა, არტური კი ბიოლოგიის დარგში წაკითხული წიგნების შინაარსს უყვებოდა. ყველაზე გულდასმით თავისი იდეა გააცნო — როგორ დაეგროვებინათ შიში და როგორ გარდაექმნათ ენერგიად ადრენალინისა და ფარისებრი ჰირკვლის სეკრეციის მეშვეობით. რეიგენს არტურის უფროსობა აღიზიანებდა, მაგრამ ვერ უარყოფდა, რომ ინგლისელმა უამრავი ისეთი რამ იცოდა, თვითონ წარმოდგენა რომ არ ჰქონდა.

— ჭადრაკს თამაშობ? — ჰკითხა არტურმა.

— რა ტკმა უნდა, — უპასუხა რეიგენმა.

— მაშინ — მეფის პაიკი ენ-ზე.

რეიგენი წამით ჩაფიქრდა და უპასუხა:

— დედოპლის მხედარი სამზე.

არტურმა დაფა წარმოიდგინა და თქვა:

— აჰ, „ინდური დაცვა“. ძალიან კარგი.

არტურმა ეს ხელიც მოიგო და ყველა სხვა პარტიაც, რომელიც შემდგომში ითამაშეს. რეიგენი იძულებული იყო, ეღიარებინა, რომ როცა საქმე გონებრივ კონცენტრაციაზე მიდგებოდა, არტური მას ბევრად აღემატებოდა. თავს იმით იმშვიდებდა, რომ სამაგიეროდ, არტური ჩხუბში არაფრად ვარგოდა. მაშინაც კი ვერ იჩხუბებდა, მისი სიცოცხლე რომ ამაზე ყოფილიყო დამოკიდებული.

— შენი დაცვა გვჭირდება, — უთხრა არტურმა.

— ჩემ აზრებს როგორ კიტხულობ?

— მარტივი ტექნიკაა. ერთ დღეს შენც მოახერხებ და ისწავლი.

— ბილიმ ჩვენზე იცის?

— არა. დროდადრო ხმები ესმის და ხილვები აქვს, მაგრამ ჩვენი არსებობის შესახებ არაფერი იცის.

— არ უნდა ვუტხრატ?

— არა მგონია. ვფიქრობ, ეს ჭკუაზე შეშლის.

თავი მეცხრე

1

1970 წლის მარტში რობერტ მარტინმა, სტენბერის სკოლის ფსიქოლოგმა, აღნიშნა:

„ზოგჯერ ბილი ვერ იხსენებდა, სად იყო ან ნივთები სად დატოვა და დახმარების გარეშე სიარული უჭირდა. ასეთ დროს თვალის გუგები ქინძისთავის წვერის ზომამდე უვიწროვდებოდა. ბოლო ხანს ხშირი კონფლიქტები ჰქონდა მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან, რისთვისაც კლასიდან გააძევებდნენ ხოლმე. ბილი ითრგუნებოდა, ტიროდა და არაკომუნიკაბელური ხდებოდა. ერთხელ დაინახეს, როგორ სცადა ბილიმ მანქანას ბორბლებში ჩავარდნოდა. ამგვარი ქცევის გამო ექიმთან მიიყვანეს. დიაგნოზად „ფსიქიკური ტრანსები“ დაუდგინეს. ჩემ მიერ ჩატარებული შემოწმებისას ბილი დათრგუნული იყო, მაგრამ საკუთარ ქცევას კარგად აკონტროლებდა. შეფასებამ მამინაცვლის მიმართ ძლიერი ანტიპათია და ამის გამო მშობლიურ სახლთან მძაფრი გაუცხოება გამოავლინა. ბილი მამინაცვალს უკიდურესად ხისტ, ტირან ინდივიდად აღიქვამს, რომელსაც თანაგრძნობის უნარი არ გააჩნია. ეს წარმოდგენა მშობელთა კრებაზე ბილის დედასთან საუბრისას გადავამოწმეთ. მან გვითხრა, რომ ბილის ღვიძლმა მამამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და რომ ბილის მამინაცვალი ბილის ხშირად ადარებს მამას და ხშირად ამბობს, რომ მამის თვითმკვლელობაში ბილი და დედამისი არიან დამნაშავეები.

ჯონ იანგმა, სტენბერის სკოლის დირექტორმა, აღმოაჩინა, რომ ბილი მილიგანი გაკვეთილებს ხშირად აცდენდა და მისი ოფისის წინ, კიბეზე ან საკონფერენციო დარბაზის ბოლო რიგში იჯდა ხოლმე. იანგი მიუჯდებოდა ხოლმე ბიჭს და ესაუბრებოდა. ხანდახან ბილი გარდაცვლილ მამას ახსენებდა და ამბობდა, რომ, როცა გაიზრდებოდა, უნდოდა, კომიკოსი გამოსულიყო. უყვებოდა, რა მძიმედ იყო სახლში საქმეები. მაგრამ ხშირად დირექტორი იანგი ხვდებოდა, რომ ბიჭი ტრანსში იყო. მიიყვანდა ხოლმე მანქანასთან, ჩასვამდა და შინ მიჰყავდა. ასეთი შემთხვევები მეტისმეტად რომ მოხშირდა, დირექტორმა იანგმა ბილი ფერფილდის კონსულტაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში გაგზავნა.

ექიმმა ჰაროლდ ბრაუნმა, ფსიქიატრმა და კლინიკის დირექტორმა, ბილი მილიგანი პირველად 1970 წლის მარტში ნახა. ბრაუნმა, თხელმა, ჭაღარაბაკენბარდ ებიანმა, ნიკაპმოპარსულმა კაცმა ბიჭს დაბინდულშუშებიანი სათვალის მიღმა შეხედა. მის წინ სუფთად ჩაცმული, გამხდარი, ჯანსაღი თხუთმეტი წლის მოზარდი იჯდა. პასიური იყო — არც დაძაბული ჩანდა, არც ნერვიულობდა, მაგრამ მზერას არიდებდა.

„რბილი ხმა აქვს“, — წერდა ექიმი ბრაუნი ანგარიშში, — „თითქმის მონოტონური, გეგონება ტრანსშიაო“.

ბილი მიშტერებოდა.

— რას გრძნობ? — ჰკითხა ბრაუნმა.

— გეგონება, სიზმარში შევდივარ და გამოვდივარ. მამაჩემი ვერ მიტანს. ყვირის. ოთახში წითელი შუქი ანთია. ბაღს და გზას ვხედავ — ყვავილებს, ხეებს და არავინ არ მიყვირის. ბევრ არა-

ნამდვილ რამეს ვხედავ. ჩაკეტილი კარია, ვილაც ეჯაჯგურება, რომ გამოვიდეს. ქალი ვარდება, მერე მეტალის ფირფიტად იქცევა და ვერ ვწვდები. ერთადერთი ბავშვი ვარ, ვისაც „თრიფები“ აქვს ლშდ-ს გარეშე.

— მშობლების მიმართ რას გრძნობ? — ჰკითხა ბრაუნმა.

— მამაჩემი მგონი დედაჩემს მოკვლას უპირებს. ჩემ გამო. ჩემი გულისთვის ჩხუბობენ ხოლმე იმიტომ, რომ მამაჩემი ვერ მითანს. ისეთი კომშარები მაქვს, რომ ვერ აღწერ. ზოგჯერ უცნაური შეგრძნება მაქვს, თითქოს ისეთი მსუბუქი და ჰაეროვანი ვარ, რომ ვფიქრობ, გავფრინდები-მეთქი.

ბრაუნის პირველ ანგარიშში ვკითხულობთ:

„გაზიარებული განცდების მიუხედავად, ის რეალობას აღიქვამს. ცალსახა ფსიქოტური იდეაცია არ ვლინდება. ყურადღების გამახვილებისა და შენარჩუნების უნარი ზომიერად განვითარებული აქვს. ორიენტაციის უნარი — შენარჩუნებული, მეხსიერება — კარგი. მსჯელობის უნარი ნაწილობრივი იდეაციისა და დრამატულობისადმი მიდრეკილების გავლენით დაქვეითებული აქვს. ქცევის ფორმირებისათვის ინსაიტი საკმარისი არ არის. წინასწარი დიაგნოზი: მწვავე ისტერიული ნევროზი კონვერსიული რეაქციებით („აპა“-ს ინდექსი — 300.18).

მასწავლებლის თანახმად, რომელმაც ეს სეანსი მოგვიანებით გაიხსენა, ექიმ ბრაუნს ბილისთან არ უსაუბრია. ეს ალენი აუწერდა დევიდის ფიქრებსა და ხილვებს.

ხუთი დღის შემდეგ მილიგანი კლინიკაში წინასწარი ჩაწერის გარეშე მივიდა, მაგრამ ექიმი ბრაუნი, რომელმაც შენიშნა, რომ ის ტრანსში იყო, მიღებაზე მაინც დასთანხმდა. დააკვირდა, რომ ბიჭმა აშკარად იცოდა, სადაც იმყოფებოდა და მითითებებზე რეაგირებდა.

— დედაშენს უნდა დავურეკოთ, — უთხრა ბრაუნმა, — და ვუთხრათ, რომ საავადმყოფოში ხარ.

— კარგი, — მიუგო დევიდმა და ოთახიდან გავიდა.

რამდენიმე წუთში ალენი დაბრუნდა. ბრაუნი უყურებდა, როგორ დაჯდა ჩუმად და სივრცეს მიაშტერდა.

— რა მოხდა დღეს? — ჰკითხა ბრაუნმა.

— სკოლაში ვიყავი, — თქვა ალენმა, — სადღაც თორმეტის ნახევარი იყო. დამეძინა და სიზმარი ვნახე. რომ გამეღვიძა, „ჰიკლის“ სახურავზე ვიდექი და ქვევით ვიყურებოდი, თითქოს იქიდან გადმოხტომას ვაპირებდი. ჩამოვედი, პოლიციის სადგურში მივედი და ვუთხარი, სკოლაში დაერეკათ და ეთქვათ, რომ ჩემზე არ ენერვიულათ. მერე აქ მოვედი.

ბრაუნი დიდხანს აკვირდებოდა და ბაკენბარდებს იწიწკნიდა.

— ბილი, რაიმე ნარკოტიკს იღებ?

ალენმა თავი გაიქნია.

— ახლა ერთ წერტილს უყურებ. რას ხედავ?

— სახეებს, მაგრამ მარტო თვალები და ცხვირები და უცნაური ფერები ჩანს. ვხედავ, ხალხს ცუდი რაღაცეები როგორ ემართება. მანქანების წინ ეცემიან, კლდეებიდან ცვივიან, წყალში იხრჩობიან.

ექიმი ბრაუნი მილიგანს უყურებდა. ის კი ჩუმად იჯდა, თითქოს შინაგან ეკრანს მიშტერებოდა.

— მითხარი, სახლში რა ხდება, ბილი. ოჯახზე მომიყევი.

— ჩალმერს ჯიმი მოსწონს, მე ვეზიზღები. სულ მიყვირის. ორ ადამიანს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია. სურსათის მაღაზიაში სამსახური დაგვარგე. მინდოდა, გამოვეგდე, რომ დედასთან სახლში ვყოფილიყავი. გავითამაშე, ვითომ ღვინის ბოთლი მოვიპარე და სამსახურიდან გამათავისუფლეს.

19 მარტს ბრაუნმა შენიშნა, რომ მის პაციენტს ყელიანი სვითერი და ლურჯი პიჯაკი ეცვა, რაც თითქმის ქალის შესახედაობას აძლევდა.

სეანსის შემდეგ წერდა:

„ჩემი მოსაზრებით, მოცემული პაციენტი ამბულატორიულ მკურნალობას არ ექვემდებარება. სტაციონარული თერაპიის მიზნით კოლამბუსის სახელმწიფო საავადმყოფოს ბავშვთა და მოზარდთა განყოფილებაში მოთავსება მისთვის, შესაძლოა, სასარგებლო აღმოჩნდეს. მისი ჰოსპიტალიზაციის საკითხი ექიმ რაულჯთან უკვე შეთანხმებულია. საბოლოო დიაგნოზი: ისტერიული ნევროზი მრავლობითი პასიურ-აგრესიული მახასიათებლებითურთ“.

თხუთმეტი წლის შესრულებიდან ხუთი კვირის შემდეგ ბილი მილიგანი დოროთიმ და ჩალმერმა კოლამბუსის სახელმწიფო საავადმყოფოში „ნებაყოფლობით“ პაციენტად ჩაწერეს. ბილიმ იფიქრა, რომ ცუდი საქციელის გამო დედამ გადაწყვიტა, თავიდან მოეშორებინა, ოღონდ ჩალმერი შეენარჩუნებინა.

კოლამბუსის სახელმწიფო საავადმყოფოს კონფიდენციალური ჩანაწერებიდან:

24 მარტი, 16:00 — დაშავება ამ პაციენტსა და მეორე პაციენტს, დენიელ მ-ს შორის ჩხუბს მოჰყვა. დაზიანება — ნასერი მარჯვენა თვალს ქვემოთ. დაზიანება საძინებელი ოთახების დერეფანში დაახლოებით 16:00 საათზე გაჩაღებულმა ჩხუბმა გამოიწვია. როგორც ჩანს, უილიამი და დენიელი ჩხუბობდნენ. უილიამი გაბრაზდა და დენიელს ჩაართყა. მერე დენიელმა ჩაართყა უილიამს. პაციენტები ერთმანეთს დააშორეს.

25 მარტი — პაციენტს უპოვეს დასაკეცი დანა. მის პალატაში კი პატარა ქლიბი აღმოჩნდა. ექიმი რაულჯი პაციენტს ესაუბრა. მან განუცხადა, რომ თავის მოკვლა უნდოდა. მოთავსებულია იზოლატორში საგანგებო მეთვალყურეობის ქვეშ.

26 მარტი — პაციენტი ექიმებთან თანამშრომლობს. დროდადრო უცნაურ ხილვებს უჩივის. რეკრეაციულ ღონისძიებებში მონაწილეობა არ მიუღია. უმეტესად მარტო იჯდა.

1 აპრილი — პაციენტი ყვიროდა, რომ კედლები მისკენ მოიწევდნენ და სიკვდილი არ უნდოდა. ექიმმა რაულჯმა იზოლატორში შეიყვანა და სიგარეტისა და ასანთის ქონის გამო შენიშვნა მისცა.

12 აპრილი — ბოლო რამდენიმე ღამის განმავლობაში პაციენტი ძილის წინ აქტიურობას იწყებს. გვეკითხება, ტრანსში ხომ არ ვართ. ამაღამ წამლის დამატებითი დოზა მოითხოვა. ავუსხენი, რომ აუცილებლად უნდა დაეძინა. პაციენტი მტრული და აგრესიული გახდა.

„ჯეისონს“ აგრესიის შემოტევები ჰქონდა. ის „წნევის სარქველის“ ფუნქციას ასრულებდა, რომელსაც ზედმეტი დაძაბულობის, ყვირილისა და კვილის გზით განმუხტვა შეეძლო. სანამ დაძაბულობის განმუხტვის საჭიროება დადგებოდა, თავის თავში იყო ჩაკეტილი. ეს ჯეისონი იყო, „სიჩუმის ოთახში“ — კოლამბუსის სახელმწიფო საავადმყოფოს იზოლატორში რომ მოათავსეს. ჯეისონი მაშინ გაჩნდა, ბილი მწლის რომ იყო. მაშინ ემოციებისგან ლამის გამსკდარიყო. მაგრამ ჯეისონს გარეთ გამოსვლის უფლება არ ჰქონდა — თუ გამოდიოდა, ბილის სჯიდნენ. აქ, კოლამბუსის საავადმყოფოში, როცა შიშმა და დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ჯეისონი ტიროდა, კიოდა, ემოციებს აფრქვევდა. ეს მაშინ მოხდა, როცა ტელევიზორში კენტის უნივერსიტეტის ოთხი სტუდენტის მკვლელობის ამბავი მოისმინა. სანიტრებმა პალატაში ჩაკეტეს. როცა არტურმა შეიტყო, რომ ჯეისონი აფეთქდა და პალატაში გამოკეტეს, გადაწყვიტა, რამე მოემოქმედებინა. აქაურობა სახლისგან არ განსხვავდებოდა — ბრაზის გამოხატვის უფლება არ ჰქონდა. თუ ერთი იფეთქებდა, დანარჩენებიც დაისჯებოდნენ. ამიტომ არტურმა ჯეისონი ცნობიერებიდან განდევნა, „არასასურველად“ გამოაცხადა და შეატყობინა, რომ მეორედ ცნობიერების ფლობის ნებას აღარ დართავდა. ის ჩრდილში, შუქს მიღმა უნდა დარჩენილიყო. დანარჩენები არტთერაპიას აქტიურად მისდევდნენ. კლიტების გახსნით თუ არ იყო დაკავებული, ტომი პეიზაჟებს ხატავდა. დენი — ნატურმორტებს. ალენი — პორტრეტებს. რეიგენმაც კი სცადა ბედი მხატვრობაში, მაგრამ გრაფიკული ნამუშევრებით შემოიფარგლა. სწორედ მაშინ აღმოაჩინა არტურმა, რომ რეიგენი დალტო-

ნიკი იყო. მერე ცალ-ცალი წინდების ამბავი მოაგონდა და დაასკვნა, რომ ისინი რეიგენმა ჩაიცვა. ქრისტინი თავის ძმას, ქრისტოფერს ყვავილებსა და პეპლებს უხატავდა. სანიტრების თქმით, ბილი მილიგანი დამშვიდებული ჩანდა და მათთან უკეთ თანამშრომლობდა. აკრძალვები შეუმსუბუქეს და როცა დათბა, გარეთ სეირნობისა და ხატვის ნება დართეს. დანარჩენები გამოვიდნენ, მიმოიხედეს, გარემო არ მოეწონათ და ისევ წავიდნენ. მხოლოდ ექიმ რაულჯის სლავური აქცენტით მოხიბლული რეიგენი დარჩა, თორაზინის მიღებაზე თანხმობა განაცხადა და ექიმის მითითებებს ემორჩილებოდა. ანტიფსიქოზურ წამლებს დამყოლი ბავშვები — დენი და დეივიდიც იღებდნენ. მაგრამ ტომი წამალს პირში იჩერებდა და მერე აფურთხებდა. არტური და სხვებიც ასე იქცეოდნენ. დენი პატარა შავკანიან ბიჭს დაუმეგობრდა, ხშირად საუბრობდნენ და ერთად თამაშობდნენ. გვიანობამდე ელვიძათ, საათობით ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რას გააკეთებდნენ, როცა გაიზრდებოდნენ. დენიმ პირველად მასთან ურთიერთობისას გაიცინა. ერთ დღეს ექიმმა რაულჯმა დენი RB-3 პალატიდან RB-4-ში გადაიყვანა, სადაც უფროსი ბიჭები იყვნენ. დენი იქ არავის იცნობდა და ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. თავის ოთახში გავიდა და ატირდა, თავს მარტოდ გრძნობდა. უცებ ვილაცის ხმა მოესმა:

— რა გატირებს?

— წადი, თავი დამანებე, — უთხრა დენიმ.

— სად უნდა წავიდე?

დენიმ სწრაფად მიმოიხედა და დაინახა, რომ ოთახში, მის გარდა, არავინ იყო.

— ვინ მელაპარაკება?

— მე. დეივიდი მქვია.

— სად ხარ?

— არ ვიცი. მე მგონი, იქ, სადაც შენ ხარ.

დენიმ საწოლის ქვეშ შეიხედა, მერე კარადაში, მაგრამ თანამოსაუბრე არსად ჩანდა.

— შენი ხმა მესმის და შენ თვითონ სადღა ხარ? — ჰკითხა დენიმ.

— აი, აქ.

— ვერ გხედავ. სად ხარ?

— თვალები დახუჭე, ახლა გხედავ, — უთხრა დეივიდმა.

დიდხანს ილაპარაკეს წარსულში მომხდარ ამბებზე, ერთმანეთი გაიცნეს. რას იფიქრებდნენ, რომ არტური იქ იყო და უსმენდა.

ფილიპი თოთხმეტი წლის ქერა პაციენტ გოგონას შეხვდა. ისეთი საყვარელი იყო, რომ მის სილამაზეს ყველა ეთაყვანებოდა. გოგონა მასთან ერთად სეირნობდა, ესაუბრებოდა, მის სექსუალურად აღგზნებას ცდილობდა, თუმცა ფილიპს მისთვის თითიც არ დაუკარებია. გოგონა უყურებდა, როგორ იჯდა ფილიპი სახატავი დაფით ხიდთან მდგარ პიკნიკის მაგიდასთან. ჩვეულებრივ, ირგვლივ არავინ იყო ხოლმე. ივნისის დასაწყისში, ერთ თბილ დღეს, მიუჯდა და უყურებდა, როგორ ხატავდა ყვავილს.

— რა კარგია, ბილი.

— ისე რა.

— ნამდვილი მხატვარი ხარ.

— ო, კარგი რა.

— არა, მართლა. აქაურ სხვა ბავშვებს არ ჰგავხარ. ისეთი ბიჭები მომწონს, მარტო ერთ რამეზე რომ არ ფიქრობენ.

გოგონამ ხელი ფეხზე დაადო.

ფილიპი უკან გახტა.

— ეი, მაგას რატომ შვრები?

— გოგოები არ მოგწონს, ბილი?

— როგორ არ მომწონს. პიდარასტი კი არ ვარ. უბრალოდ არ... მე...

— ნაწყენი ხარ, ბილი? რა მოხდა?

ფილიპი ისევ მიუჯდა.

— ეს სექსი და რაღაცები მაინცდამაინც არ მომწონს.

— ეგ როგორ?

— როგორ და... ჩვენ... კი არადა, პატარა რომ ვიყავი, კაცმა გამაუპატიურა.

გოგონამ გაოცებით შეხედა.

— მე მეგონა, მარტო გოგოს გაუპატიურება შეიძლებოდა.
ფილიპმა თავი გაიქნია.

— ეხლა სხვანაირად გეცოდინება. მცემეს და გამაუპატიურეს.
მაგან ტვინში რაღაც გადამიტრიალა. ხშირად მესიზმრება ხოლ-
მე. ჩემს ნაწილს ესიზმრება. მთელი ცხოვრება ვფიქრობდი, რომ
სექსი რაღაც მტკივნეული და ბინძურია.

— გოგოსთან მუდმივი სექსი არ გქონია?

— მუდმივი სექსი არავისთან არ მქონია.

— არ გეტკინება, ბილი.

ფილიპი გაწითლდა და გვერდზე გაიწია.

— წამო, ვიცურაოთ, — უთხრა გოგონამ.

— ჰო, კარგი აზრია, — მიუგო ფილიპმა, წამოხტა, გაიქცა და
წყალში ჩახტა. ფრუტუნით რომ ამოყვინთა, დაინახა, რომ გოგო-
ნას კაბა ნაპირზე ეგდო და წყალში შიშველი შემოდიოდა.

— ვახ, ჩემი! — თქვა ფილიპმა და ფსკერისკენ ჩაყვინთა.

როცა ამოყვინთა, გოგონა მასთან მიცურდა და მკლავები შე-
მოჭხვია. ფილიპმა იგრძნო, როგორ შემოეჭდო წყალში მისი ფე-
ხები, მკერდზე მისი ძუძუები ედებოდა. ხელს ნელ-ნელა ქვევით
უცურებდა.

— არ გეტკინება, ბილი, — უთხრა გოგონამ, — გპირდები.

გოგონა წყალს ცალ ხელს უსვამდა. ცურვა-ცურვით წყალში
ნახევრად ჩაძირულ დიდ ქვასთან მიიყვანა. ფილიპი გოგონას
მიჰყვა, ქვაზე აძვრა და გოგონამ შორტები ჩახადა. გრძნობდა,
რა მოუქნელად ეხებოდა. ეშინოდა, თვალებს თუ დახუჭავდა,
ყველაფერი არ გამქრალიყო. გოგონა ძალიან ლამაზი იყო. არ
უნდოდა, სხვა ადგილას გაღვიძებოდა და მომხდარი აღარ ხსო-
მებოდა. უნდოდა, ეს წუთები დაემახსოვრებინა. თავს კარგად
გრძნობდა. როცა ყველაფერი დამთავრდა, გოგონა მაგრად მო-

ეხვია. სიხარულისგან ხტუნვა და ყვირილი უნდოდა. გოგონას ხელი რომ გაუშვა, წონასწორობა დაკარგა, სველ ქვაზე ფეხი დაუსხლტა და წყალში ჩავარდა. გოგონას სიცილი აუტყდა. ფილიპი თავს იდიოტად გრძნობდა, მაგრამ ბედნიერი იყო. უბიწო აღარ იყო, არც პედერასტი. ახლა უკვე მამაკაცი იყო.

19 ივნისს დედამისის მოთხოვნის საფუძველზე ექიმმა რაულ-ჯმა ბილი მილიგანი საავადმყოფოდან გამოწერა. სოციალური მუშაკის დასკვნაში ამის შესახებ ეწერა:

„გამოწერამდე ბილი თანამშრომლებითა და პაციენტებით მანიპულირებას ცდილობდა. უსიამოვნებებიდან თავს ტყუილებით იძვრენდა, რითაც ყველას რეპუტაციას ვნებდა და სინდისის ქენჯნა არ აწუხებდა. თანატოლები აგდებულად ექცეოდნენ. გამუდმებული ტყუილების გამო არავინ ენდობოდა.

თანამშრომელთა რეკომენდაცია:

პაციენტის ქცევა სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა განყოფილების პროგრამას, რის გამოც პაციენტი გამოწერილ იქნა. რეკომენდირებულია მკურნალობის ამბულატორიულ რეჟიმში გაგრძელება და მშობელთა კონსულტირება.

მკურნალობა:

თერაპიის, 25 მგ. დღეში.

შინ დაბრუნებულმა დათრგუნულმა დენიმ პატარა ნატურმორტი დახატა ზომებით 9X11 — დამჭკნარი ყვითელი ყვავილი გატეხილ ლარნაკში, მოლურჯო-მოშავო ფონზე. კიბებზე ავიდა, რომ ნახატი ბილის დედისთვის ეჩვენებინა, მაგრამ გაშრა — კიბებზე ჩალმერი იდგა. ნახატი გამოართვა, დახედა და იატაკზე დააგდო.

— იტყუები, შენი დახატული არ არის, — უთხრა ჩალმერმა.

დენიმ ნახატი აიღო, ცრემლები ჩაყლაპა და სახელოსნოში წაიღო. მერე ცხოვრებაში პირველად ხელი მოაწერა: „დენი, '70“. ტილოს უკანა მხარეს მიაწერა:

მხატვარი — დენი.

„სიკვდილი მარტოობაში“.

თარიღი — 1970.

ამ დღიდან მოყოლებული, ტომისა და ალენისგან განსხვავებით, რომლებიც ნამუშევრებით თავის მოწონებას ცდილობდნენ, დენის აღარასდროს გამოუხატავს ნატურმორტების ვინმესთვის ჩვენების სურვილი. 1970 წლის შემოდგომაზე ბილიმ ლანკასტერის კოლეჯში ჩააბარა. კოლეჯი ლანკასტერის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე უწესრიგოდ გაფანტული შუშისა და ბეტონის თანამედროვე ნაგებობების კომპლექსი იყო. ბილი ცუდად სწავლობდა. სკოლაც სძულდა და მასწავლებლებიც. არტური გაკვეთილებს ხშირად აცდენდა და ბიბლიოთეკაში სამედიცინო ლიტერატურას ეცნობოდა. განსაკუთრებით ჰემატოლოგიამ გაიტაცა. ტომი თავისუფალ დროს მოწყობილობების შეკეთებასა და გაქცევის ოსტატობის დაუფლებაში ატარებდა. ამ დროისათვის უკვე ვერანაირი თოკი ვერ იჭერდა. შეეძლო ნებისმიერი კვანძი გაეხსნა ან ნებისმიერი ყულფიდან გამოეძვრინა ხელები. ხელბორკილები შეიძინა და ავტოკალმის გატეხილი თავსახურით ხსნიდა. გონებაში ჩაინიშნა, რომ ყოველი შემთხვევისთვის სჯობდა, თან მუდამ ორი გასაღები ჰქონოდა — ერთი წინა ჯიბეში, ერთი უკანაში, რომ, როგორც არ უნდა შეებორკათ, ერთს მაინც მისწვდომოდა. 1971 წლის იანვარში ბილიმ სურსათის მაღაზიაში დაიწყო მუშაობა ნახევარ განაკვეთზე. გადაწყვიტა, პირველი ხელფასის ნაწილით ჩალმერისთვის ხორცი ეყიდა. საშობაო არდადეგებზე საქმე კარგად მიდიოდა. ფიქრობდა, რომ თუ მამინაცვლის მიმართ ყურადღებას გამოხატავდა, შეიძლებოდა ჩალმერს მასზე თავდასხმა შეეწყვიტა. უკანა კიბეზე რომ ავიდა, დაინახა, რომ სამზარეულოს კარი ანჯამებიდან ჩამოეგლიჯათ. სამზარეულოში ბებია და ბაბუა მილიგანები ისხდნენ. ქეთი, ჩელა და ჯიმიც იქ იყვნენ. დედას თავზე სისხლიანი პირსახოცი ეხვია. სახე ჩალურჯებული ჰქონდა.

— ჩალმერმა კარზე მიანარცხა, — თქვა ჯიმმა.

— თმა დააგლიჯა, — დაამატა ქეთიმ.

ბილის ხმა არ ამოუღია. დედას შეხედა, ხორცი მაგიდაზე დაახეთქა, ოთახში გავიდა და კარი დაკეტა. დიდხანს იჯდა სიბნელეში თვალდახუჭული, ცდილობდა გაეგო, რატომ სუფევდა ამ ოჯახში ამდენი ტკივილი და ტანჯვა. ჩალმერი რომ მომკვდარიყო, ყველა პრობლემა მოგვარდებოდა. სიცარიელის გრძნობა დაეუფლა...

რეიგენმა თვალები გაახილა. დაუოკებელ რისხვას გრძნობდა. რაც ჩალმერმა დენის, ბილის და ახლა ბილის დედას გაუკეთა, ამისთვის უნდა მომკვდარიყო.

ნელა წამოდგა და სამზარეულოში გავიდა. სასტუმრო ოთახიდან მოგუდული საუბრის ხმა ესმოდა. უჯრა გამოაღო, სადაც დანებს ინახავდნენ. ექვსდუმიანი ხორცის საჭრელი დანა გამოიღო, პერანგში ჩაიხურა და ოთახში გაბრუნდა. დანა ბალიშის ქვეშ შედო, დაწვა და ცდა დაიწყო. დასაძინებლად რომ დაწვებოდნენ, გამოვიდოდა და ჩალმერს გულში გაუყრიდა. ან ყელს გამოსჭრიდა. იწვა და გონებაში რეპეტიციას გადიოდა, ელოდა, სახლში სიჩუმე როდის ჩამოწვებოდა. თორმეტ საათზე ჯერ კიდევ ეღვიძათ და ლაპარაკობდნენ. ჩაეძინა.

ალენი დილის შუქმა გააღვიძა. წამოხტა, არ იცოდა, სად იყო და რა მოხდა. სწრაფად შევიდა აბაზანაში და რეიგენმა უთხრა, რას გეგმავდა. აბაზანიდან გამოსულს ოთახში დოროთი დახვდა. მისი ლოგინის გასწორება დაეწყო. ხელში დანა ეჭირა.

— ბილი, ეს რა არის?

მან მშვიდად შეხედა და მონოტონური ხმით უთხრა:

— მის მოკვლას ვაპირებდი.

დაბალი, უემოციო ხმის გაგონებაზე დოროთიმ სწრაფად ამოხედა.

— რააა?

ალენი მიაჩერდა.

— მადამ, წესით და რიგით, თქვენი ქმარი ამ დილას უკვე ყელ-გამოჭრილი უნდა ყოფილიყო.

დოროთი გაფითრდა და ხელი ყელზე იტაცა.

— ღმერთო, ბილი, რას მეუბნები?

ხელები ჩასჭიდა და შეანჯღრია, ჩუმად სისინებდა, რომ არავის გაეგონა.

— მაგას ნუ ამბობ. მაგას ნუ ფიქრობ. გესმის თუ არა, რა მოგივიდოდა? რა გეშველებოდა?

ალენმა შეხედა და მშვიდად უთხრა:

— შენს თავს შეხედე. ნახე, შენ თვითონ რა მოგივიდა.

მერე გატრიალდა და გავიდა.

გაკვეთილზე ბილი ცდილობდა, ბავშვების დაცინვა და ხითხითი არ შეემჩნია. უკვე ყველამ იცოდა, რომ ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობდა. კლასელები ხითხითებდნენ და საჩვენებელ თითს საფეთქელთან იტრიალებდნენ. გოგოები ენას უყოფდნენ, შესვენებაზე კი ტუალეტთან გარშემოეხვივნენ.

— მოდი აქ, ბილი, რაღაც უნდა გიჩვენოთ.

იცოდა, რომ აღიზიანებდნენ, მაგრამ გოგონებისთვის უარის თქმის რცხვენოდა. ტუალეტში შეათრიეს და წინ გადაუდგნენ, იცოდნენ — თითს არ დააკარებდა.

— მართლა ვაჟიშვილი ხარ, ბილი?

ბილი გაწითლდა.

— გოგოსთან არ ხარ ნამყოფი?

ბილიმ არ იცოდა, საავადმყოფოში ფილიპს რა თავგადასავალი გადახდა და თავი გაიქნია.

— ალბათ ცხოველებთან უცდია ფერმაში.

— ცხოველებს ეთამაშები ხოლმე ფერმაში, ბილი?

სანამ გონს მოეგებოდა, კედელთან მიაყენეს და შარვლის ჩახდა დაუწყეს. ბილი ასრიალდა და იატაკზე დაეცა, ცდილობდა, შარვლისთვის ხელი არ გაეშვა, მაგრამ გოგოებმა შარვალი გახადეს, გაიქცნენ და გოგოების ტუალეტის იატაკზე ტრუსებისამარა დატოვეს. ბილი ატირდა. ტუალეტში ერთ-ერთი მასწავლებელი ქალი შევიდა. რომ დაინახა, გავიდა და ცოტა ხანში დაბრუნდა, ხელში მისი შარვალი ეჭირა.

— ის გოგოები საცემები არიან, ბილი, — თქვა მან.

— მე მგონი, ბიჭებმა წააქეზეს, — უთხრა ბილიმ.

— ამხელა ღონიერი ბიჭი ხარ, ამის გაკეთება როგორ დაანებე? — უთხრა ქალმა.

ბილიმ მხრები აიჩეჩა:

— აბა, გოგოს ხომ არ დავარტყამდი?

და გალასლასდა. იცოდა, კლასელ გოგოებს ველარ დაენახებოდა. დერეფნებში დაეხეტებოდა. სიცოცხლის გაგრძელებაში აზრს ველარ ხედავდა. აიხედა და დაინახა, რომ მუშებს სახურავზე ასასვლელი ღია დაეტოვებინათ. იცოდა, რაც უნდა ექნა. ციოდა. დაჯდა და წიგნის პირველ გვერდზე მიაწერა:

„მშვიდობით. მაპატიეთ, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია“.

წიგნი სახურავის კიდებზე დადო და უკან დაიხია, რომ გადასახტომად მანძილი აეღო. მოემზადა, ღრმად ჩაისუნთქა და გაიქცა...

სანამ სახურავის კიდეს მიაღწევდა, რეიგენი სწვდა და ძირს დაანარცხა.

— ახლოს კი იყო, ღმერთმანი, — წაიჩურჩულა არტურმა.

— რა ვუკოტ? — ჰკითხა რეიგენმა, — ამის დატოვება საშიში არის, კველგან რომ ასე დაბოდიხალობს.

— ყველა ჩვენგანისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ასეთ დეპრესიულ მდგომარეობაში, შესაძლოა, მართლაც მოახერხოს თავის მოკვლა.

— რა ვკნათ?

— დავაძინოთ.

— როგორ?

— დღეიდან ბილი ცნობიერებას აღარ უნდა ფლობდეს.

— ვინ შეუდგლია ეს აკონტოლოს?

— შენ ან მე. პასუხისმგებლობა უნდა გავინაწილოთ. დანარჩენებს შევატყობინებ, რომ ცნობიერება ბილის არამც და არამც არ უნდა ჩააბარონ. როცა სიტუაცია მეტ-ნაკლებად უსაფრთხო გახდება, მოვლენებს მე გავაკონტროლებ. თუ საშიშ გარემოში მოვხვდებით, შენ მიხედავ საქმეს. მე და შენ გადავწყვეტთ, ვინ შეიძლება ან არ შეიძლება ცნობიერება მართოს.

— გეტანხმები, — უთხრა რეიგენმა. წიგნის ფურცელს დახედა, სადაც ბილის წერილი დაეტოვებინა. ფურცელი ამოხია, ნაკუწ-ნაკუწ დახია და ქარს გაატანა.

— მე ვიკნები დამცველი, — თქვა მან, — ბილისგან არ იკო სცორი, ბავშვების სიცოცხლე რომ ხიპატში ჩააგდო.

მერე დაფიქრდა.

— ვინ ილაპარაკებს? ხალხი ეცინებათ, როცა ესმიტ ჩემი აკცენტი. შენიც აკცენტი.

არტურმა თავი დაუქნია.

— ამაზე მეც ვიფიქრე. ალენს, როგორც ირლანდიელები იტყოდნენ, „დაბადებიდან გატლუკილი ენა გამოჰყვა“. ჩვენ ნაცვლად მას შეუძლია ისაუბროს. ვფიქრობ, თუკი კონტროლის შენარჩუნებასა და საიდუმლოს გარესამყაროსგან დამალვას შევძლებთ, გადავრჩებით.

არტურმა საკითხი ალენს გააცნო. მერე ბავშვებს დაელაპარაკა და ეცადა, მათთვის აეხსნა, რა ხდებოდა.

— წარმოიდგინეთ, — უთხრა მან, — რომ უამრავი ხალხი, მათ შორის ისინიც, ვისაც ჯერ არ შეხვედრიხართ, ბნელ ოთახშია

თავმოყრილი. ოთახის ცენტრში, იატაკზე, სინათლის კაშკაშა ლაქა ანათებს. ვინც მას დააბიჯებს, გარე სამყაროში გამოდის და ცნობიერების მართვის სადავეებს იღებს ხელთ. სხვა ადამიანები ამ პიროვნებას ხედავენ, მისი საუბარი ესმით და მას ელაპარაკებიან. დანარჩენებმა ამ დროს ჩვენ-ჩვენს საქმეებს მივხედოთ, ვიმეცადინოთ, დავიძინოთ, ვისაუბროთ ან ვითამაშოთ. მაგრამ ვინც გარეთ გამოვა, ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ სხვების არსებობაზე არაფერი წამოსცდეს. ეს ოჯახის საიდუმლოებაა.

ბავშვებმა ყველაფერი გაიგეს.

— ძალიან კარგი, ალენ, კლასში დაბრუნდი, — თქვა არტურმა.

ალენი შუქზე გამოვიდა, წიგნები აიღო და ქვევით ჩავიდა.

— კი მაგრამ, ბილი სადღაა? — იკითხა ქრისტინმა. დანარჩენები არტურის პასუხს ელოდნენ.

არტურმა თავი სევდიანად გაიქნია, თითი ტუჩებზე მიიღო და ჩურჩულით თქვა:

— მისი გაღვიძება არ შეიძლება. ბილის სძინავს.

თავი მეთე

1

აღენმა ლანკასტერის ყვავილების მაღაზიაში სამსახური იშოვა და საქმეს ყოჩაღად შეუდგა. უმეტესად ტიმოთი შრომობდა, რომელსაც ყვავილები უყვარდა, თუმცა ყვავილების განაწილების დრო რომ დგებოდა, დროდადრო ადაღანა გამოდიოდა. აღენმა მაღაზიის მეპატრონე დაარწმუნა, ვიტრინაში მისი ნახატები ჩამოეკიდა და თუ რომელიმე გაიყიდებოდა, მიღებული თანხიდან პროცენტს მისცემდა. ნამუშევრებით ფულის გაკეთების იდეა ტომისაც დაუჯდა ჭკუაში და პირველი ნახატის გაყიდვის შემდეგ ადრინდელზე ბეჯითად დაიწყო მუშაობა. ფულის ნაწილს საღებავისა და ფუნჯების საყიდლად ინახავდა. ათეულობით პეიზაჟი დახატა, რომლებიც აღენის პორტრეტებსა და დენის ნატურმორტებზე უფრო სწრაფად იყიდებოდა. ივნისის ერთ პარაკვევ საღამოს, მაღაზია რომ დაკეტეს, მეპატრონემ, შუახნის კაცმა, ტიმოთის თავის კაბინეტში დაუძახა და ხელების ფათური დაუწყო. შეშინებული ტიმოთი შუქიდან გავიდა და თავის სამყაროში ჩაიკეტა. დენიმ თვალები გაახილა და მიხვდა, ის კაცი რასაც უპირებდა. დენის ფერმაში მომხდარი გაახსენდა, იყვირა და გაიქცა. ორშაბათს ტომის ერთი სული ჰქონდა, ენახა, მისი ნახატები ხომ არ გაიყიდა, თუმცა მაღაზია ცარიელი დახვდა. მაღაზიის მეპატრონე სხვაგან გადასულიყო, მისამართიც კი არ დაეტოვებინა და მთელი ნახატები თან წაეღო.

— წყეულო ძაღლიშვილო! მე შენ გიჩვენებ, შე ნაბიჭვარო, შენა! — უყვირა ტომიმ ცარიელ ვიტრინას.

ქვა აიღო, ვიტრინას ესროლა და ცოტა მოეშვა.

— კველაპერი მაგ ტკვენი დამპალი კაპიტალისტური სისტემის ბრაღია, — თქვა რეიგენმა.

— ამაში ლოგიკას ვერ ვხედავ, — თქვა არტურმა. — კაცს აშკარად შეეშინდა, მისი ჰომოსექსუალობა არ გახმაურებულყო. ერთი შეშინებული კაცის უზნეობას ეკონომიკურ სისტემასთან რა კავშირი აქვს?

— ეს არის სარგებლის მიგების მოტივი. ეგ ტომივიტ ახალგაზრდების ტვინებს ცამლავს.

— ღმერთმანი, არ ვიცოდი, კომუნისტი თუ იყავი.

— ერთ დგეს კველა კაპიტალისტი საზოგადოებები იკნება განადგურებული, — თქვა რეიგენმა, — ვიცი, რომ შენ კაპიტალისტი, არტურ, მაგრამ მე შენ გაპრტხილებას მოგცემ. მტელი ძალაუპლება არის ხალხის.

— კარგი, თუ გინდა, ასე იყოს, — უთხრა არტურმა გაბებრებული ხმით, — მაგრამ ასეა თუ ისე, მაღაზია დაიხურა და ვინმეს ახალი სამსახურის პოვნა მოუწევს.

ალენი ლანკასტერის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ჰომოსტედის თავშესაფარში მოეწყო ღამის მორიგედ. ეს თანამედროვე აგურის შენობა იყო ფართო შუშაბანდში მოწყობილი ვესტიბიულით, რომელიც მუდმივად წინსაფარაფარებული, ბორბლებიან სავარძლებში მსხდარი მოხუცებულებით იყო სავსე. ძირითადად, შავი სამუშაო ჰქონდა, რომელსაც მარკი ულაპარაკოდ ასრულებდა — იატაკებს ხვეტდა და აპრიალებდა, თეთრეულს ცვლიდა და ღამის ქოთნები გაჰქონდა. არტურს ყველაზე მეტად საქმის სამედიცინო ასპექტები აინტერესებდა. როცა ნახა, რომ მედდებისა და სანიტრების უმეტესობა საქმეს უგულისყუროდ ეკიდებოდა — ბანქოს თამაშობდნენ, კითხულობდნენ ან თვლემდნენ, შემოვლას თვითონ აკეთებდა და ავადმყოფებსა და მომაკ-

ვდავებს უვლიდა. მათ ჩივილს უსმენდა, გაღიზიანებულ ნაწოლებს უმუშავებდა. ამ საქმეს თავის ბედისწერად მიიჩნევდა. ერთ საღამოს, როცა უყურა, როგორ წმენდდა მუხლებზე დაჩოქილი მარკი ახლადგათავისუფლებული ოთახის იატაკს, არტურმა თავი გაიქნია.

— მთელ შენს ცხოვრებას ამაზე ხარჯავ — შავ სამუშაოზე. წყეული მონური საქმე. ამას ხომ ზომბიცი გააკეთებდა.

მარკმა ჯერ თავის ჩვარს დახედა, მერე — არტურს და მხრები აიჩეჩა.

— ბედისწერა რომ აკონტროლო, ბრწყინვალე გონებას უნდა ფლობდე. გეგმით განსაზღვრული საქმის შესრულებას სულელიც მარტივად გაართმევს თავს.

არტურმა წარბები ასწია. რას წარმოიდგენდა, მარკს მოვლენებში ასეთი ღრმა წვდომის უნარი თუ ექნებოდა. მაგრამ იმის ხილვა, თუ როგორ იკარგებოდა ინტელექტის ნაპერწკალი უაზრო შრომაში, კიდევ უფრო დამთრგუნველი იყო. არტურმა თავი გაიქნია და პაციენტების დასახედად გასწია. იცოდა, რომ მისტერ ტორვალდი კვდებოდა. მოხუცის ოთახში შევიდა და ლოგინთან მიუჯდა. გასულ კვირას ყოველდღე ასე იქცეოდა. მისტერ ტორვალდი უყვებოდა, როგორ გაატარა ახალგაზრდობა ბებერ ინგლისში, როგორ ჩამოვიდა მერე ამერიკაში და როგორ დასახლდა ოჰაიოს მიწაზე. მღვრიე, ქუთუთოებდამძიმებული თვალები დაახამხამა და ძლივს გასაგონად წაილაპარაკა:

— დავბერდი, ლაქლაქი დამჩემდა.

— რას ბრძანებთ, სერ, — უთხრა არტურმა, — ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ბრძენ, გამოცდილ, ხანდაზმულ ადამიანებს აუცილებლად უნდა მოუსმინო. თქვენი ცოდნა, რომელსაც წიგნებში ვაცი ვერ აღწერს, ახალგაზრდებს უნდა გაუზიაროთ.

მისტერ ტორვალდმა გაიღიმა.

— კარგი ბიჭი ხარ.

— ძალიან გტკივით?

— საწუწუნო აბა რა მაქვს. კარგი ცხოვრება გამოვიარე. სიკვდილისთვის მზად ვარ.

— არტურმა ხელი დამდნარ მკლავზე დაადო.

— ღირსეულად კვდებით. მამაჩემი რომ ყოფილიყავით, ვიამაყებდი.

მისტერ ტორვალდმა დაახველა და თითი ცარიელი დოქისკენ გაიშვირა.

— არტური წყლის მოსატანად გავიდა და, რომ დაბრუნდა, დანახა, რომ მისტერ ტორვალდი გაყინული მზერით ჭერს მიხერებოდა. არტური წუთით ჩუმად იდგა და მოხუცის მშვიდ სახეს უმზერდა. მერე შუბლზე ჩამოწეწილი თმა უკან გადაუყარა და თვალები დაუხუჭა.

— ალენ, — წაიჩურჩულა მან, — მედდებს დაუძახე. უთხარი, რომ მისტერ ტორვალდი გარდაიცვალა.

ალენი შუქზე გამოვიდა და საწოლის თავზე დამონტაჟებულ ღილაკს თითი დააჭირა.

— ჰო, ასე უნდა განხორციელდეს პროცედურა, — დაიჩურჩულა არტურმა და უკან გადგა.

ალენს წამით მოეჩვენა, რომ არტურს განცდებისგან ხმაში ხრინწი შეეპარა. მაგრამ იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. სანამ ალენი რამის კითხვას მოასწრებდა, არტური გაქრა.

ჰოუმსტედში მუშაობამ სამ კვირას გასტანა. ადმინისტრაციამ აღმოაჩინა, რომ მილიგანი სულ რაღაც თექვსმეტი წლის იყო და შეატყობინა მას, რომ ღამის ცვლაში მუშაობისათვის მეტისმეტად ახალგაზრდა იყო. სამსახურიდან დაითხოვეს.

შემოდგომის სემესტრის დაწყებიდან ორიოდ კვირაში ჩალმერმა თქვა, რომ შაბათს ბილი ფერმაში უნდა წაჰყოლოდა და

ბალახი მოეთიბა. ტომი უყურებდა, ჩალმერმა საბარგო მანქანაზე ახალი გაზონსაკრეჭი ორი საბჯენის დახმარებით როგორ აიტანა.

— მე რალასთვის გჭირდება? — ჰკითხა ტომიმ.

— სისულელეებს ნუ მეკითხები. მოდიხარ. ჭამა თუ გინდა, უნდა იმუშაო კიდევ. ვინმე მჭირდება, ფოთლები რომ მოფოცხოს, სანამ გავთიბავ. სხვაში მაინც არაფერში ვარგინხარ.

ტომი უყურებდა, როგორ დაამაგრა საბარგულზე ტრაქტორი ჩალმერმა და როგორ დააბა ბერკეტი, რომ არ ამოვარდნილიყო.

— აიღე ეგ წყეული საბჯენები და მანქანაში ჩააწყვე.

„აუჰ“, — გაიფიქრა თავისთვის ტომიმ, — „მიდი და შენ თვითონ ჩააწყვე“. და შუქიდან გავიდა.

დენი იდგა და უკვირდა, ჩალმერი რას მომშტერებიაო.

— ჰა, ჩააწყვე ეგ საბჯენები, შე რეგვენო.

დენი ორ ვეებერთელა საბჯენს შეეჭიდა, რომლებიც თოთხმეტი წლის ბიჭისთვის მეტისმეტად მძიმე იყო.

— დოყლაპია ნაბიჭვარი ესა, — თქვა ჩალმერმა. ხელი ჰკრა და საბჯენები თვითონ ჩაალაგა.

— ჩაჯექი, სანამ გაგხიე ცემაში.

დენი სკამზე აძვრა და თავი მიაბრუნა, მაგრამ ესმოდა, როგორ გახსნა ჩალმერმა ლუდის თუნუქის ქილა. ლუდის სუნი იგრძნო და შიშის ბაფრამ ტანში დაუარა. ფერმაში რომ მივიდნენ, ჩალმერმა დენი პირდაპირ სამუშაოზე, ფოთლების მოსაფოცხად გაგზავნა. დენის მოეშვა. ჩალმერი ბალახის კრეჭას შეუდგა. საკრეჭი რომ მიუახლოვდა, დენის შეეშინდა. ტრაქტორების ადრეც ეშინოდა. ჯერ დეივიდად იქცა, მერე — შონად. ასე იცვლებოდნენ მიყოლებით, სანამ მუშაობა არ დაასრულეს და ჩალმერმა არ უყვირა:

— დროზე, ამოალაგე საბჯენები!

დენი წაფორხილდა, ტრაქტორის ისევ ეშინოდა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოქანა საბჯენებს, რომ საბარგულიდან გადმოეთრია. საბჯენები რომ დააწყვეს, ჩალმერმა საკრეჭი ისევ საბარგულზე ააგორა. საბჯენები ისევ ზევით რომ აათრია, დენი დაელოდა, სანამ ჩალმერი ლუდის მეორე ქილას გამოცლიდა, რომ შინისკენ წასულიყვნენ. ტომი, რომელიც უყურებდა, რა ხდებოდა, შუქზე გამოვიდა. ამ დამპალმა საკრეჭმა დენი დააშინა. საკრეჭის საქმე წასული იყო. სანამ ჩალმერი თავს მოაბრუნებდა, ტომი საბარგულზე აძვრა, სამაგრი მოაძრო და ბერკეტი ნეიტრალურ სიჩქარეში ჩააგდო. ჩალმერი მძღოლის ადგილას რომ დაჯდა, ტომი ჩამოხტა და სამაგრი ბუჩქებში ისროლა. მერე წინ ჩაჯდა და დაელოდა. იცოდა, რომ ჩალმერი როგორც კი ჩვეული ბიძგით დაძრავდა მანქანას, მისი ახალი საკრეჭი გადავარდებოდა. მაგრამ ჩალმერმა ნელა დაძრა და შეუჩერებლად იარა ბრემენამდე. არაფერი არ მომხდარა. ტომიმ იფიქრა, საკრეჭი, გენერალ მილზის ყანასთან რომ შევჩერდებით, იქ გადმოვარდებო, მაგრამ ჩალმერმა ნელა დაძრა და ლანკასტერამდე იარა. „კარგი“, — იფიქრა ტომიმ, — „მაშინ პირველ წითელ შუქზე რომ გავჩერდებით, იქ გადმოვარდება“.

ეს ლანკასტერში მოხდა. შუქნიშანზე მწვანე რომ აინთო, ჩალმერმა გაზს ისე მიაჭირა, რომ საბურავების ღრჭიალი გაისმა და ტომიმ იცოდა, რომ საკრეჭი უკვე ჯანდაბაში იყო. ცდილობდა, სახეზე არაფერი შემჩნეოდა, მაგრამ არ გამოსდიოდა. ფანჯრისკენ მიბრუნდა, რომ ბებერ კუანას მისი მოღიძარი სიფათი არ დაენახა. უკან რომ გაიხედა, დაინახა, რომ პატარა ყვითელი საკრეჭი ქუჩაში ეგდო, დალეწილი. მერე დაინახა, პირდაღებული ჩალმერი უკანა ხედვის სარკეში როგორ იყურებოდა. მუხრუჭს ფეხი მიაჭირა, მანქანა გააჩერა, გადმოხტა, უკან გავარდა და ქუჩაში მიმოფანტული მეტალის ნამსხვრევების აკრეფა დაიწყო.

ტომი სიცილით იგუდებოდა.

— ჯანდაბამდე გზა გქონია, ეგ საკრეჭი დენის ან დევიდს ველა-რაფერს უზამს.

ერთი გასროლით ორ კურდღელი დაიჭირა. საკრეჭსაც მოხვდა და ჩაღმერსაც.

ბილის ნიშნების ფურცლებში სულ ორიანები და სამიანები ეწერა. სკოლაში სწავლისას ერთადერთი „ხუთიანი“ მიიღო — მეათე კლასის მესამე მეოთხედში, ბიოლოგიაში. არტური, რომელსაც ეს საგანი აინტერესებდა, გაკვეთილებზე მასწავლებელს ყურს უგდებდა და საშინაო დავალებებსაც ასრულებდა. ხალხს მის აქცენტზე რომ არ ეცინა, თავის ნაცვლად ალენს აპასუხებინებდა ხოლმე. უეცარი ცვლილებითა და ბრწყინვალე გონებით მასწავლებელი მონუსხა. მიუხედავად იმისა, რომ არტურს ბიოლოგიისადმი ინტერესი არ დაუკარგავს, სახლში საქმე ცუდად მიდიოდა და შუქზე ხან ვინ გამოდიოდა, ხან — ვინ. ბიოლოგიის მასწავლებლის სამწუხაროდ, ნაპერწკალი ჩაქრა და ბოლო ორ მეოთხედში არტური ჩაფლავდა. მან თვითგანათლებას მიჰყო ხელი. უკანასკნელ ნიშნების ფურცელში ბიოლოგიაში „სამიანი მინუსით“ ეწერა.

არტური ძალიან დაკავებული იყო — დანარჩენები სულ უფრო და უფრო ხშირად გამოდიოდნენ და გადიოდნენ შუქიდან. მენტალური არასტაბილურობის ამ პერიოდს „არეული დროის“ დიაგნოზი დაუსვა. როცა ბომბის საფრთხის გამო სკოლაში ევაკუაცია გამოცხადდა, ეჭვი ყველამ ბილი მილიგანზე მიიტანა, თუმცა ამის დამტკიცება არავის შეეძლო. ტომიმ დივერსიის ავტორობა უარყო. ბომბი ხომ მაინც ყალბი აღმოჩნდა. თუმცა მათარაში წყლის მაგივრად ნიტრატის ხსნარი რომ ყოფილიყო, ნამდვილი იქნებოდა. ტომი როდი ტყუოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ ბიჭს ასწავლა, როგორ დაემზადებინა, ნახაზიც კი უჩვენა, ბომ-

ბისტვის თვითონ ხელიც კი არ უხლია. სულელი კი არ იყო. საყოველთაო შეშფოთება და დირექტორის მწუხარე სახის დანახვა ართობდა. დირექტორი მური უამრავ პრობლემაში გაბმული კაცივით გამოიყურებოდა, ვერაფრით რომ ვერ გამკლავებოდა თავს დატეხილ უსიამოვნებებს. ერთი პრობლემა მილიგანის გარიცხვით გადაწყვიტა. ამრიგად, ჩვიდმეტი წლის შესრულებიდან ხუთი კვირის შემდეგ, ჯიმის სამხედრო საჰაერო ძალების სამსახურში შესვლიდან ერთ კვირაში ტომი და ალენი ფლოტში გაიწვიეს.

თავი მეთერთმეტე

1

1972 წლის 23 მარტს ალენი დოროთისთან ერთად სამხედრო კომისიაში მივიდა და მან და ტომიმ დოკუმენტებს ხელი მოაწერეს. დოროთის ურთიერთსაწინააღმდეგო განცდები აწუხებდა. ერთი მხრივ, ღელავდა, უმცროს ვაჟს ფლოტში რომ უშვებდა, მეორე მხრივ კი ხვდებოდა, რომ მისი შინიდან, ჩალმერისგან შორს წასვლა მნიშვნელოვანი იყო. სკოლიდან გარიცხვამ საქმე გაართულა. გაწვევის კომისიის თავმჯდომარემ ქაღალდები სწრაფად გააფორმა და კითხვების დასმას შეუდგა. კითხვებზე უმეტესად დოროთი პასუხობდა.

— ფსიქიატრიულ დაწესებულებაში თუ ყოფილხარტ ან ფსიქიკური დაავადების დიაგნოზი თუ დაუსვამთ თქვენთვის?

— არა, — უპასუხა ტომიმ, — მე არა.

— მოიცადე, — უთხრა დოროთიმ, — კოლამბუსის სახელმწიფო საავადმყოფოში სამი თვე გაატარე. ექიმმა ბრაუნმა თქვა, ისტერიული ნევროზი აქვსო.

კომისიის თავმჯდომარემ წერა შეწყვიტა და ახედა.

— აჰ, ამის დაწერა არ გვინდა. ცოტა ნევროზიანი ყველაა.

ტომიმ დოროთის გამარჯვებული სახით გადახედა.

ზოგადი განათლებისა და უნარების ტესტის ჩაბარების დრო რომ დადგა, საგამოცდო ფურცელს ტომიმაც გადახედა და ალენმაც. როცა ნახა, რომ ტესტს ტომის უნარებთან და ცოდნასთან საერთო არაფერი ჰქონდა, ალენმა გადაწყვიტა, თვითონ შეევესო.

მაგრამ ამ დროს დენი გამოვიდა, ფურცელს დახედა და არ იცოდა, რა ექნა.

კომისიის თავმჯდომარემ მისი დაბნეული სახე რომ დაინახა, უჩურჩულა:

— მიდი, ხაზებს შორის რომ ცარიელი ადგილებია, იქ უნდა გაამუქო.

დენიმ მხრები აიჩეჩა, სვეტებს წაუკითხავად ჩამოჰყვა და ხაზებს შორის გაამუქა. გამოცდა ჩააბარა.

ერთ კვირაში ალენი ილინოსის შტატში, გრეიტ ლეიკში მდებარე ფლოტის საწვრთნელი ცენტრისკენ მიმავალ გზას გაუდგა. ძირითადი საწვრთნელი პროგრამის გასავლელად ის 21-ე ბატალიონის 109-ე დანაყოფში ჩარიცხეს. რადგან მილიგანი ჯერ კიდევ კოლეჯში სამოქალაქო ავიაციის დანაყოფში ირიცხებოდა, 160 ახალწვეულის სასწავლო ბატალიონის უფროსად დანიშნეს. მილიგანი დისციპლინას მკაცრად იცავდა. როცა ალენმა გაიგო, რომ დანაყოფი, რომელიც თექვსმეტპუნქტიან განაწესს ყველაზე უკეთ შეასრულებდა, საპატიო დანაყოფი იქნებოდა, ის და ტომი ფიქრს შეუდგნენ, როგორ შეიძლებოდა დილის პროცედურების დროის შეკვეცა.

— შხაპი გამოვრიცხოთ, — შესთავაზა ტომიმ.

— წესის ამბავია, — უთხრა ალენმა, — შხაპი მაინც უნდა გადავიღონ, თუნდაც საპონს არ ხმარობდნენ.

ტომი დაჯდა და შხაპის მიღების კონვეიერული მეთოდი მოიფიქრა. მეორე დღეს ალენმა ახალწვეულებს ინსტრუქცია მისცა:

— პირსახოცს ახვევთ და მარცხენა ხელში იკავებთ. მარჯვენაში საპონის ნაჭერი გიჭირავთ. აქეთ თექვსმეტი საშხაპეა, პირდაპირ — თორმეტი, იქით — თექვსმეტი. წყლის ტემპერატურა ყველგან თანაბარია, ასე რომ, არც დაიფუფქებით და არც გაიყინებით.

აკეთებთ შემდეგს: ამ მწკრივს გაივლით და სხეულის მარცხენა მხარეს იბანთ. კუთხეს რომ მიაღწევთ, საპონი მეორე ხელში გადაგაქვთ და სიარულს განაგრძობთ. უკან ბრუნდებით და ახლა სხეულის მარჯვენა მხარეს და თავს იბანთ. ბოლო საშხაპემდე რომ მიხვალთ, მხოლოდ გადავლება და გამშრალება და დაგრჩებათ.

ახალწვეულები გაოგნებულები უყურებდნენ, როგორ ახდენდა უნიფორმაში გამოწყობილი მილიგანი თავისი გეგმის დემონსტრირებას, თან საათს დაჰყურებდა.

— ასე თითოეულს შხაპისთვის მხოლოდ ორმოცდახუთი წამი დასჭირდება. ასსამოცივემ ათ წუთზე ნაკლებ დროში უნდა გაიაროთ საშხაპეები, გამოხვიდეთ და ჩაიცვათ. მინდა, დილის შემოწმებაზე პირველი დანაყოფი ვიყოთ. საპატიო დანაყოფი უნდა გავხდეთ.

მეორე დილას მილიგანის დანაყოფი შემოწმებაზე პირველი გამოვიდა. ალენი კმაყოფილი იყო. ტომიმ უთხრა, რომ დროის დაზოგვის კიდევ რამდენიმე მეთოდზე მუშაობდა. კარგი ხელმძღვანელობისთვის მედალი გადასცეს.

ორი კვირის შემდეგ საქმე ცუდად წავიდა. ალენმა შინ დარეკა და გაიგო, რომ ჩალმერი დოროთის ისევ სცემდა. რეიგენი გაცოფდა. არტურს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, დიდად არ ანაღვლებდა. მაგრამ ტომი, დენი და ალენი ძალიან შეწუხებულები იყვნენ. დეპრესია დაეწყოთ, რამაც ისევ არეულობა გამოიწვია. შონი მარჯვენა ფეხსაცმელს მარცხენაზე იცვამდა, მარცხენას კი — მარჯვენაზე და თასმებს არ იკრავდა. დეივიდმა ფეთხუმობა დაიწყო. ფილიპმა გაიგო, სად იმყოფებოდა და ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა. 109-ე დანაყოფის წევრებმა მალე შენიშნეს, რომ მათ მეთაურს რაღაც ემართებოდა. ერთ დღეს ბრწყინვალედ ხელმძღვანელობდა, მეორე დღეს კი იჯდა და ლაქლაქებდა, ხელუხ-

ლებელი დოკუმენტები გროვად ეწყო მაგიდაზე. ახალწვეულებმა შეამჩნიეს, რომ მეთაურმა ძილში სიარული დაიწყო. ტომის ვილცამ უთხრა ამის შესახებ და მან ლამლამობით თავის საწოლზე მიბმა დაიწყო. მეთაურის პოზიციიდან რომ ჩამოაქვეითეს, ტომი დეპრესიაში ჩავარდა, დენი კი, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, ლაზარეთს აკითხავდა. არტური ჰემატოლოგიით დაინტერესდა. ერთ დღეს ფლოტმა დამკვირვებელი გამოგზავნა, რომელმაც უნიფორმაში გამოწყობილი ფილიპი საწოლზე გაშოტილი ნახა — ბანქოს შლიდა და თეთრი ქუდი ფეხებზე ედო.

— აქ რა ხდება? — იკითხა კაპიტანმა საიმონსმა.

— ფეხზე აბრძანდით, მისტერ, — თქვა მისმა თანაშემწემ.

— წადი შენი, — უთხრა ფილიპმა.

— მე კაპიტანი ვარ, როგორ ბედავთ...

— სულ ფეხებზე მკიდია, თუ გინდა იესო ქრისტე იყავი. აქედან აუდე, შენი გულისთვის უკვე წაგება დავიწყე.

ბემდეგი რომ შემოვიდა, ფილიპმა მასაც იგივე გაუმეორა.

1972 წლის 12 აპრილს, ტომის ფლოტში შესვლიდან ორი კვირისა და ოთხი დღის თავზე ფილიპი შემოწმებაზე სამედიცინო განყოფილებაში გაგზავნეს.

დანაყოფის მეთაურის ანგარიშში ეწერა:

„ეს კაცი თავიდან ჩემი მეთაური იყო, მაგრამ მერე ბრძანებების გაუთავებელი გაცემის მეტი არაფერი უკეთებია. მერე, მეთაურობიდან რომ გადააყენეს, წარამარა ლაზარეთში სიარული დაიწყო. ყოველდღე სულ უფრო და უფრო უარესად იქცეოდა, წვრთნებიდან სულ გამოძრომაზე იყო. ეს კაცი დანაყოფში ყველაზე ჩამორჩენილია და მისი საქმე სულ უკან-უკან მიდის. მას მეთვალყურეობა სჭირდება“.

ფსიქიატრი დევიდს ესაუბრა, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა. ოჰაიოდან ჩანაწერები რომ მიიღეს, ფლოტში აღ-

მოაჩინეს, რომ მილიგანი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა და, რეგისტრაციისას დოკუმენტებს რომ უფორმებდნენ, მოიტყუა. ფსიქიატრის ანგარიშში ეწერა:

„ის არასტაბილური და არასაკმარისად მომწიფებულია ფლოტში ეფექტიანი ფუნქციონირებისა და წვრთნისათვის. შეუფერებელი ხასიათის გამო რეკომენდებულია მისი ფლოტიდან გათავისუფლება“.

პირველ მაისს, ჩარიცხვიდან ერთ თვეში, უილიამ სტენლი მილიგანი აშშ-ს სამხედრო ფლოტიდან „საპატიო მიზეზით“ გარიცხეს. ხელფასი მისცეს და კოლამბუსში დასაბრუნებლად თვითმფრინავის ბილეთი უყიდეს. მაგრამ გრეიტ ლეიკსიდან ჩიკაგოს ო'ჰერის აეროპორტისკენ მიმავალ გზაზე ფილიპმა გაიგო, რომ კიდევ ორი ახალწვეული შვებულებით ნიუ-იორკისკენ მიდიოდა და თვითმფრინავის ნაცვლად ავტობუსში ჩაჯდა. ნიუ-იორკის ნახვას აპირებდა — ქალაქისა, რომელშიც დაიბადა, მაგრამ არასდროს უნახავს.

ნიუ-იორკის ავტობუსების სადგურთან ფილიპი თანამგზავრებს დაემშვიდობა, სამგზავრო ტომარა მხარზე გადაიგდო და ხეტიალს შეუდგა. ტურისტული-საინფორმაციო ცენტრიდან რუკები და ბროშურები წამოიღო და ტაიმს-სკვერისკენ გასწია. თავს შინ გრძნობდა. ქუჩები და ხმები, ყურს მშობლიურად რომ ეფონებოდა, არწმუნებდა, ჩემი ადგილი სწორედ აქ არისო. ქალაქის დათვალეირებას ორი დღე მოანდომა. სტეიტენ-აილენდის ბორნით თავისუფლების ქანდაკებასთან გადავიდა, მერე ბეტერიდან უოლ-სტრიტის ირგვლივ განლაგებულ ვიწრო ქუჩებს დაუყვა და გრინვიჩ-ვილიჯს მიადგა. ბერძნულ რესტორანში ჭამა და ღამე იაფფასიან სასტუმროში გაათია. მეორე დღეს მეხუთე ავენიუ და ოცდამეთოთხმეტე ქუჩა ნახა და „ემპაირ სტეიტ ბილდინგის“ ცქერით დატკბა. მერე ტური შეუკვეთა და ქალაქი ცათამბჯენის სახურავიდან დაათვალიერა.

— ბრუკლინი რომელ მხარეს არის? — ჰკითხა გიდს.

მან ხელი გაიშვირა.

— აი, იქით. იმ სამ ხიდს ხომ ხედავთ? — ეს უილიამსბურგის, მანჰეტენისა და ბრუკლინის ხიდებია.

— აქედან მანდ წავალ, — თქვა ფილიპმა.

ლიფტით ქვევით ჩამოვიდა, ტაქსი გააჩერა და უთხრა:

— ბრუკლინის ხიდისკენ წამიყვანეთ.

— ბრუკლინის ხიდისკენ?

ფილიპმა ტომარა ძარაში შეაგდო.

— ჰო, რა ვერ გაიგე?

— იქიდან გადმოხტომას აპირებ თუ ყიდვა გინდა? — ჰკითხა მძღოლმა.

— დაახვიე რა, დოკ. პედალს მიადგი და შენი უნიჭო ხუმრობები ჩამოსულებს შეუნახე.

მძლოლმა ხიდთან ჩამოსვა. ფილიპს გრილი ნიავი უბერავდა და სიამოვნებდა, მაგრამ შუამდე რომ მივიდა, შეჩერდა და დაბლა ჩაიხედა. წყლის ვეებერთელა მასა. ღმერთო, რა ლამაზი იყო. უეცრად სევდამ შეიპყრო. რატომ, არ იცოდა, მაგრამ ამ ულამაზესი ხიდის შუაგულში ისე დაითრგუნა, რომ ადგილიდან ვეღარ იძროდა. ტომარა მხარზე გადაიგდო და უკან, მანჭეტენისკენ გაბრუნდა. დეპრესიული განწყობა სულ უფრო უმძაფრდებოდა. როგორც იქნა, ნიუ-იორკში იყო, გუნება კი მოშხამული ჰქონდა. რაღაც უნდა ენახა, რაღაც ადგილი უნდა ეპოვა, მაგრამ არ იცოდა, რა, ან სად. ავტობუსში ავიდა. ბოლო გაჩერებამდე გაჰყვა. მერე სხვა ავტობუსზე გადაჯდა. მერე კიდევ სხვაზე. ხალხს და შენობებს უყურებდა. არ იცოდა საით მიდიოდა, ან რას ეძებდა. სავაჭრო ცენტრთან ჩამოვიდა. შუა ბაზარში „სურვილების შადრევანი“ დაინახა. ორი მონეტა ჩააგდო და მესამის ჩაგდება რომ დააპირა, სახელოზე ვიღაცამ მოქაჩა. პატარა შავკანიანი ბიჭი ქვევიდან მუდარით ასცქეროდა.

— ჯანდაბა! — თქვა ფილიპმა და მონეტა გადაუგდო.

ბიჭი გაიკრიჭა და გაიქცა. ფილიპმა ტომარა აიღო. დეპრესიამ ისე მწარედ დაუწყო ღრღნა, რომ ერთხანს ასე იდგა. მერე გააჟრჟოლა და შუქიდან გავიდა.

დევიდი ტომრის სიმძიმისგან დაბარბაცდა და ძირს დააგდო. 8-9 წლის ბიჭისთვის ძალიან მძიმე იყო, ვერ ატარებდა. ძირს დაგდებულ ტომარას ხელი მოჰკიდა. მიათრევდა, მაღაზიების ვიტრინებს უყურებდა და უკვირდა, ვერ ხვდებოდა, სად იყო და აქ როგორ გაჩნდა. პარკის სკამზე ჩამოჯდა, მიმოიხედა და მოთამაშე ბავშვები დაინახა. ინატრა, მათთან თამაში შესძლებოდა. მერე წამოდგა და ტომრის აღება მოინდომა, მაგრამ ძალიან მძიმე

იყო, ამიტომ დატოვა და წავიდა. სამხედრო-საზღვაო მაღაზიაში შევიდა და სირენები დაინახა. პლასტმასის დიდი ბურთი რომ აიღო და ღილაკს დააჭირა, სირენა აყვირდა და შიგ წითელი შუქი აინთო. გულგახეთქილმა დევიდმა ბურთი დააგდო და მოკურცხლა. გზად იქვე მიყუდებულ მენაყინის ველოსიპედს დაეჯახა. წააქცია და იდაყვიც გაიკაწრა. ერთხანს შეუსვენებლივ ირბინა. რომ ნახა, არავინ მისდევდა, სირბილი შეწყვიტა და ქუჩას გაუყვა. ფიქრობდა, შინ როგორ დაბრუნებულიყო. დოროთი ალბათ დელავდა. ამასობაში მოშვიდა. ნაყინი ინატრა. პოლიციელი რომ ეპოვა, ის ეტყოდა სახლში როგორ დაბრუნებულიყო. არტური სულ ამბობდა, თუ დაიკარგები, გზა „ბობიებს“ (ბობი — პოლიციელის მეტსახელი დიდ ბრიტანეთში.) უნდა ჰკითხოო.

ალენმა თვალები დაახამხამა.

მენაყინისგან ესკიმო იყიდა. მიდიოდა და გზადაგზა ქალაქს აცლიდა. ამ დროს დაინახა, რომ პატარა, სახეგამურული გოგო მისჩერებოდა.

— ღმერთო ჩემო, — თქვა ალენმა და ნაყინი მიაწოდა. ბავშვებზე ძალიან უჩუყდებოდა გული. განსაკუთრებით ისეთებზე, დიდი, მშიერი თვალებით რომ იყურებოდნენ.

ალენი სანაყინეში მიბრუნდა.

— მეორეც მომეცი.

— ბიჭოს, მაგრად კი გშიებია.

— მოკეტე და ნაყინი მოიტა.

ჭამა-ჭამით მიდიოდა და ფიქრობდა, რამე უნდა ვიღონო, ბავშვები თავზე ასე რომ აღარ მასხდებოდნენო. აბა, ბავშვს თავს რომელი დიდი ოინბაზი გააბრიყვებინებდა?

დახეტილობდა და დიდ შენობებს უყურებდა. ფიქრობდა, ალბათ ჩიკაგოაო. მერე ავტობუსს გაჰყვა. იცოდა, ო'ჰერის აეროპორტში მისასვლელად უკვე ძალიან გვიანი იყო. ღამის გათევა

აქ, ჩიკაგოში მოუწევდა და კოლამბუსის თვითმფრინავს დილით გაყვებოდა. უცებ შენობაზე მიკრულ ელექტრონულ ტაბლოზე წარწერა დაინახა: „5 მაისი, ტემპერატურა — 5 გრადუსი ფარენჰაიტი“. 5 მაისი? საფულე ამოიღო და დახედა. ხუთასიოდე დოლარი საშვებულებო თანხა. გათავისუფლების თარიღი — 1-ელი მაისი. ჩიკაგოდან კოლამბუსამდე თვითმფრინავის ბილეთიც 1-ელი მაისით იყო დათარიღებული. ეს რა ჯანდაბაა? ესე იგი, გათავისუფლებიდან მოყოლებული, ოთხი დღეა ჩიკაგოში ისე დაბოდილობს, რომ აზრზეც არ არის. სამგზავრო ტომარა სადღა იყო? მუცელი გვრემდა. ლურჯ უნიფორმაზე დაიხედა. ჭუჭყიანი იყო, სახელოები გამოხეული ჰქონდა, იდაყვი — გარღვეული. რა გაეწყობოდა. რამეს შეჭამდა, ღამით დაიძინებდა და დილით კოლამბუსში გაფრინდებოდა. ორიოდე ჰამბურგერი აიღო, 9 დოლარად ღამის გასათევი იპოვა. მეორე დილას ტაქსი გააჩერა და მძღოლს უთხრა, აეროპორტში წამიყვანეო.

— „ლა გუარდია“ გინდა?

ალენმა თავი გაიქნია. არ იცოდა ჩიკაგოში „ლა გუარდიას“ აეროპორტი თუ იყო.

— არა, მეორე, დიდი რთა.

აეროპორტისკენ მიმავალი მთელი გზა ცდილობდა გაეგო, რა მოხდა. თვალეები დახუჭა და არტურთან დაკავშირება სცადა. დუმილი. რეიგენი სადღა იყო? როგორც ჩანდა, დრო ისევ აირია. აეროპორტში „იუნაიტედ ერლაინზის“ დახლთან მივიდა და მოლარე ქალს ბილეთი გაუწოდა.

— როდის შემიძლია აქედან წასვლა? — ჰკითხა ალენმა.

მოლარემ ჯერ ბილეთს შეხედა, მერე ალენს.

— ეს ჩიკაგო-კოლამბუსის ბილეთია. აქედან ოჰაიომდე ამით ვერ გაფრინდებით.

— რაო?

— ჩიკაგო აწერია.

— ჰო, მერე?

ზედამხედველი მივიდა და ბილეთი შეამოწმა. ალენი ვერ ხვდებოდა, პრობლემა რა იყო.

— მეზღვაურო, ჯანზე როგორ ხარ? — უთხრა კაცმა, — ნიუ-იორკიდან კოლამბუსამდე ამით ვერ გაფრინდები.

ალენმა გაუპარსავ სახეზე ხელი ჩამოისვა.

— ნიუ-იორკიდან?

— ჰო, კენედის აეროპორტიდან.

— ვაიმე!

ალენმა ღრმად ჩაისუნთქა და სხაპასხუპით მიაყარა.

— მოკლედ, მისმინეთ, ვიღაცას შეეშალა. ხო ხედავთ, გამათავისუფლეს, — და ქაღალდები ამოიღო, — შეცდომით დავჯექი თვითმფრინავზე. კოლამბუსში უნდა გაფრენილიყო. ეტყობა ვიღაცამ ყავაში რაღაც ჩამიყარა, იმიტომ, რომ გონზე არ ვიყავი და აზრზე რომ მოვედი, უკვე ნიუ-იორკში ვიყავი. ჩანთები და ყველაფერი თვითმფრინავში დამრჩა. რამე უნდა იღონოთ. „ერლანზის“ ბრალია.

— ბილეთის გამოსაცვლელად თანხის დამატება მოგიწევთ, — უთხრა ქალმა.

— ადექით და გრეიტ ლეიკსის სამხედრო ფლოტში დარეკეთ. კოლამბუსში მაგათ უნდა დამაბრუნონ. ჩეკი მაგათ გაუგზავნეთ. სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც შინ ბრუნდება, უფლება აქვს წესიერად იმგზავროს. ჰოდა, აიღეთ ტელეფონი და ფლოტში დარეკეთ.

კაცმა შეხედა და თქვა:

— ვარგი, მოდი, აქ მოიცადეთ და ვნახავ, სამხედრო მოსამსახურისთვის რისი გაკეთება შეგვიძლია.

— ტუალეტი სად არის? — ჰკითხა ალენმა.

კაცმა მიუთითა და ალენმა სწრაფად გასწია იქით. რომ შევიდა და ნახა, იქ მის გარდა არავინ იყო, ტუალეტის რულონი აიღო, ოთახის მეორე ბოლოში მოისროლა და იყვირა.

— ჯანდაბა, ჯანდაბა, ჯანდაბა! ეშმაკმა წაიღოს, აღარ შემიძლია ამდენის ატანა!

როცა დამშვიდდა, პირი დაიბანა, თმა უკან გადაივარცხნა, თეთრი ბერეტი გვერდულად დაიხურა და მოლარეებთან მივიდა.

— ყველაფერი წესრიგშია, — უთხრა მოლარემ, — გამოვასწორეთ. ახალ ბილეთს გამოგიწერთ. ადგილი შემდეგ თვითმფრინავში დაგიჯავშნეთ. ორ საათში გადის.

კოლამბუსისკენ მიმავალ გზაზე ალენი ჯავრობდა, რომ ნიუ-იორკში ხუთი დღე ისე დაჰყო, ტაქსის ინტერიერისა და კენედის აეროპორტის მეტი არაფერი არ უნახავს. წარმოდგენა არ ჰქონდა, იქ როგორ აღმოჩნდა, დრო ვინ მოჰპარა და რა მოხდა. ფიქრობდა, ნეტავ ოდესმე თუ გავიგებო. ლანკასტერისკენ მიმავალ ავტობუსში სავარძლის საბურგებე გადაწვა და იმ იმედით, იქნებ არტურმა ან რეიგენმა გაიგონონო, ჩაიბურტყუნა:

— ვილაცამ მაგრად მაჭამა.

აღენმა „ინტერსტიტ ენჯინირინგში“ მტვერსასრუტებისა და ნაგვის გადამამუშავებელი მანქანების გამყიდველად იშოვა ადგილი. ტექნიკა კარდაკარ დაჰქონდა გასაყიდად. ლაქლაქა აღენს ერთი თვის განმავლობაში საქმე კარგად მისდიოდა. მისი თანამშრომელი, სემ გერისონი წამდაუწუმ ეპატიჟებოდა პაემნებზე მიმტანებს, მდივნებსა და კლიენტებსაც კი. აღენი მისი მიმწოლი ხასიათით აღფრთოვანებული იყო. 1972 წლის 4 ივლისს გერისონმა სხვათა შორის ჰკითხა:

— გოგოებს რატომ არ ხვდები?

— არ მცალია, — უთხრა აღენმა და შეიშმუშნა. სიტყვა სექსზე რომ ჩამოვარდებოდა, თავს სულ უხერხულად გრძნობდა.

— დიდად არც მაინტერესებს.

— გეი ხომ არა ხარ?

— არა, ხომ არ გაგიჟდი.

— ჩვიდმეტის ხარ და გოგოები არ გაინტერესებს?

— იცი რა, — უთხრა აღენმა, — თავი სხვა რამეებით მაქვს გამოტენილი.

— არ მითხრა, ქალთან არასოდეს ვყოფილვარო.

— მაგაზე არ მინდა ლაპარაკი.

აღენმა, რომელმაც ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ფილიპის თავგადასავლის შესახებ არაფერი იცოდა, იგრძნო, რომ სახე აელეწა და თავი მიაბრუნა.

— შენ რა, მართლა ვაჟიშვილი ხარ?

აღენმა არ უპასუხა.

— ჰოო, შვილო ჩემო, მაშინ მაგას რამე უნდა მოვუხერხოთ. ეგ საქმე სემს მიანდე. დღეს შვიდზე გამოგივლი სახლში.

იმ საღამოს ალენმა შხაპი მიიღო, ჩაიცვა და ბილის ძმის ოდეკოლონი დაისხა. ჯიმი ახლა საჭაერო ძალებში მსახურობდა და ოდეკოლონს არ მოისაკლესებდა.

გერისონმა მანქანით ზუსტად შვიდზე მიაკითხა და ქალაქში წაიყვანა. ბროდ-სტრიტზე „ჰოტ სპოტთან“ გაჩერდნენ და გერისონმა უთხრა:

— მანქანაში იყავი, ორ წუთში მოვალ.

ალენი გაოგნდა, როცა გერისონი ორ გაბებრებულსახიან ქალთან ერთად დაბრუნდა.

— გამარჯობა, გენაცვალე, — უთხრა ქერამ და მანქანის ფანჯარაში გადაეყუდა, — მე ტრინა ვარ, ეს დოლია. რა სიმპათიური ბიჭი ხარ.

დოლიმ გრძელი შავი თმა უკან გადაიყარა და წინ, გერისონის გვერდით დაჯდა. ტრინა უკან, ალენთან მოთავსდა.

ქალაქგარეთ წავიდნენ, მთელი გზა ხითხითებდნენ და ლაპარაკობდნენ. ტრინა ალენს წამდაუწუმ ფეხზე უსვამდა ხელს და მის ელვა-შესაკრავს აწვალებდა. უკაცრიელ ადგილას რომ მიადწიეს, გერისონმა გზიდან გადაუხვია.

— მოდი ბილი, — უთხრა მან, — საბარგულში საბნები მაქვს. მომეხმარე, გადმოვიტანოთ.

ალენი საბარგულთან მივიდა და გერისონმა თხელი ფოლგის ორი პაკეტი მისცა.

— ამეებს რაც უნდა უქნა, ხო იცი?

— ჰო, — უთხრა ალენმა, — მაგრამ ორივეს გაკეთება არ მინდა, ხო?

გერისონმა ალერსიანად უბიძგა.

— რას მაიმუნობ. ერთი ტრინასთვის, მეორე — დოლისთვის. ვუთხარი, მერე გავცვალოთ-მეთქი. ორივე ორივეს მოვტყენავთ.

აღენმა საბარგულში რომ ჩაიხედა, სანადირო თოფი დაინახა და სწრაფად აარიდა თვალი. სემმა საბანი მიაწოდა, ერთიც თავისთვის აიღო და საბარგული დახურა. მერე ის და დოლი ხეებს მიეფარნენ.

— მოდი, დავიწყოთ, — უთხრა ტრინამ და ქამარი შეუხსნა.

— ე, მაგას ნუ შვრები, — უთხრა აღენმა.

— აბა, თუ არ გინდა, გენაცვალე...

ცოტა ხანში სემმა ტრინას დაუძახა და აღენთან დოლი მივიდა.

— აბა? — ჰკითხა დოლიმ.

— რა „აბა“?

— შეგიძლია კიდევ?

— მისმინე, — უთხრა აღენმა, — როგორც შენს დაქალს ვუთხარი, არ ხარ ვალდებული რამე გააკეთო, ისე შეგიძლია ვიმეგობროთ.

— იცი რა, ოქრო, რაც გინდა ის ქენი, ოღონდ სემი არ მინდა გავაბრაზო. კარგი ბიჭი ხარ. სემი დაკავებული ჩანს, არა მგონია შეამჩნიოს.

სემი საქმეს რომ მორჩა, საბარგულთან მივიდა, მაცივრიდან ლუდის ქილები ამოიღო და ერთი აღენს მიაწოდა.

— აბა, გოგოები როგორ მოგეწონა?

— არაფერი არ მიქნია, სემ.

— შენ არ გიქნია არაფერი? თუ იმათ არ უქნიათ არაფერი?

— ვუთხარი, არ გინდათ-მეთქი. მზად რომ ვიქნები, ცოლს მოვიყვან.

— ჯანდაბა.

— არაფერია, დამშვიდდი. ყველაფერი მაგრად არის.

— მაგრად არა ისა! — სემი გოგოებს ეცა. — ხომ გითხარით, ეს ბიჭი ვაჟიშვილია-მეთქი. თქვენ ორს უნდა გეჩაღიჩათ.

დოლიმ მანქანას უკნიდან მოუარა, სადაც გერისონი იდგა და საბარგულში თოფი დაინახა.

— იცოდე, მაგარ შარში ხარ.

— ჯანდაბა! მანქანაში ჩაჯექით, უკან წაგიყვანთ.

— არ ჩავჯდები.

— არა და ჯანდაბამდე გზა გქონია!

გერისონმა საბარგული ჯახუნით დაკეტა და მანქანაში ჩახტა.

— მოდი, ბილი, მაგ ძუკნებმა ფეხით იარონ.

— რატომ არ სხდებით? — ჰკითხა ალენმა გოგოებს, — აქ მართო დარჩენა საშიშია.

— მშვენივრად წავალთ, — მიუგო ტრინამ, — მაგრამ თქვენ კი მაგრად მოგხვდებათ.

გერისონმა დაქოქა და ალენი მანქანაში ჩაჯდა.

— აქ ნუ დავტოვებთ, რა, მარტოებს.

— ერთი მაგათიც. ორი ჯიქნიანი ძუკნაა და მეტი არაფერი.

— მაგათი რა ბრალა. მე არ მინდოდა.

— ჰო, კიდე კაი, მუქთად მაინც გამოვედით.

ოთხი დღის შემდეგ, 1972 წლის 8 ივლისს სემ გერისონი და ალენი სირკლვილის შერიფის ოფისში დაიბარეს რამდენიმე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად. ორივე მაშინვე დააკავეს გატაცების, გაუპატიურებისა და იარაღის ტარების ბრალდებით. პიკვევის ოლქის მოსამართლემ წინასწარი მოსმენის შემდეგ გატაცების ბრალდება მოუხსნა და ორი ათასი დოლარი ჯარიმა დააკისრა. დოროთიმ ორი ათასი დოლარი შეაგროვა და შვილი შინ წაიყვანა. ჩალმერი ცდილობდა, ალენი ისევ ციხეში გაეგზავნა, მაგრამ დოროთიმ მოახერხა და ბილი ოქტომბრამდე — პიკვევის ოლქის სასამართლო მოსმენამდე — თავის დასთან მაიამიში, ფლორიდაში გაგზავნა. ბილის და ჯიმის არყოფნაში ქეთი და ჩელა დოროთის შეუჩნდნენ, ულტიმატუმი წაუყენეს — თუ ჩალმერ-

თან განქორწინებაზე განცხადებას არ შეიტან, სახლიდან წავალ-
თო. დღორითი, როგორც იქნა, დათანხმდა ჩალმერთან გაშორე-
ბას. ფლორიდაში ალენი სკოლაში დადიოდა და კარგად სწავ-
ლობდა. საღებავების მაღაზიაში იშოვა სამსახური და თავისი
ორგანიზატორული ნიჭით იქაურ მეპატრონეს თავი ძალიან
მოაწონა. „სემუელმა“ – მორწმუნე ებრაელმა – გაიგო, რომ ბი-
ლის მამა იუდეველი იყო. მაიამის სხვა ებრაელ მაცხოვრებლებ-
თან ერთად ისიც სასტიკად აღაშფოთა მიუნჰენის ოლიმპიურ სო-
ფელში თერთმეტი ისრაელელი სპორტსმენის მკვლელობამ. სე-
მუელი პარასკევის წირვას დაესწრო, რომ მათი და ბილის მამის
სულებისათვის ელოცა. ღმერთს ისიც შესთხოვა, სასამართლოს
ალენი უდანაშაულოდ ეცნო. 20 ოქტომბერს მილიგანი პიკევის
ოლქში დაბრუნდა. მისი საქმე ექსპერტიზისათვის ოჰაიოს ახალ-
გაბრდობის საქმეთა კომისიას გადაეცა. 1972 წლის ნოემბრიდან
1973 წლის 16 თებერვლამდე პიკევის ოლქის ციხეში დატოვეს.
მიუხედავად იმისა, რომ ციხეში თვრამეტის შესრულდა, მოსა-
მართლე დათანხმდა, ისე გაესამართლებინათ, როგორც არას-
რულწლოვანი. დედამისის ადვოკატმა, ჯორჯ კელნერმა, მოსა-
მართლეს უთხრა, რომ მისი აზრით, როგორც არ უნდა ყოფილი-
ყო სასამართლოს გადაწყვეტილება, ახალგაბრდის შინ გამოვება,
სადაც ვითარება აშკარად არაჯანსაღი ჩანდა, კატეგორიულად
უნდა გამოერიცხათ. მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი
გამოიტანა და უილიამ ს. მილიგანი ოჰაიოს ახალგაბრდობის
საქმეთა კომისიის ციხეში განუსაზღვრელი ვადით გაუშვა. 12
მარტს, იმავე დღეს, როცა ალენი ზეინსვილის არასრულწლოვან-
თა ბანაკში გაგზავნეს, დღორითი ჩალმერ მილიგანს ოფიციალუ-
რად გაშორდა. რეიგენმა სემუელს დასცინა და უთხრა, ღმერთი
არ არსებობსო.

თავი მეთორმეტე

1

არტურმა გადაწყვიტა, რომ ბენინსვილის ბანაკში შუქზე პატარები უნდა ყოფილიყვნენ. ბოლოს და ბოლოს, ისეთ გამოცდილებას შეიძენდნენ, ადრე თუ გვიან ყველა ბავშვს რომ სჭირდება — მთაში სიარული, ცურვა, ცხენოსნობა, კარავში ცხოვრება, სპორტი. არტურს მოსწონდა დინ ჰიუზი, მაღალი, შავკანიანი სპორტული ხელმძღვანელი კეფაბზე დაბრტყელებული ვარცხნილობითა და „ბლანჟეთი“. სიმპათიური და სანდო კაცი ჩანდა. მთლიანობაში, აქაურობა მაინცდამაინც სახიფათო არ იყო. რეიგენი არტურს ეთანხმებოდა. მაგრამ ტომი წესებს უჯანყდებოდა. თმის შეჭრა და იქაური ტანსაცმლის ჩაცმა არ უნდოდა. არ მოსწონდა, იქ ოცდაათ არასრულწლოვან დამნაშავესთან ერთად რომ უწევდა ყოფნა. სოციალურმა მუშაკმა, ჩარლი ჯოუნსმა, ახალ ბიჭებს წესები განუმარტა. ბანაკი ოთხ იერარქიულ ზონად იყოფოდა და ბიჭები, წესით, ყოველთვე ახალ ზონაში უნდა გადასულიყვნენ. ზონა-1 და ზონა-2 თ-ს ფორმის შენობის მარცხენა ნაწილში იყო განლაგებული. ზონა-3 და ზონა-4 — მარჯვენაში. ჰიუზმა აუხსნა, პირველი ზონა მაგარი შარია, სულ გულს გიწყალებენ და თმაც მოკლედ შეჭრილი უნდა გქონდესო. ზონა-2-ში ცოტა უფრო გრძელი თმის ტარების ნებას გრთავდნენ. ზონა-3-ში ყოველდღიური სამუშაოს დასრულების შემდეგ ფორმის ნაცვლად საკუთარი ტანსაცმლის ჩაცმა შეიძლებოდა. მეოთხე ზონაში საერთო საცხოვრებლის მაგივრად ცალ-ცალკე საძინებლებში შეეძლოთ ძილი. აქ ბიჭებს მკაცრად გაწერილი განრიგი არ

ჰქონდათ. მათი უმეტესობა სანდოდ ითვლებოდა და სკიოტო ვილიჯის გოგოების ბანაკში საცეკვაოდ წასვლასაც კი არ აიძულებდნენ. ამის გაგონებაზე ბიჭებს გაეცინათ. მისტერ ჯონსმა აუხსნა, პირველიდან მეოთხე ზონამდე დამსახურების მიხედვით გადახვალთო. თითოეული მათგანი თვეს 120 ქულით იწყებდა, მაგრამ შემდეგ ზონაში გადასასვლელად 130-ის მოგროვება იყო საჭირო. ბიჭს ქულების მოპოვება საგანგებო შრომითა და კარგი ქცევით შეეძლო, დაუმორჩილებლობითა და ანტისოციალური ქცევით კი ქულებს დაკარგავდა. ქულის დაკლება თანამშრომლებს, ან მე-4 ზონის რომელიმე „სანდოს“ შეეძლო. თუკი ამათგან რომელიმე ეტყოდა: „ჰეი!“ — ბიჭს ეს ქულის დაკარგვად დაუჯდებოდა. თუ ეტყოდნენ: „ეი, დაწყნარდი“ — ეს მინუს ორ ქულას უდრიდა. „დაწყნარდი, წადი და დაწექი“ ორი ქულის დაკლებასთან ერთად იმას ნიშნავდა, რომ ბიჭი ორი საათით ლოგინში უნდა ჩაწოლილიყო. თუ ლოგინიდან ადგებოდა და ეტყოდნენ, „აბა, დაწყნარდი და დაწექი, დაწყნარდი!“ — ეს მინუს სამი ქულა იყო. მაგრამ თუ ვინმე ეტყოდა: „ჰეი, დაწყნარდი და დაწექი! დაწყნარდი, თორემ ოლქში გაგიშვებ!“ — ეს ნიშნავდა, რომ ბიჭს უკვე საოლქო ციხეში დააწყნარებდნენ. ტომის გული ერეოდა. ჩარლი ჯონსმა თქვა, აქ ათასი საქმეაო. მათგან გარჯასა და კარგად მოქცევას ელოდა. „თუ რომელიმეს გგონიათ, რომ აქაურობისთვის მეტიმეტად კარგები ხართ, ან მეტიმეტად ჭკვიანები, ან გაქცევას თუ ეცდებით, ოჰაიოს შტატი უკეთეს ადგილას გიკრავთ თავს. ცენტრალური ოჰაიოს საწვრთნელ დაწესებულებას მოკლედ ცოსდ ჰქვია. თუ ცოსდ-ში გაგიშვებს, გაფრთხილებთ, აქაურობა მოგენატრებათ. ახლა საწყობიდან თეთრეული აიღეთ და მერე სასადლოში წადით, ცეცხლეთ“.

იმ საღამოს ტომი სკამზე იჯდა და ფიქრობდა, ნეტავ ამ ადგილას თავი ვინ ამომაცოფინა, აქ რა მინდაო. ქულები, წესები და

ზონები სულ ცალ ფეხზე ეკიდა. როგორც კი შანსი მიეცემოდა, ეგრევე დატყდებოდა აქედან. შენობაში რომ შემოჰყავდათ, შუქზე არ ყოფილა, ამიტომ გასასვლელი არ იცოდა საით იყო. მაგრამ შეამჩნია, რომ ბანაკს არც მავთულის ღობე არ ერტყა, არც კედლები. გარშემო მხოლოდ ტყე იყო. გაქცევა ძნელი არ ჩანდა. სასადილოს რომ ჩაუარა, გემრიელი საჭმლის სუნი ეცა. ჯანდაბას, ცეცხლში ჩახტომას აზრი არ ჰქონდა, ჯერ უნდა გაეგო, ტაფაზე რა იყო. ერთ-ერთი ახალი ბიჭი პატარა სათვალღიანი მასტი იყო, თოთხმეტ-თხუთმეტისა იქნებოდა, მეტის არა. ტომიმ რიგში თავიდანვე შეამჩნია. ფიქრობდა, ამას ალბათ ერთი რომ შეუბერო, წაიქცევავო. ბიჭი მძიმე ლეიბსა და თეთრეულს ძლივს მიათრევდა, როცა მაღალმა, გრძელთმიანმა, ძალოსანივით დაკუნთულმა ტიპმა ფეხი წამოსდო. ბავშვი ფეხზე წამოხტა, ზორბა ტიპს თავი პირდაპირ მუცელში ატაკა და ძირს დააგდო. კუნთამ გაკვირვებით ახედა თავზე დამდგარ ბიჭუნას, პატარა ხელები მუშტებად რომ შეეკრა.

— ჰო, გეყო შე პატარა სირო. ჰეი!

— გაიტენე ტრაკში! — უთხრა ბიჭმა.

— ჰეი, დაწყნარდი! — გამოსცრა ზორბამ, წამოდგა და ტანსაცმელი ჩამოიბერტყა.

პატარა ბიჭს თვალებში ცრემლი ედგა.

— მოდი, მეჩხუბე, შე მძორო ნაბიჭვარო!

— ჰეი, დაწყნარდი, წადი და დაწექი!

მეორე ბიჭმა, კაფანდარამ, მაგრამ მაღალმა და ალბათ ორი-სამი წლით უფროსმა, პატარა ბიჭი განზე გამოსწია.

— წამო, ტონი, — უთხრა მან, — უკვე ორი ქულა დაკარგე. ახლა ორი საათით ლოგინში უნდა დაწვე.

ტონი დამშვიდდა და ლეიბი აიღო.

— დაიკიდე, გორდი, მაინც არ მშოიდა.

სასადილოში ტომი ჩუმად ჭამდა. საჭმელს არა უშავდა, მაგრამ აქაურობა ძაბავდა. თუ დიდ ბიჭებს სხვების ჩაგვრისა და ქულების დაკლების ნებას აძლევდნენ, ძალიან ფრთხილად უნდა ყოფილიყო და არ აფეთქებულიყო. საძინებელში რომ დაბრუნდა, დაინახა, რომ გამხდარ ტიპს, გორდი რომ ერქვა, საწოლი პატარისაკენ მიეჩოჩებინა. თავისი სადილის ნახევარი მისთვის წამოეღო. ისხდნენ და ლაპარაკობდნენ. ტომი საწოლზე იჯდა და დარაჯობდა. იცოდა, საძინებელში ჭამა აკრძალული იყო. უცებ თვალი მოჰკრა, რომ კარში კუნთა შემოდინდა.

— ფრთხილად! — წასჩურჩულა ტომიმ, — მძორი მოდის!

ბავშვმა, ტონი რომ ერქვა, თეფში საწოლის ქვეშ შეაცურა და კედელს მიეყუდა. კუნთამ იქაურობა მოათვალა და რაკი დარწმუნდა, რომ ბავშვი ლოგინში იყო, კმაყოფილი გავიდა.

— მადლობა, — უთხრა ბიჭმა, — მე ტონი ვიტო ვარ. შენ რა გქვია?

ტომიმ თვალი თვალში გაუყარა.

— ბილი მილიგანს მეძახიან.

— ეს გორდი ქეინია, — უთხრა ბიჭმა და კაფანდარაზე მიუთითა, — აქ მოსაწევის გაყიდვისთვის არი. შენ რაზე დაგიჭირეს?

— გაუპატიურებაზე, — უპასუხა ტომიმ, — მაგრამ არ მიქნია.

ტომიმ ღიმილზე შეატყო, რომ ბიჭებს მისი არ სჯეროდათ. არ სჯეროდათ და ნუ სჯეროდათ, მაგრად ეკიდა.

— ის ცხოველი ვინ არი? — ჰკითხა მან.

— ჯორდანი, მეოთხეზონელია.

— მაგ ნაბიჭვარს სახეს ავახევთ, — თქვა ტომიმ.

შუქზე უმეტესად ტომი იყო ხოლმე. მოსანახულებლად მოსულ ბილის დედასაც ის ელაპარაკა. ტომის დოროთი მოსწონდა და ეცოდებოდა. როცა უთხრა, ჩაღმერს დავეზორდო, გაუხარდა.

— მეც მერჩოდა, — უთხრა ტომიმ.

— ვიცი, შენზე სულ გადაკიდებული იყო, ბილი. მაგრამ რა უნდა მექნა? თავზე ჭერი გვჭირდებოდა. აქეთ ჩემი სამი ბავშვი, იქით ჩელა მყავდა ღვიძლი შვილივით. მაგრამ ჩალმერი წავიდა. შენ კიდევ იცოდე, კარგად მოიქეცი, ის გააკეთე, რასაც გეტყვიან და შინ მალე დაბრუნდები.

ტომი მიმავალ დოროთის უყურებდა და ფიქრობდა, ყველაზე ლამაზი დედაა მათ შორის, ვინც მინახავსო. ინატრა, ნეტავ დედაჩემი იყოსო. ფიქრობდა, ჩემი ნამდვილი დედა ნეტავ ვინ არის და როგორ გამოიყურებაო.

დინ ჰიუმმა, ახალგაზრდა სპორტულმა ხელმძღვანელმა შენიშნა, რომ მილიგანი უმეტესად იწვა, კითხულობდა, ან გაშტერებული იყო. ერთ საღამოს ბიჭს პირდაპირ მიადგა.

— სანამ აქ ხარ, უნდა ეცადო, შენს მაქსიმუმს მიაღწიო. ბედნიერი იყო. რამეში ჩაერთო. რისი კეთება გიყვარს?

— ხატვა, — უპასუხა ალენმა.

მომდევნო კვირაში დინ ჰიუმმა მილიგანს თავისი ხარჯით უყიდა საღებავები, ფუნჯები და ტილოები.

— გინდათ რამე დაგიხატოთ? — ჰკითხა ალენმა და ტილო მაგიდაზე გაჭიმა, — რა დავხატო?

— ძველი, ფანჯრებჩალეწილი საბძელი, ბებერ ხეზე ჩამოკიდებული საბურავი, ძველი სოფლის გზა. ისე დახატე, რომ ჩანდეს, თითქოს ახალი ნაწვიმარია.

ალენი მთელი დღე და ღამე მუშაობდა და მეორე დილას ნახატი დინ ჰიუმს მისცა.

— ბიჭოს, ძალიან მაგარია! — უთხრა ჰიუმმა, — ხატვით ბლომად ფულს იშოვიდი.

— ეგ გაასწორებდა, — მიუგო ალენმა, — მომწონს ხატვა.

ჰიუმი მიხვდა, რომ მილიგანის ტრანსული მდგომარეობიდან გამოყვანაზე უნდა ეზრუნა. ერთ შაბათ დილას ბიჭი ბლუ როკის სახელმწიფო პარკში წაიყვანა. მილიგანი ხატავდა, ჰიუმი კი ბედამხედველობდა. ხალხი მიდიოდა და უყურებდა და ჰიუმმა მათ რამდენიმე ნამუშევარი მიჰყიდა. ხელმძღვანელმა მილიგანი მეორე დღესაც გაიყვანა და კვირა საღამოსთვის უკვე ოთხასი დოლარის ნახატები ჰქონდათ გაყიდული. ორშაბათს დილით დირექტორმა ჰიუმს თავის კაბინეტში დაუძახა და შეატყობინა, რომ

რადგან მილიგანი სახელმწიფო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ნახატების გაყიდვის ნება არ ჰქონდა. ის ხალხი უნდა მოენახა, ფული დაებრუნებინა და ნახატები გამოერთმია. ჰიუმმა ამ წესის შესახებ არაფერი იცოდა და ფულის დაბრუნებას დათანხმდა. კაბინეტიდან რომ გადიოდა, ჰკითხა:

— საიდან გაიგეთ ნახატების გაყიდვის ამბავი?

— ხალხმა აქ რეკვა დაიწყო, — უთხრა დირექტორმა, — მილიგანის ნახატებს ითხოვენ.

აპრილმა სწრაფად გაირბინა. გარეთ რომ დათბა, ქრისტინმა ბაღში თამაში დაიწყო. დეივიდი პეპლებს დასდევდა, რეიგენი სპორტულ დარბაზში ვარჯიშობდა. დენი ცოცხლად დამარხვის შიშით გარეთ არ გადიოდა, შენობაში იჯდა და ნატიურმორტებს ხატავდა. ცამეტი წლის ქრისტოფერი ცხენს დააჭენებდა. არტური დროის უმეტეს ნაწილს ოჰაიოს კოდექსის კითხვაში ატარებდა, ამბობდა, ცხენზე მართო პოლოს სათამაშოდ ავმხედრდებიო. მეორე ბონაში გადასვლა ყველას უხაროდა. მილიგანი და გორდი ქეინი სამრეცხაოში გაამწესეს, სადაც ტომი სიხარულით უჩიკინებდა ძველ სარეცხ მანქანას და გაზის საშრობს. ერთი სული ჰქონდა, მესამე ბონაში როდის გადავიდოდა, რომ საღამოობით საკუთარი ტანსაცმლის ჩაცმის ნება დაერთოთ. ერთ საღამოს სამრეცხაოში ის ბორბა მუტრუკი, ფრენკ ჯორდანი შევიდა, ხელში სარეცხის ვეებერთელა გროვა ეჭირა.

— ესენი ახლავე მინდა გამირეცხო, ხვალ სტუმრებს ველოდები.

— ვარგი, — უთხრა ტომიმ და საქმეს მიუბრუნდა.

— ახლავე მინდა-მეთქი, — უთხრა ჯორდანმა.

ტომიმ წაუყრუა.

— მეოთხეზონელი ვარ, შე სირო. ქულები თუ ჩამოგაკვლი, მესამე ბონას შეგიძლია დაემშვიდობო.

— მისმინე, — უთხრა ტომიმ, — თუ გინდა სულ ჯანდაბის ზონი-დან იყავი, არ ვარ ვალდებული, შენი ოხერი ტანსაცმელი ვრეც-ხო.

— ჰეი!

ტომიმ გამწარებულმა ახედა. რა უფლება ჰქონდა ამ ქურდს, მის ქულებს რომ იპარავდა?

— უკან გაიტენე, — უთხრა ტომიმ.

— ეი, დაწყნარდი!

ტომიმ მუშტები შეკრა, მაგრამ ჯორდანი გავიდა, რომ მორი-გისათვის ეთქვა, მილიგანს „ეი, დაწყნარდი“ მივარჯვეო.

საძინებელში დაბრუნებულმა ტომიმ შეიტყო, რომ ჯორდანს ქეინის და ვიტოსთვისაც თითო „ეი, დაწყნარდი“ მიეცა მარტო იმიტომ, რომ იცოდა, ეს სამი მეგობრობდა.

— ამას რამე უნდა მოვუხერხოთ, — თქვა ქეინმა.

— მოვუხერხებთ, — მიუგო ტომიმ.

— რას? — ჰკითხა ვიტომ.

— რა ვიცი, რამეს მოვიფიქრებ.

ტომი იწვა და ფიქრობდა, რა ელონა. რაც უფრო მეტს ფიქრობ-და, ბრაზი მით უფრო ეკიდებოდა. ბოლოს ადგა, გავიდა, დიდი ფიცარი აიღო და მეოთხე ზონისკენ გაუხვია. არტურმა ალენს ვი-თარება აუხსნა და უთხრა, სანამ ტომი შარში გახვეულა, სჯობს შუქზე გახვიდეო.

— ეგ არ ქნა, ტომი, — უთხრა ალენმა.

— მაგის დედაც, მაგ მძორს ქულების ახევას და მესამე ზონი-დან მოტეხვას არ შევარჩინ.

— მოიცა, ჯერ კარგად მოიფიქრე.

— კარგად მოიფიქრე კი არა, თავს გავუხეთქავ მაგ ნაბიჭვარს.

— ეი, ტომი, დაწყნარდი!

— მაგ სირობას ნუ მეუბნები! — იყვირა ტომიმ.

— ბოდიში, მაგრამ არასწორად ცდილობ საქმის მოგვარებას. მაგის მიხედვა მე მაცადე.

— ჯანდაბა, შენ რას უნდა მიხედო, შენი ტრაკისტვის ვერ მიგიხედავს.

— მაგრად კი იგინები, აი, — უთხრა ალენმა, — აბა, მოუსვი აქედან!

ტომი შუქიდან გავიდა. ალენი მეორე ზონის ბარაკებში დაბრუნდა და ქეინს და ვიტოს მიუჯდა.

— მოკლედ, ასე ვიზამთ... — დაიწყო ალენმა.

— ვიცი, რასაც ვიზამთ, — უთხრა ვიტომ, — იმ ოხერ ოფისს ჰაერში ავწევთ.

— არა, თქვა ალენმა, — ფაქტებსა და ციფრებს შევაჯამებთ, ხვალ მისტერ ჯონსის კაბინეტში შევალთ და ვეტყვით, რა უსამართლოა, რომ ჩვენზე არანაკლებად დამნაშავე ჩვენივე თანატოლები გვსჯიან.

ქეინი და ვიტო პირდაღებულები მიაშტერდნენ. მისგან ასეთი დალაგებული საუბარი პირველად ესმოდათ.

— ფურცელი და ფანქარი მოიტათ, — უთხრა ალენმა, — და მოდით, როგორც საჭიროა, ისე ავაწყოთ.

მეორე დილას სამეულმა ალენის თავკაცობით სოციალურ მუშაკს, ჩარლი ჯონსს მიაკითხა.

— მისტერ ჯონს, — უთხრა ალენმა, — აქ მოსვლის დღეს ხომ გვითხარით, შეგიძლიათ აზრი თავისუფლად გამოხატოთ, ისე რომ ამისთვის შარში გახვევის არ შეგეშინდეთო.

— მართალია.

— ჰოდა, იმ სისტემას ვუჩივით, ჩვენი თანატოლები რომ გვსჯიან და ქულებს გვართმევენ. აი, ამ ნახაზს თუ შეხედავთ, მიხვდებით რამდენად უსამართლო რამეა.

აღენმა მისთვის ფრენკ ჯორდანის მიერ „ეი, დაწყნარდის“ მიცემის სერია დაწვრილებით მიმოიხილა. აღწერდა, თითოეული შემთხვევა როგორ გამოიწვია პირადულმა ბოლმამ, მისი საქმის კეთებაზე თუ მის დაკრულზე ცეკვაზე უარის თქმამ.

— ამ სისტემას დიდი ხანია ვიყენებთ, ბილი, — უთხრა ჯონსმა.

— ეგ იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სისტემა სწორად მუშაობს. ეს ადგილი იმისთვისაა, რომ საზოგადოებასთან შეგუებაში დაგვეხმაროს. ამას როგორ შეძლებს, თუკი იმას გვიჩვენებს, თუ როგორი უსამართლოა საზოგადოება? ნუთუ მართებულია აქ ვიტოსნაირი ბავშვების ფრენკ ჯორდანისნაირი მჩაგვრელების ანაბარა გამწესება? ჩაფიქრებული ჯონსი ყურის ბიბილოს აწვალებდა. აღენი ისევ სისტემის უსამართლობაზე ქაქანებდა, მისი მჭევრმეტყველებით გაოგნებული ქეინი და ვიტო კი ჩუმად იყვნენ.

— იცით რა, — უთხრა ჯონსმა, — ამაზე უნდა დაფიქრდე. ორშაბათს მოდით და გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მივიღებ.

კვირა საღამოს ქეინი და ვიტო ქეინის საწოლზე ბანქოს თამაშობდნენ. ტომი იქვე იწვა, ცდილობდა, ვიტოს და ქეინის საუბრიდან დაედგინა, რა მოხდა მისტერ ჯონსის ოფისში. უცებ ქეინმა აიხედა და თქვა:

— ძალღი ახსენეო.

ფრენკ ჯორდანი ვიტოს წამოადგა თავზე და ტალახიანი ფეხსაცმელები ზედ ბანქოზე დაუყარა.

— დღეს საღამოსთვის გაპრიალებული მქონდეს.

— მაშინ აიღე და შენ თვითონ გაწმინდე, — უთხრა ვიტომ, — მე შენი ოხერი ფეხსაცმლის გაწმენდას არ ვაპირებ.

ფრენკმა ვიტოს თავში გვერდიდან ისე დაარტყა, რომ ლოგინიდან გადააგდო. ვიტომ ტირილი დაიწყო. ფრენკის გასვლა იყო და ტომიც სწრაფად მიჰყვა. გზის ნახევარი არ ჰქონდა გავლილი,

რომ დაეწია და მხარზე ხელი დაჰკრა. შემობრუნებულ ფრენკს ტომიმ სახეში გაუქანა, ცხვირში მოარტყა და კედელს მიაჯახა.

— ოლქში გიკრავ თავს, შე ნაბიჭვარო! — იყვირა ფრენკმა.

ტომის გამოდევნებულმა ქეინმა ფრენკს ფეხი დაუდო და საწოლებს შორის წააქცია. ტომი და ქეინი ეცნენ და ურტყამდნენ. რეიგენი ტომის ჩხუბს თვალყურს ადევნებდა. ნამდვილი საფრთხის წინაშე რომ აღმოჩენილიყო, ჩაერეოდა. ბრაზისგან ტომივით კი არ იფართხალებდა, საქმეში მშვიდად ჩაერთვებოდა, ბუსტად გათვლიდა, სად დაერთყა და რომელი ძვლები მოემტვრია, მაგრამ ეს მისი საქმე არ იყო და არ ერეოდა. მეორე დილას ალენმა გადაწყვიტა, რომ სანამ მისტერ ჯონსი ფრენკ ჯორდანის დამახინჯებულ ვერსიას მოისმენდა, სჯობდა, თვითონ მოეყოლათ რა მოხდა.

— ხომ ხედავთ, რა გასიებული აქვს ვიტოს თავი. ფრენკმა უმიზგზოდ ჩაარტყა, — უთხრა ალენმა სოციალურ მუშაკს, — იმ სისტემით სარგებლობდა, რომელიც ვიტოსნაირ ბავშვებზე უფროსობის ნებას აძლევს. როგორც იმ დღეს გითხარით, ამგვარი ძალაუფლების დამნაშავეთათვის მინდობა არასწორი და საშიშია.

ოთხშაბათს მისტერ ჯონსმა გამოაცხადა, რომ ამიერიდან ქულების გაუქმება მხოლოდ ბანაკის თანამშრომლებს შეეძლებოდათ. ფრენკ ჯორდანის მიერ უსამართლოდ ჩამოკლებული ქულები ბიჭებს მისი ქულების ხარჯზე აუნაზღაურდებოდათ. ჯორდანი პირველ ბონაში გადაიყვანეს. ახლა ვიტოს, ქეინსა და მილიგანს საკმარისი ქულები ჰქონდათ მესამე ბონაში გადასასვლელად.

მეოთხე ბონის ერთ-ერთი პრივილეგია საცდელი ვადით შინ წასვლის შესაძლებლობა იყო. ტომის ერთი სული ჰქონდა, როდის გაუშვებდნენ. დრო რომ მოვიდა, ჩანთა ჩაალაგა და დაელოდა, დოროთი როდის გამოუვლიდა. მაგრამ რაც უფრო მეტს ფიქრობდა წასვლაზე, მით უფრო იშმუშნებოდა. ეს ადგილი მოსწონდა, მაგრამ სპრინგ-სტრიტისკენაც მიუწევდა გული, რადგან იცოდა, რომ ჩალმერს აღარასოდეს ნახავდა. შინ მხოლოდ ის, ჩელა და ქეთი იქნებოდნენ. კარგ დროს გაატარებდა. დოროთიმ გაუარა და ლანკასტერისკენ ისე იარეს, თითქმის არ უღაპარაკიათ. შინ მისვლიდან რამდენიმე წუთში სტუმრად ვილაც კაცი მივიდა, ტომის ადრე რომ თვალით არ ენახა. მოსული, ხარისხითიანი კაცი იყო, მკერდი კასრივით ჰქონდა წინ წამოგდებული. გაუთავებლად ეწეოდა. დოროთიმ უთხრა:

— ბილი, ეს დელ მურია. სირკლვილში ბოულინგის დარბაზის და იმ ბარის მეპატრონეა, ადრე რომ ვმღეროდი. ვახშმად ჩვენთან დარჩება.

ტომი ხედავდა დედამისი და ის კაცი ერთმანეთს როგორ უყურებდნენ და ხვდებოდა, რომ მათ შორის რაღაც იყო.

ჯანდაბა! ჩალმერი სახლიდან ორი თვის წასულიც არ იყო და ახლა ვილაც სხვა ტიპი ჩაუსახლდა. იმ საღამოს ვახშამზე ტომიმ განაცხადა:

— ზეინსვილში დაბრუნებას არ ვაპირებ.

— რას ამბობ? — უთხრა დოროთიმ.

— იქაურობას ვეღარ ვიტან.

— ბილი, არასწორად იქცევი, — უთხრა დელ მურმა, — დედაშენმა მითხრა, რომ სულ ერთი თვით გამოგიშვებს.

— ეგ ჩემი საქმეა.

— ბილი! — უთხრა დოროთიმ.

— ახლა ოჯახის მეგობარი ვარ, — უთხრა დელმა, — დედაშენს ნუ ანერვიულებ. იქ სულ ცოტა ხანი დაგრჩა. ეგ სისულელე კიდევ თავიდან ამოიგდე, თორემ საქმე ჩემთან გექნება.

ტომიმ თავი ჩაღუნა და ჭამა უხმოდ განაგრძო.

მოგვიანებით ქეთის ჰკითხა:

— ეს ტიპი ვინ არის?

— დედას ახალი ბოიფრენდია.

— ისე იქცევა, გეგონება ჩემთვის ბრძანებების მოცემის ნება ჰქონდეს. დიდი ხანია აქ დადის?

— ქალაქში ოთახს ქირაობს, — უთხრა ქეთიმ, — პირდაპირ ვერავინ იტყვის, ერთად ცხოვრობენო, მაგრამ ბრმა ხომ არა ვარ.

მომდევნო შაბათ-კვირას ტომი დელ მურის შვილს, სტიუარტს შეხვდა და მაშინვე მოეწონა. ბილისხელა სტიუარტი ფეხბურთელი და მრავალჭიდელი იყო, მაგრამ ტომის ყველაზე ძალიან მოტოციკლეტის ტარების მისი მანერა მოსწონდა. ისეთ ტრიუკებს ასრულებდა, ტომის ჯერ რომ არ ენახა. სტიუარტი ალენსაც მოსწონდა. რეიგენი ათლეტური უნარებისა და სითამამის გამო აფასებდა. უქმეები საუცხოო გამოდგა და ყველა სულმოუთქმელად ელოდა, როდის გაატარებდნენ მეტ დროს ახალ მეგობართან, მათ უცნაურობებს ყოველგვარი შეკითხვების გარეშე რომ იღებდა. სტიუარტი არასოდეს ეძახდა „დაბნეულს“ ან „მატყუარას“. ტომი ფიქრობდა, მაგარი იქნება ოდესმე სტიუარტისნაირი თუ გაუხდით. სტიუარტს უთხრა, რომ რაც ბანაკიდან წამოვიდა, სახლში ყოფნას გულს ვეღარ უდებდა. დელის გამო შინ გაჩერება ეუხერხულებოდა. სტიუარტმა შესთავაზა, დრო რომ მოვა, ერთად გადავიდეთ ცალკე საცხოვრებლად.

— მართლა? — ჰკითხა ტომიმ.

– დელს ვუხსენე და მითხრა, კარგი აზრიაო, – უთხრა სტიუარტმა, – ფიქრობს, ერთმანეთს მიხედავთო.

მაგრამ ზეინსვილიდან გათავისუფლებამდე რამდენიმე კვირით ადრე ტომიმ გაიგო, რომ დოროთი მის სანახავად ვერ მოდიოდა. 1973 წლის 5 აგვისტოს სტიუარტ მური სირკლვილში მოტოციკლეტით მიდიოდა. კუთხეში მკვებრად რომ შეუხვია, ტრაილერზე გამობმულ ნავს შეასკდა. მოტოციკლეტიც აფეთქდა და ნავიც. სტიუარტი ადგილზე დაიღუპა. ეს რომ გაიგო, ტომი შოკში ჩავარდა. სტიუარტი – მისი მამაცი, მოღიმარი მეგობარი, რომელსაც მსოფლიო უნდა დაეპყრო, ცეცხლის ალმა შთანთქა. ტომის ამის ატანა აღარ შეეძლო. და მერე დეივიდი გამოვიდა, რათა სტიუარტის აგონია ეგრძნო და ტომის ცრემლებით ეტირა.

თავი მეცამეტე

1

სტიუარტის დაღუპვიდან ერთ თვეში ბილი მილიგანი ზეინსვილიდან გაათავისუფლეს. დაბრუნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ ალენი თავის ოთახში იჯდა და კითხულობდა, როცა დელ მური შევიდა და ჰკითხა, სათევზაოდ ხომ არ წამოხვალო. იცოდა, დელი დოროთისთან ქულების დაწერას ცდილობდა. ქეთი ამბობდა, ალბათ, დაქორწინდებიანო.

— კი, მიყვარს თევზაობა, — უთხრა ალენმა.

დელმა ყველაფერი დაგეგმა, მეორე დღეს სამსახურიდან დაეთხოვა და ბილის გამოუარა.

ტომიმ ზიზღით შეხედა.

— თევზაობა? მაგრად მკიდია, არ მინდა თევზაობა.

ოთახიდან რომ გამოვიდა, დოროთიმ დაუფიქრებელი საქციელისთვის შეუტია — ჯერ რას ჰპირდებოდი, ან მერე გადაფიქრება რა იყო. ტომიმ ორივეს გაოგნებით შეხედა.

— კი მაგრამ, არც კი უკითხავს, სათევზაოდ ხომ არ წამოხვალო.

დელი სახლიდან გაცოფებული გავარდა. იფიცებოდა, ბილი ყველაზე ნამუსგარეცხილი მატყუარაა, ვინც ცხოვრებაში შემხვედრიაო.

— მეტი აღარ შემიძლია! — უთხრა ალენმა არტურს, როცა ოთახში განმარტოვდა, — აქედან უნდა გავაღწიოთ. დელი აქ რომ ტრიალებს, თავს დაუპატიჟებელ სტუმრად ვგრძნობ.

— მეც ეგრე ვარ, — თქვა ტომიმ, — დღორითი ღვიძლი დედასავით მექცეოდა, მაგრამ დელს თუ ცოლად მიჰყვება, აქედან უნდა დავახვიო.

— კარგი, — თქვა არტურმა, — მოდი, სამსახური ვიპოვოთ, ცოტა ფული შევაგროვოთ და ბინა ვიშოვოთ.

დანარჩენებმა იდეას ერთხმად აუბეს მხარი.

1973 წლის 11 სექტემბერს ალენმა ლანკასტერის ელექტროშემდუღებელ ქარხანაში იშოვა სამსახური. ბევრს არ უხედიდნენ, თანაც ჭუჭყიანი სამუშაო იყო, ისეთი არა, არტურს რომ წარმოედგინა. მოსაწყენ საქმეს ტომი აკეთებდა — ოპერატორად მუშაობდა — ჭერზე ჯაჭვით ჩამოკიდულ გალიას მუავაში აწობდა. ერთი კვადრატული რეზერვუარიდან მეორეზე გადადიოდა. ავზები ბოულინგის ბილიკის სიგრძეზე იყო ჩამწკრივებული. ჩაშვება — მოცდა — აწევა — გაწევა — დაშვება. არტური, რომელიც ამ შავ სამუშაოს აგდებულად უყურებდა, სხვა რამეებს აკვირდებოდა. თავისი ხალხი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის უნდა მოემზადებინა. ბეინსვილში ყოფნისას გამუდმებით აკვირდებოდა მათ ქცევას, ვისაც შუქზე გამოსვლის ნებას რთავდა და ნელ-ნელა სულ უფრო უკეთ ესმოდა, რომ საზოგადოებაში თავის გატანის მთავარი გზა თვითკონტროლზე გადიოდა. წესების გარეშე ქაოსი დამყარდებოდა, რომელიც თითოეულ მათგანს საფრთხეში ჩააგდებდა. შეამჩნია, რომ ბანაკში წესების არსებობა კარგ შედეგს იძლეოდა. პირველ თუ მეორე ბონაში დაბრუნების შიშით ყველაზე ურჩი ყმაწვილებიც კი ლაგამამოდებულები იყვნენ. ბანაკსგარეთაც სწორედ ეს დასჭირდებოდათ. ქცევის წესების აუცილებლობა არტურმა რეიგენს განუმარტა.

— მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს გადაეყარა, იმ ორი ქალის გაუპატიურებაში დაგ-

ვდეს ბრალი — დანაშაულში, რომელიც არ ჩაგვიდენია და თავი ციხეში გვიკრეს. ეს აღარ უნდა განმეორდეს.

— როგორ აიცილებ მაგას ტავიდან?

არტური ბოლთის ცემას შეუდგა.

— როგორც წესი, შემიძლია ხოლმე, რომელიმე ჩვენგანს შუქზე გამოსვლის საშუალება არ მივცე. შენთვის შემიმჩნევია, საფრთხის მომენტში რომელიმე უცებ როგორ დაგიბლოკავს. ცნობიერებაზე კონტროლი მე და შენ უნდა გავინაწილოთ. გადაწყვიტე, რამდენიმე არასასურველი ინდივიდი შუქს პერმანენტულად მოვაცილოთ. დანარჩენები ვალდებულნი ვიქნებით, ქცევის კოდექსის მიხედვით ვიცხოვროთ. ჩვენ ხომ ოჯახივით ვართ. სიმკაცრე გვმართებს. წესის ერთი დარღვევაც კი რომელიმე ჩვენგანის „არასასურველად“ ცნობას გამოიწვევს.

რეიგენის თანხმობის შემდეგ არტურმა წესები ყველა დანარჩენს გააცნო.

წესი პირველი: არ იცრუოთ. იმის გამო, რომ რომელიმე სხვა პიროვნების ჩადენილი საქმეები არ ახსოვდათ, მათ ხომ მთელი ცხოვრება „პათოლოგიურ მატყუარობას“ სწამებდნენ.

წესი მეორე: კარგად მოეპყარით ქალებსა და ბავშვებს. ეს მოიცავდა უწმაწური გამოთქმებისაგან თავშეკავებას და ზოგადი ეტიკეტის დაცვას — მაგალითად, კარის გაღებას. ბავშვები მაგიდასთან გამართულად უნდა მსხდარიყვნენ, ხელსახოცი კალთაზე უნდა დაეფინათ. ქალები და ბავშვები ყოველთვის უნდა დაეცვათ, მათი გამოსარჩლება ყველას ევალეობდა. თუკი ვინმე დაინახავდა, რომ კაცი ბავშვს, ან ქალს ჩაგრაავდა, სასწრაფოდ უნდა გასულიყო შუქიდან და საქმის მოგვარება რეიგენისთვის მიენდო (თუკი საფრთხე რომელიმე მათგანს ემუქრებოდა, ეს აუცილებელი არ იყო — ასეთ შემთხვევაში რეიგენი ავტომატურად გამოვიდოდა).

წესი მესამე: დაიცავით უბიწოება. მამაკაცები აღარასდროს არ უნდა აღმოჩენილიყვნენ ისეთ ვითარებაში, რომ მერე მათთვის გაუპატიურებაში დაედოთ ბრალი.

წესი მეოთხე: მთელი დრო თვითგანვითარებას მოახმარეთ. კომიქსებზე და ტელევიზორის ყურებაში დროის ფლანგვის ნება არავის ჰქონდა, თითოეულს თავისი სპეციალობა უნდა ესწავლა.

წესი მეხუთე: გაუფრთხილდით ოჯახის წევრების კერძო ქონებას. ეს წესი განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაცულიყო ნახატების გაყიდვისას. ხელმოწერილი, ან „ბილის“ და „მილიგანის“ სახელით ხელმოწერილი ნახატის გაყიდვა ყველას შეეძლო, მაგრამ ტომის, დენის ან ალენის პირადი ნახატების გაყიდვის უფლება არავის ჰქონდა. არც ერთ მათგანს არასდროს არ უნდა გაეყიდა ისეთი ნივთი, რომელიც მას არ ეკუთვნოდა. ნებისმიერს, ვინც ამ წესს დაარღვევდა, შუქზე გამოსვლა სამუდამოდ აეკრძალებოდა და სხვა არასასურველებთან ერთად ჩრდილში დარჩებოდა.

რეიგენი დაფიქრდა და ჰკითხა:

— ვინ არიან ეგ... როგორ იძახი? არასასურვილი?

— ფილიპი და კევინი — ამ ორივე ანტისოციალური, კრიმინალური ტიპის პიროვნებას შუქზე გამოსვლა აეკრძალა.

— და ტომი? ხანდახან ეგეც ანტისოციალური არის.

— ჰო, — დაეთანხმა არტური, — მაგრამ ტომის საბრძოლო შემართება საჭიროა. ზოგიერთი პატარა ისეთი მორჩილია, რომ ვინმე უცხომ რამე რომ უთხრას, შეიძლება თავს რაღაც მოსწიონ. თუკი სხვა წესებს არ დაარღვევს და ბოქლომების გატეხვისა და თავის დაძვრენის უნარებს დანაშაულებრივ საქმიანობას არ მოახმარს, ტომის შეუძლია შუქზე გამოვიდეს. მაგრამ დროდადრო შევანჯღრევ ხოლმე, რათა ახსოვდეს, რომ მეთვალყურეობის ქვეშ გვყავს.

— მე რა ვკნა? — ჰკითხა რეიგენმა, — მე დამნაშავე, აგრესიული და ანტისოციალური ვარ.

— კანონდარღვევა, დანაშაული ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე აკრძალულია, — უთხრა არტურმა, — ეგრეთ წოდებული „უმსხვერპლო დანაშაულებიც“ კი.

— უნდა იცოდე, — უთხრა რეიგენმა, — სულ შესაძლებელი არის ისეთი სიტუაცია იკოს, რომ დანაშაული აუცილებელი იკოს ტავის დასაცავად, გადასარჩენად. აუცილებლობა კანონი არ იცის.

არტურმა თითისწვერები შეატყუპა და ერთხანს რეიგენის ნათქვამზე ჩაფიქრდა. ბოლოს თავი დაუქნია.

— შენ გამონაკლისი იქნები. შენი დიდი ძალ-ღონის გამო მხოლოდ შენ გექნება უფლება, ვინმეს რამე დაუშავო, თუმცა მხოლოდ მაშინ, თუ თავდაცვა, ან ქალებისა და ბავშვების დაცვა დაგჭირდება. როგორც ოჯახის დამცველს, მხოლოდ შენ შეგეძლება უმსხვერპლო, ან გადარჩენისთვის აუცილებელი დანაშაულები ჩაიდინო.

— მაშინ ვეტანხმები ცესების იდეას, — უთხრა მშვიდად რეიგენმა, — მაგრამ სისტემა კოველტვის ვერ იმუშავებს. დრო რომ ირევა, ხალხი დროს იპარავს. მერე ჩვენც კი აგარ ვიცით — მე, შენ, ალენმა — რა ხდება.

— მართალია, — თქვა არტურმა, — მაგრამ რაც გვაქვს, იმით უნდა ვცადოთ საუკეთესო შედეგს მივაღწიოთ. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ოჯახის სტაბილურობის შენარჩუნება და დროის არევის თავიდან არიდება იქნება.

— ეგ რტულია, სხვებსაც უნდა გააგებინო. მე ჯერ არ ვიცნობ კველას... როგორ ეზახი? ოდუახის ცევირები. მოდიან და მიდიან. ზოგდჟერ არ ვიცი, ეს ვინმე გარეტ ადამიანი ტუ ვინმე ჩვენი.

— ბუნებრივია. ასე იყო საავადმყოფოში და ბანაკშიც. გარშემომყოფების სახელებს იგებ და ასე აცნობიერებ სხვების არსებო-

ბას. მაგრამ ზოგჯერ გარე ხალხიც კი არ ურთიერთობს ერთმანეთთან, მაშინაც კი, თუ ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ. თითოეულ ჩვენიანს დავუკავშირდები და ყველაფერს გადავცემ, რისი ცოდნაც ესაჭიროებათ.

რეიგენი ჩაფიქრდა.

— მე დღლიერი ვარ, მაგრამ რაც ისცავლე, იმიტი ბევრი ზალაუპლება გაკვს.

არტურმა თავი დაუქნია.

— ჭადრაკშიც ამიტომ გიგებ.

არტური დანარჩენებს დაუკავშირდა და უთხრა, მათგან რას ელოდა. ქცევის კოდექსის გარდა, შუქზე გამოსულებს სხვა პასუხისმგებლობებიც ჰქონდათ. ქრისტინი სამი წლისად დარჩა და დანარჩენებს გამუდმებით უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა. მიუხედავად ამისა, რეიგენმა დაიჟინა, რომ რადგან ის პირველი იყო და „ოდუახში დჟერ კიდევ ბავშვი იკო“, მას არასოდეს მოიშორებდნენ და არასდროს არ ცნობდნენ „არასასურველად“. ის სასარგებლოც კი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ შემთხვევებში, როცა შუქზე კომუნიკაციის უნარის არმქონე ვინმე იქნებოდა საჭირო, ვისაც არაფერი ეცოდინებოდა. მაგრამ დანარჩენების მსგავსად, მასაც ევალეობდა თავისი მიზნების მისაღწევად მუშაობა. არტურის დახმარებით წერა-კითხვა უნდა ესწავლა და დისლექსია დაეძლია. ტომის ელექტრობის მიმართ თავისი ინტერესი უნდა დაეკმაყოფილებინა და მექანიკოსის უნარები დაეხვეწა. მიუხედავად იმისა, რომ ბოქლომებისა და სეიფების გაღება ეხერხებოდა, ეს ტექნიკა მხოლოდ ერთი მიზნით უნდა გამოეყენებინა — არა შესაღწევად, არამედ გასაქცევად. ქურდობაში არასდროს არავის არ უნდა დახმარებოდა. მძარცველი არ უნდა გამხდარიყო. თავისუფალ დროს ტენორ-საქსოფონზე დაკვრაში უნდა ევარჯიშა და პეიზაჟების ხატვის ნიჭი სრულყო. მებრძოლი

ხასიათი უნდა ეკონტროლებინა, მაგრამ როცა საჭირო იქნებოდა, სხვებთან ურთიერთობაში გამოეყენებინა. რეიგენს კარატესა და ძიუდოზე უნდა ევლო, ეძუნძულა და სხეულის საუკეთესო ფორმა შეენარჩუნებინა. არტურის დახმარებითა და ხელმძღვანელობით რეიგენს ადრენალინის ნაკადის კონტროლი უნდა ესწავლა, რათა სტრესისა და საფრთხის პირობებში ენერჯის მოკრება შესძლებოდა. უნდა გაეგრძელებინა სამხედრო აღჭურვილობისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების შესწავლაც. მომდევნო ხელფასის ნაწილი მისთვის მიზანში სროლაში სავარჯიშო იარაღის შეძენაზე წავიდოდა. ალენს ვერბალური უნარები უნდა ევარჯიშებინა და პორტრეტების ხატვაზე გაემახვილებინა ყურადღება. დაძაბულობის განსამუხტავად დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაუკრავდა ხოლმე. საჭიროებისას სხვების მართვის საქმეში მოწინავე კაცი იქნებოდა. მისთვის, როგორც ყველაზე კომუნიკაბელური პიროვნებისათვის, მნიშვნელოვანი იყო გარეთ გასვლა და ხალხის გაცნობა. ადალანას ლექსების წერა და კულინარიული ნიჭის დახვეწა ევალეებოდა — სახლიდან ცალკე ბინაში რომ გადავიდოდნენ, გამოადგებოდათ. დენის ნატურმორტების ხატვა უნდა განეგრძო და პულვერიზატორი აეთვისებინა. რადგან მოზარდი იყო, პატარებისთვის ძიძის მაგივრობა უნდა გაეწია. არტური სამეცნიერო მუშაობაზე უნდა კონცენტრირებულიყო, განსაკუთრებით, სამედიცინო საქმეში. კლინიკური ჰემატოლოგიის თვითმასწავლებელი ფოსტით უკვე გამოიწერა. ლოგიკასა და ნათელი მსჯელობის უნარს იურისპრუდენციის შესასწავლადაც გამოიყენებდა. დანარჩენებს გააგებინეს, რომ მათი დროის ყოველი წამი საკუთარ თავზე მუშაობისა და ცოდნის გაფართოებისთვის უნდა გამოეყენებინათ. არასდროს უნდა მოდუნებულყვნენ, დრო არ ეფლანგათ, გონებისთვის სტაგნაციის უფლება არ უნდა მიეცათ. ოჯახის თითოეულ წევრს მიზნების მისაღ-

წევად უნდა ებრძოლა და ამავე დროს, განათლებული და კულტურული ყოფილიყო. ამაზე მაშინაც კი უნდა ეფიქრათ, როცა შუქიდან გასულები იქნებოდნენ, ცნობიერებაზე ყოფნისას კი ამ ფიქრებისთვის ხორცი უნდა შეესხათ. პატარებს მანქანის მართვა ეკრძალებოდათ. თუ რომელიმე საჭესთან გამოვიდოდა შუქზე, მგზავრის ადგილას უნდა გადაცოცებულიყო და ვინმე უფროსს დალოდებოდა, რომ მანქანა მას ეტარებინა. ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ არტური ძალიან თანმიმდევრული იყო და ყველაფერი ძალიან ლოგიკურად ააგო. „სემუელი“ ძველ აღთქმას კითხულობდა, მართო ქოშერულ საჭმელს ჭამდა და ქვიშაქვის დამუშავება და ხეზე კვეთა იტაცებდა. შუქზე 27 სექტემბერს რომ-ჰაშანაზე — ებრაულ ახალ წელს გამოვიდა და ბილის ებრაელი მამის სულის მოსახსენიებელი ლოცვა წაიკითხა. სემუელმა იცოდა არტურის მკაცრი წესი ნახატების გაყიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ ერთხელ, როცა ფული დასჭირდა, გარშემო კი ოჯახის წევრებიდან არავინ იყო, რომ რჩევა ეკითხა, ალენის მიერ ხელმოწერილი შიშველი პორტრეტი გაყიდა. სიშიშველე მის რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფდა და არ უნდოდა, ცხვირწინ ჰქონოდა. მყიდველს უთხრა:

— ავტორი არ ვარ, თუმცა ვიცნობ.

მერე ტომის დახატული საბძელი გაყიდა — ნახატი, რომელსაც აშკარა შიშის აურა ეკრა გარს. არტურმა სემუელის საქციელის შესახებ რომ შეიტყო, განრისხდა. სემუელს უნდა გაეცნობიერებინა, რომ სხვებისთვის ძვირფას ნახატებს ყიდდა, ისეთ პირადულს, უცხო თვალისთვის რომ არ იყო განკუთვნილი. მან ტომის სემუელის საყვარელი ქმნილების — კუპიდონებით გარშემორტყმული ვენერას თაბაშირის ქანდაკების მოძებნა უბრძანა.

— გაანადგურე, — უთხრა არტურმა.

ტომიმ ქანდაკება გარეთ გაიტანა და ჩაქუჩით დაამსხვრია.

— სხვისი შემოქმედების გაყიდვის საზარელი დანაშაულისათვის ამიერიდან სემუელს არასასურველად ვაცხადებ. დღეიდან მას შუქზე გამოსვლა ეკრძალება.

სემუელი შეეცადა, განაჩენი გაესაჩივრებინა. არტურს აუხსნა, რომ არ უნდა გაეძევებინათ, რადგან მათ შორს ერთადერთი მორწმუნე იყო.

— ღმერთი მათ გამოიგონეს, ვისაც შეუცნობლის ეშინია, — უთხრა არტურმა, — ხალხი იესოსნაირ პიროვნებებს მხოლოდ იმიტომ სცემს თაყვანს, რომ სიკვდილის ეშინია.

— სწორედაც, — მიუგო სემუელმა, — მაგრამ მცირე დაბღვევა ცუდი როდია. თუ სიკვდილის მერე აღმოვაჩინეთ, რომ ღმერთი არსებობს, რითია ცუდი ერთი ჩვენგანი მაინც თუ იქნება მორწმუნე? იქნებ რომელიმეს სულმა სამოთხესაც გამოკრას ხელი?

— არსებობს კი სული? — უთხრა არტურმა.

— შენც რას ჩქარობ? რატომ რისკავ? რას კარგავ, შანსი რომ დამიტოვო?

— წესი მე შევქმენი, — უთხრა არტურმა, — და ჩემი გადაწყვეტილება ურყევია. ექვსი ოქტომბერი თქვენი ყველაზე წმინდა დღე, იომ-კიპურია. მონანიების დღეს შეგიძლია შუქზე გამოხვიდე და იმარხულო, მერე კი გაგაძევებ.

მოგვიანებით არტური ტომის გამოუტყდა, რომ ცხელ გულზე შეცდომა დაუშვა. დარწმუნებული ვერ იქნებოდა იმაში, ღმერთი არსებობს თუ არა და ერთადერთი მორწმუნის შუქიდან გაძევება არ უნდა ეჩქარა.

— შეგიძლია გადაწყვეტილება შეცვალო, — უთხრა ტომიმ, — და ზოგჯერ შუქზე გამოუშვა ხოლმე.

— ვიდრე ცნობიერების სათავეში ვარ, ასე ვერ მოვიქცევი, — უპასუხა არტურმა, — ვაღიარებ, შეცდომა დავუშვი, გრძნობებს

გონების დაბინდვის საშუალება რომ მივეცი, მაგრამ რადგან გადავწყვიტე, აღარ შევცვლი.

სამოთხისა და ჯოჯოხეთის ამბავმა ტომი შეაფიქრინა. აღმოაჩინა, რომ ეს აზრი გონებიდან ვერაფრით ამოეგდო. ფიქრობდა, ნეტავ ჯოჯოხეთში თუ აღმოვჩნდით, იქიდან გამოქცევას მოვახერხებ თუ ვერაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ალენი ქუჩაში სკოლისდროინდელ ნაცნობს შეეჩეხა. ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ბარი ჰარტი მისი ძველი ნაცნობის მეგობარი უნდა ყოფილიყო. თმაწამოზრდილი ახლა ჰიპის ჰგავდა. ბარიმ ლუდის საწრუპად და სასაუბროდ თავისთან მიიპატიჟა. დიდ, გატიხრულ ბინაში ცხოვრობდა და სანამ ალენი ბარისთან ერთად სამზარეულოში იჯდა, მასთან ათასი კაცი მოვიდა და წავიდა. ალენმა ივარაუდა, რომ ეს ნარკოტიკებით ვაჭრობის პუნქტი უნდა ყოფილიყო. როცა წასასვლელად მოემზადა, ჰარტმა უთხრა, შაბათ საღამოს წვეულებას ვაწყობ, უამრავი მეგობარი მოდის და შენც გეპატიჟებიო. ალენი დათანხმდა. აბა, არტურმა არ უთხრა, ხალხში ხშირად იარეო? მაგრამ როცა შაბათს წვეულებაზე მივიდა, იქაურობა არ მოეწონა. ყველა წამალს იღებდა. სვამდნენ, მარიხუანას ეწეოდნენ და ტაბლეტებს ყლაპავდნენ. ალენმა იფიქრა, ამათი უმეტესობა, მგონი, თავს იდებილებსო. გადაწყვიტა, სულ ცოტა ხნით დარჩენილიყო და ლუდი დაეღია, მაგრამ რამდენიმე წუთში თავი ისე უსიამოვნოდ იგრძნო, რომ შუქიდან გავიდა. არტურმა მიმოიხედა. გარემო ზიზღს გვრიდა, მაგრამ გადაწყვიტა, დამჯდარიყო და ამ მდაბიურ ყოფას დაკვირვებოდა. საინტერესო იყო, სხვადასხვა ნივთიერების მიღების შემდეგ ვინ როგორ იქცეოდა — ალკოჰოლს რომ დალევედნენ, ჩხუბს იწყებდნენ, მარიხუანის მოწევის შემდეგ — ხითხითს, ამფეტამინი ტრანსში აგდებდათ, ლშდ-ს გავლენით სხვა სამყაროში დახეტიალობდნენ. არტურმა დაასკვნა, აქაურობა ნარკოლაბორატორიააო. არტურმა მასავით განაპირას მჯდარი წყვილი შენიშნა. მაღალი, თხელი გოგო გრძელი, მუქი თმით, სავსე ტუჩებითა და დაბინდული თვალებით გამუდმებით მისკენ

იყურებოდა. არტურს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ გოგონა მალე მიუახლოვდებოდა და გამოელაპარაკებოდა. ამის წარმოდგენაც კი აღიზიანებდა. პირველი გოგონასთან ერთად მისული ბიჭი გამოელაპარაკა.

— ჰარტის წვეულებებზე ხშირად დადიხარ? — ჰკითხა ყმაწვილმა, — ჩემი მეგობარი მეუბნება, მგონი აქ ადრეც მინახავსო. მეც ეგეთი შეგრძნება მაქვს. რა გქვია?

— ბილი მილიგანს მეძახიან.

— ჩელას ძმა ხარ? მე უოლტ სტენლი ვარ. შენს დას ვიცნობ.

ახალგაზრდა ქალიც მიუახლოვდათ და სტენლიმ უთხრა:

— მარლენ, ეს ბილი მილიგანია.

სტენლი წავიდა და მარლენი ალენს თითქმის ერთ საათს ელაპარაკა, თან ირგვლივ მყოფებს აკვირდებოდა. ალენმა აღმოაჩინა, რომ გოგონა მხიარული და თბილი იყო. გრძნობდა, მარლენს მოსწონდა. მისი მუქი, კატისებრი თვალები მასში უცნაურ გრძნობას იწვევდა და იზიდავდა, მაგრამ იცოდა, რომ არტურის წესების გადამკიდე, არაფერი გამოვიდოდა.

— ეი, მარლენ, — დაუძახა სტენლიმ ოთახის მეორე ბოლოდან, — გინდა გავიყოთ?

მარლენმა ყურადღება არ მიაქცია.

— შენი ბოიფრენდი გეძახის, — უთხრა ალენმა.

— არ არის ჩემი ბოიფრენდი, — მიუგო ღიმილით მარლენმა.

ალენი ანერვიულდა. ძლივს გამოვიდა ზეინსვილიდან გაუპატიურების ყალბი ბრალდებით, ახლა კი ეს გოგო ეკიდებოდა.

— ბოდიში, მარლენ, უნდა წავიდე, — უთხრა მან.

გოგონა გაოცებული ჩანდა.

— იქნებ კიდევ გადავეყაროთ სადმე ერთმანეთს.

ალენი სწრაფად გაეცალა იქაურობას.

მომდევნო შაბათს ალენმა იფიქრა, მშვენიერი შემოდგომის დღეა გოლფის სათამაშოდო. ჯოხები მანქანაში ჩააწყო, ლანკასტერის კლუბს მიადგა და ელექტრომანქანა იქირავა. რამდენიმე დარტყმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. როცა მორიგი დარტყმით ბურთი ბუნკერში ჩააგდო, საკუთარ თავზე ისე გაბრაზდა, რომ შუქიდან გავიდა. მარტინმა თვალეები გაახილა და გაოცდა, როცა აღმოაჩინა, რომ ხელში სოლი ეჭირა და ბუნკერიდან ბურთის ამოგდებას ცდილობდა. მან ბურთი ამოაგდო და ორმოში ჩააგდო. არ იცოდა, რამდენჯერ ააცილა, სანამ ოთხიან ორმოში ჩააგდებდა და სამეჭულიანი ჩაითვალა. რომ დაინახა, მომდევნო პუნქტი როგორი დაკავებული იყო, გაღიზიანდა და ხმამაღლა დაიჩივლა, რომ შეფერხება მისნაირ მაღალი დონის მოთამაშეებს თამაშს უშხამებდა.

— მე ნიუ-იორკელი ვარ, — უთხრა შუახნის კაცს, რომელსაც წინ კიდევ ოთხი კაცი ედგა, — და მიჩვეული ვარ თამაშს კერძო კლუბებში, რომლებიც აქაურობაზე ბევრად უფრო ექსკლუზიურია და ყველა კლასის წარმომადგენელს როდი აძლევენ თამაშის უფლებას.

კაცი ანერვიულდა. მარტინი დაწინაურდა.

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თამაში რომ გავაგრძელო?

და პასუხსაც არ დალოდებია, წინ გაიჭრა, დაარტყა და თავისი ელექტრომობილით გზა განაგრძო.

მეორე სამეჭულშიც გააგრძელა თამაში, მაგრამ მერე ბურთი გუბურაში ჩაუვარდა. მანქანა თხრილთან გააჩერა, რომ ენახა, შეძლებდა თუ არა ბურთის ამოღებას. ბურთი რომ ვერ იპოვა, მეორე ბურთი თხრილს იქით ისროლა და მანქანასთან დაბრუნდა, მაგრამ შიგ რომ ჯდებოდა, მუხლი მიარტყა. დეივიდი ტკივილის მისაღებად გამოვიდა. ფიქრობდა, ნეტავ სად იყო და ამ პატარა მანქანაში რას აკეთებდა. ტკივილმა რომ გაუარა, დეივიდი

დაჯდა და საჭით თამაში დაიწყო, თან პირით ავტომობილის ხმებს გამოსცემდა და ფეხებს პედლებს ურტყამდა. მუხრუჭი აეშვა, მანქანა დაგორდა და წინა ბორბლებით თხრილში ჩავარდა. შეშინებული დევიდი გაქრა. მარტინი დაბრუნდა. გაოცებული იყო, ვერ გაეგო, რა მოხდა. თითქმის ნახევარი საათი დასჭირდა მანქანის ტალახიდან ამოსაყვანად, თანაც, რომ ხედავდა, ამასობაში მის ადგილას რამდენი კაცი თამაშობდა, ბრაზით ცეცხლი ეკიდებოდა. მანქანა მშრალზე რომ ამოათრია, შუქზე არტური გამოვიდა და რეიგენს უთხრა, მარტინს არასასურველად ვაცხადებ და ვაძევებო.

— გოლფის მანქანის ტბაში ჩაგდებისთვის დბალიან მკაცრი სასაძუელი ხომ არ არის?

— მაგიტომ არ ვსჯი, — უთხრა არტურმა, — მარტინი უსარგებლო ტრაბახაა. გეინსვილის მერე გაპრანჭული ტანსაცმლის და მანქანების ტარების გარდა არაფერზე ფიქრობს. იბღინძება. თავის თავზე მუშაობა და შემოქმედება სულ არ ადარდებს. თვითმარქვია, მატყუარა და კიდევ უარესი — სნობია.

რეიგენს გაეღიმა.

— არ ვიცოდი ტუ სნობიზმი არასასურველობის მიზეზი იყო.

— ჩემო კარგო, — უთხრა არტურმა ცივად, ხვდებოდა, რეიგენი საით უკაკუნებდა, — არავის აქვს უფლება, სნობი იყოს, თუ ძალიან ჭკვიანი არ არის. მე მაქვს ამის უფლება, მარტინს — არა.

ბოლო ოთხი ბურთი არტურმა ჩააგდო.

1973 წლის 27 ოქტომბერს, ჩალმერ მილიგანზე გათხოვებიდან თითქმის ათი წლის შემდეგ, დოროთი მეოთხე ქმარზე — დელმოს მურზე დაქორწინდა. დელი ცდილობდა, ბილისა და გოგოებს მამობრივად მოპყრობოდა, მაგრამ ისინი დასანახად ვერ იტანდნენ. როცა დელმა წესების შემოღება სცადა, არტურმა სასტიკად დასცინა. ერთ-ერთი რამ, რასაც დოროთი უმცროს ვაჟს

უკრძალავდა, მოტოციკლეტის მართვა იყო. ტომიმ იცოდა, რომ ეს სტიუარტის ტრაგედიის გამო ხდებოდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ მისთვის რამის აკრძალვა იმის გამო, რაც სხვას დაემართა, არასწორი იყო. ერთხელ მეგობრისგან „იამაჰა – 350“ ითხოვა და ზედ თავის სახლთან ჩაიარა. სპრინგ-სტრიტს უკან რომ მოუყვებოდა, ტომიმ შენიშნა, რომ გამოსაბოლქვი მილი მორყეული იყო.

რეიგენმა მოტოციკლეტიდან ისკუპა, ჯინსი ჩამოიბერტყა და ტრანსპორტი ისევ ეზოში დააბრუნა. მერე შინ შევიდა, რომ შუბლიდან სისხლი მოეწმინდა. აბაზანიდან რომ გამოვიდა, დოროთიმ ყვირილი დაუწყო:

— ხომ გითხარი, მოტოციკლეტზე არ დაგინახო-მეთქი! ამას ჩემს გასამწარებლად აკეთებ?!

დელი ეზოდან შემოვიდა და უყვირა:

— განზრახ გააკეთე, ხო? კარგად იცი, რაც მემართება მოტოციკლეტებზე!

რეიგენმა თავი გაიქნია და შუქიდან გავიდა. გამოსაბოლქვი მილის ამბავი ჯობდა ტომის აეხსნა.

ტომიმ მოშტერებულ დოროთის და დელს ახედა.

— ძალით გააკეთე, არა? — უთხრა დელმა.

— რა სისულელეა, — უთხრა ტომიმ და ჭრილობაზე ხელი მოისვა, — გამოსაბოლქვი მილი ჩამოვარდა და...

— ისევ ტყუის, — თქვა დელმა, — გავედი და შევხედე იმ მოტოციკლეტს. ის მილი ისე ვერ ჩამოიწეოდა, რომ არ გაღუნულიყო. შევამოწმე და არ არის გაღუნული.

— მატყუარას ნუ მეძახი! — უყვირა ტომიმ.

— მატყუარა ხარ, აბა რა ხარ! — უღრიალა დელმა.

ტომი ოთახიდან გავარდა. რა აზრი ჰქონდა იმის თქმას, მილი იმიტომ არ არის გაღუნული, რომ რეიგენმა დროზე დაინახა და მანამდე გადახტა, სანამ უარესი მოუვიდოდაო. როგორც არ უნ-

და აეხსნა, ტყუილად მონათლავდნენ. როცა იგრძნო, ბრაზი ისე მოაწვა, რომ ველარ უმკლავდებოდა, ტომი შუქიდან გავიდა. დოროთი, რომელიც მიხვდა, მისი ვაჟი რა გაცოფებული იყო, გარაჟისკენ წასულს უკან დაედევნა. დაინახა, ბრაზით სახეშეშლილი როგორ მივიდა ხის გროვასთან, მერე ფიცარი აიღო და შუაზე გადაამტვრია. ამტვრევდა და ამტვრევდა ფიცრებს, რომ ღრმა და დამანგრეველი ბრაზი განემუხტა.

არტურმა ყველაფერი გადაწყვიტა. სხვაგან უნდა გადასულიყვნენ.

რამდენიმე დღეში ალენმა დოროთის სახლიდან აღმოსავლეთით, მანქანით სულ რამდენიმე წუთის სავალზე, ბროდ-სტრიტის 808 ნომერში მდებარე თეთრფასადიან სახლში იაფფასიანი ბინა იპოვა. პატარა ბინა იყო, მაგრამ მაცივარი და ღუმელი ჰქონდა. ლეიბი, ორიოდე სკამი და მაგიდაც დაამატა. იმ პირობით, რომ კრედიტის ხარჯებს თვითონ გაისტუმრებდა, დოროთიმ „პონტიაკ გრან პრი“ უყიდა. რეიგენმა 0,30-კალიბრიანი ვარაზინი იყიდა ცხრატყვიანი მჭიდითურთ და ერთი 0,25-კალიბრიანი ნახევრადავტომატური პისტოლეთიც დაუმატა. თავიდან საკუთარი ბინა ძალიან სიამოვნებდა. შეეძლო, როცა მოუნდებოდა, მაშინ ეხატა, ისე რომ არავინ აწუხებდა. არტურმა ასპირინი და სხვა წამლები მაგარსუფიანი ბოთლებით იყიდა, რომ შიგნით ბავშვები არ ჩამძვრალიყვნენ. ისიც მოითხოვა, რეიგენს არაყიც ასეთივე თავსახურიანი ბოთლებით ეყიდა და შეახსენა, იარაღი ყოველთვის ჩაკეტილ უჯრაში შეენახა. ადალანამ და ეიპრილმა სამზარეულოში ქიშპობა გააჩაღეს. არტური გრძნობდა, რომ ეს ვარგს არაფერი მოიტანდა, მაგრამ ამის მიუხედავად არც ერთის მხარე არ დაიჭირა. დრო სწავლის, კვლევისა და მომავლის დაგეგმვისათვის ძლივს ჰყოფნიდა, ამიტომ გადაწყვიტა, ქალების გაუთავებელი სიტყვით გამოსვლისა და ჩხუბისათვის ყურადღება არ

მიექცია. როცა უკმაყოფილება უკვე აუტანელი გახდა, შესთავაზა, ადალანამ საჭმელი ამზადოს, ეიპრილმა კი კეროს და რეცხოსო და ამით დაამთავრა. არტური ძლიერ გაიტაცა გამხდარმა, შავთმიანმა, ყავისფერთვალემა ეიპრილმა, დანარჩენებს შორის ბოლოხანს რომ აღმოაჩინა. უბრალო, თითქმის ულამაზო ადალანასთან შედარებით ის გაცილებით მიმზიდველი და ჭკვიანი იყო. თითქმის ტომივით და ალენივით, ან ლამის თვითონ არტურივით ჭკვიანი. თავიდან არტური მისმა ბოსტონურმა აქცენტმა დააინტრიგა. მაგრამ როცა მისი აზრები გაიგო, ინტერესი დაკარგა. ეიპრილი ჩალმერის წამებისა და მოკვლის იდეით იყო შეპყრობილი. გონებაში გეგმებს აწყობდა. ჩალმერის ბინაში შემოტყუება რომ მოეხერხებინა, სკამზე მიაბამდა და სარჩილავით ნაწილ-ნაწილ დაწვავდა. ამფეტამინებზე ეყოლებოდა, რომ არ ჩასძინებოდა და სარჩილავით თითებს სათითაოდ დააჭრიდა, ბოლოებსაც სარჩილავით მოუწვავდა, რომ სისხლი არ წამოსვლოდა. უნდოდა, ჯოჯოხეთში მოხვედრამდე ჩალმერი აქ დატანჯულიყო. ეიპრილმა რეიგენის წაქეზება დაიწყო. ყურში ჩასჩურჩულებდა:

— ჩალმერი უნდა მოკლა. იარაღი აიღო და ესროლო.

— მე მკვლელი არა ვარ.

— ეს ხომ მკვლელობა არ იქნება. იმისთვის დაისჯება, რაც ჩაიდინა.

— მე კანონი არა ვარ. სამართალი არის სასამართლოსი. ჩემ დბალას მართო კალების და ბავშვების დასაცავად ვიკენებ.

— მე ხომ ქალი ვარ.

— შენ გიჟი კალი ხარ.

— მხოლოდ იარაღი უნდა აიღო და იმ ბორცვზე დაიმალო, რომლის პირდაპირაც ახალ ცოლთან ერთად ცხოვრობს. ესროდი და ვერავინ გაიგებდა, ეს ვინ ჩაიდინა.

— კარაბინს ოპტიკური სამიზნე არ აკვს. ეგ კიდეც დზალიან შორს არის. სამიზნის პული არა გვაკვს.

— შენ ხომ ხელმარჯვე ხარ, რეიგენ, ტელესკოპი გვაქვს. შეგიძლია გადააკეთო და სამიზნე მიახატო, — წაიჩურჩულა ეიპრილმა.

რეიგენი მის თავიდან მოცილებას ცდილობდა, მაგრამ ეიპრილი არ ცხრებოდა რეიგენს სულ ახსენებდა, როგორ მოექცა მათ ჩალმერი, განსაკუთრებით პატარებს. იცოდა, როგორ უყვარდა ქრისტინი და გამუდმებით ახსენებდა, პატარა გოგონას რა ძალადობის გადატანა მოუწია.

— კარგი, ვიზამ მაგას.

თმის ორი ღერი მოიძრო და საჭვრეტის შიდა მხარეს ფრთხილად მიადო. მერე სახურავზე ავიდა და ხელნაკეთი სამიზნით მიწაზე პატარა შავ ლაქას დაუმიზნა. როცა იგრძნო, რომ ზუსტი იყო, გადაჯვარედინებული თმის ღერები ადგილზე დააწება, სამიზნე კარაბინს ზევიდან დაამაგრა და შესამოწმებლად ტყეში გავიდა. ჩალმერს მისი ახალი სახლის მოპირდაპირე ბორცვიდან აუცილებლად მოარტყამდა. მეორე დილას, ერთი საათით ადრე, ვიდრე ჩალმერი ჩვეულებრივ, სამსახურში მიდიოდა ხოლმე, რეიგენი მანქანით მის უბანში მივიდა, მანქანა გააჩერა და სახლის პირდაპირ ტყეში შევიდა. ხის უკან დაბნაკდა და ჩალმერის გამოსვლას დაელოდა. სამიზნე იმ კარისკენ მიაბრუნა, საიდანაც ჩალმერი უნდა გამოსულიყო.

— არ ისროლო! — უთხრა არტურმა ხმამაღლა.

— უნდა მოკვდეს! — უპასუხა ხმამაღლავე რეიგენმა.

— ეს გადარჩენისთვის აუცილებელი ქცევების სიაში არ შედის!

— ეს კალების და ბავშვების დაცვაში შედის. მაგან ბავშვები აცკენინა. უნდა მოკვდეს რომ დაისადღოს.

არტური მიხვდა, რომ კამათს აზრი არ ჰქონდა, ამიტომ შუქის კიდეში ქრისტინი დააყენა და უჩვენა, რას აკეთებდა რეიგენი. ქრისტინი ატირდა, ფეხების ბაკუნს მოჰყვა და რეიგენს შეეხვეწა, ცუდი რამეები არ ექნა. რეიგენმა კბილი კბილს დააჭირა. ჩალმერი კარიდან გამოდიოდა. რეიგენი იარაღს დასწვდა და მჭიდი ამოიღო. სავაზნე რომ დაცალა, სამიზნეში გაიხედა, ჩალმერი გადაჯვარედინებულ თმის ღერებში მოაქცია და სასხლეტს ნაზად გამოსდო თითი. მერე იარაღი მხარზე გადაიგდო, მანქანასთან დაბრუნდა და შინ, ახალი ბინისკენ გასწია.

იმავე დღეს არტურმა გამოაცხადა:

— ეიპრილი შეშლილია, ყველას საფრთხეს გვიქმნის.
და შუქიდან გააძევა.

კევინი ბინაში მარტო იყო, როცა ზარმა დარეკა. კარი რომ გააღო, მოლიმარი, ლამაზი, ახალგაზრდა ქალი დაინახა.

— ბარი ჰარტს დაუბრუნე, — უთხრა მარლენმა, — და მითხრა, რომ ცალკე აქ გადმოხვედი. წვეულებაზე შენთან საუბარი ძალიან სასიამოვნო იყო და ვიფიქრე გავუვლი, ვნახავ, როგორ არის—მეთქი.

კევინს წარმოდგენა არ ჰქონდა, რაზე ელაპარაკებოდნენ, მაგრამ შინ მაინც შეიპატიჟა.

— სანამ კარს გავაღებდი, მაგარ საზიზღარ ხასიათზე ვიყავი, — უთხრა მან.

მარლენმა მთელი საღამო მასთან ერთად გაატარა, მის ნახატებს ათვალთვლებდა და საერთო ნაცნობებზე ესაუბრებოდა. კმაყოფილი იყო, პირველი ნაბიჯი რომ გადადგა და მის სანახავად მივიდა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს ძალიან ახლობლები ყოფილიყვნენ. წასასვლელად რომ მოემზადა, კევინმა ჰკითხა, ჩემს სანახავად კიდევ თუ მოხვალ. მარლენმა მიუგო, თუ ასე გინდა, მოვალ.

1973 წლის 16 ნოემბერს, იმ დღეს, როცა ოჰაიოს ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მეთვალყურეობა ოფიციალურად მოუხსნეს, კევინი უბნის ბარში იჯდა და გორდი ქეინის სიტყვებს იხსენებდა, ზეინსვილიდან წამოსვლის დღეს რომ უთხრა.

— ბარიგა თუ დაგჭირდა, მომძებნე.

ჰოდა, ახლა სწორედ ამის გაკეთებას აპირებდა. გვიან საღამოს მანქანით კოლამბუსის აღმოსავლეთით მდებარე რეინოლდსბურგის უბნისკენ გასწია. ქეინის მითითებულ მისამართზე კუთხის ნაკვეთში მდიდრული რანჩო იდგა. გორდი ქეინსა და დე-

დამისს მისი დანახვა გაუხარდათ. ჯულია ქეინმა სექსუალური, მკერდისმიერი ხმით უთხრა, ჩვენთან ნებისმიერ დროს სასურველი სტუმარი ხარო. სანამ ჯულია ჩაის ამზადებდა, კეინმა გორდის ჰკითხა, შეგიძლია პარტიის საყიდლად და გაყიდვებზე საჩაღლიჩოდ საკმარისი ფული მასესხო? ახლა კი გაფხეკილი იყო, მაგრამ მერე დაუბრუნებდა. გორდიმ მეზობელთან წაიყვანა, სადაც ნაცნობმა სამას ორმოცდაათი დოლარის მოსაწევი მიჰყიდა.

— ამას ათასის ზევით გაასაღებ, — უთხრა ქეინმა, — რომ გაყიდი, შეგიძლია ფული მერე დამიბრუნო.

ქეინს ხელები უკანკალებდა, გამოთაყვანებული ჩანდა.

— რა წამალზე ხარ? — ჰკითხა კეინმა.

— მორფი. თუ ვიშოვე.

იმ კვირაში კეინმა მოსაწევი ლანკასტერში ჰარტის რამდენიმე მეგობარს მიჰყიდა და შვიდასი დოლარის მოგება მიიღო.

მერე ბინაში დაბრუნდა, ერთი გახვევა მოწია და მარლენს დაურეკა.

მარლენი მივიდა და უთხრა, ბარისგან გავიგე, რომ მოსაწევის გაყიდვა დაგიწყია და შენზე ვლელავო.

— ვიცი, რასაც ვაკეთებ, — უთხრა კეინმა.

მერე აკოცა, შუქი ჩააქრო და ლეიბზე დააწვინა. მაგრამ როგორც კი მათი სხეულები ერთმანეთს შეეხნენ, ადალანამ კეინი შუქიდან გაუშვა. სწორედ დღეს სჭირდებოდა ჩახუტება და სინაბე.

ადალანამ იცოდა არტურის უბიწოების წესი. გაიგო, კაცებს როგორ ეუბნებოდა, რომ ერთი გადაცდენაც კი მათ არასასურველად ცნობას გამოიწვევდა. მაგრამ არტურისთანა ჭეშმარიტ ბრიტანელ ჯენტლმენს აზრადაც არ მოუვიდოდა სექსზე ადალანასთან საუბარი. ადალანა მის პურიტანულ წესებს არ იღებდა, არტური კი ამას არც კი ეჭვობდა.

მეორე დილას ალენმა რომ გაიღვიძა, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მოხდა. კარადაში ფული ნახა და აღელდა, მაგრამ განმარტების მისაღებად ვერც ტომის უკავშირდებოდა, ვერც რეიგენს და ვერც არტურს. იმ საღამოს ჰარტის რამდენიმე მეგობარმა მოსაწვევისთვის შეუარა, მაგრამ ალენი აზრზე არ იყო, რაზე ელაპარაკებოდნენ. ზოგმა ჩხუბი და ცხვირწინ ფულის ფრიალი დაუწყო და ალენმა ბოლოს და ბოლოს, იეჭვა, რომ ოჯახში რომელიღაც მარიხუანით ვაჭრობდა. ერთხელ ჰარტთან რომ იყო, ერთ-ერთმა კაცმა 0,38-კალიბრიანი „სმიტ-ვესონი“ უჩვენა. ზუსტად არ იცოდა, რისთვის უნდოდა, მაგრამ კაცს ორმოცდაათი დოლარი შესთავაზა, ისიც დათანხმდა, ის კი არა, ტყვიებიც მისცა. ალენმა იარაღი მანქანასთან მიიტანა და სავარძლის ქვეშ ჩადო.

რეიგენი დაიხარა და „სმიტ-ვესონი“ ხელში აიღო. ეს მას უნდოდა, ალენს იარაღი ეყიდა. საუკეთესო ვარიანტი არ იყო, თვითონ ალბათ ცხრამილიმეტრიანს არჩევდა, მაგრამ კოლექციისთვის ცუდი არ ჩანდა. ალენმა მოცუფქნული ბინიდან სხვაგან გადასვლა გადაწყვიტა. ლანკასტერის გაზეთში განცხადებების თვალყურებისას ნაცნობ ტელეფონის ნომერს წააწყდა. ტელეფონების წიგნში იქამდე ეძება, სანამ ნომერიც არ იპოვა და მისი მფლობელიც — ჯორჯ კელნერი, ადვოკატი, რომელმაც ბენსვილში გადაყვანა მოუხერხა. ალენმა დოროთის დაარეკინა მასთან. კელნერი თვეში ოთხმოც დოლარზე დათანხმდა. ერთსაძინებლიანი სუფთა ბინა რუმველტ ავენიუ 803 და ½-ზე მეორე შენობას ამოფარებულ თეთრი სახლის მეორე სართულზე იყო განლაგებული. ალენი ერთ კვირაში გადავიდა და ბინა კომფორტულად მოაწყო. ნარკოტიკებით მაიმუნობა აღარ ღირდა. იმ ხალხისგან თავი შორს უნდა დაეჭირათ. გაოგნებული იყო, როცა მარლენი, რომელიც ბარის წვეულების შემდეგ არ ენახა, შინ მიადგა და ისე იქცეოდა, როგორც საკუთარ სახლში. წარმოდგენა

არ ჰქონდა, დანარჩენებიდან რომელი ხვდებოდა, მაგრამ გადაწყვიტა, რომ მარლენი მისი შესაფერისი არ იყო და მასთან არაფერი ესაქმებოდა. მარლენი სამსახურის შემდეგ აკითხავდა, ვახშამს უმზადებდა, საღამოს მასთან ატარებდა და მერე მშობლებთან, შინ მიდიოდა. პრაქტიკულად, მასთან ცხოვრობდა, რაც ყველაფერს იმაზე მეტად ართულებდა, ვიდრე ალენი ისურვებდა. როცა მარლენი სინაზის გამოჩენას იწყებდა, ალენი შუქიდან გადიოდა. მერე ვინ გამოდიოდა, არ იცოდა და არც აინტერესებდა. მარლენს ბინა ძალიან მოსწონდა. ბილის პერიოდული ბილწსიტყვაობის ნაკადი და რისხვის გამოვლინებები თავიდან შოკში აგდებდა, მაგრამ მერე მის ცვალებად გუნებას შეეჩვია — ერთ წუთს ნაზი და მოსიყვარულე იყო, მეორე წუთს — ბრაზიანი და ბობოქარი, მერე კი უცებ მხიარული, გონებამახვილი და ლაქლაქა ხდებოდა. ზოგჯერ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე სისაწყლემდე მოუხერხებელი ჩანდა, გეგონებოდა, პატარა ბიჭი იყო, რომელმაც არ იცოდა, რომელი ფეხსაცმელი რომელ ფეხზე უნდა ჩაეცვა. მარლენი ფიქრობდა, მიხედვა სჭირდებაო. ეს სულ ნარკოტიკებისა და იმ ხალხის ბრალი იყო, ვისთანაც ურთიერთობდა. იქნებ, თუკი დაარწმუნებდა, რომ ბარი ჰარტის მეგობრები მხოლოდ იყენებდნენ, დაენახა, რომ ისინი თვითონ არაფერში სჭირდებოდა. ზოგჯერ ისეთ რამეებს აკეთებდა, რომ მარლენს აშინებდა. ამბობდა, სხვებმა თუ გაიგეს აქ რომ ხარ, გამოჩნდებიან და ცუდ დღეს დაგვაყრიანო. მიანიშნა, ჩემს ოჯახს ვგულისხმობო. გარდა ამისა, ეტრაბახებოდა, სნაიპერი ვარ და მაფიასთან ვთანამშრომლობო. როცა უთხრა, რამე სიგნალი უნდა მოვიფიქროთო, მარლენი დარწმუნდა, რომ საქმე მართლა მაფიასთან ჰქონდა. როცა მარლენი მასთან ბინაში იყო, ფანჯარაზე ნახატს დებდა. მისი თქმით, ეს დანარჩენებისთვის განკუთვნილი შეტყობინება იყო — რომ დაინახავდნენ, მიხვდებოდნენ, რომ აქ

მარლენი იყო და თავი შორს უნდა დაეჭირათ. როცა სექსი ჰქონდათ, ყველაფერი ხშირად ბილწსიტყვაობითა და უხეშობით იწყებოდა და მერე ნაზ და სათუთ ალერსად იქცეოდა. მაგრამ მის სექსუალობაში რაღაც აღელვებდა. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი და მამაკაცური იყო, მარლენს ისეთი განცდა ჰქონდა, რომ ის ვნებიანობას მხოლოდ თამაშობდა და სინამდვილეში, ორგაზმს არასდროს არ აღწევდა. დარწმუნებული არ იყო, მაგრამ იცოდა, რომ უყვარდა და გადაწყვიტა, რომ ამის გამოსწორებას მხოლოდ დრო და გაგება სჭირდებოდა. ერთ საღამოს ადალანა შუქიდან გასხლტა და შუქზე დევიდის აღმოჩნდა, შეშინებული იყო და ტიროდა.

— ატირებული კაცი არასოდეს არ მინახავს, — წასჩურჩულა მარლენმა, — რა მოგივიდა?

დევიდის ჩვილივით მოიკუნტა, ლოყებზე ცრემლები დაჰაღუპით ჩამოსდიოდა. მარლენი შეძრული იყო. როცა ასეთ უსუსურს ხედავდა, თავს მასთან განსაკუთრებით ახლოს გრძნობდა. მოეხვიოდა.

— უნდა მითხრა, ბილი. თუ არ მეტყვი რა ხდება, აბა როგორ დაგეხმარო?

დევიდმა არ იცოდა, რა ეპასუხა და შუქიდან გავიდა. ტომიმ თავი ლამაზი ქალის მკლავებში აღმოაჩინა. ხელი ჰკრა.

— ასე თუ აპირებ მოქცევას, ავდგები და სახლში წავალ, — უთხრა მარლენმა. ფიქრობდა, გამასულელაო და გაბრაზებული იყო.

ტომი იწვა და აბაზანისკენ მიმავალ მარლენს უყურებდა.

— ჯანდაბა! — წაიჩურჩულა მან და დაფეთებულმა აქეთ-იქით მიმოიხედა, — არტური დამბრიდავს!

ლოგინიდან წამოხტა და ჯინსი სწრაფად ამოიცვა. ბოლთას სცემდა, ცდილობდა, თავში ყველაფერი დაეღაგებინა.

— ვინ ჯანდაბაა?

სასტუმრო ოთახის სკამზე მისი ჩანთა დაინახა და სასწრაფოდ იქ გაჩნდა. მართვის მოწმობაზე სახელი „მარლენი“ წაიკითხა და ბარათი ისევ სწრაფად ჩააცურა უკან.

— არტურ, — დაიხურჩულა მან, — ჩემი თუ გესმის, იცოდე, მე ამაში არა ვარ გარეული, თითოც არ დამიკარებია. დამიჯერე, მე წესების დამრღვევი არა ვარ.

მოლბერტთან მივიდა, ფუნჯი აიღო და დაწყებულ პეიზაჟზე გააგრძელა მუშაობა. არტურს ეცოდინებოდა, რომ რაც ევალეობოდა, იმას აკეთებდა — თავის ნიჭს ხვეწდა.

— მე მგონი, შენი ხატვა ჩემზე უფრო გაღელვებს.

ტომი მიტრიალდა და დაინახა, რომ მარლენი ჩაცმული იყო და თმას ივარცხნიდა. არაფერი უპასუხა და ხატვა განაგრძო.

— ხატვა, ხატვა, მარტო ეგ ოხერი ხატვა გაინტერესებს. ხმა გამეცი, ბილი!

ტომის გაახსენდა არტურის მითითება, რომ ქალებს თავაზიანად უნდა მოჰქცეოდა, გადადო ფუნჯი და მის პირდაპირ სკამზე დაჯდა. ლამაზი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ტანზე ეცვა, მისი თხელი სხეული წარმოიდგინა — ყოველი ამობურცული და ჩაზნექილი ნაწილი. შიშველი ნატურიდან ადრე არასდროს დაეხატა, მაგრამ მას სიამოვნებით დახატავდა. თუმცა იცოდა, რომ ამას არ იზამდა. ადამიანებს ალენი ხატავდა. ცოტა ხანს ესაუბრა. მისი მუქი თვალებით, სავსე, ამობურცული ტუჩებით, გრძელი კისრით მონუსხული იყო. ვინც არ უნდა ყოფილიყო, რასაც არ უნდა მოეყვანა მასთან, გიჟდებოდა მასზე.

არავის ესმოდა, რატომ კარგავდა ბილი მილიგანი სამსახურში დღეებს, ან ასე დაბნეული და გამოშტერებული რატომ იყო. ერთხელ ავზების თავზე აძვრა ჯაჭვის გასასწორებლად და მჯავით სავსე აბაზანაში ჩავარდა. სხვა რა გზა იყო, შინ გაუშვეს. ერთხელ ადგა და წამოვიდა სამსახურიდან და 1973 წლის 21 დეკემბერს ლანკასტერის ელექტროსამემდუღებლო საამქროდან დაითხოვეს. რამდენიმე დღე შინ იჯდა, მარტო, და ხატავდა. ერთ დღეს რეიგენმა იარაღი აიღო და მიზანში სროლაში სავარჯიშოდ ტყეში წავიდა. ამ დროისათვის რეიგენს ბლომად იარაღი დაეგროვებინა. 0,30 კალიბრიანი კარაბინის, 0,25-იანი ნახევრადავტომატის და 0,38-იანი „სმიტ-ვესონის“ გარდა 0,375-იანი „მაგნუმი“, მ-14, 0,44-იანი „მაგნუმი“ და მ-16 ჰქონდა. ისრაელის წარმოების იარაღი კომპაქტურობისა და დაბალი ხმის გამო მოსწონდა. გარდა ამისა, საკოლექციოდ შეიძინა 0,45-იანი „თომპსონის“ მჭიდი. როცა დროის არევამ პიკს მიაღწია, კვეინმა გორდი ქეინს თავის ნაცნობებთან დაკავშირება სთხოვა. მზად იყო, ნარკოტიკების გაყიდვის მუდმივ რეჟიმზე გადასულიყო. ქეინმა ერთ საათში დაურეკა და რეინოლდსბურგთან მდებარე ბლექლიკ ვუდსის გზა მიასწავლა.

— შენზე ვუთხარი. ცალკე უნდა გნახოს, რომ შეგამოწმოს. თუ მოეწონე, საქმე ჯიბეში გაქვს. ბრაიან ფოულის სახელით იცნობენ.

კვეინი გზას დაადგა, ინსტრუქციას ყურადღებით იცავდა. აქ ადრე არასდროს ყოფილა, მაგრამ დანიშნულ ადგილს ათი წუთით ადრე მიაღწია. მანქანა გააჩერა და დაელოდა. თითქმის ნახევარი საათის შემდეგ მერსედესმა შემოუხვია და იქიდან ორი

კაცი გადმოვიდა. ერთი მაღალი იყო, ნაცყავილარი სახე ჰქონდა და ყავისფერი ტყავის ქურთუკი ეცვა. მეორე საშუალო სიმაღლისა, წვეროსანი, ზოლიანი პიჯაკით. ვიღაც მანქანის უკანა სავარძლიდან უყურებდა. კევინს ეს ძალიან არ მოეწონა. სატესთან იჭადა და ოფლი ასხამდა. უნდოდა, მანქანა დაეძრა და იქიდან გაქცეულიყო, მაგრამ ვერ ბედავდა. მაღალი, ჩოფურა ყმაწვილი დაიხარა და კევინს შეხედა. ვიწრო ქურთუკში მარცხენა იღლიის ქვეშ ამობურცული ადგილი უჩანდა.

— მილიგანი ხარ?

კევინმა თავი დაუქნია.

— მისტერ ფოულის შენთან ლაპარაკი უნდა.

კევინი მანქანიდან გადავიდა. რომ მიიხედა, დაინახა, რომ ფოული მერსედესიდან გადმოსულიყო და კარს ეყრდნობოდა. მასზე უფროსიც არ ჩანდა, ასე, თვრამეტის იქნებოდა. ქერა თმა მხრებსა და აქლემის ბეწვის ქურთუკსა და ყელზე გაკვანძულ იმავე მასალის შარფზე ეცემოდა. კევინი მისკენ გაემართა, მაგრამ უცებ იგრძნო, რომ შეაბრუნეს და თავისივე მანქანას მიაკრეს. მაღალს ხელში ავტომატი ეჭირა, წვერიანმა კი ჩხრეკა დაუწყო. კევინი შუქიდან გავიდა.

რეიგენმა წვერიანს ხელი დაუჭირა, მოაბრუნა და მაღალს დააჯახა. მერე მაღალს ეცა, იარაღი წაართვა და ფოულის მიუშვირა.

— განდობრევას არ გირჩევთ, — უთხრა რეიგენმა მშვიდად, — ტვალეებს შორის სამი ტკვია ჩავისვამთ სანამ განძრევას მოასცრებთ.

ფოულიმ ხელები მაღლა ასწია.

— ეი, შენ, — მიუბრუნდა წვერიანს, — კურტუკის ქვეშ რომ იარაგი გავკვს, ორი ტიტიტ ამოიგე და მიცაბე დადე.

— გააკეთე რასაც გეუბნება, — უთხრა ფოულიმ.

როცა ნახა, კაცი იზღაზნებოდა, რეიგენმა უთხრა:

— დროზე, ტორემ გაგიხვრიტე ხელი.

კაცმა ქურთუკი გაიხსნა, იარაღი ამოიღო და მიწაზე დადო.

— ახლა პეხიტ აკვებ გამოაცურე.

კაცმა გაუცურა იარაღი. რეიგენმა ტყვეს ხელი უშვა და მეორე იარაღიც აიღო, სამივე მიზანში ჰყავდა.

— სტუმრის ასე დახვედრა რა ზრდილობაა?

ორივე მჭიდი ამოიღო, იარაღებს ლულებში მოჰკიდა ხელი, დაატრიალა და პატრონებს უკან გადაუგდო. მერე მათგან ზურ-გით შეტრიალდა და ფოულისკენ წავიდა.

— მე მგონი, ამ ორზე უკეტესი დამცველი გჩირდებატ.

— იარაღი მოაშორეთ, — უთხრა ფოულიმ, — და წადით, მის მანქანასთან დადექით. მისტერ მილიგანს უნდა დაველაპარაკო.

რეიგენს თავით ანიშნა, მანქანის უკანა სავარძელზე დამჯდარიყო და თვითონაც გვერდით მიუჯდა. მერე ღილაკს დააჭირა და სამგზავრო ბარი გახსნა.

— რას დალევთ?

— არაკი.

— თქვენი აქცენტიდან გამომდინარე, ასეც ვიფიქრე. ესე იგი, გვარის მიუხედავად, ირლანდიელი არ ხართ, არა?

— იუგოსლავიელი ვარ. გვარები არაფერს ნიშნავს.

— იარაღსაც ხელებივით მოხერხებულად ხმარობთ?

— იარაგი გაკვტ რომ გაჩვენოტ?

ფოულიმ სავარძლის ქვეშიდან 0,45-კალიბრიანი იარაღი მიაწოდა.

— ეს კარგი იარაგი, — უთხრა რეიგენმა და წონა და სიმყარე შეუმოწმა, — მე ცხრამილიმეტრიანი მირჩევნია, მაგრამ ესეც ცა-ვა. სამიზნე არჩიეტ.

ფოულიმ ღილაკს დააჭირა და ფანჯარა ჩასწია.

— გზის გადაღმა რომ ლუდის ქილა დევს, აი იმის გვერდ...

სანამ დაამთავრებდა, რეიგენმა ხელი ფანჯარაში გაყო და ისროლა. ქილა ხმაურით დაეცა და სანამ თვალს მიეფარებოდა, რეიგენმა კიდევ ორჯერ ესროლა და მოარტყა.

ფოულის გაელიმა.

— თქვენნაირი კაცი გამომადგებოდა, მისტერ მილიგან, თუ რაც გქვიათ.

— მე პული მჩირდება, — უთხრა რეიგენმა, — ტკვენ სამუშაო მომეცით, მე შევასრულებ.

— კანონდარღვევის საწინააღმდეგო ხომ არ გაქვთ რამე?

რეიგენმა თავი გაიქნია.

— ერთი გამონაკლისი. ხალხს არ ვესხმი ტავს, ტუ ჩემი სიცოცხლე არ არის საპრტხეში და კალებს არაპერს ვუშავებ.

— ძალიან კარგი. ახლა თქვენს მანქანაში დაბრუნდით და მოგვეყვით. ჩემთან წავალთ და საქმეზე დავილაპარაკებთ.

მანქანისკენ რომ მიდიოდა, ორივე მცველმა თვალებით გაბურღა.

— მეორედ იზამ მაგას და მოგკლავ, — უთხრა მაღალმა.

რეიგენმა მანქანას მიანარცხა და ხელი ისე გადაუგრიხა, რომ მოტეხვას სულ ცოტა აკლდა.

— მაგისტვის ცოტა უპრო სცრაპი და ჩკვიანი უნდა იკო, ვიდრე ხარ. პრტხილად იკავი. სახიპატო ვარ.

ფოულიმ მანქანიდან დაუძახა:

— მარეი, აქ მოეთრეი, ეშმაკსაც წაუღიხარ! მილიგანს თავი დაანებე. ახლა ჩემი კაცია.

მანქანაში რომ ჩასხდნენ, რეიგენი ფანჯრიდან გადაიხარა და ისე მიჰყვა. ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა და აქ საერთოდ რატომ მოიყვანეს.

გაოცდა, როცა მანქანა რეინოლდსბურგის მახლობლად მდებარე მდიდრულ მამულს მიადგა, რომელსაც ირგვლივ მავთულის ღობე ერტყა და ღობის მიღმა სამი დობერმანი დარბოდა წინ და უკან. ეს დიდი, ვიქტორიანული სახლი იყო, ხალიჩებით მოფენილი და ნახატებითა და ანტიკვარული ნივთებით სადა, თანამედროვე სტილში გაფორმებული. ფოულიმ რეიგენს სახლი დაათვალიერებინა. ეტყობოდა, როგორ ეამაყებოდა თავისი ქონება. მერე პატარა ოთახში გაიყვანა და ბარიდან არაყი დაუსხა.

— აბა, მისტერ მილიგან...

— ბილის მეძახიან. „მილიგანი“ არ მომწონს.

— მესმის, როგორც ვხვდები, ეს შენი ნამდვილი გვარი არ არის. კარგი, ბილი. შენნაირი ვაცი ძალიან გამომადგება... — სწრაფი, ჭკვიანი, ღონიერი და მაგარი მსროლელი. მოძრავი მსროლელი მჭირდება.

— „მოდზრავი მსროლელი“ რა არის?

— საქონელი გადამაქვს და ჩემს მძღოლებს დაცვა სჭირდებათ.

რეიგენმა თავი დაუქნია, გრძნობდა, არყის სითბო მკერდში როგორ ეღვრებოდა.

— კი, მე დამცველი.

— კარგი. შენი ნომერი მჭირდება. საქონლის გადატანამდე ერთ-ორ ღამეს აქ გაატარებ. ბევრი ოთახი გვაქვს. არ გეცოდინება, რა საქონელია და სად არის წასაღები, სანამ მძღოლთან ერთად გზას არ დაადგები. ასე ინფორმაციის გაჟონვის შანსი მინიმუმამდე დადის.

— დზალიან კარგი, — უთხრა რეიგენმა და დაამთქნარა.

ლანკასტერის გზაზე, სანამ რეიგენს ეძინა, მანქანა ალენს მიჰყავდა, ფიქრობდა, ნეტავ სად ვიყავი და რას ვაკეთებდიო. მომდევნო კვირების განმავლობაში რეიგენი კოლამბუსში ნარ-

კომოვაჭრეებისთვის და მუშტრეებისთვის წამლის ტრანსპორტირებისას „მოძრავი მსროლელის“ მოვალეობას ასრულებდა. ძალიან გახალისდა, როცა ნახა, რომ მარიხუანა და კოკაინი ისეთ ხალხთან მიჰქონდათ, რომელთა გვარებს გაზეთებში ყოველდღიურად აწყდებოდა. ერთხელ დასავლეთ ვირჯინიელ შავკანიანებს ჩაუტანა მ-ლ-ის ტიპის ავტომატური შაშხანების პარტია. გაოცებული იყო, ნეტავ რაში სჭირდებათო. რამდენჯერმე არტურთან დაკავშირება სცადა, მაგრამ ან არტური იყო გაჯიუტებული და მასთან ურთიერთობა არ უნდოდა, ან ძალიან არეული დრო იდგა. იცოდა, რომ ფილიპი და კევინი დროს ხშირად იპარავდნენ, რადგან შინ ბარბიტურატების და ამფეტამინების გახსნილ კოლოფებს წააწყდა. ერთხელ კი აღმოაჩინა, რომ იარაღი ვიღაცას პირდაპირ კომოდზე დაეტოვებინა. რეიგენი გაცეცხლებული იყო. ვიღაცის უპასუხისმგებლობის გამო შეიძლებოდა, ბავშვები დაშავებულიყვნენ. გადაწყვიტა, რომ შემდეგში, როცა რომელიმე არასასურველი გამოვიდოდა, ფხიზლად ყოფილიყო და ჭკუის სასწავლებლად კედელზე მიენარცხებინა. წამალი სხეულისთვის მავნებელი იყო. არაყსა და მოსაწევს ზომიერად არა უშავდა — ბუნებრივი შემადგენლობა მაინც ჰქონდა. მაგრამ მძიმე ნარკოტიკთან გაკარება არ უნდოდა. ეჭვობდა, რომ ფილიპი და კევინი ლშდ-თიც ატარებდნენ ექსპერიმენტებს.

ერთი კვირის შემდეგ ინდიანელი მანქანებით მოვაჭრისათვის მარიხუანის პარტიის მიტანის შემდეგ რეიგენი ვახშმად კოლამბუსში გაჩერდა. მანქანიდან რომ გადმოდიოდა, მოხუცი ქალი და კაცი დაინახა, კომუნისტური პარტიის ბროშურებს რომ არიგებდნენ. ირგვლივ რამდენიმე ამრევი იდგა და ყვირილით ხელის შეშლას ცდილობდა. რეიგენმა წყვილს ჰკითხა, დახმარება ხომ არ გჭირდებათო.

— ჩვენს საქმეს მხარს უჭერთ? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ, — უთხრა რეიგენმა, — მე კომუნისტი. შავ საცარმოებში და კარხნებში მონური შრომა მინახია.

კაცმა ბროშურების დასტა მიაწოდა, რომელიც კომუნისტების ფილოსოფიას აღწერდა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დიქტატორული რეჟიმების მხარდაჭერისათვის აკრიტიკებდა.

რეიგენმა ბროდ-სტრიტზე აიარ-ჩაიარა, ბროშურებს გამვლელებს აჩეჩებდა. როცა ერთიღა დარჩა, გადაწყვიტა თავისთვის დაეტოვებინა. მიმოიხედა, თვალებით მოხუც წყვილს ეძებდა, მაგრამ ვერსად დაინახა. მათ ძებნაში რამდენიმე კვარტალი მოიარა. ნეტავ გაეგო, სად იკრიბებოდნენ ხოლმე. ადგებოდა და კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანდებოდა. ნანახი ჰქონდა, როგორ მუშაობდნენ ელექტროშემდუღებელ ქარხანაში ტომი და ალენი და იცოდა, რომ უპოვართა მასების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი გზა სახალხო რევოლუცია იყო. მერე თავის მანქანაზე მიწებებული ფურცელი დაინახა, რომელსაც ეწერა: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ — ალბათ მოხუცმა წყვილმა დაუტოვა. ამ სიტყვების დანახვაზე ჟრუანტელმა დაუარა. ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში კოლამბუსის სტამბის სახელი ეწერა. ალბათ იქ ეცოდინებოდა ვინმეს, ადგილობრივი კომუნისტები სად იკრიბებოდნენ. სტამბის მისამართი სატელეფონო ცნობარში მოძებნა და აღმოაჩინა, რომ შორს არ იყო. მანქანით იქით გასწია და მალე მიადგა კიდევ. რამდენიმე წუთით დაწესებულებას მანქანიდან ათვალთვლებდა. მერე ერთი კვარტლით დაშორებულ სატელეფონო ჯიხურთან მივიდა და საკვანტელათი კაბელები გადაჭრა, ორი კვარტლით დაშორებულ ჯიხურთანაც იგივე გაიმეორა. მერე სტამბასთან დაბრუნდა. სტამბის მეპატრონემ, სამოციოდე წლის ჭაღარა კაცმა, სქელშუშიანი

სათვალე რომ ეკეთა, იუარა — კომუნისტური პარტიის სტიკერები ჩვენ არ დაგვიმზადებიაო.

— ჩრდილოეთ კოლამბუსელმა მბეჭდავმა შეგვიკვეთა, — უთხრა მან.

რეიგენმა დახლს მუშტი დასცხო.

— მისამარტი მოიტა!

კაცი აღელვებით შედგა.

— პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი გაქვთ?

— არა! — უთხრა რეიგენმა.

— რა გარანტია მაქვს, რომ ფბი-დან არ ხართ?

რეიგენმა საყელოში ჩაავლო ხელი და თავისკენ მიიზიდა.

— ბებერო, უნდა გავიგო, იმ სტიკერებს სად აგზავნიტ.

— რისთვის?

რეიგენმა იარაღი ამოიღო.

— ამხანაგებს ვეძებ და ვერ ვპოულობ. მომე ინპორმაცია ტორემ ტავს გაგიხვრეტ.

კაცმა შიშით ამოხედა სათვალის ქვეშიდან.

— კარგი.

ფანქარი აიღო და მისამართი დააწერა.

— ჩანაცერი უნდა ვნახო, რომ ეჩვი არ მკონდეს, — უთხრა რეიგენმა.

კაცმა მაგიდაზე მიუთითა, სადაც შეკვეთების წიგნაკი იდო.

— იქ არის, მაგრამ... მაგრამ...

— ვიცი, — უთხრა რეიგენმა, — კომუნისტი შემკვეტის მისამართი იკარ არის.

ისევ მიუშვირა იარაღი.

— გააგე სეიპი.

— გაძარცვას მიპირებთ?

— მე მართო ზუსტი ინპორმაცია მინდა.

კაცმა სეიფი გააღო, ფურცელი ამოიღო და დახლზე დადო. რეიგენმა გადახედა, კმაყოფილი იყო, რომ როგორც იქნა, სწორი მისამართი იშოვა. კედლიდან ტელეფონის კაბელი გამოგლიჯა.

— თუ გინდა დაურეკო, სანამ მე იკ მივალ, ორ კვარტალში ტელეფონის კაბინიდან დარეკე.

რეიგენი მანქანასთან დაბრუნდა. მისი გამოთვლით, ის სტამბა იქიდან დაახლოებით ოთხ მილში უნდა ყოფილიყო. სანამ კაცი გამართულ ქუჩის ტელეფონს იპოვიდა, იქ მისაღწევად საკმარისი დრო ექნებოდა.

სტამბა პატარა ოფისი იყო, რომელსაც პირველ სართულზე პატარა წარწერა: „ბეჭდვა“ ჰქონდა დატანილი. რეიგენმა შენიშნა, რომ მუშაობა შესასვლელში მდებარე სასტუმრო ოთახში გაეჩაღებინათ. იქვე გრძელი მაგიდა იდგა, ზედ ხელის პატარა პრესით და მიმეოგრაფით. რეიგენს გაუკვირდა, რომ ნამგლიანი და უროიანი პლაკატები არსად ჩანდა. იქაურობა უბრალო კანტორას ჰგავდა. მაგრამ ვიბრაციამ, ფეხქვეშ რომ იგრძნო, უკარნახა, რომ ნამდვილი საბეჭდი მანქანები სარდაფში უნდა ყოფილიყო. კაცი, რომელიც გამოეგება, ასე ორმოცდახუთისა იქნებოდა, მსხვილ-მსხვილი, აკურატულად დაყენებული ბლანჟეთი.

— მე კარლ ბოტორფი ვარ. რით შემიძლია გემსახუროთ?

— რევილუციისთვის მინდა ვიშრომო.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ვპიკრობ, რომ ამერიკის მტავრობა მეორე მათია. მშრომელი ხალხის შრომას იგებენ და პული დიკტატორებისთვის იკენებენ. მე ტანასცორობის მდჟერა.

— შემობრძანდით, ახალგაზრდავ, გავისაუბროთ.

რეიგენი სამზარეულოში შეჰყვა და მაგიდას მიუჯდა.

— სადაური ხართ?

— იუგოსლავიელი.

— ჰო, ასეც ვიფიქრე, სლავი იქნება-მეთქი. რა თქმა უნდა, თქვენი შემოწმება მოგვიწევს, მაგრამ არ მესმის, რატომ არ უნდა ჩაგროთოთ ჩვენს საქმიანობაში.

— კუბაზე მინდა მოხვედრა, — უთხრა რეიგენმა, — კასტროს დიდ პატივს ვცემ. შაქრის პლანტაციებში მომუშავე მეამბოხე მუშები მტასი ცაიკვანა და რევოლუცია შეკმნა. ახლა კუბაში კველა ტანასცორი.

ცოტა ხანს ისაუბრეს და მერე ბოტორფმა იმ საღამოს დაგეგმილ ადგილობრივი კომუნისტური უჯრედის შეხვედრაზე მიიწვია.

— აკ არის? — ჰკითხა რეიგენმა.

— არა, ვესტერვილის მახლობლად. შეგიძლიათ, თქვენი მანქანით გამოძვევთ.

რეიგენი მიჰყვა კარლ ბოტორფს და შეძლებულთა უბანს მიადგა. იმედგაცრუებული დარჩა. ეგონა, ჯურღმულებში მიდიოდნენ.

რამდენიმე კაცს მისი თავი „იუგოსლავიელად“ წარუდგინეს. მერე უკან დაჯდა, რომ შეხვედრას დაჰკვირვებოდა. მაგრამ სიტყვით გამომსვლელებმა აბსტრაქციებსა და სლოგანებზე ბურტყუნი რომ დაიწყეს, გონება გაეფანტა. ცდლობდა, არ ჩასძინებოდა, მაგრამ ბოლოს დანებდა. სულ ცოტა ხნით მოხუჭავდა თვალს და მერე ისევ ფხიზლად იქნებოდა. თავისიანები იპოვა. ყოველთვის უნდოდა ამის ნაწილი ყოფილიყო — მჩაგვრელი კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ ხალხის ბრძოლას შეერთებოდა. თავი ჩაქინდრა...

არტურს გაეღვიძა და მაშინვე მხრებში გასწორდა, ფხიზელი და მომართული იყო. რეიგენის თავგადასავლის მხოლოდ ბოლო ნაწილს შეესწრო და მონუსხული უყურებდა, როგორ მიჰყვებოდა რეიგენი მეორე მანქანას. მაგრამ ახლა ის უკვირდა, ასეთი

გონიერი ყმაწვილი ამ ყველაფერმა როგორ ჩაითრია. კომუნისტებს მისცემდა ამათ! უნდოდა, წამომდგარიყო და ამ უტვინო რობოტებისთვის ეთქვა, რომ საბჭოთა კავშირი მონოლითური დიქტატურა იყო და მეტი არაფერი, ძალაუფლება ხალხის ხელში არასოდეს გადასულა. კაპიტალიზმი იყო სისტემა, რომელმაც ხალხს მთელ მსოფლიოში მოუტანა აზროვნებისა და შესაძლებლობების თავისუფლება ისე, კომუნისტებს რომ არც კი დაესიზმრებოდა. იუგოსლავიელი ისეთი არათანმიმდევრული იყო, რომ შეეძლო, ბანკები ეძარცვა, პური ნარკოვაჭრობით ეჭამა და თან თავი დაერწმუნებინა, ხალხის გათავისუფლებაში ვმონაწილეობო. არტური ადგა, შეკრებილ საზოგადოებას გამანადგურებელი მზერა მიაპყრო და მშვიდი, აუღელვებელი ტონით დაასკვნა:

— ბოღვა.

ყველა მისკენ შებრუნდა და მიმავალს გაოგნებულები მიაშტერდნენ. არტურმა მანქანა იპოვა, ჩაჯდა და ერთხანს ასე იჯდა. მარცხენასაჭიანი მანქანის ტარებას ვერ იტანდა. მაგრამ მანქანის წასაყვანად ვერავის დაურეკავდა.

— წყეულიმც იყოს ეს არეული დროები! — წამოიძახა მან.

ბოლოს, როგორც იქნა, შეეცადა, მოხერხებულად დამჯდარიყო საჭესთან, კისერი მოიღრიცა, ცენტრალურ ხაზს რომ გასწორებოდა და დაიძრა. ოცი მილი საათში სიჩქარით სულ დაძაბულმა იარა. საგზაო ნიშნებს ყურადღებით აკვირდებოდა და უცებ გაიაზრა, რომ სანბერი-როუდი ჰუვერის წყალსაცავის მახლობლად უნდა ყოფილიყო. გზიდან გადაუხვია, რუკა ამოიღო და კოორდინატები განსაზღვრა. მართლაც, იმ კაშხლის მახლობლად იმყოფებოდა, რომლის ნახვაც დიდი ხანია უნდოდა. სმენოდა, რომ მას შემდეგ, რაც სამხედრო ინჟინრებმა კაშხალი ააგეს, შლამი დაგროვდა. აინტერესებდა, ეს შლამით დაფარული ტერიტორია, თავისი მიკროსკოპური ბიომრავალფეროვნებით კო-

ლოების გამრავლების იდეალურ კერად ხომ არ იქცეოდა. თუკი ტერიტორია მართლაც დასნებოვნებული აღმოჩნდებოდა, მთავრობისთვის უნდა შეეტყობინებინა, რომ მათ გადამჭრელი ზომები მიეღოთ. მნიშვნელოვანი იყო, შლამის სინჯები აეღო და შინ მიკროსკოპის ქვეშ დაეთვალიერებინა. ეს, რა თქმა უნდა, გლობალური პრობლემა არ იყო, მაგრამ ვინმეს ხომ უნდა მიეხედა. ფიქრებში წასული მანქანას ნელა და ფრთხილად მართავდა, როცა გვერდით მიმავალმა საბარგომ მკვეთრად გადაუხვია, მისკენ მომავალ მანქანას დაეჯახა, გზის სავალი ნაწილიდან გადააგდო და სვლა განაგრძო. მანქანა მოაჯირს დაეტაკა, თხრილში ჩავარდა და გადაბრუნდა. არტურმა სწრაფად გადაუხვია, მშვიდად გადმოვიდა და ქვევით დაეშვა. ქალი მანქანიდან გადმოძრომას ცდილობდა.

— მეტს ნუღარ იმოძრავებთ, გეთაყვა, — უთხრა არტურმა, — ნება მომეცით, დაგეხმაროთ.

ქალს სისხლი სდიოდა და არტურმა პირდაპირი დაჭერის მეთოდით შეუჩერა. უცებ დაშავებულმა ხრიალი დაიწყო — არტური ხედავდა, რომ კბილები ჩამტვრეოდა და იხრჩობოდა. ტრაქეოტომია არ გამოადგებოდა. გადაწყვიტა, მისთვის როგორმე სასუნთქი გზები გაეფართოებინა. ჯიბეები მოიხსრიკა და პლასტმასის ბურთულიანი კალამი იპოვა. მელნის კონტეინერი ამოიღო, პლასტმასის მილი სანთებელით მოარბილა და მოლუნა. სუნთქვა რომ გაეადვილებინა, მოლუნული კალამი ქალს ყელში გაუჩხირა, თავი კი გვერდულად მიუტრიალა, რომ სისხლს პირიდან თავისუფლად ედინა. სწრაფად გასინჯა და დაასკვნა, რომ ყბა და მაჯა ჰქონდა მოტეხილი. დაჟეჟილი გვერდი რომ დაუთვალიერა, იეჭვა, შესაძლოა, ნეკნებიც ჩამტვრეული ჰქონდესო. როგორც ჩანდა, წინ გადაქანებისას საჭეს დასჯახებოდა. სასწრაფო რომ მივიდა, პერსონალს სწრაფად აუხსნა, რა

მოხდა და დაზარალებულს რა სახის პირველადი დახმარება გაუწია. მერე ირგვლივ შეკრებილ ხალხს შეერია. ჰუვერის კამხლის ნახვა გადაიფიქრა. უკვე გვიანი იყო და შინ დაბნელებამდე უნდოდა მისვლა. ღამით უკუღმა დამონტაჟებული საჭის ტრიალის იდეა არაფრად ეპიტნავებოდა.

თავი მეოთხე

1

არტურს ყველაფერი სულ უფრო მეტად აღიზიანებდა. ალენი უკანასკნელი სამსახურიდანაც გაათავისუფლეს. ზედნადებების გამოწერა და საბარგო მანქანების დატვირთვა ვეალებოდა „პენის დისტრიბუციის ცენტრში“, სანამ მოულოდნელად დეივიდი არ გამოვიდა და ამწე ფოლადის სვეტს არ შეაჯახა. ტომი ლანკასტერსა და კოლამბუსში დაეხეტებოდა და სამსახურს ეძებდა, მაგრამ ამაოდ. რეიგენი მუდმივად მუშაობდა ფოულისთან, იარაღისა და ნარკოტიკების გადამტანებს სდარაჯობდა. ამასთან, უზომო რაოდენობის არაყს ნთქავდა და დიდძალ მარიხუანას ეწეოდა. მას შემდეგ, რაც ინდიანაპოლისში ჩამორთმეული იარაღის ძებნაში ოთხი დღე გაატარა, რეიგენი დეიტონში აღმოჩნდა. რომელიღაც მათგანმა ანტიდეპრესანტების დიდი დოზა მიიღო და ტომიმ, რომელმაც თავბრუსხვევისა და მუცლის ტკივილის სიმპტომებით თავი ინტერსტეიტ-70-ზე ამოყო, შუქი დეივიდს დაუთმო, რომელიც მოტელის მეპატრონის მოთხოვნით დააკავეს. საავადმყოფოში კუჭი ამოურეცხეს და წამლის ჭარბი დოზით მიღების საწინააღმდეგო პროცედურები ჩაუტარეს. პოლიციამ გაუშვა, რადგან მოტელის მეპატრონემ გადაწყვიტა, საჩივარზე ხელი არ მოეწერა. როცა ალენი ლანკასტერში დაბრუნდა, მარლენი მასთან დარჩა. ერთ-ერთმა არასასურველმა — ბრუკლინური აქცენტის მიხედვით, ეს ფილიპი უნდა ყოფილიყო — წითელი კაფსულების დოზას გადააჭარბა. მარლენმა სასწრაფოს დაუძახა და საავადმყოფოში გაჰყვა. კუჭი ისევ ამოურეცხეს, მარლენი კვლავ

გვერდით ჰყავდა და ამხნევებდა. უთხრა, რომ იცოდა, ვილაც ცუდ ხალხთან იყო საქმეში გარეული და ეშინოდა, დიდ შარში არ გახვეულიყო, მაგრამ ასეც რომ მომხდარიყო, მის გვერდით იქნებოდა. არტური გაღიზიანებული იყო. იცოდა, რომ ერთ-ერთი მათგანის ასეთ უმწეო მდგომარეობაში ხილვა მარლენში დედობრივ ინსტინქტს აღვიძებდა. არტურს ამის ატანა არ შეეძლო. მარლენი ბინაში უფრო და უფრო მეტ დროს ატარებდა და ცხოვრებას ძალიან ართულებდა. არტური გამუდმებით ფხიზლად უნდა ყოფილიყო, რომ მარლენს საიდუმლო არ გაეგო. ნელ-ნელა სულ უფრო მეტი დრო იკარგებოდა ისე, რომ არტურმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. დარწმუნებული იყო, რომ რომელიღაც მათგანი ნარკოტიკებით ვაჭრობდა — ჯიბეში თამასუქი აღმოაჩინა. ისიც შეიტყო, რომ ერთ-ერთი მათგანი რეცეპტის გაყალბებისთვის დაეჭირათ. იმაშიც დარწმუნებული იყო, რომ ვილაცას მარლენთან სექსი ჰქონდა. არტურმა გადაწყვიტა, რომ ოჰაიოს უნდა მოშორებოდა. აი, სად გამოადგებოდა რეიგენის იატაკქვეშა ნაცნობობის წყალობით ნაშოვნი პასპორტი. არტურმა რეიგენის მიერ ფოულის დახმარებით ნაყიდი ორი პასპორტი გასინჯა — ერთი რეიგენ ვადასკოვინიჩის სახელზე, მეორე — არტურ სმიტის. პასპორტები ან მოპარული და შეცვლილი იყო, ან — ბრწყინვალედ გაყალბებული. დეტალურ შემოწმებას უეჭველად გაუძლებდნენ. არტურმა „პან-ემერიქან ერლაინზს“ დაურეკა, ლონდონისაკენ ცალმხრივი ბილეთი დაჯავშნა. კარადებში, კომოდებსა და წიგნებში გადამალული მთელი ფული მოხვეტა და ჩანთები ჩაალაგა. შინ მიდიოდა. კენედის აეროპორტამდე და ატლანტის ოკეანის გადაღმა მგზავრობამ უხმაუროდ ჩაიარა. „ჰითროუს“ აეროპორტის საბაჟოს დახლზე ჩანთა რომ დადო, მებაჟემ ხელით ანიშნა, გაიარეო. ლონდონში არტური ჰოუპველ-პლეისზე, პაბის თავზე მდებარე პატარა სასტუმროში დაბინავდა. ფიქრობ-

და, იქნებ ქუჩის სახელი მართლა იღბლიანი გამოდგესო. პატარა, მაგრამ სახსრებით რიგიან რესტორანში მარტომ ისადილა და მერე ტაქსის ბუკინჰემის სასახლისკენ გაჰყვა. საპატიო ყარაულის შენაცვლების ცერემონიას ვერ მიუსწრო, მაგრამ იფიქრა, სხვა დღეს ვნახავო. ქუჩაში ხეტიალი სიამოვნებდა. გამვლელებს „საამო დღეს გისურვებთ“, ან „რა საუცხოო დღეაო“, ეუბნებოდა. გადაწყვიტა, მეორე დღეს შლაპა და ქოლგა ეყიდა. რაც თავი ახსოვდა, პირველად ერთკა გარშემო ხალხი, მასავით რომ ლაპარაკობდა. ქუჩაში მანქანები სწორ მხარეს მოძრაობდნენ და პოლიციელები დაცულობის განცდას ანიჭებდნენ. „ტაუერი“ და ბრიტანული მუზეუმი დაათვალიერა, თევზით, კარტოფილითა და თბილი ინგლისური ლუდით ივანშმა. ღამით სასტუმროს ნომერს რომ მიაშურა, თავისი საყვარელი ფილმები გაახსენდა შერლოკ ჰოლმსის შესახებ და მეორე დღეს ბეიკერ-სტრიტის 221-ბ-ს მონახულება განიზრახა. ადგილს დაათვალიერებდა, რათა დარწმუნებულიყო, რომ იქაურობას ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც დიდი დეტექტივის ხსოვნას შეეფერებოდა. ისეთი განცდა ჰქონდა, რომ როგორც იქნა, შინ იყო. მეორე დილას ალენი კედლის საათის ხმამაღალმა წიკწიკმა გააღვიძა. თვალები გაახილა და იქაურობას მიაშტერდა. ლოგინიდან წამოხტა. ძველმოდურ სასტუმროში იყო, რკინის საწოლით, ჩახვეულორნამენტებიანი შპალერიითა და იატაკზე დაფენილი გაცვეთილი ტილოთი. რა-რა და „ჰოლიდეი ინი“ ნაღდად არ იქნებოდა. აბაზანას დაუწყო ძებნა, მაგრამ არსად ჩანდა. ალენმა შარვალი ჩაიცვა და დერეფანში გაიხედა. სად ჯანდაბაში იყო? ოთახში დაბრუნდა, ჩაიცვა და ადგილმდებარეობის გარკვევის იმედით ქვევით ჩავიდა. კიბებზე ლანგრით მომავალ კაცს ჩაუარა გვერდით.

„ხომ არ წაისაუზმებდით, ბატონო?“ — ჰკითხა კაცმა, — „რა საუცხოო ამინდია, არა?“

აღენმა კიბებზე ჩაირბინა, კარიდან ქუჩაში გავარდა და მიმოიხედა. შავი ტაქსის მანქანები დაინახა, ლიცენზიის აღმნიშვნელი ფირფიტები რომ ჰქონდათ აკრული, პაბის ნიშანი, მოძრაობა — მარცხენა მხარეს.

— ჯანდაბა! რა ჯანდაბა ხდება? რა ჭირი მჭირს?

წინ და უკან დარბოდა, ყვიროდა, ერთსა და იმავე დროს, შეშინებულიც იყო და გაბრაზებულიც. ხალხი ტრიალდებოდა და უყურებდა, მაგრამ აღენს სულ ფეხებზე ეკიდა. თავი ეზიზღებოდა, წამდაუწუმ სხვადასხვა ადგილებში რომ ეღვიძებოდა, თავის გაკონტროლება რომ არ შეეძლო. ამის ატანა უკვე შეუძლებელი იყო. სიკვდილი უნდოდა. მუხლებზე დაეცა და მუშტები ტროტუარს დასცხო, ცრემლები ღაპაღუპით მოსდიოდა. მერე გაიაზრა, რომ თუ პოლიციელი დაინახავდა, საგიჟეთში გააქანებდნენ და ფეხზე წამოხტა. ისევ ოთახში შევარდა, სადაც ჩემოდანში „არტურ სმიტის“ სახელზე გაცემული პასპორტი იპოვა. პასპორტში ლონდონის ცალმხრივი ბილეთის ნახევი იდო. აღენი ლოგინზე დაეხეთქა. რა უნდოდა არტურს? გიჟი ნაბიჭვარი! ჯიბეები მოიქეჯა და სამოცდათხუთმეტი დოლარი იპოვა. შინ დასაბრუნებელი ფული სად უნდა ეშოვა? ალბათ სამასი-ოთხასი დოლარი მაინც ეღირებოდა.

— ჭირი! ჯანდაბა! ღმერთო!

არტურის ტანსაცმლის ჩალაგება დაიწყო, რომ სასტუმროდან გასულიყო, მაგრამ მერე შეჩერდა.

— ჭირსაც წაუღია. ღირსია.

ბარგი და ტანსაცმელი იქვე დატოვა. პასპორტი აიღო, სასტუმროდან ისე გამოვიდა, არ გადაუხდია და ტაქსი დაიჭირა.

— საერთაშორისო აეროპორტში წამიყვანეთ.

— „ჰითროუ“ გნებავთ თუ „გეთვიქი“?

აღენმა პასპორტი მოჩხრიკა და ცალმხრივ ბილეთს დახედა.

— „ჭითროუ“.

აეროპორტისკენ მიმავალი მთელი გზა ფიქრობდა, რა ელონა. სამოცდათხუთმეტი დოლარით შორს ვერ წავიდოდა, მაგრამ ცოტა ტვინს თუ გაანძრევდა და საჭირო სიფათს შეკერავდა, რამენაირად მოახერხებდა შინისკენ მიმავალ თვითმფრინავზე დაჯდომას.

აეროპორტში მძღოლს გადაუხადა და ტერმინალში შევარდა.

— ღმერთო ჩემო! — იყვირა მან, — არ ვიცი რა მოხდა! თვითმფრინავიდან არასწორ დროს ჩამოვედი. წამალზე ვიყავი. ბილეთი, ბარგი, ყველაფერი თვითმფრინავში დამრჩა. არავინ არ მითხრა, ჩამოსვლა არ შეიძლებაო. ან საჭმელში იყო რამე გარეული, ან სასმელში. ჩამეძინა და რომ გამეღვიძა, ვიფიქრე, გავივლი, მუხლს გავშლი-მეთქი. არავინ გამაფრთხილა, რომ ჩამოსვლა არ შეიძლებოდა. ბილეთები, სამგზავრო ჩეკები, ყველაფერი იქ დამრჩა!

დაცვამ მისი დამშვიდება სცადა და პასპორტის კონტროლის ოფისში გაუშვა.

— არასწორ დროს ჩამოვედი თვითმფრინავიდან! — იყვირა ალენმა, — გავლით ვიყავი, პარიზისკენ მივდიოდი. მაგრამ თვითმფრინავიდან არასწორ დროს ჩამოვედი. გათიშული დავდიოდი. სასმელში რაღაც იყო გარეული. ავიაკომპანიის ბრალია. ყველაფერი თვითმფრინავში დამრჩა. ჯიბეში სულ რამდენიმე დოლარი მიგდია. შეერთებულ შტატებში როგორ დავბრუნდე? ღმერთო, უსახსროდ დავრჩი. ბილეთს ვერ ვიყიდი! ბანკროტი არ გეგონოთ. აბა, აქ ერთი დღით ხომ არ ჩამოვიდოდი. უნდა დამეხმაროთ, რომ სახლში წავიდე!

ახალგაზრდა ქალმა თანაგრძნობით მოუსმინა მის ვედრებას და უთხრა, ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლიაო. ალენი მო-

საცდელში ბოლთას სცემდა, ღერს ღერზე ეწეოდა და უყურებდა, გოგონა როგორ რეკავდა რამდენიმე ადგილას.

— მხოლოდ ერთი გზა გვაქვს, — უთხრა გოგონამ, — შეგვიძლია კრედიტით გაგიშვათ უკან, შეერთებულ შტატებში. რომ ჩახვალთ, ადგილზე მოგიწევთ ბილეთის ფასის ანაზღაურება.

— რა თქმა უნდა! — უთხრა ალენმა, — უფასო ბილეთის ხელში ჩაგდებას კი არ ვცდილობ. შინ მაქვს ფული. მხოლოდ უკან დაბრუნება მჭირდება და მაშინვე გადაგიხდით.

ყველას ყურებს უჭედავდა თავისი ამბით, ერთი სული ჰქონდათ, თავიდან როდის მოიშორებდნენ. მასაც ეს უნდოდა. როგორც იქნა, აშშ-სკენ მიმავალ „ბონგ 747-ში“ მოუნახეს ადგილი.

— მადლობა ღმერთს! — წაიჩურჩულა მან, სავარძელში მოიკალათა და უსაფრთხოების ღვედი გადაიჭირა. ჩაძინებას ვერ ბედავდა, ფხიზლობდა და ჟურნალებს კითხულობდა. კოლამბუსში რომ დაბრუნდა, დაცვის წევრმა მანქანით ლანკასტერში ჩაიყვანა. ალენმა გაყიდულ ნახატებში აღებული ფული იქ იპოვა, სადაც დამალა — ცოცხების კარადის მორყეულ ფიცარს მიღმა — და ბილეთის თანხა გადაიხადა.

— მადლობას მოგახსენებთ, — უთხრა გამცილებელს, — „პან ამერიკანი“ ძალიან კარგად მომექცა. როგორც კი შევძლებ, თქვენი კომპანიის პრეზიდენტს მივწერ, რა შესანიშნავი თანამშრომლები ჰყავს.

ბინაში მარტოდ დარჩენილი ალენი საშინელმა სევდამ შეიპყრო. არტურთან დაკავშირება სცადა. დიდხანს იწვალა. ბოლოს არტური გამოვიდა და მიმოიხედა. რომ დაინახა, ლონდონში აღარ იყო, დაიფიცა, საქმეს არცერთ თქვენგანთან აღარ დავიჭერო.

— ყველანი უმაქნისი პარაზიტები ხართ, — ჩაიბუბუნა მან.

მერე გაიბუტა და ზურგი აქცია.

სექტემბრის ბოლოს ალენი ღვინის ბოთლების მწარმოებელ დიდ კომპანიაში აიყვანეს, სადაც ადრე ბილის და, ქეთი მუშაობდა. ბოთლების შეფუთვა ევალებოდა, რომლებსაც ქალები კონვეიერიდან ხსნიდნენ. მაგრამ ზოგჯერ კონვეიერიდან მოხსნილი პროდუქციაც უნდა გაეკონტროლებინა. იქ დგომა ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო — ცეცხლისა და საბერველების ხმაურისგან ლამის დაყრუებულყო. უნდა აეღო ჯერ კიდევ თბილი ბოთლები, შეემოწმებინა, რაიმე ხარვეზი ხომ არ ჰქონდა და მერე ლანგრებზე დაეწყო, რომ შემფუთავებს წაეღოთ. ტომი, ალენი, ფილიპი და კევინი ერთმანეთს ხშირად ცვლიდნენ. არტურის ნებართვით ალენმა ლანკასტერის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სომერფორდ-სკვერზე სამსაძინებლიანი დუპლექსი იქირავა. იქაურობით ყველა კმაყოფილი იყო. ალენს რუხი, მყარი ღობე მოსწონდა, რომელიც ბინებს ავტოსადგომისა და გბატკეცილის მხრიდან ეფარებოდა. ტომის თავისი ელექტროაღჭურვილობისთვის ცალკე ოთახი ჰქონდა. ცალკე იყო გამოყოფილი სახელოსნოს სივრცეც. რეიგენს მეორე სართულის ერთ-ერთ საძინებელში თავისი საკეტიანი კედლის კარადა ჰქონდა, სადაც ყველა იარაღს ინახავდა, გარდა ცხრამილიმეტრიანი ავტომატური პისტოლეტისა. ეს უკანასკნელი მაცივრის თავზე ედო, სადაც ბავშვებიდან ვერც ერთი მისწვდებოდა. მარლენი ყოველ საღამოს აკითხავდა. მეორე ცვლაში თუ მუშაობდა, შუალამემდე ელოდებოდა, მერე კი თითქმის მთელი ღამით რჩებოდა. გათენებამდე მშობლებთან ბრუნდებოდა. მარლენს ბილი კიდევ უფრო ცვალებადი და არაპროგნოზირებადი ეჩვენებოდა, ვიდრე ოდესმე. ზოგჯერ ირგვლივ ყველაფერს ამსხვრევდა. ზოგჯერ კედლებს აშტერდებოდა გათიშუ-

ლი, ან მოლბერტს მივარდებოდა და გაშმაგებული ხატავდა. თუმცა, როგორც საყვარელი, მუდამ სათუთი და ყურადღებიანი იყო. ტომიმ არ უთხრა, რომ ყველაფერი ირეოდა. სამსახურს აცდენდა და დროც ხშირად ეკარგებოდა. ეს ყველაფერი სულ უფრო და უფრო გახშირდა. მორიგი არეული დრო იდგა. არტურს ვითარება უნდა ეკონტროლებინა, მაგრამ რატომღაც დომინირების უნარს კარგავდა. ყველას ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. არტური ყველაფერს მარლენს აბრალებდა და დაიჟინა, რომ ურთიერთობა უნდა შეწყვეტილიყო. ტომი ძალიან შეწუხდა. გაპროტესტება უნდოდა, მაგრამ არტურის მეტისმეტად ეშინოდა და ვერ ეტყოდა, რომ მარლენი შეუყვარდა. იცოდა, ისედაც ბევრჯერ იყო წესების დარღვევის ზღვარზე და პატარა შეცდომასაც კი მისი არასასურველების კატეგორიაში გადაყვანა შეეძლო გამოეწვია. უცებ ადალანას ხმა მოესმა:

— ეს უსამართლობაა! — თქვა მან.

— მე ყოველთვის სამართლიანი ვარ, — მიუგო არტურმა.

— უსამართლობაა, შენ რომ ადგენ წესებს და ჩვენსა და გარეთ მყოფ ადამიანებს შორის ყველა სასიყვარულო და ახლობლურ კავშირს რომ წყვეტ.

„მართალს ამბობს“, — იფიქრა ტომიმ, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— მარლენი ყველა ჩვენგანის ნიჭსა და უნარებს თრგუნავს, — თქვა არტურმა, — შარს გვდებს, დროს სულელურ კამათში გვაკარგვინებს და გონებრივი შესაძლებლობების გაფართოებაში ხელს გვიშლის.

— არა მგონია, მისი გაგდება კარგი იდეა იყოს, — დაიჟინა ადალანამ, — ის ხომ ჩვენზე ზრუნავს.

— ღვთის გულისათვის! — თქვა არტურმა, — ტომი და ალენი ისევ წყეულ ქარხანაში მუშაობენ. ველოდი, რომ იქ დიდი-დიდი

ერთ-ორ თვეს გაჩერდებოდნენ, იქაურობას თავისი უნარების შესაბამისი ღირსეული სტრატეგიული ან ტექნიკური სამუშაოს მოსაძებნად გამოიყენებდნენ. ახლა კი გონებრივ განვითარებაზე აღარავინ ზრუნავს.

— რა უფრო მნიშვნელოვანია — გონების განვითარება, თუ გრძნობების გამოხატვა? ან იქნებ შეკითხვას არასწორად ვსვამ, შენ ხომ გრძნობები არ გაგაჩნია. გრძნობების დათრგუნვითა და მხოლოდ ლოგიკური აზროვნებით ნაყოფიერ და წარმატებულ პიროვნებად ქცევა იქნებ შესაძლებელიც იყოს, მაგრამ სამაგიეროდ, ისეთი მარტოსული იქნები, რომ სხვების თვალში ჩაღლის ფასიც არ გექნება.

— მარლენი უნდა წავიდეს, — თქვა არტურმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ადალანასთან კამათით თავი ისედაც საკმარისად დაიმცირა, — არ ვიცი, ვინ ითავებს, მაგრამ ეს ურთიერთობა უნდა დასრულდეს.

მოგვიანებით მარლენმა მათი პირველი დაშორების წინა საღამო გაიხსენა. ჩხუბობდნენ. ისე უცნაურად იქცეოდა, მარლენს ეგონა, წამალზეაო. იატაკზე იწვა და ძალიან გაბრაზებული იყო. მარლენს წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ. ხელში იარაღი ეჭირა, თითი სასხლეტზე ჰქონდა მიბჯენილი და თავში იმიზნებდა. მარლენისთვის იარაღი არასდროს მიუშვერია. მარლენი თავის თავს არ ჩიოდა, ბილის გამო ეშინოდა. დაინახა, როგორ მიაშტერდა მაგიდის ლამპას, ერთხელ თვითონ რომ მოიტანა სახელში. მერე წამოხტა და ნათურას ესროლა. ნათურამ იფეთქა. კედელში ხვრელი გაჩნდა. იარაღი ტიხარზე დადო და რომ შებრუნდა, მარლენმა რევოლვერს ხელი სტაცა და ბინიდან გაიქცა. სანამ დაეწეოდა, კიბეზე ჩაირბინა და მანქანაში ჩაჯდა. ტროტუარს რომ მოსწყდა, ბილი ვაპოტზე შეხტა და საქარე მინიდან მძულვარე სახით შეხედა. ხელში რაღაც ქანჩასაბრუნისმაგვარი ეჭირა და

შუშას ურტყამდა. მარლენმა მანქანა გააჩერა, გადმოვიდა და იარაღი დაუბრუნა. მან გამოართვა და შინ უსიტყვოდ შებრუნდა. მარლენი შინისკენ წავიდა. ფიქრობდა, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრდაო.

იმ საღამოს, მოგვიანებით, ალენი „გრილისში“ მივიდა და ცხელი „სტრომბოლის გმირი“ — იტალიური სოსისით, ყველით და ტომატის სოუსით შეზავებული სენდვიჩი შეუკვეთა წასადებად. უყურებდა, როგორ ახვევდა გამყიდველი ოხშივარადენილ სენდვიჩს ვერცხლისფერ ფოლგაში და მერე ქაღალდის პაკეტში როგორ დებდა. ბინაში დაბრუნებულმა სენდვიჩი მაგიდაზე დადო და ტანსაცმლის გამოსაცვლელად საძინებელში გავიდა. იმ აღამეს ხატვას აპირებდა. ფეხსაცმელები მიყარ-მოყარა და წელში მოხრილი, საკუჭნაოში შეძვრა ჩუსტების მოსაძებნად. რომ გაიმართა, თავი თაროს აარტყა და გამწარებული და გაბრუებული ძირს დაეშვა. საკუჭნაოს კარი ზურგსუკან მიჯახუნდა. კარის გაღება სცადა, მაგრამ ჩაკეტილი იყო.

— ღმერთო, — ჩაიბურტყუნა, წამოხტა და თავი ისევ მიართყა.

რეიგენმა თვალები გაახილა და დაინახა, რომ თავზე ხელმიბჯენილი ფეხსაცმელების გროვაში იჯდა. ადგა, კარი წიხლით გააღო და მიმოიხედა. გაღიზიანებული იყო. ეს არეულობა ყოველდღიურად უფრო და უფრო აუტანელი და დამაბნეველი ხდებოდა. კიდევ კარგი, ქალი მაინც მოიშორეს თავიდან. ბინაში დაბორიანებდა, ცდილობდა, თავში ყველაფერი დაეღაგებინა. არტურისთვის რომ მიეწვდინა ხმა, ალბათ გაიგებდა, რაც ხდებოდა. არა, ახლა ყველაზე მეტად დაღევა სჭირდებოდა. სამზარეულოში შევიდა და თეთრი ქაღალდის პაკეტი დაინახა. ადრე აქ არ ენახა. პაკეტს ეჭვის თვალით შეხედა და ბარიდან არცის ბოთლი გამოაძვრინა. სანამ ცინულზე ასხამდა, უცნაური ხმა მოესმა. პაკეტი ნელა ამოძრავდა და გვერდზე გადაწვა. რეიგენმა

შეხედა და უკან დაიხია. კიდევ რომ გაინძრა, ნელა ამოისუნთქა და კიდევ უფრო შორს დაიხია. კბილებდაცლილი კობრა გაახსენდა, ერთხელ სახლის პატრონს ზღურბლზე რომ დაუტოვა. ვაიდა, ამას კბილები მთელი ჰქონოდა? ხელი მაცივრის თავზე მოაფათურა და იარაღს მიაგნო. სწრაფად დაიხარა, დაუმიზნა და ესროლა. ქალაღდის პაკეტი გადავარდა და კედელს შეეჯახა. რეიგენი ტიხრის ქვეშ გაძვრა და პაკეტს ფრთხილად დახედა. იარაღს ისევ იატაკზე დაგდებული პაკეტს უმიზნებდა. ტიხარს ძალიან ფრთხილად მოუარა და პაკეტი იარაღის ლულით გადახსნა. შიგ სისხლნარევი დომხალი დახვდა. უკან ისკუპა და მეორედ ესროლა.

— მოგხვდა, შე ნაბიჩვარო?!

რამდენჯერმე დაარტყა და რომ აღარ გაინძრა, გახსნა და გაოგნებული მიაჩერდა ტომატის სოუსითა და ყველით შენელებულ სენდვიჩს, შუაში დიდი ნახვრეტი რომ აჩნდა. ახარხარდა. მიხვდა, „სტრომბოლის“ ფოლგა ოხშივრისგან იბურცებოდა და პაკეტი ამიტომ მოძრაობდა. თავს იდიოტად გრძნობდა, ორი ტყვია სენდვიჩზე რომ დახარჯა. პაკეტი სამზარეულოს მაგიდაზე დადო, იარაღი ისევ მაცივრის თავზე შეინახა და არაყი დალია. მეორედ დაისხა, სასტუმრო ოთახში წაიღო და ტელევიზორი ჩართო. ახალი ამბების დრო იყო და იფიქრა, გავიგებ, რა დღეაო. სანამ ახალი ამბები დამთავრდებოდა, ჩაეძინა.

აღენმა გაიღვიძა. უკვირდა, საკუჭნაოდან როგორ გამოვძვერიო. თავი მოისინჯა. ზედ პატარა კოპი ეჯდა. რა ჯანდაბას აკეთებდა? ამდენ ხანს ბილის დის, ქეთის პორტრეტის დახატვასაც მოასწრებდა. სახელოსნოში შესვლა დააპირა, მერე მიხვდა, რომ ჭამა დავიწყებოდა. სამზარეულოში დაბრუნებულმა კოკა-კოლა დაისხა და სენდვიჩს დაუწყო ძებნა. დარწმუნებული იყო, რომ ტიხარზე დატოვა. მერე მაგიდაზე დაინახა. ის ოხერი პაკეტი სულ დაჭმუჭნული იყო. რა ჯანდაბა სჭირდა? სენდვიჩი სულ აზელილი-

ყო, შიგ ალუმინის ფოლგის ნაგლეჯები ერია. ირგვლივ ყველაფერი ტომატის სოუსით იყო მოწუწული. ეს რანაირი „სტრომბოლის სენდვიჩი“ იყო? ტელეფონი აიღო, „გრილისში“ დარეკა, მენჯერთან საუბარი ითხოვა და ყველაფერი თავზე დაამხო.

— სენდვიჩს ვყიდულობ, ვხსნი — შიგ ყველაფერი აბელილია. გეგონება ბლენდერშია გატარებულიო.

— ვწუხვარ, სერ, თუ უკან მოიტანთ, ახალს გაგიკეთებთ.

— არა, გმადლობთ. უბრალოდ, მინდა იცოდეთ, რომ მუშტარი დაკარგეთ.

ალენმა ყურმილი დაახეთქა და სამზარეულოში შევიდა კვერცხის შესაწვავად. „გრილისის“ გამდიდრებას აღარ აპირებდა.

ორი კვირის შემდეგ ტომიმ არეულობით ისარგებლა და მარლენს დაურეკა. უთხრა, ჩემთან ნივთები დაგრჩაო. ურჩია, მისულიყო და წაეღო. საღამოს, სამსახურის შემდეგ მარლენმა შეუარა და მთელი საღამო ისაუბრეს. ამის შემდეგ მარლენმა ისევ მოუხშირა სტუმრობას. ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. რეიგენი არტურს ადანაშაულებდა, რომ ოჯახის გაკონტროლება არ შეეძლო.

თავი მეთხუთმეტე

1

უოლტერმა ბინაში 8 დეკემბერს, გვიან საღამოს გაიღვიძა. ერთი სული ჰქონდა, სანადიროდ წასულიყო. დევნის წყურვილი მოსვენებას არ აძლევდა. უყვარდა ტყეში თოფით მარტო ხეტიალი. უოლტერი შუქზე იშვიათად გამოდიოდა. იცოდა, მაშინ დაუძახებდნენ, როცა სივრცეში ორიენტირება — მშობლიურ ავსტრალიაში ნადირობისას განვითარებული მისი განსაკუთრებული უნარი დასჭირდებოდათ. ბოლოს წლების წინ გამოვიდა შუქზე, როცა ბილი და მისი ძმა, ჯიმი სამოქალაქო ავიაციის საპატრულო სამსახურის სკაუტების საბაფხულო ბანაკში იყვნენ. თავისი ნიჭის გამო უოლტერი კვალმდევად დანიშნეს. მაგრამ ახლა უკვე დიდი ხანი იყო, არ ენადირა. ჰოდა, ამ საღამოს გადაწყვიტა, მაცივრის თავზე შენახული რეიგენის იარაღი ეთხოვა. სანადირო თოფს ვერ შეედრებოდა, მაგრამ არაფერს მაინც სჯობდა. ამინდის პროგნოზს მოუსმინა. რომ გაიგო, გარეთ სიცივეაო, გადაწყვიტა, თან თბილი ქურთუკი და ხელთათმანები წაეღო. თავისი ავსტრალიური ფარფლებაკეცილი ქუდი რომ ვერ იპოვა, სათხილამურო კეპი აიღო. საგზალი გაახვია და 664-ე ტრასას სამხრეთით გაუყვა. მიმართულებას ინსტინქტურად გრძნობდა. სამხრეთით თუ ივლიდა, ტყიან ადგილს მიადგებოდა, სადაც შეეძლო ნადირობით გული ეჯერებინა. გზატკეცილიდან გადაუხვია და ნიშნებს გაუყვა, ჰოკინგის სახელმწიფო პარკისკენ მიმავალ გზას რომ უჩვენებდნენ. ცდილობდა გამოეცნო, რა ნადირს გადაეყრებოდა. ტყეში შევიდა, მანქანა გააჩერა და გზა ფეხით განაგრძო.

სიღრმეში შესულს წიწვით მოფენილ ნიადაგზე ფეხი უცურავდა. ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. კარგი იყო გარეთ, შუქზე ყოფნა, ველურ მდუმარებაში ხეტიალი. თითქმის ერთ საათს იარა. აქა-იქ მხოლოდ ციყვების ხმა ისმოდა. სხვა ნადირის ნიშანწყალი არ ჩანდა. უკვე ბინდდებოდა. უოლტერი უკვე მოთმინებას კარგავდა, როცა კვრინჩის ბუჩქზე მსუქანი, შავი ყვავი დალანდა. სწრაფად დაუმიზნა და ესროლა. ყვავი მიწაზე დაეცა. უეცრად უოლტერს თავბრუ დაეხვა და შუქიდან გავიდა.

— ბარბაროსო, — თქვა ცივად არტურმა, — ცხოველების ხოცვა წესებს ეწინააღმდეგება.

— ჩემი ტოპი რატომ ცაიგო? — იკითხა რეიგენმა.

— უპატრონოდ მიაგდე და იმიტომ, — უთხრა არტურმა, — ესეც წესის დარღვევაა.

— ტკუილია. ჩვენ ხომ შევტანხმდით, ერთი იარაგი სულ ხელმისაწვდენი, ბავშვებისგან შორს, მარტო ტუკი თავდამსხმელი შემოვა. ვალტერს არ კონდა მაგის აგების უპლება.

არტურმა ამოიოხრა.

— არადა, როგორ მომწონდა ეს ყმაწვილი. ენერგიული, სანდო ახალგაზრდა. ორიენტაციის საუცხოო უნარით. ხშირად კითხულობს წიგნებს ავსტრალიის შესახებ. თანაც, ავსტრალია ხომ ბრიტანეთის იმპერიის ნაწილია. ერთხელ კენგურუების ევოლუციის შესწავლის სურვილი გამოთქვა. ახლა კი ვშიშობ, არასასურველად უნდა გამოვაცხადო.

— ერთი კვავისტვის დზალიან მკაცრი სასდჟელი, — უთხრა რეიგენმა.

არტურმა გამგმირავი მზერა ესროლა.

— შეიძლება ერთ დღეს ისეთი დრო დაგიდგეს, რომ თავდაცვის მიზნით ადამიანის მოკვლა მოგიწიოს, მაგრამ საბრალლო,

უგუნური არსებისათვის სიცოცხლის მოსწრაფებას ვერ დავუშვებ.

არტურმა ყვაფი დამარხა და მანქანაში დაბრუნდა. ალენი, რომელმაც საუბრის ბოლო ნაწილს მოჰკრა ყური, საჭესთან შუქზე გამოვიდა და მანქანით შინისკენ გასწია. გზად ბურტყუნებდა:

— ერთი უტვინო ყვაფი მოკლა და თავი ნადირობის ღმერთი ჰგონია. რეგვენი ესა.

იმ დამით ლანკასტერისკენ მიმავალმა ალენმა თავი შეუძლოდ იგრძნო. პეჰსის ნახევრად დაცლილი ბოთლი, გზადაგზა რომ წრუპავდა, დადო და ფარების შუქზე გასაჩერებელი ნიშანი რომ დაინახა, გადაწყვიტა, ცოტა ხნით გადაეხვია. მამაკაცების ტუალეტთან გაჩერდა, თავი გაიქნ-გამოიქნია და თვალები დახუჭა.

დენიმ თვალები გაახილა და იფიქრა, ნეტავ საჭესთან რას ვაკეთებო. არტურის დარიგება რომ გაახსენდა, გვერდითა სავარძელზე გადაცოცდა და დაელოდა, როდის მოვიდოდა ვინმე წასაყვანად. უცებ მიხვდა, რომ ნაცნობი ტუალეტის გაჩერებასთან იდგა. იქვე კიდევ ორი მანქანა დაინახა, შიგ ვიღაცები ისხდნენ. ერთში — ქალი ფართოფარფლიანი შლაპით, მეორეში — ვიღაც კაცი. არაფერსაც არ აკეთებდნენ, უბრალოდ, ისხდნენ. იქნებ ისინიც ახლადგამოსულები იყვნენ შუქზე და ვინმეს ელოდნენ, რომ მისულიყო და შინ წაეყვანა. ინატრა, ვინმე მისულიყო. დაღლილი იყო და ტუალეტში უნდოდა. მანქანიდან რომ გადმოვიდა და ტუალეტისკენ წავიდა, შენიშნა, რომ ქალიც გადმოვიდა. დენი საბავშვო პისუართან დადგა და ელვა-შესაკრავი გაიხსნა. დეკემბრის სუსხში სიცვივისგან სულ აკანკალებდა. ნაბიჯების ხმა და კარის ჭრიალი მოესმა. თავზე ის ქალი ედგა. დენი გაოცდა, გაწითლდა და შებრუნდა.

— გამარჯობა, საყვარელო, — უთხრა ქალმა, — გეი ხარ?

ეს ქალის ხმა როდი იყო. ქალივით გადაცმული კაცი იყო, ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა, პომადა და მაკიაჟი უხვად ესვა, ნიკაპზე პატარა შავი ხალი მიეხატა. ფილმებში ნანახ მეი უესტს ჰგავდა.

— ეი, დიდო ბიჭო, — უთხრა კაც-ქალამ, — მოდი, მოგიწოვო.
დენიმე თავი გაიქნია და კედელს აეკრა, მაგრამ ამ დროს
მეორე კაციც შემოვიდა.

— ვაჰ, ეს ლამაზი ბიჭი ჩანს. მოდი, ერთად...

კაცმა ხელი საყელოში ჩაავლო და კედელს მიაკრა. ქალივით
ჩაცმულმა ქურთუკის კალთით მიიზიდა და მის ელვა-შესაკრავს
სწვდა. უხეშმა შეხებამ დენი შეაშინა და თვალები დახუჭა.

რეიგენმა მისკენ გამოწვდილ ხელს ხელი სტაცა, გადაუგრიხა
და კაცი კედელს მიანარცხა. იატაკზე რომ ჩამოცურდა, რეიგენმა
მკერდში მუხლი ჩააბილა და გაშლილი ხელი კისერში კარატეს
ილეთით დანისებურად, გვერდიდან დაჰკრა. რომ შემობრუნდა,
ქალი დაინახა და გაშრა. ქალს ვერ დაარტყამდა. მაგრამ „ქალ-
მა“ რომ „ნაბიჭვარო!“ ამოილულლულა, მიხვდა, რომ ქალად გა-
დაცმული კაცი იყო. სწვდა, შეაბრუნა და იდაყვით კედელს მიაკ-
რა. ელოდებოდა, მეორე როდის წამოდგებოდა.

— იატაკზე, შენს მეგობართან! — უბრძანა რეიგენმა და ტრანს-
სვესტიტს მუცელში მაგრად უთავაზა. კაცი ორად მოიკაკვა და
იატაკზე დაეცა.

რეიგენმა საფულეები წაართვა, მაგრამ მათი საბუთებით
ხელში კარისკენ რომ დაიძრა, ტრანსსვესტიტი წამოხტა და ქამარ-
ში სწვდა:

— ეგენი დამიბრუნე, შე ახვარო!

რეიგენი სწრაფად შემობრუნდა და ფეხი ბოქვენში ჩაართყა.
კაცი რომ ჩაიკეცა, რეიგენმა მეორე ფეხიც მიაყოლა სახეში. კაცს
ცხვირიდან სისხლი წასკდა და კბილებჩაღეწილი ახრიალდა.

— ნუ გეშინია, არ მოკვდები, — წყნარად უთხრა რეიგენმა, —
დასამტვრევ დზვლებს დზალიან პრტხილად ვარჩევ.

იატაკზე გაშხლართულ მეორე კაცს შეხედა. მისთვის სახეში
არ დაურტყამს, თუმცა პირიდან მაინც სისხლი მოსთქრიალებდა.

როგორც რეიგენმა დარტყმისას გამოთვალა, მზის წნულში დარტყმამ ხორხსარქველში წნევა გაზარდა და სისხლძარღვები დააზიანა. ისიც გადარჩებოდა. რეიგენმა კაცს ხელიდან „სეიკოს“ საათი წააძრო. გარეთ ორი ცარიელი მანქანა შენიშნა. ქვა აიღო და ფარები ჩაულეწა. გზატკეცილზე უფარებოდ ვერ გაეკიდებოდნენ. რეიგენი შინ წავიდა, ბინაში შევიდა, მიმოიხედა, რომ დარწმუნებულიყო, ყველაფერი წესრიგშიაო და შუქიდან გავიდა.

ალენმა თვალები გაახილა. ორჭოფობდა, ტუალეტში წავიდეთუ არაო. როცა დაინახა, რომ შინ იყო, თავი გაიქნია. ფისი აღარ უნდოდა. ხელის სახსრები სტკიოდა. და მარჯვენა ფეხსაცმელზე რაღა ჯანდაბა ეცხო? ხელით მოსინჯა.

— ღმერთო! — იყვირა მან, — ვისი სისხლია? ვინ ოხერმა იჩხუბა? უნდა ვიცოდეთ! უფლება მაქვს, ვიცოდეთ, რა ხდება!

— რეიგენს დენის დაცვა დასჭირდა, — უთხრა არტურმა.

— რა მოხდა?

არტურმა ყველას აუხსნა:

— პატარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია იცოდნენ, რომ გაჩერებები ღამლამობით ძალიან საშიში ადგილია. ცნობილია, რომ ამგვარ ადგილებს ჰომოსექსუალები ხშირად ეტანებიან. რეიგენს დენი იმ საშიში ვითარებიდან უნდა ეხსნა, ალენმა რომ ჩააგდო.

— ღმერთო ჩემო, ჩემი რა ბრალი იყო. შუქზე ძალით არ გავსულვარ და არც დენი გამომიყვანია ძალით. აბა ვინ ოხერმა იცის, ვინ მიდის, ვინ მოდის და არეულ დროს ვინ რას აკეთებს?

— მე უნა ვყოფილიყავი რა, — თქვა ფილიპმა, — ცემაში გავხევედი იმ პიდარასტებს.

— შემოაკვდებოდი კიდევ, — უთხრა ალენმა.

— ან რამე სისულელეს ჩაიდენდი, — უთხრა არტურმა, — მაგალითად, რომელიმე შემოგაკვდებოდა და მერე მკვლელობის ბრალდებით დაგვაპატიმრებდნენ.

— ოოოჰ!

— გარდა ამისა, შენ შუქზე არაფერი გესაქმება, — მტკიცედ უთხრა არტურმა.

— ვიცი, მარა მაინც გამისწორდებოდა, იქ რო ვყოფილიყავი.

— უკვე ვეჭვობ, რომ დიდი ხანია, დროს იპარავ, არეული პერიოდებით სარგებლობ, რომ შენს ანტისაზოგადოებრივ საქმეებს მიხედო.

— ვინა, მეე? ნწ.

— ვიცი, რომ გამოდიხარ ხოლმე. ნარკომანი ხარ და სხეულსა და გონებას იწამლავ.

— რაო? ესე იგი ვიტყუები, ხო?

— ეს შენი ერთ-ერთი თვისებაა. შენ დეფექტური ანდროიდი ხარ და მერწმუნე, სანამ ამის გადაწყვეტა ჩემზეა, ცნობიერებას ხელში ველარასოდეს ჩაიგდებ.

ფილიპი ისევ სიბნელეში გაუჩინარდა. თავს იმტვრევდა, ნეტავ „ანდროიდი“ რა არისო. ოღონდ არტურისთვის კითხვას არ აპირებდა. იმ ოხერ ინგლისელს გაჩმახების სიამოვნებას აღარ მიანიჭებდა. როგორც კი შანსი ექნებოდა, ეგრევე გამოვიდოდა. იცოდა, ბეინსვილის შემდეგ არტურის ავტორიტეტი შერყეული იყო. თუ მოსაწევს, „სპიდს“ ან ლშდ-ს წააწყდებოდა, გამოძვრებოდა ხოლმე და იმ გაპეყილ არტურს ნერვებს დაათხრიდა. მომდევნო კვირაში შუქზე მყოფმა ფილიპმა წამლის ერთ-ერთ მუშტარს, უეინ ლუფტს ლანკასტერის გზისპირა ტუალეტთან მომხდარი უამბო.

— ვას შენი, — თქვა ლუფტმა, — არ იცოდი გზისპირა ტუალეტები პიდარასტებით როა სავსე?

— ხო, გამოვშტერდი, ეტყობა ეგ ოხერი პიდარასტები მანდ თავისნაირებს ქინძავენ ხოლმე. მეზიზღებიან.

— აბა მე მკითხე.

— არ გინდა სადმე დავადგეთ? — უთხრა ფილიპმა.

— ეგ როგორ?

— ხო ვიცით, რო ღამით სუ მაგ ტუალეტებთან ბირუაობენ. დავადგეთ და მაგრად ვთეთქვით. დაბინძურებული ტერიტორიები გავწმინდოთ.

— შეგვიძლია ფულიც ავახიოთ, — უთხრა ლუფტმა, — საშობაოდ ფულს დავითრევთ და პიდარმონებს მოვიშორებთ. წესიერ ხალხს ადგილს გავუთავისუფლებთ.

— ჰო, ჩვენნაირებს.

ლუფტმა გბატკეცილის რუკა დააძრო და ფერფილდის და ჰოკინგის მიდამოებში ყველა საგზაო ტუალეტი მონიშნა.

— ჩემი მანქანით წავიდეთ, — უთხრა ფილიპმა, — მალე მივალთ.

ჰოკინგის ოლქში, როკბრიჯის მახლობლად მდებარე გზისპირა ტუალეტთან „ფოლკსვაგენ-ბიტლი“ შეამჩნიეს. შიგ ორნი ისხდნენ. ფილიპმა „გრან-პრი“ გბატკეცილის მეორე მხარეს დააყენა. ლუფტის მიცემული ორი ტაბლეტი „პრელუდინი“ გადაყლაპა. მერე ნახევარი საათი ისხდნენ და „ფოლკსვაგენს“ უყურებდნენ. არავინ გადასულა, არც მათთან მისულა ვინმე. ლუფტმა თქვა:

— ორი პიდარასტი იქნება. აბა ღამის ორ საათზე კაცების ტუალეტთან მანქანით ამდენ ხანს სხვა ვინ გაჩერდება.

— ჯერ მე შევალ, — უთხრა ფილიპმა, — დანით. თუ შემომყვნენ, იარაღით დაადექი.

ფილიპი კმაყოფილი იყო, ქურთუკის ქვეშ დანაამოჩრილმა გზა რომ გადაჭრა და კაცების ტუალეტში შევიდა. როგორც ელოდა, ის ორი კაციც შეჰყვა. როცა მიუახლოვდნენ, ტანზე თითქოს

ჭიანჭველებმა დაუარეს. ზუსტად ვერ იტყოდა, ეს მათ გამო ემართებოდა თუ „სპიდის“ წყალობით, მაგრამ დანა დააძრო და ქალად გადაცმულს ხელი სტაცა. მისი თანამგზავრი სქელი დოყლაპია იყო. ლუფტი რომ შემოვიდა და ზურგზე ლულა მიადო, პედერასტი სარგადაყლაპულივით გაშეშდა და ჟელეს ბორცვივით ათახთახდა.

— მიდით, დაწექით, თქვე პიდარასტებო! — უყვირა ლუფტმა, — ძირს დაწექით!

ფილიპმა სქელს საფულე, ბეჭედი და საათი წაართვა. ლუფტმა იგივე მანევრი მეორეს ჩაუტარა. მერე ფილიპმა ორივე მანქანისკენ გაიგდო.

— სად მიგყავართ? — სლუკუნით ჰკითხა სქელმა.

— ტყეში გაგასეირნებთ ცოტას.

გბატკეცილიდან უკაცრიელ სოფლის გზაზე გადაუხვიეს და იქ ჩამოყარეს.

— ესეც ესე, — თქვა ლუფტმა.

— რა უნდოდა, უნაკლო დანაშაულია, — მიუგო ფილიპმა.

— რამდენი გვაქ?

— ოხრად. ქეში ქონდათ ჩეჩქივით. საკრედიტოებიც.

— სამსახური უნა დავიკიდო და ამით ვიცხოვრო, — უთხრა ლუფტმა.

— საჯარო სამსახურია, აბა რა არი, — გაიკრიჭა ფილიპი.

ბინაში დაბრუნებულმა ფილიპმა კევისს „უნაკლო დანაშაულის“ შესახებ მოუთხრო. „ლომკა“ იგრძნო. დასაძინებლები გადაყლაპა, რომ წყნარად დაეძინა. ერთი სული ჰქონდა, მოგვიანებით სპრინგ-სტრიტზე გაველო დედის, დელის, ქეთის და მისი ბოიფრენდის, რობის სანახავად. საღამო სპრინგ-სტრიტზე მშვიდად მიდიოდა, სანამ სასტუმრო ოთახში რობი და ქეთი არ შევიდნენ და შუქზე კევინი არ გამოვიდა.

— რა კარგი ტყავის ქურთუკია, — უთხრა რობმა, — ხელზე კიდევ ახალი „სეიკო“ გიკეთია, ჰო?

კევინმა საათი ასწია.

— ყველაზე საკაიფო.

— ბილი, მიკვირს, „ენქორ ჰოკინგში“ ხომ ცოტას გიხდიდნენ. სამაგისო ფული სად იშოვე? — ჰკითხა ქეთიმ.

კევინს გაელიმა.

— უნაკლო დანაშაული ჩავიდინე.

ქეთიმ სწრაფად შეხედა. იგრძნო, რომ რაღაც ისევ შეიცვალა. ამრებილ, ცივ დამოკიდებულებას გრძნობდა.

— რას ამბობ?

— გზისპირა ტუალეტთან პიდარასტებს ფული ავახიე. ცხოვრების ბოლომდე აზზე ვერ მოვლენ, ვინა ვარ. არც თითის ანაბეჭდები დამიტოვებია, არც არაფერი. ჩაშვებასაც ვერ გაბედავენ. ფული და საკრედიტო ბარათები ავახიე.

და საათი დაანახა.

ქეთი ყურებს არ უჯერებდა. ეს ბილის არ ჰგავდა.

— ხუმრობ, არა?

მან გაილიმა და მხრები აიჩეჩა.

— შეიძლება ვხუმრობ, შეიძლება — არა.

დელი და დოროთი რომ შემოვიდნენ, ქეთი გავიდა და შემოსასვლელში მდგარ გარდერობთან მივიდა. მის ახალ ტყავის ქურთუკში ვერაფერი რომ ვერ ნახა, მანქანასთან მივიდა. ხელთათმანების უჯრაში საფულე იყო. იქვე იდო საკრედიტო ბარათები, მართვის მოწმობა და სანიტრის მოწმობა. ესე იგი, არ ხუმრობდა. ცოტა ხანს მანქანაში იჯდა, არ იცოდა, რა ექნა. საფულე ჩანთაში ჩაიდო და გადაწყვიტა, ვინმეს დალაპარაკებოდა. ბილი რომ წავიდა, საფულე დედამისა და დელს უჩვენა.

— ღმერთო მოწყალეო! მაგას ვერ დავიჯერებ, — აღმოხდა დოროთის.

დეღმა საფულეს შეხედა.

— რატომ? მე მჯერა. ახლა გასაგებია, ამ ყველაფერს როგორ ყიდულობდა.

— ჯიშს უნდა დაურეკო, — უთხრა ქეთიმ, — შინ უნდა დაბრუნდეს და ბილის მიხედოს, უნდა სცადოს. ბანკში რაღაც ფული მაქვს, ბილეთს მე ავუღებ.

დოროთიმ საქალაქთაშორისოთი დარეკა და ჯიშს სასწრაფოდ შვებულების აღება და შინ დაბრუნება სთხოვა.

— შენი ძმა ხათაბალაში გაეხვა. ძალიან ცუდ საქმეში გაყო თავი და თუ არ გამოსწორდა, პოლიციაში მოგვიწივს წასვლა.

ჯიმმა საჰაერო ძალებში სასწრაფო შვებულება აიღო და შინ შობამდე ორი დღით ადრე დაბრუნდა. დეღმა და დოროთიმ საფულე და ლანკასტერის გაზეთი აჩვენეს, გზისპირა ყაჩაღობებს რომ აღწერდა.

— რამე უნდა მოუხერხო, — უთხრა დეღმა ჯიშს, — ღმერთია მოწმე, ვეცადე, მამობა გამეწია. ვიფიქრე, ბეინსვილის მერე ბილი ჩემს ბიჭს შემიცვლის-მეთქი, ღმერთმა აცხონოს მისი სული. მაგრამ ბილი არავის იკარებს.

ჯიმმა საფულე დაათვალიერა, ტელეფონთან მივიდა და პირადობის მოწმობაზე მითითებულ ნომერზე დარეკა. უნდოდა, ყველაფერი თვითონ გადაემოწმებინა.

— თქვენ მე არ მიცნობთ, — უთხრა მან მამაკაცს, რომელმაც ტელეფონს უპასუხა, — მაგრამ მგონი, თქვენთვის მნიშვნელოვანი რაღაც მაქვს. ნება მიბოძეთ, ჰიპოთეტური შეკითხვა დაგისვათ — ვინმეს რომ ეთქვა, პირადობის მოწმობის თანახმად, სანიტარი ხართ, რას იფიქრებდით?

წამიერი დუმილის შემდეგ ხმამ უპასუხა:

— ვიფიქრებდი, რომ ჩემი საფულე აქვს.

— კარგი, — განაგრძო ჯიმმა, — და შეგიძლიათ მითხრათ, თქვენი საფულე როგორ გამოიყურება და შიგ რა დევს?

კაცმა აღწერა საფულე და მისი შიგთავსი.

— როგორ დაკარგეთ?

— ათენსა და ლანკასტერს შორის მეგობართან ერთად გზის პირას გავჩერდი. ტუალეტში ორი ტიპი შემოვიდა, ერთს პისტოლეთი ჰქონდა, მეორეს — დანა. საფულეები წაგვართვეს, საათები და ბეჭდები, მერე ტყეში წაგვიყვანეს და იქ დაგვტოვეს.

— რა მანქანით იყვნენ?

— დანიანი ლურჯ „პონტიაკ გრან-პრიზე“ იჯდა.

და ჯიმს მანქანის ნომერი უთხრა.

— ასე ზუსტად როგორ გახსოვთ მანქანის მარკა და ნომერი?

— ამასწინათ ის მანქანა ქალაქში დავინახე. იმ დანიანი ტიპისგან ორმოცდაათ ფუტში იდგა. მანქანამდე მივყევი და დავრწმუნდი, რომ იგივე მანქანა იყო.

— პოლიციას რატომ არ შეატყობინეთ?

— იმიტომ, რომ ახალ კარგ სამსახურს მთავაზობენ. მე ჰომოსექსუალი ვარ. ამ შემთხვევის შესახებ პოლიციაში თუ განვაცხადე, მხოლოდ ჩემს თავს კი არა, კიდევ რამდენიმე მეგობარს გამოვააშკარავებ.

— კარგი, — უთხრა ჯიმმა, — იმ პირობით, რომ ამის შესახებ პოლიციას არ ეტყვით, მოვახერხებ, საფულე და პირადი ნივთები დაგიბრუნონ. მოდით, უბრალოდ ყველაფერი ანონიმურად დაუტოვოთ. ფოსტით გამოგიგზავნით.

ყურმილი რომ დაკიდა, დაჯდა და ღრმად ამოისუნთქა. დედას, დელს და ქეთის შეხედა.

— ბილი შარშია, — თქვა მან და ისევ აიღო ყურმილი.

— ახლა ვიღას ურეკავ? — ჰკითხა ქეთიმ.

– ბილის ვეტყვი, რომ ხვალ ახალი ბინის სანახავად გაუვლი.

– მეც წამოვალ, – უთხრა ქეთიმ.

მეორე საღამოს, შობის წინაღღეს, ტომი ქეთისა და ჯიმს კარში ფეხშიშველი შეეგება. უკან, კუთხეში საჩუქრებში ჩაფლული, გაბრდღვიალებული ნაძვის ხე იდგა. კედელზე გადაჯვარედინებული დაშნებით მორთული დეკორატიული ფირფიტა ეკიდა. სანამ ჯიმი და ტომი ლაპარაკობდნენ, ქეთიმ ისარგებლა და ზევით ავიდა. უნდოდა, იქაურობა მოეთვალეირებინა, იქნებ მისი საქმიანობის ამსახველი კიდევ რაიმე საბუთი ეპოვა.

– ერთი რამე უნდა გკითხო, – უთხრა ჯიმმა ტომის, როცა მარტოები დარჩნენ, – ამ ყველაფრის – ამ დუპლექსის, ამდენი საჩუქრის, ტანსაცმლის, საათის ფულს სად შოულობ?

– ჩემი გოგო მუშაობს, – უთხრა ტომიმ.

– ამ ყველაფრის ფულს რა, მარლენი იხდის?

– ბევრი რაღაც კრედიტით მაქ გამოტანილი.

– ფრთხილად იყავი, მაგ კრედიტებისთვის შარში არ გაეხვე. იმედი მაქვს, ძალიან შორს არ შეგიტოპავს.

ჯიმმა, რომელსაც საჭაერო ძალებში ახლად გაეწვლო დაკითხვის ტექნიკის გაკვეთილები, გადაწყვიტა, ეს ცოდნა ძმის დასახმარებლად გამოეყენებინა. თუ მოახერხებდა, აალაპარაკებდა და მისი მხრიდან აღიარებას მიაღწევდა, იქნებ ჯერ კიდევ მოეხერხებინა მისთვის ციხის არიდება.

– საკრედიტოების თან ტარება სახიფათოა, – უთხრა ჯიმმა, – შეიძლება გადახდის დროს დაგიჭირონ.

– სულ ორმოცდაათი დოლარის ვალი მაქვს. მერე პასუხს კომპანია აგებს. მაგათ საკმარისი ფული აქვთ.

– გაზეთში წავიკითხე, რომ გზისპირას დაყაჩაღებულ ხალხს საკრედიტო ბარათები მოპარეს, – უთხრა ჯიმმა, – ეგ შენც შეიძლება დაგემართოს.

ჯიმმა ბილის თვალეებში უცნაური გამოხედვა დაიჭირა — თვალეები თითქოს ჩაუმუქდა, მზერა გაეყინა. ასე ჩალმერ მილიგანი იყურებოდა ხოლმე რისხვის მორიგი შემოტევის წინ.

— ეი, ცუდად ხომ არ ხარ?

კევინმა შეხედა და იფიქრა, ნეტავ ჯიმი აქ რას აკეთებს, ან ბინაში როდის გაჩნდაო. სწრაფად დახედა თავის ახალ საათს. ათს თხუთმეტი წუთი აკლდა.

— რა? — ჰკითხა კევინმა.

— ცუდად ხომ არ ხარ-მეთქი.

— კარგად ვარ, ცუდად რატომ უნდა ვიყო?

— გეუბნებოდი, საკრედიტო ბარათებთან ფრთხილად-მეთქი. ის გზისპირა ძარცვები და რაღაცები რომ მოხდა-მეთქი...

— ხო, წავიკითხე.

— გავიგე, იმ გაძარცვული ტიპებიდან ზოგი ჰომოსექსუალი ყოფილა.

— ჰო, ღირსებიც იყვნენ.

— რას გულისხმობ?

— იმ პიდარასტებს რად უნდათ მაგდენი ფული?

— ჰო, მაგრამ ეს ვისაც არ უნდა ჩაეღინა, ფრთხილად უნდა იყოს. ასეთი რამისათვის ციხეში დიდი ხნით სვამენ.

კევინმა მხრები აიჩეჩა.

— მაგისტრის ჯერ იმ ტიპების მოძებნა და დანაშაულის დამტკიცება მოუწევთ.

— შეიძლება ეგ არ გაუჭირდეთ. მაგალითად, კედელზე ისეთი დანა გიკვიდია, ის ხალხი რომ აღწერს.

— როგორ დაამტკიცებენ, რომ ეს ის დანაა?

— შეიძლება ეგ ვერც დაამტკიცონ, მაგრამ მძარცველებს იარაღიც ჰქონდათ.

— იარაღი არ მქონია, მაგით ვერ დამიჭერენ.

— ჰო, მაგრამ მეორე ტიპს შეიძლება დაადგინენ და მაშინ მის ამხანაგსაც იგივე ბედი ელის.

— მაგასთან ვერავინ დამაკავშირებს, — დაიჟინა კვეინმა, — ეგ პიდარასტები ეგეთ რამეზე ენის მიმტანები არ არიან. არც თითის ანაბეჭდები დარჩენილა და არც არაფერი.

ქეთი ჩამოვიდა და რამდენიმე წუთს მათთან ერთად იჯდა. როცა ბილი ტუალეტისთვის ზევით ავიდა, ქეთიმ ჯიმს ნაპოვნნი ნივთები მისცა.

— ღმერთო, — წაიბურტყუნა ჯიმმა, — რამდენი ბარათია, სულ სხვადასხვა სახელებით. აქედან როგორ გამოვადგვრენთ?

— უნდა ვუშველოთ, ჯიმ, ეს ბილის არ ჰგავს.

— ვიცი. იქნებ ერთადერთი გზა პირდაპირ დალაპარაკება იყოს.

როცა კვეინი ქვევით ჩამოვიდა, ჯიმმა საკრედიტო ბარათები უჩვენა.

— ამას გეუბნებოდი, ბილი. შენ გაძარცვე ის ხალხი და ნივთმტკიცება ბინაში გიდევს.

გაცოფებულმა კვეინმა ყვირილი დაიწყო:

— რა უფლება გაქვთ ჩემ სახლში რო მოდიხართ და ჩემ ნივთებს ქექავთ?!

— ბილი, შენს დახმარებას ვცდილობთ, — უთხრა ქეთიმ.

— ეს ჩემი საკუთრებაა. თქვენ ორნი კიდე მოდიხართ და ორდერის გარეშე ჩხრეკას მიწყებთ.

— მე შენი ძმა ვარ, ქეთი შენი დაა. ვცდილობთ...

— ჩხრეკის ორდერის გარეშე მოპოვებულ ნივთმტკიცებას სამართლოზე ძალა არ აქვს.

ჯიმმა ქეთის უთხრა, მანქანაში დაეცადა და როცა ისევ ბილის მიმართა, კვეინი სამზარეულოში გავიდა.

— ბილი, ამ ყველაფერს საკრედიტო ბარათებით ყიდულობ. ამაზე შეუძლიათ ძალიან მარტივად დაგიჭირონ.

— ვერ გაიგებენ, — დაიჟინა კვეინმა, — ერთ-ორ რაღაცას ვყიდულობ და მერე ბარათს ვაგდებ. ფულს მარტო პიდარასტებს და ისეთ ხალხს ვახევ, სხვებს რომ ერჩიან.

— ეგ დანაშაულია, ბილი.

— ეგ ჩემი საქმეა.

— უბედურებას დაიმართებ.

— რა უფლება გაქვს, სპოკანიდან რომ ჩამოეთრიე და ჩემ საქმეში ჭკუას რო მასწავლი. დამოუკიდებელი კაცი ვარ. სრულწლოვანი. სახლიდან წამოსული ვარ. რას ვაკეთებ, ეგ ჩემი საქმეა. შენ კიდე ოჯახიდან დიდი ხანია შორს ხარ.

— შეიძლება, მაგრამ შენი ბედი მაინც მაღელვებს.

— აქ მოსვლა არ მითხოვია. დაახვიე აქედან.

— ბილი, სანამ ყველაფერს არ გავარკვევთ, არსად არ წავალ. კვეინმა ტყავის ქურთუკი აიღო.

— მაშინ მე წავალ, შენი დედაც.

ჯიმი, რომელიც ყოველთვის უმცროს ძმაზე უფრო ღონიერი იყო და საჰაერო ძალებში ორთაბრძოლაც ესწავლა, კვეინსა და კარს შორის ჩადგა. მერე ხელი სტაცა და უკან უბიძგა. ჯიმს ასე მაგრად არ უნდოდა დაერთყა, მაგრამ კვეინი ნაძვის ხეს დაეჯახა, კედელს მიანარცხა და საჩუქრებზე გადააყირავა. ყუთები დაიჭყლიტა, ნათურები ჩაიმსხვრა. მავთული როზეტიდან ამოვარდა და სინათლე გამოირთო. კვეინი ადგა და ისევ კარისკენ წავიდა. დიდი ვერაფერი მოჩხუბარი იყო და ჯიმთან ბრძოლას არ აპირებდა. აქედან უნდა გაქცეულიყო. ჯიმმა პერანგში ჩაავლო ხელი და მაგიდისკენ უბიძგა.

კვეინი შუქიდან გავარდა...

რეიგენი მაგიდას დაეჯახა და სწრაფად გაიაზრა, თავს ვინ ეს-
ხმოდა, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ. ჯიმი არასდროს
მოსწონდა. ვერ პატიობდა, შინიდან რომ წავიდა და ბილი და ქა-
ლები ჩალმერის ანაბარა დატოვა. რომ დაინახა, ჯიმი კარში არ
უშვებდა, რეიგენმა ხელი უკან მოაფათურა, მაგიდიდან დანა
აიღო და ისეთი ძალით ისროლა, რომ ზედ ჯიმის თავთან, კედელ-
ში გაარტო. ჯიმი გაშეშდა. ბილის სახეზე ასეთი ცივი მძულვარება
არასდროს ენახა. ვერ წარმოედგინა, თუ ასე ელვისებურად შეეძ-
ლო რეაგირება. კედელზე მოქანავე დანას შეხედა, სულ რამდენ-
იმე სანტიმეტრით რომ ასცდა მის თავს და მიხვდა, ძმას იმდენ-
ნად სძულდა, მისი მოკვლაც კი შეეძლო. გვერდზე გადგა.
რეიგენმა უხმოდ ჩაუარა და ფეხშიშველი თოვლში გავიდა...

დენი გონს გარეთ მოეგო. უკვირდა, რას აკეთებდა გაყინულ
ქუჩაში მარტო, მაისურის ამარა, უფესსაცმლოდ და უხელთათმა-
ნოდ. შეტრიალდა და სახლისკენ წავიდა. გაოგნდა, კარში ჯიმი
რომ დაინახა, რომელიც ისე მიშტერებოდა, თითქოს გიჟი ყოფი-
ლიყო. დენიმ მის ზურგსუკან წაქცეული ნაძვის ხე და დაღეწილი
საჩუქრები დაინახა და უეცარი შიში იგრძნო.

— ბოდიში, არ მინდოდა შენი ხის გაფუჭება, — უთხრა ჯიმმა,
რომელიც ძმის გამომეტყველებაში მორიგი სასწაულებრივი
ცვლილებით გაოგნებული იყო. ცივი მრისხანება აღარსად ჩან-
და. ახლა ბილი შეშინებული ცახცახებდა.

— ჩემი ნაძვის ხე წამიქცე, — სლუკუნებდა დენი.

— მაპატიე.

— მაგარი შობა მოიწყე, არა?! — ზლუქუნებდა დენი, — მე ხომ
ჩამიშხამე!

ქეთი, რომელიც მანქანაში იცდიდა, გაფითრებული შინ შე-
ვარდა.

— პოლიცია მოდის.

რამდენიმე წამში კარზე ვილაცამ დააკაკუნა. ქეთიმ ჯერ ჯიშს შეხედა, მერე ბილის, რომელიც პატარა ბავშვივით ტიროდა.

— რა უნდა ვქნათ? — თქვა მან, — რა გვეშველე...

— ჯობია გავულო, — მიუგო ჯიშმა. კარი გააღო და ორი ოფიცერი შინ შეუშვა.

— საჩივარი შემოვიდა თქვენზე, ხმაურობენო, — უთხრა ერთ-ერთმა და ჯიშის მხარს იქით, სასტუმრო ოთახში შეიხედა.

— მეზობლები გიჩივიან, — თქვა მეორემ.

— ვწუხვარ, ოფიცერო.

— შობის წინაღამეა, — უთხრა პირველმა, — ხალხს ბავშვები ჰყავს. რა ამბავია?

— ოჯახური კამათი მოგვივიდა, — უპასუხა ჯიშმა, — არ ვიცოდით, ასე თუ ვხმაურობდით.

ოფიცერმა უბის წიგნაკში რაღაც ჩაინიშნა.

— ჰოდა, დაწყნარდით რა, ხალხო. ნუ იხმაურებთ.

პოლიციელები რომ წავიდნენ, ჯიმი ქურთუკს დასწვდა.

— კარგი, ბილი. უნდა წავიდე. ლანკასტერში სულ რამდენიმე დღით ვარ, მერე ბაზაზე უნდა დავბრუნდე.

ჯიმი და ქეთი რომ წავიდნენ, მათი ძმა ჯერ კიდევ ტიროდა.

კარი რომ გაჯახუნდა, ტომიმ დაბნეულმა მიმოიხედა. ხელი გასისხლიანებული ჰქონდა. ჭრილობიდან შუშის ნამსხვრევებს რომ იღებდა და ხელს იბანდა, ფიქრობდა, ნეტავ ჯიმი და ქეთი სად წავიდნენ და აქაურობა ასეთი არეულ-დარეული რატომ არისო. რამდენი ხანი რთავდა ნაძვის ხეს, ახლა კი რა დღეში იყო. ყველა საჩუქარი მან და სხვებმა საკუთარი ხელით დაამზადეს, არც ერთი არ უყიდიათ. მაღლა ჯიმისთვის ნახატი ჰქონდა — ბღვის ხედი. იცოდა, ჯიშს მოეწონებოდა და უნდოდა ეჩუქებინა. წაქცეული ხე ფეხზე წამოაყენა და შელამაზება სცადა, მაგრამ მოსართავების უმეტესობა დამსხვრეული იყო. რა ლამაზი საშობაო

ხე იყო. მარლენის მოსვლამდე მისი საჩუქრის მომზადებას ძლივს მოასწრებდა. საშობაოდ მისი მიპატიჟება ტომიმ საკუთარ თავზე აიღო.

ასეთი აურზაურის დანახვაზე მარლენს ელდა ეცა.

— რა მოხდა?

— ზუსტად არ ვიცი, — უთხრა ტომიმ, — და მართალი გითხრა, სუ ფეხებზე მკიდია. ერთი ის ვიცი, რომ მიყვარხარ.

მარლენმა აკოცა და საძინებლისკენ წაიყვანა. იცოდა, რომ როცა გონებაში ყველაფერი ასე არეული ჰქონდა, ყველაზე საწყალი მაშინ იყო და ყველაზე ძალიან მაშინ სჭირდებოდა. ტომი გაწითლდა და თვალები დახუჭა. უკვირდა, როგორ მოხდა, შუქზე იმდენ ხანს ვერასდროს გაგვირდი, საძინებლის ზღურბლს იქით რომ გამექაჩაო.

შობა დღეს ალენმა, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, წინა დღეს რა ხდებოდა, შეწყვიტა იმაზე ტვინის ჭყლეტა, საიდან განიდა სასტუმრო ოთახში არეულობა. გონებაში ხან ვის დაეკითხა, ხან ვის, მაგრამ არავინ პასუხობდა. ღმერთო, როგორ სძულდა ეს არეულობა. საჩუქრებიდან რისი გადარჩენაც მოახერხა, ხელახლა შეფუთა და ჯიმისთვის ტომის დახატულ ნახატთან ერთად მანქანაში ჩააწყო. სპრინგ-სტრიტზე მისულმა მიღებული ინფორმაციით წინა ღამით მომხდარი ამბების თავსატეხი სწრაფად ამოხსნა. ჯიმი გამწარებული იყო, დანა რომ ესროლა, ქეთი, დელი და დედა კი რაღაც ძარცვის გამო ეცნენ და ჩხუბი დაუწყეს.

— ის გზისპირა ყაჩაღობა შენი მოწყობილია, — დაუყვირა დელმა, — დედაშენის სახელზე გაფორმებული მანქანა გამოიყენე, არა?!

— არ ვიცი, რაზე მელაპარაკები, — უყვირა ალენმა, ხელები ზიზღით აუქნია და ზევით ავიდა.

დელმა მისი ქურთუკის ჯიბეები გაჩხრიკა და მანქანის გასაღები იპოვა. ის, ქეთი, ჯიმი და დორლოთი მანქანის დასათვალიერებლად გარეთ გავიდნენ. საკრედიტო ბარათები, მართვის მოწმობები და გზატკეცილის რუკა უპოვეს. 33-ე მარშრუტის საგზაო ტუალეტები X-ებით იყო მონიშნული. როცა შეტრიალდნენ, დაინახეს, რომ კართან იდგა და უყურებდა.

— შენი ნამოქმედარია! — უთხრა დელმა და ნივთმტკიცება ცხვირწინ აუფრიალა.

— სანერვიულო არაფერია, ვერ დამიჭერენ. უნაკლო დანაშაულია. არც თითის ანაბეჭდები დამიტოვებია და არც არაფერი. პიდარასტებიც ხმას არ ამოიღებენ.

— შე უტვინო! — დაიღრიალა დელმა, — ჯიმმა იმ კაცს დაურეკა, ვისაც საფულე მოპარე. ქალაქში დაგინახა. მთელი ოჯახი მაგ შენ „უნაკლო დანაშაულში“ ჩაგვითრიე.

დაინახეს, სახე როგორ შეეცვალა. ახლა ზედ გულგრილობის ნაცვლად პანიკა ეწერა.

გადაწყვიტეს, ბილის გადასარჩენად ნივთმტკიცება გაენადგურებინათ. ჯიმი „გრან-პრის“ სპოკანში წაიყვანდა და მისი ღირებულების დაფარვას გააგრძელებდა. ბილი სომერფორდ--სკვერიდან მეიფუდ-ავენიუზე მდებარე პატარა ბინაში გადავიდოდა. დენი უსმენდა, უკვირდა, ნეტავ რაზე ლაპარაკობენ და საჩუქრებს როდის გახსნიანო.

თავი მეთექვსმეტე

1

ოთხშაბათს, 8 იანვარს, როცა ტომი მარლენს „მემორიალ პლაზა შოპინგ სენტრში“ სადილზე ხვდებოდა, დაინახა, რომ „გრეის აფთიაქთან“ სატვირთო მანქანა გაჩერდა. უყურებდნენ, როგორ შევიდა მტვირთავი აფთიაქში დიდი ყუთით და ტომიმ წაიბურტყუნა:

— ნარკოტიკების გადატანის სერვისი. აფთიაქები ამაღამ გვიანობამდე იმუშავენ.

მარლენმა გაოცებით შეხედა. ტომიმ არ იცოდა, ეს რატომ თქვა. კვეინი აფთიაქის გაძარცვას აპირებდა. უეინ ლუფტსა და მეორე ამხანაგს, რომ ბეილის შეხვდა და გეგმა გაუმხილა. გაძარცვავდნენ და ფულის და წამლის მთავარი წილი მათი იქნებოდა. დამგეგმავს ოცი პროცენტი ერგებოდა. იმ ღამით კვეინის ინსტრუქციის მიხედვით იმ ორმა ღამის ორის ნახევრამდე იცადა. მერე იარაღის მუქარით აფთიაქარი შიგნით შეიყვანეს და სეიფი და ნარკოტიკული ნივთიერებების საცავი გაძარცვეს. გეგმის თანახმად, ტყეში შევიდნენ, თეთრი „დოჯი“ შავად შეღებეს და კვეინს გაუარეს. ბეილის სახლში რომ მივიდნენ, კვეინმა წამლები დაახარისხა: რიტალინი, პრელუდინი, დემოროლი, სეკონალი, ქუაალუდი, დელოდიდი და სხვები. მისი გამოთვლებით, წამლის ეს მარაგი ქუჩაში 30-35 ათასად გასაღდებოდა. დაინახა, ამხანაგების ცნობისმოყვარე გამომეტყველება სიხარბემ როგორ შეცვალა. როცა დაღამდა, ყველა უკვე კაიფში იყო. თითოეულმა რიგრიგობით გაიყვანა კვეინი ცალკე და მესამე პარტნიორის მო-

ტეხვა შესთავაზა. დილისკენ, როცა ლუფტი და ბეილი გათიშულები იყვნენ, კვეინმა ფული და წამალი ორ ჩემოდანში ჩატენა და კოლამბუსისკენ მარტომ გასწია. იცოდა, მასთან დაპირისპირებას ვერც ერთი გაბედავდა, მისი ეშინოდათ. სულ ახსენებდნენ, რა გიჟი იყო, როგორ შეამტვრია ერთხელ მუშტით კარი და ავტომატით ვიღაცის მანქანა როგორ ჩაცხრილა. იცოდა, პოლიცია გაფრთხილებული იქნებოდა, მაგრამ წამალს რომ მოიშორებდა, მერე აღარაფერი ემუქრებოდა. აფთიაქარმა იმათი სახეები დაინახა, კვეინის ხომ არა. ყაჩაღობასთან, ერთი შეხედვით, არაფერი აკავშირებდა. როცა მარლენმა მეორე დღეს ლანკასტერის გაზეთში აფთიაქის ძარცვის შესახებ წაიკითხა, გული გადაუბრუნდა. რამდენიმე დღეში ტომი სადილად შეხვდა. როცა დაინახა, რომ ძველი „დოჯი“ შავად შეეღება, თანაც ასე ფეთხუმურად, გაუკვირდა.

— ეს შენ ჩაიდინე, არა? — წაიჩურჩულა მან.

— რა, მანქანა შევღებე? — ჰკითხა ტომიმ უმანკოდ.

— „გრეის აფთიაქი“ შენ გაძარცვე.

— ვაი, რა გაყვირებს? ახლა დამნაშავეც გავხდი? მარლენ, მაგაზე არაფერი ვიცი, გეფიცები!

მარლენი სასტიკად დაიბნა. შინაგანი ხმა ეუბნებოდა, რომ დამნაშავე იყო, მაგრამ ხედავდა, არ იტყუებოდა, მართლა სწყინდა, რომ ადანაშაულებდნენ. თუ მსოფლიოს უდიდეს მსახიობთან არ ჰქონდა საქმე, გულწრფელი უნდა ყოფილიყო.

— ღმერთს ვევედრები, ამაში გარეული არ აღმოჩნდე, — უთხრა მან.

ერთმანეთს რომ დაემშვიდობნენ, ალენი მარლენის ბრალდებაზე ანერვიულდა. ისეთი განცდა ჰქონდა, რომ რაღაც რიგზე ვერ იყო. სამსახურში რომ ბრუნდებოდა, გადაწყვიტა, დახმარება მჭირდებაო.

– ბიჭებო, გამოდით, – თქვა მან ხმამაღლა, – შარში ვართ.

– ყველაფერი წესრიგშია, ალენ, – დაამშვიდა არტურმა, – იარე.

– არ გინდა, შენ გამოხვიდე?

– არ მინდა საჭესთან დავჯდე. ამერიკულ გზებზე სანდო მძღოლი ვერ ვარ. გზა განაგრძე.

– ხომ არ იცი, რა ხდება? – ჰკითხა ალენმა.

– ამ არეულ დროს ჩემმა კვლევამ ისე გამიბაცა, რომ დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ ვეჭვობ, არასასურველები დროს იპარავენ და დანაშაულს სჩადიან.

– ვცდილობდი, შენთვის ხმა მომეწვდინა, – უთხრა ალენმა.

– მე მგონი, რეიგენი გვჭირდება, – დაასკვნა არტურმა, – შეგიძლია მოძებნო?

– ვცადე, მაგრამ როცა გჭირდება, ხომ ვერასდროს ვერ იპოვი.

– მოდი, მე ვცდი. შენ მართვა განაგრძე.

არტური გონებაში ძებნას შეუდგა, შუქის მიღმა სიბნელეში იყურებოდა. დანარჩენები დაინახა – ზოგს თავის ლოგინში ეძინა, ზოგი ჩრდილში იჯდა. არასასურველები არ უყურებდნენ – რადგან შუქზე გამოსვლა აუკრძალა, მათზე ძალაუფლება დაკარგული ჰქონდა. ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა რეიგენი, რომელიც ქრისტინს ეთამაშებოდა.

– გვჭირდები, რეიგენ. ვფიქრობ, ვიღაცამ დანაშაული, ან დანაშაულები ჩაიდინა და ახლა შეიძლება საფრთხეში ვიყოთ.

– ეგ ჩემი პრობლემა არ არის, – უთხრა რეიგენმა, – ეგ დანაშაულობები მე არ გამიკვებია.

– დარწმუნებული ვარ, რომ ასეა, მაგრამ შეგახსენებ – თუ რომელიმე ჩვენგანს ციხეში ჩასვამენ, იქ ბავშვებსაც მოუწევთ წასვლა. წარმოიდგინე ასეთ გარემოში ქრისტინი – სექსუალური

მანიაკებისა და გარყვნილების ბუდეში გამომწყვდეული პატარა, ლამაზი ბავშვი.

— კარგი, — უთხრა რეიგენმა, — შენ იცი ჩემი სისუსტე.

— უნდა გავარკვიოთ, მაინც რა ხდება.

არტურმა საყოველთაო გამოკითხვა დაიწყო. ერთმანეთის მიყოლებით უსვამდა კითხვებს შიგნით მყოფ ხალხს და მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული იყო — ზოგიერთი არასასურველი ტყუოდა, სურათი ნელ-ნელა აღადგინა.

ტომიმ მოუთხრო, როგორ ეჭვობდა მარლენი, რომ „გრეის აფთიაქის“ ძარცვაში მისი ხელი ერია და ისიც, რომ ცოტა ხნით ადრე აფთიაქში ნარკოტიკული ნივთიერებების შეტანას შეესწრო. უოლტერმა განაცხადა, ყვავის მოკვლისა და შუქიდან გაძევების შემდეგ რეიგენის იარაღს არ გავკარებივარო, მაგრამ გაიხსენა, როგორ გაიგონა, ბრუკლინური აქცენტით მოსაუბრე ხმა გზისპირა ტუალეტების „უნაკლო დანაშაულზე“ რომ საუბრობდა. ბოლოს და ბოლოს, ფილიპმა აღიარა გზისპირა ყაჩაღობა, მაგრამ „გრეის აფთიაქის“ ძარცვაში მონაწილეობა უარყო. მერე კვინმა თქვა, მე დავგეგმეო.

— მაგრამ იქ არ ვყოფილვარ. მარტო დავგეგმე და მერე იმ ორს დავაწერე. ვიღაცეები გადავაგდე, ეგ იყო და ეგ. შეიძლება იმათ პოლიციაში ჩამიშვეს, მაგრამ მე სუფთა ვარ. შანსი არ არი, პოლიციამ მაგ ძარცვის საქმე ჩამომკვიდოს.

არტურმა მოსმენილი ისევ აღენსა და რეიგენს მოახსენა.

— აბა, როგორ ფიქრობთ, რაიმესთან ჩვენი დაკავშირება, რაიმეს გამო ჩვენი დაპატიმრება შესაძლებელია?

რამდენადაც იცოდნენ, ამ მხრივ საშიში არაფერი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ბილი მილიგანს ხელი მოპარული საქონლის გადამყიდველმა დაადო, რომელიც ნარკომოვაჭრობის წინააღმდეგ მებრძოლი დანაყოფის დეტექტივთან ვალ-

ში იყო. მისი თქმით, მისთვის მილიგანის მიერ მიყიდული წამალი „გრეის აფთიაქიდან“ მოპარული ნარკოტიკების აღწერილობას ემთხვეოდა. ლანკასტერის პოლიციის დეპარტამენტში ხმა გავრცელდა. ბილის დაპატიმრებისთვის ორდერი გაიცა.

ორშაბათს, როცა მარლენი სამსახურის შემდეგ ბინაში მივიდა, ტომიმ მას ნიშნობის ბეჭედი აჩუქა.

— მარვინ, ეს ჩემგან მინდა გქონდეს, — უთხრა ტომიმ, რომელიც მარლენს მოფერებით ასე ეძახდა, — თუ რამე დამემართა, მინდა იცოდე, რომ ყოველთვის მეყვარები.

ტომიმ ბეჭედი თითზე რომ გაუკეთა, მარლენი უყურებდა და არ სჯეროდა. ამ წუთებზე დიდხანს ოცნებობდა, მაგრამ ახლა ეს მტკივნეული იყო. ნუთუ იმიტომ უყიდა, რომ ელოდა, რამე დაემართებოდა? თვალეზზე ცრემლი მოადგა, მაგრამ ცდილობდა, განცდები მისთვის არ ეჩვენებინა. რაც არ უნდა ჰქონოდა ჩადენილი, რაც არ უნდა ექნათ მისთვის, მის გვერდით დარჩებოდა. 1975 წლის 20 იანვარს თავის დღიურში ჩაწერა: „დავინიშნე. გაოგნებისგან კინალამ მოვკვდი“. დენი მეორე დღეს დააპატიმრეს. „კრუიზერში“ ჩატენეს და ფერფილდის ციხეში წაიყვანეს. თავისი უფლებები წაუკითხეს და დაკითხეს. აზრზე არ იყო, რაზე ელაპარაკებოდნენ. დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა. დენიმ სურათი დეტექტივების ნათქვამის მიხედვით აღადგინა. უეინ ლუფტი მანქანის სიმთვრალეში მართვისთვის დაეკავებინათ და დაკითხვის დროს განეცხადებინა, რომ აფთიაქი მილიგანმა და როი ბეილიმ გაძარცვეს. დენიმ დაბნეულმა ახედა. უნდოდათ, რომ აღიარებთი ჩვენება დაეწერა. შეკითხვებს რომ უსვამდნენ, თავში ალენის ხმა ესმოდა, რომელიც სიტყვა-სიტყვით კარნახობდა, რა ეპასუხა. დაკითხვა რომ დამთავრდა, დენის სთხოვეს, ჩვენებისთვის ხელი მოეწერათ. დენიმ ენა კბილებს შორის მოიქცია და ბეჯითად, მსხვილად გამოიყვანა: „უილიამ სტენლი მილიგანი“.

– ახლა შემიძლია შინ წავიდე?

– ათი ათასი დოლარის ჯარიმას თუ გადაიხდი, კი.

დენიმ თავი გააქნია. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ძალიან აბნევდა. ისევ საკანში წაიყვანეს. იმავე დღეს მოგვიანებით მარლენმა თავდები იშოვა და ჯარიმის თანხა გადაიხადა. ტომი ისევ დოროთისთან და დელთან დაბრუნდა საცხოვრებლად. დელი ჯორჯ კელნერს დაუკავშირდა – ადვოკატს, რომელიც ბილის ორი წლის წინ, პიკევეიში გაუპატიურების საქმეზე იცავდა. სასამართლოს მოლოდინში არტურმა შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ სხვა საჩივრებიც აღეძრათ – ორმა დაზარალებულმა მასში გზისპირა მძარცველებიდან ერთ-ერთი ამოიცნო. 1975 წლის 27 იანვარს საგზაო პატრულმა დამატებითი საჩივარი წარადგინა ფერფილდისა და ჰოკინგის ოლქებში გზისპირა ძარცვის შესახებ, დამამძიმებელი გარემოებებით. ზეინსვილის ახალგაზრდულ ბანაკში გაგზავნიდან ზუსტად ორი წლის თავზე მილიგანი ფერფილდის საოლქო ციხეში დააბრუნეს.

ალენს უნდოდა, სასამართლოზე თავისი ინტერესები თავადვე დაეცვა. არტურს უნდოდა, საქმისთვის თვითონ მოეკიდა ხელი და დაემტკიცებინა, რომ ძარცვის ღამეს „გრეის აფთიაქს“ საერთოდ არ გაჰკარებია.

— გზისპირა ტუალეტებში ყაჩაღობაზე რაღას იტყვი? — ჰკითხა ალენმა, — ეს რეიგენმა ჩაიდინა, მაგრამ თავდაცვის მიზნით.

— ამბობენ, რომ ამგვარი ყაჩაღობები ერთიმეორის მიყოლე-ბით კიდევ განმეორდა.

— ტკუილია, — ამტკიცებდა რეიგენი, — გზის პირზე სხვები არ დამიკაჩაგებია.

— ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეს ვიღაცამ ჩაიდინა, — თქვა ალენმა.

— დამტკიცება შეუდგლიათ? — იკითხა რეიგენმა.

— აბა, მე რა ვიცი?! — თქვა ალენმა, — მე არ დამინახავს.

— რა ვკნატ? — იკითხა რეიგენმა.

— წყეული დომხალია, — განაგრძო არტურმა, — ამ ადვოკატს შეგვიძლია ვენდოთ? მახსოვს, ორი წლის წინ ოჰაიოს ახალგაზრდულ კომისიას ჩვენს ზეინსვილში გაშვებაში ხელი ვერ შეუშალა.

— ამბობს, რომ ამჯერად, აღიარების შემთხვევაში, შანსი გვაქვს, — მიუგო ალენმა, — როგორც ვხვდები, თუ გრეის აფთიაქის ძარცვას ვაღიარებ, „შოკურ პრობაციას“ მომიხჯიან და ციხეში ყურყუტი არ მომიწევს.

— ეგ „შოკური პრობაცია“ რა არის?

– ისე ჩაგსვამენ, რომ არ გეუბნებიან, რამდენი ხნით ზიხარ და მერე მოულოდნელი გამოშვებით შოკში გაგდებენ, რომ მთელი ცხოვრება მადლიერი იყო და აღარაფერი დააშავო.

– მაშ, თუ ასეა, – თქვა არტურმა, – მივდიოთ ადვოკატის რჩევას. ფულს ხომ ამისთვის ვუხდით.

– ძალიან კარგი, – დაეთანხმა ალენი, – ესეც ასე. დანაშაულს ვაღიარებთ და სანაცვლოდ პრობაციაზე აგვიყვანენ.

1975 წლის 27 მარტს უილიამ სტენლი მილიგანმა დანაშაული აღიარა და დამნაშავედ სცნეს ყაჩაღობაში და ასევე, ყაჩაღობაში დამამძიმებელი გარემოებებით. ორი თვის შემდეგ ალენმა შეიტყო, რომ სასამართლომ შოკური პრობაცია მხოლოდ გზისპირა თავდასხმებისთვის მიუსაჯა. „გრეის აფთიაქის“ ძარცვისათვის ორიდან ხუთ წლამდე პატიმრობა ეკისრებოდა. ყველა თავზარდაცემული იყო. 9 ივნისს, მას შემდეგ, რაც მენსფილდის გამოსასწორებელ კოლონიაში 45 დღე გაატარა, ალენი ოჰაიოს სახელმწიფო საპრობაციო სამსახურის ლურჯი ავტობუსით ორმოცდაცხრამეტ თანამოდმესთან ერთად ხელშებორკილი ლიბანის ციხეში წაიყვანეს. ალენი ცდილობდა, ავტობუსის წინა ნაწილში მსხდარი შეიარაღებული მცველებისთვის თვალი აერიდებინა. ორი წელი როგორ უნდა გაეძლო? ავტობუსი ციხესთან რომ გაჩერდა და ლიბანის კედლების ირგვლივ განლაგებული სათვალთვალ კოშკები და ეკლიანი ღობე დაინახა, შიშმა სულ მთლად დარია ხელი. პატიმრები ავტობუსიდან გადმოიყვანეს და მიმღებში შერეკეს. ორი დისტანციური მართვის კარიდან პირველი სისინით გაიღო და მის უკან მიიხურა. ამ ხმამ ალენს ჩალმერის სისინი მოაგონა და შიშმა მის შიგნეულში იფეთქა. მეორე კარამდე მისვლა ვერ მიასწრო...

მეორე კარი რომ გაიღო, სისინი უკვე რეიგენმა გაიგო. მან თავი დაიქნია და ჩამწკრივებული, ხელბორკილიანი პატიმრებით

სავსე კამერის ბლოკში შევიდა. ახლა უკვე არტური როდი იყო დომინანტი. რეიგენმა იცოდა, რომ აქ მმართველობა როგორც იქნა, მის ხელში გადადიოდა. მხოლოდ ის გადაწყვეტდა, უახლოესი ორი ან ხუთი წლის განმავლობაში შუქზე ვინ გამოვიდოდა და ვინ გავიდოდა. ზურგსუკან რკინის კარი დაიხურა და რეიგენ ვადასკოვინიჩს მძიმე, ხანგრძლივი ჯახანი მოესმა.

თავი მეჩვიდმეტე

1

რეიგენს ლიბანის ციხე მენსფილდის კოლონიას ბევრად ერ-
ჩია. აქაურობა უფრო სუფთა და ნათელი ჩანდა. პირველ დღეს
გაცნობით შეხვედრაზე წესებისა და რეგულაციების შესახებ
ლექციასა და ციხის სასწავლო და სამუშაო განყოფილებების აღ-
წერილობას მოუსმინა. მერე ზორბა, დიდნიკაპიანი და სქელკი-
სერა კაცი ადგა და გულხელდაკრეფილი, წინ და უკან ქანაობას
მოჰყვა.

— მოკლედ, — თქვა მან, — მე კაპიტანი ლიჩი ვარ. თავები მაგა-
რი კაცები გგონიათ, ხო? ახლა ჩემ ხელში ხართ. ქუჩაში თუ გაგ-
დიოდათ ჩალიჩი, აქ ვეღარ იჩალიჩებთ. მოინდომებთ და თავებს
გაგიხეთქავთ. გავკარი სამოქალაქო უფლებებს, ადამიანის უფ-
ლებებს და ყველა ეგეთ რაღაცას. აქ ხორცის ნაჭერი ხართ და მე-
ტი არაფერი. თავს წამოყოფთ და ეგრევე წაგაცლით.

თხუთმეტ წუთს ილაპარაკა. რეიგენმა დაასკვნა, რომ კაცი
მათ დაშინებას ცდილობდა, სიტყვებს არახუნებდა და მეტი არა-
ფერი. მერე შეამჩნია, რომ ფსიქოლოგმა, ჩალისფერთმიანმა,
გამხდარმა, სათვალთანმა კაცმაც იქით გაუტია:

— ახლა ნომრები ხართ და მეტი არაფერი. იდენტობა არ გა-
განჩიათ. არავის აინტერესებს, ვინ ხართ და სად ხართ. დამნაშა-
ვეები და მსჯავრდებულები ხართ და მეტი არაფერი.

იმ განხიკულმა რომ მიაყენათ შეურაცხყოფა, რამდენიმე ახა-
ლი პატიმარი გამწარდა და აყვირდა:

— ვინ ჩემი ფეხები ხარ, მაგას რომ გვეუბნები?

— რა მძღნერს გვაჭმევს ეს ჩმორი?

— ნომერი არა ფეხები!

— გიჟია, ვილაცაა!

— ეგ ბაზარი ტრაკში გაიტენე, შე სირო!

რეიგენი სიტყვიერ შეურაცხყოფაზე თანამოძმეების რეაქციას აკვირდებოდა. ეჭვობდა, რომ ფსიქოლოგი მათ პროვოცირებას განზრახ ცდილობდა.

— ხედავთ? — თქვა ფსიქოლოგმა და საჩვენებელი თითი მიუშვირა, — ნახეთ, რა ხდება. საზოგადოებას ვერ მორგებიხართ, იმიტომ, რომ წნეხის პირობებში თავის გაკონტროლების უნარი არა გაქვთ. ვერბალურ განცხადებას ღია მტრული დამოკიდებულებითა და ძალადობით უპირისპირდებით. ახლა ხომ გესმით, რატომ ცდილობს საზოგადოება გალიაში გამოგკეცოთ, სანამ წესებთან მორგებას არ ისწავლით?

პატიმრები მიხვდნენ, რომ ის ვაცი მათთვის ჭკუის სწავლებას ცდილობდა, დაწყნარდნენ, ერთმანეთს შეხედეს და სულელურად გაიკრიჭნენ. ცენტრალურ დერეფანში მდგარი ძველი პატიმრები საორიენტაციო ოთახიდან შემოსულ ახლებს უყურებდნენ და რეპლიკებს ესროდნენ:

— ნახე, ახალი ხორცი!

— მალე შევხვდებით, ბოზებო!

— ვაა, ეს რა ნაშაა?! ჩემთვის მინდა.

— პირველმა მე დავინახე, ჩემია!

რეიგენმა იცოდა, რომ მასზე უთითებდნენ და ცივი მზერით ათვალიერებდა.

იმ ღამით, საკანში დაბრუნებულმა, არტურთან მოითათბირა.

— აქ ყველაფერზე შენ აგებ პასუხს, — უთხრა არტურმა, — მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს რეპლიკები და ხუმრობები პატიმრებისთვის, უმეტესად, მძიმე პირობებში ორ-

თქლის გამოშვების საშუალებაა. ოღონდ ცოტა გაიცინონ რამეზე და მეტი არ უნდათ. ციხის კომედიანტები ჭემმარიტად სახიფათო პიროვნებებისაგან კარგად უნდა გაარჩიო.

რეიგენმა თავი დაუქნია.

— მეც ზუსტად ეგრე ვპიკრობ.

— კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო...

რეიგენი უსმენდა და ცალყბად ეღიმებოდა. ძალიან ახალი-სებდა, არტური ბრძანებების გაცემის ნაცვლად რჩევებს რომ სთავაზობდა.

— შევამჩნიე, რომ ის პატიმრები, საავადმყოფოს მწვანე ფორმა რომ აცვიათ, დაცვის წევრების გარდა, ერთადერთი კატეგორიაა, კორიდორის ცენტრში სიარულის ნებას რომ რთავენ. როცა სამუშაოს განაწილების დრო დადგება, ცუდი არ იქნება, თუ ალენი ციხის საავადმყოფოში ითხოვს ადგილს.

— ეგ რატომ?

— სანიტრად მუშაობა გარკვეულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს — განსაკუთრებით, ბავშვებისათვის. ციხეში მედიცინის მუშაკს პატივს სცემენ, რადგან ყოველმა პატიმარმა იცის, რომ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, სასწრაფო დახმარება დასჭირდეს. მე ვიმუშავებდი, კომუნიკაციას კი ალენი მიხედავდა.

რეიგენი დათანხმდა. მეორე დღეს, როცა დაცვა ახალ პატიმრებს სამუშაო გამოცდილებისა და სპეციალიზაციების შესახებ გაესაუბრა, ალენმა თქვა, რომ მუშაობას ციხის საავადმყოფოში ისურვებდა.

— გამოცდილება გაქ? — ჰკითხა კაპიტანმა ლიჩმა.

ალენმა ისე უპასუხა, როგორც არტურმა დაარიგა:

— საზღვაო ძალებში რომ ვიყავი, „გრეიტ ლეიკსის“ საზღვაო ბაზაზე ფარმაცევტების სკოლა ჰქონდათ. იქ საავადმყოფოში ვმუშაობდი.

ეს სულ ტყუილი როდი იყო. არტური სამედიცინო საკითხებს თავისით სწავლობდა. ის ხომ არ უთქვამს, ექიმად მუშაობის გამოცდილება მაქვსო.

მომდევნო კვირაში ციხის საავადმყოფოდან დარეკეს, ექიმ ჰარის სტაინბერგს, სამედიცინო დირექტორს მილიგანის ნახვა უნდაო. ფართო დერეფნებში სიარულისას ალენმა შენიშნა, რომ ლიბანის შენობას გიგანტური ცხრაფეხას ფორმა ჰქონდა. ცენტრალური დერეფანი კაბინეტებით იყო მოფენილი. აქედან გარკვეული დაშორებებით საკნებიანი კორიდორები იტოტებოდა. საავადმყოფოში ალენი არამსხვრევადი შუშით გატიხრულ მოსაცდელში იცდიდა და იქიდან უყურებდა ექიმ სტაინბერგს, მოხუც, თეთრთმიან კაცს, კეთილი ღაჟღაჟა სახით და თავაზიანი დიმილით. კედლებზე ნახატებიც შეამჩნია. ბოლოს, როგორც იქნა, ექიმმა სტაინბერგმა თავის კაბინეტში უხმო.

— გავიგე, რომ ლაბორატორიაში მუშაობის გამოცდილება გაქვს.

— მთელი ცხოვრება ექიმობა მინდოდა, — უთხრა ალენმა, — ვიფიქრე, ამხელა ციხეში გამოგადგებოდათ ისეთი კაცი, სისხლის და შარდის ანალიზებს რომ გააკეთებდა ხოლმე.

— გაგიკეთებია?

ალენმა თავი დაუქნია.

— რა თქმა უნდა, ეს დიდი ხნის წინ იყო და ალბათ ბევრი რამ დამავიწყდა, მაგრამ ვისწავლი. სწრაფად ვითვისებ. და როგორც გითხარით, აქედან რომ გავალ, ამ დარგში მუშაობა ჩემი დიადი მიზანი იქნება. სახლში სამედიცინო ლიტერატურა მაქვს. ჩემით ვსწავლობდი. განსაკუთრებით ჰემატოლოგია მაინტერესებს და თუ შანსს მომცემდით, ძალიან გამიხარდებოდა.

შეამჩნია, რომ სტაინბერგი ლაქლაქით მაინცდამაინც ვერ მოხიბლა, ამიტომ შთაბეჭდილების მოსახდენად სხვა გზა არჩია.

— შესანიშნავი ნახატებია, — უთხრა ალენმა და სწრაფად შეხედა კედელს, — აკრილს ზეთი მირჩევნია, მაგრამ ვინც დახატა, დეტალები კარგად დაუჭერია.

— ხატავ?

— მთელი ცხოვრება. მედიცინა ავირჩიე, მაგრამ ხალხი ბავშვობიდან მეუბნებოდა, ხატვის თანდაყოლილი ნიჭი გაქვსო. ერთხელ იქნებ თქვენი პორტრეტის დახატვის ნება დამრთოთ. ძლიერი სახე გაქვთ.

— ხელოვნების ნიმუშებს ვაგროვებ, — უთხრა სტაინბერგმა, — ცოტ-ცოტას თვითონაც ვხატავ.

— ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მხატვრობა და მედიცინა ერთმანეთს ავსებს.

— შენი ნახატები გაგიყიდი?

— რამდენიმე. პეიზაჟები, ნატურმორტები, პორტრეტები. იმედი მაქვს, აქ ყოფნისას ხატვის შანსი მექნება.

სტაინბერგმა ხელში კალამი აათამაშა.

— კარგი, მილიგან. ლაბორატორიაში მუშაობის შანსს მოგცემ. შეგიძლია იატაკის მოწმენდით დაიწყო და მერე აქაურობა მოაწესრიგე. სტორმისთან, მორიგე სანიტართან ერთად იმუშავენ. ის გიჩვენებს, რა უნდა გააკეთო.

არტური გახარებული იყო. სისხლის ანალიზების ასაღებად სხვა პაციენტებზე ადრე ადგომა სულ არ ეზარებოდა. სამედიცინო ბარათების წარმოებით უკმაყოფილომ თოთხმეტი დიაბეტიანი-სათვის, რომლებიც გონებაში უკვე საკუთარ პაციენტებად წარმოიდგინა, ცალკე ანკეტები გახსნა. დღის უმეტესი ნაწილი ლაბორატორიაში გაატარა, მიკროსკოპით მუშაობდა და სლაიდებს ამზადებდა. როცა ოთხის ნახევარზე საკანში დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი დაბრუნდა, ახალი მეზობლის — გამხდარი, ჩუმი კაცისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ადალანამ ცარიელი საკანი ჭრელი პირსახოცებით მორთო — იატაკზე დააფინა და კედლებზეც ჩამოკიდა. ალენმა მალე საქმეების ჩარხვა დაიწყო — ყვავილებიან პირსახოცს ცვლიდა კოლოფ სიგარეტზე, მერე იმ სიგარეტს ღერებად ორმაგ ფასში ჰყიდდა და კვირის ბოლოს უკვე ერთის ნაცვლად ორი კოლოფი ჰქონდა. ბარტერულ გაცვლას სულ ამგვარი პირამიდის პრინციპით აწარმოებდა. დედამისისა და მარლენის გზავნილების გარდა, საჭმელს ინტენდანტისგან იძენდა. ამით საღამოობით სასადილო ოთახში სიარულსაც არიდებდა თავს. ლაბორატორიიდან წამოღებული რეზინის საცობით პირსაბანში ცხელ წყალს აგუბებდა, შიგ ქათმის, სუპისა თუ ჩაშუშული ხბოს ხორცის კონსერვებს აწყობდა და მანამდე აჩერებდა, სანამ გემრიელად არ გააცხელებდა. ამაყად ატარებდა თავის მწვანე უნიფორმას, მოსწონდა, სხვების მსგავსად კედლის გასწვრივ ტარაკანივით ღოღვის ნაცვლად, ცენტრალურ კორიდორში თავისუფლად სიარულისა და სირბილის პრივილეგიაც კი რომ ჰქონდა. მოსწონდა, „დოკს“ რომ ეძახდნენ და მარლენს სხვადასხვა სამედიცინო სახელმძღვანელოს ყიდვას სთხოვდა. არტუ-

რი მედიცინის შესწავლით სერიოზულად იყო დაინტერესებული. როცა ტომიმ გაიგო, რომ ბევრმა პატიმარმა მეგობარი გოგონა მნახველების სიაში „სამოქალაქო მეუღლედ“ გააფორმა, რათა ამ უკანასკნელთ მოსანახულებლად მოსვლა შესძლებოდათ, რეიგენს უთხრა, მინდა მარლენი ცოლად ჩავწერო. არტური თავიდან წინააღმდეგი იყო, მაგრამ ბოლოს მაინც რეიგენმა აჯობა. ცოლის სახელით მარლენს ციხეში ნივთების მოტანის უფლება ექნებოდა.

– მისცერე, – უთხრა რეიგენმა, – პორტოხლები მოიტანოს. მაგრამ დეერ შპრიცი აიგოს და შიგ არაკი ჩაასხას. კარგი რაგაცა გამოდის.

ლი შუქზე პირველად ლიბანში გამოვიდა. კომიკოსი, ხუმარა, ოინბაზი ლი არტურის თეორიის ცოცხალი დადასტურება იყო, რომლის თანახმად, სიცილი ერთგვარი „დამცავი სარქველი“ იყო, რომელსაც პატიმრების უმეტესობა დიდად აფასებდა. გამასხარავება, რომელმაც თავიდან ასე შეაშინა დენი და განარისხა რეიგენი, ახლა ლის საყვარელი გასართობი გახდა. რეიგენს სმენოდა ბილის მამის, კომიკოსისა და კონფერანსიეს შესახებ, რომელიც თავს „ნახევრად მუსიკოსს, ნახევრად – ტვინიკოსს“ უწოდებდა და გადაწყვიტა, რომ ლის ციხეში თავისი როლი ჰქონდა. მაგრამ ლი მხოლოდ ანეკდოტების მოყოლით როდი შემოიფარგლებოდა. ალენის სიგარეტებისთვის „დენტს“ ამზადებდა – ასანთის ღერებს გოგირდს აცლიდა, მერე ღერს შაქრიან წყალში ასველებდა, ისევ გოგირდში ავლებდა და სიგარეტის ღერში მალავდა. რამდენიმე ასეთ ღერს ალენის კოლოფით თან ატარებდა და თუკი რომელიმე პატიმარი სიგარეტს სთხოვდა, ლი „დატენილ“ ღერს აძლევდა. კორიდორში ან კაფეტერიისკენ გასულს ესმოდა, როგორ ღრიალებდა აფეთქებული სიგარეტის „მსხვერპლი“. რამდენიმე ალენსაც აუფეთქდა. ერთ დილას, რო-

ცა სისხლის ანალიზს მორჩა, არტური, რომელიც შავკანიან პატომრებს შორის ნამგლისებრი უჯრედის ანემიის შემთხვევების პროცენტულ წილზე ფიქრობდა, შუქიდან გავიდა. უსაქმოდ დარჩენილმა ლიმ ოინი მოიგონა: ხახვის ექსტრაქტის ქილა გახსნა, შიგ ტამპონი ჩააწო და მიკროსკოპის ოკულარს წაუსვა.

— ეი, სტორმი, — უთხრა მან სანიტარს და სლაიდი გაუწოდა, — ექიმ სტაინბერგს სასწრაფოდ ლეიკოციტების ანალიზი სჭირდება. მიკროსკოპში უნდა ჩაიხედო.

სტორმიმ სლაიდი მიკროსკოპზე დადო და ჩახედა. უცებ თავი გველნაკებენივით გამოსწია, თვალები აცრემლდებოდა.

— ასეთი ნაღვლიანი პასუხია? — ჰკითხა ლიმ უმანკოდ.

სტორმიმ თავი ვერ შეიკავა და თვალცრემლიანი ახარხარდა.

— ოხ, შე ნაბიჭვარო, რა გეშველება.

პირსაბანთან მივიდა და თვალები ამოიბანა.

ცოტა ხნის შემდეგ ლიმ დაინახა, როგორ შემოვიდა პაციმარი და სტორმის ხუთი დოლარი მისცა. სტორმიმ კოლბებით სავსე თაროდან ნომერი 11-ჩ აიღო, საცობი ამოაძრო და კაცს მიაწოდა, რომელმაც გამოართვა და დიდი ყლუპი მოსვა.

— ეს რა არის? — ჰკითხა ლიმ პაციმარი რომ წავიდა.

— „თეთრი ელვა“. ჩემი რეცეპტია. ყლუპში ხუთ დოლარს ვიღებ. თუ კლიენტი შემოვიდა და აქ არ ვიქენი, შეგიძლია საქმე შენ ჩაიბარო და წილში დოლარს მოგცემ.

ლიმ მიუგო, პაცივი მაქვს, გემსახუროთო.

— მისმინე, — განაგრძო სტორმიმ, — ექიმ სტაინბერგს პირველადი დახმარების კაბინეტის მილაგება უნდა. მიდი რა, შენ მიულაგე, მე ბევრი საქმე მაქვს.

სანამ ლი აფთიაქს აწესრიგებდა, სტორმიმ 11-ჩ შუშა აიღო, ალკოჰოლი მენზურაში გადაასხა და შუშა წყლით აავსო. მერე ჭურჭლის პირი ტკბილ-მწარე კონცენტრატით დაამუშავა.

— ექიმ სტეინბერგს უნდა შევეუარო რაღაცაზე, — უთხრა ლის, — აქაურობას ყურადღება მიაქციე, რა.

ათი წუთის შემდეგ ბრგე შავკანიანმა პატიმარმა შეიხედა და ლის უთხრა.

— 11-ჩ მოიტა, სტორმის ორ ყლუპში ათი დოლარი მივეცი. შენზე მითხრა, იცის, სადაც იქნებაო.

ლიმ შუშა გაუწოდა. კაცმა პირზე მიიდო და მოიყუდა. უცებ თვალები დააჭყიტა, გადააფურთხა და დაიჯღანა.

— ეს რა მძღნერი ჩამისხი, შე თეთრო ნაბიჭვარო? — კაცი ფრუტუნებდა, პირით უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა და ტუჩებს სახელოზე იწმენდდა. მერე კოლბა აიღო, მაგიდას ჩამოართყა, ფსკერი მოამტვრია და სითხე ლის მწვანე ფორმაზე სულ ზედ გადააქცია. ძირმომტვრეული კოლბა ხელში ეჭირა და უქნევდა.

— დაგჭრი, შე ახვარო!

ლიმ კარისკენ დაიხია.

— რეიგენ, — დაიხურჩულა მან, — ეი, რეიგენ!

გულგახეთქილი ელოდა, რომ რეიგენი მის დასაცავად გამოვიდოდა, მაგრამ არავინ ჩანდა. მერე კარში გაძვრა და დერეფანში მოკურცხლა. ის შავკანიანი უკან მისდევდა.

რეიგენმა შუქზე გამოსვლა დააპირა, მაგრამ არტურმა უთხრა:

— ლიმ ჭკუა უნდა ისწავლოს.

— მაგის ტავს ხომ ვერ დავაჩრევინებ, — უპასუხა რეიგენმა.

— თუ ვერ გავაჩერეთ, — თქვა არტურმა, — მომავალში შესაძლოა, უარეს შარში გაეხდეს.

რეიგენმა რჩევას დაუჯერა და სანამ გულგახეთქილი ლი „რეიგენ, მიშველეს“ ყვირილით დერეფანში მირბოდა, ჩარევა აღარ უცდია. ბოლოს, როცა ნახა, რომ ლიმ საკმარისად ჭამა და სიტუაცია უკვე სახიფათო გახდა, ხელი ჰკრა და შუქიდან გააგდო, შეჩერდა და საავადმყოფოს გასაშლელი საწოლი პირდაპირ

მდევრის მიმართულებით ისროლა. კაცი გატეხილ კოლბაზე დაეცა და მკლავი გადაისერა.

— გეკოპა! — იღრიალა რეიგენმა.

შავკანიანი წამოხტა, ბრაზისგან აკანკალებდა. რეიგენმა ხელი სტაცა, რენტგენის კაბინეტში შეაგდო და კედელზე მიახეთქა.

— გეკოპა! ტუ არ გაჩერდები, მოგკლავ! — უთხრა რეიგენმა.

უეცარი ცვლილებით გაოგნებულ კაცს თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა. შეშინებული თეთრი ბიჭის ნაცვლად რუსულაქცენტიანი გიჟი შერჩა ხელში, ველური თვალებით რომ იყურებოდა. უკნიდან რკინის ხელებს შეებოჭათ, მაჯით მისი კისერი ისე მიეჭირათ კედლისთვის, ლამის მომტვრეოდა.

— გვეკოპა, — ჩასჩურჩულა ყურში რეიგენმა, — აკაურობა უნდა მივალაგოტ.

— ჰო, მორჩა, მორჩა...

რეიგენმა გაუშვა. შავკანიანმა უკან დაიწია.

— მივდივარ, პრობლემა არ არი, ყველაფერი კარგად არი... და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

— ეს სიტუაციასთან გამკლავების ყოვლად ბარბაროსული მეთოდი იყო, — განაცხადა არტურმა.

— შენ რას იზამდი? — ჰკითხა რეიგენმა.

არტურმა მხრები აიჩეჩა.

— შენი ფიზიკური შესაძლებლობები რომ მქონოდა, ალბათ, იმავეს.

რეიგენმა თავი დაუქნია.

— ლის რა ვუყოთ? — ჰკითხა არტურმა, — გადაწყვეტილება შენ უნდა მიიღო.

— არასასურველია.

— ჰო. აბა, მთელი ცხოვრება ოინებზე რომ აქვს აწყობილი, ისეთ ვაცში რა ხეირი ყრია. უსარგებლო ანდროიდი.

ლი გააძევეს. მაგრამ შუქის ირგვლივ გამეფებულ სიბნელეში გადანაცვლების მაგივრად, სადაც ოინებისა და ხუმრობების გარეშე უნდა ეარსება, სრულიად გაქრა. დიდი ხნის განმავლობაში აღარავის გაუცინია.

ტომის წერილებში გუნების არაპროგნოზირებადი ცვალებადობა ჩანდა. მარლენს სწერდა, „სახსრები დასიებული მაქვსო“ და უყვებოდა, როგორ ეჩხუბა პატიმრებს, საფოსტო მარკებს რომ ჰპარავდნენ. ნ აგვისტოს იფიცებოდა, თავს მოვიკლავო. ხუთი დღის შემდეგ კი სწერდა, აკრილის საღებავი გამომიგზავნე, ისევ რომ ვხატო. არტურმა ოთხი თაგვი დაიჭირა და შინაური ცხოველებივით უვლიდა. მათ ქცევას აკვირდებოდა და გრძელი ანგარიშის წერა დაიწყო ადამიანის დამწვარი კანის ადგილას თაგვის კანის გადანერგვის პოტენციალის შესახებ. ერთ საღამოს, ლაბორატორიაში ჩანაწერებს რომ აკეთებდა, ოთახში სამი პატიმარი შევიდა. ერთი დაცვაზე ედგათ, დანარჩენი ორი კი არტურს დაადგა თავზე.

— პაკეტი მოიტა, — უთხრა ერთ-ერთმა, — ვიცი, რომ შენ გაქვს. მოგვეცი.

არტურმა თავი გაიქნია და წერა განაგრძო. ორივენი მაგიდასთან მივიდნენ და ხელი სტაცეს...

რეიგენმა ორივე ძირს დაანარცხა, ჯერ ერთს ჩაართყა, მერე — მეორეს. როცა მესამე, მოდარაჯე, დანით წაადგა თავზე, რეიგენმა მაჯა მოამტვრია. სამივენი გაიქცნენ. ერთ-ერთმა მოაძახა:

— მოგკლავ, მილიგან. ტრაკზე გაგხევე, იცოდე.

რეიგენმა არტურს ჰკითხა, ხომ არ იცი, რა უნდოდათო.

— როგორც მათი საქციელის მიხედვით ვასკვნი, „პაკეტი“ ალბათ ნარკოტიკები უნდა იყოს, — მიუგო არტურმა.

ლაბორატორია და დისპანსერი გადაჩხრიკა. ბოლოს ზედა თაროზე წიგნებსა და ქალაქებს შორის თეთრი ფხვნილით საუსე ცელოფნის პარკი იპოვა.

— ჰერონია? — ჰკითხა ალენმა.

— რომ დავრწმუნდე, ანალიზი უნდა ჩავუტარო, — უთხრა არტურმა და პარკი სასწორზე დადო, — ნახევარი კილოა.

ფხვნილი კოკაინი აღმოჩნდა.

— რას უპირებ?

არტურმა პაკეტი გახსნა და თეთრი ფხვნილი უნიტაზში ჩარეცხა.

— ვილაც ძან გამწარდება, — უთხრა ალენმა.

მაგრამ არტური უკვე თავის კანის გადანერგვის ანგარიშს მიბრუნებოდა.

არტურს ციხის დეპრესიაზე უკვე სმენოდა. ინსტიტუციონალიზაციის პროცესში პატიმრების უმეტესობა შფოთვის პერიოდს გადიოდა. დამოუკიდებლობისა და იდენტობის დაკარგვის საფრთხე პატიმარში ხშირად დეპრესიასა და ემოციურ აშლილობას იწვევდა. მილიგანის შემთხვევაში მას არეულობა მოჰყვა. მარლენისათვის გაგზავნილ წერილებს ცვლილება დაეტყო. ფილიპმა და კევინმა შეწყვიტეს უხამსობების წერა და პორნოგრაფიული სცენების ხატვა. ახლა წერილები ჭკუიდან შემლის შიშს ამჟღავნებდა. ტომის წერილების თანახმად, მას უცნაური ჰალუცინაციები დასჩემდა. იმასაც წერდა, დღე და ღამე სამედიცინო წიგნებს ვკითხულობ და პირობითი გათავისუფლების შემდეგ მედიცინის შესწავლას დავიწყებ, თუნდაც ამისთვის თხუთმეტი წელი დამჭირდესო. ჰპირდებოდა, მერე დავექორწინდებით, საკუთარი სახლი გვექნება, მე კი კვლევით ვიქნები დაკავებული და პროფესიონალი გავხდებიო.

— აბა, როგორ ჟღერს? — სწერდა ის, — ექიმი მილიგანი და მისი მილიგანი.

4 ოქტომბერს კოკაინთან დაკავშირებული შემთხვევის გამო მილიგანი ჩ კორპუსში გადაიყვანეს და უსაფრთხოების მიზნით,

განცალკევებით, კარცერში ამყოფებდნენ. სამედიცინო წიგნები და პორტატული ტელევიზორი ჩამოართვეს. რეიგენმა კედლიდან ფოლადის ძელები ააგლიჯა, რომლებზეც საწოლი იყო მიმაგრებული და კარში ისე გაჩხირა, რომ საკნიდან მის გამოსაყვანად მისულ მუშებს კარის ჩამოღება მოუწიათ. ცუდად ეძინა და ხშირად უჩიოდა გულისრევასა და მხედველობის დაბინდვას. ექიმი სტაინბერგი დროდადრო მის სანახავად მიდიოდა და დამაძინებლებსა და კრუნჩხვის საწინააღმდეგო წამლებს უწერდა. მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, მილიგანს, არსებითად, ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებდა, 13 ოქტომბერს ლიბანიდან მისი თავი კოლამბუსის სამედიცინო ცენტრში გადააყვანინა სამკურნალოდ. იქ ყოფნისას ალენმა ამერიკის სამოქალაქო თავისუფლების კავშირს მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. კოლამბუსში გატარებული ათი დღის შემდეგ აღმოაჩინეს, რომ თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული ჰქონდა. დიეტის დანიშვნის შემდეგ ლიბანში, ისევ იზოლირებულ საკანში დააბრუნეს. იქ შეიტყო, რომ შეწყალებას მხოლოდ 1977 წლის აპრილის, ესე იგი, წელიწად-ნახევრის შემდეგ მიიღებდა.

შობამ და ახალმა წელმა რომ ჩაიარა, 1976 წლის 27 იანვარს ალენი სხვა პატიმრებთან ერთად მოშიმშილე აქციას შეუერთდა. ძმას სწერდა:

ძვირფასო ჯიმ,

საკანში ვწევარ და ჩვენი ბავშვობა მახსენდება. დრო გადის და სულში სიცოცხლის ზიზღი მიგროვდება. ვწუხვარ, რომ თქვენი დამსხვრეული ოჯახის დამამსხვრეველი ჭანჭიკი ვარ. იმ ოჯახისა, რომლის წევრიც, ფაქტობრივად, არ ვყოფილვარ. წინ მიზნებით სავსე საუცხოო მომავალი გელის. ჩემსავით ნუ გაფლანგავ. ვწუხვარ, თუ გძულვარ ამის გამო. მაგრამ მე ისევ ისე გაფასებ, როგორც ქარსა და მზეს. ჯიმ, ღმერთია მოწმე, რასაც მაბრალევენ, არ ჩამიდენია. ღმერთი ამბობს, ყველას თავისი ადგილი და ბედისწერა აქვსო. ალბათ, ჩემი ეს არის. ბოდიში იმ სირცხვილისთვის, შენ და ყველა ახლობელმა რომ გადაიტანეთ ჩემ გამო.

ბილი

მარლენს ტომი სწერდა:

„ჩემს მარვინს:

მარვ, აქ შიმშილობა და დიდი აჯანყება იწყება. ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ აჯანყებულებმა თუ გაიმარჯვეს, აქედან ვერც ერთი წერილი ვეღარ გავა. ყვირილის და შუშის მსხვრევის ხმები სულ უფრო ხმამაღლა ისმის. ურიკიდან საჭმლის აღება თუ ვცადე, მომკლავენ. ვილაცამ ხანძარი გააჩინა, მაგრამ ჩააქრეს. აქეთ-იქით საკნებიდან დაცვა პატიმრებს მიათრევს. აჯანყება ნელა მიიწევს წინ, მაგრამ იმ კვირაში ალბათ პატიმრები აქაურობას ხელში ჩაიგდებენ. გეუბნები! გარეთ იარაღით დგანან, მაგრამ ამათ ეგ მაინც ვერ შეაჩერებს. მენატრები, მარვინ! სიკვდი-

ლი მინდა. ყველაფერი უარესობისკენ მიდის. რამდენიმე დღეში აქაური ამბავი შეიძლება ექვსსაათიან ახალ ამბებში გადმოსცენ. ახლა ცინცინატის რადიოში ყვებიან ამაზე. თუ აჯანყებამ ყველაფერი მოიცვა, არ მოხვიდე. გარეთ ალბათ ათასობით ადამიანი იქნება, ჭიშკარში ვერც შემოხვალ. მიყვარხარ, მარვინ და მენატრები. ერთი რამე გამიკეთე რა — აქაურმა ბიჭებმა მთხოვეს, ეს ამბავი ჩემი ქალაქის რადიოს მივაწვდინო. ხალხის მხარდაჭერა სჭირდებათ, რომ რაც უნდათ, ის მიიღონ. „W.H.O.K.“-ს გააგებინე. ბიჭებისგან მადლობა. ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ, მარვ, თავს გაუფრთხილდი.

სიყვარულით,

ბილი

თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, კაკაო მომიტანე, რა“.

ბობიმ იზოლატორის ფოლადის საწოლის თავზე თავისი სახელი ამოკაწრა. აქ ფანტაზიებში ჩაძირვა შეეძლო. წარმოიდგენდა, ვითომ კინო, ან ტელეფილმების მსახიობი იყო, შორეულ ადგილებში მოგზაურობდა და საგმირო თავგადასავლებში ეხვეოდა. ვერ იტანდა, რობერტს რომ ეძახდნენ, დაიჟინებდა ხოლმე, „ბობი ვარო“. არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქონდა, საკუთარი ამბიციია არ გააჩნდა, ღრუბელივით იწოვდა სხვის აზრებსა და იდეებს და თავისად ასაღებდა. თუკი ვინმე რამის გაკეთებას სთავაზობდა, ეუბნებოდა, არ შემიძლიაო. მარტოს იმდენი თავდაჯერება არ გააჩნდა, რომ გეგმა სისრულეში მოეყვანა. როცა ბობიმ მოშიმშილე გაფიცვის შესახებ პირველად შეიტყო, თავის ლიდერად, სხვა პატიმრებისთვის მაგალითის მიმცემად წარმოიდგინა. დიდი ინდოელის — მაჰათმა განდის მსგავსად, ძლიერებს ამა ქვეყნისა თავისი შიმშილით მუხლებზე დასცემდა. ერთი კვირის შემდეგ, როცა შიმშილობა შეწყდა, ბობიმ გადაწყვიტა, არ გაჩერებულიყო. ძალიან გახდა. ერთ საღამოს, როცა

დაცვამ მისი საკნის კარი გააღო და ლანგრიტ საჭმელი მიუტანა, ბობიმ ლანგარს ხელი ჰკრა და საჭმელი სულ ზედ გადაასხა. არტურმა და რეიგენმა აღიარეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბობის ფანტაზია მათ ციხეში გატარებული გრძელი თვეების გადატანაში დაეხმარა, შიმშილობისგან სხეული დაუსუსტდათ. რეიგენმა ის „არასასურველად“ სცნო. ერთ საღამოს ტომი სტუმრების მისაღები ოთახიდან გამოდიოდა. იქ ბილის დედას შეხვდა, რომელიც ვაჟის ოცდამეერთე დაბადების დღის აღსანიშნავად ესტუმრა. ფანჯარაში გაიხედა და ისეთი რამ შეამჩნია, ადრე რომ არასოდეს ენახა. ოთახის სხვადასხვა ნაწილში პატიმრები თავ-თავიანთ ქალებს გვერდით მისხდომოდნენ, ხელები პატარა კვადრატული მაგიდების ქვეშ დაემალათ. არ საუბრობდნენ, ერთმანეთს არც კი უყურებდნენ. უაზრო, თითქმის შუშის მგერით სივრცეს მიშტერებოდნენ. როცა ეს ჯონსის, მეზობელი კამერის პატიმარს უხსენა, იმას გაეცინა.

— შენ რა, არაფრის აზზე არა ხარ? ვალენტინობაა და უნძრევენ.

— არ მჯერა.

— ისეთი ქალი რო გყავს, შენ გამო ყველაფერზე რო წავა, აქ შარვლით კი არა, კაბით მოვა, უტრუსებოდ. მეორეჯერ ერთად რო გავალთ შეხვედრაზე, ჩემი გოგოს ტრაკს დაგანახებ.

შემდეგ კვირას მისაღებში ბილი დედის სანახავად შედიოდა, როცა ჯონსი თავის ლამაზ წითურ გოგოსთან ერთად იქიდან გამოდიოდა. ჯონსიმ თვალი ჩაუკრა, გოგოს უკან კაბა აუწია და მისი შიშველი უკანალი დაანახა. ტომი გაწითლდა და გატრიალდა. იმ ღამით მარლანისადმი მიწერილ ტომის წერილის შუაში განსხვავებული კალიგრაფიით გაკეთებული ნაწერი გაჩნდა. ფილიპი წერდა: „თუ გიყვარვარ, აქ რომ მოხვალ, კაბა ჩაიცვი, უტრუსებოდ“.

1976 წლის მარტში ალენს იმედი გაუჩნდა, იქნებ ივნისში შე-
 მიწყალონო, მაგრამ როცა შეწყალების კომისიამ მოსმენა ორი
 თვით გადადო, ანერვიულდა. ციხის სასიგნალო შეტყობინებე-
 ბით გაიგო, რომ პირობითი გათავისუფლების უზრუნველყოფის
 ერთადერთი გზა იმ კლერკის მოქრთამვა იყო, განცხადებას ცენ-
 ტრალურ ბიუროს რომ გადასცემდა. ალენმა ისევ მაქინაციებს
 მიჰყო ხელი — ფანქრით და ნახშირით ხატავდა, მერე ნახატებს
 პატიმრებს და მცველებს უცვლიდა ისეთ ნივთებზე, მერე რომ გა-
 ყიდვა შესძლებოდა. მარლენს შეეხვეწა, არყიანი ფორთოხლები
 მიეტანა. ერთი რეიგენისთვის იყო, დანარჩენი — გასაყიდად. 21
 ივნისს, ცალკე იზოლატორში პირველად მოთავსებიდან რვა
 თვის შემდეგ მარლენს მისწერა, დარწმუნებული ვარ, შეწყალე-
 ბის გადადება რამე ფსიქოლოგიური გამოცდის ხერხი იქნებაო.
 „თორემ ისეთი დაცენტრილი ვარ, რომ აზრზე არ ვარ, რას ვშვე-
 ბი“. კვლავაც იზოლირებული მილიგანი ჩ ბლოკში განთავსებულ
 „ფსიქიატრიულ განყოფილებაში“ — ფსიქიკური პრობლემების
 მქონე პაციენტებისთვის განკუთვნილ ათსაკნიან ნაწილში გადა-
 იყვანეს. მალე დენიმ თავი დაიჭრა და როცა მკურნალობაზე
 უარი თქვა, ისევ კოლამბუსის სამედიცინო ცენტრში გადაიყვან-
 ნეს. ცოტა ხანში ისევ ლიბანში დააბრუნეს. ჩ ბლოკში ყოფნისას
 განუწყვეტლივ უგზავნიდა უორდენ დოლმანს წერილებს და იზო-
 ლაციას აპროტესტებდა, რომელიც, როგორც სმენოდა, ნება-
 ყოფლობითი უნდა ყოფილიყო. სწერდა, ჩემი კონსტიტუციური
 უფლებები ირღვევა და ყველას სასამართლოში ვუჩივლებო.
 რამდენიმე კვირაში არტურმა ტაქტიკის შეცვლა და დადუმება
 ურჩია. არავისთვის არ უნდა გაეცა ხმა — არც პატიმრებისთვის,

არც დაცვისათვის. იცოდა, ეს შეშფოთებას გამოიწვევდა. ბავშვები კი ჭამაზე აცხადებდნენ უარს. აგვისტოში, დამცავი იზოლაციიდან ცხრა თვის შემდეგ, როცა უკვე რამდენჯერმე მოასწრეს მისი ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაყვანა, უთხრეს, რომ ციხის ჩვეულებრივ რეჟიმში დაბრუნების ნება ეძლეოდა.

— სამუშაოდ შედარებით უხიფათო ადგილას გაგამწესებთ, — უთხრა უორდენ დოლმანმა. საკნის კედლებზე გაკრულ ნახატებზე მიუთითა, — შენი სამხატვრო ნიჭი მიხსენეს. იქნებ მისტერ რეინერტის ხატვის ჯგუფში იმუშაო?

ალენმა კმაყოფილებით დაუქნია თავი. მეორე დღეს ტომი გრაფიკული ხელოვნების კაბინეტში შევიდა. იქაურობა ხალხით იყო სავსე — ზოგი ტრაფარეტული ბეჭდვით იყო დაკავებული, ზოგი ფოტოებს იღებდა, ზოგი კი საბეჭდ დაზგასთან მუშაობდა. გამხდარი, ძარღვიანი მისტერ რეინერტი დაფიქრებით აკვირდებოდა ტომის, რომელიც პირველი რამდენიმე დღე უაზროდ იჯდა და სულ არ აინტერესებდა, გარშემო რა ხდებოდა.

— რისი გაკეთება გინდა? — ჰკითხა რეინერტმა.

— ხატვა. ზეთში კარგად ვხატავ.

რეინერტმა გაოგნებით ახედა.

— ზეთით პატიმრებიდან არაფერს ხატავს.

ტომიმ მხრები აიჩჩინა.

— მე ეგ ვიცი.

— კარგი, მილიგან, წამომყევი. მე მგონი ვიცი, სად გიშოვო.

ტომის გაუმართლა — ჩილიკოტის გამასწორებელი კოლონიის გრაფიკული ხელოვნების პროექტი ახლახან დახურულიყო და ზეთის საღებავი, ტილოები და ჩარჩოები ლიბანში გამოეგზავნათ.

რეინერტი მოლბერტის გამართვაში დაეხმარა და უთხრა, მიდი და ხატეო. ნახევარ საათში ტომიმ პეიზაჟი უჩვენა. რეინერტი გაოგნებული იყო.

— მილიგან, არასოდეს მინახავს ვინმეს ასე სწრაფად დაეხატოს, თან კარგი ნახატია.

ტომიმ თავი დაუქნია.

— იძულებული ვიყავი, სწრაფად ხატვა მესწავლა, რომ ნახატის დამთავრება მომესწრო.

მიუხედავად იმისა, რომ ზეთის საღებავებით ხატვა პროგრამაში არ შედიოდა და გრაფიკული ხელოვნების გაკვეთილზე ფერწერა არ იყო მიღებული, რეინერტი მიხვდა, რომ მილიგანი თავს ყველაზე კარგად ფუნჯით ხელში გრძნობდა. ამიტომ ორშაბათიდან პარასკევამდე ყველაფრის დახატვის ნება მისცა, რაც მოეპოვებოდა. პატიმრებს, მცველებსა და ადმინისტრაციის ზოგიერთ თანამშრომელსაც კი ძალიან მოსწონდა ტომის პეიზაჟები. მოგვიანებით სპეციალურად ბარტერისათვის რამდენიმე მარტივი ნახატი დახატა და ქვეშ „მილიგანი“ მიაწერა. თავისთვის სხვებს ხატავდა და ნება დართეს, მარლენი ან დედამისი რომ მივიდოდნენ სანახავად, თან გაეტანებინა. ექიმი სტაინბერგი დროდადრო შეუვლიდა ხოლმე გრაფიკული ხელოვნების გაკვეთილებზე, რომ მისთვის ხატვასთან დაკავშირებულ საკითხებზე რჩევა ეკითხა. ტომი მას პერსპექტივის გამოყენებას, ქვების ისე დახატვას ასწავლიდა, რომ წყალქვეშ ჩაძირულებს დამსგავსებოდნენ. სტაინბერგი ციხეში ზოგჯერ შაბათ-კვირასაც მიდიოდა, მილიგანი საკნიდან გამოჰყავდა და ერთად ხატავდნენ. იცოდა, მილიგანს ციხის საჭმელი როგორ სძულდა და მისთვის სულ მოჰქონდა სენდვიჩი „წყალქვეშა ნავი“, ხვეულა და რძის კოქტეილი.

– ნეტა საკანში ხატვა შემეძლოს, – უთხრა ერთხელ ტომიმ რეინერტს. რეინერტმა თავი გაიქნია.

– არა, აკრძალულია. იქ შენ გარდა კიდევ ორი პატიმარია.

მაგრამ აკრძალვა დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე დღის შემდეგ ორმა მცველმა მილიგანის საკანი გაჩხრიკა და მარხუანა იპოვა.

– ჩემი არ არი, – უთხრა ტომიმ.

ეწინოდა, არ დამიჯერებენ და დასასჯელად „სოროში“ – ცარიელ საკანში გამიშვებენო. მაგრამ მისი მეზობელი რომ დაკითხეს, ყმაწვილმა წნეხს ვერ გაუძლო და აღიარა, ცოლმა მიმატოვა და დარდის გასაქარვებლად მოვწიეო. პატიმარი ცალკე იზოლატორში გაგზავნეს და მილიგანი საკანში ცოტა ხნით მარტო აღმოჩნდა. რეინერტი საკნების ბლოკის ზედამხედველს, ლეიტენანტ მორენოს დაელაპარაკა და სთხოვა, სანამ მილიგანი მარტო იყო, მისთვის კამერაში ხატვის უფლება მიეცათ. მორენო დათანხმდა და ამრიგად, ყოველდღე, 3:30-ზე, გრაფიკული ხელოვნების კაბინეტის დახურვის შემდეგ, მილიგანი თავის საკანში ბრუნდებოდა და სანამ ძილის დრო არ მოვიდოდა, ხატავდა. დღეები ძალიან სწრაფად გადიოდა. ასე დროის მოკვლა უფრო მარტივი იყო.

მერე, ერთ დღეს, დაცვამ ახსენა, რომ მის საკანში ახალ პატიმარს გადაიყვანდნენ. ალენი ლეიტენანტ მორენოს კაბინეტთან შეჩერდა.

– მისტერ მორენო, ჩემს საკანში ვინმეს თუ შემოიყვანთ, ნახატებს ველარ დაუხატავ.

– ჰოდა, სადმე სხვაგან ხატე.

– რალაც რომ აგიხსნათ, შეიძლება?

– მოგვიანებით შემოდი და ვილაპარაკოთ.

სადილის შემდეგ ალენი ტომის მიერ ახლადდახატული ნახატით ხელში დაბრუნდა. მორენო გაოცებული მიაშტერდა.

— ეს შენ დახატე? — ჰკითხა მან.

ლეიტენანტმა ნახატი დაიჭირა და მუქ მწვანე პეიზაჟს შეხედა, რომლის ფონზე დახატული მდინარე შორეულ სივრცეებში იკარგებოდა.

— მეც მინდა ასეთი.

— დაგიხატავდით, — უთხრა ალენმა, — მაგრამ ჩემს საკანში ხატვის უფლება აღარ მაქვს.

— აბა ერთი მოიცა... ნახატს ხომ დამიხატავ?

— უფასოდ.

მორენომ თანაშემწეს დაურეკა.

— ქეისი, ახალი ტიპი, მილიგანის საკნიდან ამოწერე. ცარიელი სტრიქონი ჩასვი და ჯვრებით მონიშნე.

მერე ალენს მიუბრუნდა.

— შენ არ ინერვიულო. ცხრა თვე კიდევ დაგრჩა და შენს კამერაში აღარავის შემოუშვებენ.

ალენი გახარებული იყო. ტომი, დენი და ის ყოველ თავისუფალ წუთს ხატვას ანდომებდნენ, რომ თითოეული ნახატი ბოლომდე მიეყვანათ.

— ფრთხილად იყავი, — ურჩია არტურმა, — მორენო ნახატს რომ მიიღებს, მერე შეიძლება თავისი დანაპირები უკან წაიღოს.

ალენმა მორენოს ორი კვირა ალოდინა, მერე მის კაბინეტში შევიდა და ნახატი — ნავებმიბმული ნავსადგომი — უჩვენა. მორენოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— დარწმუნებული ხართ, რომ ჩემს საკანში ველარავინ შემოვა? — ჰკითხა ალენმა.

— დაფაზე გავაკარი. შეგიძლია მიხვიდე და ნახო.

აღენი დაცვის ოთახში შევიდა და თავისი სახელის გასწვრივ დაინახა შენიშვნა: „მილიგანის საკანში პატიმარი არ შეიყვანოთ“.

შენიშვნას ზედ გამჭვირვალე სკოჩი ეკრა და მუდმივი ჩანდა. მილიგანი უზომოდ ნაყოფიერად ხატავდა: მცველებისთვის, ადმინისტრაციისთვის, დედამისისა და მარლენისთვის, შინ გასაგზავნად და გასაყიდად. ერთხელ ვესტიბიულისთვის სთხოვეს ნახატის დახატვა და ტომიმ უზარმაზარი ტილო შექმნა, რომელიც მიმღები პუნქტის მაგიდის უკან უნდა დაეკიდათ. შეცდომა დაუშვა და ზედ თავისი სახელი დააწერა, მაგრამ სანამ სხვებს აჩვენებდა, აღენმა შეამჩნია, გადაშალა და „მილიგანი“ დააწერა. სურათების უმეტესობა არ მოსწონდა. ესენი ვაჭრობისა და სწრაფი გაცვლა-გამოცვლისთვის იყო განსაზღვრული. მაგრამ ერთ დღეს ძალიან მნიშვნელოვანი ნახატის ხატვამ გაიტაცა. ერთი სახელოვნებო წიგნიდან ჰქონდა გადმოღებული. „ქეთლინის პორტრეტზე“ აღენი, ტომი და დენი რიგრიგობით მუშაობდნენ. თავიდან მეჩვიდმეტე საუკუნის არისტოკრატი ქალი ჰქონდათ ჩაფიქრებული, ხელში მანდოლინით. აღენი სახესა და ხელებს ხატავდა. ტომი ფონზე მუშაობდა. დენი დეტალებს ხვეწდა. როცა მანდოლინის დახატვის ჯერი დადგა, დენი მიხვდა, რომ არ მოსწონდა და სანაცვლოდ სანოტო ფურცელი დააჭერინა. ორმოცდარვა საათს გაუჩერებლად მუშაობდნენ. რომ დაამთავრეს, მილიგანი საწოლზე დაეცა და დაიძინა.

ლიბანამდე სტივს შუქზე დიდი დრო არ გაუტარებია. ის — პროფესიონალი და თავზებელაღებული მძღოლი — რამდენჯერმე საჭესთან გამოვიდა. ტრაბახობდა, მსოფლიოში საუკეთესო მრბოლელი ვარო. რეიგენმა შუქზე გამოსვლის ნება ლის გაძევების შემდეგ დართო, რადგან ოხუნჯობა სტივსაც ეხერხებოდა. ყოყლოჩინობდა, ცოცხლებს შორის საუკეთესო მიმბაძველი ვარო.

ნებისმიერის პაროდირება შეეძლო და პატიმრების აუდიტორია ამაზე სიცილით იგუდებოდა. ხალხს წაბაძვით აპამპულავებდა. აფერისტი იყო, სულ თვითმარქვიობდა. სტივმა მის იუგოსლავიურ აქცენტს რომ გამოაჯავრა, რეიგენი ძალიან გაბრაზდა. არტურიც აღშფოთდა, როცა სტივმა მუშათა კლასის ბრიტანული აქცენტით სცადა მისი წაბაძვა.

— მე ასე არ ვსაუბრობ, — ამტკიცებდა ის, — მე „კოკნის“ აქცენტი არ მაქვს.

— შარს გადაგვყრის, — თქვა ალენმა.

ერთ საღამოს სტივი დერეფანში კაპიტან ლიჩის უკან იდგა, გულხელი დაეკრიფა და ლიჩის ქუსლებზე წინ და უკან რწევის ჩვევას აჯავრებდა. ლიჩი მიტრიალდა და გამოიჭირა.

— ეგ სპექტაკლი „სოროში“ ითამაშე, მილიგან. ათი დღით მარტო ჩაყუდება გასწავლის ჭკუას.

— ალენი გვაფრთხილებდა, რომ რაღაც მოხდებოდა, — უთხრა არტურმა რეიგენს, — სტივი უხეიროა. არც ამბიცია აქვს, არც ნიჭი. მარტო გამოჯავრება ეხერხება და სანამ სხვებს აცინებს, გამოჯავრების ობიექტის სახით მტერს გვძენს. მართალია, დომინანტი შენ ხარ, მაგრამ ვფიქრობ, მტრები უკვე საკმარისად გვყავს.

რეიგენი დაეთანხმა, რომ სტივი არასასურველი იყო და უთხრა, გაძევებული ხარო. სტივმა შუქიდან გასვლაზე უარი განაცხადა და რეიგენის აქცენტის გამოჯავრებით დაიღმუვლა:

— ვარგი ერთი! შენ არ არსებობ. არც ერთი არ არსებობტ. კველანი ჩემი ცარმოსახვის ნაკოპი ხარ. აკ მარტო მე ვარ. მე ვარ ერთადერთი ნამდვილი პიროვნება. კველა ტკვენ დანარჩენი — გალუცინაციები.

რეიგენმა კედელს მიახეთქა და შუბლი დაუსისხლიანა. სტივი შუქიდან გავიდა.

ციხეში შეიკვრ-ველის ზოგადსაგანმანათლებლო კოლეჯის ინსტრუქტორები გაკვეთილებს ატარებდნენ. არტურის თხოვნით, ალენი ინგლისურზე, საწარმოო დიზაინზე, ზოგად მათემატიკასა და საწარმოო რეკლამაზე ჩაეწერა. ხელოვნების გაკვეთილებზე „ა“ — შეფასებებზე სწავლობდა, ინგლისურსა და მათემატიკაში — „ბ+“ — ები ჰყავდა. გრაფიკულ ხელოვნებაში უმაღლესი შეფასებები ჰქონდა — „გამორჩეული“, „უზომოდ ნაყოფიერი“, „სწრაფად ამთვისებელი“, „ძალზე სანდო“, „შესანიშნავი კომუნიკატორი“, „ძალიან მოტივირებული“. 1977 წლის 5 აპრილს ალენი შეწყალების კომისიის წინაშე წარსდგა და უთხრეს, რომ სამ კვირაში გაათავისუფლებდნენ. როცა გათავისუფლების წერილი, როგორც იქნა, მიიღო, სიხარულისგან ისეთი აღელვებული იყო, რომ ერთ ადგილას ვერ ჯდებოდა. საკანში წინ და უკან დადიოდა. ბოლოს წერილი აიღო და მისგან თვითმფრინავი გააკეთა. გათავისუფლების დღის წინადღეს, კაპიტან ლიჩის კაბინეტს რომ ჩაუარა, დაუსტვინა. ლიჩმა რომ ამოიხედა, ალენმა შეწყალების კომისიის წერილისგან გაკეთებული თვითმფრინავი ისროლა. თვითმფრინავმა ლიჩს გვერდით ჩაუფრინა. ალენმა გზა ღიმილით განაგრძო. ლიბანში გატარებული ბოლო დღე, 25 აპრილი, უსასრულობამდე გაიწელა. ალენი წინა ღამით სამ საათამდე ფხიზლობდა და საკანში ბოლთას სცემდა. არტურს უთხრა, რომ ახლა, როცა ისევ გარეთ გადიოდნენ, სჯობდა შუქზე გამომსვლელებზე კონტროლი ისევ მას აეღო ხელში.

— მე ხალხთან ურთიერთობას ავიღებ ჩემს თავზე, — უთხრა ალენმა, — რთული სიტუაციებიდან თავის დაძვრენას.

— ორწლიანი სრული კონტროლის შემდეგ რეიგენს ძალაუფლების დათმობა გაუჭირდება, — უთხრა არტურმა, — ტრიუმფირატის რეჟიმზე გადასვლას არა მგონია სიხარულით შეხვდეს. ვფიქ-

რობ, რეიგენს უნდა, მმართველობის სადავე ისევ თვითონ დაიტოვოს.

— აქედან როგორც კი გავალთ, ბოსი შენ იქნები. მე სამსახურს ვიპოვი და საზოგადოებასთან ხელახლა ადაპტაციას ვცდი.

არტურმა ტუჩები მოკუმა.

— ეს უსაფუძვლო მოთხოვნა როდია, ალენ. რეიგენის ნაცვლად ვერაფერს გეტყვი, თუმცა ჩემი მხარდაჭერის იმედი შეგიძლია გქონდეს.

ქვევით დაცვამ ახალი პიჯაკი მიაწოდა. ალენს გაუკვირდა, რა კარგი ხარისხისაა და რა ზუსტად მერგებო.

— დედაშენმა გამოგიგზავნა, — უთხრა დაცვის წევრმა, — შენი პიჯაკია.

— ა, ჰო, — თქვა ალენმა, ვითომ გაიხსენა.

მეორე მცველმა ხელმოსაწერად ჩეკი მიუტანა. სანამ წავიდოდა, მისი საკნიდან გამქრალი პლასტმასის ჭიქის ღირებულება — ოცდაათი ცენტი უნდა გადაეხადა.

— იზოლატორში რომ გადავყავდი, წამართვეს და არ დაუბრუნებიათ, — უთხრა ალენმა.

— ეგ მე არ ვიცი. უნდა აანაზღაურო.

— მოდი და მევაჭრე! არ გადავიხდი! — უყვირა ალენმა.

მისტერ დანის კაბინეტში შევიდნენ. ადმინისტრატორმა ჰკითხა, ბოლო დღეს რა დავიდარაბა აგიტყდაო.

— უნდათ, პლასტმასის ჭიქისთვის დამაჯარიმონ, თვითონ რომ წამართვეს. მე რა შუაში ვარ.

— ოცდაათი ცენტი უნდა გადაიხადო.

— წყეულიმც ვიყო, თუ გადავიხადო.

— სანამ არ გადაიხდი, აქედან ვერ წახვალ.

— მაშინ აქედან ფეხს არ მოვიცვლი, — თქვა ალენმა და დაჯდა, — რაც არ მიქნია, იმისთვის გროშს არ გადავიხდი. პრინციპის ამბავია.

დანმა ბოლოს და ბოლოს, გაუშვა და როცა მოსაცდელ საკანში მიდიოდა, სადაც დედამისს, მარლენს და ქეთის უნდა მიეკითხათ, არტურმა ჰკითხა:

— ნუთუ ეს აუცილებელი იყო?

— როგორც დანს ვუთხარი, პრინციპის ამბავია.

ბობ რეინერტმა გააცილა, ექიმმა სტაინბერგმაც, რომელმაც ნახატის საზღაურად ცოტა ფული მისცა.

ალენს ერთი სული ჰქონდა, გასულიყო. ბილის დედა ექიმ სტაინბერგს რომ ელაპარაკებოდა, ვეღარ მოითმინა და დოროთის უთხრა:

— წამო რა, წავიდეთ.

— ერთი წუთით, ბილი, ვლაპარაკობ, — მიუგო მან.

გალიზიანებული იდგა და დედამისს უყურებდა, რომელიც გაუჩერებლად ქაქანებდა.

— არ წავიდეთ?

— კარგი, დაწყნარდი ერთი წუთით.

ბოლთას სცემდა და იბოღმებოდა, დედამისი ისევ რომ ლაპარაკობდა.

ბოლოს დაიყვირა:

— დედა, მე წავედი. შენ თუ გინდა, დარჩი.

— კარგი, ნახვამდის, ექიმო სტაინბერგ. დიდი მადლობა ყველაფრისათვის, რაც ჩემს ბილის გაუკეთეთ.

ალენი კარისკენ წავიდა და დოროთიც უკან მიჰყვა. ფოლადის კარი მათ ზურგსუკან ხმაურით ჩაიკეტა და ალენმა იფიქრა, აქ რომ შემოვდიოდი, მეორე კარის ხმა არ გამიგიაო. სანამ ქეთი მანქანას მოაყენებდა, ალენი ისევ ბრაზობდა. ფიქრობდა, კაცი

რომ ციხიდან გამოდის, კარი უნდა გაუღო და გაქცევა აცადო, სანამ შენ ჭორაობ, შიგნით კი არ უნდა აყურყუტო. კანონი რომ გაიძულეbs ამას, კიდევ არა უშავს, მაგრამ ლაქლაქა დედაშენის გამო რომ ხარ შიგნით, ეს უკვე მეტისმეტიაო. მანქანაში გამტკნარებული იჯდა. „ლიბანის ბანკთან გააჩერე“, — ამოიღო ბოლოს ხმა, — „ციხის ჩეკს აქ გავანაღდე. ლანკასტერში რომ გავანაღდო და ყველას გავაგებინო, ციხიდან ახალი გამოსული რომ ვარ, უაზრობა იქნება“.

ალენი ბანკში შევიდა, ჩეკის მეორე მხარეს ხელი მოაწერა და მოლარეს დახლზე დაუდო. მოლარემ ორმოცდაათი დოლარი რომ მიაწოდა, ექიმ სტაინბერგის მიცემულ ფულთან ერთად ჩაიდო ჯიბეში. ისევ ბრაზობდა. ახლა ის აბრაზებდა, ისევ აღრენილი რომ იყო და არაფერი აღარ უნდოდა...

ტომიმ მიმოიხედა და გაუკვირდა, ბანკში რა უნდოდა. შემოდოდა თუ გადიოდა? საფულე გახსნა, ორასიოდე დოლარი დაინახა და ჯიბეში ჩაიდო. მიხვდა, რომ გადიოდა. დიდი შუშის იქით მანქანაში მომლოდინე დედამისი და მარლენი დაინახა, საჭესთან კი — ქეთი და მიხვდა, რაც ხდებოდა. სალაროსთან კალენდარს შეხედა. გათავისუფლების დღე იყო. ბანკიდან გავარდა, ვითომ ხელში რაღაც ეჭირა.

— დროზე, დავტყდით! დამმალეთ!

მარლენს მაგრად ჩაეხუტა, გაიცინა და კარგ ხასიათზე დადგა.

— ღმერთო, ბილი, — თქვა მარლენმა, — ისევ ისე გაუთავებლად გეცვლება ხასიათი.

ყველაფერს უყვებოდნენ, რაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ლანკასტერში მომხდარიყო, მაგრამ ტომის ფეხებზე ეკიდა. ერთი სული ჰქონდა, მარლენთან როდის დარჩებოდა მარტო. ლანკასტერს რომ მიაღწიეს, მარლენმა ქეთის უთხრა:

– „პლაზა შოპინგ სენტრთან“ ჩამომავდე, სამსახურში უნდა მივბრუნდე.

ტომი გაკვირვებით მიაშტერდა:

– სამსახურში?

– ჰო, დილით დავეთხოვე, მაგრამ ახლა უნდა მივბრუნდე.

ტომი გაოგნებული და ნაწყენი იყო.

ეგონა, ციხიდან გამოსვლის პირველ დღეს მასთან ყოფნა ენდომებოდა. ხმა არ ამოუღია, ცრემლები ჩაიბრუნა, მაგრამ შინაგანი სიცარიელის განცდა ისეთი მტკივნეული იყო, რომ შუქიდან გავიდა...

თავის ოთახში რომ დაბრუნდა, აღენმა ხმამაღლა თქვა:

– ყოველთვის ვიცოდი, რომ მარლენი ტომის არ შეეფერებოდა. ტომი მართლა რომ ადარდებდეს, ადგებოდა და მთელი დღით დაეთხოვებოდა. მაგასთან აღარაფერი გვესაქმება.

– ამას ხომ თავიდანვე ვამბობდი, – თქვა არტურმა.

თავი მეოთხრამეტე

1

ბილის გათავისუფლებამდე რამდენიმე კვირით ადრე ქეთი ლანკასტერში დაბრუნდა და ძველ სამსახურში, „ენქორ ჰოკინგში“ დაიწყო მუშაობა. ერთადერთი, რაც სამსახურს ასატანს ხდიდა, მისი ახალი მეგობარი, ბევ თომასი იყო. შერჩევის და დახარისხების განყოფილებაში მუშაობდნენ ერთად, კონვეიერზე დაწყობილ შუშის ნაწარმს ამოწმებდნენ და ღუმლებისა და საბერველების ხმაურში სულ ყვირილით საუბრობდნენ. როცა ქეთი „ენქორ ჰოკინგიდან“ წამოვიდა, რომ ათენში, ოჰაიოს უნივერსიტეტში ჩაებარებინა, გოგოებმა მეგობრობა განაგრძეს. ბევი მიმზიდველი, ქმარს გაშორებული გოგონა იყო, ბილის ხნისა, მოყავისფრო-ჩალისფერი თმა და მწვანე თვალები ჰქონდა. ქეთი ბევს დამოუკიდებელ, მოთმინებით სავსე და გულწრფელ პიროვნებად თვლიდა. ბევს ფსიქოლოგია აინტერესებდა. ამბობდა, ვცდილობ, გავიგო, რატომ არიან ხოლმე ადამიანები ბოროტები და რა გამოცდილების შედეგად იქცევიან ასეო. ქეთი მოუყვა, როგორ დატანჯა მისი ოჯახი, განსაკუთრებით კი ბილი, ჩალმერის ძალადობამ. ბევი დედამისის სახლში დაპატიჟა, ბილის ნახატები აჩვენა და მოუყვა, რა დანაშაულის გამო იჯდა ციხეში. ბევმა უთხრა, სიამოვნებით გავიცნობდიო. ბილის დაბრუნებიდან მალე ქეთიმ მანქანით ერთად გასეირნება დაგეგმა. გვიან საღამოს ბევმა სპრინგ-სტრიტზე თავისი თეთრი „მერკური მონტეგოტი“ გაუარა. ქეთიმ ბილის დაუძახა, რომელიც „ფოლკსვაგენის“ შე-

კეთებით იყო დაკავებული. ერთმანეთი გააცნო, მაგრამ ბილიმ მხოლოდ თავი დაუქნია და საქმეს მიუბრუნდა.

— მოდი რა, ბილი, — უთხრა ქეთიმ, — ხომ დამპირდი, სასეირნოდ წავიდეთო.

მან ჯერ ბევს შეხედა, მერე „ფოლკსვაგენს“ და თავი გაიქნია.

— იცი რა, ჯერ ისე თავდაჯერებულად ვერ ვგრძნობ თავს, საჭესთან რომ დავჯდე. ჯერ მზად არ ვარ.

ქეთის გაეცინა.

— ბრიტანულ გუნებაზეა, იცის ხოლმე ასე, — უთხრა ბევს.

— არა, მართლა გეუბნები.

გოგონებს ამპარტავანი მშერით გადახედა და ქეთის არ ესიამოვნა. არ უნდოდა ბევს ეფიქრა, რომ მისი ძმა გადამგდები იყო.

— კარგი რა! — დაიჟინა ქეთიმ, — ჯამბაზობა არ გიშველის, პირობა პირობაა. დიდი ამბავი, ორი წელია არ გიტარებია. გაგახსენდება. თუ გეშინია, მე ვატარებ.

— ან ჩემი მანქანით წავიდეთ, — შესთავაზა ბევმა.

— კარგი, მე დავჯდები საჭესთან, — თქვა ბოლოს და ბოლოს, „ფოლკსვაგენთან“ მივიდა და გოგონებს მგზავრის მხარეს კარი გაუღო.

— რა-რა და მოქცევა ციხეში ნამდვილად არ დაგვიწყებია, — უთხრა ქეთიმ.

ქეთი უკან ჩაჯდა, ბევი — წინ. ბილი მივიდა, საჭეს მიუჯდა და დაქოქა. შეჭიდების პედალს ძალიან სწრაფად აუშვა ფეხი. „ფოლკსვაგენი“ გაიჭრა და გზის საპირისპირო მიმართულებით მიმავალ მხარეს გადავიდა.

— მე ხომ არ დავჯდე? — თქვა ქეთიმ.

მას ხმა არ ამოუღია, საჭისკენ გადაიხარა, მარჯვენა ზოლში გადაუხვია და ძალიან ნელა განაგრძო სვლა.

რამდენიმე წუთს ჩუმად ატარა. მერე ბენზინგასამართ სად-გურთან გააჩერა.

— ვფიქრობ, ბენზინი მჭირდება, — უთხრა მორიგეს.

— ხომ კარგად არის? — წაიჩურჩულა ბევმა.

— კარგად იქნება, — უთხრა ქეთიმ, — დროდადრო ასე ემართება. გამოძვრება.

უყურებდნენ, ჩუმად როგორ ამოძრავებდა ტუჩებს. მერე მიმოიხედა, გარემო სწრაფად შეათვალიერა. „ფოლკსვაგენის“ უკანა სავარძელზე მჯდარი ქეთი რომ დაინახა, თავი დაუქნია და გაუღიმა.

— გაუმარჯოს, — უთხრა მან, — მანქანით სეირნობისთვის მშვენიერი ამინდია.

— საით მივდივართ? — ჰკითხა ქეთიმ, როცა დაძრა და მანქანა უშფოთველად, უეცარი თავდაჯერებით გასრიალდა ტრასაზე.

— „ქლირ კრიკის“ ნახვა მინდა, — უთხრა მან, — რამდენჯერ მიოცნებია ბოლო ორი წლის მანძილზე, იქ რომ ვიყავი.

— ბევმა იცის, — უთხრა ქეთიმ, — ყველაფერი მოვუყევი.

მან მოიხედა და ბევს დაფიქრებით შეხედა.

— ახლადშეწყალებულ ყოფილ დამნაშავესთან ერთად სასეირნოდ ბევრი არ წამოვიდოდა.

ქეთიმ დაინახა, როგორ შეხედა ბევმა მის ძმას პირდაპირ თვალებში.

— ადამიანებს ასე არ განვსჯი, — უთხრა მან, — და მეც ასევე მინდა მომექცნენ.

უკანახედვის სარკეში ქეთიმ დაინახა, რომ ბილიმ წარბები ასწია და ტუჩები მოკუმა. მიხვდა, რომ ბევის შენიშვნამ ბილიზე შთაბეჭდილება მოახდინა.

„ქლირ კრიკთან“ მივიდა, სადაც ასე ხშირად დადიოდა ადრე კარვით და ისე დაათვალიერა, თითქოს იქაურობას პირველად

ხედავდა. ქეთი ხეებს შორის მზებზე აბრჭყვიალებულ წყალს უყურებდა და ხვდებოდა, რატომ უყვარდა მის ძმას ასე აქაურობა.

— კიდევ უნდა დავხატო ეს ადგილი, — თქვა მან, — მაგრამ ახლა სხვანაირად. მინდა, ყველა ნაცნობი ადგილი მოვიარო და ახლებურად დავხატო.

— აქაურობა არ შეცვლილა, — თქვა ბევმა.

— მე შევიცვალე.

ორი საათის სეირნობის შემდეგ ბევმა საღამოს თავისთან დაპატიჟა ვახშმად. სპრინგ-სტრიტზე დაბრუნდნენ, რომ ბევს მანქანა წამოეყვანა და ტრაილერების სადგომის მისამართი მისცა. ქეთის გაუხარდა ბილიმ ვახშმისათვის თავისი ახალი ზოლიანი პიჯაკი რომ ჩაიცვა. რომ გამოეწყო, უღვაში რომ შეისწორა და თმა უკან გადაივარცხნა, სიმპათიურად და ღირსეულად გამოიყურებოდა. ტრაილერში ბევმა ბილის თავისი ბავშვები გააცნო — ხუთი წლის ბრაიანი და ექვსი წლის მიშელი და მანაც მაშინვე მიაქცია ყურადღება — თითოეული თითო მუხლზე დაისვა, სასაცილო ამბებს უყვებოდა და თვითონაც პატარა ბავშვივით იქცეოდა. ბავშვებს რომ აჭამა და დააწვინა, ბევმა უთხრა:

— ბავშვების კარგად გესმის. ხომ ხედავ, მიშელს და ბრაიანს მაშინვე მოეწონე.

— მიყვარს ბავშვები, — უთხრა მან, — შენები კი განსაკუთრებულად კარგები არიან.

ქეთის გაეღიმა. უხაროდა რომ ბილი თავაზიან გუნებაზე იყო.

— კიდევ ერთი მეგობარი დავპატიჟე, — თქვა ბევმა, — სტივ ლავიც ტრაილერში ცხოვრობს, მაგრამ ცოლს გაცილებულია. საუკეთესო მეგობრები ვართ. ვიფიქრე, გენდომებოდათ მისი გაცნობა. ბილიზე ერთი-ორი წლით ახალგაზრდაა, ნახევრად ჩე-როკია. ძალიან სასიამოვნო ყმაწვილია.

ცოტა ხანში, სტივ ლავი რომ მივიდა, ქეთი მოიხიბლა მისი ლამაზი, შავგვრემანი გარეგნობით, ხშირი შავი თმით, უღვაში-თა და ყველაზე მუქი ლურჯი თვალებით მათ შორის, რაც აქამდე ენახა. ბილიმ მაღალი იყო. ვახშმობისას ქეთიმ იგრძნო, რომ ბილის ბევიც მოსწონდა და სტივიც. როცა ბევმა ლიბანში ცხოვრების შესახებ ჰკითხა, ექიმ სტაინბერგისა და მისტერ რეინერტის შესახებ უამბო, უთხრა, როგორ გახადა ასატანი ციხეში ყოფნა ხატვის შესაძლებლობამ. ვახშმის შემდეგ ისიც მოუთხრო, ციხეში რის გამო მოხვდა. ქეთის მოეჩვენა, რომ ტრაბახობდა კიდევ. უცებ ბილი წამოხტა და თქვა:

— მოდი, მანქანით გავისეირნოთ.

— ახლა? — ჰკითხა ქეთიმ, — შუალამეს გადასცდა უკვე.

— მშვენიერი აზრია, — თქვა სტივმა.

— ბავშვებთან მეზობლის დისშვილს დავუტოვებ, — თქვა ბევმა, — ნებისმიერ დროს რჩება ხოლმე.

— სად წავიდეთ? — იკითხა ქეთიმ.

— სადმე სათამაშო მოედანზე, — თქვა ბილიმ, — საქანელაზე ქანაობა მინდა.

ძიძა რომ მოვიდა, „ფოლკსვაგენში“ ჩასხდნენ. ქეთი და სტივ ლავი უკან მოთავსდნენ. ბევი — წინ, ბილის გვერდით.

სკოლის წინ მდებარე პატარა სათამაშო მოედანთან გაჩერდნენ. ღამის ორ საათზე „გაშეშობანა“ ითამაშეს და საქანელაზე იქანავეს. ქეთის უხაროდა, ბილი ასე კარგად რომ ერთობოდა. მნიშვნელოვანი იყო, ახალი მეგობრები შეეძინა, რათა იმ ხალხს არ დაბრუნებოდა, ციხეში ჩაჯდომამდე რომ ეურთიერთებოდა. შეწყალების კომისია ოჯახს ხომ სწორედ ამ საფრთხეზე ესაუბრა. დილის 4 საათზე, ბევი და სტივი ისევ ტრაილერების სადგომზე რომ დატოვეს, ქეთიმ ბილის ჰკითხა, საღამო როგორ მოგეწონაო.

— ძალიან კარგი ხალხია, — უთხრა ბილიმ, — მე მგონი, დავმეგობრდით.

ქეთიმ ხელზე ხელი მოუჭირა.

— და ბავშვები? — თქვა მან, — ძალიან საყვარელი ბავშვები არიან.

— ოდესმე კარგი მამა იქნები, ბილი.

მან თავი გაიქნია.

— ეს ფიზიკურად შეუძლებელია.

მარლენი გრძნობდა, როგორ შეიცვლა ბილი. თითქოს სხვა ადამიანი გახდა, უფრო ხისტი. ნელ-ნელა შორდებოდა, თითქოს თავს არიდებდა. მარლენი განიცდიდა, რადგან რაც ბილი ლიბანში იჯდა, სხვას არავის შეხვედრია, თავს მთლიანად მას უძღვნიდა. ერთ საღამოს, გათავისუფლებიდან ერთი კვირის შემდეგ, სამსახურში გაუარა. ახლა ისევ ძველებურად იქცეოდა, რბილი და თავაზიანი ჩანდა, ისეთი, მარლენს რომ მოსწონდა და უხაროდა. „ქლირ კრიკისკენ“, ერთ-ერთი საყვარელი ადგილისკენ გაუხვიეს და მერე სპრინგ-სტრიტზე დაბრუნდნენ. დოროთი და დელი წასულები იყვნენ და ბილის ოთახში ავიდნენ. ბილის დაბრუნების შემდეგ პირველად იყვნენ მარტოები, და პირველად ჰქონდათ ერთად დაწოლის შანსი. იმდენი ხანი იყო, ერთად აღარ ყოფილიყვნენ, რომ მარლენს ეშინოდა. როგორც ჩანდა, მისი შიშში ბილიმაც იგრძნო, იმიტომ, რომ მოშორდა.

— რა გჭირს, ბილი?

— შენ რა გჭირს?

— არაფერი, — უთხრა მან, — მეშინია.

— რისი?

— ორი წელია ერთად არ ვყოფილვართ.

ბილი საწოლიდან ადგა და ჩაიცვა.

— ჰო, — ჩაიბუტყუნა მან, — მე კიდევ ამისგან აღგზნებამ გადა-
მიარა.

სწრაფად დაშორდნენ. მარლენს გაუკვირდა, როცა ბილიმ ერთ საღამოს მაღაზიაში გაუარა და სთხოვა, ათენში წავიდეთ და ღამე ერთად გავატაროთო. მერე ქეთის გაუვლიდნენ, უნივერსიტეტიდან წამოიყვანდნენ და ლანკასტერში დაბრუნდებოდნენ. მარლენმა უთხრა, არ მინდა წამოსვლაო.

— მოგვიანებით დაგირეკავ, — უთხრა ბილიმ, — იქნებ გადაიფიქრო.

მაგრამ არ დაურეკავს. რამდენიმე დღეში კი მარლენმა გაიგო, რომ ათენში ბილის ბევ თომასი წაჰყვა. გამწარებულმა მარლენმა დაურეკა და უთხრა, რომ ასე გაგრძელებას აღარ აპირებდა.

— დავიწყე, — უთხრა მარლენმა, — ჩვენს შორის აღარაფერი აღარ არის.

ბილი დაეთანხმა.

— შეიძლება რაღაც მოხდეს და გეწყინოს. არ მინდა, გული გეტკინოს.

მარლენისთვის მტკივნეული იყო იმ ადამიანის მიტოვება, ორი წელი რომ ელოდა, მაგრამ იცოდა, რომ სიტყვაზე ახლა უნდა დაეჭირა.

— კარგი, — უთხრა მან, — მოდი, დავასრულოთ.

დელ მურს ბილიში ყველაზე მეტად ტყუილები არ უყვარდა. ბიჭი სისულელეებსა და სიგიჟეებს აკეთებდა და მერე შედეგების თავიდან ასაცილებლად ტყუოდა. ექიმმა სტაინბერგმა გააფრთხილა, ბილისთვის ტყუილები აღარ ეპატიებინა. დელმა დოროთის უთხრა:

— სულელი ნამდვილად არ არის. ასეთი რამეების მოხერხებას ტვინი უნდა.

დღორთისგან ერთადერთი პასუხი იყო:

— ეგ ჩემი ბილი არ არის, ეგ სხვა ბილია.

დელი ფიქრობდა, რომ ბილის ხატვის გარდა არაფრის უნარი და ინტერესი არ ჰქონდა. რჩევებს არასდროს უსმენდა. დელმა თქვა:

— ბილი უცხოს უფრო მოუსმენს, ვიდრე იმას, ვისაც მასზე გული შესტკივა.

როცა დელი ეკითხებოდა, ვინ არის ის ხალხი, რჩევებს რომ გაძლევსო, ბილი ყოველთვის ეუბნებოდა, „ერთმა ნაცნობმა მითხრაო“. არც სახელებს ამბობდა, არც იმას, „ის ხალხი“ ვინ იყო და სად გაიცნო. დელს აღიზიანებდა, რომ ბილი ზოგჯერ მარტივ კითხვებსაც კი არ პასუხობდა, ზურგს აქცევდა და ჩუმად გადიოდა ოთახიდან. მისი შიშები და ფობიებიც აღიზიანებდა. მაგალითად, იცოდა, რომ ბილის თოფების ეშინოდა, მიუხედავად იმისა, რომ იარაღში საერთოდ ვერ ერკვეოდა. მაგრამ ბილის კიდევ ერთი რამ ახასიათებდა, რასაც დელი ვერ ხსნიდა. მან იცოდა, რომ ჯან-ღონით ბილის გაცილებით აღემატებოდა. ზოგჯერ ერთმანეთს მკლავჭიდში ეჯიბრებოდნენ და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბილი ძალით ვერც შეედრებოდა. მაგრამ ერთ საღამოს, როც დელმა შესთავაზა, ხელის გადაწევაში შევეჯიბროთო, ბილიმ რომ დაამარცხა, გაოგნებული იყო.

— მოდი, ერთიც, — დაიჟინა დელმა, — მაგრამ ახლა მარჯვენათი.

ბილიმ უსიტყვოდ გადაუწია ხელი და წასასვლელად ადგა.

— შენნაირი ჯანიანი ბიჭი გარეთ უნდა იყოს და მუშაობდეს, — უთხრა დელმა, — სამსახურს როდის იშოვი?

ბილიმ დაბნეული სახით შეხედა და უთხრა, რომ სამსახურს უკვე ეძებდა.

– იტყუები, – უთხრა დელმა, – მართლა ბეჯითად რომ ეძებდე, იპოვიდი.

კამათი ერთ საათს გაგრძელდა. ბოლოს ბილიმ ტანსაცმელი და ნივთები შეაგროვა და სახლიდან გავარდა.

ბევ თომასი ახლა სტივ ლავთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც თავისი ტრაილერიდან გამოასახლეს. როცა გაიგო, ბილის სახლში პრობლემები ჰქონდა, თავისთან გადასვლა შესთავაზა. ბილიმ შეწყალების საქმეში თავის კონსულტანტს ჰკითხა და თანხმობა მიიღო. ბევს მოსწონდა ორ კაცთან ერთად ცხოვრება. არავინ დაიჯერებდა, რომ მათ შორის სექსუალური კავშირი არ იყო, მხოლოდ სამი საუკეთესო მეგობარივით ცხოვრობდნენ, ყველგან ერთად დადიოდნენ, ყველაფერს ერთად აკეთებდნენ და გაცილებით უკეთ ერთობოდნენ, ვიდრე ბევი მარტო. ბილის მიშელთან და ბრაიანთან ყოფნა ძალიან მოსწონდა. ცურვაზე მიჰყავდა ხოლმე, მათთვის ნაყინი მოჰქონდა, ან ზოოპარკში დაჰყავდა. საკუთარი შვილებივით ზრუნავდა მათზე. ბევი აღფრთოვანებული იყო, სამსახურიდან დაბრუნებულს იქაურობა მილაგებული რომ ხვდებოდა. მხოლოდ ჭურჭელი იყო გასარეცხი. ჭურჭელს არასდროს ეკარებოდა. ზოგჯერ ისე ქალურად იქცეოდა, რომ ბევი და სტივი ფიქრობდნენ, გეი ხომ არ არისო. ხშირად ბევს და ბილის ერთ ლოგინში ეძინათ, მაგრამ მისთვის თითი არ დაუკარებია. როცა ერთხელ ამის შესახებ ჰკითხა, უთხრა, იმპოტენტი ვარო. ბევს ეს არ ადარდებდა. ბილი ეძვირფასებოდა. უყვარდა მასთან ერთად დროის გატარება — ოუკ ლოჯისკენ სამი დღით გასვლა, კარვებში ძილი და ორმოცდაათ დოლარად სწრაფი კვების პროდუქტების ყიდვა. ან ქლირ კრიკის ტყეებში შუალამისას ხეტიალი, როცა ბილის ფარანი ეჭირა, ჯეიმს ბონდობანას თამაშობდა და მარიხუანას საიდუმლო სამალავს ეძებდა. მაგრად ერთობოდნენ, ბრიტანული აქცენტით რომ იწყებდა ლაპარაკს და ყველა მცენარეს ლათინური სახელით რომ იხსენიებდა.

ეს სიგიჟეები იყო, მაგრამ ბევი დიდი ხნის შემდეგ პირველად გრძნობდა თავს ასე ბედნიერად და თავისუფლად ორ საოცარ ყმაწვილთან ერთად. ერთხელ შინ დაბრუნებულმა ბევმა აღმოაჩინა, რომ ბილის თავისი მწვანე „ფოლკსვაგენი“ შავად გადაეღება და გიჟური ვერცხლისფერი ორნამენტებით მოეხატა.

— ასეთი „ფოლკსვაგენი“ მეორე არ იქნება მსოფლიოში, — უთხრა მან.

— კი მაგრამ, რად გინდოდა, ბილი? — ჰკითხეს ბევმა და სტივმა.

— შერიფის ოფისი მაინც მითვალთვალებს და საქმეს გავუადვილებ.

სინამდვილეში, ალენს ყელში ამოუვიდა გულის ხეთქვა ყოველ ჯერზე, როცა ვერ იხსენებდა, რომელიმე სად დააყენა მანქანა. ამ შავ-ვერცხლისფერი მოხატულობით ადვილად იპოვიდა. მაგრამ სტივის ძმა, ბილ ლავი რომ გაიცნო, თავისი მანქანა ფურგონში გაუცვალა. მერე ის ფურგონი სტივის მეგობარს მოტოციკლეტში გაუცვალა. მართალია, გაუმართავი იყო, მაგრამ სტივმა, გამოცდილმა მოტოციკლისტმა, მალე შეაკეთა. სტივმა შენიშნა, რომ ბილი მოტოციკლეთს ზოგჯერ გიჟივით ატარებდა, ზოგჯერ კი საერთოდ ეშინოდა მასზე დაჯდომის. ერთ საღამოს, როცა ქალაქგარეთ მოტოციკლეტებით სეირნობდნენ, კლდის ფრიალო შეერილს ჩაუარეს. სტივმა კლდეს გვერდი აუქცია და გზა გააგრძელა, მაგრამ უცებ ძრავის ხმა ზემოდან მოესმა. აიხედა და კლდის თავზე ბილი დაინახა.

— მანდ რანაირად ახვედი? — დაუყვირა სტივმა.

— მოტოციკლეთით! — უპასუხა ყვირილითვე ბილიმ.

— შანსი არ არის! — უყვირა სტივმა.

რამდენიმე წამის შემდეგ დაინახა, რომ ბილი შეიცვალა. ახლა ქვევით ჩამოსვლას ცდილობდა. ისე იქცეოდა, კაცი იფიქრებ-

და, მოტოციკლს პირველად ხედავსო. რამდენჯერმე გვერდითაც გაექცა. ბოლოს სტივი თავისი მოტოციკლიდან გადავიდა, აძვრა ციცაბო კლებზე და ბილის მოტოციკლის ქვევით ჩამოგორებაში დაეხმარა.

— ვერ დამიჯერებია, რომ მანდ მოტოციკლით ახვედი, — უთხრა სტივმა და გახედა, — მაგრამ სხვა ვარიანტი არ არის.

ბილიმ ისე შეხედა, გეგონებოდა, წარმოდგენა არ აქვს, რას ეუბნებიანო.

ერთხელ კიდევ ბილი და სტივი მარტოები წავიდნენ ტყეში სასეირნოდ. მთაზე ორი საათის ცოცვის შემდეგ მწვერვალი ისევ წინ რჩებოდათ. სტივმა იცოდა, რომ ბილიზე ღონიერი და სპორტული იყო, მაგრამ ამდენი მასაც კი აღარ შეეძლო.

— ბილი, იქამდე ვეღარ ავალთ. მოდი, დავისვენოთ და გავბრუნდეთ.

მაგრამ დაქანცული ხეს რომ მიეყუდა, დაინახა, როგორ მოიკრიბა ბილიმ უეცრად წარმოუდგენელი ძალა და მთელი სისწრაფით როგორ აირბინა მთა მწვერვალამდე. სტივს არ უნდოდა, თავი დაჯახნილად ეგრძნო და ბობღვა-ბობღვით უკან მიჰყვა. მაღლა ასულმა მწვერვალზე მდგარი ბილი დაინახა. მკლავები გაეშალა, დაბლა გადაშლილ ხედს დაჰყურებდა და დაძაბულ მტევნებს აქნევდა მოსადუნებლად. რომელიღაც უცნაურ, სტივისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობდა. როცა სტივმა მწვერვალს მიაღწია და გვერდში ამოუდგა, ბილი შებრუნდა და ისე შეხედა, გეგონება უცხო ყოფილიყო. მერე ადგილს მოსწყდა და სირბილით დაეშვა ქვევით, მთის ძირას მდებარე ტბორისაკენ.

— ღმერთო, ბილი! ამდენი ენერჯია საიდან მოგაქვს? — დაუყვირა სტივმა.

მაგრამ ბილი ისევ გარბოდა და იმ უცხო ენაზე რაღაცას ყვიროდა. ტანსაცმლიანად ისკუპა წყალში და ტბორი სწრაფად გადაცურა.

როცა სტივი როგორც იქნა, დაეწია, ბილი უკვე მეორე ნაპირზე, ქვაზე იჯდა და ყურებიდან წყალს იბერტყავდა. სტივი რომ მიუახლოვდა, თავი ასწია და საყვედურით უთხრა:

— წყალში რატომ ჩამაგდე?

სტივმა გაოგნებით შეხედა.

— რაზე მელაპარაკები?

ბილიმ გალუმპულ ტანსაცმელზე დაიხედა.

— ხელი რატომ მკარი?

სტივი მიაჩერდა და თავი გაიქნია. შეკამათება ვერ გაბედა.

მოტოციკლეტებთან რომ დაბრუნდნენ, სტივმა ნახა, რა უგერ-გილოდ ატარებდა ბილი და თავის თავს უთხრა, ამ ბიჭთან ფრთხილად უნდა ვიყო, აშკარად გიჟიაო.

— იცი, ოდესმე რისი გაკეთება მინდა? — უთხრა ბილიმ, როცა ტბორსა და კლდეს შორის გამავალ ბილიკს მიაღწიეს, — ტილო მინდა გავჭიმო გზაზე ამ ორ თელას შორის, მაღლა, ქვეშ რომ მანქანები გადიოდნენ. ზედ მთას დავახატავდი, ბუჩქებით და ხეებით და შუაში ვითომ გვირაბი იქნებოდა.

— რა უცნაური აზრები გაწუხებს, ბილი.

— ჰო, ვიცი, მაგრამ მინდა ეგ გავაკეთო.

ბევმა აღმოაჩინა, რომ მთელი მისი ფული საჭმელსა და მანქანებისა და მოტოციკლეტების შეკეთებაზე იფლანგებოდა (ბილიმ ძველი „ფორდ გალაქსი“ იყიდა). ეცადა, მიენიშნებინა, რომ დრო იყო, სტივსა და ბილის სამსახურის ძებნა დაეწყოთ. ლანკასტერის რამდენიმე ქარხანას მიმართეს და მაისის მესამე კვირაში ბილიმ შეძლო და „რეიჰოლდ ქემიკალი“ შეიპირა ორივეს აყვანაზე. სამუშაო მძიმე იყო. ფიბერგლასის ხალიჩასავით დახ-

ვეული მასა უნდა დაეჭრათ. მერე ასგირვანქიანი გრაგნილი საზიდარზე უნდა გადაეტანათ და ახლის დამზადება დაეწყოთ. ერთ დამეს, სამსახურიდან რომ ბრუნდებოდნენ, ბილიმ ავტოსტოპერს გაუჩერა, კისერზე „ინსტამატიკის“ ფოტოაპარატი რომ ეკიდა. ქალაქისკენ მიმავალ გზაზე ბილიმ ბიჭს ფოტოაპარატის სანაცვლოდ სამი აბი „სპიდი“ შესთავაზა. სტივმა დაინახა, რომ ბილიმ ხელი ჯიბეში ჩაიყო და იქიდან ცელოფნის პატარა პარკში გახვეული სამი ტაბლეტი ამოაძვრინა.

— სპიდს არ ვსვამ, — უთხრა მგზავრმა.

— შეგილია თითო რვა ბაქსად გაყიდო. კაი ფულს იშოვი.

ავტოსტოპერი ცოტა ხანს დაფიქრდა, მერე ფოტოაპარატი გაუწოდა და პარკი გამოართვა. ბილიმ ყმაწვილი ლანკასტერში რომ ჩამოსვა, სტივი მიუბრუნდა:

— არ ვიცოდი, ტაბლეტებს თუ ყლაპავდი.

— არ ვყლაპავ.

— აბა სპიდი სად იშოვე?

ბილის გაეცინა.

— ეგ ასპირინი იყო.

— ღმერთო! — თქვა სტივმა და ხელი ბარძაყზე დაირტყა, — შენაირი არავინ მინახავს.

— ერთხელ მთელი ჩემოდანი ყალბი ტაბლეტები გავყიდე, — უთხრა ბილიმ, — მე მგონი, დროა გავიმეორო. მოდი, ლმუდ გავაკეთოთ.

აფთიაქში შევიდა, ჟელატინი და სხვა რამეები იყიდა. ტრაილერში დაბრუნებულმა ჟელატინი ბევრს ტაფაში პაწაწინა გუნდებად დაადნო. რომ გაშრა და გამაგრდა, მეოთხედებად დაჭრა.

— თითო რამდენიმე ბაქსად უნდა გაიყიდოს.

— რას გიშვრება? — ჰკითხა სტივმა.

— გაკაიფებს. ჰალუცინაციებს ხედავ. მაგრამ მაგარი ის არი, რომ თუ ამის გასაღების დროს დაგიჭირეს, შიგ ნარკოტიკი არ არი. და ის ჩმორი, ვინც იყიდის, რას იზამს? პოლიციაში ხო ვერ წავა?

ბილი მეორე დღეს კოლამბუსში წავიდა. უკან ცარიელი ჩემოდნით დაბრუნდა. ბლომად ასპირინი და ცრუ ლმდ გაეყიდა და ჯიბე ფულით ჰქონდა სავსე. მაგრამ სტივმა შეამჩნია, რომ შეშინებული ჩანდა. მეორე დღეს, სტივი და ბილი ბილის მოტოციკლეტს რომ უჩხიკინებდნენ, მეზობელმა, მერი სლექტერმა დაუყვირა, ნუ ხმაურობთო. ბილიმ მის ტრაილერს ქანჩსაბრუნი გაუქანა. ქანჩსაბრუნი ტრაილერს ისეთი ხმაურით მოხვდა, ზარბაზნის გასროლა გეგონებოდა. მერი სლექტერმა პოლიცია გამოიძახა. ბილი ხულიგნობისთვის დაიჭირეს. ჯარიმის გადახდა დელს მოუწია. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდება მოუხსნეს, შეწყალების კომისიის ოფიცერმა ბილის შინ დაბრუნება უბრძანა.

— მომენტარებით, — უთხრა ბილიმ ჩანთას რომ ალაგებდა, — ბავშვებიც მომენტარებიან.

— აქ დიდი ხნით ალბათ არც ჩვენ გაგვაჩერებენ, — უთხრა სტივმა, — გავიგე, მენეჯერი ყველას გაყრას გვიპირებს.

— რა უნდა ქნათ? — ჰკითხა ბილიმ.

— ქალაქში ადგილს ვიპოვით, — უთხრა ბევმა, — და ტრაილერს გავყიდით. იქნებ იქ მოახერხო საცხოვრებლად გადმოსვლა.

ბილიმ თავი გაიქნია.

— თქვენ ხო არ გინდათ, თქვენთან რო ვიყო.

— ტყუილია, ბილი, — უთხრა ბევმა, — ხომ იცი, ჩვენ სამი განუყრელები ვართ.

— ვნახოთ, ჯერ სახლში უნდა დავბრუნდე.

რომ წავიდა, ბევის ბავშვები გაეტყრნენ.

ალენს მოხებრდა „რეიჰოლდ ქემიკალში“ მუშაობა. სტივ ლავის წამოსვლის შემდეგ ხომ სულ აიცრუა გული. ყელში ამოუვიდა, ზედამხედველი, ყოველდღე ამაოდ რომ იფიცებოდა, ყველაფერს გამოვასწორებო. არტური ალენს უჩიჩინებდა, კიდევ ერთხელ გაყავი თავი ისეთ უტვინო საქმეში, ჩვენს ღირსებას რომ არ შეეფერებაო. ივნისის შუა რიცხვებში შრომის ანაზღაურება მოითხოვა და სამსახურიდან წამოვიდა. დელი მიხვდა, რომ ბილიმ სამსახური დაკარგა და საქმის გასარკვევად „რეიჰოლდ ქემიკალს“ დაურეკა. ახსოვდა ექიმ სტეინბერგის რჩევა — ბილის საკუთარი ტყუილები სახეზე ააფარეთო და პირზე დაადგა.

— დაკარგე სამსახური, ხომ?

— ეგ ჩემი საქმეა, — უთხრა ტომიმ.

— როცა ჩემ ჭერქვეშ ცხოვრობ და გადასახადებს მე ვიხდი, ჩემი საქმეა. გგონია, ფული ხეზე იზრდება? ერთი ქეციანი სამსახური ვერ შეგინარჩუნებია და მერე იტყუები. არც კი გვეუბნები, რა მოხდა. არაფერში არ ვარგიხარ.

თითქმის ერთ საათს იკამათეს. ტომის ესმოდა, როგორ ეძახდა დელი იმავე დამამცირებელ სახელებს, რომლებსაც ჩალმერისგან გამუდმებით ისმენდა. ელოდა, ბილის დედა გამომესარჩლებო, მაგრამ დოროთის, როგორც ყოველთვის, მის დასაცავად ხმა არ ამოუღია. იცოდა, იქ ვეღარ გაჩერდებოდა. ოთახში შევიდა, ბარგი ჩაალაგა და მანქანაში ჩააწყო. მერე ფორდში ჩაჯდა. ელოდებოდა, როდის წაიყვანდა ვინმე იმ დაწყევლილი ადგილიდან. ბოლოს ალენი გამოვიდა, ნახა, რომ ტომი გაბრაზებული იყო და მიხვდა, რაც მოხდა.

— ეგ არაფერი, — უთხრა ალენმა, — დიდი ხანია დროა, ლანკასტერიდან მოვუსვათ.

ექვსი დღის მანძილზე მთელი ოჰაიო შემოიარა, დღისით სამსახურს ეძებდა, ღამით გზიდან გადაუხვევდა და ტყეში იძინებდა ხოლმე. ტომი გაბრაზებული იყო. რეიგენი ერთ იარაღს სკამის ქვეშ ინახავდა, მეორეს — წინა უჯრაში. ერთ საღამოს არტურმა წინადადება წამოაყენა, ალენს ხელოსნად დაეწყო მუშაობა. ამგვარ საქმეს ტომი იოლად გაუმკლავდებოდა — ელექტრომონტაჟის, მექანიკური მოწყობილობების, გამათბობლებისა და წყალგაყვანილობის შეკეთება მისი საქმე იყო. უფასო საცხოვრებელი და იარაღები სამსახურთან ერთად მოვიდოდა. არტურმა ალენს ურჩია, ლიბანისდროინდელ ნაცნობს, ყოფილ პატიმარს შეხმიანებოდა, ერთხელ რომ დაეხმარა. ახლა ის კაცი კოლამბუსის გარეუბანში, ლიტლ ტარტლში ხელოსნად მუშაობდა.

— იქნებ რაიმე ადგილი იცოდეს, უთხარი, ქალაქში ვარ და შენი ნახვა მინდა-თქო, — დაარიგა არტურმა.

ალენმა ერთი წაიჯიჯინა, მაგრამ მერე არტურის ინსტრუქციებს დაემორჩილა. ნედ ბერგერს გაუხარდა მისი გამოჩენა და შინ დაპატიჟა. ლიტლ ტარტლში სამუშაო ადგილები არ იცოდა, მაგრამ ბილი მილიგანს შინ სიამოვნებით გაათევენებდა ერთ-ორ ღამეს. დალიეს, ციხის ამბებზე ილაქლაქეს. მესამე დილას ბერგერი ახალი ამბებით დაბრუნდა — ჩენინგუეის დასახლებას ხელოსანი სჭირდებოდა.

— დაურეკე, — უთხრა ბერგერმა, — ოღონდ საიდან გაიგე, არ უთხრა.

ჯონ ვაიმერი, „კელი ენდ ლემონ მენეჯმენტის“ კადრების ახალგაზრდა მენეჯერი ბილი მილიგანით მოიხიბლა. ყველა კანდიდატზე კვალიფიცირებულად და სანდომიანად მილიგანი მო-

ეჩვენა. 1977 წლის 15 აგვისტოს, პირველ გასაუბრებაზე მილიგანმა დაარწმუნა, ბალის მოვლა, დურგლობა, ელექტრობისა და წყალგაყვანილობის შეკეთება მეხერხებაო.

— დენზე ან საწვავზე რაც მუშაობს, ყველაფერი ვიცი, — უთხრა ვაიმერს, — თუ არ ვიცი და იქვე ვსწავლობ.

ვაიმერმა უთხრა, სხვა კანდიდატებთან გასაუბრებას რომ მოვრჩები, დაგიკავშირდებიო. მოგვიანებით მითითებულ რეკომენდატორებთან დარეკა. უკანასკნელი სიაში დელ მურის ნომერი ეწერა. მურმა ბილის ბრწყინვალე რეკომენდაცია მისცა — შესანიშნავი თანამშრომელი და სანდო ახალგაზრდა. სამსახურიდან იმიტომ წამოვიდა, რომ გრაგნილების ჭრა ბილი მილიგანის საქმე მაინცდამაინც არ იყო. დელ მურმა ვაიმერი დაარწმუნა, მისგან საუცხოო ხელოსანი დადგებაო. ორ სხვა რეკომენდატორს — ექიმ სტაინბერგსა და მისტერ რეინერტს ვერ უკავშირდებოდა — მილიგანს მათი საკონტაქტო ინფორმაციის მითითება დავიწყებოდა, მაგრამ ვაიმერს თავი აღარ შეუწუხებია. რადგან ღია ცისქვეშ სამუშაოზე იყო საუბარი, უკანასკნელი დამსაქმებლის დადებითი რეკომენდაციაც საკმარისად მიიჩნია. მდივანს მაინც დაავალა, ყველა პოტენციური თანამშრომლის მსგავსად, მისი მონაცემებიც სტანდარტულად პოლიციაში გადაემოწმებინა. მილიგანი ხელმეორე გასაუბრებაზე რომ მივიდა, ვაიმერს შთაბეჭდილება გაუმყარდა და ბილი „კელი ენდ ლემონის“ მიერ გაშენებული ჩანინგუეის უბნის გაგრძელების — უილიამსბერგ--სკვერის დასახლებისათვის ხელოსნად აიყვანა. მუშაობა მაშინვე შეეძლო დაეწყო. მილიგანის წასვლის შემდეგ ვაიმერმა მდივანს მისი განაცხადი და შევსებული ფორმა გადასცა შესანახად. არ შეუმჩნევია, რომ მილიგანმა ორივეგან დღე და წელი ჩაწერა, მაგრამ თვე — აგვისტო — გამოტოვა. მილიგანი ჯონ ვაიმერმა აიყვანა, მაგრამ მისი ზედამხედველი ახალგაზრდა, ფერმკრთა-

ლი, გრძელ, შავთმიანი ქალი — შერონ როთი იყო. ახალ თანამშრომელზე ფიქრობდა, ჭკვიანი, სიმპათიური ყმაწვილიაო. მისი თავი დანარჩენ გოგონებს წარუდგინა და სამუშაო პროცედურა აუხსნა. მილიგანი ყოველდღე უნდა მისულიყო ოფისში, და შერონის, კეროლისა და ქეთის მიერ შევსებული შეკვეთის ფურცლები აეღო. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მილიგანს შეკვეთაზე ხელი უნდა მოეწერა და შერონისთვის დაებრუნებინა. პირველ კვირას კარგად იმუშავა — დარაბები დაკიდა. ღობეები და ბილიკები განაახლა და გაზონი გაკრიჭა. ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ხალისიანი და მუყაითი მშრომელი იყო. ღამეს უილიამსბერგ-სკვერზე, ნედ ადკინსის, ერთ-ერთი ახალგაზრდა ხელოსნის ბინაში ათევდა. მეორე კვირაში მილიგანი ერთ დილას პერსონალის ოფისში შევიდა ჯონ ვაიმერის სანახავად — ბინის თაობაზე უნდოდა მოლაპარაკებოდა. ვაიმერი დაფიქრდა და მილიგანის მიერ ელექტრობაში, წყალგაყვანილობასა და აპარატურის შეკეთებაში თავისი მდიდარი გამოცდილების აღწერა რომ გაახსენდა, გადაწყვიტა, 24-საათიან რეჟიმში მომუშავე შიდა ხელოსნად გადაეყვანა. ბინას იმ პირობით აძლევდნენ, რომ ღამით და საგანგებო გამოძახების დროსაც იმუშავენდა. უფასო საცხოვრებლით სამსახური უზრუნველყოფდა.

— გასაღებს შერონი ან კეროლი მოგცემს, — უთხრა ვაიმერმა.

ახალი ბინა მშვენიერი იყო. ბუხრიანი სასტუმრო ოთახი, საძინებელი, სასადილო და სამზარეულო ჰქონდა და შიდა ეზოს გადაჰყურებდა. ტომიმ კედლის ერთი კარადა თავისი იარაღებისთვის გამოყო და გასაღებით კეტავდა ხოლმე, შიგნით ბავშვები რომ არ შემძვრალიყვნენ. ალენმა პატარა სასადილოში სახელოსნო მოიწყო. ადალანა იქაურობას ალაგებდა და საჭმელს ამზადებდა. რეიგენი დილაობით ძუნძულებდა, ფორმა რომ არ დაეკარგა. ცხოვრებისა და სამსახურის რეჟიმი კარგად ჰქონდათ

აწყობილი. არტური ვითარებით კმაყოფილი იყო — მოსწონდა, რომ, როგორც იქნა, დალაგდნენ. ახლა შეეძლო, ყურადღება ისევ სამედიცინო ლიტერატურისა და კვლევისათვის მიეპყრო.

ვიღაცის დაუდევრობის გამო პოლიციაში ბილი მილიგანის მონაცემების გადამოწმება საერთოდ დაავიწყდათ.

ჩენინგუეიში გადასვლიდან ორი კვირის შემდეგ რეიგენი მახლობელ ღარიბულ დასახლებაში ძუნძულებდა, როცა ტროტუარზე მოთამაშე ორი შავკანიანი ფეხშიშველა ბავშვი დაინახა. უცებ თვალი მოჰკრა, რომ ერთ-ერთი სახლიდან კარგად ჩაცმული თეთრკანიანი მამაკაცი გამოვიდა და თეთრი კადილაკისკენ გაემართა. მხდალი ვინმე ჩანდა. სწრაფი მოძრაობით გადაუდგა და კაცი მანქანას მიახეთქა.

— რა ხდება? გაგიჟდი?!

რეიგენმა ქამრიდან იარაღი ამოაძრო.

— საპულე მომეცი!

კაცმა საფულე მიაწოდა. რეიგენმა დააცარიელა და უკან გადაუგდო.

— ახლა ცადი!

მანქანა იქაურობას რომ მოშორდა, რეიგენმა შავკანიან ბავშვებს ორას დოლარზე მეტი გაუწოდა.

— ცაიგეტ, პეხსაცმელი და ოდჟახისტვის საჩმელი იკიდეტ.

ღიმილით უყურებდა, როგორ გაიქცნენ გახარებული ბავშვები.

მოგვიანებით არტურმა თქვა, რომ რეიგენი იმ დღეს ცუდად მოიქცა.

— არ მომწონს, მდიდრებს რომ ართმევ და ღარიბ ბავშვებს აძლევ. კოლამბუსში რობინ ჰუდობანას თამაშ-თამაშით ხომ ვერ ივლი.

— ეს სასიამოვნოა.

— კი მაგრამ, შენ ხომ მშვენივრად იცი, რომ როცა იარაღით რომ დადიხარ, შეწყალების პირობებს არღვევ.

რეიგენმა მხრები აიჩეჩა.

— აკაურობას და ციხეს შორის დიდი განსხვავება არ არის.

— რა სისულელეს ამბობ. აქ თავისუფლები ვართ.

— მერე, რას უშვები მაგ შენი ტავისუპლებას?

არტურმა იეჭვა, რომ ალენის ვარაუდი მართლდებოდა. რეიგენს ოღონდ კონტროლის ხელში აღება შესძლებოდა და ციხეზეც კი თანახმა იყო. რაც უფრო მეტად აკვირდებოდა რეიგენი კოლამბუსის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე მუშათა კლასის უბანს, მით უფრო ბრაზდებოდა, ხალხს ასეთი წვალებით რომ უხდებოდა თავის რჩენა მდიდარი კორპორაციების შუშით და ფოლადით ნაგები შენობების ჩრდილში. ერთ საღამოს პარმალმონგრეულ, ჩამოფხავებულ სახლს რომ ჩაუარა, სარეცხის კალათაზე მჯდარი ლამაზი, ქერა ბავშვი დაინახა, დიდი ლურჯი თვალებით. წვრილი ფეხები უცნაურად მოღრეცოდა.

კარში მდგარი მოხუცი ქალი პარმალზე გამოვიდა და რეიგენმა ჰკითხა:

— ბავშვს რატომ არტაშანები ან ეტლი არა აკვს?

მოხუცმა გაკვირვებით შეხედა.

— მისტერ, იცით ეგენი რა ღირს? სოცუმბრუნველყოფას ორი წელია მაგას ვეხვეწები, მაგრამ ვერაფრით ვუშოვე ჩემს ნენსის.

ღრმად ჩაფიქრებულმა რეიგენმა გზა განაგრძო. იმ საღამოს არტურს სთხოვა, გაერკვია, რომელი სამედიცინო დაწესებულების საწყობში იქნებოდა ეტლები და არტაშანები. არტური გაღიზიანებული იყო, საკითხავს რომ მოსწყვიტეს. რეიგენის მომთხოვნი ტონიც დიდად არ ეპიტნავა, თუმცა მხარი მაინც აუბა და სამედიცინო აპარატურის რამდენიმე დისტრიბუტორთან დარეკა. კენტუკიში კომპანია აღმოაჩინა, რომელსაც რეიგენის მიერ დასახელებული ზომის აღჭურვილობა ჰქონდა. არტურმა

რეიგენს მოდელების ნომრები და მისამართი მისცა, მაგრამ მაინც ჩაეკითხა:

— ეს ინფორმაცია რად გინდა?

რეიგენს პასუხის გასაცემად თავი არ შეუწუხებია. იმ ღამით მანქანაში ჩაჯდა, ხელსაწყოები და ნეილონის ბაწარი წაიღო და სამხრეთით, ლუისვილისკენ გასწია. სამედიცინო ატრიბუტების საწყოებს მიაგნო და მანამ იცდიდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ ყველა წავიდა. შიგნით შეღწევა რთული არ ჩანდა. ტომის დახმარებაც კი არ დასჭირდებოდა. მავთულის ღობებზე გადაძვრა, შენობის ქუჩიდან მოფარებულ მხარესთან მიიპარა და წყალსადენი მილის გასწვრივ ჩალაგებული აგურები მოსინჯა. ტელევიზორში ნანახი მძარცველები სახურავზე ასაცოცებლად ყოველთვის კაუჭებს იყენებდნენ. რეიგენი ასეთ იარაღებს აგდებულად უყურებდა. ჩანთიდან ფოლადისგან დამზადებული ფეხსაცმლის მაშველი ამოაძვრინა და მარცხენა ფეხზე თასმა შეიხსნა. თასმით მაშველი ფეხზე ისე მიიბა, რომ მოღუნული მხარე გარეთ ჰქონოდა. ასე წრიაპის მაგივრობას გაუწევდა. სახურავზე აძვრა, ჭერი გახვრიტა და ბჯენზე ჩამობმული ნეილონის ბაწრით შენობაში ჩაძვრა. ის დრო გაახსენდა, წლების წინ ჯიმთან ერთად კლდებზე ცოცვაზე რომ დადიოდა. არტურის მიცემულ მოდელის ნომრებს რეიგენი საწყოში საათზე მეტხანს ეძებდა, სანამ არ მიაგნო — ოთხი წლის ბავშვის წყვილი არტაშანი და პატარა, დასაკეცი ეტლი. ფანჯარა გამოაღო, არტაშანები და ეტლი მიწაზე დაუშვა და გადაძვრა. მერე ყველაფერი მანქანაში ჩააწყო და კოლამბუსში დაბრუნდა. დილით ნენსის სახლთან მივიდა და დააკაკუნა.

— პატარა ნენსისტვის რაგაცა მაკვს, — უთხრა მოხუც ქალს, ფანჯრიდან რომ უყურებდა.

ეტლი მანქანიდან გადმოიღო, გაშალა და უჩვენა, როგორ მუშაობდა. მერე ნენსის უჩვენა, არტაშანები ფეხებზე როგორ დაემაგრებინა.

— დიდი ხანი დაჩირდება მაგატბე სიარული რომ ისცავლო, — უთხრა მან, — მაგრამ საჩიროა სიარული.

მოხუცი ქალი ატირდა.

— იმდენ ფულს ხომ ცხოვრებაში ვერ ვიშოვი, ამისთვის რომ გადაგიხადოთ.

— გადახდა არ არის საჩირო. მდიდარი სამედიცინო კომპანიის ცვლილი არის ბავშვისტვის.

— საუბმეს გაგიკეთებთ.

— კავას დავლევდი.

— შენ რა გქვია? — ჰკითხა ნენსიმ, ბებიაშის ოთახიდან რომ გავიდა.

— დზია რეიგენი დამიდბახე, — უთხრა მან.

ბავშვი ჩაეხუტა. მოხუცმა ყავა და ყველაზე გემრიელი ღვებელი მოუტანა, რაც კი ოდესმე ეჭამა. რეიგენმა სულ შესანსლა.

სალამოს რეიგენი ლოგინში წამოჯდა და უცხო ხმებს მიაყურა. ერთი ბრუკლინური აქცენტით საუბრობდა, მეორე ერთთავად იგინებოდა. ბანკიდან ნაძარცვი ფულის გაყოფის შესახებ კამათობდნენ. რეიგენი ლოგინიდან გადმოცოცდა, იარაღი მოიმარჯვა და ბინის ყველა კუთხე-კუნჭული გაჩხრიკა. ყური კედლებს მიაღო, მაგრამ კამათი აშკარად ბინაში ისმოდა. რეიგენი შეტრიალდა და უბრძანა:

— არ გაინდბრეტ, ტორემ გაგაგორეტ ორივე.

კამათი შეწყდა. მერე ხმა რეიგენის თავში გაისმა:

— ვინ ჩემი ფეხები ხარ, რო მაკეთინებ?

— გამოდი, ტორემ გესვრი.

— სად მესვრი?

— სად ხარ?

— რო გითხრა, არ დამიჯერებ.

— რაზე მეუბნები?

— ვერ ვხედავ სად ვარ. აზზე არ ვარ, სად ვარ.

— რატომ ლაპარაკობ?

— კვინს ვუჩმახებ.

— კვინი ვინ არის?

— ვისაც ვუჩმახებდი.

რეიგენი წუთით დაფიქრდა.

— მიტხარი, სად ხარ, რას ხედავ.

— ყვითელი ლამპაა რაღაცა. წითელი სკამი არი კართან და ტელევიზორია ჩართული.

— რა ტელევიზორი? რა გადაცემა არის?

— თეთრი კაბინეტია. დიდი ფერადი ღჩა დგას. „მთელი ოჯახი“ გადის.

რეიგენმა თავისი ტელევიზორი დაინახა და მიხვდა, რომ ოთახში უხილავი უცხოები იყვნენ. ბინა ისევ მოჩხრიკა.

— კველგან გედებებ. სად ხარტ?

— ზუსტად იქ, სადაც შენ, — თქვა ფილიპმა.

— რას გულისხმობ?

— სულ აქა ვარ. სულ აქ ვიყავი.

რეიგენმა თავი გაიქნია.

— კარგი. გეკოპატ ლაპარაკი.

სარწეველაში ჩაჯდა და მთელი ღამე ასე ქანაობდა. ცდილობდა, ყველაფერი გაეანალიზებინა. გაოგნებული იყო, სხვების არსებობით, რომელთა შესახებაც აქამდე არაფერი იცოდა. მეორე დღეს არტურმა მას კვინისა და ფილიპის შესახებ მოუთხრო.

— ალბათ შენი ფანტაზიის ნაყოფები არიან.

— რას გულისხმობ?

— ჯერ ლოგიკურად აგისხნი, — უთხრა არტურმა, — როგორც სიძულვილის მცველს, მოგეხსენება, რაოდენ დესტრუქციული ძალა გაქვს. სიძულვილს ძალადობის გზით ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ სამაგიეროდ, უმართავია. როცა კაცს სიძულვილის მეშვეობით ფიზიკური ენერჯის შენარჩუნება სურს, მაგრამ მისი ბოროტი მხარის თავიდან არიდება უნდა, სიძულვილის ზოგიერთი მავნე ნიშანი მაინც შერჩება. ჩვენს გონებას შენი ძალადობრივი ბუნების კონტროლი უნდოდა. სურდა, ბრაზი შერჩევითი და მართვადი ყოფილიყო. შენი ბოროტება თავიდან მოიშორეს, რათა ძლიერი ყოფილიყავი, მაგრამ არა — ბრაზიანი. ამან ის გამოიწვია, რომ შენი სიავე კი მოიშორეს, მაგრამ სამაგიეროდ, ფილიპი და კევინი გაჩნდნენ.

— ეგენი იგივე მე არის?

— დამნაშავეები არიან. თუ ხელში შენი იარაღი აქვთ, მიზნის მისაღწევად ხალხის დაშინებაზე უკან არ დაიხევენ. მაგრამ უიარაღოდ არაფრის მაქნისები არ არიან. მათი ძალაუფლება იარაღია. ფიქრობენ, რომ ამით შენ გიტოვდებიან. გულდრძო ხალხია და სხვისი საკუთრების შელახვა სჩვევიათ. უსარგებლო დანაშაულს სჩადიოდნენ და ზეინსვილის შემდეგ არასასურველებად გამოვაცხადე. მაგრამ ხომ იცი, არეულობის დროს რაც ხდება... რეიგენ, მიუხედავად იმისა, რომ სიკეთე არაერთხელ გამოგიჟღავნებია, ავკაცობის ნიშანწყალს ისევ ატარებ. სიძულვილის ბოლომდე აღმოფხვრა შეუძლებელია. ეს ის საფასურია, რომელსაც ძალისა და აგრესიის შესანარჩუნებლად ვიხდით.

— არეულობა არ იკნებოდა, შუკი სცორედ რომ გეკონტროლებინა. ციხეში უკეტესი ივო, — უთხრა რეიგენმა.

— არეულობა ციხეშიც ხდებოდა, მაშინაც კი, როცა შენ დომინირებდი. ხშირად ამის შესახებ წარმოდგენაც არ გქონდა. მხოლოდ პოსტფაქტუმ იგებდი. ფილიპი, კევინი და ზოგიერთი არასა-

სურველი ციხეში დროს იპარავდნენ. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, კოლამბუსელ და ლანკასტერელ ყოფილ ძმაბიჭებს არ დაუკავშირდნენ და შეწყალების პირობები არ დაარღვიონ.

— გეტანხმები.

— ახალი მეგობრები უნდა შევიძინოთ, ახალი ცხოვრება დავიწყოთ. აქ, ჩენინგუეიში მუშაობა საუცხოო შანსია. საზოგადოებაში ჩვენი ადგილი უნდა ვიპოვოთ, — არტურმა მიმოიხედა, — შეგვიძლია ამ ბინის მილაგ-მოლაგებით დავიწყოთ.

სექტემბერში ბინა იყიდა. 1562 დოლარის და 21 ცენტის ჩეკი მოუვიდა. პირველი შენატანი მომდევნო თვემდე უნდა შეეტანა. თავიდან საქმე თითქოს კარგად მიდიოდა. ერთი ის იყო, ალენს შერონ როთთან პრობლემები ჰქონდა. ვერ გაეგო, ასე რატომ აღიზიანებდა. მარლენს ძალიან ჰგავდა და მასავით ცხვირაბზეკილი ყოვლისმცოდნე იყო. გრძნობდა, მასაც არ მოსწონდა. სექტემბრის შუა რიცხვებში დრო ადრინდელზე უფრო აირია. ყველა დაბნეული იყო. ალენი მიდიოდა გაქირავების ოფისში, შეკვეთის ფურცლებს იღებდა, დანიშნულების ადგილას მიდიოდა და ტომის ელოდებოდა, რომ გამოსულიყო და სამუშაოს შესდგომოდა. ტომი სულ უფრო და უფრო ხშირად იკარგებოდა. მასთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა, საქმეს კი მის გარდა თავს ვერავინ ართმევდა. ალენმა იცოდა, რომ წყალგაყვანილობასა და გათბობას საკუთარი ძალებით ვერასოდეს შეაკეთებდა. შეშინებული იყო, ელექტროგაყვანილობას რომ შევეხო, დენმა არ დამარტყასო. ალენი ტომის დიდხანს ელოდა ხოლმე. რომ არ გამოჩნდებოდა, დგებოდა და მიდიოდა, შეკვეთის ფურცელს კი ხელს აწერდა, ან წერდა, ბინის კარი ჩარაბული იყო, ვერ გავაღეო. მაგრამ ზოგიერთი კლიენტი სამ-ოთხჯერ ურეკავდა და ჩიოდა, სამუშაო შეუსრულებელიაო. ერთხელ, როცა ოთხჯერ დარეკეს, შერონმა გა-

დაწყვიტა, ბილისთან ერთად მისულიყო ბინაში და ენახა, რა ხდებოდა.

— კარგი რა, ბილ, — უთხრა მან, როცა ჭურჭლის სარეცხი მანქანა დაინახა, რომელსაც წყალი გასდიოდა, — მეც კი ვხედავ, ამას რა სჭირს. ხელოსანი შენ ხარ, ტექნიკის შეკეთება შენ უნდა იცოდე.

— გავასწორე. სადინარი შევაკეთე.

— როგორც ჩანს, პრობლემა სადინარში არ არის.

გაქირავების ოფისთან რომ ჩამოსვა, იცოდა, გაბრაზებული იყო. ეჭვი აიღო, ეცდება ჩემი თავი გააგდებინოსო. ალენმა ტომის უთხრა, რამე ეღონა, რომ ჯონ ვაიმერს და შერონ როტს სამსახურიდან არ გაემშვათ. პირველი, რაც ტომის თავში აზრად მოუვიდა, ჯონ ვაიმერის ტელეფონში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება იყო. ამისთვის ვაიმერს მანქანაში უფასო ტელეფონის დაყენება შესთავაზა.

— სულ მარტივი რამეა, — უთხრა ალენმა ვაიმერს, — მანქანაში ტელეფონი ისე გექნებათ, რომ სატელეფონო კომპანიას ამაზე წარმოდგენაც არ ექნება.

— მერე ეგ უკანონო არ იქნება? — ჰკითხა ვაიმერმა.

— სულაც არა. საჭაერო ტალღები უფასოა.

— მართლა შეგიძლია ამის გაკეთება?

— ამის დასამტკიცებლად ერთადერთი გზა არსებობს — მასალის ფული მომეცით და გავაკეთებ.

ვაიმერმა წვრილად გამოჰკითხა ყველაფერი, გაოცებული იყო იმით, თუ რა კარგად ერკვეოდა მილიგანი ელექტრობაში.

— ჯერ მინდა, კარგად გავერკვე, — უთხრა ვაიმერმა, — მაგრამ მართლა საინტერესო რამე ჩანს.

რამდენიმე დღის შემდეგ ტომიმ ელექტრონიკის მაღაზიაში ტელეფონისათვის საჭირო მასალა იყიდა, მისაწებებელი ხმის

ჩამწერი აპარატიც იპოვა, რომელიც ტელეფონში თავსდებოდა და დარეკვისას ზარით აქტივირდებოდა. ახლა მხოლოდ პერსონალის, ან გაქირავების ოფისში უნდა დაერეკა, ეთქვა, ნომერი შემეშალაო და დაეკიდა. ჩამწერი ამუშავდებოდა. როთის და ვაიმერის ოფისს თუ მოუსმენდა, გაიგებდა, რამე არალეგალური ხომ არ ხდებოდა და თუ გაგდებას დაუპირებდნენ, ჩანაწერით დააშინებდა. ტომიმ ელექტრომოსასმენი აპარატები სხვა მოწყობილობებთან ერთად „კელი ენდ ლემონში“ გაგზავნა. დამით გაქირავების ოფისში შეიპარა და ჩამწერი როთის ტელეფონში დაამონტაჟა. ვაიმერის ოფისშიც იგივე ოპერაცია ჩაატარა. მერე შუქზე აღენი გამოვიდა და ხელსაყრელი ინფორმაციის ქექვაში არქივები დაიარა. მისი მზერა „უმსხვილესი ინვესტორების არქივად“ წოდებულმა საქალაქო მინისტრო — ეს ის ხალხი იყო, ვინც „კელი ენდ ლემონი“ ბინების კომპლექსის ასაშენებლად დაიქირავა. მათზე ინფორმაცია, როგორც წესი, გასაიდუმლოებული ჰქონდათ. აღენმა მათი სახელები ამოიწერა. რადგან მოსასმენი აპარატები და სია ჰქონდა, ფიქრობდა, ახლა რაც არ უნდა მოხდეს, ვეღარ გამაგდებენო.

ჰარი კოდერი ბილი მილიგანს პირველად მაშინ შეხვდა, როცა ის კოდერის ბინაში გატეხილი მინების ჩასასმელად მივიდა.

— ახალი წყლის გამაცხელებელი გჭირდებათ, — უთხრა მილიგანმა, — თუ გინდათ, მე გიშოვით.

— რა დაჯდება? — ჰკითხა კოდერმა.

— არც არაფერი. „კელი ენდ ლემონში“ დანაკარგს ვერც შენიშნავენ.

კოდერმა გაოცებით შეხვდა. უკვირდა, როგორ ბედავდა მილიგანი მისთვის ასეთი რამის შეთავაზებას. მან ხომ კარგად იცოდა, რომ კოდერი კოლამბუსის პოლიციის ოფიცერი იყო და

ჩენინგუეიში დაცვის პოლიციაშიც მუშაობდა ნახევარ განაკვეთ-ზე.

— მოვიფიქრებ, — უთხრა კოდერმა.

— რომ მოიფიქრებთ, გამაგებინეთ. სიამოვნებით დაგიყენებთ უფასოდ.

მილიგანი რომ წავიდა, კოდერმა გადაწყვიტა, მისთვის თვალყური ედევნებინა. ჩენინგუეის და უილიამსბერგის მოედნის დასახლებებში ქურდობა გახშირებული იყო. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ მძარცველი ვინც არ უნდა ყოფილიყო, გასაღებები ჰქონდა. ჯონ ვაიმერს ხელოსანმა დაურეკა, რომელიც დაახლოებით მილიგანთან ერთად აიყვანეს და უთხრა, რომ ვაიმერს უნდა სცოდნოდა, რას აკეთებდა მილიგანი. ვაიმერმა ოფისში მისვლა სთხოვა.

— სინდისი მაწუხებს, ამას რომ ვაკეთებ, — უთხრა კაცმა, — მაგრამ ეგ ტიპი უცნაურად იქცევა.

— რას გულისხმობ?

— გაქირავების ოფისის გოგოებს აყურადებს.

— ეგ როგორ? ეკიდება თუ რას...

— ელექტრომოწყობილობების საშუალებით უსმენს.

— ოჰ, კარგით ერთი!

— მართლა გეუბნებით.

— მაგას როგორ დამიმტკიცებთ?

კაცმა აქეთ-იქით ნერვიულად მიმოიხედა.

— მილიგანმა თვითონ მითხრა. და თითქმის სიტყვა-სიტყვით გამიმეორა ქეროლთან და შერონთან ტელეფონით ჩემი ნალაპარაკევი. იმაზე ვლავარაკობდით, რომ კოლეჯში ყველა ნარკოტიკებზე ზის და ასეთ რამეებზე. ისიც კი გაიმეორა, ქეროლი რომ ამბობდა — როცა გოგოები მართო რჩებიან, უფრო მეტს იგინებიან, ვიდრე ბიჭები გასახდელშიო.

ვაიმერი ჩაფიქრდა და თითები მაგიდაზე ააბრაახუნა.

— ბილი ასეთ რამეს რატომ იზამდა?

— თქვა, რომ შერონი და ქეროლი ყელში ამოუვიდნენ და თუ სამსახურიდან გააგდებენ, მათაც თან გაიყოლებს. თუ ჩავიძირებო, „კელი ენდ ლემონის“ ჩათვლით ყველა ჩემთან ერთად ჩაიძირებაო.

— რა სისულელეა, მაგას როგორ იზამდა?

— მითხრა, რომ მანქანაში ტელეფონის უფასოდ დაყენებას შეგპირდათ.

— მართალია, მაგრამ უარი ვუთხარი.

— მითხრა, რომ თქვენს მანქანაშიც აპირებდა ტელეფონის მეშვეობით მოსასმენი აპარატის დაყენებას, რომ თქვენთვისაც ედევნებინა თვალყური.

კაცი რომ წავიდა, ვაიმერმა შერონს დაურეკა და უთხრა:

— მილიგანზე მართალს ამბობდი. სჯობს, გაუშვათ.

იმ საღამოს შერონმა ბილის გაქირავების ოფისში დაუძახა და უთხრა, გათავისუფლებული ხარო.

— მე თუ წავალ, წასვლა შენც მოგიწევს. არა მგონია, აქ დიდხანს გაგაჩერონ, — უთხრა მან.

იმ საღამოს, მოგვიანებით შერონმა კარი რომ გააღო, გაოგნებული დარჩა — იქ ლურჯ პიჯაკსა და ჟილეტში გამოწყობილი მილიგანი იდგა. პირდაპირ თანამდებობის პირს ჰგავდა.

— შემოგიარე, რომ გითხრა — ხვალ, პირველ საათზე საოლქო პროკურორის ოფისში გელიან. ჯონ ვაიმერის ნახვაც მინდა. თუ არ გამოცხადდები, თვითონ გამოგიგზავნიან მანქანას, — მერე გატრიალდა და წავიდა.

შერონმა იცოდა, რომ ეს სისულელე იყო, მაგრამ შეეშინდა. წარმოდგენა არ ჰქონდა, რას გულისხმობდა მილიგანი. ან საოლქო პროკურორს რა უნდოდა მისგან, ან მილიგანი რაღა

შუაში იყო? ვინ იყო და რას ცდილობდა? ერთი კი ნამდვილად ეს-
მოდა — უბრალო ხელოსანი არ უნდა ყოფილიყო. ექვსის ნახე-
ვარზე ტომი დაკეტილ სახელოსნოს მიადგა, შეიპარა და ტელე-
ფონს მოსასმენი მოხსნა. სანამ ოფისიდან გავიდოდა, გადაწყვი-
ტა ქეროლისთვის შეტყობინება დაეტოვებინა. იცოდა, ვაიმერს
იმ ამბავს თუ მოუყვებოდა, მასაც გაათავისუფლებდნენ. ქერო-
ლისა და შერონის საერთო მაგიდაზე კალენდარი მომდევნო სა-
მუშაო დღეზე გადაფურცლა: „ორშაბათი, 26 სექტემბერი, 1977“
— და თარიღის გასწვრივ მიაწერა:

„ახალი დღეა! დატკბით, სანამ შეგიძლიათ“.

მერე კი ისევ პარასკევზე გადაშალა. ჯონ ვაიმერიც რომ გავი-
და ოფისიდან, ტომი შევიდა და მის ტელეფონსაც მოხსნა ჩამწე-
რი. რომ გადიოდა, ტერი ტარნოკს, „კელი ენდ ლემონის“ უბნის
ზედამხედველს შეეჩხება.

— აქ რა გინდა, მილიგან? — ჰკითხა ტარნოკმა, — მე მეგონა,
დაგითხოვეს.

— ჯონ ვაიმერის ნახვა მინდოდა. ამ კომპანიაში რაღაცები
ხდება და ამ ამბის გახმაურებას ვაპირებ. მინდა ჯონს შანსი მიე-
ცე, რომ სანამ მეპატრონეები და ინვესტორები ჩარეულან, ყვე-
ლაფერი თვითონ მოაგვაროს.

— რას გულისხმობ?

— როგორც ჯონის ზედამხედველმა, ვფიქრობ, ეს პირველმა
შენ უნდა გაიგო.

ის-ის იყო, ჯონ ვაიმერი საღამოს შინ მივიდა და მშვიდად მო-
კალათდა, რომ ტერი ტარნოკმა დაურეკა და უთხრა, სასწრაფოდ
ოფისში დაბრუნებულყო.

— რაღაც უცნაური ამბავი ხდება. აქ მილიგანია. უნდა მოხვიდე
და მოუსმინო.

ვაიმერი რომ მივიდა, ტარნოკმა უთხრა, მილიგანი დროებით შინ გავიდა და ცოტა ხანში დაბრუნდება, რომ ორივეს დაგველაპარაკოსო.

— რა გითხრა? — ჰკითხა ვაიმერმა.

— რაღაც ბრალდებებზე ლაპარაკობს. შენ თვითონ მოუსმინე.

— ამ ბიჭს რაღაც უცნაური სჭირს, — თქვა ვაიმერმა და უჯრა გამოაღო, — ეს საუბარი უნდა ჩავიწერო.

პატარა დიქტოფონში ცარიელი კასეტა ჩადო და უჯრა ნახევრადგამოღებული დატოვა. მილიგანი ოთახში რომ შევიდა, ვაიმერი გაცეცხული მიაშტერდა. ამ წუთამდე მილიგანი მხოლოდ სამუშაო ტანსაცმელში ენახა. ახლა კი, კოსტიუმსა და ჰალსტუხში გამოწყობილი, ელეგანტურად გამოიყურებოდა, თავიც ამაყად ეჭირა. ის დაჯდა და ცერა თითები ჟილეტში დამალა.

— თქვენს კომპანიაში რაღაც ხდება. ვფიქრობ, უნდა იცოდეთ ამის შესახებ.

— მაგალითად? — ჰკითხა ტარნოკმა.

— კანონდარღვევა. მინდა, სანამ ოლქის პროკურორთან წავიდოდე, ამ პრობლემების გადაჭრის შანსი მოგცეთ.

— აბა, ბილ, რაზე ლაპარაკობ? — ჰკითხა ვაიმერმა.

მომდევნო საათ-ნახევრის მანძილზე ალენმა აუწერა, როგორ აყალბებდნენ გაქირავების ოფისში საბუთებს და ასულელებდნენ ჩენინგუეისა და უილიამსბერგ-სკვერის ინვესტორებს. ვითომ „გაქირავებულ“ ბინებში თანამშრომლების ახლობლები ცხოვრობდნენ, რომლებიც სინამდვილეში ქირას იჯიბავდნენ. თქვა, კიდევ იმის დამტკიცება შემოიძლია, რომ „კელი ენდ ლემონს“ ელექტროენერგია არალეგალურად აქვს შემოყვანილი, დენის კომპანიას დენს ჰპარავსო. დაარწმუნა, რომ სჯეროდა — ვაიმერს ამ ყალბობასა და ქურდობაში წვლილი არ მიუძღოდა, მაგრამ კომპანიაში თითქმის ყველა დანარჩენი დამნაშავე იყო. გან-

საკუთრებით, გაქირავების ოფისის ერთი თანამშრომელი, რომელიც ბინებში მეგობრებს აცხოვრებდა.

— ჯონ, გადავწყვიტე, ამ დანაშაულებების გამოსაძიებლად და დამნაშავეთა დასაჭერად დრო მოგცეთ. მაგრამ თუ არ შეგიძლიათ, ან არ აპირებთ ამის გაკეთებას, ამ საქმეს „კოლამბუს დისპენს“ მოვუყვები და გავასაჯაროებ.

ვაიმერი აღელვებული იყო. ყოველთვის შესაძლებელი იყო, უპატიოსნო თანამშრომლებს ისეთი რამ ჩაედინათ, რაც სკანდალს გამოიწვევდა. მილიგანის ნათქვამიდან ჩანდა, რომ საქმეში შერონ როთი იყო გარეული.

ვაიმერი წინ გადაიხარა.

— კი მაგრამ, ვინ ხარ, ბილ?

— უბრალოდ, დაინტერესებული მხარე ვარ.

— დაქირავებული გამომძიებელი ხარ? — ჰკითხა ტარნოკმა.

— ჯერჯერობით თავის ბოლომდე გამოაშკარავებას არ ვაპირებ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორის ინტერესებს ვიცავ.

— ვხვდებოდი, უბრალო ხელოსანი რომ არ იყავი, — თქვა ვაიმერმა, — ყოველთვის მეტისმეტად ჭკვიანი მეჩვენებოდი. ესე იგი, ინვესტორებზე მუშაობ. არ გვეტყვი, რომელზე?

მილიგანმა ტუჩები მოკუმდა და თავი მალლა ასწია.

— მე არ მითქვამს, ინვესტორებზე ვმუშაობ-მეთქი.

— თუ ასეა, ესე იგი, ალბათ კონკურენტებმა მოგაგზავნეს „კელი ენდ ლემონის“ რეპუტაციის შესალახად.

— ოჰ? — თქვა მილიგანმა და თითები შეატყუპა, — ეგ რაღამ გაფიქრებინათ?

— არ გვეტყვი, ვინ დაგიქირავა? — ჰკითხა ვაიმერმა.

— მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ — შერონ როთს დაუძახეთ და რაც მოგიყვებით, იმის შესახებ შეეკითხეთ.

— აუცილებლად გადავამოწმებ შენს ბრალდებებს, ბილი. მადლობელი ვარ, რომ ეს ამბავი ჯერ მე შემატყობინე. დამერწმუნე, თუკი „კელი ენდ ლემონში“ თაღლითები მუშაობენ, საკადრისად დავსჯით.

მილიგანმა მარცხენა ხელი გაშალა და ვაიმერსა და ტარნოკს სახელოზე მიმაგრებული პატარა მიკროფონი უჩვენა.

— მინდა შეგატყობინოთ, რომ ეს საუბარი იწერება. ეს მიმდებია, აქედან დაშორებული ჩამწერი კი ყველაფერს იწერს.

— კარგი გიქნია, — გაეცინა ვაიმერს და ღია უჯრაზე მიუთითა, — იმიტომ, რომ მეც ვიწერ.

მილიგანმა გაიცინა.

— კარგი, ჯონ, ორშაბათიდან მოყოლებული, სიტუაციის მოსაწესრიგებლად და დამნაშავეთა დასათხოვნად სამი დღე გაქვთ. თუ არადა, ინფორმაციას გავახმაურებ.

მილიგანის წასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ ვაიმერმა შერონ როტს შინ დაურეკა და ბრალდებების ამბავი შეატყობინა. მან გააპროტესტა, უთხრა, რომ ეს სიცრუე იყო და დაიფიცა, რომ გაქირავების ოფისიდან კომპანიას ფულს არავინ ჰპარავდა. შერონი დარწმუნდა, რომ მილიგანი უსმენდა და კვირას ოფისში მივიდა, რომ იქაურობა გაეჩხრიკა. ვერაფერი იპოვა. ან მილიგანი შეიპარა და მოსასმენი აპარატურა წაიღო, ან ყველაფერი ბლეფი იყო. მაგიდის კალენდარს შეხედა და ავტომატურად ორშაბათზე გადაშალა. მერე ზედ მიწერილი შეტყობინება დაინახა.

„ახალი დღეა! დატკბით, სანამ შეგიძლიათ!“

„ო, ღმერთო! დათხოვნისათვის მოკვლას მიპირებს“, — იფიქრა შერონმა.

გულგახეთქილმა ტერი ტარნოკს დაუძახა და მინაწერი უჩვენა. მილიგანის ხელწერას შეადარეს და დაემთხვა. ორშაბათს სამის ნახევარზე მილიგანმა შერონს დაურეკა და უთხრა, რომ ხუთ-

შაბათს ორის ნახევარზე ფრანკლინის ოლქის პროკურორის ოფისში უნდა ყოფილიყო. გააფრთხილა, რომ თუ არ გამოცხადდებოდა, პოლიციის თანხლებით მიაკითხავდა, ეს კი კარგი ამბავი არ იქნებოდა.

იმ საღამოს ჰარი კოუდერმა მილიგანს დაურეკა და უთხრა, რომ გაქირავების ოფისის თანამშრომელი გოგოების დაწიოკება უნდა შეეწყვიტა.

— კი მაგრამ, რა უნდა „შევწყვიტო“? მე არაფერს ვაკეთებ.

— მისმინე, ბილ, — უთხრა კოუდერმა, — თუ გოგოები პროკურატურაში მართლა უნდა გამოცხადდნენ, ამისათვის სასამართლო უწყება არსებობს.

— თქვენ ამასთან რა კავშირი გაქვთ?

— გოგონებმა იციან, რომ პოლიციელი ვარ. მათ მთხოვეს, საქმეში ჩავრეულიყავი.

— შეშინებულები არიან, ჰარი?

— არა, ბილ, არ ეშინიათ. უბრალოდ, უნდათ, აღარ შეაწუხოთ.

ალენმა გადაწყვიტა, ამ საქმეს ცოტა ხნით მოშვებოდა. მაგრამ ადრე თუ გვიან, თავისას მაინც გაიტანდა და შერონ როთს სამსახურიდან გააგდებინებდა. ამასობაში, ბინას ჯერ კიდევ ინარჩუნებდა, მაგრამ მალე ახალი სამსახურის ძიება უნდა დაეწყო. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში ალენი სამსახურს ეძებდა, მაგრამ წესიერი ვერაფერი იპოვა. საქმე არაფერი ჰქონდა, ხმის გამცემიც არავინ ჰყავდა. დროს ისევ კარგავდა და დეპრესია გაუძძაფრდა. 1977 წლის 13 ოქტომბერს ჯონ ვაიმერისგან შეტყობინება მიუვიდა. მისგან ბინის დაცლას ითხოვდნენ. სად უნდა წასულიყო? რა უნდა ექნა? ბოლთას რომ სცემდა, შენიშნა, რეიგენს თავის 9-მილიმეტრიანი „სმიტ-ვესონი“ ზედ ბუხრის თავზე დაეტოვებინა. იარაღი სამალავში რატომ არ იყო? რა ჯანდაბა სჭირდა რეიგენს? ამისა და იტალიური 25-მილიმეტრიანის

გამო შეწყალების პირობების დარღვევისათვის შესაძლოა, ისევე ციხეში გაემწყესებინათ. ალენმა ბოლთისცემა შეწყვიტა და ღრმად ჩაისუნთქა. შესაძლოა, რეიგენს გულის სიღრმეში სწორედ ეს უნდოდა — ციხეში, სახიფათო ადგილას დაბრუნება. იქ შუქის ბატონ-პატრონი ხომ ისევე თვითონ იქნებოდა.

— მეტი აღარ შემიძლია, არტურ, — თქვა ალენმა ხმამაღლა, — ეს უკვე მეტისმეტია.

თვალები დახუჭა და გავიდა...

რეიგენმა თავი ასწია და სწრაფად მიმოიხედა, რომ დარწმუნებულიყო, მარტო ვარო. მაგიდაზე ქვითრები დაინახა და მიხვდა, რომ რადგან უსამსახუროდ იყო დარჩენილი, უკვე ველარაფერს გადაიხდიდა. დიდ ხათაბალაში იყვნენ გახვეულები.

— კარგი, — თქვა მან ხმამაღლა, — პატარებს ზამტრისთვის ტბილი ტანისამოსი და საჩმელი რამე ჩირდებატ. ვიგაც უნდა გავდზარცვო.

პარასკევს, 14 ოქტომბერს, დილით ადრე რეიგენმა „სმიტ--ვესონი“ სამხრეში შეაღწურა. ყავისფერი ყელიანი სვიტერი, თეთრი კედები, ყავისფერი სავარჯიშო ჟაკეტი, ჯინსი და ზევიდან — თხელი ქურთუკი ჩაიცვა. ბიფეტამინის სამი აბი დალია, არაყი დააყოლა და მზის ამოსვლამდე გავიდა — დასავლეთით, ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კამპუსისკენ გასწია ძუნძულით.

თავი მეცხრამეტე

1

რეიგენმა ქალაქ კოლამბუსის გავლით თერთმეტი მილი ირბინა და პარასკევს დილით, შვიდ საათსა და ოცდაათ წუთზე ოჰაიოს უნივერსიტეტთან მდებარე ისტ ბელმონტის მანქანების სადგომს მიაღწია. გეგმა არ ჰქონდა. ოღონდ ვინმე გამოჩენილიყო, რომ გაეძარცვა. სამედიცინო კოლეჯსა და სადგომს შორის მდებარე ტროტუარიდან ახალგაზრდა ქალს მოჰკრა თვალი. ოქროსფერ „ტოიოტას“ აჩერებდა. მანქანიდან რომ გადმოვიდა, რეიგენმა დაინახა, რომ ირმის ტყავის გახსნილი ქურთუკიდან აგურისფერი კოსტიუმი მოუჩანდა. გაბრუნდა, რომ ვინმე სხვა მოეძებნა. ქალის დაყაჩაღებას არ აპირებდა. მაგრამ ადალანამ, რომელიც ყველაფერს უთვალთვალებდა, იცოდა, რისთვის იყო იქ მისული რეიგენი. იცოდა, სირბილისგან დაღლილი იყო, თანაც არაყი და ამფეტამინი უკვე ეკიდებოდა და შუქიდან გაუშვა...

ახალგაზრდა ქალს რომ მიუახლოვდა, ადალანამ დაინახა, რომ უკანა სავარძლისკენ გადახრილიყო და იქიდან წიგნებისა და ფურცლების აღებას ცდილობდა. რეიგენის იარაღი სამხრიდან ამოიღო და ქალს მკლავზე მიაბჯინა. ქალმა გაიცინა და არც შეტრიალებულა, ისე უთხრა:

— ჰო, კარგი ახლა, ბიჭებო, გეყოფათ მაიმუნობა.

— მანქანაში ჩაჯექით, გეთაყვა, — უთხრა ადალანამ, — სასეირნოდ მივდივართ.

კერი დრაიერი შებრუნდა და დაინახა, რომ მის წინაშე უცნობი იდგა. ხელთათმანიან ხელში იარაღი დაუნახა და მიხვდა, არ ხუმ-

რობდა. კაცმა მგზავრის მხარეს მიუთითა და ქალი სიჩქარეების გადასართავზე გადაძვრა. კაცმა გასაღები აიღო და საჭესთან დაჯდა. თავიდან ხელის მუხრუჭის ჩაწევა გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს მანქანა დაძრა. კერი დრაიერი ყურადღებით დააკვირდა — მოწითურო-ყავისფერი თმა, სწორად და აკურატულად შეჭრილი უღვაში, მარჯვენა ლოყაზე — ხალი. სიმპათიური იყო, კარგი აგებულებისა, ალბათ 80 კილოგრამს იწონიდა, სიმაღლე — დაახლოებით მეტრი და ოთხმოცი.

— საით მივდივართ? — იკითხა მან.

— სადმე გავისეირნოთ, — მიუგო მშვიდად, — კოლამბუსს კარგად არ ვიცნობ.

— მისმინეთ, — უთხრა კერიმ, — არ ვიცი ჩემგან რა გინდათ, მაგრამ დღეს ოპტომეტრიის გამოცდა მაქვს.

კაცმა ქარხნის სადგომთან შეუხვია და გაჩერდა. კერიმ შენიშნა — თვალები ისე უტოკავდა, ჩანდა, ნისტაგმი ჰქონდა. ეს უნდა დაემახსოვრებინა. მერე პოლიციას მოუყვებოდა. კაცმა ჩანთა გაუჩხრიკა, მართვის მოწმობა და სხვა საბუთები ამოიღო. ხმა გაუმკაცრდა:

— პოლიციაში თუ მიხვალ, შენი ოჯახის წევრებს მივადგები.

ხელბორკილები ამოიღო და კერი მარჯვენა ხელით „ტოიოტას“ კარის შიდა სახელურზე მიაბა.

— გამოცდაზე მივდივარო და თუ გინდა, სანამ ვატარებ, იმეცადინე.

ოჰაიოს უნივერსიტეტიდან ჩრდილოეთით გაუხვიეს. ცოტა ხანში კაცმა მანქანა რკინიგზის გადასასვლელთან შეაჩერა. მატარებელი ნელა მიდიოდა. კაცი მანქანიდან გადმოვიდა და საბარგულთან მივიდა. კერის შეეშინდა, აქ მიბმულს ხომ არ მიპირებს დატოვებას მომავალი მატარებლის პირისპირა. იფიქრა, შეშლილი ხომ არ არისო. კევინი, რომელმაც რელსებზე გადას-

ვლისას საბურავების ხმა გაიგო და ადალანას ჩაენაცვლა, და-
წმუნდა, რომ საბურავები მთელი იყო. დაშვებული რომ ყოფილი-
ყო, გაქცევა მოუწევდა, მაგრამ რადგან ყველაფერი კარგად იყო,
ისევ ჩაჯდა და დაიძრა.

— შარვალი გაიხადე! — უთხრა კვეინმა.

— რა?

— გაიხადე ეგ დედააფეთქებული შარვალი!

კაცის გუნების უეცარმა ცვლილებამ კერი შეაშინა და რო-
გორც უთხრეს, ისე მოიქცა. მიხვდა, ამას იმიტომ აკეთებინებდა,
რომ მისი გაქცევისგან დაეზღვია თავი. სწორადაც იქცეოდა. მიბ-
მულიც რომ არ ყოფილიყო, შიშველი მაინც ვერსად გაიქცეოდა.
კაცი რომ არ გაენაწყენებინა, გზაზე კერი ცდილობდა, ოპტომეტ-
რიის სახელმძღვანელოსათვის თვალი არ მოეშორებინა, მაგ-
რამ შენიშნა, რომ დასავლეთით, კინგ-ავენიუზე გაუხვია, მერე კი
რივერ-როუდისკენ, ჩრდილოეთით. ქალაქგარეთ მიჰყავდა.
დროდადრო თავის თავს ედუდღუნებოდა:

— ამ დილით გავიქეცი... ბეისბოლის ჯოხით მაგრად მივბეგ-
ვე...

სიმინდის ყანას ჩაუარეს, მერე — გზის ჩახერგილ ნაწილს. მე-
რე მინდორში დაყრილ ძველ, ჟანგიან მანქანებს და ტყიან ნა-
წილში შევიდნენ. კერის გაახსენდა, რომ სავარძელსა და სიჩქა-
რის გადასართავს შორის ბასრი მაკრატელი ჰქონდა შენახული.
იფიქრა, ავიღებ და გაუყურო. მაგრამ მაკრატლისკენ რომ
გაიხედა, კაცმა უთხრა:

— სისულელეებს თავი დაანებე, — და დანა ამოიღო. მანქანა
დააყენა, ცალი ბორკილი მოხსნა, თუმცა მეორე ხელზე მიბმული
დაუტოვა.

მისი ირმის ტყავის ქურთუკი ტალახიან მიწაზე დააფინა.

— საცვალი გაიხადე, — წაიჩურჩულა მან, — და დაწექი.

კერი დრაიერმა დაინახა, როგორ უტოკავდა კაცს თვალები...

ადალანა ქალის გვერდით იწვა და მაღლა ატოტვილ ხეებს უყურებდა. ვერ მიმხვდარიყო, ფილიპი და კევინი შუქზე მის ნაცვლად მოულოდნელად რატომ გამოდიოდნენ. ყველაფერი არეული იყო.

— იცი მაინც, რას ნიშნავს, როცა სულ მარტო ხარ? — ჰკითხა მის გვერდით მწოლიარე ქალს, — როცა დიდი, დიდი ხანია არავინ ჩაგხუტებია? როცა არ იცი, სიყვარული რას ნიშნავს?

კერი დრაიერს არაფერი უპასუხია და ადალანა ისე ჩაეხუტა, როგორც მარლენს ეხვეოდა ხოლმე. მაგრამ ეს გოგონა ძალიან პატარა იყო და კიდევ ერთი უცნაურობა სჭირდა — როგორ არ ცდილობდა ადალანა მასში შესვლას, მაგრამ ყოველ ჯერზე კერი დრაიერის კუნთები იკუმშებოდა და საშოდან უკუაგდებდა. ეს უცნაური და საშიში ჩანდა. დაბნეული ადალანა შუქიდან გავიდა...

კერიმ ტირილით აუხსნა, რომ პრობლემა ჰქონდა და გინეკოლოგთან დადიოდა. ყოველ ჯერზე, როცა ვიღაცასთან დაწოლას ცდილობდა, სპაზმები ემართებოდა. კერიმ ისევ შენიშნა ნისტაგმი და უეცრად კაცი ბრაზიანი და უხეში გახდა.

— კოლამბუსის წყეული გოგოებიდან მაინცდამაინც ისეთი დავითრიე, ვერაფერს რო ვერ ვუშვები, — წაიღრინა მან.

ჩაცმა აცადა და მანქანაში დაბრუნება უბრძანა. კერიმ შენიშნა, რომ კაცი კვლავ შეცვლილი იყო.

— აჰა, — უთხრა ნაზად და ქალაღდის ხელსახოცი გაუწოდა, — ცხვირი მოიხოცე.

ადალანა ღელავდა. გაახსენდა, რატომ წამოიწყო რეიგენმა ეს მოგზაურობა და მიხვდა, ხელცარიელი რომ დაბრუნებულიყო უკან, რეიგენი დაეჭვდებოდა. კერიმ მოძალადის აღელვებული გამომეტყველება დაინახა. სახეზე გულწრფელი წუხილი ეწერა. იფიქრა, რა სჭირსო და ლამის შეეცოდა.

– ფული უნდა ვიშოვო სადმე, – უთხრა კაცმა, – თორემ ვილაც ძალიან გაბრაზდება.

– ფული თან არ მაქვს, – ატირდა კერი.

– ასე ნუ განიცდი, – და კაცმა ისევ მიაწოდა ქალაქის ხელსახოცი, – თუ დამიჯერებ, არაფერს დაგიშავებ.

– რაც გინდა, ის მიქენი, – უთხრა კერიმ, – ოღონდ ჩემს ოჯახს თავი დაანებე. რამდენი ფულიც გინდა, წაიღე, ოღონდ იმათ ნურაფერს დაუშავებ.

კაცმა მანქანა გააჩერა და ისევ მისი ჩანთის ჩხრეკას მოჰყვა, სანამ მისი ჩეკების წიგნაკი არ იპოვა. ანგარიშზე ოთხას სამოცი დოლარი ჰქონდა.

– როგორ ფიქრობ, ერთი კვირა რომ იცხოვრო, რამდენი დაგჭირდება? – ჰკითხა მან.

კერიმ დაისრუტუნა:

– ასე ორმოცდაათი-სამოცი დოლარი.

– კარგი, სამოცი დოლარი დაიტოვე, ოთხასი დოლარის ჩეკი გამომიწერე.

კერი გაოცებული და გახარებული იყო, თუმცა იცოდა, რომ წიგნებისა და საცხოვრებლის ფულს ვეღარსად იშოვიდა.

– ბანკში შევალთ, – უთხრა უცებ კაცმა, – ჩემთან ერთად წამოხვალ.

– არ წამოვალ! – მიუგო მან გადაჭრით, – მე რაც გინდა, ის მიქენი, მაგრამ ბანკის გასაძარცვად არ წამოვალ.

– ბანკში შევალთ და შენს ჩეკს გავანაღდებთ, – უთხრა მან, მაგრამ მალევე გადაიფიქრა, – თუ იტირებ, იფიქრებენ, რომ რაღაც ისე ვერ არის. ბანკში შესასვლელად და ჩეკის გასანაღდებად ზედმეტად ემოციური ხარ. ყველაფერს გააფუჭებ.

— მე მგონი, იმ ადამიანის კვალობაზე, გამუდმებით იარაღის ლულა რომ აქვს ზურგში მიბჯენილი, თავი მშვენივრად მიჭირავს, — თქვა კერიმ, რომელიც ისევ ტიროდა.

კაცმა თავისთვის რაღაც წაიბურღლუნა. ოჰაიოს ეროვნული ბანკის ფილიალი, რომლის ფანჯარა გზას გადმოჰყურებდა, ვესტ ბროდ-სტრიტის 770 ნომერში იყო. კერიმ პირადობის მოწმობა რომ ამოიღო, კაცმა იარაღის ლულა ზედ მიადო. გასანაღდებელი ჩეკი ფანჯარაში რომ უნდა გადაეწოდებინა, კერიმ იფიქრა, „მიშველეთ“ ხომ არ მივაწერო, მაგრამ გეგონება მისი აზრები წაიკითხაო, კაცმა უთხრა:

— უკანა მხარეზე რამის მიწერა არ იფიქრო.

ჩეკი კერის პირადობის მოწმობასთან ერთდ მოლარეს გადააწოდა. მოლარემ ნაღდი ფული გაუწოდა.

— შეგიძლია პოლიციას შეატყობინო, რომ გაგძარცვეს და მერე ჩეკის ფულის ხდა შეწყვიტო, — უთხრა კაცმა, როცა დაიძრნენ, — თქვი, რომ იძულებით გაგანაღდებინეს. მაგ შემთხვევაში ფული ბანკს შეეწერება.

ბროდ-სტრიტისა და ჰაი-სტრიტის გადაკვეთაზე ბევრი მანქანა მოძრაობდა და საცობში მოხვდნენ.

— გადმოდი, დაჯექი საჭესთან, — უთხრა კაცმა, — თუ პოლიციაში წახვალ, ჩემი აღწერილობა არ მისცე. გაზეთებში რამე რომ ვნახო, მე თვითონ არა, მაგრამ ვინმეს გამოვგზავნი და შენ და შენს ოჯახს გაგისწორდებით.

მერე კარი გააღო, სწრაფი ნაბიჯით გაეცალა იქაურობას და ბრბოს თვალის დახამხამებაში შეერია. რეიგენმა მიმოიხედა, თავი ოჰაიოს უნივერსიტეტის მანქანების სადგომთან ეგონა, მაგრამ ამის ნაცვლად აღმოაჩინა, რომ უკვე სალამოხანი იყო და „ლაზარუსის“ დიდი მაღაზიის გასწვრივ მიაბიჯებდა. სად გაქრა დრო? ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფულის დასტა ამოაძვრინა. რო-

გორც ჩანდა, საქმე მოეგვარებინა. ეტყობა, ვიღაც გაძარცვა და არ ახსოვდა. რეინოლდსბურგისკენ მიმავალ ავტობუსში ავიდა. ჩენინგუეიში დაბრუნებულმა ფული და საკრედიტო ბარათი კარადის თაროზე დადო და დაიძინა. ნახევარ საათში კარგად გამოძინებულ არტურს გაეღვიძა. უკვირდა, ამდენ ხანს რამ დამაძინაო. იბანავა და ახალ საცვლებს რომ იცვამდა, თაროზე ფული შენიშნა. ნეტავ სად ჯანდაბიდან გაჩნდა? ვიღაცას უშრომია. რა გაეწყობოდა, რადგან ფული ჰქონდა, ახლა ისღა დარჩენოდა, სანოვაგე ეყიდა და ვალები გაესტუმრებინა. ყველაზე მნიშვნელოვანი მანქანის პროცენტის შეტანა იყო. არტურმა გასახლების შესახებ შეტყობინება განზე გასწია. ჯონ ვაიმერმა მისი ბიჭები დაითხოვა და ახლა ბინის ქირას ითხოვდა. ქირა მოიცდიდა. დაე, ეგზავნათ და ეგზავნათ გასახლების ცნობები, სანამ სასამართლოში არ უჩივლებდნენ. იქ ალენი მოსამართლეს ეტყოდა, რომ ამ ხალხმა სამსახურიდან წამოსვლა აიძულა, მერე, რადგან ხელოსნად იწყებდა მუშაობას, თავიანთი ბინების კომპლექსში მოსთხოვეს საცხოვრებლად გადასვლა. ის-ის იყო, კრედიტით ახალი ავეჯი გამოიტანა, რომ სამსახურიდან დაითხოვეს და ქუჩაში გაგდება დაუპირეს. იცოდა, მოსამართლე ბინის შესაცვლელად 90 დღის ვადას მისცემდა. გასახლების შესახებ საბოლოო უწყების მიღების შემდეგაც კი 3 დღე კიდევ ექნებოდა. ეს ალენისთვის ახალი სამსახურის საშოვნელად, ორიოდე დოლარის შესაგროვებლად და ახალი ბინის მოსაძებნად საკმარისი დრო უნდა ყოფილიყო. იმ ღამით ადალანამ უღვაში მოიპარსა. ვერ იტანდა, სახეზე თმა რომ ამოსდიოდა. ტომი ბილის დას შეჰპირდა, რომ შაბათს ფერფილდის ბაზრობის ბოლო დღეს მასთან ერთად, ლანკასტერში გაატარებდა. დოროთი და დელი რესტორანს ამუშავებდნენ და იქაურობის მისალაგებლად დახმარება დასჭირდებოდათ. თაროზე დარჩენილი ცოტაოდენი ფული აიღო და ალენს უთხრა,

ლანკასტერში წამიყვანეო. ბაზრობაზე ქეთისთან ერთად არაჩვეულებრივი დრო გაატარა — კარუსელებზე იტრიალა, ითამაშა, ჰოთ-დოგები მიირთვა და ლუდი სვა. ძველ დროს იხსენებდნენ, ცდილობდნენ, წარმოედგინათ, ახლა რას აკეთებდა ჯიმი დასავლეთ კანადაში თავის ახალ როკჯგუფთან ერთად, ან საჰაერო ძალებში მყოფი ჩელა როგორ იყო. ქეთიმ უთხრა, მიხარია უღვაში რომ მოიპარსეო. რესტორანში რომ დაბრუნდნენ, სადაც დოროთი გრილს უტრიალებდა. ტომი ზურგიდან მიეპარა, ხელობოკილებით ღუმელზე მიაბა და უთხრა:

— თუ მთელი დღე ღუმელთან აპირებ მონასავით ტრიალს, ბარემ აქვე მიგაბამ.

დოროთის სიცილი აუტყდა.

ბაზრობაზე ქეთისთან ერთად ბოლომდე დარჩა. მერე ალენმა მანქანით ჩენინგუეიში წაიყვანა. არტურმა კვირადღე მშვიდად გაატარა, სამედიცინო ლიტერატურას კითხულობდა, ორშაბათს დილით კი ალენი ახალი სამსახურის საძებნელად გაეშურა. მთელი მომდევნო კვირა ვაკანსიებზე რეკვასა და განცხადებების შევსებაში გაატარა, მაგრამ სამსახურში მისთვის არავის დაუძახია.

პარასკევ საღამოს რეიგენი ლოგინიდან წამოხტა, ეგონა, ეს-- ესაა, ჩამეძინაო. კარადასთან მივიდა. ფული, რომელიც აღარც კი ახსოვდა, საიდან იშოვა, გამქრალიყო. თაროდან 25-- კალიბრიანი ავტომატური პისტოლეტი აიღო და ბინა გაჩხრიკა. კარებს ფეხის დარტყმით აღებდა. მძარცველს ეძებდა, მძინარეს ფული რომ მოჰპარა. მაგრამ ბინა ცარიელი იყო. არტურთან დაკავშირება სცადა. პასუხი რომ ვერ მიიღო, გაბრაზებულმა გოჭი-- ყულაბა გატეხა, 12 დოლარი ამოიღო და არყის საყიდლად წავიდა. დაბრუნდა, დაღია და მარიხუანა მოსწია. ვალებზე ისევ ნერვიულობდა და გადაწყვიტა, სულერთია ის ფული როგორ ვიშოვე, კიდევ უნდა გავიმეოროო. რამდენიმე აბი ამფეტამინი მიიღო, პისტოლეტი წელზე დაიმაგრა, სპორტული მაისური და ქურთუკი ჩაიცვა და ისევ დასავლეთისკენ, კოლამბუსისკენ გაძუნძულდა. ოჰაიოს უნივერსიტეტის მანქანების სადგომს დილის რვის ნახევარისთვის მიაღწია. შორს „ბაქის“ ნალის ფორმის ფეხბურთის სტადიონი იცნო. სადგომის პირდაპირ, შუშისა და ბეტონისგან ნაგებ შენობაზე წარწერა: „აპჰემ-ჰოლი“ დაინახა. კარიდან დაბალი, ჩასუქებული მედდა გამოვიდა. ხორბლისფერი კანი ჰქონდა, მაღალი ყვრიმალეები, შავი, გრძელ კუდად შეკრული თმა ზურგზე ეცემოდა. რეიგენს ქალი რატომღაც ეცნო. ალბათ ალენს ეყოლებოდა ნანახი დიდი ხნის წინ სტუდენტურ თავყრილობაზე. რეიგენი გაბრუნდა, მაგრამ სანამ წავიდოდა, ადალანამ შუქიდან გაუშვა...

ღონა უესტი უნივერსიტეტის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ხანგრძლივი სამუშაო დღის შემდეგ დაღლილი იყო. საქმროს უთხრა, საავადმყოფოდან დაგირეკავ და საუბრებზე შეგხვდებიო,

მაგრამ იმ დილას მძიმე ღამის შემდეგ დიდხანს მოუწია მუშაობა და ახლა მხოლოდ იქიდან თავის დაღწევაზე ფიქრობდა. შინ რომ მივიდოდა, სიდნის მერე დაურეკავდა. მანქანების სადგომისკენ რომ წავიდა, ვილაცამ შორიდან დაუძახა და ხელი დაუქნია. დონა მანქანისკენ გაემართა, რომელიც, როგორც ყოველთვის, აპჰემ-ჰოლის მხარეს აკურატულად დაეყენებინა.

— ერთი წუთით! — დაუყვირა ვილაცამ. გაიხედა და ჯინსსა და თხელ ქურთუკში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი დაინახა, რომელიც სადგომის მეორე მხრიდან ხელს უქნევდა.

— რა სიმპათიური ბიჭია, — გაიფიქრა დონამ. რომელიღაც მსახიობს ჰგავდა, გვარს ვერ იხსენებდა.

მუქშუშებიანი მზის სათვალე ეკეთა. დონა უცდიდა. კაცი მივიდა და მთავარი სადგომისკენ მიმავალი გზა ჰკითხა.

— აბა, ასე როგორ აგიხსნათ, — უთხრა დონამ, — იქით მივდივარ. ჩაჯექით და გაგიყვანთ.

კაცი გვერდით მიუჯდა. სანამ დონა უკუსვლით გადიოდა, ქურთუკიდან იარაღი ამოიღო.

— იარე, — უთხრა მან, — აქედან უნდა გამიყვანო.

რამდენიმე წამის შემდეგ დაამატა:

— თუ ისე მოიქცევი, როგორც გეტყვი, არაფერს დაგიშავებ. თუ არადა, დამიჯერე, მკვლელობაზე წამსვლელი ვარ.

„მორჩა“, — გაიფიქრა დონამ, — „ალბათ, მოვკვდები“. იგრძნო, სახებზე ალმური როგორ მოედო, სისხლძარღვები დაუვიწროვდა. შიგნეულობა გვრემდა. ღმერთო, რატომ არ დაურეკა გამოსვლამდე სიდნის?! კიდევ კარგი, იცოდა მაინც, რომ უნდა შეხშიანებოდა. იქნებ პოლიციისთვის ეცნობებინა. გამტაცებელი უკანა სავარძელზე დაგდებულ ჩანთას გადასწვდა. საფულე ამოიღო და მართვის მოწმობას დახედა.

— ინტერსტეიტ-71-ისკენ წადი, დონა.

საფულიდან ათი დოლარი ამოიღო. დონას მოეჩვენა, რომ კაცი ძალიან თეატრალურად იქცეოდა – სათითაოდ დაკეცა კუპიურები და პერანგის ჯიბეში ჩაიწყო. მერე მისი კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და პირთან მიუტანა.

– შემიძლია დავიფიცო, რომ ახლა მოწვევა გინდა, – უთხრა და სანთებელათი მოუკიდა. დონამ შენიშნა, რომ ხელებზე და ფრჩხილებქვეშ რაღაცნაირი ლაქები ჰქონდა. არც ჭუჭყი ჩანდა, არც ტალახი, არც ქონი. რაღაც უცნაური იყო. სანთებელას თითის ანაბეჭდები გულმოდგინედ რომ მოსწმინდა, დონას გული გადაუტრიალდა. ესე იგი, პროფესიონალ, ნასამართლევ დამნაშავესთან ჰქონდა საქმე. კაცმა მისი რეაქცია მაშინვე შენიშნა და უთხრა:

– დაჯგუფების წევრი ვარ, ზოგიერთი ჩვენგანი პოლიტიკურ აქტივობებშია ჩაბმული.

დონას თავიდან ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ კაცი „ტეატჰერმენ“-ზე მიანიშნებდა, თუმცა სახელი პირდაპირ არ უხსენებია. დაასკვნა, რადგან ჩრდილოეთისკენ წაყვანა მიბრძანა, ალბათ კლივლენდისკენ აქვს გეზი, რომ იქიდან გაქცევა შეძლოს. ფიქრობდა, ალბათ ქალაქელი პარტიზანი იყო. როცა კაცმა დელავერის ოლქიდან მოხვევა და საპირისპირო მიმართულებით წამოსვლა უბრძანა, გაუკვირდა. კაცი თითქოს ნაცნობ ადგილას მოხვდაო – მოეშვა და მანქანების თვალსაწიერს რომ მოშორდნენ, უთხრა, გააჩერეო. დონა უესტმა რომ დაინახა, რა უკაცრიელ ადგილას იყო, მიხვდა, რომ მის გატაცებას პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ან გაუპატიურებას უპირებდნენ, ან მოკვლას, ან – ორივეს. კაცი მანქანის სავარძელზე გადაწვა და დონა რაღაც საშინელების მოლოდინში გაიტრუნა.

– ერთი წუთი ასე მინდა ყოფნა, აზრები უნდა დავალაგო, – უთხრა კაცმა.

საჭეზე ხელებდაწყობილი დონა ჩუმად იჯდა, სივრცეს გაჰყურებდა, სიდნისა და თავის ცხოვრებაზე ფიქრობდა და თავს იმტვრევდა, ნეტავ ახლა რა მოხდებაო. ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა.

— რა იყო? გეშინია არ გაგაუპატიურო? — ჰკითხა ვაცმა.

სარკასტულმა ტონმა და სიტყვებმა დონა გამოაფხიზლა.

— ჰო, მეშინია, — მიუგო მან.

— ჰოდა, სულელი ყოფილხარ, ტრაკს უფრთხილდები, იმის მაგივრად, რომ სიცოცხლეს გაუფრთხილდე.

შოკირებულმა დონამ მაშინვე შეწყვიტა ტირილი.

— ღმერთო, მართალი ხარ. სიკვდილის მეშინია.

სათვალის მიღმა მის თვალებს თითქმის ვერ არჩევდა. ვაცს ხმაში სირბილე შეეპარა.

— მოიხსენი თმის სამაგრი.

დონა საჭეს ჩაბლაუჭებული იჯდა.

— თმა გაიშალე-მეთქი.

დონამ თმიდან სარჭი ამოიძრო. ვაცმა ნაწნავი დაუშალა. ეფერებოდა. ეუბნებოდა, რა ლამაზი თმა გაქვსო. უცებ ისევ შეიცვალა. ბევრს და ხმამაღლა ლაპარაკობდა:

— რა ტუტუცი ხარ, ნახე, რაში გაყავი თავი.

— ეგ როგორ?

— შენს თმას დახედე, შენს კაბას. ხო იცოდი, რო ვინმე ჩემნაირს აიკიდებდი. მანქანების სადგომზე დილის რვის ნახევარზე რა გინდოდა? რა ტუტუცი ხარ.

დონამ იფიქრა, თავისებურად მართალიაო. მისი ბრალი იყო, წაყვანა რომ შესთავაზა. რაც მოუვიდოდა, თავისი თავისთვის უნდა დაებრალეზინა. მერე თავი გამოიჭირა და გაიაზრა, რომ ვაცი ცდილობდა მისთვის თავი აქეთ ეგრძნობინებინა დამნაშავედ. ადრეც სმენოდა, რომ მოძალადეებს ასეთი რამ სჩვეოდათ და

ეცადა, არ აჰყლოლოდა. მაგრამ ფიქრობდა, უმწეო რომ ხარ და ში-
შით ლამის კვდები, შეიარაღებულ ტიპს სულ ადვილად შეუძლია
თავი დამნაშავედ გაგრძნობინოსო. მერე გადაწყვიტა, მოხდეს
რაც მოსახდენიაო. „გაუპატიურებაზე უარესიც შეიძლებოდა მომ-
სვლოდა“, – იფიქრა თავისთვის.

– მართლა, – თქვა კაცმა და აზრები უეცრად დაუფრთხო, – მე
ფილი მქვია.

დონამ თავი მიიბრუნა.

კაცმა დაუყვირა:

– ფილი მქვია-მეთქი!

დონამ თავი გაიქნია.

– სულ არ მაინტერესებს, რა გქვია. არც მინდა ვიცოდე.

კაცმა მანქანიდან გადასვლა უბრძანა. ჯიბეებს რომ უჩხრეკ-
და, უთხრა:

– როგორც მედდას, თავს დავდებ, ოხრად სპიდი გექნება.

დონას ხმა არ ამოუღია.

– უკანა სავარძელზე დაჯექი, – უბრძანა კაცმა.

უკანა სავარძელზე რომ ჯდებოდა, დონა სწრაფად ალაპარაკ-
და. იმედი ჰქონდა, ლაპარაკით ყურადღებას გაუფანტავო.

– ხელოვნება გიყვარს? მე – ძალიან. მოყვარული მეთუნე
ვარ, თიხაზე ვმუშაობ.

ისტერიულად ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, მაგრამ კაცს
თითქოს არაფერი ესმოდა. თეთრი კოლგოტი ჩახადა და დონა
თითქმის მადლიერებით განიმსჭვალა მისდამი, მთლიანად გახ-
დით კიდევ უფრო რომ არ დაამცირა.

– არაფერი არ მჭირს იცოდე, – უთხრა კაცმა და ელვა--
შესაკრავი გაიხსნა.

დონა გაოგნდა, კაცი ასეთ რამეს რომ ეუბნებოდა. კინაღამ
დაუყვირა: „მე მჭირს. ათასი რაღაც მჭირს!“ მაგრამ უკვე დარ-

წმუნდა, რომ კაცი ფსიქიკურად დაავადებული იყო და შეეშინდა, კიდევ უფრო არ გაელიზიანებინა. ახლა ყველაზე ნაკლებად დაავადებები აღელვებდა. უნდოდა, ეს ყველაფერი რაც შეიძლება, მალე დამთავრებულიყო. კაცი უცნაურად მალე მორჩა ყველაფერს და უთხრა:

— ფანტასტიკური ხარ, ძალიან აღმაგზნებ.

მანქანიდან გადმოვიდა, მიმოიხედა და დონას უთხრა, ისევ საჭეს მისჯდომოდა.

— პირველად გავაუპატიურე ვიღაც. ახლა მართო პარტიზანი აღარ ვიქნები, უკვე მოძალადეც ვარ.

ცოტა ხნის შემდეგ დონამ ჰკითხა:

— შეიძლება მანქანიდან გადავიდე? ტუალეტში მინდა.

კაცმა თავი დაუქნია.

— ვიღაც რომ მიყურებს, ვერ ვშვრები, ცოტა მოშორებით წადით, თუ შეიძლება.

კაცი მოშორდა და უკან რომ დაბრუნდა, დონამ შენიშნა, რომ უკვე სხვანაირად იქცეოდა. დამშვიდებული ჩანდა, ხუმრობდა. მერე ისევ შეიცვალა, ისევ ისეთი მბრძანებლური ტონი ჰქონდა, როგორც გაუპატიურებამდე. უხეშად ელაპარაკებოდა, იგინებოდა და დონას შეეშინდა.

— ჩაჯექი მანქანაში, — გამოსცრა კაცმა, — გზაზე დაბრუნდი და ჩრდილოეთით წადი. ჩეკები უნდა გაანაღდო და ფული მიშოვო.

დონა რაც შეეძლო სწრაფად ფიქრობდა, ნაცნობ ადგილებში დაბრუნების იმედი ჰქონდა და უთხრა:

— თუ ფული გინდათ, კოლამბუსში დავბრუნდეთ. შაბათს ქალაქგარეთ ჩეკებს ვერ გაანაღდებთ.

დონა კაცის რეაქციას ელოდებოდა. ფიქრობდა, ჩრდილოეთით წასვლა თუ დაიჟინა, ესე იგი, კლივლენდისკენ მივდივართო. მაშინ მანქანით რამეს შევასკდები და იმასაც მოვკლავ

და თავსაც მოვიკლავო. კაცზე გამწარებული იყო და არ უნდოდა, რომ მისი ფული გამოეყენებინა.

— კარგი, — უთხრა კაცმა, — სამხრეთით წადი.

დონას იმედი ჰქონდა, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა, როგორ მოეშვა სიხარულით დონა და გადაწყვიტა, იმედს ბოლომდე ჩაბღაუჭებოდა.

— 23-ე ტრასას გაუყვეთ. მანდ ბევრი ბანკია ჩამწკრივებული და შუადღის შესვენებამდე რომელიმეს მივუსწრებთ.

კაცი ისევ დათანხმდა და დონას იმედი მიეცა, რომ თუკი ბევრს ილაპარაკებდა და გააბრუებდა, შეიძლებოდა ცოცხალი გადარჩენილიყო.

— გათხოვილი ხარ? — ჰკითხა კაცმა უცებ.

ქალმა თავი დაუქნია. მიხვდა, მნიშვნელოვანი იყო, კაცს სცოდნოდა, რომ შინ ვიღაც ელოდებოდა.

— ჩემი ქმარი ექიმია.

— რას შვრება?

— სტაჟიორია.

— ეგ არ მიკითხავს.

— რას გულისხმობთ?

— როგორი კაცია?

ის-ის იყო, სიდნის აღწერა დააპირა, რომ უეცრად მიხვდა, კაცს მისი ქმრის სექსუალური შესაძლებლობები აინტერესებდა.

— თქვენ ბევრად სჯობიხართ, — უთხრა მან. იფიქრა, თუ შევაქვებ, უკეთ მომექცევავო, — ჩემს ქმარს რაღაც პრობლემა აქვს. საქმეს ძალიან დიდხანს უნდება. თქვენ კიდევ ასე სწრაფად მოათავეთ ყველაფერი.

დონა ხედავდა, როგორ ესიამოვნა კაცს მისი სიტყვები და ახლა თითქმის ასი პროცენტით დარწმუნებული იყო, რომ შიზოფრენია სჭირდა და რეალობის შეგრძნება დაკარგული ჰქონდა.

მის მოთაფვლას თუ განაგრძობდა, იქნებ თავი როგორმე დაეძვრინა. კაცი ისევ მისი ჩანთის ჩხრეკვას მოჰყვა — მისი საკრედიტო ბარათი, უნივერსიტეტის კლინიკის საიდენტიფიკაციო ბარათი და ჩეკების წიგნაკი ამოიღო.

— ორასი დოლარი უნდა ავიღო, — თქვა მან, — ერთს ფული სჭირდება. ჩეკი გამომიწერე და ვესტერვილში, შენს ბანკთან მიდი. ბანკში ერთად შევალთ, მაგრამ რამე უცნაურ მოძრაობას თუ გააკეთებ, შენ ზურგსუკან ვიდგები და გესვრი.

ბანკში რომ შევიდნენ, დონა ერთიანად ცახცახებდა. რთული დასაჯერებელი იყო, რომ მოლარეები, რომლებსაც გვერდით ჩაუარა, ვერაფერს ამჩნევდნენ. დონა სახეს მანჭავდა და თვალებს ატრიალებდა, ყურადღების მიპყრობას ცდილობდა, მაგრამ არავის არაფერი შეუმჩნევია. მან საკრედიტო ბარათით ორი ორმოცდაათდოლარიანი გამოიტანა. რომ დაიძრნენ, კაცმა ბანკის ქვითრები დააქუცმაცა და ფანჯრიდან გადაყარა. დონამ უკანა ხედვის სარკეს შეხედა და კინაღამ ნერწყვი გადასცდა — ვესტერვილის პოლიციის მანქანა ზუსტად კუდში მისდევდათ. „ღმერთო“, — გაიფიქრა დონამ და საფეთქელზე მუშტი მოისვა, — „ქუჩის დანაგვიანებისთვის გაგვაჩერებენ“. მისი რეაქციის შემხედვარე კაციც შეტრიალდა და პოლიცია დაინახა.

— ფუ, შენი! ერთი მოვიდნენ ახლოს ეგ ღორები და დედას ავუფეთქებ. ცუდია, მაგის ყურება რო მოგიწევს, მარა ეგ ამბავი ეგრე ხდება. ჯერ მაგათ დავბრიდავ და რამეს თუ იჩალიჩებ, მეორე შენ იქნები.

დონამ წარმოსახვაში თითები გადააჯვარედინა. ლოცულობდა, პოლიციას ფანჯრიდან გადაყრილი ფურცლები არ დაენახა. დარწმუნებული იყო, კაცი ესროდა. პოლიციის „კრუიზერმა“ გვერდით ჩაუარათ, აკანკალებული სავარძელს მიეკრა.

— მოდი, სხვა ბანკი ვიპოვოთ, — უთხრა კაცმა.

რამდენიმე ბანკში იყვნენ, მერე „კროგერ ენდ ბიგ ბერის“ მაღაზიაში. ამაოდ. დონამ შენიშნა, რომ თითოეულ დაწესებულებაში შესვლამდე კაცი აგრესიული და აღგზნებული იყო, მაგრამ შიგნით მაშინვე ცელქ ბავშვად იქცეოდა ხოლმე, გეგონებოდა, ეს ყველაფერი თამაში იყო. კროგერის მაღაზიასა და „რენტრი სენტერში“ მხარზე ხელი გადახვია, ვითომ მისი ქმარი იყო.

— ძალიან გვჭირდება ფული, — უთხრა კლერკს, — ქალაქიდან გავდივართ.

როგორც იქნა, დონამ მოახერხა ავტომატის მეშვეობით ასდოლარიანის განაღდება.

— ნეტა ყველა კომპიუტერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული? — თქვა კაცმა.

დონამ უთხრა, როგორც ჩანს, ბანკის და საბანკო მოწყობილობების მუშაობა კარგად გესმისო. კაცმა უპასუხა:

— ამ ყველაფრის ცოდნა მჭირდება, იმიტომ, რომ ჩემი ჯგუფისათვის ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია. ყველაფერს ერთმანეთს ვუზიარებთ. ჯგუფში თავისი წვლილი ყველას შეაქვს.

დონამ კვლავ დაასკვნა, ალბათ „ჭეატჰერმენ“-ზე, ან რომელიმე ასეთ რადიკალურ ორგანიზაციაზე ლაპარაკობსო. როცა მანქანის ძირზე დაგდებულ „ტაიმის“ გამოცემას დასწვდა და ფურცვლას მოჰყვა, დონა შეეკითხა, პანამის არხის ზავის შესახებ გამოკითხვაზე რა ამრისა ხართო. კაცი დაიბნა და დონა მიხვდა, რომ მან სატელევიზიო ახალი ამბებისა და გაზეთების მთავარი სიახლის შესახებ არაფერი იცოდა. ასეთი კაცი პოლიტიკური აქტივისტი ვერ იქნებოდა.

— პოლიციაში არ წახვიდე, — თქვა მოულოდნელად კაცმა, — მე, ან რომელიმე ჩვენგანი გითვალთვალებთ და ყველაფერს გავიგებთ. მე ალბათ ალჟირში ვიქნები, მაგრამ ვინმე სხვას დავავა-

ლებ. ასე ვმუშაობთ. ყველანი ერთმანეთზე ვბრუნავთ. ჩემი საძ-
მო გაგისწორდება.

დონას უნდოდა, კაცს ელაპარაკა და ყურადღება გაფანტვო-
და, მაგრამ იფიქრა, სჯობს, პოლიტიკას მოვერიდო.

— ღმერთის გწამს? — ჰკითხა და იფიქრა, ეს ისეთი თემაა, კაცი
საათობით ილაპარაკებსო.

— გგონია, ღმერთი არსებობს? — დაუყვირა მან და იარაღი
პირდაპირ სახეში მიუშვირა, — აბა, ახლა გეხმარება რამეში?

— არა, — ამოილულულა დონამ, — მართალი ხართ, ახლა
ნამდვილად არაფერს მშველის.

კაცი უცებ დამშვიდდა და ფანჯრიდან გაიხედა.

— რელიგიის ამბავში მაგარი აჭრილი ვარ. არ დაიჯერებ, მაგ-
რამ იუდეველი ვარ.

— ვაჰ, — დაუფიქრებლად წამოსცდა დონას, — რა უცნაურია,
ებრაელს არ გავხართ.

— მამაჩემი იყო ებრაელი.

კაცი ალაქლაქდა. ახლა ნაკლებად ბრაზიანი ჩანდა. თუმცა
ბოლოს დაასკვნა:

— რელიგია მაგარი ბოდვაა.

დონა ხმას არ იღებდა. რელიგია შესაფერისი თემა არ აღმოჩ-
ნდა.

— იცი, — ნაზად უთხრა კაცმა, — მართლა ძალიან მომწონხარ,
დონა. ცუდია, რომ ასეთ ვითარებაში შევხვდით ერთმანეთს.

დონამ დაასკვნა, რომ კაცი მოკვლას არ უპირებდა და გადაწ-
ყვიტა, პოლიციას მის დაჭერაში დახმარებოდა.

— მშვენიერი იქნებოდა, კიდევ თუ შევხვდებოდით, — უთხრა
დონამ, — დამირეკეთ... მომწერეთ... ბარათი გამომიგზავნეთ. თუ
თქვენი სახელის მიწერა არ გინდათ, „პ“, ან „პარტიზანისაგან“
მიაწერეთ.

— მერე, შენი ქმარი?

„აჰა, დავიჭირე“, — იფიქრა დონამ, — „გაბრიყვდა“.

— ჩემს ქმარზე თქვენ არ ინერვიულოთ, მე მოვუვლი. მომწერეთ, დამირეკეთ. გამიხარდება, ისევ თუ შემომეხმიანებით.

კაცმა უჩვენა, ბენზინი თითქმის გაგითავდაო და შესთავაზა, ბენზინგასამართ სადგურთან მივიდეთ და ავავსოთო.

— არა, იყოს, მეყოფა.

დონას იმედი ჰქონდა, საწვავი გამოილევდა და კაცს მანქანიდან გადასვლა მოუწევსო.

— იმ ადგილიდან, სადაც დღეს აგიყვანე, შორს ვართ?

— არა, აქვეა.

— იქ დამაბრუნე.

დონამ თავი დაუქნია. ფიქრობდა, რამდენად ღირდა იქ დაბრუნება, სადაც ყველაფერი დაიწყო. სტომატოლოგიურ კოლეჯთან მანქანა გააჩერებინა. უთხრა, ბენზინისთვის ხუთ დოლარს დაგიტოვებო. დონამ ფული გამოართვა და შეინახა. მერე ნაზად შეხედა:

— მართლა ვწუხვარ, ასეთ ვითარებაში რომ შევხვდით ერთმანეთს, — წაიჩურჩულა მან ისევ, — მართლა ძალიან მომწონხარ.

კაცი მაგრად მოეხვია, მანქანიდან გადავიდა და გაიქცა.

შაბათი იყო, დღის პირველი საათი, როცა რეიგენი ჩენინგუეის დასახლებაში დაბრუნდა. მომხდარის შესახებ არც ახლა ახსოვდა რამე. ფული ბალიშის ქვეშ ამოიღო, იარაღი კი გვერდით, მაგიდაზე დადო.

— პული ჩემტან არის, — თქვა და ჩაეძინა.

ალენმა იმ საღამოს გვიან გაიღვიძა, ბალიშის ქვეშ ორასი დოლარი იპოვა და ფიქრობდა, ნეტავ საიდან გაჩნდაო. რეიგენის იარაღი რომ დაინახა, მიხვდა.

— ვაჰ, ბიჭს მაგარი დრო უტარებია, — თქვა მან. იბანავა, სამი დღის გაუპარსავი წვერი გაიპარსა, ჩაიცვა და სავახშომოდ გავიდა.

რეიგენს სამშაბათ საღამოს გაეღვიძა, იფიქრა, ერთი-ორი საათი მეძინაო. სწრაფად შეყო ხელი ბალიშის ქვეშ და ნახა, რომ ფული ისევ გამქრალიყო. მას კი ვერც ქირის გადახდა მოესწრო და ვერც რამის ყიდვა. ისევ კითხვების დასმას შეუდგა და ამჯერად ტომისა და ალენს მიაწვდინა ხმა.

— ჰო, — უთხრა ალენმა, — დავინახე, იქ რომ ფული იდო. არ ვიცოდი, დახარჯვა რომ არ შეიძლებოდა.

— სახატავები ვიყიდე, — თქვა ტომიმ, — გვჭირდებოდა.

— იდიოტებო! — იყვირა რეიგენმა, — იმიტო მოვიპარე, კირა რომ გადაგვეხადა. რომ საჩმელი გვეკიდა. მანკანის პული მიგვეცა.

— მერე, არტური სად არის? — იკითხა ალენმა, — ვერ გაგვაფრთხილა?

— არტურს ვერ ვპოულობ. სადგაც სამეცნიერებო რაგაცებს აკეტებს იმის მაგივრათ, რომ შუკი აკონტროლოს. მე პულის შოვნა მეხება.

— ახლა რა უნდა ქნა? — ჰკითხა ტომიმ.

— კიდევ ვიზამ. ბოლო დჟერია. პულს ხელი არავინ აგარ ახლოს.

— ჯანდაბა, — თქვა ალენმა, — ვერ ვიტან ამ არეულობას.

ოთხშაბათს, 26 ოქტომბრის დილას რეიგენმა ტყავის ქურთუკი ჩაიცვა და მესამედ გაუდგა გზას ქალაქ კოლამბუსის გავლით ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტისაკენ. ფული უნდა ეშოვა. ვინმე უნდა გაეძარცვა. სულერთი იყო, ვინ. ასე, რვის ნახევარზე გზაჯვარედინზე შეჩერდა. იქვე გაჩერდა პოლიციის მანქანაც. რეიგენმა იარაღის ტარი ჩაბლუჯა. პოლიციელებს შეიძლება ფული ჰქონოდათ. მათკენ რომ დაიძრა, მანქანამ ფარები აანთო და იქაურობას გაეცალა. რეიგენი ისტ ვუდრაფ-ავენიუს გაუყვა და მიმზიდველი ქერა ქალი დაინახა, ცისფერ „კორვეტს“ აგურის შენობასთან რომ აჩერებდა. შენობის კედელზე „ტყუპები“ წაეწერათ. რეიგენი ქალს მანქანების უკანა სადგომამდე მიჰყვა. დარწმუნებული იყო, რომ ქალმა ვერ დაინახა. ქალის გაძარცვას სხვა დროს არ განიხილავდა, მაგრამ ახლა სასოწარკვეთილი იყო. ამას ბავშვებისათვის აკეთებდა.

— მანქანაში ჩადუეკი.

ქალი გაოცებული შემობრუნდა.

— რა?

— იარაგი მაკვს, სადგაც მინდა მიმიკვანო.

შეშინებული ქალი მითითებებს მაშინვე დაემორჩილა. რეიგენი მგზავრის ადგილას დაჯდა და ორი იარაღი ამოაძრო. მერე ადალანა გამოვიდა და რეიგენი მესამედ გაუშვა შუქიდან...

ადალანა ღელავდა, არტურს არ აღმოეჩინა, რომ რეიგენის დროს სწორედ ის იპარავდა. გადაწყვიტა, რომ თუ რეიგენს დაიჭერდნენ, ყველაფერს მასვე დააბრალებდნენ. რადგან შუქზე სწორედ ის იყო იარაღით გამოსული და მართლაც აპირებდა ყაჩაღობის ჩადენას, ეჭვი არავის შეეპარებოდა, რომ ყველაფერი

რეიგენის ჩადენილი იყო. თუ ვერაფერს გაიხსენებდა, ეს არაყსა და ნარკოტიკებს დაბრალდებოდა. ადალანა რეიგენს პატივს სცემდა, მოსწონდა მისი აგრესიულობა და ამავე დროს, ქრისტიანის მიმართ გამოჩენილი სინაზე. ნატრობდა, რეიგენის ზოგიერთი თვისება მასაც ჰქონოდა. ქალს „კორვეტი“ რომ მიჰყავდა, ადალანა თავის წარმოდგენაში რეიგენივით ლაპარაკობდა.

— ამ ოფისთან მინდა შეაჩერო, — უთხრა მან, — უკანა სადგომზე ლიმიზინი უნდა ეყენოს.

ლიმიზინი რომ დაინახეს, ადალანამ იარაღი აიღო და მანქანას დაუმიზნა.

— ამ მანქანის პატრონის მოკვლას ვაპირებ. აქ რომ ყოფილიყო, უკვე მკვდარი იქნებოდა. კოკაინს ყიდის და შემთხვევით გავიგე, რომ ერთხელ კოკაინის დოზით პატარა გოგონა მოკლა. ბავშვებს სულ ასე ექცევა და ამიტომაც ვუპირებ მოკვლას.

ადალანამ ქურთუკის ჯიბეში რაღაც იგრძნო. იქ ტომის ხელბორკილები დახვდა. ამოიღო და ძირს დადო.

— რა გქვია? — ჰკითხა ადალანამ.

— პოლი ნიუტონი.

— პოლი, ვხედავ, ბენზინი გითავდება. ამ ჯიხურთან მიაყენე.

ადალანამ ხუთი გალონი ბენზინი იყიდა და პოლის უთხრა, ჩრდილოეთისკენ წასულიყო. იარეს, სანამ უორთინგტონს არ მიადგნენ. იქ ადალანამ დაიჟინა, სანაყინესთან გაფრედეთ და თითო კოკა-კოლა დავლიოთო. გზა რომ გააგრძელეს, ადალანამ მარჯვენა მხარეს მდინარე დაინახა, ზედ ძველი ხიდი იყო გადებული. იცოდა, პოლი ნიუტონი სახეზე ყურადღებით აკვირდებოდა, ალბათ ცდილობდა, მისი გარეგნობა დაემახსოვრებინა, რომ მერე პოლიციისთვის აეწერა. ადალანა ლაპარაკობდა, ვითომ რეიგენი იყო. ისტორიებს იგონებდა. ეს არტურსა და დანარჩე-

ნებს დააბნევდა და კვალს აურევდა. ვერავინ გაიგებდა, რომ ადალანა შუქზე გამოვიდა.

— სამი კაცი მყავს მოკლული, მაგრამ ომის დროს მეტი დავხოცე. ტერორისტული დაჯგუფება „ტეატჰერმენ“-ის წევრი ვარ და კოლამბუსში გუშინ ღამით ჩამომსვეს მისიის შესასრულებლად. კაცი უნდა გამექრო, რომელიც სასამართლოზე ჩვენი დაჯგუფების საწინააღმდეგო ჩვენებით უნდა გამოსულიყო. უნდა გითხრა, რომ მისია წარმატებით შევასრულე.

პოლი ნიუტონი ჩუმად უსმენდა და თავს უქნევდა.

— მეორე ცხოვრებაც მაქვს, — ტრაბახობდა ადალანა, — ბიზნესმენი ვარ. გამოვეწყობი ხოლმე და „მაზერატის“ ვატარებ.

უკაცრიელ სოფლის გზაზე რომ გადავიდნენ, ადალანამ პოლი აიძულა, ღრმა თხრილზე გადასულიყო, სარეველამოდებული მინდორი გადაეჭრა და პატარა გუბურასთან გაეჩერებინა. ადალანა მასთან ერთად გადავიდა მანქანიდან, წყალს და იქაურ მიდამოს გადახედა და მანქანის კაპოტზე ჩამოჯდა.

— ოცი წუთი მინდა დავიცადო, სანამ სადმე ჩამოვალ.

პოლიმ შვებით ამოისუნთქა.

— და თან შენთან სექსი მინდა, — დაამატა ადალანამ.

პოლი ატირდა.

— არ გატკენ. ისეთი არ ვარ, ქალებს რომ სცემენ და მიაგდებენ ხოლმე. იმაზეც კი ცუდად ვხდები, ქალებთან ასეთი მოპყრობის შესახებ რომ ვიგებ. მისმინე, როცა გაუპატიურებენ, არ უნდა იკივლო და წიხლები არ უნდა იქნის. ამაზე მოძალადე კიდევ უფრო გიჟდება და მხეცდება. ყველაფერს სჯობს, მოდუნდე, უკან გადაწვე და უთხრა: „მიდი“ და არაფერს გავნებს. ცრემლებზე კი გული მიჩუყდება, — უთხრა ადალანამ, — მაგრამ არჩევანი არ გაქვს. ამას მაინც გავაკეთებ.

მანქანიდან ორი პირსახოცი აიღო და პოლის ქურთუკთან ერთად ძირს დააფინა.

— დაწეი, ხელები მიწაზე დააწყვე, ცაში აიხედე და ეცადე, მოდუნდე.

პოლი ისე მოიქცა, როგორც უთხრეს. მერე ადალანა გვერდზე მიუწვა, ბლუზა და ბიუსტჰალტერი შეუხსნა და აკოცა.

— დაფეხმძიმების ან რამე ასეთის არ შეგეშინდეს, — უთხრა მან, — ჰანტინგტონი მაქვს გადატანილი და ვაზექტომია ჩამიტარეს. ნახე.

ადალანამ სპორტული შარვალის ჩაიხადა და პოლის ბოქვენზე, ზედ პენისის თავზე, ნაიარევი უჩვენა. სინამდვილეში, ეს ვაზექტომია კი არა, ბოქვენის დიაგონალური ნასერი იყო, თიანჭრისგან რომ დარჩა. ადალანა გვეიდან რომ გადააწვა, პოლიმ იკვილა:

— არა, გთხოვ, არ გამაუპატიურო!

ამ „გამაუპატიურომ“ ადალანა ღრმად შეძრა. ახსოვდა, რა დაემართათ დეივიდს, დენისა და ბილის. ღმერთო, რა საშინელება იყო ეს გაუპატიურება.

ადალანა შეჩერდა, ზურგზე გადაგორდა და თვალცრემლიანმა ცაში აიხედა.

— ბილ, — თქვა მან ხმამაღლა, — რა გემართება? თავი ხელში აიყვანე.

ადგა და პირსახოცები ისევ მანქანაში ჩაალაგა. მერე წინა სავარძლიდან უფრო დიდი იარაღი აიღო და ლუდის ბოთლი გუბურაში ისროლა, მაგრამ თავიდან იარაღმა არ გაისროლა. მერე ისევ სცადა — ორჯერ ესროლა ლუდის ბოთლს და ორჯერვე ააცილა. ეჰ, რეიგენისნაირი ჩუბინი ნაღდად ვერ იყო.

— სჯობს, წავიდეთ, — უთხრა ადალანამ.

გზას რომ გაუდგნენ, ადალანამ ფანჯარა ჩამოსწია და სატელეფონო ჯიხურს ორჯერ ესროლა. მერე პოლის ჩანთა გაჩხრიკა.

— საიდანმე ფული უნდა ვიშოვო. ასე ორასი დოლარი, — და პოლის საკრედიტო ბარათი გაუწოდა, — „კროგერში“ წავიდეთ და გავანაღდოთ.

„კროგერში“ პოლიმ ას ორმოცდაათი დოლარის განაღდება მოახერხა. მერე ნორთ ჰაი-სტრიტზე სახელმწიფო შემნახველ ბანკს მიადგნენ. ჩეკის განაღდებაზე უარი უთხრეს. საბოლოოდ, რამდენიმე ამაო ცდის შემდეგ ადალანამ პოლის შესთავაზა, მამისის „იუნიონ კომპანის“ ბარათით ესარგებლათ. გრეისლენდის სავაჭრო ცენტრში ორმოცდაათი დოლარის ჩეკი გაანაღდეს.

— კიდევ ერთი ჩეკი შეგვიძლია გავანაღდოთ, — შესთავაზა ადალანამ, — და შენ აიღე.

ადალანას უეცრად სურვილმა წამოუარა, ჩეკების წიგნაკიდან ფურცელი ამოხია და პოლის ზედ ლექსი დაუწერა, მაგრამ წერას რომ მორჩა, უთხრა:

— ამას ვერ მოგცემ, პოლიციამ შეიძლება ამით ჩემი ხელწერა დაადგინოს.

ჩეკი დახია და მერე პოლის კონტაქტების წიგნაკიდან ამოხია ფურცელი.

— ამ ფურცელს შევინახავ, — თქვა ადალანამ, — თუ პოლიციას ჩემზე შეატყობინებ, ან აღწერილობას მისცემ, ფურცელს „WEATHERMEN“-ს გაუგზავნი, კოლამბუსში ჩამოვლენ და ოჯახს ამოგიხოცავენ.

სწორედ ამ დროს ადალანამ დაინახა, როგორ ჩაუარა გვერდით პოლიციის მანქანამ, დაფრთხა და შუქიდან გასხლტა...

ფილიპი გონს რომ მოვიდა, მოძრავი მანქანის ფანჯრიდან იყურებოდა. შეტრიალდა და საჭესთან ვიღაც უცნაური ახალგაზრდა ქერა ქალი დაინახა.

— აქ რა ჩემი ფეხები მინდა? — თქვა ხმამაღლა, — ფილ, სად ამოყავი თავი, ჯიგარო?

— ფილი გქვია თუ ბილი?

— არაა, ფილი... — და მიმოიხედა, — რა ჭირი ხდება აქა? ორი წუთის წინ...

მერე ტომი გამოვიდა, პოლის შეხედა და გაუკვირდა, აქ რას აკეთებსო. იქნებ რომელიმეს პაემანი ჰქონდა? საათს დახედა, თითქმის შუადღე იყო.

— გშია? — ჰკითხა ტომიმ.

პოლიმ თავი დაუქნია.

— აქვე „ვენდისია“. წამო, ჰამბურგერები და კარტოფილი ავიღოთ.

პოლიმ შეუკვეთა და ბილიმ გადაიხადა. ჭამდნენ და პოლი თავის თავზე ელაპარაკებოდა, მაგრამ ტომი არ უსმენდა. ეს მისი გოგო არ იყო. უბრალოდ, უნდა მოეცადა, სანამ ის არ გამოვიდოდა, ვისაც ეს გოგო სადმე მიჰყავდა.

— სადმე კონკრეტულ ადგილას გინდა ჩამოგსვა? — ჰკითხა გოგომ.

ტომიმ შეხედა.

— სადმე კამპუსთან.

ვისი პაემანიც არ უნდა ყოფილიყო, ტომი კარგად გაერთო. მანქანასთან რომ დაბრუნდნენ, თვალები დახუჭა...

აღენმა სწრაფად შეხედა საჭესთან მჯდარ ახალგაზრდა ქალს, ჯიბეში იარაღი და ფულის დასტა მოსინჯა.

ღმერთო, არა რა...

— მისმინე, — უთხრა აღენმა, — რაც არ უნდა მექნა, ვწუხვარ. მართლა ვწუხვარ. შენთვის ხომ არაფერი მიწყენინებია, არა? არ მისცე, რა, პოლიციას ჩემი აღწერილობა, ხო?

პოლი მიაჩერდა. ალენი მიხვდა, რომ თუ გოგო პოლიციაში წავიდოდა, კვალი უნდა აერია.

— პოლიციას უთხარი, რომ ვენესუელელი ტურა-კარლოსი ვარ.

— „ტურა-კარლოსი“ ვინ არის?

— კარლოსი მკვდარია, მაგრამ პოლიციამ ამაზე ჯერ არაფერი იცის. უთხარი, რომ კარლოსი ვარ და ალბათ დაგიჯერებენ.

მანქანიდან გადმოხტა და იქაურობას სწრაფი ნაბიჯით მოშორდა...

შინ დაბრუნებულმა რეიგენმა ფული დათვალა და განაცხადა:

— პულზე ხელის ხლება არ გაბედოტ არავინ. იმიტომ ეს პული გავდმარცვე, რომ გადასახადები გადავიხადო.

არტურმა თქვა:

— ერთი წუთით, გადასახადები უკრაში რომ ფული ვიპოვე, იმით დავფარე.

— რა? რატომ მე არ მიტხარი? რისთვის დავდივარ და ეს ხალხი ვდმარცვა?

— მე მეგონა, ფულს რომ ვერ დაინახავდი, მიხვდებოდი.

— მერე? და მეორე დაკაჩაგების პული სად არის? სადგაც ცავი-და, მაგრამ გადასახადებში არა.

— ბიჭებმა ხომ უკვე აგისნეს.

რეიგენი თავს გაბრიყვებულად გრძნობდა და ბინიდან გაცოფებული გავარდა გარეთ. მოითხოვა, აეხსნათ, მის დროს ვინ იპარავდა.

არტური ტომის, კევისა და ფილიპს დაუკავშირდა, მაგრამ ყველამ იუარა — რეიგენის დრო ჩვენ არ მოგვიპარავსო. ფილიპმა მანქანაში ნანახი ქერა გოგო აუწერა.

– ჩირლიდერის⁴ ტანზე იდგა.

– შუქზე გამოსვლის ნება არ გქონდა, – უთხრა არტურმა.

– რა ჩემ ფეხებად მინდოდა რო? თვალები გავახილუე და იმ ოხერ მანქანაში ვიჯექი, გვერძე კიდე ის ნაშა მეჯდა. როგორც კი დავწვი, რა ხდებოდა, ეგრევე დავტყდი.

ტომიმ უთხრა, რომ ეგონა, ის გოგო რომელიმეს ხვდებოდა და „ვენდისში“ ჰამბურგერი უყიდა.

– მარა ეგ ერთი ოცი წუთი ხდებოდა. ფული უკვე ჯიბეში მქონდა.

– რამდენიმე დღე ყველანი შინ დარჩით, უნდა გავარკვიოთ, რა ხდება. აქედან ვერავინ გავა, სანამ არ შევიტყობთ, რეიგენს დროს ვინ ჰპარავდა, – თქვა არტურმა.

– ხვალ დოროთის და დელს ქორწინების ოთხი წლისთავი აქვთ, – თქვა ტომიმ, – ქეთიმ დამირეკა და გამახსენა. დავპირდი, ლანკასტერში შეგხვდები-მეთქი, საჩუქარი უნდა ამარჩევინოს.

არტურმა თავი დაუქნია.

– კარგი, დაურეკე და უთხარი, რომ შეხვდები, მაგრამ ბევრ ფულს ნუ წაიღებ თან. მხოლოდ საჭირო ოდენობა იქონიე და როგორც კი მოახერხებ, შინ დაბრუნდი.

მერე დღეს ტომი ქეთისთან ერთად ლანკასტერში საყიდლებზე წავიდა. ხავერდის ყაითნებით გაწყობილი საწოლის ლამაზი გადასაფარებელი იყიდეს საჩუქრად. ქეთიმ ახსენა, თოთხმეტი წლის წინ ბუსტად ამ დღეს გახდა დედაჩვენი მისის ჩალმერ მილიგანიო. დოროთისა და დელთან ვახშმისა და ქეთისთან ერ-

⁴ CHEERLEADER (ინგლ.) – სპორტული გუნდის მხარდამჭერ მოცეკვავეთა გუნდის ლიდერი (სტერეოტიპი – მოკლე ქვედაკაბაში გამოწყობილი, კარგი აგებულების მქონე ახალგაზრდა ქალი).

თად მშვიდი, წყნარი სტუმრობის შემდეგ ტომი მანქანაში ჩაჯდა და ალენს დაელოდა, რომ გამოსულიყო და ჩენინგუეიში წაეყვანა. როგორც კი ალენი შინ დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა... და დევიდს გაეღვიძა. არ იცოდა, თავს ასე ცუდად რატომ გრძნობდა. რაღაც ისე ვერ იყო, მაგრამ რა, არ იცოდა. ოთახში დადიოდა და ცდილობდა, არტურს, ალენს, ან რეიგენს დაკავშირებოდა, მაგრამ არავინ ჩანდა. ყველა ერთმანეთზე გაბრაზებული იყო. მერე ტახტის ქვეშ ცელოფნის პარკში რეიგენის ტყვიები დაინახა. იარაღი წითელი სკამის ქვეშ იდო. დევიდი მიხვდა, რომ საქმე ძალიან ცუდად უნდა ყოფილიყო, რადგან რეიგენი იარაღს მუდამ ჩაკეტილს ინახავდა. გაახსენდა, არტური რომ ეუბნებოდა ხოლმე, თუ რამე უბედურება ხდება, ვიღაც რამე ცუდს აკეთებს და ხმას ვერავის აწვდენ რომ დაგეხმაროს, „ბობიებს“ დაურეკეო.

იცოდა, რომ „ბობიებს“ არტური პოლიციას ეძახდა. ტელეფონის გვერდით რომ ფურცელი იდო, იქ პოლიციის ნომერი დაუწერა. ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა. ვიღაც კაცმა რომ უპასუხა, დევიდიმა უთხრა:

— აქ ვიღაც ცუდ რამეებს შვება. რაღაც ხდება. ყველაფერი ცუდად არის.

— სად ხარ?

— ოლდ ლივინგსტონ ავენიუზე, ჩენინგუეის დასახლებაში. აქ რაღაც საშინელება ხდება. მაგრამ არავის უთხრათ, რომ დაგირეკეთ.

მერე დაკიდა. ფანჯრიდან გაიხედა და ჩამოწოლილი ნისლი დაინახა. შეეშინდა. რამდენიმე წუთში შუქიდან გავიდა. დენი გამოვიდა და მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბნელდებოდა, ხატვას შეუდგა. მერე სასტუმრო ოთახში ტელევიზორს მიუჯდა. კარზე კაკუნი რომ მოესმა, გაოცდა. ჭუჭრუტანაში ვიღაც კაცი დაინახა,

ხელში პიცის ჭადრაკულად მოხატული ყუთი ეჭირა. დენიმ კარი გაუღო და უთხრა:

— პიცა არ შემიკვეთავს.

დენი ცდილობდა დახმარებოდა კაცს, რომელიც ბილის ეძებდა, მან კი უცებ კედელს მიანარცხა და შუბლზე იარაღი მიადო. კარიდან შეიარაღებული პოლიციელები შემოცვივდნენ და ლამაზმა ქალმა უთხრა, დუმილის უფლება გაქვსო. ისიც დადუმდა. მერე ორმა კაცმა მანქანაში ჩასვა და ფაფასავით ნისლში ნელი სვლით წაიყვანეს პოლიციის ოფისისკენ. დენის წარმოდგენა არ ჰქონდა, რატომ დააპატიმრეს, ან რა ხდებოდა. იჯდა ციხის საკანში, სანამ დე ვიდი არ გამოვიდა, რომ წრებზე მორბენალი ტარაკნებისთვის ეყურებინა. დეივიდი ელოდა, რომ მალე არტური, რეიგენი ან ალენი გამოვიდოდა და დაიხსნიდა. იცოდა, რომ არ უცვლქია. ცუდი არაფერი გაუკეთებია.

წიგნი მესამე - მეშლილობის მიღმა

თავი მეოცე

1

1979 წლის დასაწყისში მწერალი ბილი მილიგანს ათენის ფსიქიატრიული ჯანდაცვის ცენტრში ხშირად აკითხავდა. როცა მასწავლებელი წარსულზე ესაუბრებოდა და დანარჩენების ნანახის, ნაფიქრისა და ნამოქმედარის შესახებ უყვებოდა, ყველა (გარდა შონისა, რომელიც ყრუ იყო) ყურადღებით უსმენდა თავის ისტორიას. მასწავლებელს, რომელიც სახელ „ბილიზე“ რეაგირებდა, თავდაჯერება სულ უფრო ემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ როცა მწერალს არ ესაუბრებოდა, დროდადრო გადიოდა და მის ნაცვლად სხვა გამოდიოდა, გრძნობდა, რომ რაც უფრო დიდხანს შეინარჩუნებდა მთლიანობას და თავიდან აიცილებდა არეულობის გამომწვევ აგრესიასა და შიშს, მით უფრო მალე მოახერხებდა გამთლიანებულობას და ახალი ცხოვრება დაეწყო. განკურნების შემდეგ ახალი ცხოვრების დაწყებას კი ნახატების გაყიდვით შეგროვებული ფულით შეძლებდა. ბილი კითხულობდა, სამედიცინო ლიტერატურას ეცნობოდა, სპორტულ დარბაზში ვარჯიშობდა, შენობის ირგვლივ ძუნძულებდა და ხატავდა. არტურის პორტრეტის მონახაზი გააკეთა და დენის, შონის, ადალანასა და ეიპრილის პორტრეტები დახატა. უნივერსიტეტის საკანცელარიო მაღაზიაში მოლევკულების მოდელები იყიდა და დამოუკიდებლად სწავლობდა ქიმიას, ფიზიკასა და ბიოლოგიას. მოკლე დისტანციაზე მომუშავე პერსონალური რადიომოწყობი-

ლობა იყიდა და ღამ-ღამობით პალატიდან მაუწყებლობა დაიწყო — სხვა რადიომოყვარულებს ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდებდა. როცა ადგილობრივ გაზეთში წაიკითხა, რომ „ჩემი დის სახლს“ — ათენში არსებულ ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებადამცველ ორგანიზაციას გადასახადების გადახდა აღარ შეეძლო და დახურვა ემუქრებოდა, მათთვის ასი დოლარი გაიღო. მაგრამ როცა ორგანიზაციაში გაიგეს, ვისი გადარიცხული იყო ეს თანხა, მიღებაზე უარი განუცხადეს.

ათ იანვარს, ათენში გადაყვანიდან თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ, ბილიმ „ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთა ფონდის“ სახელზე საბანკო ანგარიში გახსნა და პირველადი შენატანის სახით ათასი დოლარი გადარიცხა. ეს ხუთნიშნა ჰონორარის ნაწილი იყო, იმ კოლამბუსელი ქალისგან რომ მიიღო, რომელიც სამხატვრო გალერეის გახსნას გეგმავდა და ათენის ფსიქიატრიული ჯანდაცვის ცენტრში „ქეთლინის პორტრეტის“ საყიდლად რომ მივიდა. მერე ბამპერზე დასაკრავი სტიკერები დააბეჭდინა, სადაც ყვითელ ფონზე შავი ასოებით ეწერა:

„ჩაეხუტეთ თქვენს ბავშვს დღესვე — ეს სულ ადვილია. გთხოვთ, დამეხმაროთ ბავშვებზე ძალადობის დამარცხებაში. ბილი“.

ბილი ხშირად ესაუბრებოდა ახალგაზრდა მდედრობითი სქესის პაციენტებს. მედდებმა და ტექნიკურმა სპეციალისტებმა იცოდნენ, რომ ქალები ბილის ეპრანჭებოდნენ, მისი ყურადღების მიპყრობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მედდა პეტ პერიმ შენიშნა, რომ როცა ბილი მასთან იყო და ესაუბრებოდა, მერი, ყოფილი სტუდენტი-ანთროპოლოგი დეპრესიული მდგომარეობიდან გამოდიოდა. ბილი მერის გონიერების წინაშე ქედს იხრიდა, რჩევას ხშირად ეკითხებოდა და საკუთარსაც უზიარებ-

და. იანვარში მერი რომ გაწერეს, ბილის ენატრებოდა, თუმცა მერი დაჰპირდა, შენს სანახავად მოვალ ხოლმეო. როცა მერის, ექიმ კოლს ან მწერალს არ ესაუბრებოდა, მასწავლებელს დახურულ სივრცეში ყოფნა ბებრდებოდა და აღიზიანებდა და დენის, დევიდის, ან ფრაგმენტული ბილის სახით გამოდიოდა ხოლმე. სხვა პაციენტებთან ურთიერთობა ასე უფრო ეადვილებოდა. ბილისთან დაახლოებულმა ზოგიერთმა თანამშრომელმა შენიშნა, რომ როცა ის დენი ან დევიდი იყო, სხვა პაციენტების მიმართ განსაკუთრებული თანაგანცდის უნარი ეძლეოდა. იცოდა, რატომ იყვნენ გაბრაზებულები, გულნატკენები, ან შეშინებულები. როცა პანიკის, ან ისტერიის მდგომარეობაში მყოფი რომელიმე ახალგაზრდა ქალი ღია განყოფილებიდან გარბოდა, ხშირად ბილიმ იცოდა, სად უნდა ეპოვათ იგი.

— დევიდი და დენი ემპათიის უნარით აღჭურვილი ჩემი ნაწილებია, — აუხსნა მასწავლებელმა მწერალს, — გრძნობენ, საიდან მოდის ტკივილი. როცა ვიღაც ნაწყენია და გარბის, მათ ადგილსამყოფელზე თითქოს ღუბაა ჩაშვებული. ასე პოულობენ დენი ან დევიდი იმ ადგილებს.

ერთ საღამოს, ვახშმის შემდეგ, დევიდი სასტუმრო ოთახში იჯდა, როცა უეცრად წარმოიდგინა, რომ ერთ-ერთი პაციენტი ქალი პალატიდან გამოვარდა და კიბეს მივარდა. რეიგენი, რომელიც ასეთი რამეების წარმოდგენის გამო დევიდს ყოველთვის უცნაურად თვლიდა, მიხვდა, რომ ეს მართლა ხდებოდა. შუქზე გამოვიდა, კორიდორი გაირბინა, საფეხურებზე აიჭრა, კარი გამოაღო და მიმღებში შევარდა. ქეთრინ გილოტი, ტექნიკური სპეციალისტი, რომელიც გასასვლელთან მდებარე კაბინეტში იჯდა, წამოხტა და რეიგენს გაეკიდა. კორიდორის ბოლოში ზუსტად იმ წამს მიირბინა, როცა რეიგენმა მოაჯირიდან უკვე გადამხტარ გოგონას ხელი სტაცა. მერე მაგრად ჩაბღუჯა და ხელში ატატებული

ზევით აიყვანა. როცა გილოტი გოგონას პალატაში შეუძღვა, რეიგენი გაქრა...

დევიდმა მკლავებში ტკივილი იგრძნო.

ცნობიერების კონტროლის გასაძლიერებელ ზოგად თერაპიასთან ერთად, რომელსაც დასაწყისიდანვე მიმართავდა, ექიმი კოლი ბილის დაძაბულობის მოსახსნელად ჰიპნოთერაპიას უტარებდა და თვითშთაგონების ტექნიკას ასწავლიდა. ყოველკვირეულმა ჯგუფურმა თერაპიამ, რომელსაც ორ სხვა მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე პაციენტთან ერთად ესწრებოდა, ბილის საშუალება მისცა, სხვებზე დაკვირვების გზით საკუთარ თავზე მეტი გაეგო. პიროვნებები მასში უფრო და უფრო იშვიათად მონაცვლეობდნენ და ექიმი კოლი გრძნობდა, რომ მისი პაციენტის მდგომარეობა უმჯობესდებოდა. ბილი--მასწავლებელმა შეზღუდვების გაპროტესტება რომ დაიწყო, ექიმმა კოლმა ნელ-ნელა გაუზარდა პრივილეგიები — ჯერ თანმხლებ პირთან ერთად გასვლის ნებას რთავდა, მერე კი სხვა პაციენტების მსგავსად, საავადმყოფოდან ცოტა ხნით „გაწერის“ და მის შემოგარენში სასაეირნოდ წასვლის უფლებაც მისცა. ამ დროს ბილი მდინარე ჰოკინგის გასწვრივ არსებული დაბინძურების შესასწავლად იყენებდა. 1979 წლის გაზაფხულიდან ოჰაიოს უნივერსიტეტში ლექციებზე სიარულს გეგმავდა — ფიზიკის, ბიოლოგიისა და ფერწერის შესწავლა უნდოდა. დღიურის წერასაც მიჰყო ხელი. იანვრის შუა რიცხვებში ბილი ექიმი კოლისგან დაჟინებით ითხოვდა პრივილეგიას, რომლითაც ზოგი პაციენტი სარგებლობდა — ქალაქში გასვლის უფლებას. თმის შეჭრა უნდოდა, ბანკში შესვლა, ადვოკატთან შეხვედრა და საღებავებისა და წიგნების ყიდვა. თავიდან ბილის საავადმყოფოს ორი თანამშრომლის თანხმობით წასვლის ნება დართეს. ყველაფერმა კარგად ჩაიარა და მალე ექიმმა კოლმა გადაწყვიტა, მისთვის ერთი თანმხლები-

და გაეყოლებინა. თითქოს ეს პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. რამდენიმე სტუდენტმა ბილი გაზეთებსა და ტელევიზორში ნანახი სურათებიდან იცნო და ხელი დაუქნია. ამან ბილი კარგ გუნებაზე დააყენა. იქნებ ყველას სძულდა იმის გამო, რაც ჩაიდინა. იქნებ ბოლოს და ბოლოს, მთელი საზოგადოება სულაც არ იყო მის წინააღმდეგ ამხედრებული. ბილიმ თერაპიის შემდეგ ნაბიჯზე გადასვლა ითხოვა. რადგანაც კარგი პაციენტი იყო და გარშემოცოფების ნდობა წარმატებით ისწავლა, მის ექიმს ახლა მისთვის საპირისპირო ნდობა უნდა ეჩვენებინა. ზოგიერთ პაციენტს (მათ შორის რამდენიმეს ბილიზე უფრო მძიმე ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა) ქალაქში მარტო გასვლის ნებას რთავდნენ. ახლა ბილის სწორედ ეს სურდა. კოლი დაეთანხმა, რომ ბილი ამისთვის მზად იყო. თავის დაზღვევის მიზნით კოლი სუპერინტენდენტ სიუ ფოსტერს დაეკითხა და სამართალდამცავი ორგანოები გააფრთხილა. მიღებულ იქნა ზომები: საავადმყოფოს ყოველ ჯერზე უნდა შეეტყობინებინა ათენის პოლიციისა და ლანკასტერის ზრდასრულთა შეწყალების კომისიის წევრისათვის, როდის ტოვებდა ბილი მილიგანი საავადმყოფოს და როდის ბრუნდებოდა უკან. ბილიმ წესებისადმი მორჩილებაზე თანხმობა განაცხადა.

— ყველაფერი წინასწარ უნდა გავთვალოთ, ბილი, — უთხრა ექიმმა კოლმა, — უნდა გავითვალისწინოთ, რა შეიძლება ქუჩაში შეგემთხვას.

— რას გულისხმობთ?

— მოდი, წარმოვიდგინოთ, რა შეიძლება მოხდეს და შენ როგორ მოიქცევი ამა თუ იმ ვითარებაში. აი მაგალითად, კორტ-სტრიტზე ვილაც ქალს რომ დაენახე, შენთან მოსულიყო და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, შენთვის მაგარი ალიყური ეჭმია, რას იზამდი? ხომ გესმის, რომ ეს სავსებით შესაძლებელია? ყველამ იცის ვინ ხარ. აბა, რას იზამდი?

ბილი ლოყით ხელს დაეჭინა.

— გვერდზე გავიწეოდი და გავეცლებოდი.

— კარგი. წარმოიდგინე, კაცი რომ მოსულიყო, შეეგინებინა, მოძალადე ეძახა შენთვის, დაერტყა და ქუჩაში დაეგდე, რას იზამდი?

— ექიმო კოლ, — უთხრა ბილიმ, — ციხეში დაბრუნებას ქუჩაში უხმოდ გდებას ვარჩევდი. ვიწვებოდი ჩემთვის და ვინატრებდი, ნეტავ მომშორდეს და თავი დამანებოს-მეთქი.

კოლს გაეღიმა.

— იქნებ მართლაც ისწავლე რამე. ახლა, უბრალოდ, უნდა ავდგეთ და შანსი მოგცეთ, რომ გვიჩვენო, რა ისწავლე.

როცა ბილი ქალაქში პირველად გავიდა მარტო, ერთდროულად თავისუფლების მათრობელა სიტკბოც იგრძნო და შიშიც. ქუჩაზე ფრთხილად გადადიოდა — ეშინოდა, ვაიდა პოლიციამ ქუჩის არასწორ ადგილას გადაკვეთისთვის დამაჯარიმოსო. თითოეულ გამვლელს ამჩნევდა და გულში ლოცულობდა, არავინ მისულიყო და თავს არ დასხმოდა. თუ ვინმე დაესხმებოდა, ხელს არ შეუბრუნებდა. ზუსტად ისე მოიქცეოდა, როგორც ექიმ კოლს უთხრა. საღებავები იყიდა და მერე სადალაქოში შევიდა. ნორმა დიშონგმა იქ წინასწარ დარეკა და მენეჯერი და თანამშრომლები გააფრთხილა, რომ მათთან თმის შესაჭრელად ბილი მილიგანი მიდიოდა. ხალხი გულითადად ესალმებოდა:

— გაუმარჯოს, ბილი!

— როგორ ხარ, ბილი?

— კარგად გამოიყურები, ბილი!

ბობი, ახალგაზრდა ქალი, რომელმაც თმა შეჭრა, თანაგრძნობით გამოელაპარაკა და ფული არ გამოართვა. უთხრა, ნებისმიერ დროს შეგიძლია მოხვიდე ჩაწერის გარეშე და თმას უფასოდ შეგჭრიო. გარეთ გამოსული რამდენიმე სტუდენტმა იცნო,

ხელი დაუქნია და გაუღიმა. საავადმყოფოში საუცხოო გუნებაზე დაბრუნდა. არაფერი იმის მსგავსი არ მომხდარა, რისთვისაც ექიმი კოლი ამზადებდა. ყველაფერი კარგად მიდიოდა. 19 თებერვალს დორლოთი ვაჟს მარტო ესტუმრა. ბილიმ მათი დიალოგი ჩაიწერა. უნდოდა, თავის ბავშვობაზე მეტი რამ მოესმინა, გაეგო, რატომ მოიკლა თავი მამამისმა, ჯონი მორისონმა.

— მამაშენზე შენეული წარმოდგენა გქონდა, — უთხრა დორლოთიმ, — ზოგჯერ რაღაცებს მეკითხებოდი და ვცდილობდი, როგორც შემეძლო, მეპასუხა, მაგრამ შენს თვალში მისი ხსოვნა არასდროს შემილახავს. სევდიანი ამბები არასდროს მომიყოლია. შვილებს ტკივილი რატომ უნდა მიაყენო? შენი გამოგონილი სახე გყავდა წარმოსახვაში და შენთვის ეგ იყო მამაშენი.

— მითხარი, მაშინ, ფლორიდაში, მთელი ფული რომ გამოგცინცლა, სახეტილოდ რომ წასულიყო და სახლში ერთი ქილა თინუსის კონსერვისა და ერთი ყუთი მაკარონის მეტი რომ აღარაფერი გებადა, ფული აღარ მოუტანია?

— არა. „ბორშ სირკუტში“ იყო. არ ვიცი, იქ რა მოხდა... უკან რომ დაბრუნდა...

— „ბორშ სირკუტი“? ეგ რა არის?

— სასტუმროებია მთებში, ქეთსქილზის ებრაულ დასახლებაში. იქ თავის საქმეზე წავიდა, შოუები უნდა დაედგა. მაშინ იყო, მისი აგენტის წერილი რომ მივიღე. სწერდა, ვერ დამიჯერებია, ეს რომ ჩაიდინე, ჯონიო. არ ვიცი, იქ რა მოხდა. რომ დაბრუნდა, ისეთი დაღვრემილი იყო, როგორც არასდროს. აი, ასე მოხდა.

— სიკვდილისწინა წერილი წაიკითხე? გერი შვეიკარტმა მითხრა, სია ეწერაო...

— იმ ხალხის სია იყო, ვისი ფულიც ემართა. მევახშეებიდან არავინ დაუსახელებია. მაგრამ მათი არსებობის შესახებ ვიცოდი. მასთან ერთად ვიჯექი მანქანაში, ფულის დასაბრუნებლად

რომ მიდიოდა ხოლმე. ყოველ ჯერზე სხვადასხვა ადგილას იბარებდნენ. თამაშში წაგებული ვალები ჰქონდა. თავიდან მეგონა, მათი გადახდა მე მეკისრებოდა, მაგრამ არ ვაპირებდი. ის ვალები მე არ ამიკიდებია. როგორც შემეძლო, ვეხმარებოდი, მაგრამ ჩემს შვილებს პირიდან ლუკმას ვერ გამოვაცლიდი.

— ეგ არაფერი, — ჩაიფრუტუნა ბილიმ, — თინუსის კონსერვი და მაკარონი ხომ გვქონდა.

— სამსახურში დავბრუნდი, — განაგრძო დოროთიმ, — ამის მერე უკვე არა გვიშავდა. ვმუშაობდი და სურსათსაც მე ვყიდულობდი, ბინის ქირის გადასახდელ ფულს ვაძლევდი ხოლმე, ის კი მიდიოდა და მხოლოდ ნახევარს იხდიდა.

— მეორე ნახევრით თამაშობდა?

— ან თამაშობდა, ან მევახშეებს აძლევდა. არ ვიცი, სად მიჰქონდა. რომ ვეკითხებოდი, პირდაპირი, გულწრფელი პასუხი არასდროს მომისმენია. ერთხელ კომპანია, ვისი ვალიც გვმართებდა, ავეჯის წართმევას გვიპირებდა. ვუთხარი, მიდით, წაიღეთ-მეთქი, მაგრამ იმ ბიჭმა ავეჯს ხელი ვერ მოკიდა — ქეთიბე ვიყავი ფეხმძიმედ, ვტიროდი.

— ჯონი ვერ მოქცეულა მთლად კარგად.

— რაც იყო, იყო, — თქვა დოროთიმ.

ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში გატარებული ორთვე--ნახევრის შემდეგ, როცა უკვე სულ უფრო ნაკლები დრო ეკარგებოდა, ბილიმ ექიმ კოლს ახლა თერაპიის შემდეგ საფეხურზე გადასვლა — შვებულება სთხოვა. ზოგ პაციენტს, მათ შორის ისეთებს, რომლებიც ბილიზე გაცილებით ნაკლებად ამჟღავნებდნენ გამოჯანმრთელების ნიშნებს, შაბათ-კვირას შინ უშვებდნენ, რომ დრო ოჯახთან ერთად გაეტარებინათ. ექიმმა კოლმა აღიარა, რომ მისი ქცევა, გონიერება და ხანგრძლივი სტაბილური პერიოდი მის მზაობაზე მიუთითებდა. ბილის ნება დართეს, უქმეები

ათენიდან 40 კილომეტრით დაშორებულ ლოგანში მდებარე ქეთის სახლში გაეტარებინა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ერთ შაბათ-კვირას ბილი ქეთის შეუჩნდა — ჯონი მორისონის უკანასკნელი წერილის ნახვა უნდოდა, რომელიც, როგორც იცოდა, ქეთიმ სახალხო დამცველის ოფისიდან წამოიღო. აქამდე ქეთი წერილს არ აჩვენებდა, ეშინოდა, ამას ბილი ზედმეტად არ აედელვებინა. მაგრამ როცა მოისმინა, როგორ ლაპარაკობდა ბილი დოროთის ტანჯვა-წამებაზე და იმაზე, თუ რა საზიზღარი მამა იყო ჯონი მორისონი, ქეთი გაბრაზდა, რადგან ჯონის ხსოვნას მთელი ცხოვრება სათუთად ინახავდა. დრო იყო, ბილის სიმართლე გაეგო.

— აჰა, — უთხრა ქეთიმ და მოზრდილი საქალაღდე მაგიდაზე დაახეთქა. მერე ადგა და გავიდა.

საქალაღდეში გერი შვეიკარტისადმი ფლორიდელი სამედიცინო ექსპერტის მიერ გაგზავნილი წერილი იყო. კიდევ — ოთხი ფურცელი, რომელზეც ოთხი სხვადასხვა ადამიანისათვის განკუთვნილი მითითებები ეწერა. მისტერ ჰერბ რაუს, „მაიამი ნიუსის“ რეპორტიორისადმი მიწერილი რვაგვერდიანი წერილი და ორგვერდიანი ჩანაწერი, რომელიც თავის დროზე დაეხიათ, მაგრამ პოლიციას ეპოვა და გულდასმით შეეწებებინა. ეს რაუსადმი მიწერილი მეორე, დაუმთავრებელი წერილი აღმოჩნდა. ვალები იყო ჩამოწერილი, ყველაზე მცირე — 27 დოლარი, ყველაზე მსხვილი კი — 180. „ლუიზისადმი“ მიწერილი შენიშვნა ასე მთავრდებოდა: „ერთსაც ვიხუმრებ — პატარა ბიჭი დედას ეკითხება: „დე, მაქცია რა არის?“ დედა: „მოკვტე და სახე დაივარცხნე!“.

წერილი „მის დოროთი ვინსენტისადმი“ იწყებოდა ინსტრუქციით, როგორ უნდა გადაეხადათ მისი სადაზღვევო ვალი და მთავრდებოდა ასე: „ჩემი უკანასკნელი თხოვნაა, დამწვან. ჩემს

საფლავზე შენი ცეკვა-თამაშილა მაკლია“. მისტერ ჰერბ რაუსად-
მი მიწერილი წერილის ქსეროასლი ალაგ-ალაგ საერთოდ არ
იკითხებოდა:

„მაიამი ნიუსის“ რეპორტიორს,

ბ-ნ ჰერბ რაუს

ძვირფასო ბატონო,

ამ სიტყვების წერა როდი მეადვილება. შესაძლოა ვიღაცას ეს
მარტივ გამოსავლად მოეჩვენოს, მაგრამ რადგან მთელი ჩემი
სამყარო დაიმსხვრა, აქ აღარაფერი დამრჩენია. ჩემი სამი შვი-
ლის — ჯეიმსის, უილიამისა და ქეთი ჯოსათვის დროებითი უზრუნ-
ველყოფის ერთადერთი წყარო ჩემი დაზღვევაა. თუკი ეს შესაძ-
ლებელია, იქნებ მიაქციოთ ყურადღება, რომ ფული მათი დედის,
დოროთი ვინსენტის ხელში არ მოხვდეს. ამ უკანასკნელს თავის
სამსახურთან — „ფლეის ფიგალთან“ დაკავშირებულ ხალხთან
აქვს საქმე, რომლებიც ამ თანხის გაზიარებაზე უარს არ იტყვიან.
პროკურორები, მევახშეები — აი, ამ ხალხს შესწირა ოჯახი, რომ-
ლის შენარჩუნებასაც, დამერწმუნეთ, როგორც შემეძლო, ვცდი-
ლობდი. სევდიანი ამბავია — ბავშვები, რომლებიც მთელი გუ-
ლით მიყვარს, ქორწინების გარეშე არიან დაბადებულები. მათ
დედას ამ ფაქტის თავისი კარიერის სასარგებლოდ გამოყენება
უნდა. ჯერ კიდევ ჩვენი პირველი ბავშვის დაბადებამდე ვცდი-
ლობდი, დამერწმუნებინა, რომ ცოლად გამომყოლოდა (ეს მას
შემდეგ იყო, რაც ბრალი დამდო, თითქოს პირველივე შეხვედრი-
სას დავაფხვმძიმე). მაგრამ ხან რას იმიზეზებდა ქორწინების თა-
ვიდან ასაცილებლად, ხან — რას. ამ ყოველივეს ჩემი მაიამიელი
ადვოკატი, მ.ჰ. როზენჰაუსი დაამოწმებს. ოჯახს მისი თავი ჩემს
მეუღლედ წარვუდგინე — ბავშვი რომ გაჩნდებოდა, რომელიმე
პატარა ქალაქში გადავიდოდით, დავქორწინდებოდით და ბავშვი
კანონიერი იქნებოდა. ამ დროს ჩემი პატარა ბიჭი უკვე ისე მიყ-

ვარდა *** და ხან რას იგონებდა, ხან — რას. „შეიძლება, ქორწინების შესახებ განცხადება ვინმე ნაცნობმა წაიკითხოსო“ და ასე შემდეგ. მერე მეორე ბიჭი გაგვიჩნდა და პირველი ორი კვირის განმავლობაში არც კი ვიცოდით, გადარჩებოდა თუ არა, მაგრამ ღმერთმა არ გაგვწირა და ახლა ცოცხალი და ჯანმრთელია. ეს ღვთის გაფრთხილებად მივიჩნიე და კიდევ ერთხელ შევთავაზე დაქორწინება, მაგრამ ახლა სხვა საბაბს იმიზნებდა. სულ სვამდა და კლუბიდან სადღაც ქრებოდა. ასეთ მდგომარეობაში მასთან ბავშვების მართლ დატოვება საშიში იყო. ბავშვებს რომ სცემდა — თანაც, ხელისგულებს კი არა, მუჯლუგუნებით ურტყამდა — ხშირად დავმუქრებივარ, თუ არ შეწყვეტ, გცემ-მეთქი. დამერწმუნეთ, ჯოჯოხეთში ვცხოვრობდი. ეს ჩემს საქმიანობასაც დაეტყო — მისი ხარისხი სულ უფრო იკლებდა. ვიცოდი, ეს კიდევ დიდხანს თუ გაგრძელდებოდა, მოვკლავდი. *** მინდოდა, მაგრამ შემევედრა, მოითმინეო. ბავშვები ტემპეს საუცხოო საბავშვო ბაღში მოვაწყვეთ და საგასტროლოდ წავედით. იქ რიგიან კლუბებსა და რესტორნებში მუშაობდა. მერე ისევ დაფეხმძიძა. მაიამიში დავბრუნდით და მესამე ბავშვიც რომ გაგვიჩნდა, მომვლელი ქალი დაიქირავა. ფიცი ჩამოვართვი, რომ კლუბის სტუმრებთან აღარ დაიჭერდა ურთიერთობას და ისევ „პლემის პიგალში“ გაუშვი სამღერად. თითქმის მაშინვე მიუბრუნდა ძველ ცხოვრებას — სვამდა და გაუთავებლად ავად ხდებოდა, სანამ სულ არ ჩაიკეცა. საავადმყოფოში „ჰეპატიტის პირველი სტადიის“ დიაგნოზით დააწვინეს. ცოცხალი ძლივს გადარჩა. გამოწერის შემდეგ რამდენიმე კვირა ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იყო. იქიდან დაბრუნებულმა გამოაცხადა, ექიმმა მირჩია, სამსახურში დავბრუნდე — გადასახადები გვაქვს გასასტუმრებელი და თანაც, ერთი-ორი ჭიქა კოქტეილი არ მაწყენდაო! წინააღმდეგი ვიყავი, ამიტომ ჩუმიად მოაწერა კონტრაქტს ხელი და „პიგალში“ დაბრუნდა. სასტუმრო-

ებში საქმე ისე კარგად ველარ მიდიოდა, ამიტომ მოვილაპარაკეთ და რამდენიმე კვირით ნიუ-იორკის შტატში წავედი სამუშაოდ. მანამდე ერთმანეთს არ დავშორებივართ და წარმოდგენა არ მქონდა, რა ხალხს იკრებდა ირგვლივ – სუტენიორებს, ლესბოსელებს, მევახშეებს და სხვებს. ეს მისთვის „მჩქეფარე“ ცხოვრების სიმბოლო იყო. შინ დაბრუნებულმა რომ ვნახე, როგორ იცვამდა – მამაკაცური პერანგები, მკაცრი პიჯაკები და რაღაცნაირი ტორეადორის შარვლები, რომლებიც ამგვარ ქალებს შორის ერთგვარ სასიგნალო ნიშანს წარმოადგენდა, ვიფეთქე. ცხოვრება ჯოჯოხეთად მექცა. გაუთავებელმა სმამ თავი ისევ საავადმყოფოში ამოაყოფინა – ბუასილის ოპერაცია გაუკეთეს, ღვიძლი კი ისეთ დღეში ჰქონდა, ოპერაციას ვერც კი რისკავდნენ. რამდენიმე კვირა იწვა. ღამეში 240 კილომეტრს გავდიოდი დღისით მისი მონახულება რომ შემძლებოდა. ვცდილობდი, ოჯახი შემენარჩუნებინა. ის კი მაშინაც დაშორებაზე და ახალ ცხოვრებაზე ფიქრობდა. ოპერაციის დღეს, ჯერ კიდევ ნარკოზში მყოფს, სხვა ვეგონე. მისი აღსარება გულისამრევი იყო. ამაზე მეტად დაცემა წარმოუდგენელია. შევეცადე შემეჩერებინა, ვეუბნებოდი, მე ვარ-მეთქი, მაგრამ არაფერი ესმოდა და ისევ ტრაბახობდა – ყვებოდა, როგორ მასულელებდა მთელი ამ წლების განმავლობაში. ბავშვების ხათრით ეს მისთვის არასდროს შემიხსენებია. შევეხვეწე ***

რომ გამოჯანმრთელდა, ისევ ვუხსენე ქორწინება. მითხრა, მღვდელს ველაპარაკე და მითხრა, „ამაზე ნუ ღელავ, შენი ბავშვები ღვთის შვილები არიანო“. ეს არადადამაჯერებლად ჟღერდა, მაგრამ ხომ ვამბობ, აქედან ხეირის მიღება უნდოდა. ისიც კი იკადრა, რომ ჩემზე განცხადება შეიტანა, რათა გაზეთებში მოხვედრილიყო და იმდენი ქნა, რომ უწყება შობის დღისთვის დაემთხვია და ბავშვებთან ყოფნა ვერ მომეხერხებინა. ახალ წელს ჩე-

მი პატარა გოგონა ორი წლის ხდებოდა და მისი ნახვის ნებაც კი არ მომცა. დამირეკა და მითხრა, რა კარგ დროს ატარებდნენ ერთად. მისტერ რაუ, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს ჰკითხეთ თუ არ გჯერათ, როგორი გულწრფელი და ერთგული ვიყავი ამ ქალისა, მაგრამ მეტის გაძლება აღარ შემიძლია. ხომ იცით, ღამის კლუბების ბიზნესის ამბავი — ეს ქალების სამყაროა და ისე მოახერხა, რომ ორჯერ სამსახური დამაკარგვინა. სულ მემუქრებოდა, რომ ბავშვებისთვის თუ ვიბრძოლებდი, ჩემს თავს მაიამიდან გააძევებინებდა. სახლიდან სამ-სამი დღით იკარგებოდა. ახლა იმ ზღვარზე ვარ, როცა აღარ შემიძლია შევეგუო იმას, რაც ამ ბავშვებს ელით. ადრე უკვე ვცადე, მაგრამ ხელი მომეცარა. იმედია, ეს ცდა წარმატებული იქნება. ბავშვების დასაცავად მასთან შერიგება მომიწევდა, მაგრამ მასთან დაბრუნებას მირჩევნია უფლის წინაშე წარვდგე და ჩემს ცოდვებზე პასუხი ვაგო. უკანასკნელი თხოვნა მაქვს — გთხოვთ, ეს წერილი სხვადასხვა სააგენტოებს აჩვენოთ, რომ ჩემი ბავშვები დაიცვან. დაე, უფალმა შეივრდომოს ჩემი ტანჯული სული.

ჯონი მორისონი“

ბილი განაცვიფრა მამის უკანასკნელმა წერილმა. რამდენჯერმე გადაიკითხა. ცდილობდა, სკეპტიკური დამოკიდებულება შეენარჩუნებინა, მაგრამ რაც უფრო მეტს კითხულობდა, მით მეტის გაგების სურვილი იპყრობდა. მოგვიანებით ბილიმ მწერალს უამბო, როგორ ცდილობდა გარკვევას. სანამ დის სახლიდან გამოვიდოდა, ბილიმ ფლორიდის ბარების ასოციაციაში დარეკა ჯონი მორისონის მოსაძებნად. გაარკვია, რომ მორისონის ადვოკატი გარდაცვლილიყო. არქივში ჯონი მორისონის, ან ჯონი ზოჭრანერის ქორწინების შესახებ არავითარი ჩანაწერი არ მოიპოვებოდა. რეკავდა და რეკავდა, სანამ იმ ღამის კლუბის ყოფილ მენეჯერს არ მიაგნო, სადაც ჯონი მუშაობდა. კაცი ახლა პენ-

სიაზე იყო, მაგრამ კი-ბისკეინში ნავი ჰქონდა და კლუბში ზღვის პროდუქტი ისევ მიჰქონდა. თქვა, ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ჯონის რომელიმე შვილი მომძებნიდაო. უთხრა, რომ ოდესღაც ბილის დედა დაითხოვა ღამის კლუბიდან, რადგან თან საძაგელი ხალხი მოჰყავდა. ჯონი ცდილობდა, დოროთისთვის ის ხალხი ჩამოეშორებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. თქვა, არასოდეს მინახავს ქალი კაცს თავზე ასე დასჯდომოდესო. ბილიმ კიდევ ერთი ადამიანი იპოვა — კაცი, რომელიც „მიჯეტ მოტელში“ მუშაობდა და მამამისი ახსოვდა. გაიხსენა, რომ შობის დღეებში მიღებულმა სატელეფონო ზარებმა ჯონი დეპრესიაში ჩააგდო. ეს ემთხვეოდა ჯონის წერილში მონათხრობ ამბავს — როგორ ურეკავდა და ტანჯავდა დოროთი.

საავადმყოფოში დაბრუნებულმა ბილიმ ისევ დაიწყო დროის კარგვა. ორშაბათს დილით მწერალს დაურეკა და სთხოვა, შეხვედრა გადავიტანოთო. ოთხშაბათს საავადმყოფოში მისულმა მწერალმა მაშინვე შენიშნა, რომ მასწავლებელი გამქრალიყო. ახლა მის წინაშე „დაქუცმაცებული“ ბილი იდგა. ცოტა ხანს ისაუბრეს. მწერალმა, იმ იმედით, იქნებ ცნობისმოყვარეობა გავუღვიძლო, ბილის რადიოტელეფონის მუშაობის პრინციპის ახსნა სთხოვა. ბილიმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოიწყო საუბარი. ნელ-ნელა, თითქმის შეუმჩნევლად, ხმა გაუმყარდა, უფრო მკაფიოდ და გამოკვეთილად დაიწყო საუბარი, ტონი უფრო ფორმალური გაუხდა. მასწავლებელი დაბრუნდა.

— რატომ ხარ ასე გაბრაზებული და დათრგუნული? — ჰკითხა მწერალმა.

— დავიღალე, უძინარი ვარ.

მასწავლებელმა „რადიომოწყობილობების“ სახელმძღვანელოზე მიუთითა.

— ამ მოწყობილობას ვინ აწყობს?

— ეგ ნივთი აქ იმიტომ არის, რომ აქ დღის უმეტესი ნაწილი ტომიმ გაატარა. ექიმი კოლი სწორედ მას ესაუბრა.

— ახლა ვინ ხარ?

— მასწავლებელი, მაგრამ ძალიან დეპრესიულ მდგომარეობაში.

— რატომ წახვედი? ტომი რატომ გამოვიდა?

— დედაჩემი, მისი ახლანდელი ქმარი. მისი წარსული. ყველაფერმა დაკარგა აზრი. ისეთი დაძაბული ვარ. გუშინ ვალიუმი დავლიე და მთელი დღე მეძინა. მერე მთელი ღამე გავათენე, დილის 6 საათამდე მეღვიძა. გასვლა მინდოდა, თავის დაღწევა... შეწყალების კომისიაზე ვბრაზობდი. ისევ ლიბანში უნდათ თავი ამომაცოფინონ. ზოგჯერ ვფიქრობ, ბარემ დამაბრუნონ იქ და დავისვენებ-მეთქი. ოღონდ თავი დამანებონ.

— კი, მაგრამ ნაწილებად დაშლა ხომ გამოსავალი არ არის, ბილი.

— ვიცი. ყოველდღე ვუყურებდი ჩემს თავს — როგორ ვწვალობდი, რომ მეტისთვის მიმეღწია. ვცდილობ, ყველაფერი ვაკეთო, რასაც თითოეული ჩემი პიროვნება აკეთებდა, ეს კი არაქათს მაცლის. ვზივარ, ნახატს ვხატავ, დავამთავრებ თუ არა, ხელებს ვიწმენდ და წიგნს ვეცემი ხოლმე, ჩანაწერებს ვაკეთებ და საათობით ვკითხულობ. მერე ვჩერდები, ვდგები და ამ რადიოტელეფონს ვუკირკიტებ.

— საკუთარი თავისგან მეტისმეტს ითხოვ. ყველაფრის ერთად კეთება რა საჭიროა.

— კი, მაგრამ იცით რამდენი წელი მაქვს ასანაზღაურებელი და რა ცოტა დრო. ვგრძნობ, რომ თავს ძალა უნდა დავატანო.

მილიგანი ადგა და ფანჯარაში გაიხედა.

— კიდევ ერთი რამ: ადრე თუ გვიან, დედაჩემთან შეხვედრა მომიწევს. არ ვიცი, რა უნდა ვუთხრა. თავს ვერ მოვიკატუნებ,

თითქოს ყველაფერი ძველებურად იყოს. ახლა ბევრი რამ შეიცვალა. შეწყალების კომისია, სასამართლო პროცესი, სადაც უნდა გაირკვეს, ფსიქიკურად ჯანმრთელი ვარ თუ არა... ახლა კი მამაჩემის უკანასკნელი წერილი. ამის შემხედვარე ძნელია, მთელი და უვნებელი დარჩე. ამ ყველაფერმა ნაკუწ-ნაკუწ დამხლიჩა.

28 თებერვალს ბილიმ თავის ადვოკატს დაურეკა და უთხრა, რომ არ უნდოდა მეორე დღეს მისი დაკავების ხელახალი განხილვის სასამართლო პროცესზე დედამისი ყოფილიყო.

თავი ოცდამეერთე

1

1979 წლის 1 მარტის ხელახალი მოსმენის შედეგად ბილი მილიგანი ექვსი თვით კვლავ ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში გაგზავნეს. ყველა, ვინც მასთან მუშაობდა, ცხადად ხედავდა, მილიგანს რა საფრთხე ემუქრებოდა. ბილიმ იცოდა, რომ განკურნებისა და საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ვადამდელი გათავისუფლების პირობების დარღვევისათვის ფერფილდის ოლქის ზრდასრულთა შეწყალების კომისია დააკავებდა და ციხეში გაგზავნიდა, რათა იქ გრეის აფთიაქის ძარცვისათვის მისჯილი ორიდან ხუთ წლამდე მსჯავრის დარჩენილი სამი წელი მოეხადა. გარდა ამისა, შეიძლებოდა გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულებისთვისაც დაედოთ ბრალი და გზისპირა ყაჩაღობისათვის ექვსიდან ოცდახუთ წლამდე მიესაჯათ. მისმა ათენელმა ადვოკატებმა — ალან გოლდსბერიმ და სტივ თომპსონმა — ფერფილდის ოლქის სასამართლოს მიმართეს შუამდგომლობით, გაეუქმებინათ ჩვენება, სადაც ბილი თავს დამნაშავედ ცნობდა. ისინი აცხადებდნენ, რომ 1975 წელს სასამართლომ არ იცოდა, რომ მილიგანს მრავლობითი პიროვნების სინდრომი ჰქონდა და რადგანაც იმ დროს ის შეურაცხადი იყო და საკუთარი ინტერესების დაცვა არ შეეძლო, მაშინდელი სასამართლო „სანიმუშო მართლმსაჯულებას“ ახორციელებდა. გოლდსბერისა და თომპსონს იმედი ჰქონდათ, რომ ლანკასტერის მოსამართლე აღიარებითი ჩვენების ანულირებაზე დათანხმდებოდა და განკურნების შემდეგ ბილი თავისუფალი იქნებო-

და. ბილიც ამ იმედს ებლაუჭებოდა. ამ დროს გაიგო, რომ ქეთიმ და მისმა დიდი ხნის შეყვარებულმა, რობ ბაუმგარდტმა შემოდგომით დაქორწინება გადაწყვიტეს და გაუხარდა. ბილის რობი მოსწონდა და ქორწილისთვის მზადება დაიწყო. საავადმყოფოს ეზოში სეირნობისას გაბაფხულის პირველ ნიშნებს ამჩნევდა. ფიქრობდა, ცუდი დრო უკან დარჩაო. უკეთ ხდებოდა. უქმეებზე ქეთისთან რომ გაუშვეს, მისი კედლის მოხატვას შეუდგა. დოროთი მურმა ჯონის უკანასკნელ ბარათში აღწერილი ბრალდებები უარყო და მის გამოქვეყნებაზე თანხმობა განაცხადა. მისი თქმით, მორისონი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ფსიქიკურად დაავადდა. მას სხვა ქალთან, ვილაც სტრიპტიზის მოცეკვავესთან ჰქონდა რომანი და სავარაუდოდ, სწორედ მასში ერეოდა დოროთი, როცა მის საშინელ კამპანიას აღწერდა. ბილი დედას შეურიგდა. პარასკევ საღამოს, 30 მარტს, პალატაში დაბრუნებულმა ბილიმ მისკენ მიჰყრობილი უჩვეულო მზერა, ჩურჩული და საყოველთაო დაძაბულობა იგრძნო.

— საღამოს გაზეთი ნახე? — ჰკითხა ერთ-ერთმა პაციენტმა და გაზეთი გაუწოდა, — ისევ ახალ ამბებში ხარ.

ბილიმ 30 მარტის „კოლამბუს დისპეჩის“ ნომრის პირველ გვერდზე მსხვილი ასოებით გამოჭიმულ სათაურს დახედა:

ექიმის თქმით, მოძალადეს ცენტრიდან გასვლის ნება დართეს და ახლა ის გარეთ დაძრწის

ჯონ სუიტცერი

„დისპეჩს“ აცნობეს, რომ უილიამ მილიგანი, მრავლობითი პიროვნების სინდრომის მქონე მოძალადე, რომელიც დეკემბერში ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში მოათავსეს, ახლა ყოველდღიურად დაძრწის გარეთ თავისუფლად, ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე. მილიგანის ექიმმა, დევიდ კოლმა „დისპეჩს“ უთხრა, რომ მილიგანს საავადმყოფოდან გასვლისა და

ათენში სეირნობის ნება დართეს და უქმეებზე შვებულებასაც კი აძლევენ ნათესავების მოსანახულებლად.

ათენის პოლიციის უფროსის, ტეჯ ჯოუნსის თქმით, მას მოსახლეობამ შემფოთებული განცხადებებით არაერთხელ მიმართა. ფსიქიატრიულის პაციენტის გარეთ ყოფნის ამბავი მასაც ძალზე აღელვებდა. რეპორტიორი მოსამართლე ფლაუერსსაც იმოწმებდა, რომელმაც ბილი უდანაშაულოდ ცნო. ფლაუერსი ამბობდა, რომ „არ ემხრობოდა ბილი მილიგანის გარე-გარე თავისუფლად სიარულის იდეას“. სტატია მთავრდებოდა ციტატით „მამაკაცზე, რომელიც 1977 წლის ბოლოს ოჰაიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიის ირგვლივ მცხოვრებ ქალებს შიშის ბარს სცემდა“.

„კოლამბუს დისპეჩმა“ ყოველდღიური სტატიების სერია დაიწყო, სადაც ავტორები მწუხარებას გამოთქვამდნენ ბილი მილიგანის „თავისუფლად ხეტიალის“ გამო. 5 აპრილის პუბლიკაციის სათაური, რომელიც მილიგანს ეძღვნებოდა, ასე ჟღერდა: „საჭიროა კანონი, რომელიც მოსახლეობას დაიცავს“.

შეშინებულმა კოლამბუსელმა მკითხველებმა და ოჰაიოს უნივერსიტეტის სტუდენტების მშობლებმა უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ჩარლზ პინგს მიმართეს, რომელმაც საავადმყოფოში დარეკა და განმარტება მოითხოვა. შტატის საკანონმდებლო ყრილობის ორმა წევრმა, ათენელმა ქლერ „ბაზ“ ბოლ უმცროსმა და კოლამბუსელმა მაიკ სტიციანომ საავადმყოფო და ექიმი კოლი გააკრიტიკეს და უპირველეს ყოვლისა, კანონის იმ მუხლის გადახედვა მოითხოვეს, რომლის თანახმადაც მილიგანი ათენის საავადმყოფოში გაგზავნეს. მათ „შეურაცხადობის საფუძველზე უდანაშაულობის“ კანონის ცვლილებაც მოითხოვეს. საავადმყოფოს თანამშრომლებმა, რომლებსაც არ მოსწონდათ, ბილი ნახატების გაყიდვით ფულს რომ შოულობდა და ემტერებოდნენ, „კო-

ლამბუს დისპენს“, „კოლამბუს სიტიზენ-ჯორნელს“ და „დეიტონ დეილი ნიუსს“ ჩააწვეთეს, თითქოს ბილის ანგარიშზე უამრავი თანხა იყო. როცა „ქეთლინის პორტრეტში“ აღებული ფულით ავტომობილი „მაზდა-კომპაქტი“ იყიდა, რომ ნახატები ადვილად გადაეზიდა, ეს ამბავი ახალ ამბებში მოხვდა. სტიციანომ და ჰოლმა ათენის საავადმყოფოში გამოძიების ჩატარება მოითხოვეს. გამუდმებული შემოტევების გამო ექიმი კოლი და სიუ ფოსტერი იძულებულები გახდნენ მილიგანისთვის ეთხოვათ, სანამ ეს აურზაური არ ჩაცხრებოდა, შვებულებებსა და გარეთ გასვლის პრივილეგიაზე უარი ეთქვა. ბილი ამისთვის მზად არ იყო. საავადმყოფოს წესებს ზედმიწევნით იცავდა, მას შემდეგ, რაც დიაგნოზი დაუსვეს და მკურნალობა დაუწყეს სიტყვა არ გაუტეხავს და კანონი არ დაურღვევია. მიუხედავად ამისა, პრივილეგიებს ისევ ართმევდნენ. დაღონებულმა მასწავლებელმა ფარ--ხმალი დაყარა და გაქრა. როცა 11 საათზე მაიკ რუპი სამორიგეოდ გამოვიდა, მილიგანი ვინილის ყავისფერ სკამზე მოკუნტულიყო და ხელებს ისე ისრესდა, თითქოს შეშინებული იყო. მაიკი დაფიქრდა, ღირდა თუ არა, მიახლოებოდა. ადრე გააფრთხილეს, რომ მილიგანს მამაკაცების ეშინოდა, რეიგენის ამბავი იცოდა და ექიმი კოლის ჩანაწერებიც ნანახი ჰქონდა. ამ დრომდე პაციენტს ახლოს არ გაჰყარებია. ბევრი თანამშრომლისგან განსხვავებით, რომლებიც თვლიდნენ, რომ მილიგანი თამაშობდა, მაიკ რუპს დიაგნოზის სჯეროდა. ისტორიისა და მედდების ჩანაწერების წაკითხვის შემდეგ, უბრალოდ, ვერ დაიჯერებდა, რომ მთელი ეს პროფესიონალი ფსიქოლოგები და ფსიქიატრები შეიძლებოდა იმ ახალგაზრდა ვაცს გაესულელებინა, სკოლის უმაღლესი კლასებიც კი რომ არ ჰქონდა დამთავრებული. მილიგანი, ძირითადად, სტაბილური ეჩვენებოდა და მეტი არც არაფერი ადარდებდა. მაგრამ ბოლო კვირას, მას შემდეგ, რაც „დისპენსის“ სტა-

ტიები გამოქვეყნდა, მილიგანი დათრგუნული ჩანდა. რუპს ეს საზიზღარი სათაურები სძულდა და აღშფოთებული იყო, რომ ბილის საქმეს პოლიტიკოსები თავის სახეიროდ ათამაშებდნენ. რუპი დახლს მოშორდა და შეშინებულ ბიჭს იქვე, სკამზე მიუჯდა. არ იცოდა, მილიგანს ამაზე რა რეაქცია ექნებოდა, ამიტომ რაც შეიძლება, ფრთხილი და სათუთი უნდა ყოფილიყო.

— თავს როგორ გრძნობ? — ჰკითხა მან, — რით შემიძლია დაგეხმარო?

მილიგანმა შეშინებული თვალებით შეხედა.

— ნაწყენი ჩანხარ. მაინტერესებს, ვინმეს ხომ არ გინდა დაელაპარაკო. აქ მხოლოდ ამისთვის მოვედი.

— მეშინია.

— ვხედავ. გინდა ამაზე მელაპარაკო?

— პატარები ვერ ხვდებიან, რა ხდება. იმათაც ეშინიათ.

— შენს სახელს ხომ ვერ მეტყოდი?

— დენი.

— მე მიცნობ?

დენიმ თავი გაიქნია.

— მე მაიკ რუპი ვარ, მორიგე ფსიქიატრი. აქ იმისთვის ვარ, რომ თუ დაგჭირდება, დაგეხმარო.

დენიმ მაჯების სრესა განაგრძო და ირგვლივ მიმოიხედა. მერე შეჩერდა, შინაგან ხმას ყური დაუგდო და თავი დაუქნია.

— არტურმა თქვა, რომ შენი ნდობა შეგვიძლია.

— მსმენია არტურის შესახებ, — მიუგო რუპმა, — უთხარი, რომ მადლობელი ვარ ნდობისთვის. მართლაც არაფერს დაგიშავებ.

დენიმ უთხრა, რომ რეიგენი ძალიან გაბრაზებული იყო გაზეთების ამბებზე და უნდოდა, ყველაფერი თვითმკვლელობით დაესრულებინა. პატარებს ეშინოდათ. რუპმა ქუთუთოების ხამხამსა და დაბინდულ თვალებზე შეატყო, რომ მილიგანი ისევ იცვლებო-

და და მალე მის წინაშე პატარა ბიჭი გაჩნდა — იკრუნჩხებოდა, სლუკუნებდა და თითქოს საშინელ ტკივილს განიცდიდა. პიროვნებები ზედიზედ ცვლიდნენ ერთმანეთს და მორიგეს ღამის ორ საათამდე ესაუბრებოდნენ. ორზე რუპმა დენი თავის ოთახში მიაცილა. ამ დღის შემდეგ რუპს მილიგანის რამდენიმე პიროვნებასთან შეეძლო ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცების შინაგანაწესში ძილის დრო მკაცრად იყო განსაზღვრული (11:30 სამუშაო დღეებში, უქმეებზე კი — ღამის 2 საათი), რუპმა იცოდა, რომ მილიგანს თითქმის არ ეძინა და ღამით მასთან საუბარში რამდენიმე საათს ატარებდა. უხაროდა, როცა დენი და „დანაწევრებული ბილი“ თვითონ ეძებდნენ, რომ დალაპარაკებოდნენ და ნელ-ნელა დაიწყო იმის გაგება, რატომ იყო ასე რთული ბილის მკურნალობა. მიხვდა, ბილი გრძნობდა, რომ სხვისი დანაშაულების გამო დასაჯეს.

ხუთშაბათს, 5 აპრილს, ოთხის ნახევარზე დენიმ საავადმყოფოს ეზოში გაიღვიძა. მიმოიხედა, ცდილობდა გაეგო, სად იყო და აქ რა უნდოდა. იქვე ძველი, ვიქტორიანული, აგურით ნაშენი, თეთრსვეტებიანი სახლი ჩანდა, წინ კი — მდინარე და ქალაქის ხედი. გაახსენდა, რომ სანამ ჰარდინგის საავადმყოფოს თანამშრომელი, როზალი დრეიკი არ დაეხმარებოდა, ასე დამოუკიდებლად და უშიშრად გარეთ ვერ გამოდიოდა. უეცრად ლამაზი პატარა თეთრი ყვავილები შენიშნა. რამდენიმე ცალი მოწყვიტა, მაგრამ უცებ დაინახა, რომ მალლა უფრო დიდი კოკრები ჩანდა. ყვავილებს ბორცვზე აუყვა და თავი პატარა სასაფლაოზე ამოყო. საფლავის ქვებზე სახელები არ ეწერა — მხოლოდ რიცხვები ამოეკვეთათ. დენის უკვირდა, ნეტავ რატომო. გაახსენდა, როგორ დამარხეს ცოცხლად ცხრა წლის რომ იყო, აცახცახდა და უკან დაიხია. მის საფლავზე არც სახელი ეწერებოდა და არც წლები. მერე დაინახა, რომ ყველაზე დიდი კოკრები ბორცვის მწვერვალზე იყო და ცოცვა განაგრძო. ფრიალო კლდეს მიაღწია, კიდემდე მივიდა, გზას, მდინარესა და სახლებს ზევიდან გადახედა და თავის შესამაგრებლად ხეს მოეჭიდა. ქვევით გადაშლილი, დაკლაკნილი გზიდან მანქანების მუხრუჭის ხმა მოესმა და ფარების მოციმციმე შუქი დაინახა. ქვევით ყურებისაგან თავბრუ დაეხვა. ძალიან გაბრუვდა. იდგა და ქანაობდა, სანამ ვიღაცის ხმამ არ უთხრა:

— ჩამოდი, ბილი.

რატომ ეხვეოდა ყველა გარშემო? ან არტური და რეიგენი სად იყვნენ, რატომ არ იცავდნენ? ფეხი დაუსრიალდა და ქვევით ჩაცვნილმა კენჭებმა კლდის ფერდობზე გაიღეს ტკაცანი. მერე ვი-

დაც კაცმა ხელი გაუწოდა. დენიმ მოჰკიდა ხელი და მაგრად ეჭირა, სანამ კაცმა სამშვიდობოს არ გაიყვანა. კეთილმა კაცმა ისევ სვეტებიან სახლთან მიიყვანა.

— გადმოხტომას აპირებდი, ბილი? — ჰკითხა ვილაცამ.

დენიმ უცნაურ ქალს ახედა. არტურს ნათქვამი ჰქონდა, უცხოებს არ გამოელაპარაკო. მაგრამ გრძნობდა, როგორი ალგზნებული ჩანდა ხალხი, ყველა მასზე ლაპარაკობდა და დენიმ გადაწყვიტა, დასაძინებლად წასულიყო და შუქი ვინმე სხვისთვის დაეტოვებინა...

ალენი იმ საღამოს პალატაში დადიოდა და ფიქრობდა, ნეტა რა მოხდაო. მისი მაჯის ელექტროსაათის მიხედვით თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. შუქზე ბოლოს დიდი ხნის წინ იყო. სხვებთან ერთად, მასაც კმაყოფილებას გვრიდა მასწავლებლის მიერ მოთხრობილი მათი ცხოვრების ისტორიის მოსმენა და შესწავლა. თითქოს თითოეული მათგანი გიგანტური თავსატეხის პატარა ნაწილს ფლობდა, მაგრამ ახლა მასწავლებელმა, რომელიც ცდილობდა, მწერლისთვის ყველაფერი წინ დაელაგებინა და ნათელი გაეხადა, ყველა მათგანს გააგებინა, როგორი ცხოვრება გამოიარეს. მონათხრობში ხარვეზები ჯერ კიდევ იყო, რადგან მასწავლებელს ყველაფერი არ ჰქონდა მოყოლილი. მხოლოდ ის მოგონებები აღიდგინა, რომლებიც მასწავლებლის შეკითხვებს პასუხობდა. მაგრამ ახლა მასწავლებელი გამქრალიყო და მასწავლებლისა და მწერლის, ისევე, როგორც მასწავლებლისა და მისი სხვადასხვა პიროვნებების დამაკავშირებელი ძაფები გამწყდარიყო. ალენი დაბნეული იყო, თავს მართოდ გრძნობდა.

— რა მოგივიდა, ბილი? — ჰკითხა ერთ-ერთმა პაციენტმა.

ალენმა ქალს შეხედა.

— რაღაც გათიშული ვარ. ალბათ ბევრი წამალი მივიღე. ადრე წავალ დასაძინებლად.

რამდენიმე წუთში დენის გაელვიდა და დაინახა, როგორ შემოცვივდნენ ვილაცები მის ოთახში და ლოგინიდან წამოაყენეს.

— კი მაგრამ, რა დავაშავე? — იკითხა მუდარით.

ერთ კაცს წამლის ბოთლი ეჭირა და დენიმ დაინახა, რომ აბუბის ნაწილი ძირს ეყარა.

— არ დამილევია, — თქვა დენიმ.

— საავადმყოფოში უნდა წამოხვიდე, — გაიგო პასუხად. ვილაცამ იყვირა, ბორბლებიანი საკაცე მოიტანეთ, მილიგანი უნდა წავიყვანოთო. დენი გავიდა და დეივიდი გამოვიდა...

მაიკ რუპი რომ მიუახლოვდა, რეიგენმა იფიქრა, აპირებს, დეივიდს რამე დაუშავოსო და შუქზე გამოვიდა. რუპმა სცადა, ფეხზე წამოეყენებინა. რეიგენი დაეძგერა და ორივენი საწოლზე დაეცნენ.

— კისერს მოგამტვრევ! — იღრიალა რეიგენმა.

— ვერ მომამტვრევ, — უთხრა რუპმა.

ერთმანეთი მკლავებში მოექციათ და იატაკზე გორავდნენ.

— გამიშვი! დბვლებს დაგამტვრევ!

— ჰოდა, მით უმეტეს არ გაგიშვებ.

— ტუ არ გამიშვებ, დაგაშავებ!

— მაგის გამეორებას თუ არ შეეშვები, არსად არ გაგიშვებ, — უთხრა რუპმა.

იატაკზე გორავდნენ, უპირატესობა ვერც ერთს ვერ ჩაეგდო ხელში.

ბოლოს რუპმა უთხრა:

— გაგიშვებ, თუ შენც გამიშვებ და დამპირდები, რომ ძვლებს არ დამიმტვრევ.

რეიგენი დარწმუნდა, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იყო და დათანხმდა.

— ტუ გამიშვებ და გაიცევი, გაგიშვებ.

— ერთდროულად ვუშვებთ, — უთხრა რუპმა, — და მერე გვეყო. ერთმანეთს თვალებში შეხედეს, მერე თითოეულმა ხელი გაუშვა მეტოქეს და უკან დაიხია.

კარში ექიმი კოლი გამოჩნდა და დანარჩენებს ბორბლიანი საკაცის მოტანა უბრძანა.

— ეგ არ მჩირდება, — უთხრა რეიგენმა, — ზედმეტი ცამალი არავის მიუგია.

— საავადმყოფოში უნდა წაგიყვანოთ შესამოწმებლად, — უთხრა ექიმმა კოლმა, — ასე შეუძლებელია დაადგინო, რამდენი აბი გადაინახა ბილიმ. ვიღაცამ აბების ჭარბი დოზა ახსენა. უნდა გადავამოწმოთ.

კოლი რეიგენს მანამდე ესაუბრებოდა, სანამ ეს უკანასკნელი შუქიდან არ გაქრა. მერე დენის მუხლები რომ მოეკრუნჩხა და თვალები უკან გადაუცვივდა, რუპმა დაიჭირა და საკაცებზე დააწვინა. გარეთ მომლოდინე სასწრაფო დახმარების მანქანასთან გავიდნენ. რუპი მანქანაში ავიდა და მილიგანს გვერდზე მიუჯდა. მანქანამ ო'ბლენსის საავადმყოფოსკენ გასწია. რუპი გრძნობდა, რომ სასწრაფო დახმარების ექიმს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა სამკურნალოდ ბილი მილიგანი რომ მიუყვანეს. ეცადა, მისთვის როგორმე აეხსნა, რომ მილიგანს ფრთხილად უნდა მოქცეოდა:

— სლავური აქცენტით თუ დაიწყებს ლაპარაკს, ყველაფერს აჯობებს, უკან დაიხიოთ და ქალი-სანიტარი მიუშვათ მისახედად.

ექიმს რუპისთვის ყურადღება არ მიუქცევია — ის დენის უყურებდა, რომელსაც თვალები ებინდებოდა. რუპი ხედავდა, რომ დეივიდი და დენი იცვლებოდნენ.

— თვალთმაქცობს, — თქვა ექიმმა.

— იცვლება...

— მისმინე, მილიგან, კუჭი უნდა გამოგირეცხო. ცხვირიდან მილები უნდა ჩაგიყო და კუჭი გამოგირეცხო.

— არა, — კვნესოდა დენი, — არ მინდა მილები... შლანგი არ მინდა...

რუპი მიხვდა, რაზე ფიქრობდა დენი. ადრე მოუყვა, როგორ გაუყარეს ერთხელ შლანგი სწორ ნაწლავში.

— არ მაინტერესებს, გინდა თუ არა, — უთხრა ექიმმა, — ამას მაინც გავაკეთებ.

რუპმა დაინახა, როგორ შეიცვალა დენი.

რეიგენი უცებ წამოხტა, სრულიად ფხიზელი და კონცენტრირებული იყო.

— აბა აკეთ მომისმინეტ, — თქვა მან, — ვიგაც უტვინო ეკიმს ჩემზე ვარჯიშის უპლება ვერ მიცემ.

ექიმმა ნაბიჯი უკან გადადგა. სახე გაფითრებოდა. სწრაფად შეტრიალდა და ოთახიდან გავიდა:

— ერთი მაგისიც, თუ უნდა, სულ მომკვდარა ეგ ძაღლიშვილი.

რუპმა გაიგონა, როგორ დაურეკა ექიმმა რამდენიმე წუთში ექიმ კოლს და აუხსნა, რაც მოხდა. მერე პალატაში დაბრუნდა. ამჯერად დამშვიდებული ჩანდა და აღარ იგინებოდა. მედდას იპეკაკის ორმაგი დოზა მოატანინა, რომ მილიგანისთვის ეღებინებინა. რეიგენი გაქრა და დენი დაბრუნდა. დენის გული რომ აერია, ექიმმა ნარწყვეი მასა შეამოწმა. წამლის კვალი არსად ჩანდა. რუპმა დენი სასწრაფოთი უკან გააქანა. ღამის ორ საათზე, დენი დუმდა და დაბნეული იყო. ძილის მეტი არაფერი უნდოდა. მეორე დღეს თერაპევტებმა ბილის შეატყობინეს, რომ მისი მეხუთე პალატაში — მამაკაცების დახურულ პალატაში გადაყვანა გადაწყვიტეს. მას ვერ გაეგო, რა ხდებოდა. წამლის ჭარბი დოზით მიღების შესახებ ცრუ განგაშისა და მაიკ რუპთან ერთად სასწრაფოთი წასვლა-წამოსვლის შესახებ არაფერი იცოდა. როცა მის ოთახში

რამდენიმე უცხო სანიტარი შევიდა, რეიგენი ლოგინიდან წამოხტა, შუშის ჭიქა კედელს მიაშხვრია და ბასრი ნამტვრევი სანიტრებს უჩვენა.

— ახლოს არ მოხვიდეთ! — გააფრთხილა მან.

ნორმა დიშონგი ტელეფონს მივარდა და შეველა ითხოვა. რამდენიმე წამში ხმის გამაძლიერებლებიდან განგაშის სიგნალი გაისმა. კართან მისულმა ექიმმა კოლმა რეიგენის დაძაბული სახე დაინახა და გაბრაზებული ხმა გაიგონა:

— დიდი ხანი დბვლები არავისთვის დამიმტვრევია. მოდიტ, ეკიმო კოლ, ტკვენ პირველი იკნებიტ.

— ამას რატომ აკეთებ, რეიგენ?

— ტკვენ ბილის უგალატეტ. აკ ყველამ ბილი გაკიდეტ.

— ასე არ არის. შენ ხომ იცი, რომ ეს პრობლემები „დისპენის“ სტატიებმა გამოიწვია.

— მეხუტე პალატაში არ ცავალ.

— უნდა წახვიდე, რეიგენ. მანდ მე უძლური ვარ. ახლა ეს უკვე უსაფრთხოების საკითხია, — ნაღვლიანად გაიქნია თავი კოლმა და გავიდა.

სამმა მცველმა, თავდასაცავად წინ ლეიბი რომ ჰქონდათ აფარებული, რეიგენი კედელს მიანარცხა. დანარჩენმა სამმა ლოგინზე პირქვე წააქცია და ხელ-ფეხი გაუკავა. არტურმა რეიგენი შეაჩერა. მედდა პეტ პერიმ გაიგონა, როგორ იკივლა დენიმ:

— არ გამაუპატიუროთ!

არტურმა მეორე მედდა დაინახა, ხელში შპრიცი ეჭირა და ამბობდა:

— ამას თორაზინი თუ გააჩერებს.

— არა, თორაზინი არა! — იყვირა არტურმა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ექიმი უილბურისგან სმენოდა, რომ ანტიფსიქოტური წამლები მრავლობითი პიროვნების სინდრომის მქონეთათვის მავნებელი იყო და როგორც წესი, გახლეჩას უფრო ართულებდა. ეცადა, სისხლის დინება შეენელებინა, რომ თორაზინს ტვინამდე არ მიეღწია. მერე იგრძნო, ექვსმა წყვილმა ხელმა როგორ ასწია, ოთახიდან გაიყვანა, ლიფტში შეიყვანა და მეორე სართულზე რომ ჩამოვიდნენ, მეხუთე პალატაში როგორ შეიყვანა. ხედავდა, როგორ აშტერდებოდნენ სახეში ცნობისმოყვარედ. ვილაცა ენას ყოფდა. ვილაც კედელს ელაპარაკებოდა. ვილაც იატაკზე შარდავდა. იქაურობა ნარწყევისა და განავლის სუნით იყო გაჟღენთილი. პატარა, ცარიელ საკანში შეიყვანეს, პლასტიკატგადაფარებულ ლეიბზე დააწვინეს და კარი ჩაკეტეს. რეიგენმა კარის ჯახუნი რომ გაიგო, წამოხტა და მისი გამტვრევა დააპირა, მაგრამ არტურმა ადგილზე გააშეშა. შუქზე სემუელი გამოვიდა, მუხლებზე დაეცა და აყმუვლდა:

— ოი ვეი! უფალო, რატომ მიმატოვე?

ფილიპმა შეიგინა და იატაკზე დაეცა. დეივიდს ეტკინა. ქრისტინი ლეიბზე დაწვა და ატირდა. ადალანამ იგრძნო, რომ სახე ცრემლებით დალტობოდა. ქრისტოფერი წამოჯდა და თავისი ფეხსაცმლით დაიწყო თამაში. ტომი კარის წვალეხას შეუდგა, რომ ენახა, შეძლებდა თუ არა გაღებას, მაგრამ არტურმა ხელი ჰკრა და შუქიდან გააგდო. ალენმა თავის ადვოკატს დაუწყო ძახილი. შურისძიების წყურვილით აღსავსე ეიპრილმა წარმოიდგინა, ვითომ იქაურობა ცეცხლის ალში იყო გახვეული. კევინმა შეიგინა. სტივმა კევინს გამოაჯავრა. ლიმ გაიცინა. ბობიმ წარმოიდგინა, რომ ფანჯრიდან გაფრინდა. ჯეისონი ცოფებს ყრიდა. მარკი, უოლტერი, მარტინი და ტიმოტი ჩაკეტილი საკნის კედლებს ეხლებოდნენ და ბრდღვინავდნენ. შონი ზუმუნებდა. არტური არასასურველებს ველარ აკონტროლებდა.

დამკვირვებლის სარკმლიდან მეხუთე პალატის ახალგაზრდა სანიტრები უყურებდნენ, როგორ ასკდებოდა მილიგანი კედლებს, ციბრუტივით როგორ ტრიალებდა, როგორ ლულლულებდა სხვადასხვა ხმითა და აქცენტით, როგორ იცინოდა, ტიროდა, იატაკზე ეცემოდა და მერე ისევ დგებოდა. ერთხმად დაასკვნეს, რომ მათ წინაშე ცოფიანი გიჟი იყო.

მეორე დღეს მეხუთე პალატაში ექიმი კოლი მივიდა და მილიგანს ამიტალის ნემსი გაუკეთა — იშვიათი წამალთაგანი, რომელიც ბილიზე დამამშვიდებლად მოქმედებდა და გონს მოჰყავდა. ბილიმ იგრძნო, რომ ნაწილობრივ მთლიანდებოდა, მაგრამ რაღაც აკლდა — არტური და რეიგენი, რომლებიც, ისევე, როგორც მაშინ, სასამართლოს წინ, განცალკევებულიყვნენ. მათ გარეშე კი ბილი გახლენილი, ცარიელი, შეშინებული და გზააბნეული იყო.

— თერაპიაში დამაბრუნეთ რა, ექიმო კოლ, — ევედრებოდა ბილი.

— ღია პალატის თანამშრომლებს ახლა შენი ეშინიათ, ბილი.

— არავის არაფერს დავუშავებდი.

— რეიგენმა კინალამ დაუშავა. შუშის ნამსხვრევი ეჭირა და დაცვას დაჭრით ემუქრებოდა. მე ძვლების დამტვრევას მიპირებდა. ღია პალატაში თუ გადაგიყვანთ, საავადმყოფოს თანამშრომლები გაფიცვით იმუქრებიან. ათენიდან შენს სხვაგან გადაყვანას ითხოვენ.

— სად?

— ლიმაში.

ამ სახელის გაგონებამ ბილის შიში მოჰგვარა. სმენოდა იქაურობის შესახებ. გაახსენდა, როგორ იბრძოდნენ შვეიკარტი და სტივენსონი, იმ ჯოჯოხეთში რომ არ გაეგზავნათ.

– არ გამიშვათ აქედან, ექიმო კოლ. კარგად მოვიქცევი, რასაც მეტყვიან, იმას ვიზამ.

კოლმა ფიქრიანად დაუქნია თავი.

– ვნახოთ, რას მოვახერხებ.

ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრიდან ინფორმაცია გამუდმებით ჟონავდა. გაზეთებს ცეცხლი ეკიდა. 7 აპრილის „დისპენში“ ეწერა: „წამლის ჭარბი დოზით მიღების ინსცენირების შემდეგ მილიგანი დახურულ პალატაში მოათავსეს“.

მილიგანზე „დისპენის“ თავდასხმები ახლა ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრსა და ექიმ კოლბეც ვრცელდებოდა. კოლს ტელეფონით ურეკავდნენ, ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ. ერთმა ყურმილში უყვირა:

– მოძალადეს როგორ უდგახარ გვერდში, შე მხხირავო სირო?! მოგკლავ!

ამის შემდეგ ექიმი კოლი მანქანაში ჩაჯდომამდე იქაურობას გულდასმით ამოწმებდა და ღამით საწოლის გვერდით მდგარ ტუმბაზე დატენილ რევოლვერს ინახავდა. შემდეგ კვირაში „დისპენმა“ სტიციანოს ტექსტი გამოაქვეყნა, რომელშიც ის ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელის, სიუ ფოსტერის მიერ მილიგანის სხვა კლინიკაში გადაყვანის მცდელობებს აკრიტიკებდა.

სტიციანოს ეჭვი ეპარება, რომ ათენი

მილიგანის გადაყვანას უზრუნველყოფს

შტატის საკანონმდებლო ყრილობაზე კოლამბუსის ოლქის წარმომადგენელი, მაიკ სტიციანო სკეპტიკურად არის განწყობილი იმ ფაქტის მიმართ, რომ ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრი უილიამ ს. მილიგანის სხვა დაწესებულებაში გადაყვანას ხელს შეუწყობს. კოლამბუსელი დემოკრატი დარწმუნებულია, რომ ერთი კვირის წინ პრესაში ატეხილმა აჟიოტაჟმა ხელი შეუშალა შტატის მთავრობის განზრახვას, 24 წლის ფსიქიკურად

დაავადებული, სექსუალური ძალადობის ჩამდენი და მძარცველი ჩუმად გაეგზავნათ სხვაგან. „დარწმუნებული ვარ, ეს საჯარო აურზაური რომ არა, მილიგანი უკვე სხვა შტატში, ან ლიმის სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იქნებოდა“, – განაცხადა სტიციანომ.

ოთხშაბათს ათენში გამართულ პრესკონფერენციაზე მისის ფოსტერმა განაცხადა, რომ „ბილი მილიგანის მკურნალობას პრესის აქტიურობამ და ამ უკანასკნელზე ბილის რეაქციამ შეუშალა ხელი“. ის რამდენიმე რეპორტაჟს ეხებოდა, რომლებიც „დისპეჩის“ მიერ იმ ფაქტის გამოაშკარავენას მოჰყვა, რომ მილიგანს ათენის საავადმყოფოდან ზედამხედველობის გარეშე გასვლის ნება დართეს. მისის ფოსტერის კომენტარს სტიციანოს მწვავე გამომხატვრება მოჰყვა. „ფაქტების გაშუქებისათვის პრესის დადანაშაულება უპასუხისმგებლობაა და მეტი არაფერი“, – თქვა მან.

როცა სტიციანომ და ბოლმა ოჰაიოს ფსიქიკური ჯანდაცვის დეპარტამენტს მილიგანის შესამოწმებლად ექსპერტების მოწვევა მოსთხოვეს, კორნელია უილბურმა ათენში ჩასვლაზე თანხმობა განაცხადა. თავის ანგარიშში უილბური ექიმი კოლის სამკურნალო პროგრამას დადებით შეფასებას აძლევდა. მისი განმარტებით, მრავლობითი პიროვნებების შემთხვევაში ამგვარი რეციდივი იშვიათობა არ იყო. 1979 წლის 28 აპრილს „კოლამბუს დისპეჩი“ წერდა:

სიბილის ფსიქიატრი თერაპიის ფარგლებში
მილიგანის „შვებულებებს“ მიესალმება
მელისა ვაიდნერი

ფსიქიატრიული კლინიკის პაციენტის, უილიამ მილიგანის გასასინჯად ოჰაიოს ფსიქიკური ჯანდაცვის განყოფილების მიერ მოწვეული ფსიქიატრის კონსულტაციაში ნათქვამია, რომ სასურველია, მკურნალობის პროცესმა ცვლილებების გარეშე

ჩაიაროს. განყოფილებისათვის შედგენილ მის ანგარიშში, რომელიც პარასკევს გასაჯაროვდა, უილბურმა მხარი დაუჭირა მილიგანის მკურნალობის პროგრამას, რომელიც ბოლო დრომდე ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრიდან მილიგანის ხშირ „შვებულებებს“ მოიცავდა. ექიმ უილბურის თქმით, რამდენიმე სახელმწიფო და კერძო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში ცამეტთვიანი მკურნალობის შემდეგ ის საშიში აღარ არის. მისი აზრით, ათენის დაწესებულებაში აუცილებლად უნდა განაგრძოს მკურნალობა. უილბურმა განაცხადა, რომ ზედამხედველის გარეშე კლინიკის გარეთ ყოფნა პაციენტზე თავდაპირველად დადებითად აისახებოდა, თუმცა ამ ფაქტის გახმაურებამ მასზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა.

1979 წლის 3 მაისის „კოლამბუს სტიბენ-ჯორნელში“ შემდეგი სტატია დაიბეჭდა:

მილიგანის ექიმის ობიექტურობა ეჭვქვეშ დგას

სტატის საკანონმდებლო ყრილობაზე კოლამბუსის ოლქის წარმომადგენელი მაიკ სტიციანო ეჭვქვეშ აყენებს იმ ფსიქიატრის ობიექტურობას, რომელიც უილიამ მილიგანის მკურნალობას ხელმძღვანელობდა. ოჰაიოს ფსიქიკური ჯანდაცვის განყოფილების ამჟამინდელი დირექტორის, მაიერს კურცისადმი გაგზავნილ წერილში სტიციანო წერს, რომ „კორნელია უილბურს არ აქვს მილიგანის საქმის კონსულტანტობის უფლება, რადგან მილიგანის ათენში განთავსება სწორედ მისი ინიციატივა იყო“. სტიციანოს თქმით, კორნელია უილბურის დამოუკიდებელ ექსპერტად შერჩევა იგივეა, მის ლილიანს („მის ლილიანი“ — ლილიან გორდი კარტერი, აშშ-ს 39-ე პრეზიდენტის, ჯიმი კარტერის დედა.) რომ ვკითხოთ, რას საქმიანობს ჯიმი კარტერი თეთრ სახლში“.

11 მაისს ქალთა ეროვნული ორგანიზაციის კოლამბუსის ფილიალმა ექიმ კოლს სამგვერდიანი წერილი მისწერა და ასლები მაიერ კურცს, მაიკ სტიციანოს, ფილ დონაჰიუს, დინა შორს, ჯონი კარსონს, ექიმ კორნელია უილბურს და „კოლამბუს დისპენს“ გაუგზავნა.

წერილი ასე იწყებოდა:

„ექიმო კოლ,

უილიამ მილიგანისთვის თქვენ მიერ შედგენილი მკურნალობის პროგრამა, რომელიც, თუკი გაზეთებს დაუვჯერებთ, ზედამხედველობის გარეშე კლინიკიდან გასვლას, ავტომობილის შეზღუდავად ტარებასა და წიგნებისა და ფილმებისათვის საავტორო უფლებების ფინანსურ მართვას მოიცავს, მეზობლად მცხოვრები ქალების უსაფრთხოების შეგნებულსა და აღმაშფოთებელ უგულვებელყოფას წარმოადგენს...“

წერილში ასევე ეწერა, რომ ექიმი კოლის პროგრამა მილიგანს არა მხოლოდ არ ასწავლის, რომ სისასტიკე და ძალადობა დაუშვებელია, არამედ „ფაქტობრივად, უბიძგებს კიდევ სავალალო ქცევისაკენ“. წერილში ექიმ კოლს ბრალს სდებდნენ, რომ მისი შთაგონებით მილიგანმა „კულტურაში გავრცელებული თითქმის შეუმჩნეველი, მაგრამ ძლიერმოქმედი მოსაზრება შეითვისა — რომ ქალებზე ძალადობა მისაღები, კომერციალიზებული და ეროტიზირებული ფუფუნებაა“. წერილის თანახმად, კოლის „პროფესიული სისუსტე იმდენადვე მიზოგინიურია, როგორც — წინასწარმეტყველებადი. იმის მტკიცება, რომ პიროვნება, რომელმაც გაუპატიურება ჩაიდინა, ლესბოსელია, პატრიარქალური კულტურის პირდაპირ გამართლებას წარმოადგენს... შეთხზული ლესბოსელი პერსონაჟი დამაჯერებელია, თუმცა სი-

ნამდვილეში ის ცრუ, სტერეოტიპული განტევების ვაცია, რომელსაც მილიგანის სასტიკი, აგრესიული სექსუალობა ბრალდება. მამაკაცს კიდევ ერთხელ ეხსნება ბრალი და მის სანაცვლოდ მსხვერპლი კვლავ ქალი ხდება“.

ექიმ უილბურის რეკომენდაციით ბილის ათენში დატოვება გადაწყდა. მითქმა-მოთქმითა და ამაზე ბილის რეაქციით გაღიზიანებული მიმღებისა და ინტენსიური თერაპიის თანამშრომლები მისი მკურნალობის გეგმის ცვლილებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაფიცვით იმუქრებოდნენ. ზოგი მათგანი ფიქრობდა, რომ ექიმი კოლი მილიგანთან მეტისმეტად დიდ დროს ატარებდა, ამიტომ ყოველდღიური პროცედურების თანამშრომლების გუნდისთვის მინდობა ითხოვეს, კოლის ამ საქმიანობაში ჩართულობა კი უნდა შეზღუდულიყო. კოლს ბილის ლიმაში გაგზავნა თავიდან უნდოდა აეცილებინა და უხალისოდ დათანხმდა. სოციალურმა მუშაკმა, დონა ჰადნელმა ბილისთვის „კონტრაქტი“ გაამზადა, რომელშიც მილიგანი პირობას დებდა, რომ მთელ რიგ აკრძალვებს დაემორჩილებოდა. პირველ პუნქტში ეწერა, რომ „არც ერთ თანამშრომელს არ უნდა დამუქრებოდა თავისი გაუცხოებითა და მდგომარეობის გაუარესებით“. ამ პუნქტის დარღვევისათვის სასჯელი მწერლის ვიზიტების შემცირება იქნებოდა. შუშის, ან რაიმე სხვა ბასრი მასალისგან დამზადებული საგნის ოთახში ქონა ეკრძალებოდა. დილის პროცედურების ჯგუფის თანხმობის გარეშე ვერც ერთი პრივილეგიით ვერ ისარგებლებდა. მასთან დარეკვის უფლება არავის ჰქონდა. თვითონ მხოლოდ კვირაში ერთხელ — ადვოკატთან და კვირაში ორჯერ — დასთან, ან დედასთან შეეძლო საუბარი. მონახულება მხოლოდ მის დასა და დის საქმროს, დედას, ადვოკატსა და მწერალს შეეძლოთ. კლინიკის სხვა პაციენტებისათვის ნებისმიერი სამედიცინო, სოციალური, იურიდიული, ეკონომიკური თუ ფსიქო-

ლოგიური რჩევის მიცემა ეკრძალებოდა. თავისი ანგარიშიდან კვირაში 8 დოლარსა და 75 ცენტზე მეტის მოხსნა არ შეეძლო და ამ თანხაზე მეტი ნაღდი ფულის ქონის უფლება არ ჰქონდა. სახატავი საშუალებებით სარგებლობა განსაზღვრული დროით იყო ნებადართული, ხატვისას მისთვის ზედამხედველობა უნდა გაეწიათ. დასრულებული ნახატები კვირის ბოლოს უნდა ჩამორთმეოდა. თუ ორი კვირის მანძილზე ყველა წესს დაიცავდა, პრივილეგიებს ნაბიჯ-ნაბიჯ აღუდგენდნენ. ბილი დათანხმდა მათ პირობებს. გაუმთლიანებელი ბილი წესებს იცავდა. ფიქრობდა, თანამშრომლებმა საავადმყოფო ციხედ აქციესო. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს კვლავ იმისთვის ისჯებოდა, რაც არ დაუშავებია. არტური და რეიგენი არსად ჩანდნენ და გაუმთლიანებელი ბილი დროის უმეტეს ნაწილს სხვა პაციენტებთან ერთად ტელევიზორის ყურებაში ატარებდა. ერთ-ერთი პირველი უფლება, რომელიც ორი კვირის შემდეგ აღუდგინეს, მწერლის ვიზიტები იყო. რაც „დისპეჩის“ თავდასხმა დაიწყო, მასწავლებელი აღარ გამოჩენილა. ბილის, რომელსაც არც დეტალების გახსენება შეეძლო, არც მოვლენებისა, რცხვენოდა. ორაბროვნების თავიდან ასაცილებლად მან და მწერალმა გადაწყვიტეს, დანაწევრებული ბილისთვის „დ-ბილი“ ეწოდებინათ.

— ყველაფერი კარგად იქნება, — უთხრა დ-ბილიმ მწერალს, — ვწუხვარ, რომ მეტი ვერაფრით გეხმარებით, მაგრამ ჩემი არტური და რეიგენი რომ დაბრუნდებიან, ყველაფერი კარგად იქნება.

როცა მომდევნო პარასკევს, 22 მაისს, მწერალი საავადმყოფოს ესტუმრა, მის წინაში ისევ გაუმთლიანებელი ბილი იყო. მისი შენელებული მეტყველების, დაბნეული მზერის, დათრგუნული გუნება-განწყობილების შემხედვარე მწერალი ძალზე დანადვლიანდა.

— ვის ვესაუბრები, რომ ვიცოდე? — ჰკითხა მან.

— მე ვარ, დ-ბილი. ისევ დაშლილი ვარ. ბოდში, მაგრამ არტური და რეიგენი ისევ არსად ჩანან.

— აბა, რას მებოდიშები, ბილი.

— ბევრი ვერაფერში გამოგადგებით.

— ეგ არაფერი. ისე ვისაუბროთ.

ბილიმ თავი დაუქნია, მაგრამ მოთენთილი და უღონო ჩანდა. ცოტა ხანში მწერალმა შესთავაზა, სასეირნოდ გასვლის ნებართვა ვითხოვოთ. ნორმა დიშონგი დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, რომ საავადმყოფოს ებოს არ გასცილდებოდნენ. ნათელი დღე იყო და მწერალმა ბილის სთხოვა, იმ კლდისკენ წაეყვანა, სადაც იმ დღეს დენი აძვრა. ბილის გზა ზუსტად არ ახსოვდა, მაგრამ დაახლოებით იცოდა, საით უნდა წასულყო და ცდილობდა, იმ დღეს მომხდარი თავში ხელახლა დაეტრიალებინა, მაგრამ ამაოდ. მეხსიერება ცარიელი ჰქონდა.

— აქ ერთი ადგილია, მარტო ყოფნა რომ მინდება, იქ მივდივარ ხოლმე. აი, იქით.

გზად მწერალმა ჰკითხა:

— დანარჩენი პიროვნებები რას აკეთებენ ხოლმე, როცა მხოლოდ ნაწილობრივ გამთლიანებული ხარ?

— მგონი, ეს იცვლება, — თქვა ბილიმ, — ამას „თანაცნობიერებას“ ეძახიან. თითქოს ვიღაც სხვის ცნობიერებაში ვიჭრები. ვფიქრობ, ეს ნელ-ნელა ხდება. არა მგონია, ყველა ყველასთან იყოფდეს ცნობიერებას, მაგრამ ნელ-ნელა რაღაცები იხსნება. დროდადრო რომელიღაცამ იცის ხოლმე სხვის თავს რა ხდება. არ ვიცი ეს რატომ ხდება, ან როგორ. წინა კვირაში მაღლა, ექიმ კოლთან კამათი იყო — ვიღაც მეორე ფსიქიატრი და კლიენტების უფლებების დამცველი იყვნენ მისულები. ალენიც იქ იყო და კამათობდა. მაგრამ მერე ადგა და უთხრა: „ჭირსაც წაუღიხართ ყველა. ლიმაში შევხვდებით!“ — და გავიდა. მე ფოიეში, სკამზე ვიჯექი და უეცრად ყველაფერი გავიგე, რაც თქვა. ვიყვირე: „რამეთქი?“ ვუთხარი: „მოიცადე ერთი წუთით, რას ნიშნავს ლიმაში“? სკამის კიდეზე ვზივარ, შეშინებული, იმიტომ რომ წამების წინ მომხდარი მესმის, გეგონება, ვიღაცამ ჩანაწერი უკან გადაახვიანო. და ამ სიტყვებს ვიღაც სხვა ამბობდა. დავინახე, ის მეორე ფსიქიატრი როგორ გამოვიდა ოთახიდან და ვუთხარი: „მისმინეთ, მიშველეთ, როგორმე უნდა მიშველოთ“. იმან მკითხა, რას გულისხმობო. კანკალი დავიწყე და ვუთხარი, თავში რაც გავიგე ცოტა ხნის წინ. ვთხოვე, ეთქვა, მართლა ასე იყო თუ არა. ახლახან მართლა გითხარით, ლიმაში გამგზავნეთ-მეთქი? იმან მითხრა, კიო და ტირილი დავიწყე. „არ მომისმინოთ, რა, არ დამიჯეროთ, რასაც გეუბნებით!“

— ეს განვითარების ახალი ეტაპია?

ბილიმ მწერალს ფიქრიანად შეხედა.

— ვფიქრობ, ეს საბოლოო შერწყმამდე განვითარებული თანაცნობიერების ჩანასახის არსებობის პირველადი ნიშნებია.

— ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— ჰო, მაგრამ ძალიან შიშისმომგვრელია. ვტიროდი და ვყვიროდი. ოთახში ყველა მე მომიბრუნდა და მიყურებდნენ. არ ვი-

ცოდი, რამდენიმე წამის წინ რა მქონდა ნათქვამი და მიკვირდა, რატომ მომშტერებოდა-მეთქი? და მერე ისევ თავში მესმოდა ყველაფერი.

— ისევ დანაწევრებული ბილი ხარ?

— ჰო, დ-ბილი ვარ.

— მარტო შენ გესმის „გადახვეული ჩანაწერი“?

ბილიმ თავი დაუქნია.

— იმიტომ, რომ მასპინძელი ვარ. მე ვარ ბირთვი. საერთო ცნობიერებას მე გამოვიძეოვებ.

— რას ფიქრობ ამაზე?

— ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ თან საშინელია. ზოგჯერ ვფიქრობ — კი მაგრამ, მინდა კი გამოვსახო? ღირს კი ეს მთელ ამ საშინელებად, ამ საზიზღრობად, რაც ახლა შემართება? იქნებ თავი ისევ გონების სიღრმეში ჩავიმარხო და ყველაფერი დავივიწყო?

— შენ რას აირჩევდი?

— არ ვიცი.

გონებრივად ჩამორჩენილთა სკოლასთან მდებარე პატარა სასაფლაოს რომ მიუახლოვდნენ, ბილიმ ლაპარაკს უკლო.

— აი, აქ მოვდივარ ხოლმე ზოგჯერ, რომ დავჯდე და აბრები დავალაგო. ყველაზე ნაღვლიანი ადგილია, რაც შეიძლება ვაცმა წარმოიდგინოს.

მწერალმა პატარა საფლავის ქვებს შეხედა. ბევრი მათგანი წაქცეულიყო და სარეველას დაეფარა.

— ნეტავ ამ ქვებს მარტო თარიღები რატომ აწერია? — იკითხა მწერალმა.

— როცა ვაცს ქვეყნად არც ოჯახი აბადია, არც მეგობარი, მისი ბედი არავის ადარდებს და აქ ხდება სული, მის შესახებ ყველა მონაცემს ანადგურებენ. თუმცა, იმ შემთხვევისთვის, თუ ვინმე

მაინც გამოჩნდება, დამარხულების სიას ჯერ კიდევ ინახავენ. ამ ხალხის უმეტესობა, თუ არ ვცდები, 1950 წლის ციებ-ცხელების დროს დაიღუპა. თუმცა, ზოგიერთ ქვას „1909“, ან უფრო ადრინდელი რიცხვიც აწერია.

ბილი საფლავეებს შორის სიარულს მოჰყვა.

— განმარტოებისათვის აქ მოვდიოდი ხოლმე და აი, იმ ნაძვების ძირში, სკამზე ვჯდებოდი. ამ სასაფლაოზე ყოფნა, განსაკუთრებით, თუ აქაურობის ისტორია იცი, დამთრგუნველია, მაგრამ სამაგიეროდ, აქ რაღაცნაირი სიწყნარე იცის. ხედავთ, ეს გამხმარი ხე როგორ იხრება საფლავეზე? არის ამაში რაღაც დიდებული, რაღაც ამაღლებული.

მწერალმა თავი დაუქნია. არ უნდოდა შეეწყვეტინებინა.

— ამ სასაფლაოს გაშენება რომ დაიწყეს, თავიდანვე წრის ფორმა მისცეს. ხედავთ, გიგანტური სპირალივით როგორ იკლავება? მერე, როცა ციებ-ცხელების ეპიდემია დაიწყო, ადგილი აღარ ჰყოფნიდათ და იძულებული გახდნენ, საფლავეები მწკრივებად გაეთხარათ.

— კიდევ კრძალავენ ვინმეს ამ სასაფლაოზე?

— ჰო, თუკი ვინმე კვდება და ახლობელი არავინ ჰყავს. ძალიან მტკივნეული რამეა. როგორ იგრძნობდით თავს, დიდი ხნის დაკარგული ნათესავის საძებნელად რომ მოსულიყავით და აღმოგეჩინათ, რომ მის ნაცვლად „ნომერი ორმოცდაერთი“ წერია? იმ სკამზეც რამდენი დამტვრეული ქვა აწყვია უპატრონოდ. ძალიან დამთრგუნველია. გარდაცვლილების მიმართ არავითარ პატივისცემას არ იჩენენ. ის რამდენიმე რიგიანი საფლავის ქვა სახელმწიფოს არ გაუკეთებია — იმ ხალხმა შეუკვეთა, აქ ნათესავები რომ იპოვეს. ზედ სახელებიც აწერია. ადამიანებს უყვართ წარსულში ქექვა, თავიანთი წარმომავლობის დადგენა. როცა ხედავენ, რომ მათი ნათესავი თუ წინაპარი აქ მარხია და ზედ მხოლოდ

ნომერი აწერია, ცოფდებიან. ამბობენ, ეს ჩემი ნათესავია და მეტ პატივისცემას იმსახურებსო. რა მნიშვნელობა აქვს, ეს ადამიანი საზოგადოებისგან გარიყული იყო, ავადმყოფი თუ რა. საწყენია, რომ აქ სულ რამდენიმე წესიერი საფლავის ქვაა. აქ დიდ დროს ვატარებდი ხოლმე, როცა თავისუფლად სეირნობა შემეძლო... — შეჩერდა, ჩაიცინა და დაამატა: — თავისუფლად რომ დავძრწოდი.

მწერალი მიხვდა, რომ ბილის „დისპეჩის“ სათაურად გამოტანილი ფრაზა გაახსენდა.

— მიხარია, რომ გეცინება. იმედია, ამ ამბავს გულთან ასე ახლოს აღარ მიიტან.

— არა, ახლა აღარ. ეგ უკვე გადავლახე. ვხვდები, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი მეღის, მაგრამ არა მგონია, ჩემზე იმოქმედოს. ამის შემდეგ ასეთ რამეებს უფრო ადვილად გავუმკლავდები.

საუბარში მწერალმა ბილის მიხრა-მოხრას ოდნავ შესამჩნევი ცვლილება შეატყო. თითქოს ახლა უფრო მკვირცხლად დადიოდა და გაცილებით უფრო მკაფიოდ მეტყველებდა. და ბოლოს, იმ გაბეთის სათაურის გამოჯავრება...

— რაღაც მინდა გკითხო, — უთხრა მწერალმა, — საუბრისას რომ არ გეხსენებინა, რომ დ-ბილი ხარ, არ დაგიჯერებდი, ისე ჰგავს შენი ლაპარაკი „მასწავლებლისას“.

მილიგანს თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით უთხრა:

— აბა, კიდევ ერთხელ მკითხეთ.

— ვინ ხარ?

— მასწავლებელი ვარ.

— ოჰ, შე ძაღლიშვილო! მოგწონს არა, რომ მაპამპულავებ?

მილიგანს გაეღიმა.

— ასე ხდება ხოლმე. რომ ვდუნდები, მერე ასე ხდება. ამას შინაგანი სიმშვიდე სჭირდება. აქ სწორედ ეს ვიპოვე — თქვენთან

საუბარი, ამ ყველაფრის ხელახლა დათვალიერება და გახსენება...

— რატომ ელოდებოდი, სანამ მე არ გკითხავდი? რატომ არ მითხარი, ჰეი, ახლა მასწავლებელი ვარო?

მან მხრები აიჩინა.

— დანაწევრებული ბილი გესაუბრებოდათ. მერე უცებ საუბარს რეიგენი შემოუერთდა, მერე — არტური, რადგან მათაც აქვთ რაღაც სათქმელი. უხერხულია — შუა საუბრისას ხომ არ დაგიწყებთ, ეი, გაუმარჯოს, როგორ ხართ-მეთქი, გეგონება მთელი ამ ხნის განმავლობაში არ გელაპარაკებოდით.

სეირნობა განაგრძეს და მასწავლებელმა თქვა:

— არტურსა და რეიგენს ძალიან უნდათ ბილის თქვენთვის იმის ახსნაში დაეხმარონ, რაც უკანასკნელი არეულობის დროს მოხდა.

— ჰოდა, მითხარი, — უპასუხა მწერალმა.

— დენი კლდიდან გადახტომას არ აპირებდა. უბრალოდ, გზას იქით გაუყვა, სადაც ყველაზე დიდი ყვავილები იზრდებოდა.

მასწავლებელმა გაიარა და მწერალს დენის მიერ გავლილი ბილიკი და ის ხე უჩვენა, რომელზეც თავი შეიმაგრა. მწერალმა ქვევით გადაიხედა. დენი აქედან რომ გადამხტარიყო, ცოცხალი ნამდვილად ვერ გადარჩებოდა.

— რეიგენი კი იმ დაცვის ბიჭების დაჭრას სულ არ აპირებდა, — თქვა მასწავლებელმა, — შუშის ნამტვრევი თავისთვისვე აიღო. იცოდა, რომ ბილის უღალატეს და ფიქრობდა, ყელს გამოვიჭრიო.

მან ხელით მოძრაობა გააკეთა იმის საჩვენებლად, რომ შუშას სინამდვილეში სხვებს კი არ უღერებდა, საკუთარ ყელთან ეჭირა.

— რეიგენი ყელის გამოჭრას და ამ ყველაფრის დამთავრებას აპირებდა.

– მისტერ კოლს რატომღა უთხარი, რომ ძვლების დამტკრე-
ვას უპირებდი?

– რეიგენს სინამდვილეში უნდოდა ეთქვა, „მოდიტ, ეკიმო
კოლ, პირველმა ტკვენ უკურეთ, დზვლებს როგორ დავამტკრევ“.
იმ ჩია კაცის დაშავებას არ ვაპირებდი.

– არ დაიშალო, ბილი, – უთხრა მწერალმა, – მასწავლებელი
საჭიროა. საქმე გვაქვს დასამთავრებელი, შენი ამბავი მნიშვნე-
ლოვანია.

ბილიმ თავი დაუქნია.

– ჰო, ახლა სწორედ ეს მინდა. მინდა, ჩემი ამბავი მსოფლიომ
იცოდეს.

სანამ თერაპია წინ მიიწევდა, საავადმყოფოს ადმინისტრა-
ციაზე ზეწოლაც გრძელდებოდა. თანამშრომლებთან ბილის ორ-
კვირიანი კონტრაქტი განახლდა. პრივილეგიები აღუდგინეს.
„კოლამბუს დისპეჩი“ მილიგანის შესახებ აგრესიული სტატიების
ბეჭდვას განაგრძობდა. საგაზეთო სტატიების პასუხად, შტატის
კანონმდებლები სასამართლო სხდომის დანიშვნას მოითხოვ-
დნენ. როცა სტიციანომ და ბოლმა გაიგეს, რომ მილიგანის შესა-
ხებ წიგნი იწერებოდა, საკანონმდებლო ყრილობაზე განსახილ-
ველად კანონპროექტი ნომერი 557 წარადგინეს, რომელიც კა-
ნონდამრღვევებს, მათ შორის მათაც, ვისაც შეურაცხადობის მი-
ზეზით უდანაშაულოდ სცნობდნენ, თავიანთი ცხოვრების შესახებ
დაწერილი წიგნებიდან შემოსავლის მიღებას უკრძალავდა. შტა-
ტის სასამართლო კომიტეტის წინაშე ეს კანონპროექტი ორ თვე-
ში უნდა განეხილათ.

მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში აყალმაყალი გრძელდებოდა და ეს ბილის ყოველდღიურობასა და მკურნალობის პროცესზეც აისახებოდა, მაისში ის სტაბილურობას ინარჩუნებდა. ბილის ისევ დართეს საავადმყოფოს ეზოში სავარჯიშოდ სიარულის ნება, თუმცა ქალაქში მარტოს მაინც არ უშვებდნენ. ექიმ კოლთან თერაპიის სენსებსა და ხატვას აგრძელებდა. თუმცა ახლა მწერალიცა და ექიმი კოლიც ადასტურებდნენ, რომ მასწავლებელი საგრძნობლად შეცვლილიყო — მესხიერება უწინდებურად მკაფიო როდი ჰქონდა. ალენივით მანიპულატორი და ტომის, კევინისა და ფილიპის მსგავსად ანტისოციალური გახდა. მასწავლებელი მწერალს მოუყვა, რომ ერთხელ, ტომის რადიომოწყობილობას რომ უჩივიდნენ, საკუთარი ხმა მოესმა:

— აბა, რას ვაკეთებ? ულიცენზიოდ მაუწყებლობა ხომ კანონდარღვევაა.

მერე კი თქვა:

— აუჰ. ამ ჩემს ფეხებს.

საკუთარი ქცევით შოკირებული იყო და ღელავდა. მან ხომ დაიჯერა, რომ ეს პიროვნებები (მასწავლებელი ახლა „ადამიანების“ ნაცვლად ტერმინ „პიროვნებების“ გამოყენებაზე თანახმა იყო) მის ნაწილს წარმოადგენდნენ.

ახლა კი, უეცრად, ყოველგვარი ურთიერთშენაცვლების გარეშე, ყველა მათგანს გრძნობდა. ესე იგი, ეს იყო ნამდვილი შერწყმა. ახლა ოცდაათხი პიროვნების საერთო მნიშვნელი იყო. შესაბამისად, არც რობინ ჰუდი იყო და აღარც სუპერმენი — ახლა ერთი ჩვეულებრივი, ანტისოციალური, სულმოკლე, მანიპულატორი, გონიერი, ნიჭიერი ახალგაზრდა ვაცი იყო. როგორც

ოდესღაც ექიმმა ჰარდინგმა ივარაუდა, შერწყმული ბილი მილიგანი მისი ნაწილების ჯამზე ნაკლები იყო. ამ პერიოდში მილიგანის დილის პროცედურების მენეჯერმა, ნორმა დიშონგმა გადაწყვიტა, რომ ბილის საქმეზე მუშაობა აღარ უნდოდა. წნეხი მასზეც მოქმედებდა. მასთან ერთად ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა ტექნიკურმა სპეციალისტებმაც თქვეს უარი. საბოლოოდ საქმის გაგრძელება დიშონგის კოლეგამ, ვანდა პენკეიკმა ითავა, რომელიც მიუხედავად ათწლიანი სტაჟისა, ინტენსიურ თერაპიაში ცოტა ხნის წინ გადასულიყო. მას მრავლობითი პიროვნებების არ სჯეროდა.

ვანდა პენკეიკი — ქმარს გაცილებული ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ოთხკუთხა სახე და ტანდაბალი, ძარღვიანი აგებულება ჰქონდა, ახალ პაციენტს კრძალვით მიუახლოვდა.

— როცა აქ პირველად მოიყვანეს, ვიფიქრე, ესღა გვაკლდა—მეთქი, — აღიარა მოგვიანებით პენკეიკმა, — გაზრეებში მასზე ისეთები წამეკითხა, სასტიკად მეშინოდა. ის ხომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი იყო და თანაც, აგრესიული.

ვანდამ გაიხსენა მილიგანთან პირველი შეხვედრა. ეს გასულ დეკემბერს მოხდა, როცა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ახლადგადაყვანილი ბილი დასასვენებელ ოთახში ხატავდა. პენკეიკი მიუახლოვდა, რომ გამოლაპარაკებოდა. ისე კანკალებდა, შუბლზე ჩამოვარდნილი თმის კულული უთრთოდა. როგორც განყოფილებაში მყოფ ყველა ქალს, მილიგანმა მასაც აუხსნა, რომ რეიგენიც კი რომ გამოსულიყო შუქზე, მისი არ უნდა შეშინებოდათ, რადგან რეიგენი ქალს ან ბავშვს არაფერს დაუშავებდა. რამდენიმე თვეში ვანდას შიში გაუქრა. ახლა მილიგანთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. დროდადრო ოთახშიც შეუვლიდა ხოლმე და დიდხანს საუბრობდნენ. ვანდას ნელ-ნელა მოეწონა ბილი და დაიჯერა, რომ გატანჯული მრავლობითი პი-

როვნება იყო. ის და მედდა პეტ პერი ბილის ჯერ კიდევ მტრულად განწყობილი თანამშრომლებისაგან იცავდნენ ხოლმე.

ვანდა პენკეიკი დენის პირველად მაშინ შეხვდა, როცა დენი ტახტზე იწვა და ცდილობდა, ღილები დაეძრო. ვანდა შეეკითხა, ამას რატომ აკეთებო.

— მინდა რო მოვადრო, — უპასუხა მან პატარა ბიჭის ხმით.

— აბა გაჩერდი ახლავე! კი მაგრამ, ვინ ხარ?

მან გაიცინა და უფრო მაგრად მოქაჩა.

— დენი ვარ.

— დენი, ახლავე თუ არ გაჩერდები, ხელებზე მოგხვდება!

მან პენკეიკს ახედა და ინერციით ერთი-ორჯერ კიდევ მოქაჩა, მაგრამ ვანდა რომ მიუახლოვდა, გაჩერდა.

ვანდა დენის მეორედ რომ შეხვდა, ის ტანსაცმელსა და თავის ნივთებს ნაგვის ყუთში ყრიდა.

— რას აკეთებ?

— რაღაცეებს ვყრი.

— რატომ?

— ჩემები არ არი და რათ მინდა.

— ახლავე შენს ოთახში დააბრუნე, დენი.

დენი წავიდა და ნივთები სანაგვეში დატოვა. ვანდას მათი ამოთრევა და ოთახში დაბრუნება მოუწია. რამდენჯერმე კიდევ დაიჭირა ტანსაცმლისა და სიგარეტების გადაყრაზე. ზოგჯერ ფანჯრიდან გადაყრილი მისი ნივთები სხვებს მოჰქონდათ. მოგვიანებით ბილი სულ კითხულობდა ხოლმე, ჩემი რაღაცები ვინ წაიღო. ერთხელ ვანდამ თავისი თვე-ნახევრის ძმიშვილი, მისტი მიუყვანა. ბილი დასასვენებელ ოთახში იჯდა და ხატავდა. ბავშვს რომ დახედა, პატარა მოიკუნტა და ატირდა. ბილიმ ნაღვლიანად უთხრა:

— აბა, გაზეთების კითხვისთვის ჯერ ძალიან პატარა არ ხარ?

ვანდამ მის დაწყებულ პეიზაჟს დახედა.

— რა კარგია, ბილი, — უთხრა მან, — მინდა შენი ნახატი მქონდეს. ბევრი ფული არ მაქვს, მაგრამ ირემს თუ დამიხატავ, სულ პატარას, სიამოვნებით შევიძენდი.

— რამეს დაგიხატავ, — მიუგო ბილიმ, — მაგრამ ჯერ მისტის პორტრეტი მინდა შევქმნა.

ბილიმ მისტის ხატვა დაიწყო. უხაროდა, რომ ვანდას მისი ნამუშევრები მოსწონდა. ვანდა გონიერი ქალი იყო, მასთან საუბარი უფრო ეადვილებოდა, ვიდრე დანარჩენებთან. იცოდა, რომ ქმარს გაშორებული იყო, შვილები არ ჰყავდა და თავისი ოჯახის მახლობლად, ტრაილერში ცხოვრობდა პატარა აპალაჩურ ქალაქში, სადაც დაიბადა. ნაკითხი, ყოჩაღი ახალგაზრდა ქალი იყო. ღიმილის დროს ლოყებზე ნაჩვრეტები უჩნდებოდა. გამჭრიახი მზერა ჰქონდა. ერთ საღამოს ბილი ბაღში ძუნძულებდა და სწორედ მასზე ფიქრობდა, როცა ვანდამ ახალი „პიკაპი“ გააჩერა.

— ერთხელ დამსვი რა მაგაზე! — დაუძახა ბილიმ მანქანიდან გადმოსულ ვანდას, თან ადგილზე ძუნძულებდა.

— არავითარ შემთხვევაში, ბილი!

ბილიმ უკანა მინაზე სამოყვარულო რადიოანტენა და ტელეფონის ნომერი დაინახა.

— არ ვიცოდი, თუ რადიომოყვარული იყავი.

— ჰო, ეგრეა, — უთხრა ვანდამ, მანქანა ჩაკეტა და საავადმყოფოსკენ გასწია.

— რა მეტსახელი გაქვს? — შეეკითხა ბილი და შენობაში შეჭყვა.

— „ირმებზე მონადირე“.

— ქალისთვის ცოტა უცნაური მეტსახელია. რატომ აირჩიე?

— ირმებზე ვნადირობ ხოლმე და იმიტომ.

ბილი შეჩერდა და მიაშტერდა.

— რა იყო?

— ირმებზე ნადირობ? ცხოველებს ხოცავ?

ვანდამ ბილის თვალეებში შეხედა და უთხრა:

— პირველი ხარირემი რომ მოვკალი, თორმეტის ვიყავი. მას შემდეგ ყოველ წელს ვნადირობ. ბოლო სეზონზე არ გამიმართლა, მაგრამ ერთი სული მაქვს, შემოდგომა როდის დადგება, რომ სანადიროდ გავიდე. ხორცისთვის ვნადირობ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ახლა კამათი არ დამიწყო.

ლიფტით ერთად ავიდნენ მაღლა. ბილი თავის ოთახში შევიდა და ვანდასთვის დასახატი ირემი მოხაზა.

1979 წლის 7 ივლისს პირველ გვერდზე გამოყოფილ წითელ სვეტში „კოლამბუს დისპენმა“ რობერტ რუთის სტატია გამოაქვეყნა:

„მოძალადე მილიგანი შესაძლოა რამდენიმე თვეში გამოუშვან“.

სტატია მოგვითხრობდა, რომ სამ-ოთხ თვეში მილიგანი შესაძლოა, გამოჯანმრთელებულად მიიჩნიონ და ფედერალურ კანონმდებლობაზე დაყრდნობით გათავისუფლებულ იქნას აშშ-ს უმაღლესი სასამართლოს მიერ. სტატია ასე მთავრდებოდა:

„მისი [დეპუტატ მაიკ სტიციანოს] ვარაუდით, თუკი კოლამბუსის მაცხოვრებლებმა ქალაქში მოხეტიალე მილიგანი დაინახეს, მისი სიცოცხლე საფრთხეში შეიძლება აღმოჩნდეს“.

სტატია რომ წაიკითხა, ექიმმა კოლმა თქვა:

— ვშიშობ, ამ სტატიამ ხალხი არ წააქეზოს.

ერთი კვირის შემდეგ ბილის ქეთის საქმრომ, რომ ბაუმგარდტმა მიაკითხა ძმასთან, ბოისთან ერთად. ორივეს სამხედრო კამუფლაჟი ეცვა — რობერტ რედფორდის ფილმ „ბრუბეკერში“ გადაეღოთ სტატისტებად. უნიფორმიან კაცებთან ერთად რომ ჩა-

დიოდა კიბეზე, ბილიმ დაინახა, დაცვის ჯიხურიდან ოფიცრები როგორ უყურებდნენ. სანამ „სამხედრო ესკორტი“ კიბეზე მიაცილებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეეცადა, ღიმილი შეეკავებინა.

ბილიმ მწერალს იმ შემაშფოთებელი ცვლილებების შესახებ მოუთხრო, საკუთარ თავს რომ ამჩნევდა. გასაღების გარეშე დაკეტილ კარებს ისე აღებდა, ტომის გამოსვლა არც დასჭირვებია. რეიგენის გამოსვლის გარეშე დააქროლებდა თავის ახალ მოტოციკლეტს ფრიალო კლდეების თავზე. როგორც თავის დროზე რეიგენი, სხეულში ადრენალინის ფეთქვას გრძნობდა. გრძნობდა, რა საუცხოოდ უმუშავებდა თითოეული კუნთი. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მოტოციკლეტზე არასდროს მჯდარა, ყველაფერი ადვილად გამოსდიოდა. ისიც შენიშნა, რომ ანტისოციალური ხდებოდა, სხვა პაციენტები აღიზიანებდნენ, თანამშრომლები მოთმინებას უკარგავდნენ. ძალიან უცნაური მოთხოვნილება აწუხებდა — რკინის ექვსფუტიანი, ბოლომოკაუჭებული ჭოკი აელო და ელექტროგამანაწილებელთან მისულიყო. იცოდა, უ-80-ის ტრანსფორმატორი სადაც იყო. თუ ამომრთველს ჩამოქაჩავდა, დენის გათიშვას მოახერხებდა. თავის თავს ეკამათებოდა. არწმუნებდა, ასე არ შეიძლებოდა. ქუჩის ლამპიონები რომ ჩაქრებოდა, ვიღაცას შეიძლებოდა ავარია მოსვლოდა. რატომ უნდოდა ამის გაკეთება? მერე გაახსენდა, ერთ საღამოს დედამისი და ჩალმერი როგორ ჩხუბობდნენ. ტომის ამის ატანა აღარ შეეძლო. ველოსიპედით სპრინგ-სტრიტს გაუყვა, ელექტროსადგურთან მივიდა, შიგნით შეძვრა და დენი გამორთო. ტომიმ იცოდა, რომ როცა დენი ითიშებოდა, ხალხი ჩხუბს წყვეტდა და წყნარდებოდა. ელექტროენერგია სამ ქუჩაზე გაითიშა — ჰიუბერტ ავენისზე, მეტჰოფ-დრაივსა და სპრინგ-სტრიტზე. შინ რომ დაბრუნდა, ბნელოდა, მაგრამ ჩხუბის ხმა აღარ ისმოდა. დოროთი და ჩალმერი სამზარეულოში ისხდნენ და სანთლის შუქზე ყავას სვამდნენ. აი,

რატომ უნდოდა ახლა ამის გაკეთება. მან ხომ ქეთისგან გაიგო, რომ დოროთის დელთან რამდენჯერმე საშინელი ჩხუბი მოსვლოდა. ბილის გაელიმა და ტრანსფორმატორს შეხედა. ეს რა სოციოპათიური „დეჟა ვიუ“ დაემართა. ეჭვობდა, რომ კიდევ რაღაც ვერ ჰქონდა რიგზე, რადგან სექსის მიმართ ინტერესი დაჰკარგვოდა. შანსი რამდენჯერმე ჰქონდა. ორჯერ უქმეებზე ქეთისთან სტუმრობის ნაცვლად ახალგაზრდა ქალებთან ერთად მოტელში დარჩა. მაგრამ ორივეჯერ ფანჯრიდან პოლიციის მანქანებს მოჰკრა თვალი, რომლებიც ქუჩაში იდგნენ და უთვალთვალეზდნენ და განზრახვაზე ხელი აიღო. თავს დამნაშავე ბავშვით გრძნობდა. ბილიმ საკუთარი თავის შესწავლას უფრო გულმოდგინედ მიჰყო ხელი. თავის თავში სხვების არსებობის ფაზებს აკვირდებოდა და იცოდა, მათი გავლენა მცირდებოდა. შაბათ--კვირას დასარტყამი ინსტრუმენტების კომპლექტი იყიდა. მაღაზიაშივე დაეკრა და საკუთარი უნარებით გაოცებულ იყო. ადრე დასარტყამებზე ალენი უკრავდა, მაგრამ ახლა ეს უნარი მასწავლებელს და დანაწევრებულ ბილისაც კი გადაეცა. ტენორ--საქსოფონსა და ფორტეპიანოზეც უკრავდა, მაგრამ დასარტყამებს ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტზე უფრო ძლიერი ემოციურ განტვირთვის განცდა მოჰქონდა. დასარტყამები აღაგზნებდა.

როცა კოლამბუსში ხმა გავრცელდა, რომ მილიგანის მკურნალობის გეგმაში შევებულებები კვლავ აღადგინეს, ექიმ დეივიდ კოლზე თავდასხმები განახლდა. ოჰაიოს შტატის ეთიკის კომისიას გამოძიების დაწყება დაევალა, რათა კოლის წინააღმდეგ საქმე აღეძრათ სამსახურეობრივი მოვალეობის უგულისყუროდ შესრულების გამო. ხმა დადიოდა, მილიგანი კოლისგან პრივილეგიებს იმიტომ იღებს, რომ ეს უკანასკნელი მასზე ჩუმ-ჩუმად წიგნს წერსო. კანონით, გამოძიების დაწყებამდე საქმეზე საჩივარი უნდა შესულიყო. ამიტომ ოჰაიოს ეთიკის კომისიამ ერთ-ერთ

მათ ადვოკატს შეატანინა საჩივარი. როცა ექიმმა კოლმა ნახა, რომ ახლა სხვა მხრიდან ესხმოდნენ თავს, პაციენტის განკურნების მისი მცდელობების კომპრომეტირებას ცდილობდნენ და მის რეპუტაციასა და სამედიცინო კარიერას საფრთხეში აგდებდნენ, 1979 წლის 17 ივლისს სასამართლოში სარჩელი შეიტანა. კოლის განცხადებაში ეწერა:

„ბილი მილიგანის საქმესთან დაკავშირებით განვითარებული უკანასკნელი რამდენიმე თვის აურზაური ყოველგვარ კანონზომიერებას სცდება და ლოგიკის, საღი აზრისა და კანონის მიღმაც კი გადადის... ჩემი, როგორც ექიმის გადაწყვეტილება პაციენტის მკურნალობის ზომების შესახებ ამ მითქმა-მოთქმის უმთავრესი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი წყაროა... ჩემს გადაწყვეტილებას ყველა სპეციალისტმა დაუჭირა მხარი, ვინც ამ საკითხში გარკვეულია... მწამს, რომ ჩემი შეურაცხყოფისა და ჩემზე თავდასხმის მიზეზები კერძო მოტივებს უკავშირდება — სულ მცირე, დეპუტატის რეკლამირებასა და მასალის შექმნას საექვო ჟურნალისტური პროდუქციისათვის...“

მოგვიანებით, რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარე რთული და ძვირად ღირებული სასამართლო პროცედურების საფუძველზე (გაწვევა, წერილობითი ჩვენებები, საპასუხო სარჩელი და ა.შ.) ექიმმა კოლმა საქმე მოიგო. თუმცა, აღმოაჩინა, რომ დროისა და ენერჯიის უდიდესი ნაწილი საკუთარი თავის, რეპუტაციისა და ოჯახის დაცვაზე ეხარჯებოდა. იცოდა, მისგან რა უნდოდათ — მუქარის შეწყვეტას მარტივად შეძლებდა, თუ ბილის გამომწვევდევდა; მაგრამ არ უნდოდა, დეპუტატებისა და გაზეთების გეწოლას დამორჩილებოდა მაშინ, როცა იცოდა, რომ ბილის თერაპია მოითხოვდა, მას ისევე მოპყრობოდნენ, როგორც ყველა სხვა პაციენტს.

3 ივლისს, პარასკევს, ბილის ნება დართეს, ნახატები ათენის ეროვნულ ბანკში წაეღო, რომელიც დათანხმდა, აგვისტოში ვესტიბიულში მილიგანის ნამუშევრები გამოეფინა. ბილი კმაყოფილი მუშაობდა, ახალ ნამუშევრებს ამზადებდა, ტილოებს ჭიმავდა, ხატავდა და ჩარჩოებში აქცევდა. თან ქეთის ქორწილისთვის ემზადებოდა, რომელიც 28 სექტემბერს იყო დანიშნული. ნახატებში აღებული ფულის ნაწილით საქორწილო დარბაზი იქირავა და „სმოკინგი“ მოირგო. ერთი სული ჰქონდა, როდის მოვიდოდა ქორწილის დღე. მისი ნამუშევრების გამოფენაზე კოლამბუსელი რეპორტიორები და ოპერატორები მივიდნენ. ადვოკატების თანხმობით ბილიმ საღამოს ახალი ამბების ჟურნალისტებს, ჯენ რაიანსა და კევინ ბერგერს მისცა ინტერვიუ. ჯენ რაიანს თავის შემოქმედებაზე ესაუბრა და უთხრა, რომ ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში მკურნალობა ძალიან ეხმარებოდა. როცა ჟურნალისტმა ჰკითხა, ნამუშევრების რა ნაწილი იყო სხვა პიროვნებების შექმნილი, ბილიმ უპასუხა:

— ძირითადად, ეს ერთობლივი ნამუშევრებია. თითოეული მათგანი ჩემი ნაწილია და ამის მიღება უნდა ვისწავლო. მათი უნარები — ეს ჩემი უნარებია. მაგრამ ახლა ჩემს მოქმედებებზე პასუხისმგებელი მე ვარ და მინდა, ეს შევინარჩუნო.

ბილის თქმით, მისი შემოქმედებიდან შემოსული თანხით საავადმყოფოსა და ადვოკატების ხარჯებს გაისტუმრებდა და დანარჩენს ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას მოახმარდა. ჟურნალისტს უთხრა, რომ მისი პიროვნებები ერთ მთლიანობად ერთიანდებოდნენ და ახლა შეეძლო, ყურადღება სამომავ-

ლო საქმიანობისათვის — ბავშვებზე ძალადობის პრევენციისათვის დაეთმო.

— მინდა, ისეთი ოჯახები, სადაც ნაშვილები ბავშვები იზრდებიან, უკეთ შემოწმდეს, — ამბობდა ბილი, — რათა დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ ისინი უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში იზრდებიან.

ჯენ რაიანმა, რომელმაც წინა დეკემბერს ბილის შესახებ ნახევარსაათიანი დოკუმენტური ფილმი გადაიღო, შეამჩნია, რომ ამ დროის მანძილზე ყველაზე მეტად მილიგანის საზოგადოებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. მიუხედავად ბავშვობაში გადატანილი სასტიკი ძალადობისა, მომავალს იმედით უყურებდა.

— ჩვენს მართლმსაჯულების სისტემას ახლა უფრო მეტად ვენდობი. აღარ მაქვს ისეთი განცდა, თითქოს მთელი სამყარო ჩემს წინააღმდეგ არის ამხედრებული.

საღამოს ექვსი საათის ახალ ამბებში კევინ ბერგერმა აღნიშნა, რომ თერაპია, რომელსაც ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში მილიგანს უტარებდნენ, საკამათო იყო და მას ბევრი აკრიტიკებდა, თუმცა ამან ბილის საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდა გაუჩინა.

— ათენელების მიმართ ახლა უკეთესი განწყობა მაქვს, — უთხრა ბილიმ რეპორტიორს, — გაცნობის შემდეგ ისე მტრულად აღარ მექცევია. ჩემი ისე აღარ ეშინიათ, როგორც მაშინ, აქ რომ პირველად მოვხვდი. ეს ამბავი... სხვა მოვლენებით იყო გამოწვეული.

ბილიმ აღნიშნა, რომ გამოსაფენი ნახატები ძალიან ყურადღებით შეარჩია. ზოგიერთის საჯაროდ გამოტანისგან თავი შეიკავა, რადგან შიშობდა, ადამიანებს შემოქმედების მიხედვით მისი პიროვნების ანალიზი არ დაეწყოთ. აღიარა, რომ ღელავდა, როგორ შეაფასებდა ხალხი მის შემოქმედებას.

– იმედი მაქვს, ჩემი ნამუშევრების სანახავად ცნობისმოყვარეობის გამო კი არა, იმიტომ მოდიან, რომ ხელოვნება აინტერესებთ.

თქვა, რომ ტექნიკის დასახვეწად უნდოდა, სპეციალური განათლება მიეღო, მაგრამ იცოდა, რომ რეპუტაციის გამო კოლეჯში არ მიიღებდნენ. იმედს იტოვებდა, რომ ოდესმე ეს სიტუაცია შეიცვლებოდა. ამბობდა, დავიცდიო.

– ახლა რეალობას პირისპირ ვუყურებ, – უთხრა ჟურნალისტს, – და ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს არის.

ბილი გრძნობდა, რომ საავადმყოფოს თანამშრომლებს ენახათ საღამოს გადაცემები, სადაც აჩვენებდნენ, როგორ კიდებდა ბილი თავის ნახატებს და როგორ ესაუბრებოდა გადაცემის ავტორებს. მათი უმეტესობა ბილის მიმართ მოლბა, მხოლოდ რამდენიმელა გამოხატავდა უკმაყოფილებას. ისიც კი გაიგო, რომ ზოგიერთი თანამშრომელი, ადრე აშკარად მტრულად რომ ექცეოდა, ახლა სამედიცინო ჩანაწერებში მის შესახებ დადებითად წერდა. ბილის აკვირვებდა, რომ ახლა იმასაც კი უყვებოდნენ, კონსილიუმებზე რა ხდებოდა და მისი ავადმყოფობის ისტორიაში რას წერდნენ. იცოდა, რომ მეხუთე პალატაში გადაყვანის შემდეგ დიდ პროგრესს მიაღწია. შაბათს, 4 აგვისტოს ინტენსიური თერაპიის კაბინეტიდან რომ გადიოდა, ლიფტის საგანგაშო სირენის ხმა გაიგო. ლიფტი მესამე და მეოთხე სართულებს შორის გაჩხერილიყო. შიგნით გონებრივად ჩამორჩენილი გოგონა იყო გაჭედილი. გამანაწილებელი შიშინებდა, ტკაცუნობდა, გუგუნებდა და ნაპერწკლები სცვიოდა. ბილი მიხვდა, რომ მოკლე ჩართვა მოხდა. შემოსასვლელში პაციენტები შეგროვდნენ. გოგონა ლიფტში კიოდა და კედლებზე აბრახუნებდა. ბილიმ ხალხს საშველად მოუხმო და მუშასთან ერთად გარეთა კარი ბერკეტით გააღო. ქეთრინ გილოტი და პეტ პერი გამოვიდნენ, რომ ენახათ, რა ხდებო-

და. დაინახეს, როგორ ჩაძვრა ბილი ლიფტის შახტაში და ზედა ლუკით ლიფტში როგორ ჩავიდა. ის გოგონას გვერდზე დახტა და ლაპარაკი დაუწყო, რომ დაემშვიდებინა. სანამ ლიფტიორი მოვიდოდა, ყველა იცდიდა. ბილი კაბინას შიგნიდან უჩხიკინებდა.

— ლექსები იცი? — ჰკითხა მან გოგონას.

— ბიბლია ვიცი.

— ფსალმუნები წამიკითხე, რა, — უთხრა ბილიმ.

ბიბლიაზე ნახევარ საათს ილაპარაკეს. როცა ლიფტიორმა კაბინა, როგორც იქნა, დაძრა და ბილი და გოგონა მესამე სართულზე გამოვიდნენ, გოგონამ ბილის შეხედა და ჰკითხა:

— ახლა ხომ მომცემენ შუშხუნა სასმელს?

მომდევნო შაბათს ბილი ადრე ადგა. გამოფენის ამბით გახარებული იყო, თუმცა სამაგიეროდ, გამოფენის შესახებ „დისპენზის“ მიერ გამოქვეყნებულმა სტატიამ გაანაწყენა, სადაც, როგორც ყოველთვის, მისი „ათი პიროვნების“ ხაზგასმა არ დავიწყებიათ და „მრავალსახა სექსუალური ძალადობის ჩამდენი“ უწოდეს. კონტრასტულ ემოციებთან გამკლავებას უნდა მიჩვეოდა. ეს რაღაც ახლებური განცდა იყო — ერთი მხრივ, იმედისგამაცრუებელი, მეორე მხრივ კი — მისი ემოციური სტაბილურობისთვის აუცილებელი. იმ დილით კლინიკის მეზობლად მდებარე საუნივერსიტეტო სასტუმრომდე გაძუნძულება და ერთი კოლოფი სიგარეტის ყიდვა გადაწყვიტა. იცოდა, მოწევა არ უნდა დაეწყო. ადრე სიგარეტს მხოლოდ ალენი ეწეოდა. მაგრამ ახლა სჭირდებოდა. თავის დანებებას, რომ გამოჯანმრთელდებოდა, მერეც მოასწრებდა. საავადმყოფოს კიბეზე რომ ჩამოდიოდა, შესასვლელის პირდაპირ გაჩერებულ მანქანაში ორი კაცი დაინახა. იფიქრა, ალბათ, ვიღაცის მოსანახულებლად იქნებიანო, მაგრამ გზა რომ გადაჭრა, მანქანამ გვერდით ჩაუარა. შენობის კუთხეს რომ გასცდა, ისევ დაინახა. ახლადგაკრეჭილი მინდორი გა-

დაკვეთა, კლინიკის ტერიტორიის საზღვართან, პატარა ნაკადულზე გადებულ საფეხმავლო ხიდზე გადავიდა და მანქანა ახლა უკვე მეოთხედ დაინახა — დეირი ლეინზე უხვევდა, ქუჩაზე, რომელიც ნაკადულსა და სასტუმროს შორის გადიოდა. ხიდზე გადასვლის შემდეგ ეს გზა უნდა გაეველო. ხიდზე რომ შედგა, მანქანის ფანჯარა ჩაიწია და იარაღიანი ხელი გამოჩნდა. „მილიგან!“ — იღრიალა ვიღაცამ.

ბილი ადგილზე გაშეშდა. ფრაგმენტებად დაიშალა. რეიგენს ტყვია აცდა და თხრილში ჩახტა. მეორე გასროლაც აცდა. მესამეც. რეიგენმა ნაკადულის ფსკერიდან ხის მსხვილი ტოტი აიღო, თხრილიდან ამოძვრა და სანამ მანქანა დაიძრებოდა, ტოტით უკანა შუშა ჩაულეწა. დიდხანს იდგა ასე, ბრაზისგან ცახცახებდა. მასწავლებელი ხიდზე დაბნეული გაშეშდა, სუსტი იყო და მერყეობდა. რეიგენი რომ არ გამოვარდნილიყო სწრაფად შუქზე, ახლა ყველანი მკვდრები იქნებოდნენ. რეიგენი ნელი ნაბიჯით გაბრუნდა საავადმყოფოსკენ, არტურსა და ალენთან ერთად მსჯელობდა, რა ელონათ. ეს ამბავი ექიმი კოლისთვის უნდა შეეტყობინებინათ. აქ, საავადმყოფოში ადვილ სამიზნეს წარმოადგენდნენ. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა, ვიღაცას ეპოვა და მოეკლა. ალენმა ეს ამბავი ექიმ კოლს უთხრა. საავადმყოფოდან „შვებულების“ აღება, მისი თქმით, ახლა ისეთი მნიშვნელოვანი იყო, როგორც არასდროს. ისეთი ადგილი უნდა ეპოვნა, სადაც მშვიდად იქნებოდა, სანამ ლანკასტერში მის საქმეს განიხილავდნენ და ბრალდებას მოუხსნიდნენ. მერე ოჰაიოდან წავიდოდა და კენტუკიში, ექიმ კორნელია უილბურთან გადავიდოდა სამკურნალოდ.

— მნიშვნელოვანია, ამ თავდასხმის ამბავი არ გახმაურდეს, — უთხა არტურმა ალენს, — თუ ის ვაცები გაზეთებში ამის შესახებ

ვერაფერს იპოვიან, წყობიდან გამოვლენ. იფიქრებენ, რომ ბილი რაღაცას ამზადებს.

— მწერალს ვუთხრათ? — იკითხა ალენმა.

— ეკიმი კოლის მეტი არავინ არ უნდა იცოდეს, — დაიჟინა რეიგენმა.

— მასწავლებელს პირველზე მწერალთან ჩვეული შეხვედრა აქვს. ადგილზე იქნება?

— არ ვიცი, — თქვა არტურმა, — გაქრა. ვფიქრობ, რცხვენია, ხიდზე რომ გაშეშდა.

— მწერალს რაღა ვუთხრა?

— ლაპარაკი კარგატ გეხერხება, — უთხრა რეიგენმა, — ვიტომ მასცავლებელი ხარ.

— მიხვდება.

— თუ ეტყვი, მასწავლებელი ვარო, ვერაფერსაც ვერ მიხვდება, — უთხრა არტურმა, — დაგიჯერებს.

— მოვატყუო?

— იმ კაცს ეწყინება, თუ გაიგებს, რომ მასწავლებელი დაიშალა და გაქრა. დამეგობრდნენ. წიგნის არსებობას სასწორზე ვერ შევადგებთ. ყველაფერი ისე უნდა გაგრძელდეს, თითქოს ბილი-ზე თავდასხმა არც მომხდარა.

ალენმა თავი გაიქნია.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ტყუილის თქმას მომთხოვდი.

— თუ ეს კეთილი მიზნით კეთდება, მაგალითად, ვილაცისთვის ტკივილის ასაცილებლად, მაშინ ეს ნამდვილი ტყუილი აღარ არის.

მწერალს ბილის მოქმედებები უსიამოვნო ეჩვენა. მეტისმეტად ამპარტავანი, მანიპულატორი და მომთხოვნი ჩანდა. ბილი ამბობდა, რომ ასწავლეს, ყოველთვის მზად ყოფილიყო უარესისთვის და უკეთესის იმედი ჰქონოდა. ახლა ყველაფერი საპირისპიროდ შეიცვალა. დარწმუნებული იყო, რომ ისევ ციხეში გაგზავნიდნენ. მწერალი გრძნობდა, რომ ეს მასწავლებელი არ იყო, მაგრამ დანამდვილებით ვერ იტყოდა. ბილის ადვოკატი, ალან გოლდსბერი რომ მოვიდა, მწერალმა იგრძნო, რომ ეს ალენი უხსნიდა გოლდსბერის, რატომ უნდოდა ანდერძის შედგენა და ყველაფრის თავისი დისთვის დატოვება.

— სკოლაში ერთი ტიპი მჩაგრავდა. ერთხელ დააპირა, ჩემთვის დაერტყა, მაგრამ არ დამარტყა. მერე გავიგე, ქეთიმ უკანასკნელი ოცდახუთი ცენტი მისცა, რომ ჩემთვის არ დაერტყა. ეს არასოდეს დამავიწყდება.

იმ უქმეებზე, ქეთისთან რომ იყვნენ, დენი და ტომი მიურალს ხატავდნენ, ალენი კი ლანკასტერში დანიშნულ სასამართლო სხდომაზე ღელავდა. თუ მოიგებდა და ექიმი კოლი კენტუკიში გაგზავნიდა, იცოდა, ექიმი უილბური უშველიდა. მაგრამ მოსამართლე ჯეკსონს გამამტყუნებელი განაჩენი რომ გამოეტანა, მაშინ? იქნებ იმისთვის იყო განწირული, რომ მთელი ცხოვრება ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და ციხეებში გაეტარებინა? სახელმწიფო ახლა საავადმყოფოს ხარჯებს უგზავნიდა, ყოველდღიურად თითქმის ას დოლარს. იმათ უნდოდათ, მთელი ფული დაეცინცლათ. სულიერად გატეხვას უპირებდნენ.

შაბათს ვერ დაიძინა. დილის სამი საათისთვის რეიგენი გარეთ გავიდა, მოტოციკლებზე დაჯდა და გზას დაადგა. ველზე ნის-

ლი იფანტებოდა და უნდოდა, გათენებამდე ესეირნა. ლოგანის კაშხლის გასწვრივ გაუყვა გზას. ნისლი ყველაზე მეტად შუალამისას მოსწონდა და ხშირად უსიერ ტყეში შედიოდა, ან ტბისკენ მიდიოდა და უყურებდა, როგორ ქრებოდა ბინდბუნდში ნელ-ნელა არემარის კონტურები. დილის სამი საათი მისი საყვარელი დრო იყო. კაშხლის ყველაზე მაღალ კიდეზე რომ მივიდა, სადაც ბილიკი ისე ვიწროვდებოდა, რომ მოტოციკლეტის ბორბლისათვის ძლივსღა რჩებოდა ადგილი, ფარები გამორთო. ნისლში მათი ანარეკლი თვალებს დაუბრმავებდა. ფარების გარეშე აქეთ-იქით ჩამოწოლილ წყვდიადს ხედავდა, შუაში კი — კაშხლის მკრთალ ზოლს. საჭე გასწორებული ჰქონდა. ეს სახიფათო იყო, მაგრამ ხიფათი სჭირდებოდა. სჭირდებოდა კიდევე ერთხელ დაეპყრო რაღაც. კანონდარღვევა არ იყო აუცილებელი, უბრალოდ, დროდადრო რაღაც სახიფათო უნდა გაეკეთებინა, ადრენალინის მოზღვავება უნდა ეგრძნო. უნდა გაემარჯვა. ადრე კაშხლის კიდეზე არასდროს ასულა. არ იცოდა, ზუსტად რამსიგრძე იყო. თვალს ბოლომდე ვერ აწვდენდა. მაგრამ იცოდა, ისე უნდა გადაეკვეთა, რომ სისწრაფე არ დაეგდო, რათა რომელიმე მხარეს სიმძიმეს არ გადაეძალა. ეშინოდა, მაგრამ ჯანდაბას, აუცილებლად უნდა ეცადა. ადგილს მოწყდა და გაქანდა. მეორე მხარეს მშვიდობიანად რომ გადავიდა, მოტორიალდა და უკან გამობრუნდა. ყვიროდა, ტიროდა და ღაპაღუპით წამოსული ცრემლები ცივი ქარისგან ლამის სახეზე ეყინებოდა. შინ გათანგული დაბრუნდა. დაესიზმრა, რომ ხიდზე გასული დაჭრეს და კვდებოდა, რადგან მასწავლებელი ადგილზე გაშეშდა, გაქცევა ვერ მოასწრო და ყველა სასიკვდილოდ გაწირა.

თავი ოცდამეორე

1

ორშაბათს, 17 სექტემბერს, სასამართლო სხდომის დღეს მწერალმა ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მომლოდინე ბილი რომ დაინახა, ნაცნობმა ღიმილმა, ნათელმა მზერამ და თავის დაკვრის ჟესტმა მიახვედრა, რომ ეს მასწავლებელი იყო. ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოართვეს.

— მიხარია, რომ გხედავ, — უთხრა მწერალმა, — რამდენი ხანია, აღარ შევხვედრივართ.

— ათასი რამ ხდებოდა.

— მოდი, სანამ გოლდსბერი და თომპსონი მოსულან, ცალკე ვისაუბროთ.

პატარა საკონფერენციო დარბაზში შევიდნენ და მასწავლებელმა მწერალს უამბო, როგორ ესროლეს, როგორ დაიშალა, როგორ იქირავა ალენმა ახალი სპორტული მანქანა, რომ როგორც კი მოსამართლე გამამართლებელ განაჩენს გამოუტანდა, ლექსინგტონში, ექიმ უილბურთან წასულიყო სამკურნალოდ.

— გასულ თვეს, შენ რომ გაუჩინარდი, შენ მაგივრად ვინ მესაუბრა?

— ალენი იყო, — უთხრა მასწავლებელმა, — ბოდიშს გიხდი. არტურმა იცოდა, გეწყინებოდათ იმის გაგება, რომ დავიშალე. ჩვეულებრივ, სხვა ადამიანის განცდებზე ამდენს არ იდარდებდა. ვფიქრობ, ასე იმიტომ მოიქცა, რომ იარაღით თავდასხმამ მისი მსჯელობის უნარი შეარყია.

გოლდსბერის და თომპსონის მოსვლამდე ასე საუბრობდნენ. მერე ყველანი ერთად გაემართნენ ფერფილდის ოლქის სასამართლოსკენ. გოლდსბერიმ და თომპსონმა სასამართლოს ჯორჯ ჰარდინგის, კორნელია უილბურის, სტელა კაროლინის, დევიდ კოლისა და დოროთი ტერნერის წერილობითი ჩვენებები წარუდგინეს. მათი თქმით, „სამედიცინო ჩვენებების საფუძველზე დანამდვილებით შეეძლოთ განეცხადებინათ“, რომ 1974 წლის დეკემბერსა და 1975 წლის იანვარში, გმისპირა ყაჩაღობებისა და გრეის აფთიაქის ძარცვისას ბილი მილიგანი ფსიქიკურად დაავადებული მრავლობითი პიროვნება იყო. მათი თქმით, ამ დროს ის, სავარაუდოდ, ვერ შეძლებდა ადვოკატს, ჯორჯ კელნერს, თავის დაცვაში დახმარებოდა. ფერფილდის ოლქის პროკურორმა, მისტერ ლუსმა, მხოლოდ ექიმი ჰაროლდ ბრაუნი გამოიძახა, რომელმაც აჩვენა, რომ ბილის თხუთმეტი წლის ასაკში მკურნალობდა, შემდეგ კი კოლამბუსის სახელმწიფო საავადმყოფოში გაგზავნა სამი თვით. მისი თქმით, იმ შესაძლებლობების წყალობით, რაც თანამედროვე მედიცინას გააჩნია, პასიურ-- აგრესიული მახასიათებლების მქონე ისტერიული ნევროზის დიაგნოზის ნაცვლად ახლა დისოციაციური აშლილობის დიაგნოზს დასვამდა მრავლობითი პიროვნების აშლილობის ალბათობით. მიუხედავად ამისა, ბრაუნმა სასამართლოს განუცხადა, რომ როცა ბრალდების მხარის ადვოკატის თხოვნით ბილის ათენში შეხვდა და ესაუბრა, ჩანდა, რომ მილიგანი თითქოს აცნობიერებდა ჩადენილ ქმედებებს. ბრაუნის თქმით, ალბათ მილიგანი არ იყო მრავლობითი პიროვნება, რადგან მრავლობითმა პიროვნებებმა, როგორც წესი, მათი ალტერ ეგოების მოქმედებების შესახებ არაფერი იციან. სასამართლო დარბაზიდან რომ გავიდნენ, გოლდსბერი და თომპსონი იმედიანად იყვნენ, ბილიც კი შესანიშნავ განწყობაზე იყო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოსამართლე

ჯეკსონი ოთხი მაღალკვალიფიციური ფსიქიატრის და ფსიქოლოგის ჩვენებას ბრაუნის ჩვენებაზე მაღლა დააყენებდა. მოსამართლემ რეპორტიორებს უთხრა, რომ გადაწყვეტილებას ორი კვირის განმავლობაში მიიღებდა. 18 სექტემბერს, როცა ექიმმა კოლმა ნახა, როგორი აღგზნებული იყო ბილი ლანკასტერიდან დაბრუნების შემდეგ და როგორ ეშინოდა თავდასხმის განმეორების, შვებულება მისცა. ბილი ხვდებოდა, რომ თავისი დის სახლში ისეთივე ადვილი იქნებოდა მისი მიგნება, როგორც საავადმყოფოში, ამიტომ შეთანხმდნენ, რომ ნელსონვილის მახლობლად, ჰოკინგ ველის მოტელში გაჩერდებოდა. თან მოლბერტს, საღებავეებსა და ტილოებს წაიღებდა, რომ წყნარად ემუშავა და არავის შეეწუხებინა. სამშაბათს ჩაეწერა სასტუმროში სხვის სახელზე და ეცადა მოდუნებულიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ხატვისას ხმაური ესმოდა. ოთახი და შემოსასვლელი ცარიელი იყო. მიხვდა, რომ ეს მის თავში ხდებოდა. ეცადა, ყურადღება არ მიექცია და ფუნჯის მონასმებზე კონცენტრირებულიყო, მაგრამ ხმები არ წყდებოდა. ეს არც რეიგენი იყო, არც არტური, მათ აქცენტებს მაშინვე იცნობდა. სავარაუდოდ, არასასურველები უნდა ყოფილიყვნენ. ახლა რაღა უნდოდათ? ბილი ვერც მუშაობდა, ვერც იძინებდა. ქეთისთანაც ეშინოდა დაბრუნება და ათენშიც. ოთხშაბათს მაიკ რუპს დაურეკა და სთხოვა, მისულიყო. რუპმა რომ დაინახა, როგორი განერვიულებული იყო ბილი, ექიმ კოლს შეატყობინა.

— მაინც ღამის მორიგეობაზე ხარ, — უთხრა კოლმა რუპს, — ამაღამ ბილისთან დარჩი და ხვალ თან წამოიყვანე.

მაიკ რუპი გვერდით რომ დაიგულა, ბილი დამშვიდდა. ბარში დალიეს და ბილიმ რუპს უთხრა, რომ სიბილის ექიმთან შეძლება და მკურნალობას.

— სანამ ექიმი უილბური ჩათვლის, რომ ჩემი მართო ცხოვრება შეიძლება, რამდენიმე კვირით საავადმყოფოში დავრჩები. ვფიქრობ, შევძლებ მართო ცხოვრებას, რადგან ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი რალაცას ვახერხებ ხოლმე... მერე მკურნალობას დავიწყებ და მის მითითებებს მივყვები.

რუპი უსმენდა, როგორ ესაუბრებოდა ბილი თავის სამომავლო გეგმებზე, ახალ ცხოვრებაზე, რომელსაც დაიწყებდა, თუკი მოსამართლე ჯეკსონი ლანკასტერში ბრალდებებს მოუხსნიდა. მთელი ღამე ისაუბრეს, დილით ჩაეძინათ და დაგვიანებული საუზმის შემდეგ საავადმყოფოსკენ გასწიეს. საავადმყოფოში დაბრუნებული ბილი ვესტიბიულში იჯდა და ფიქრობდა, როგორი უვარგისი გავხდით. თავს ყეყეჩად გრძნობდა, რადგან ყველაფერს კარგავდა, რაც თავისი პიროვნებებისგან მიეღო — არტურის ჭკუას, რეიგენის ძალას, ალენის მოხერხებულობას, ტომის ცოდნას ელექტრობაში. თავს სულ უფრო და უფრო სულელად გრძნობდა, წნეხი სულ უფრო მეტად იზრდებოდა. ბილის სტრესმა და შიშმა დარია ხელი. თავში ხმაური გაუძაფრდა, ფერები აუტანლად მჭახე ეჩვენებოდა. უნდოდა, თავის ოთახში შესულიყო, კარი გაეჯახუნებინა და ეყვირა, ეყვირა, ეყვირა...

მეორე დღეს ვანდა პენკეიკი ყავახანაში სადილს ამთავრებდა, როცა მისი მეგობარი ფეხზე წამოიჭრა და ფანჯარას მივარდა. ვანდა შებრუნდა და წვიმაში გარეთ გაიხედა რომ დაენახა, რას მიშტერებოდა მეგობარი.

— ვილაც დავინახე, — უთხრა კაცმა, — ლაბადაში ჩაცმულმა კაცმა რიჩლენდ ავენისუს ხიდზე გადაირბინა და გადახტა.

— სად?

ვანდა თითის წვერებზე აიწია, მაგრამ წვიმით გალუმპული ფანჯრის მიღმა ხიდზე გაჩერებული მანქანის მეტი ვერაფერი დაინახა. მძლოლი გადმოვიდა, ხიდის პარაპეტიდან გადაიხედა

და მანქანასთან დაბრუნდა. მერე ისევ პარაპეტს მიუახლოვდა და გადაიხედა, თითქოს ქვევით ვიღაცას თუ რაღაცას უყურებდა. ვანდას გულმა რეჩხი უყო.

— წავალ, ვნახავ, ბილი სად არის.

მთელი განყოფილება მოიარა, თანამშრომლებსა და პაციენტებს ეკითხებოდა, მაგრამ ბილი არავის ენახა. მერე ბილის ოთახში შეიხედა. მისი ლაბადა კარადაში არ ეკიდა. განყოფილების უფროსი, შარლოტ ჯონსონი, მედდების პუნქტში მივიდა. მისთვის დაერეკათ და ეთქვათ, რომ ქალაქში რომელიღაც თანამშრომელს ბილი რიჩლენდ ავენიუზე დაენახა. ექიმი კოლი კაბინეტიდან გამოვიდა. დაურეკეს და უთხრეს, რომ ბილი ხიდზე დანახეს. ყველა ერთხმად ყაყანებდა. დაცვის გაგზავნა არ უნდოდათ, იცოდნენ, ფორმიანების დანახვაზე ბილი აღელდებოდა.

— მე წავალ, — თქვა ვანდამ და ქურთუკი აიღო.

რიჩლენდის ხიდამდე ვანდა მანქანით დაცვის წევრმა, კლაიდ ბარნჰარტმა მიიყვანა. ხიდთან რომ მივიდნენ, ვანდა ქვევით ჩაცოცდა და მილებს შორის წყალს ჩახედა. მერე მდინარეს გაუყვა, აქეთ-იქით იყურებოდა. არაფერი ჩანდა. მობრუნებულმა წელან გაჩერებული მანქანის მძღოლი დაინახა. გაუკვირდა, რომ ისევ იქ იყო.

— ლაბადიანი კაცი ხომ არ დაგინახავთ? — ჰკითხა ვანდამ.

კაცმა შორიახლოს მდებარე უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზისკენ მიუთითა. დაცვის „კრუიზერმა“ ვანდა აგურისა და შუშისგან ნაგებ თანამედროვე შენობასთან მიიყვანა, საიუბილეო ტორტისმაგვარი ფორმა რომ ჰქონდა.

— აი, აქ არის, — თქვა დაცვის ოფიცერმა ბარნჰარტმა და მესამე სართულზე მიშენებულ გალერეაზე მიუთითა.

— აქ მოიცადე, — უთხრა ვანდამ, — სჯობს მე თვითონ მივხედო.

— შენობაში მართო არ შეჰყვე. მასთან მართო ნუ დარჩები, — გააფრთხილა ბარნჰარტმა.

ვანდამ პანდუსზე აირბინა და ბილი დაინახა. ხან ერთ კარს ექაჩებოდა, ხან მეორეს, შენობაში შესვლას ცდილობდა.

— ბილი! — უყვირა ვანდამ და პანდუსიდან გაღერებაზე გადაირბინა, — დამიცადე!

ბილის არ უპასუხია. ვანდამ სხვა სახელები სცადა:

— დენი! ალენ! ტომი!

ბილის ყურადღება არ მიუქცევია. სწრაფად მოძრაობდა, ისევ კარებს აწვალებდა, სანამ ღია კარი არ იპოვა და შიგნით არ შევიდა. ვანდა საკონფერენციო ცენტრში ადრე არასოდეს ყოფილა. შეშინებული იყო. არ იცოდა, ბილი რის გაკეთებას აპირებდა, ან აქ რა უნდოდა. სირბილით შეჰყვა შიგნით და კიბებზე მიმავალს დაეწია. ვანდა ქვევით დარჩა.

— ჩამოდი, ბილი!

— ჯანდაბაშიც წასულხარ. ბილი არა ისა.

ვანდას ადრე არასოდეს ენახა, რომ ბილის საღეჭი რეზინი დაეღეჭა. ახლა კი სწრაფად და გამალეებით იცოხნებოდა.

— ვინ ხარ? — ჰკითხა ვანდამ.

— სტივი.

— აქ რას აკეთებ?

— აბა ტვინს წიხლი კარგად მიაჭირე. შენი ამრით, რას უნდა ვაკეთებდე? შენობის სახურავზე მინდა ასვლა.

— რისთვის?

— უნდა გადმოვხტე.

— ჩამოდი, სტივ და დავილაპარაკოთ, რა.

სტივი უარზე იყო. ვანდა ცდილობდა, გონზე მოეყვანა, მაგრამ ამაოდ. ვანდა მიხვდა, რომ თავის მოკვლას აპირებდა. შენიშნა, როგორი სხვანაირი იყო ახლა — ყოყლოჩინა, უფრო მაღალი

ხმით და უფრო სწრაფად საუბრობდა, მაჩოს ამპარტავნული მიხრა-მოხრა და საუბრის მანერა ჰქონდა.

— ტუალეტში მივდივარ, — უთხრა სტივმა და საპირფარეშოს კარში შევიდა.

ვანდა სწრაფად მივარდა გასასვლელთან და გადაიხედა, რომ ენახა, კლავდი დაცვის კრუიზერით ისევ იქ იყო თუ არა. ის არსად ჩანდა. წასულიყო. ვანდა შიგნით რომ შემობრუნდა, სტივი ტუალეტიდან გამოვიდა და სხვა კარით გავიდა. ვანდა უკან მიჰყვა, მაგრამ სტივს კარი შიგნიდან ჩაეკეტა. ქალმა ტელეფონი იპოვა, საავადმყოფოში დარეკა და ექიმი კოლი ითხოვა.

— არ ვიცი, როგორ მოვიქცე, — უთხრა ვანდამ, — ახლა სტივია და თვითმკვლელობაზე ლაპარაკობს.

— დაამშვიდე, — დაარიგა კოლმა, — უთხარი, ყველაფერი კარგად იქნება-თქო. უთხარი, რომ საქმე ისე ცუდად არ არის, როგორც მას ჰგონია. რომ კენტუკიში ექიმ უილბურთან სამკურნალოდ წასვლას აუცილებლად შეძლებს. უთხარი, დაბრუნდეს.

ვანდამ დაკიდა და კართან დაბრუნდა. აკაკუნებდა და ყვიროდა:

— სტივ! კარი გააღე! ექიმმა კოლმა თქვა, რომ კენტუკიში წახვალ! — რამდენიმე წამში კარი იქიდან გამომავალმა სტუდენტმა გააღო. ვანდამ აღმოაჩინა, რომ ის ვიწრო, წრიულ კორიდორში გადიოდა. ვანდა მირბოდა და გზადაგზა კაბინეტებსა და ოთახებში იყურებოდა. თავი საშინელ სიზმარში ნანახ კარუსელში ეგონა. იხედებოდა, ვერ პოულობდა. მერე ძებნას აგრძელებდა. ორ სტუდენტს რომ ჩაუარა გვერდით, რომლებიც ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, დაუყვირა:

— აქ ვაცს ხომ არ გაუვლია? მეტრი და ოთხმოცი. ყავისფერი, სველი ლაბადა აცვია.

ერთ-ერთმა თითით უჩვენა:

— აი, იქით წავიდა.

წრიულ კორიდორში მირბოდა, გზადაგზა გასასვლელ კარებსა და დერეფნებს ამოწმებდა. ერთ-ერთი გასასვლელის ბოლოს, გარე გალერეაზე დაინახა.

— სტივ! — დაუყვირა მან, — ერთი წუთით მოიცადე, უნდა დაგელაპარაკო!

— არაფერი არ მაქ სალაპარაკო.

ვანდამ შემოუარა და მასა და ბეტონის მოაჯირს შორის ჩადგა, რომ წინ გადასდგომოდა და გადახტომაში ხელი შეეშალა.

— ექიმი კოლი გეუბნება, დაბრუნდიო.

— ერთი მაგ გასიებული ღიპიანი ნაბიჭვრის დედაც!

— ამბობს, ყველაფერი ისე ცუდად არ არის, როგორც შენ გგონიაო.

— იმდენი მაგას შევეცი.

სტივი ბოლთას სცემდა და საღეჭ რეზინს გამწარებული ღეჭავდა.

— ექიმმა კოლმა თქვა, რომ კენტუკიში წასვლას შეძლებ და იქ ექიმი უილბური დაგეხმარება.

— მაგათ არც ერთს არ ვენდობი. იმ რაღაცა სირობას ჩმახავენ, ვითომ ბევრი პიროვნება მაქ და რაღაცა. ბოღვა. გიჟები ეგენი არიან თუ არიან.

სტივმა სველი ლაბადა გაიხადა, ფანჯარას ააკრა და მუშტი მოუღერა, რომ შუშისთვის დაერტყა და ჩაემსხვრია. ვანდა მივარდა, ხელზე ჩამოეკიდა და არ უშვებდა, რომ დარტყმის საშუალება არ მიეცა. იცოდა, რომ შუშა თავის მოსაკლავად უნდოდა, მაგრამ მინა ძალიან სქელი იყო და ვერ გატეხავდა. ალბათ მხოლოდ ხელს თუ მოიტეხავდა. მაგრამ ვანდა არ შორდებოდა და სტივი უძალიანდებოდა, რომ მოეშორებინა. ჭიდაობ-ჭიდაობაში ვანდა ეცადა, დაერწმუნებინა, უკან დაბრუნებულიყო,

მაგრამ ვერაფერი ჩააგონა. ბოლოს სველმა და გათოშილმა ვან-
დამ თქვა:

— დავიღალე. აირჩიე — ან ახლავე დაბრუნდი ჩემთან ერთად,
ან ფეხებშუა წიხლს ამოგარტყამ.

— მაგას არ იზამ, — უთხრა მან.

— ვიზამ, — მიუგო ვანდამ, რომელსაც მისი ხელი ისევ ჩაბლუ-
ჯული ჰქონდა, — სამამდე ვითვლი. თუ არ შეწყვეტ ამას და ჩემთან
ერთად საავადმყოფოში არ წამოხვალ, ამოგარტყამ.

— მე ქალებს არ ვურტყამ, — თქვა სტივმა.

— ერთი, ორი... — თქვა ვანდამ და მუხლი უკან გასწია.

სტივმა თავის დასაცავად ფეხები გადააჯვარედინა.

— ხომ არ დამარტყამ? ჰა?

— კი, დაგარტყამ.

— ზევით ავძვრები.

— არ აძვრები, არ აგიშვებ.

სტივი დაეჯაჯგურა, მერე თავი გაითავისუფლა და მოაჯირს მი-
ვარდა. კიდესთან რომ მიირბინა, ვანდა მივარდა, ერთი ხელი კი-
სერზე შემოხვია, მეორე — ქამარში ჩაავლო და უკან გამოსწია.
ჭიდილისას პერანგი შემოახია. მერე დაინახა, მასში რაღაც თით-
ქოს როგორ გატკაცუნდა. სტივი მოეშვა და იატაკზე დავარდა.
მზერა გაეყინა და ვანდამ იცოდა, რომ მის ადგილას ახლა უკვე
სხვა იყო. მან ტირილი დაიწყო, კანკალებდა და კბილს კბილზე
აცემინებდა. „ეშინია“, — გაიფიქრა ვანდამ. იცოდა, ვინც იყო. მო-
ეხვია და უთხრა, ნურაფრის გეშინიაო.

— ყველაფერი კარგად იქნება, დენი.

— გამწკვეპლავენ, — ბლუქუნებდა დენი, — თასმები გახსნილი
მაქ, ფეხსაცმელი სულ ტალახიანი, თმა და შარვალიც სველი მაქ.
ტანსაცმელი გამეხა და დაიჭმუჭნა.

— გინდა, წამო, გავიაროთ, — უთხრა ვანდამ.

— ჰო, — უპასუხა დენიმ.

ვანდამ მისი ლაბადა იატაკიდან აიღო, ჩააცვა და შენობის გასასვლელისკენ წაიყვანა. ხეებს შორის, ბორცვზე საავადმყოფოს შენობას ხედავდა. ალბათ ამ წრიულ შენობას იქიდან ხშირად უყურებდა. დაცვის კრუიზერი დაბრუნებულიყო. ქვევით, მანქანების სადგომზე იდგა, ცარიელი იყო.

— გინდა, მანქანაში ჩავსხდეთ? წვიმას მანქანაში შევეფაროთ. დენიმ უკან დაიწია.

— ნუ გეშინია, დაცვაა. კლაიდ ბარნჰარტი ზის საჭესთან. კლაიდი შენი მეგობარია. ხომ მოგწონს კლაიდი, არა?

დენიმ თავი დაუქნია და უკანა სავარძელზე დაჯდომა დააპირა, მაგრამ დამცავი ბადე რომ დაინახა, გალიას რომ ჰგავდა, შეკრთა და უკან გადგა.

— კარგი, ორივე წინ დავსხდეთ და კლაიდს დაველოდოთ, რომ მოვიდეს და წაგვიყვანოს.

დენი ჩუმად მიუჯდა გვერდით, შარვალი სულ დასველებოდა, ფეხსაცმელი ტალახში ჰქონდა ამოგანგლული. გაბრუებული ჩანდა. ვანდამ კარი ღია დატოვა და ფარები აანთო, რომ ენიშნებინა, მანქანაში ვართო. მალე საკონფერენციო ცენტრიდან კლაიდი ჩამოვიდა ნორმა დიშონგთან ერთად.

— საავადმყოფოში ვიყავი და წამოვიყვანე, — აუხსნა კლაიდმა, — შენობაში ვიყავით, შენ და ბილს გეძებდით.

— ეს დენია, ახლა უკვე არა უშავს, — უთხრა ვანდამ.

სამშაბათს, 25 სექტემბერს, მედდა პეტ პერი უყურებდა, როგორ ესაუბრებოდა ბილი მისაღებში გას ჰოლსტონს. ჰოლსტონი კლინიკაში რამდენიმე კვირის წინ ჩაეწერა. ის და ბილი ერთმანეთს ლიბანიდან იცნობდნენ. მათ ლორიმ და მარშამ ჩაუარეს და გაეარშიყნენ. ლორი, რომელიც ბილის მიმართ სიმპათიას ვერასდროს მალავდა, ახლა თავს იკატუნებდა, ვითომ ჰოლსტონი მოსწონდა. მედდა პერის ლორის საქმე ებარა და კარგად იცოდა, რომ გოგონა ბილის ათენში ჩამოსვლის დღიდან მასზე გიჟდებოდა. ლამაზი, არცთუ ჭკვიანი ლორი მილიგანს სულ კუდში დასდევდა, წერილებს უტოვებდა და თანამშრომლებს უყვებოდა, ოდესმე ის და ბილი ერთად რომ იქნებოდნენ, რას გააკეთებდნენ. ხმაც კი გაავრცელა, ბოლოს აუცილებლად დავქორწინდებიო. ბილი ლორის დიდად არასდროს აქცევდა ყურადღებას. მისი მხრიდან ყველაზე გალანტური საქციელი იყო, ლორის და მარშას ორმოცდაათ-ორმოცდაათი დოლარი რომ მისცა, როცა გოგონებმა უთხრეს, გროშიც კი აღარ გვაბადიაო. სანაცვლოდ მათ ბილის კამპანიის, „ჩაეხუტეთ თქვენს ბავშვს დღესვე“ სტიკერები ქალაქში დაარიგეს. ელენ მაკკელენი, ბილის საღამოს საქმეების მმართველი იმ დღეს სამსახურიდან დაეთხოვა და ბილის ქეთრინ გილოტი უვლიდა. „ბებია“ გილოტის მორიგეობა დაწყებული არ იყო, რომ ბილიმ სთხოვა, სასეირნოდ წავალო.

— ეგ ამბავი ექიმ კოლს უნდა შევუთანხმოთ, — უთხრა მან, — მე ასე ვერ გაგიშვებ.

სანამ გილოტი ექიმ კოლთან თათბირობდა, ბილი ტელევიზორის ოთახში იცდიდა. კოლმა ბილისთან დალაპარაკება გადაწყვიტა. მისი ზოგადი გუნება-განწყობილება რომ განიხილეს, გი-

ლოტი და კოლი შეთანხმდნენ, ბილი სასეირნოდ გას ჰოლსტონის თანხლებით გაეშვათ. ბილი და გასი ნახევარ საათში დაბრუნდნენ და მერე ისევ გავიდნენ. ბილი მეორედ რომ დაბრუნდა, ასე ექვსი საათი იყო. გილოტი ამ დროს ახალი პაციენტის რეგისტრირებით იყო დაკავებული, თუმცა გაიგო, როგორ თქვა მილიგანმა:

— ის გოგო კიოდა.

გილოტი მიხვდა, რომ ეს ბილი არ იყო. დევიდის ხმა იცნო.

— რა თქვი?

— ეტკინება.

გილოტი დერეფანში გაჰყვა.

— ვისზე ამბობ?

— იქ გოგო იყო. გოგოს კვილი მესმოდა, იქ სადღაც გარეთ რო გავედი.

— ვინ გოგო?

— არ ვიცი. ორნი იყვნენ. ერთ-ერთმა გოგომ გასს უთხრა, უკან მოვეყვანე, იმიტომ რომ ხელს ვუშლიდი.

გილოტმა ბილის ამონასუნთქი დაყნოსა რომ გაეგო, მთვრალი ხომ არ იყო, მაგრამ ნასვამობის ნიშნები არ ჩანდა. რამდენიმე წუთში პირველი სართულის მორიგემ დაუძახა. მისის გილოტი ჩავიდა და დაინახა, როგორ შემოიყვანა დაცვის ოფიცერმა მარშა. მარშა ზევით, თავის ოთახში რომ აიყვანა, იგრძნო, რომ ალკოჰოლის სუნი ამოსდიოდა.

— ლორი სად არის? — ჰკითხა გილოტმა.

— არ ვიცი.

— შენ სად იყავი?

— არ ვიცი.

— დალიე, არა?

მარშამ თავი ჩაქინდრა. პირველ პალატაში — ქალების უმკაცრესად დაცულ პალატაში გადაიყვანეს. ამასობაში დეივიდი დენიმ შეცვალა. ლორის გარეშე მოსული მარშა რომ დაინახა, აღელდა და დაკარგული ლორის საძებნელად შენობიდან გავარდა. აქოშინებული გილოტი დაედევნა. სანამ გილოტი ბილის წამოეწია, დაცვის ოფიცერმა გლენმა ლორი უკვე იპოვა. გოგონას აღებინებდა. ბალახზე პირქვე იწვა, თავი ნარწყევში ჰქონდა ჩარგული.

— შეიძლებოდა დამხრჩვალყო, — თქვა გლენმა.

გილოტი ხედავდა, როგორ ღელავდა ქალებზე დენი. ესმოდა, როგორ ჩურჩულებდნენ დერეფანში „გაუპატიურების“ შესახებ, მაგრამ ფიქრობდა, ორი კაციდან არც ერთი ყოფილა გარეთ ისე დიდხანს, მარშასთვის ან ლორისთვის რამე რომ ექნათო. ამის დაჯერება არ შეეძლო. იმ ღამით თერთმეტზე რომ წავიდა, ყველაფერი დაწყნარებული იყო — გოგონები პირველ პალატაში იყვნენ, მილიგანსა და ჰოლსტონს კი თავ-თავის ოთახებში ეძინათ. მეორე დილას შვიდ საათზე სამსახურში მისულ პეტ პერის განყოფილებასა და საავადმყოფოში გავრცელებული ხმები დახვდა. გარეთ, ბორცვზე ორი გოგონა უგონოდ მთვრალ მდგომარეობაში ეპოვათ. ლორის ტანსაცმელი შემოხეული ჰქონდა. ზოგის თქმით, ჩიოდა, გამაუპატიურესო. სხვების თქმით, გაუპატიურებაზე საუბარი არ ყოფილა. ბილი და გას ჰოლსტონი სასეირნოდ იმავე დროს გავიდნენ და ეჭვი მათზე მიჰქონდათ. მაგრამ მიძღვება და ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ყველა თანხმდებოდა, რომ გაუპატიურების მსგავსი არაფერი მომხდარა. საქმის გამოსაძიებლად საგზაო პატრული გამოიძახეს. მათი მოთხოვნით, განყოფილება დროებით დახურეს, რათა დაკითხვას ყველა მამაკაცი დასწრებოდა. ექიმი კოლი პერსონალის ნაწილს გაესაუბრა. ბილის და ჰოლსტონს ჯერ კიდევ ეძინათ. დად-

გა საკითხი — ვინ ეტყოდა ბილის, რომ მასა და ჰოლსტონზე ეჭვი ჰქონდათ? პეტ პერისთვის ამკარა იყო, რომ თავად ექიმს არ უნდოდა ამის გაკეთება. დანარჩენებიც უარზე იყვნენ. პეტ პერი გასული გაზაფხულის იმ დღეს არ მორიგეობდა, როცა რეიგენი აფეთქდა და სანიტრებს შუშის ნამსხვრევით ემუქრებოდა, მაგრამ სხვები ამ ამბავს შეესწრნენ და ეშინოდათ, ახლაც იგივე არ განმეორებულიყო.

სანამ თითოეულს გაესაუბრებოდა, ექიმმა კოლმა განყოფილების კარი დაკეტა. პირველს ჰოლსტონს გაელვინა. ექიმი კოლი მასთან შევიდა და უთხრა, რაშიც სდებდნენ ბრალს. მერე ბილისთან შევიდა და იგივე გააკეთა. თავიდან ორივეს გაუკვირდა და ეწყინა ასეთი ბრალდება, მაგრამ დილა რომ მიიღია, ორივეს ნელ-ნელა ნერვიულობამ და შიშმა დარია ხელი. ზოგი იმას ამბობდა, რომ ლიმაში უპირებდნენ გაგზავნას, ზოგის თქმით, ფედერალური ბიურო აპირებდა მათ აყვანას, ან ლიბანის ციხეში უკრავდნენ თავს. დღის განმავლობაში პერსონალი ცდილობდა, ყმაწვილები დაემშვიდებინა. თანამშრომლებიც ბრამბობდნენ. არავის არ სჯეროდა ბრალდების. ვანდა პენკეიკი და პეტ პერი ჰოლსტონსა და ბილის არწმუნებდნენ, რომ მათ წასაყვანად არავინაც არ მოდიოდა. მაგრამ ორივემ იცოდა, რომ ბილის არ ესაუბრებოდნენ. ეს რომელიღაც სხვა პიროვნებათაგანი იყო. ვანდა ფიქრობდა, რომ ეს სტივი უნდა ყოფილიყო. პეტ პერიმ ბილის ამიტალის დიდი დობა მისცა, რომ კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა. ერთხანს ბილის ჩაეძინა და არა უშავდა რა. მაგრამ ნაშუადღევს, ორი საათისთვის ორივე ახალგაზრდა კაცი კვლავ აღელდა. ბილიში სტივს დევიდი ცვლიდა. ჯერ ზღუქუნებდა და ტიროდა, მერე ისევ უხეში ხდებოდა, ის და ჰოლსტონი ბოლთისცემას იწყებდნენ და ახლოს არავის იკარებდნენ. ყოველ ჯერზე, როცა ტელეფონი დარეკავდა, ბილი წამოხტებოდა ხოლმე და ამბობდა: „ჩემს

წასაყვანად მოდიან“. ბილი და ჰოლსტონი ვესტიბიულის ბოლოში დაბანაკდნენ ჩაკეტილ სახანძრო გასასვლელთან. ერთმანეთზე დახვავებული მაგიდებითა და სკამებით ბარიკადები ააგეს, ქამრები მოიხსნეს და მუშტებზე დაიხვიეს.

— არც ერთი კაცი არ მოგვეკაროს, თორემ უკანა კარს გავამტვრევთ, — თქვა სტივმა.

მარცხენა ხელი სკამს დაავლო და ლომის მომთვინიერებელივით დაიჭირა. პერსონალი მიხვდა, რომ მარტოები სიტუაციას ველარ გაუმკლავდებოდნენ და საგანგებო სამსახური გამოიძახეს. პეტ პერიმ დინამიკებიდან სიგნალი გაიგო. ფიქრობდა, ალბათ ცოტა ხნის შემდეგ რვა-ათი კაცი მოვა დასახმარებლად სხვა განყოფილებებიდანო.

— ღმერთო! — აღმოხდა მას, როცა კარი დარტყმისგან გაიღო.

იქ მამაკაცების მთელი ბრბო იდგა — დაცვის თანამშრომლები, ზედამხედველები, სანიტრები, ხალხი ჯანდაცვისა და ფსიქოლოგიის განყოფილებიდან, აქ რომ არაფერი ესაქმებოდათ, ასევე — გერიატრიული განყოფილების ხალხი, სიგნალზე საშველად მოსვლა რომ სრულებით არ ევალებოდათ. სულ ცოტა, ოცდაათნი მაინც იყვნენ. თითქოს ალყაში მხეცის მოსაქცევად ემზადებოდნენ. კაცი იფიქრებდა, მხოლოდ ნიშანსღა ელიანო. ის და ვანდა ბილისა და ჰოლსტონთან ახლოს იდგნენ, თუმცა მათ მედდებისთვის თითიც არ დაუკარებიათ. მაგრამ როგორც კი ბრბო მოახლოვდა, სკამები მოიმარჯვეს და ქამარგადახვეული მუშტები მუქარით მოიქნიეს.

— არ წამოვალ ლიმაში! — იყვირა სტივმა, — საკმარისია, ყველაფერი დალაგდეს, რომ მაშინვე ისეთ რამეში მდებენ ბრალს, რაც არ ჩამიდენია! ახლა შანსიც აღარ დამრჩა, აღარც იმედი.

— ბილი, მომისმინე, — უთხრა კოლმა, — ასე არაფერი გამოვა, უნდა დამშვიდდე.

– ჩვენს დაკავებას თუ ეცდებით, კარს გავამტკრევთ, მანქანაში ჩავსხდებით და გავიქცევით,

– ცდები, ბილი, ასეთი საქციელი არ გიშველის. ბრალს გდებენ და საქმე შეიძლება ცუდად მობრუნდეს. მაგრამ ასე მოქცევა გამოსავალი არ არის. ამას ვერ მოგიტოვებ.

ბილი არ უსმენდა. მისი გონს მოყვანა უფროსმა ფსიქოლოგმა, დეივ მალავისტამ სცადა:

– კარგი რა, ბილი. როდისმე დაგვიშვია რამე ცუდი შეგმთხვეოდა? რამდენი დრო და ენერგია დაგახარჯეთ. როგორ ფიქრობ, შენს თავს აქედან ვინმეს გავატანთ? შენი დახმარება გვინდა და არა შენთვის ცხოვრების გართულება. პერსონალს ამ ბრალდებების არ სჯერა. თქვენი და გოგონების გარეთ ყოფნის დრო აღრიცხული გვაქვს. ყველა საბუთი თქვენ სასარგებლოდ იხრება.

ბილიმ სკამი დადო და კუთხეს მოსცილდა. რომ დამშვიდდა, კაცები განყოფილებიდან გავიდნენ. მაგრამ მილიგანი მალე ისევ ტირილსა და სლუკუნს მოჰყვა. ჰოლსტონი კი აგრესიულად იქცეოდა. ის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბოდავდა, ყვიროდა, წაყვანას მიპირებენო, რასაც ბილი კიდევ უფრო გამოჰყავდა წყობიდან.

– შანსი არ გვაქვს, – თქვა ჰოლსტონმა, – ადრეც დაუდიათ ჩემთვის ხელი უსამართლოდ. აი ნახე, გაუფრთხილებლად შემოძვრებიან აქ, გაგვაქანებენ აქედან და მერე თვალით ველარავინ გვნახავს.

პერსონალი ასეთი დაძაბული პეტს ჯერ არ ენახა. გრძობდნენ, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. სამი საათის ცვლა დამთავრდა და ახალგაზრდები ხნიერმა მაკკელენმა და გილოტმა შეცვალეს. მისის გილოტი გაოგნდა, როცა გაუპატიურების შესახებ დაწყებული გამოძიების შესახებ გაიგო. დილის ცვლის თანამშრომლებისგან გაფრთხილებული, ორი ახალგაზრდის დამ-

შვიდებსაც ცდილობდა, მაგრამ საღამო რომ მოახლოვდა, ნერვიული გამოხედვა და მოძრაობა გახშირდა. ეჭვმიტანილები შიშობდნენ, რომ დაიჭერდნენ და ციხეში ჩასვამდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე დაცვის გამოძახებას ეცდებოდა, ტელეფონების ქსელიდან გამოგლეჯით იმუქრებოდნენ. ამბობდნენ, არ მოგვიახლოვდეთ, თორემ სახანძრო გასასვლელიდან გავიქცევით.

— ასე არ მინდა დამთავრება, — თქვა ბილიმ, — ასე დამთავრებას მირჩევნია მოვკვდე.

გილოტი ბილის ესაუბრებოდა. ბილიმ ამიტალი სთხოვა. გილოტი დათანხმდა, წამლის მოსატანად გაუშვა და ყურადღება მეორე პაციენტზე გადაიტანა. უცებ უკანა კარის მტვრევის ხმა გაიგო და დაინახა, როგორ ჩარბოდნენ სახანძრო კიბებზე ჰოლსტონი და მილიგანი. მორიგე მედდამ მეორედ გამოიძახა სპეციალური სამსახური. ცოტა ხანში ერთ-ერთმა მედდამ ტელეფონით ქეთრინ გილოტს დაურეკა და მეორე სართულზე ჩასვლა სთხოვა. დაცვას ბილი დაეკავებინა, ის კი ქეთრინთან საუბარს ითხოვდა. ადგილზე მისულმა გილოტმა დაინახა, რომ ლიფტის წინ ოთხ კაცს ბილი იატაკზე პირქვე გაეკრა.

— ქეთრინ, — უთხრა ბილიმ, — მიშველე. არ მისცე ნება, რამე დამიშავონ. ხელ-ფეხს თუ შემიკრავენ, ჩალმერი მოვა.

— არა, დენი, ჩალმერი აქ არ იქნება. ოთახში უნდა ყოფილიყავი შენთვის, შენ კიდევ საავადმყოფოდან გაიქეცი და ახლა იძულებულნი ვართ, ასე მოგექცეთ.

ბილიმ დაისლუკუნა.

— უთხარი რა, გამიშვან.

— შეგიძლიათ გაუშვათ, — უთხრა გილოტმა კაცებს.

ოფიცრებმა იუარეს. ნებისმიერი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო.

— კარგად იქნება. ჩემთან ერთად წამოვა. არა, დენი?

— ჰო.

ქეთრინმა ბილი მეხუთე პალატის იზოლატორში შეიყვანა. მისთვის ყველა პირადი ნივთი უნდა ჩამოერთმიათ, მაგრამ ბილის ისრისწვერიანი ყელსაბამის მიცემა არ უნდოდა.

— ჯიბეები ამოაბრუნე. საფულე მომეცი, რომ შევინახო.

გილოტმა დაინახა, რომ საფულეში ბლომად ფული ედო.

მეხუთე პალატის ერთ-ერთი სანიტარი ვერ ისვენებდა, დროზე უნდოდა მილიგანი იზოლატორში ჩაეკეტა და დაიყვირა:

— დროზე გამოდი, ქეთრინ, თორემ მაგასთან ერთად ჩაგკეტავ, იცოდე.

გილოტი მიხვდა, რომ ბიჭის ყველას ეშინოდა. ინტენსიურ განყოფილებაში რომ დაბრუნდა, ცოტა ხანში მედდამ დაუძახა და უთხრა, რომ იზოლატორში მილიგანის თავს რაღაც უცნაური ხდებოდა. სათვალთვალო სარკმელზე ლეიბი მიეყუდებინა, რომ პერსონალს არ დაენახა, შიგნით რა ხდებოდა. კარის გაღების და იზოლატორში შეხედვის კი ეშინოდათ. ქეთრინმა თან ბილის ნაცნობი სანიტარი გაიყოლა და კარს იქიდან დაუძახა:

— ქეთრინი ვარ, დასახედად მოვედი. ნუ გეშინია.

გილოტი და სანიტარი იზოლატორში შევიდნენ. ბილი ხრიალებდა. ყელსაბამზე ჩამოკიდებული ისრის თავი არსად ჩანდა. გაწყვეტილი ძეწკვი იატაკზე ეგდო. ექიმმა სემი მაიკლზმა ბილის საწოლიან ოთახში გადაყვანის განკარგულება გასცა, მაგრამ პერსონალი მის წასაყვანად რომ მივიდა, ბილი გაუძალიანდა. რამდენიმე ვაცმა ძლივს გაიყვანა. მისის გილოტი პაციენტს თან გაჰყვა. რამდენიმე ჭიქა წყალი დააღვეინა და რამდენიმე წუთში ბილიმ ისრის თავი ამოაფურთხა. მედდამ მილიგანს ნემსი გაუკეთა. გილოტი ცოტა ხანს ელაპარაკა, დაჰპირდა, აუცილებლად დავბრუნდები, ახლა კი დაისვენეო. განყოფილებაში დაბრუნებული ქეთრინი იმაზე ფიქრობდა, რა შეშინებული იყო ბი-

ლი. მეორე დილას, როცა ვანდა, პეტ პერი და მაიკ რუპი გამოვიდნენ მორიგეობაზე, შეიტყვეს, რომ ბილი და ჰოლსტონი მეხუთე პალატაში გადაეყვანათ. რუპს ბილის მონახულება უნდოდა, მაგრამ მეხუთე პალატის პერსონალისგან შეიტყვეს, რომ ინტენსიური თერაპიის განყოფილების თანამშრომლებიდან ბილისთან შესვლა ყველას ეკრძალებოდა. ის ახლა მათ განკარგულებაში იყო. როცა ბილის დამ, ქეთიმ დარეკა, უთხრეს, რომ ბილი ხათაბალაში გაეხვია და ახლა მამაკაცების უმკაცრესად დაცულ პალატაში გადაიყვანეს. ბილის მეორე დღეს დანიშნულ მის ქორწილზე დასწრების ნებას ვერ დართავდნენ. ამ ამბავმა გაზეთებში გაჟონა და 1979 წლის 3 ოქტომბრის „სიტიზენ ჯორნელში“ ასეთი სტატია გამოქვეყნდა:

„მილიგანი პაციენტებს სასმლით გაუმასპინძლდა, საქმეს პატრული იძიებს“, — ამბობს სტიციანო

ავტორი: ერიკ როზენმანი

ოთხშაბათს დეპუტატმა განაცხადა, რომ უილიამ ს. მილიგანი — ვითომდა მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე სექსუალური ძალადობის ჩემდენი — ერთ-ერთი იყო იმ ოთხი პაციენტიდან, გასულ კვირას ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრის ეზოში „რომისა და კოკა-კოლას წვეულება“ რომ მოიწვევს. კოლამბუსის წარმომადგენელი დეპუტატის, მაიკ სტიციანოს თქმით, ოჰაიოს საგზაო პატრულის გამოძიება დაადგენს, რომ მილიგანმა ორ მდედრობითი სქესის პაციენტს სასმლის ფული მისცა, შემდეგ კი მილიგანმა, ქალებმა და კიდევ ერთმა მამრობითი სქესის პაციენტმა „რომისა და კოკა-კოლას წვეულება“ მოაწვევს. დეპუტატის განცხადებით, ეს ამბავი იმაზე მიანიშნებს, რომ ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრს თითქმის არაფერ აკონტროლებს. „როგორც ვხვდები, ანგარიშში იმის დამტკიცება, რომ ქალები გააუპატიურეს, შეუძლებელი იქნება“, — განაცხადა ოთხშა-

ბათს სტიციანომ, — „მაგრამ ის კი ცხადია, რომ მილიგანმა ორ ქალს სასმლის საყიდელი ფული მისცა. ისინი საავადმყოფოს ტერიტორიიდან გავიდნენ, სასმელი იყიდეს და მოიტანეს“. პარასკევს ლეიტენანტმა რიჩარდ უილკოქსმა, პატრულის საგამოძიებო ცენტრის უფროსმა განაცხადა, რომ ექსპერტიზას ჯერ არ დაუსრულებია კვლევა იმის შესახებ, ქალები გააუპატიურეს, თუ მხოლოდ მოწამლულები იყვნენ და სანამ ეს მონაცემები საბოლოოდ არ დადასტურდება, საგამოძიებო ცენტრი ინფორმაციას არ გაასაჯაროებს. სტიციანოს თქმით, წვეულების შესახებ ინფორმაციის წყარო უტყუარია.

იმავე დღეს მწერალს მეხუთე პალატაში შესვლის ნება დართეს, მაგრამ მილიგანმა ვერ იცნო, სანამ მწერალმა თავი არ გააჩვენა.

— ა, ჰო, — უთხრა ბოლოს უაზრო გამომეტყველებით, — ის კაცი ხართ, ბილის რომ ელაპარაკებოდა ხოლმე.

— ვინ ხარ? — ჰკითხა მწერალმა.

— არ ვიცი.

— რა გქვია?

— არა მგონია, სახელი მქონდეს.

ერთხანს ისაუბრეს, მაგრამ მილიგანს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მოხდა. დროდადრო მდუმარება ისადგურებდა — მწერალი პერიოდულად ჩერდებოდა, იმედი ჰქონდა, რომ რომელიმე პიროვნება გამოვიდოდა და ინფორმაციას მიაწვდიდა.

ცოტა ხნის შემდეგ უსახელომ თქვა:

— ხატვის ნებას აღარ აძლევენ, აქ ორი ნახატია და თუ გამოვიდნენ, ვინმე გაანადგურებს. თუ წიგნისთვის გჭირდებათ, უნდა წაიღოთ.

მილიგანი სასაუბრო ოთახიდან გავიდა და ორი ტილოთი ხელში დაბრუნდა. ერთი მათგანი — კუშტი ღამის პეიზაჟი — დაუმ-

თავრებელი იყო, ხელმოუწერელი. — მუქი ლურჯი ცის ფონზე შავი ხეები ასვეტილიყვნენ, იქვე შავი საბძელი და დაკლაკნილი ბილიკი ჩანდა. მეორე მდიდარი ფერებით შესრულებული პეიზაჟი იყო, ქვეშ „ტომი“ ეწერა.

— ტომი ხარ? — ჰკითხა მწერალმა.

— არ ვიცი ვინ ვარ.

მეორე დილას ალან გოლდსბერის აცნობეს, ათენის სამოქალაქო საოლქო სასამართლოში მოსამართლე როჯერ ჯოუნზთან გამოცხადებულიყო. გენერალური პროკურორის მოადგილემ, დევიდ ბელინკიმ ხელი მოაწერა შუამდგომლობას მილიგანის ლიმის სისხლის სამართლის დამნაშავეთა სახელმწიფო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანის თაობაზე. გას ჰოლსტონი ისევ ლიბანის ციხეში დააბრუნეს. გოლდსბერიმ მოსამართლე ჯოუნსს კლიენტთან მოლაპარაკების ნებართვა სთხოვა.

— ვფიქრობ, რომ მისტერ მილიგანს უფლება აქვს, იცოდეს ამ გადაადგილების შესახებ და 5122.20 მუხლის მეორე პარაგრაფის თანახმად, სასამართლო სხდომის დაუყოვნებლივ დანიშვნა მოითხოვოს. რადგან ის ინფორმირებული არ იყო, მსურს, მისი სახელით მოვითხოვო სხდომაზე მისი დასწრება. ვფიქრობ, მას ამ შესაძლებლობას ართმევენ.

მოსამართლე ადვოკატის მოთხოვნას არ დაეთანხმა და ბელინკიმ თავისი ერთადერთი მოწმე, რასელ კრემანსი — ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრის დაცვისა და უსაფრთხოების უფროსი გამოიძახა.

— მისტერ კრემანს, ცნობილია თუ არა თქვენთვის ბოლოდროინდელი მოვლენების დროს მისტერ მილიგანსა და პერსონალის რომელიმე წევრს შორის ფიზიკური დაპირისპირების შესახებ?

— დიახ. ანგარიში მივიღე... პიროვნებისგან... მ. უილსონისაგან, საავადმყოფოს დამხმარე პერსონალისგან და ასევე, ღამის მორიგე ოფიცრის, კლაიდ ბარნჰარტისგან. ამ ინციდენტის თარიღი 1979 წლის 26 სექტემბერი იყო... მაეჭვებს, რამდენად

საიმედლო იზოლატორი, რომელშიც მისტერ მილიგანი ამჟამად იმყოფება.

— თქვენ, როგორც დაცვის ოფიცერი, დაცვის უფროსი, რამდენად დარწმუნებული ხართ იმაში, რომ შეძლებთ მილიგანის დაკავებას, თუკი იგი ტერიტორიის დატოვებას შეეცდება?

— დიახ, სერიოზულად ვეჭვობ, რამდენად შეძლებს დაწესებულება მილიგანის შეჩერებას, თუკი იგი მართლაც გადაწყვეტს გაქცევას.

— პირადად შეესწარით თუ არა გაქცევის მცდელობას?

— დიახ. მისტერ მილიგანმა და მეორე პაციენტმა, მისტერ გას ჰოლსტონმა იმ განყოფილების კარი გაამტვრიეს, სადაც მკურნალობდნენ. სახანძრო გასასვლელის კარი სკამის დახმარებით გაამტვრიეს და სახანძრო კიბით ქვევით ჩაირბინეს. მილიგანი და ჰოლსტონი ავტოსადგომთან მიცვივდნენ. იქ მილიგანის მანქანა იდგა. მილიგანმა კარი გააღო და ჩაჯდომა დააპირა...

მისი თქმით, მილიგანს მანქანაში ჩაჯდომის საშუალება არ მისცეს, რის შემდეგაც მილიგანი და ჰოლსტონი ბორცვისკენ გაიქცნენ. სამმა კაცმა მილიგანის დაკავება და მისი მეხუთე პალატაში გადაყვანა შეძლო.

დაცვის უფროსის ჩვენების მოსმენის შემდეგ მოსამართლემ დააკმაყოფილა მილიგანის ლიმაში გადაყვანის შუამდგომლობა.

1979 წლის 4 ოქტომბერს 2 საათზე ბილის ხელბორკილები დაადეს, ღვედით გაკოჭეს და ისე, რომ ექიმ კოლის გარდა არავისთან გამომშვიდობების საშუალება არ მიუციათ, 180 მილით დაშორებულ ლიმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს.

თავი ოცდამესამე

1

„კოლამბუს დისპეჩი“, 1979 წლის 5 ოქტომბერი:
მაღალი თანამდებობის პირები
მილიგანის გადაყვანას ჩქარობენ
ავტორი: რობერტ რუთი

სანდო წყაროების ცნობით, უილიამ ს. მილიგანის, მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე სექსუალური მოძალადის გადაყვანა ლიმის უმკაცრესი რეჟიმის სახელმწიფო საავადმყოფოში ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნების პირდაპირი ჩარევის შედეგად დააჩქარეს. როგორც გვაცნობეს, მილიგანის გადაყვანის შესახებ ბრძანება მას შემდეგ გაიცა, რაც ოთხშაბათს ოჰაიოს ფსიქიკური ჯანდაცვისა და გონებრივი ჩამორჩენილობის საკითხების მთავარი სამმართველოს უმაღლესი თანამდებობის პირებმა რამდენჯერმე დარეკეს ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში, სადაც მილიგანი ათი თვის მანძილზე მკურნალობდა. წყაროს თანახმად, აქედან სულ ცოტა, ერთი ზარი მაინც ტიმოთი მორიცს, ფსიქიკური ჯანდაცვის სამმართველოს დირექტორს ეკუთვნოდა. შტატის საკანონმდებლო ორგანოს ორი დეპუტატი, მაიკ სტიციანო კოლამბუსიდან და ქლერ ბოლ-უმცროსი არაერთგზის აცხადებდნენ, რომ მოძალადის მკურნალობის პროგრამა მეტისმეტად მსუბუქი

იყო. ოთხშაბათს ორივე დეპუტატი მიესალმა მილიგანის გადაყვანის ამბავს. ბოლის თქმით, „უცნაური მხოლოდ ის არის, რატომ გაიწელა ეს საკითხი ამდენ ხანს“. სტიციანომ განაცხადა, რომ ის მომავალშიც ფიზიკურად ადევნებს თვალყურს მილიგანის საქმეს და უზრუნველყოფს, რომ მილიგანი უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებიდან იქამდე არ გათავისუფლდეს, სანამ დანამდვილებით არ გვეცოდინება, რომ საზოგადოებისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

მილიგანის გადაყვანის მეორე დღეს ლანკასტერის სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე ფარელ ჯექსონმა განაჩენი გამოიტანა მილიგანის სარჩელზე, რომელიც მისთვის ავთიაქის ძარცვის ბრალდების მოხსნას ითხოვდა:

„სასამართლო მიიჩნევს, რომ 1975 წლის 27 მარტს უილიამ ს. მილიგანის შეურაცხადობის მტკიცების ტვირთი დაცვის მხარეს უნდა დაეკისროს. მტკიცებულებების დეტალური ანალიზის შედეგად სასამართლო ვერ იქნა დარწმუნებული იმაში, რომ 1975 წლის 27 მარტს უილიამ ს. მილიგანი შეურაცხადი და ამრიგად, სასამართლოს წინაშე თავის მართლების, ან მისდამი წაყენებული ბრალდებების გააზრების უნარს მოკლებული იყო. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ სასამართლოს პირველადი გადაწყვეტილება სავსებით სამართლიანი იყო და მილიგანის სარჩელი მისი უდანაშაულოდ ცნობის შესახებ არ იქნა მიღებული“.

გოლდსბერიმ ოჰაიოს მეოთხე ინსტანციის სააპელაციო სასამართლოში შეიტანა საჩივარი, სადაც ამტკიცებდა, რომ მოსამართლე ჯექსონმა საქმე დარღვევებით განიხილა, რადგან ოთხი კვალიფიცირებული ფსიქიატრისა და ფსიქოლოგის სასამართლო ჩვენება ერთი ადამიანის — ექიმი ბრაუნის მოსაზრებამ გადაწონა. მან საჩივარი შეიტანა ოჰაიოს ქალაქ ლიმის საოლქო სასამართლოშიც, სადაც აცხადებდა, რომ მის კლიენტს ადვო-

კატთან კონსულტაციის საშუალება არ მიეცა და გამკაცრებული რეჟიმის დაწესებულებაში სათანადო პროცედურების გარეშე იქნა გადაყვანილი.

ერთი კვირის შემდეგ, ალენის საოლქო სასამართლოში, სადაც არბიტრს გოლდსბერის მიერ მილიგანის ათენში გადაყვანის შესახებ შეტანილი სარჩელი უნდა განეხილა, მწერალმა პირველად ნახა ხელდაბორკილი ბილი. ეს მასწავლებელი იყო და მორცხვად იღიმებოდა. ოთახში გოლდსბერისა და მწერალთან მართოდ დარჩენილმა მასწავლებელმა მოუთხრო, როგორ ეპყრობოდნენ ლიმაში გასული კვირის განმავლობაში. კლინიკის დირექტორმა, ექიმმა ლინდნერმა ფსევდოფსიქოპათიური შიზოფრენიის დიაგნოზი დაუსვა და სტელაზინი დაუნიშნა. ეს თორაზინის ჯგუფის ფსიქოტროპული წამალი იყო, რომელიც პიროვნების ფრაგმენტაციას უფრო აძლიერებდა. მანამ საუბრობდნენ, სანამ მანდატურმა არ შეატყობინათ, რომ არბიტრი განხილვის დასაწყებად მზად იყო. გოლდსბერიმ და ბილიმ ითხოვეს, მწერლისთვის მათ გვერდით მაგიდასთან ჯდომის ნება დაერთოთ. მათ პირდაპირ მთავარი პროკურორის თანაშემწე, დევიდ ბელინკი და მისი მოწმე, ექიმი ლიუსის ლინდნერი ისხდნენ — გამხდარი, თხელსახიანი კაცი რკინისჩარჩოიანი სათვალით და „ბლანჟეთი“. ექიმი მილიგანს დაუფარავი გესლიანი ღიმილით უყურებდა. ადვოკატებთან რამდენიმეწუთიანი მოლაპარაკების შემდეგ არბიტრმა მხოლოდ კანონის საფუძველზე — მოწმეთა დაკითხვის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება: ვინაიდან მოსამართლე ჯოუნსმა დაადგინა, რომ მილიგანის ჰოსპიტალიზაციისათვის ყველაზე შესაფერისი ადგილი ლიმის სახელმწიფო საავადმყოფო იყო და რამდენადაც ნოემბრის ბოლოს მილიგანს ოთხმოცდაათი დღის შემდეგ საქმის გადასინჯვის საფუძველზე ჩვენების მიცემის ნება ეძლეოდა, მოსმენა უნდა გადადებულიყო.

ექვსი კვირის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტდა, იქნებოდა თუ არა მილიგანი კვლავაც ფსიქიკურად დაავადებული და დატოვებდნენ თუ არა ლიმაში. მასწავლებელმა სასამართლოს მიმართა:

— ვიცი, რომ უნდა მოვიცადო, სანამ მკურნალობის გაგრძელებას შევძლებდე. ჩემი ექიმები ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმეორებდნენ: „უნდა გინდოდეს დახმარების მიღება იმათგან, ვისაც შეუძლია დაგეხმაროს. უნდა შეგეძლოს, მთლიანად ენდო შენს მკურნალს, შენს ფსიქიატრს, შენი ექიმების გუნდს“. სასამართლოსგან მხოლოდ საქმის დაჩქარებას ვითხოვ, რათა მკურნალობის გაგრძელება შევძლო.

— მისტერ მილიგან, — უთხრა არბიტრმა, — ნება მომეცით, ერთი რამ განგიცხადოთ: ვფიქრობ, არასწორად მიიჩნევთ, რომ ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოში ვერ იმკურნალვით.

— მომისმინეთ, — თქვა ბილიმ და პირდაპირ ექიმ ლინდნერს შეხედა, — პაციენტს უნდა უნდოდეს, იმკურნალოს; უნდა უნდოდეს, მიიღოს დახმარება. იმ ადამიანს უნდა ენდობოდეს. მე კი ამ ექიმებს არ ვიცნობ. იმის მიხედვით, რაც მათგან მოვისმინე, მათადამი ნდობა არ გამაჩნია. ჩემმა ექიმებმა განაცხადეს, რომ ჩემი ავადმყოფობისა არ სჯერათ. ამიტომ მეშინია იქ დაბრუნება, სადაც არ მიმკურნალვებენ. გარკვეულ პროცედურებს ჩამიტარებენ, თუმცა სხვა სინდრომის სამკურნალოდ. ჩემმა ექიმებმა ცხადად გამაგებინეს, რომ ჩემი მრავლობითი პიროვნების დიაგნოზის არ სჯერათ.

— ეს სამედიცინო საკითხია, — უპასუხა არბიტრმა, — რომელზე საკამათოდაც დღეს მზაობა არ გაგვაჩნია. თუმცა თქვენი ინტერესების დამცველს შეუძლია, ეს საკითხი განმეორებითი მოსმენისას წარმოადგინოს განსახილველად, რათა გათვალისწინებული იქნას, რამდენად შესაფერისი, ან შეუფერებელი ადგილია თქვენთვის ლიმა.

მოსმენის შემდეგ მწერალმა და გოლდსბერიმ ბილი ლიმაში ინახულეს. მეტალის დეტექტორებს შორის გაატარეს, პორტფელები გაუჩხრიკეს, ორი წყება გისოსებიანი კარი გაუღეს და სტუმრების ოთახში ზედამხედველი გააყოლეს. ცოტა ხანში დაცვამ ბილი შემოიყვანა. ეს ისევ მასწავლებელი იყო. ორსაათიანი სტუმრობისას მწერალს ათენში მომხდარ მოვლენებზე უამბო: ცრუ გაუპატიურების ფაქტის საფუძველზე საქმის აღძვრა და ლიმაში გადაყვანა აღუწერა.

— ერთ საღამოს ვესტიბიულში ორი გოგო იჯდა და იმაზე ლაპარაკობდა, რომ არც ფული ჰქონდათ, არც სამუშაო. შემეცოდნენ. სუფთა ლენჩი ვარ. ჰოდა, ვუთხარი, ბამპერზე მისაკრავ სტიკერებს თუ დაარიგებთ, ხელფასს გადაგიხდით-მეთქი. სტიკერების ნახევარი სულ დაარიგეს და ფული მივეცი. ოთხი დღის შემდეგ ნაშუადღევს სადღაც გაქრნენ. დათრობა უნდოდათ. ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შევიდნენ და რომი იყიდეს. განყოფილებიდან თავისუფლად გასვლის ნება არ მქონდა. მარტო პერსონალის თანხლებით შემეძლო გასვლა, ან სასეირნოდ გასულ სხვა პაციენტთან ერთად, რომელიც ამაზე დამთანხმდებოდა. მოკლედ, მე და გას ჰოლსტონი გარეთ გავედით. ქეთრინმა დრო ჩაინიშნა. მერე ამბობდა, რომ სულ ცხრა-ათ წუთს ვიყავით გარეთ. რომ გავედით, შენობას შემოვუარეთ. იმ დროს გახლეჩილი ვიყავი და გარეთ თავს უხერხულად ვგრძნობდი.

— გარეთ ვინ გავიდა? — ჰკითხა მწერალმა.

— ეს დენი იყო. ჰოლსტონი ნერვიულობდა, არ იცოდა, ჩემთვის რა ექნა. ჩემი ამბავი არ იცოდა. შენობის ირგვლივ რომ დავდიოდით, გოგოების ყვირილი მოგვესმა. გასს უკიოდნენ და მეც მეძახდნენ. ჩვენთან რომ მოვიდნენ, ძალიან მთვრალეები იყვნენ, უკვე მოწამლულები იქნებოდნენ. ერთს, მგონი, „პეპსის“

ბოთლი ეჭირა. ჩვეულებრივზე უფრო გამჭვირვალე ჩანდა, ალბათ რომი ჰქონდა შერეული. ორივეს სასმლის სუნი ასდიოდა.

ერთ-ერთი გოგო მიხვდა, რომ ეს ბილი კი არა, დენი იყო, გასისკენ გადაიხარა და უთხრა: „ზედმეტი წაიყვანე და მერე უკან მოდი“. გასმა უთხრა, რომ ამას ვერ იზამდა, მაგრამ სანამ ის და ბილი იქაურობას გაეცლებოდნენ, ერთ-ერთმა გოგომ გასის პერანგზე არწყია და დენის შარვლის ტოტიც დასვარა. დენი ცუდად გახდა, უკან გახტა და ხელები სახეზე აიფარა. გასმა გოგოებს უყვირა და შეაგინა. ის და დენი გამობრუნდნენ და შენობისკენ წავიდნენ. გოგოები კისკისით და გინებით უკან მიჰყვებოდნენ, მერე კი სასაფლაოსკენ მიმავალ მოკირწყლულ ბილიკზე გადაუხვიეს. ეს იყო და ეს. ჰოლსტონზე დანამდვილებით არაფრის თქმა შეეძლო, მაგრამ თვითონ რომ არც ერთი გოგოსთვის ხელი არ უხლია, ამაში დარწმუნებული იყო. მისი თქმით, ლიმაში ჯოჯოხეთური რვა დღე გაატარა.

— დაწერ იქაურ ამბებს და მერე გამოგიგზავნით.

ვიზიტი რომ დასრულდა, მასწავლებელმა მეტალის დეტექტორით შემოწმება გაიარა. დაცვას სურდა, დარწმუნებულიყო, რომ თან რაიმე სახის კონტრაბანდა, ან რაიმე უცხო ნივთი არ მიჰქონდა. მასწავლებელი მწერალს მიუბრუნდა და ხელი დაუქნია.

— ნოემბრის ბოლოს გნახავთ, განმეორებით მოსმენაზე. ამა-სობაში მოგწერთ კიდევ.

მწერალი ეცადა, ექიმ ლინდნერთან შეხვედრა დაენიშნა, მაგრამ ტელეფონზე უხეშად უპასუხეს.

— თერაპიის თვალსაზრისით, ვფიქრობ, მთელი ეს საჯაროობა მისთვის მავნებელია.

— საჯაროობა სწორედ ჩვენ არ გვსურს, — მიუგო მწერალმა.

— თქვენთან კამათის გაგრძელებას აღარ ვაპირებ, — უპასუხა ლინდნერმა და ყურმილი დაუკიდა.

როცა ნოემბრის სასამართლო მოსმენის წინა დღეს მწერალმა ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოს შიდა ექსკურსიაში მონაწილეობის უფლება ითხოვა, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი თავიდან თანხმობა განუცხადა. თუმცა, ექსკურსიის წინაღულს დაურეკეს და უთხრეს, რომ ექიმმა ლინდნერმა და ზედამხედველმა ჰაბარდმა მისი ვიზიტი გააუქმეს და უსაფრთხოების დეპარტამენტი გააფრთხილეს, მწერლისთვის საავადმყოფოს ტერიტორიაზე შემოსვლა სამუდამოდ აკრძალათ. მწერალმა ახსნა-განმარტება მოითხოვა. მთავარი პროკურორის თანაშემწე დევიდ ბელინკიმ უთხრა, რომ საავადმყოფოს უფროსობას მისთვის ეთქვა, მწერალი მილიგანისთვის ნარკოტიკების შეტანას ცდილობდაო. მოგვიანებით, გადაწყვეტილება შეცვალეს და მისი ვიზიტების „თერაპიისთვის შეუსაბამობა“ მოიმიზღვეს.

30 ნოემბერს ცივი დღე იდგა. მიწაზე პირველი თოვლი იდო. ქალაქ ლიმაში მდებარე ალენის საოლქო სასამართლოს შენობა ძველი იყო. ორმოცდაათ დამსწრეზე გათვლილ მესამე დარბაზში სკამების უმეტესობა ცარიელი იყო. მილიგანის საქმის ხელახალი მოსმენა ფართო საზოგადოებისა და მედიისათვის დახურული იყო, თუმცა გარეთ კამერებით შეიარაღებული რეპორტიორები იცდიდნენ. ხელებშებორკილი მასწავლებელი თავის ადვოკატებს შორის იჯდა. ადვოკატების გარდა სასამართლოზე დასწრების უფლება მხოლოდ დოროთის, დელ მურსა და მწერალს მისცეს. იქვე იყვნენ ფრანკლინის ოლქის პროკურორის თანაშემწე ჯეიმს ო'გრეიდი, ოჰაიოს ზრდასრულთა შეწყალების კომისიის წარმომადგენელი უილიამ ჯენ ჰანსი და ენ ჰენლდნერი — კოლამბუსის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრის დამკვირვებელი იურისტი. მოსამართლე დეივიდ რ. კინუორთიმ — სუფთად გაპარსულმა, მკაფიონაკვთებიანმა სიმპათიურმა ახალგაზრდა კაცმა 1978 წლის 4 დეკემბრის მოსმენიდან, როცა მილიგანი შეურაცხადობის მიზეზით უდანაშაულოდ ცნეს, დღემდე განვითარებული პროცესები მიმოიხილა. კინუორთის თქმით, მოსმენა ოჰაიოს განახლებული კოდექსის 5122-ე პარაგრაფის მე-15 ქვეთავის შესაბამისად წარიმართებოდა. მთავარი პროკურორის თანაშემწის, დეივიდ ბელინკის შუამდგომლობა მოწმეთა განცალკევების შესახებ დაკმაყოფილებულ იქნა. ადვოკატ სტივ თომპსონს კი შუამდგომლობაზე, ლიმის საავადმყოფოში გადაყვანისას სათანადო პროცედურების დარღვევის გამო მილიგანი ათენში დაებრუნებინათ, უარი განუცხადეს. წინასწარი შუამდგომლობების შემდეგ მოსმენა საქმის ხელახალი გადასინჯვის პროცედურით გაგ-

რძელდა. პირველი მოწმე სამოცდახუთი წლის ექიმი ფრედერიკ მილკი — დაბალი, მსუქანი, მოთელილ შარვალსა და სვიტერში გამოწყობილი ფსიქიატრი იყო. შავი თმა დატკეპნილი ჰქონდა. მაგიდასთან ბელინკის გვერდით იჯდა, რომელთანაც მოგვიანებით ტექნიკურ კონსულტანტად დაიწყო მუშაობა. როცა გამოიძახეს, წამოდგა და მოწმის კათედრასთან კოჭლობით მივიდა. მილკიმ დაადასტურა, რომ მილიგანს ორჯერ შეხვდა — პირველი, ხანმოკლე შეხვედრა 1979 წლის 24 ოქტომბერს შედგა, როცა პაციენტი ლიმის საავადმყოფოში სამკურნალოდ მიუყვანეს, მეორე კი 30 ოქტომბერს, როცა მისი მკურნალობის გეგმის გადახედვა გადაწყვიტა. გარდა ამისა, მილიგანი მოცემულ მოსმენამდე ნახევარი საათით ადრეც გასინჯა, რომ ენახა, ერთი თვის განმავლობაში როგორ შეიცვალა. საავადმყოფოს ჩანაწერების მოშველიების საფუძველზე ექიმმა მილკიმ განაცხადა, რომ მილიგანს პიროვნების აშლილობის დიაგნოზი დაუსვა, რომ ის ანტისოციალური იყო, დეპრესიული და დისოციაციური ნიშნების მქონე ფსიქონევროტული შფოთვა აღენიშნებოდა. დევიდ ბელინკიმ, ხუჭუჭთმიანმა ადვოკატმა, პატარა ბიჭის სახე რომ ჰქონდა, თავის მოწმეს ჰკითხა:

— ახლაც ასეა?

— დიახ, — უპასუხა მილკიმ, — ის ფსიქიკურად დაავადებულია.

— რა სიმპტომები აქვს?

— მიუღებელ ქცევას ავლენს, — თქვა მილკიმ და პირდაპირ მილიგანს მიაშტერდა, — დამნაშავეა, რომელსაც გაუპატიურება და ყაჩაღობა ედება ბრალად. გარემოსთან მწყრალოდ არის. დასჯის მეთოდით ქცევის მოდიფიცირებას არ ექვემდებარება.

მილკიმ დასძინა, რომ მრავლობითი პიროვნების დიაგნოზის შესაძლებლობას განიხილავდა, თუმცა შესაბამისი სიმპტომები ვერ შენიშნა. ბელინკის შეკითხვაზე მილკიმ განაცხადა, რომ მი-

სი აზრით, მილიგანს სუიციდისადმი მკვეთრი მიდრეკილება ჰქონდა და გარშემომყოფებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

— ამ პაციენტს მდგომარეობის გაუმჯობესებისა არაფერი ეტყობა, — თქვა მილკიმ, — ამპარტავანია, ექიმებთან არ თანამშრომლობს. მკვეთრად გამობატული ეგო აქვს. გარემოს ვერ ეგუება.

როცა ბელინკიმ ჰკითხა, რა მეთოდებით მკურნალობდა პაციენტს, მილკიმ უპასუხა:

— პროფესიული დაუდევრობის მეთოდით.

მილკიმ განაცხადა, რომ მილიგანს 5 მილიგრამი სტელაზინი გამოუწერა. უარყოფითი შედეგები არ გამოვლენილა, მაგრამ რადგან არც გაუმჯობესებას უჩანდა პირი, ანტიფსიქოტური წამლით მკურნალობა შეწყვიტა. სასამართლოს განუცხადა, რომ მისი აზრით, მილიგანს უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულება ესაჭიროებოდა და ოჰაიოს შტატის მასშტაბით მისი ადგილი მხოლოდ ლიმაში იყო. სტივ თომპსონის, გოლდსბერის ახალგაზრდა კაფანდარა თანაშემწის მიერ ჯვარედინი დაკითხვისას მილკიმ განაცხადა, რომ მრავლობითი პიროვნების დიაგნოზს უარყოფდა, რადგან შესაბამისი სიმპტომები არ შეუნიშნავს. ისიც თქვა, რომ ამ სინდრომის ფსიქიატრიის დიაგნოსტიკისა და სტატისტიკის გზამკვლევის მეორე გამოცემისეულ განმარტებას თავად არ იზიარებდა.

— მრავლობითი პიროვნება ისევე გამოვრიცხე, როგორც სიფილისი მის სისხლის ანალიზში. დაავადება არ აღენიშნებოდა და მორჩა.

— რა სიმპტომები გამოვლინდა? — შეეკითხა თომპსონი.

— რისხვა, პანიკა. რამე მის ჭკუაზე თუ არ მიდის, ბრაზი იპყრობს და იმპულსურად მოქმედებს.

თომპსონმა შუბლი შეიჭმუნა.

— თქვენ ამბობთ, რომ თუკი პიროვნება ბრავობს, ან დათრგუნულია, ის ფსიქიკურად ავად არის?

— დიახ, ასეა.

— კი მაგრამ, რისხვისა და დეპრესიის პერიოდები ცხოვრებაში ხომ თითოეულ ჩვენგანს გამოუცდია?

მილკიმ სასამართლო დარბაზში მიმოიხედა და მხრები აიჩეჩა.

— ყველა ავადმყოფია.

თომპსონი მოწმეს მიაშტერდა და ბლოკნოტში რაღაც ჩაინიშნა.

— ბილი გენდობათ?

— არა.

— ვინმე ისეთი რომ მკურნალობდეს, ვისაც ენდობა, მისი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა?

— დიახ.

— თქვენო ღირსებავ, მოწმესთან შეკითხვები აღარ მაქვს.

შესვენებამდე გოლდსბერიმ სამი დღის წინ ჩაწერილი ექიმი კოლის ჩვენება წარმოადგინა. გოლდსბერის უნდოდა, რომ ეს ჩვენება პროტოკოლში მანამ შეეტანათ, სანამ დანარჩენ მოწმეებს — ექიმ ჯორჯ ჰარდინგს, ექიმ სტელა კაროლინს და ფსიქოლოგ დოროთი ტერნერს გამოიძახებდა. დაკითხვისას, როცა სტივ თომპსონი ექიმ კოლს მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე პაციენტების მკურნალობის სათანადო ტექნიკის შესახებ ესაუბრებოდა, ასეთი შეკითხვით მიმართა:

— ხომ ვერ მეტყობით, ექიმო, რა პროცედურებს მიიჩნევთ მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე ინდივიდის მკურნალობის პროგრამის აუცილებელ ელემენტებად?

ექიმმა კოლმა, რომელიც დაკითხვისას თავის შენიშვნებს, მათ შორის, გოლდსბერისთვის 19 ნოემბერს გაგზავნილ წე-

რილს ეყრდნობოდა, ვრცლად უპასუხა: მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე პაციენტის მკურნალობას მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტი (სასურველია, ეს ფსიქიატრი იყოს) უნდა უძღვებოდეს, რომელიც შემდეგ კრიტიკულებს უნდა აკმაყოფილებდეს:

არ შეიძლება, მკურნალობას ატარებდეს ისეთი სპეციალისტი, რომელსაც ამ სინდრომის არსებობისა „არ სჯერა“.

თუკი ფსიქიატრი არ არის გამოცდილი, მაგრამ სინდრომს აღიარებს და მზად არის, მკურნალობას უხელმძღვანელოს, მას ზედამხედველობა, ან სულ ცოტა, მუდმივი კონსულტაცია უნდა გაუწიონ ამგვარი გამოცდილებისა და კომპეტენციის მქონე კოლეგებმა.

იმ შემთხვევისთვის, როცა ამის საჭიროება არსებობს, ექიმი უნდა ფლობდეს ჰიპნოზის დამხმარე ტექნიკას. ეს არასავალდებულო, თუმცა ძალზე სასურველი პირობაა.

ექიმი უნდა იცნობდეს ამ ფენომენტთან დაკავშირებულ ლიტერატურას და უნდა ესწრებოდეს ამ მიმართულებით ცოდნის გამაღრმავებელ ღონისძიებებს.

მკურნალი, ფაქტობრივად, ამოუწურავი მოთმინების, შემწყნარებლობისა და გამძლეობის უნარებით უნდა იყოს აღჭურვილი. ამგვარი შემთხვევის მკურნალობა ხანგრძლივი, შრომატევადი და რთულია, თავდადებას მოითხოვს.

მრავლობით პიროვნებებთან მომუშავე სპეციალისტების მიერ ჩამოყალიბებულია თერაპიის შემდეგი ზოგადი პრინციპები:

იდენტიფიცირებული უნდა იყოს თითოეული პიროვნება.

თერაპევტმა მოცემული პიროვნებების არსებობის მიზეზი უნდა დაადგინოს.

თერაპევტი თანახმა უნდა იყოს, ცვლილების მისაღწევად თითოეულ პიროვნებასთან იმუშაოს.

თერაპევტი უნდა ფოკუსირდეს დადებით თვისებებზე და შეეცადოს, მიაღწიოს გარკვეულ კომპრომისს ალტერნატიულ პიროვნებებს შორის. ეს განსაკუთრებით ინდივიდისა და მისი გარშემომყოფებისათვის სახიფათო ალტერნატიულ პიროვნებებს ეხება.

პაციენტი სრულად უნდა იცნობდეს პრობლემების ბუნებასა და მასშტაბებს და თერაპიის დროს დახმარება უნდა გაეწიოს, რათა შედეგის მიღწევაში თავისი წვლილის შეტანა შეძლოს. სხვა სიტყვებით, პაციენტი მკურნალობის პროცესში ჩართული უნდა იყოს და თერაპიის პასიურ ადრესატად არ უნდა რჩებოდეს.

თავიდან უნდა იქნას აცილებული ანტიფსიქოტური წამლების გამოყენება, რადგანაც ფართოდ ცნობილია, რომ ამან შესაძლოა, ფრაგმენტაცია და მკურნალობის სხვა ხელისშემშლელი მოვლენები გამოიწვიოს.

ეს ამ სინდრომის მკურნალობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხია და არავითარ შემთხვევაში არ მოიცავს ამგვარი თერაპიის სრულ აღწერილობას. ჩვენების მომდევნო ნაწილში ექიმი კოლი ამ კრიტერიუმებს უფრო დეტალურად განიხილავდა. როცა ჯვარედინი დაკითხვისას ბელინკიმ კოლს ჰკითხა, იყო თუ არა მრავლობითი პიროვნებების მკურნალობის კოლის მიერ აღწერილი პირობები ოპტიმალური, კოლმა მოუჭრა:

— არა, სერ, მე არ მითქვამს, რომ ეს ოპტიმალური პირობებია. მათ მინიმალურ პირობებს ვუწოდებდი. ვფიქრობ, რომ ეს მრავლობითი პიროვნების მკურნალისათვის თერაპიის საწყისი წერტილი უნდა იყოს. თუ ეს პირობები არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ სჯობს ექიმმა პაციენტს საერთოდ დაანებოს თავი.

სადილის შემდეგ მილიგანი საავადმყოფოდან უკან რომ მოიყვანეს, უკვე სხვა პერანგი ეცვა. მწერალმა იეჭვა, რომ მასწავლებელი გაქრა. გოლდსბერიმ და თომპსონმა ექიმი ჯორჯ

ჰარდინგი-უმცროსი გამოიძახეს. ექიმმა მილიგანის მკურნალობის პროცესში თავისი როლი მიმოიხილა და განაცხადა, რომ ათენის საავადმყოფოს ბილისთვის კვლავაც ყველაზე შესაფერისად თვლიდა.

— ექიმო ჰარდინგ, — შეეკითხა ბელინკი, — მრავლობითი პიროვნების აშლილობა ძალზე იშვიათად გვხვდება?

— დიახ, ასეა.

— განა თითოეულ ჩვენგანში რამდენიმე სხვადასხვა პიროვნება არ ცხოვრობს?

— ამ შემთხვევაში, განსხვავებას ამნებია ქმნის, — მიუგო ჰარდინგმა.

— როგორ უნდა დაამტკიცოს პიროვნებამ, რომ ამნებია აქვს? ხომ შეიძლება, თვალთმაქცობდეს?

— ამას ძალზე ყურადღებით ვამოწმებთ, — თქვა ჰარდინგმა, — ჩვენ განმეორებითი ცდები ჩავატარეთ. საკითხს ძალზე სკეპტიკურად ვუდგებოდით. მას ნამდვილად ჰქონდა ამნებია. არ თვალთმაქცობდა.

— ექიმო ჰარდინგ, — მიმართა გოლდსბერიმ, როცა მოწმისათვის შეკითხვების დასმის უფლება ხელახლა გადაეცა, — დიაგნოზის დასამამდე სხვა შემთხვევებსა და სხვა საავადმყოფოების მონაცემებს თუ გაეცანით?

— დიახ. ყველაფერი გამოვიყენეთ, რაზეც ხელი მიგვიწვდებოდა.

— როგორ ფიქრობთ, დიაგნოზის დასამამდე საჭიროა ფსიქიატრმა პაციენტის ანკეტა და სხვა მკურნალი ფსიქიატრების მოსაზრებები გაითვალისწინოს?

— ვფიქრობ, ეს აუცილებელია.

როცა ჰარდინგს მრავლობითი პიროვნების მკურნალობის ექიმი კოლის მიერ შედგენილი კრიტერიუმები წარუდგინეს, მან

თქვა, რომ ეს შესანიშნავი განაცხადი იყო და ამგვარი შემთხვევის მკურნალობისათვის მინიმალურ აუცილებლობას წარმოადგენდა.

ჰარდინგის შემდეგ მოწმედ ფსიქოლოგი დოროთი ტერნერი გამოიძახეს, რომელმაც დაადასტურა, რომ სასამართლომდე ბილის თითქმის ყოველდღიურად ხვდებოდა და რამდენიმე პიროვნებას ინტელექტის ტესტიც ჩაუტარა.

— როგორი იყო შედეგები? — შეეკითხა გოლდსბერი.

— ორ მათგანს 1ქ 68-დან 70-მდე ჰქონდა. ერთი საშუალო იყო. ერთის მონაცემები გამოკვეთილად მაღალი იყო და 130-ს აღწევდა.

— შესაძლებელია თუ არა, რომ ინტელექტის ტესტის შედეგები გაეყალბებინათ?

— ეს გამორიცხულია, — განაცხადა ხმაში ბრავშეპარულმა ტერნერმა, — აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ამ განსხვავებების გაყალბება შეუძლებელია.

ექიმმა სტელა კაროლინმა ჩვენებაში განაცხადა, რომ დოროთი ტერნერის, კორნელია უილბურისა და ჯორჯ ჰარდინგისგან დამოუკიდებლად ზუსტად იმავე დიაგნოზამდე მივიდა. კაროლინმა მილიგანი იმ წლის აპრილში, ივნისსა და ივლისსში ნახა და მისი აზრით, ის კვლავაც გახლეჩილი იყო.

— თუკი სხვა პრობლემებსაც ვაფიქსირებთ, ასეთ შემთხვევაში რა უნდა მოხდეს? — იკითხა ბელინკიმ.

— პირველ რიგში, მრავლობითი პიროვნების აშლილობის მკურნალობაა საჭირო, — უპასუხა კაროლინმა, — შესაძლოა, პაციენტს სხვა ფსიქიკური პრობლემებიც აღენიშნებოდეს — თითოეულ პიროვნებას შეიძლება სხვადასხვა დარღვევა ჰქონდეს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, საერთო პრობლემა უნდა მოგვარდეს.

— ფიქრობთ, რომ ათენში მას მართებულად მკურნალობდნენ?

— დიახ.

გოლდსბერიმ კაროლინს კოლის წერილი უჩვენა. მან თავი დაიქნია და დაამოწმა, რომ ეს მკურნალობის მინიმალური აუცილებლობები იყო.

ჩვენების მიცემის შემდეგ ჰარდინგს, კაროლინსა და ტერნერს სასამართლო დარბაზში დამსწრეების სახით დარჩენის ნება დართეს.

ნაშუადღევს, სამ საათსა და ორმოცდაათ წუთზე, ბილი მილიგანს ცხოვრებაში პირველად დართეს საკუთარ საქმეზე მოწმედ გამოსვლის ნება. ხელებზე ბორკილები ედო და მარცხენა ხელის ბიბლიაზე დადება და მარჯვენის მაღლა აღმართვა გაუჭირდა. მაგიდაზე დახრილი ამის გაკეთებას რომ ცდილობდა, ეღიმებოდა. შემდეგ, დაიფიცა, რომ იტყოდა სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა, დაჯდა და მზერა მოსამართლეს მიაპყრო.

— მისტერ მილიგან, — მიმართა მოსამართლე კინუორთიმ, — რჩევის სახით გეტყვით — მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცედურებში მონაწილეობის უფლება გაქვთ, ჩვენების მიცემას ვერავინ გაიძულებთ. ამიტომ შეგიძლიათ, შეკითხვებს არ უპასუხოთ.

ბილიმ თავი დაუქნია.

ალან გოლდსბერი ჩვეული სიმშვიდითა და დაკვირვებით შეუდგა მის დაკითხვას.

— ბილი, თუ გახსოვთ, როგორ გამოხვედით ამ დარბაზში 12 ოქტომბერს?

— დიახ, მახსოვს.

— მინდა გკითხოთ, როგორ გმკურნალობენ ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოში. ჰიპნოთერაპიას თუ გიტარებენ?

— არა.

— ჯგუფურ თერაპიას?

— არა.

— მუსიკალურ თერაპიას?

ბილიმ მოსამართლეს შეხედა.

— რამდენიმე კაცი ფორტეპიანოიან ოთახში გაგვიყვანეს და გვითხრეს, აქ ისხედითო. თერაპევტი არ იყო. უბრალოდ, რამდენიმე საათს იქ ვისხედით.

— ექიმ მილკის ენდობით? — შეეკითხა გოლდსბერი.

— არა. სტელაზინი დამინიშნა და ყველაფერი ამერია.

— აგვიწერეთ მკურნალობის პროცესი.

— აქ რომ მომიყვანეს, 22-ე პალატაში მომათავსეს. ფსიქოლოგი ძალიან უხეშად მექცეოდა. დავიძინე.

— პირველად როდის გაიგეთ, რომ მრავლობითი პიროვნება იყავით, ბილი?

— ჰარდინგის საავადმყოფოში. იქ დავიჯერესავით, მაგრამ მაშინ დავრწმუნდი, ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში ვიდეოჩანაწერები რომ მიჩვენეს.

— როგორ ფიქრობთ, ბილი, ეს რატომ მოხდა?

— იმ რაღაცების გამო, რაც მამინაცვალმა გამიკეთა. არსებობა აღარ მინდოდა. აღარ მინდოდა, ბილი მილიგანი ვყოფილიყავი.

— შეგიძლიათ აგვიწეროთ, რა ხდება, როცა მრავლობითი პიროვნება ხარ?

— მაგალითად, ერთ დღეს ბინაში სარკესთან ვიდექი და ვიპარსავდი. პრობლემები მქონდა. კოლამბუსში ახალი გადასული ვიყავი და თავს ცუდად ვგრძნობდი, იმიტომ რომ სახლიდან ჩხუბით წამოვედი. ვიდექი და ვიპარსავდი და უცებ თითქოს შუქი გამოირთო. სულ დავწყნარდი. თვალები რომ გავახილე, თვითმფრინავში ვიყავი. მაგრად შემეშინდა. არ ვიცოდი საით მივფრი-

ნავდი, სანამ თვითმფრინავი არ დაჯდა და არ გავარკვიე, რომ სან-დიეგოში ვიყავი.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. მოსამართლე ყურადღებით უსმენდა. გაოცებისგან პირდაღებული სტენოგრაფისტი ქალი ბილის მიშტერებოდა. მოწმის დასაკითხად ახლა დევიდ ბელინკი წამოდგა.

— ბილი, რატომ ენდობოდით ათენის საავადმყოფოს ექიმებს, ლიმის საავადმყოფოს ექიმებს კი — არა?

— ექიმი კოლის მიმართ გაცნობის დღიდან უცნაური ნდობა გამიჩნდა. ერთი წლის წინ კოლამბუსიდან ათენის საავადმყოფოში რომ მივყავდი, პოლიციელმა ხელბორკილები ძალიან მაგრად მომიჭირა, — ბილიმ ხელბორკილები ასწია, რომ დამსწრეთათვის ეჩვენებინა, ახლა როგორი მოშვებული ჰქონდა, — ექიმი კოლი პოლიციელს ეჩხუბა, ბორკილები ასე მჭიდროდ რომ დამადო და მოხსნა აიძულა. დიდი ხანი არ დამჭირვებია იმის მისახვედრად, რომ ჩემს მხარეზე იყო.

— ლიმის საავადმყოფოს მკურნალობის პროგრამას რომ ემორჩილებოდეთ, თქვენთვის უმჯობესი არ იქნებოდა? — ჰკითხა ბელინკიმ.

— ჩემს თავს მე თვითონ ხომ არ ჩავუტარებ თერაპიას, — უპასუხა ბილიმ, — ა პალატა კონვეიერით არის — პაციენტები შედიან და გამოდიან. ათენში ზოგჯერ რეგრესის პერიოდები მქონდა, მაგრამ მათთან გამკლავება უნდა მესწავლა. იცოდნენ, ამაში როგორ უნდა დამხმარებოდნენ — არა დასჯის, არამედ მკურნალობის, თერაპიის გზით.

შემაჯამებელ სიტყვაში ბელინკიმ განაცხადა, რომ შტატს მხოლოდ იმის მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა, რომ მოპასუხე ფსიქიკურად ავად იყო და ჰოსპიტალიზაციას ექვემდებარებოდა, და არა მისი დიაგნოზის დადასტურებისა. მისი თქმით, ამჟამად მათ

ხელთ მხოლოდ ექიმების — კოლისა და მილკის ჩვენებები იყო. ექიმმა კოლმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მილიგანი ფსიქიკურად კვლავაც დაავადებული იყო. ექიმმა მილკიმ კი განაცხადა, რომ ლიმის საავადმყოფო ამ პაციენტის მკურნალობისათვის ყველაზე მსუბუქი რეჟიმის დაწესებულებას წარმოადგენდა.

— დაჟინებით ვითხოვ სასამართლოსგან, მილიგანი ლიმაში დატოვოს, — დაასრულა ბელინკიმ.

თავის მხრივ, სტივ თომპსონმა შემაჯამებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სასამართლოზე წარმოდგენილი იყო უმაღლესი დონის ფსიქიატრთა მთელი სპექტრი. ფსიქიატრები ერთხმად აცხადებდნენ, რომ ამ პაციენტის დიაგნოზი მრავლობითი პიროვნების სინდრომია.

— ამის შემდეგ საკითხავი ისღა დარჩა, როგორ უნდა ვუმკურნალოთ ამ პაციენტს, — თქვა თომპსონმა, — მილიგანის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს ექსპერტები თანხმდებიან, რომ ის მისთვის ყველაზე შესაფერის სამკურნალო დაწესებულებაში — ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში უნდა გაიგზავნოს. მოწმედ გამოძახებული თითოეული ექსპერტი აცხადებს, რომ მილიგანს ხანგრძლივი მკურნალობა ესაჭიროება. 4 ოქტომბერს იგი ლიმაში გადაიყვანეს. იქ მილიგანი გასინჯა ექიმმა, რომელმაც, მისივე თქმით, ისე დაასკვნა, რომ ბილი მილიგანი საკუთარი თავისა და გარშემომყოფებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, არც მისი ავადმყოფობის ისტორიას გასცნობია და არც მკურნალობის ისტორიას. და რის საფუძველზე ასკვნის, რომ მილიგანი სახიფათოა? — მისი ბრალეულად ცნობის ისტორიის საფუძველზე, თქვენო ღირსებავ. ამ დარბაზში წარმოდგენილ მოძველებულ ჩვენებებზე დაყრდნობით. ექიმი მილკი ამბობს, რომ ბილი ანტისოციალურ ქცევას ავლენს. ექიმი მილკის თქმით, მილიგანის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თქვენო ღირსებავ,

ცხადია, რომ ექიმი მილკი მრავლობითი პიროვნების აშლილობის ექსპერტი არ არის. მოპასუხე მხარის პოზიცია ასეთია — უმაღლესი დონის ექსპერტები ბილი მილიგანის მხარეს არიან.

მოსამართლე კინუორთიმ განაცხადა, რომ საქმეს ყურადღებით გაეცნობოდა და თავის გადაწყვეტილებას ათი დღის ვადაში აცნობებდა. იქამდე კი მილიგანი ლიმაში უნდა დარჩენილიყო.

1979 წლის 10 დეკემბერს სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა:

მოპასუხე ფსიქიკურად დაავადებული პიროვნებაა, რაც ამროვნების, გუნება-განწყობილების, აღქმის, ორიენტაციისა და მეხსიერების დარღვევებში ვლინდება და მის ქცევასა და რეალობის გაცნობიერების უნარზე ძლიერ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს.

მოპასუხის ფსიქიკური დაავადება განმარტებულია, როგორც „მრავლობითი პიროვნების აშლილობა“.

მოპასუხე ფსიქიკურად დაავადებული პიროვნებაა, რომელიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჰოსპიტალიზაციას ექვემდებარება, რადგანაც ავადმყოფობის გამო საკუთარ თავს ფიზიკურ საფრთხეს უქმნის, რაც თვითმკვლელობის მცდელობების სახით გამოვლინდა. ის საფრთხეს წარმოადგენს სხვა ადამიანებისთვის, რაც მის მიერ ახლახან ჩადენილ ძალადობრივ აქტებში გამოიხატება. მოპასუხე საჭიროებს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მკურნალობას, რაც მტკიცდება მისი ქცევით, რომელიც მისი და მისი გარშემომყოფების უფლებებს მძიმედ არღვევს.

ფსიქიკური აშლილობის გამო მოპასუხე სახიფათოა საკუთარი თავისა და სხვებისთვის და შესაბამისად, უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაცია ესაჭიროება.

გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხეს მრავლობითი პიროვნების აშლილობის დიაგნოზი დაესვა, მისი მკურნალობა ამ დიაგნოზის შესაბამისად უნდა განხორციელდეს.

ამრიგად, ვბრძანებ, ზემოხსენებული მოპასუხე მოთავსებულ იქნას ოჭაიოს შტატის ქალაქ ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოში, რათა მრავლობითი პიროვნების აშლილობის დიაგნოზის შესაბამისი მკურნალობა გაიაროს. მოცემული განაჩენის ბეჭდით დამოწმებული ასლები გადაეცეს ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოს.

დევიდ რ. კინუორთი,
ალენის ოლქის საპრობაციო განყოფილების
სამოქალაქო მოსამართლე

18 დეკემბერს ბილიმ მწერალს ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოს მამაკაცთა იზოლატორიდან დაურეკა. საავადმყოფოს თანამშრომელს სასტიკად ეცემა. ლიმელმა ადვოკატმა, რომელიც სასამართლომ მილიგანის მეურვედ დანიშნა, „პოლაროიდით“ გადაუღო ფოტოები ბილის ზურგზე ელექტროკაბელის დარტყმისგან დარჩენილ ნაიარევეებს. თვალები და სახე ცემისგან ჩალურჯებული ჰქონდა, ორი ნეკნი — გატეხილი. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ პრესას განუცხადა, რომ „სანიტართან შელაპარაკების შემდეგ“, თუკი თვითდაშავების კვალს არ ჩავთვლიდით, მილიგანს დაზიანებები ვერ აღმოუჩინეს. მეორე დღეს, ადვოკატ სტივ თომპსონის ვიზიტის შემდეგ ადმინისტრაციამ საპირისპირო განცხადება გააკეთა, სადაც აღნიშნული იყო, რომ „მოგვიანებით მილიგანი სასტიკად დაშავებული იქნა“. გამოიძახეს როგორც ფედერალური საგამოძიებო ბიურო, ისე — სახელმწიფო საგზაო პატრული, რათა ნაფიცო მსაჯულებისთვის მიმართვის მოსამზადებლად გამოძიება ჩატარებულიყო. ბილისა და ლიმელი ადვოკატისგან მიღებული ცნობებით გაცეცხლებულმა თომპსონმა განცხადება გააკეთა, რომელიც მხოლოდ რადიოთი გადასცეს:

— რაც არ უნდა მოხდეს, დაპატიმრებულ ადამიანს სამოქალაქო უფლებები იცავს, — უთხრა მან ჟურნალისტს, — და ოჰაიოს შტატის კანონმდებლობის თანახმად, პაციენტების უფლებები გარანტირებულია ფსიქიკური ჯანდაცვის შესახებ კანონში ახლახან შეტანილი ცვლილებებით პაციენტების სამოქალაქო უფლებების შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის თანახმად კი მათ ფედერალური სამოქალაქო უფლებების შესახებ

კანონიც იცავს. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს. სასამართლოს დასკვნის შესახებ საუბარი კი ჯერ ძალზე ნაადრევი იქნება.

ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოს 1980 წლის 2 იანვრის „ყოველთვიური მკურნალობის გეგმის მესამე გამოცემას“ დაურთეს შემდეგი განსაზღვრება:

„პაციენტის მკურნალობის გეგმა მისი დიაგნოზის სათანადო და შესაბამისია.

მისი დიაგნოზია:

ფსევდოფსიქოპათიური შიზოფრენია (დშმ II, 295.5) დისოციაციური ეპიზოდებითურთ.

ანტისოციალური პიროვნება, აგრესიული ქვეტიპი (დშმ II, 301.7).

ისტორიის თანახმად — მიდრეკილება ალკოჰოლიზმისკენ (დშმ II, 303-2)

მიდრეკილება ნარკოტიკებისა და სტიმულანტების გამოყენებისკენ (304.6)

პაციენტი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში ორი კვირის წინ იქნა გადმოყვანილი აგრესიული ქცევის გამო. ვფიქრობთ, პაციენტზე დიდი გავლენა იქონია მისი საქმის გაზეთებში გახმაურებამ, რამაც „ვარსკვლავის სტატუსი“ შესძინა. ბ-ნი მილიგანი ჭეშმარიტი ფსიქოპათის გამოკვეთილ ნიშნებს ავლენს და შესაბამისად, ისეთივე რთული საურთიერთოა, როგორც ნებისმიერი ფსიქოპათიური მიდრეკილებების მქონე პაციენტი. ამას გარდა, პაციენტს ახასიათებს ისტერიულობის გარკვეული ნიშნებიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს აშლილობა, ჩვეულებრივ, ქალებში გვხვდება, აღწერილია რამდენიმე მამაკაცი ისტერიული პაციენტის შემთხვევაც. ეს დიაგნოზი არ უნდა გამოირიცხოს.

ლიუის ა. ლინდნერი
ფსიქიატრი, მედიცინის დოქტორი
უილიამ მაკინტოში
ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ჯონ დორანი
ფსიქოლოგიის მაგისტრი, ასისტენტი
7.01.1980“

აღან გოლდსბერი და სტივ თომპსონი გამწარებულები იყვნენ, ლიმის საავადმყოფოს ხელმძღვანელობამ მოსამართლე კინუორთის მითითება რომ არ გაითვალისწინა და ბილის მრავლობითი პიროვნების დიაგნოზის შესაფერისად რომ არ მკურნალობდნენ. მათ ლიმის საავადმყოფოს ხელმძღვანელობისა და ოჰაიოს ფსიქიკური ჯანდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს სასამართლო გადაწყვეტილები-სადმი დაუმორჩილებლობის მუხლით. ისინი დაჟინებით მოითხოვდნენ დეპარტამენტის უფროსისაგან, რომ მილიგანის ნაკლებად მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ ბრძანება გაეცა.

ფსიქიკური აშლილობის მქონე დამნაშავეებისთვის განკუთვნილ დახურულ პალატაში მოთავსებულმა დანაწევრებულმა ბილიმ ერთ-ერთი სანიტრისგან ფანქარი ითხოვა და მწერლისადმი მიწერილი წერილების დიდი სერიიდან პირველის წერას შეუდგა:

„ახლადშემოსულმა სანიტარმა 22-ე პალატის პაციენტებს მუქარით მიმართა:

— დროზე გამოეთრიეთ მანდედან, თქვე უტვინო ნაბიჭვრებო, გაინძერით!

სული მოითქვა, პირში გაჩრილი სიგარის ნამწვი გაისწორა და ცოტა ხანში ბურღლუნით დაამატა:

— დაწმენდენ ფანჯრებს და უკან შემოეთრევით, ჯერ თქვენ--თქვენს ოთახებში დაახვიეთ.

რამდენიმე კაცი ადგა და ზომბივით გალასლასდა ოთახიდან. რკინის დიდი კარის ჯახუნი გაისმა. სახეწაშლილი კაცები, მკერდზე სადორბლე წინსაფრების ნაცვლად პირსახოცები რომ ჰქონდათ აფარებული, ტაატიო მიიზღაზნებოდნენ, მაგრამ უხეში სანიტრები ტყავის ქამრების ცემით მიერეკებოდნენ წინ. თუკი ღირსების ნატამალი მაინც შერჩენოდათ, იმასაც ართმევდნენ. თორაზინი, პროლიქსიონი, ჰალდოლი და სხვა ფსიქოტროპული წამლები პაციენტების ყურმოჭრილი მორჩილების გარანტია იყო და მათაც კანფეტით აყლაპებდნენ. ადამიანობის ნიშანწყალი აღარ გვეტყობოდა. თუმცა, ა, ჰო, სულ დამავიწყდა — ჩვენ ხომ ადამიანები არ ვართ. ბრახ! სხეულის თითოეული სახსარი გახევებული მქონდა. წარმოდგენლად ვიწრო ოთახში შევედი და ბურგსუკან კარი მივიხურე. ბრახ! საწოლზე ჯდომა მოსაწყენია, მაგრამ პლასტმასის ლეიბს როგორღაც მივეჩვიე. სრულ სიცა-

რიელესა და არარაობაში გადავწყვიტე, ფანტაზიისთვის მომეხმო და მოპირდაპირე კედელზე შესხმული საღებავის ლაქებში სილუეტები წარმომედგინა. ძველისძველი შენობის კედლიდან მხოლოდ ბებერი, მახინჯი, დემონური სახეები შემომყურებდნენ. მეშინოდა, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი. კედელი დამცინოდა. მძულს ის კედელი. ეშმაკსაც წაუღია! უნდა, სულ უფრო და უფრო მომიახლოვდეს და ისე დამცინოს. შუბლიდან ჩამოღვენთილი ოფლი თვალებში ჩამდიოდა, მაგრამ ვცდილობდი, არ დამეხუჭა. თავი უნდა დავიცვა, თორემ მოცინარი კედელი ახლოს მოვა, გადამივლის, გამსრესს. არ გავინძრევი და ამ დაწყევლილ მოცინარ კედელს ვუდარაჯებ. ფსიქიკურად დაავადებულ დამნაშავედ შერაცხული ოთხას ათი აჩრდილი დაძრწის ახლა ამ ღვთისაგან მივიწყებული სოროს უსასრულო დერეფნებში. როგორ ვბრაზდები, რომ სახელმწიფოს ჰყოფნის თავხედობა, აქაურობას „საავადმყოფო“ უწოდოს. „ლიმის სახელმწიფო საავადმყოფო“... ბრახ! ოცდამეორე პალატაში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. მხოლოდ დამსხვრეული შუშის ხრაშუნი და წკრიალი ისმის. დღის პალატაში, სადაც ხის უხეშად ნაჩორკნ სკამებზე ვსხედვართ და კედელს ვუყურებთ ხოლმე, ვიღაცამ პატარა სარკმელი ჩაამსხვრია. ზიხარ, შეგიძლია მოწიო. ლაპარაკი აკრძალულია, ორივე ფეხი მიწაზე გიდევს, თორემ შეიძლება შარში გაება. ვინ გატეხა სარკმელი? სანიტრები ალბათ აძალღებულ ხასიათზე იქნებიან, რადგან ბანქოს თამაში შეაწყვეტინეს და თუ ჩვენი პატარა საკნებიდან უკან შეგვრეკვს, ერთ-ერთს იქ დაგვიტოვებენ სადარაჯოდ. არაფერი მესმოდა, სრულიად გაბრუებული, ტრანსისმაგვარ, გახევებულ მდგომარეობაში ვიყავი. სხეული დამბლადაცემული და გამოფუტუროებული მქონდა. დაწყევლილმა მოხარხარე კედელმა სიცილი შეწყვიტა. კედელი კედელი იყო და მეტი არაფერი, ზედ კი მხოლოდ საღებავი იყო მისხმული. ხელები გა-

ყინული და წებოვანი მქონდა. გამოცარიელებულ სხეულში ყრუ გულისცემა ექოსავით გაისმოდა. ჩემი მოცუცქნული საკნიდან გამოღწევის მშფოთვარე მოლოდინი მახრჩობს, მაგრამ ლოგინზე გაშეშებული ვრჩები და მდუმარე, უძრავ კედელს მივშტერებ-ვარ. არარსებული ჯოჯოხეთის არარსებულ საკანში გამომწყვდეული ზომბირებული არარაობა. ნერწყვი პირს მივსება და გამომშრალ ტუჩებზე გადმოღვრას ცდილობდა. ეს იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ფსიქოტროპული წამალი მერეოდა, ჩემი გონების, სულისა და სხეულის ხელში ჩასაგდებად იბრძოდა. შევბრძოლებოდი? თუ ფარ-ხმალი დამეყარა და გამარჯვებულად გამომეცხადებინა? დავნებებოდი მესამე სამყაროს, ოღონდაც ფოლადის კარს იქით გამეფებული რეალობისთვის თავი ამერიდებინა? ღირს კი იცხოვრო საზოგადოების ნაგავგადასამუშავებელი მანქანის ყბებში მოქცეულმა, სადაც მოუქნელ ტვინებს ყრიან? რისი მიღწევა შემიძლია, ან საზოგადოებას რა უნდა შევძინო ფოლადისა და ბეტონის მოძრავ, ხმაურიანკედლიან ყუთში გამომწყვდეულმა? რა ვქნა, დავნებდე? გონებაში კიდევ ათასობით ფიქრი დამირბოდა, გეგონებოდა, ოცდაცამეტბრუნიანი ფირფიტა სამოცდათვრამეტიანზე დააყენესო. ანაზღად საზარელმა შოკმა სხეულში დენივით დამიარა. დარტყმის ბიძგისაგან ბეჭები შემივარდა და გველნაკბენივით შევხტი. რეალობამ, მწარე სილასავით რომ მეცა სახეში, ძილ-ბურანი გაარღვია და გაშეშებულ სახსრებში სითბო ჩამელვარა. ვიგრძენი, რომ ხერხემალზე თითქოს რაღაც დამდიოდა. ელდანაცემმა პერანგი ღილებგაუხსნელად გადავიძრე თავზე. ბრმა შიში საგნებს როდი ინდობს – სამი ღილი ამწყვეტოდა. პერანგი ძირს დავაგდე და ბურგზე ღოღვის შეგრძნებამ გამიარა. ძირს დავიხედე და დაუპატიჟებელი სტუმარი დავინახე – ჩემს ბურგზე წამის წინ სამსანტიმეტრიანი შავი ტა-

რაკანი ბუქნავდა. ვეებერთელა მწერი სრულებით უწყინარი, მაგრამ საზიზღლარი შესახედავი იყო.

პარაზიტმა გონს მომიყვანა. სააქაოს მოვბრუნდი, მაგრამ შინაგანად ისევ თავს ვებრძოდი. საძაგელი მწერი თავის ნებაზე გავუშვი. გულში ფიზიკურ და გონებრივ გამარჯვებას ვზეიმობდი. გიჟი არ ვიყავი. ბრძოლის უნარი ჯერ კიდევ შემრჩენოდა. არ დავმარცხებულვარ, თუმცა ჯერ არც გამარჯვებული ვიყავი. ეს მე გამემტვრია ფანჯარა და არც კი ვიცოდი, რატომ.

30 იანვარს მწერალმა წერილი ლიმის სხვა პაციენტისაგან მიიღო:

ძვირფასო სერ,

ნება მიბოძეთ, პირდაპირ საქმეზე გადავიდე. ადვოკატის ვიზიტებიდან ოცდაათხი საათის შემდეგ ბილი ინტენსიური თერაპიის განყოფილების მეხუთე პალატიდან მეცხრე პალატაში გადაიყვანეს. მეცხრე მეხუთეზე უფრო მკაცრი რეჟიმის პალატაა. მისი გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილება „თანამშრომლების გუნდმა“ ყოველდღიურ თათბირზე მიიღო. ბილი ამ გადაწყვეტილებამ გააოგნა და შოკში ჩააგდო, თუმცა ვითარება წარმატებით დაძლია. ახლა მე და ბილის მხოლოდ დასასვენებელ ოთახში ყოფნისას შეგვიძლია საუბარი. სწორედ იქ მოვისმინე, როგორი არაადამიანური წნეხის ქვეშ ამყოფებენ. მითხრა, რომ სანამ ადვოკატებს არ დაითხოვს, ვიზიტები, ფოსტით და ტელეფონით სარგებლობა აკრძალული აქვს. წიგნზე მუშაობის შეწყვეტა მოსთხოვეს და სანიტრები აწამებენ (წიგნის წერაში ბილის ხელშეწყობა მეც დამაბრალეს და გასაგები გახდა, რომ ამ ხალხს არ უნდა, წიგნი გამოქვეყნდეს). მითხრეს, რომ ბილის ცხოვრების ბოლომდე მკაცრი რეჟიმის პალატაში დატოვებენ...

[ანონიმურობა დაცულია]

12 მარტს მწერალმა ლიმის საფოსტო მარკადაკრული კონვერტით სერბულ-ხორვატიულად დაწერილი გზავნილი მიიღო. ხელწერა უცნობი იყო.

SUBATA MART OSMI 1980

KAKO STE? KAZMA NADAMO. ZALUTA Vრემე. ნე ლეფიენჯე ბილლყ ჯე სპავანჯე. ონ ჯე უ რედუ ნე ბრინიტე. | დემ ნა პეგა. უიინიცუ სვე შტა მოგუ ზა გაფტ მოიეტე რა ფცუნატი ნა მენე „ნუმბ-და ნე პოზნაჯე ზაკონა“.

NEMOJETE SE

RAGEN

შაბათი, 8 მარტი, 1980

როგორ ხართ? იმედი მაქვს, საუცხოოდ. დრო დავკარგე. ბილი არ მკურნალობს, სძინავს. კარგად არის. არ იღელვოთ. მე ვმართავ. რაც შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ. ჩემი იმედი გქონდეთ. „აუცილებლობამ წესები არ იცის“.

რეიგენი

ეპილოგი

მომდევნო თვეებში ბილისთან ფოსტითა და ტელეფონით ვურთიერთობდი. იმედოვნებდა, სააპელაციო სასამართლო გააუქმებდა განაჩენს და ათენში დაბრუნებასა და ექიმ კოლთან მკურნალობის გაგრძელებას შეძლებდა. 1980 წლის 14 აპრილს განმეორებით მოსმენაზე მოსამართლე კინუორთიმ არ დააკმაყოფილა ბილის ადვოკატის სარჩელი, რომელშიც ის ლიმის საავადმყოფოს ხელმძღვანელს, რონალდ ჰაბარდსა და დირექტორს, ლუის ლინდნერს სასამართლოს გადაწყვეტილების უპატივცემულობასა და ბილის მრავლობითი პიროვნების სინდრომის შესაბამისად მკურნალობის ვალდებულების შეუსრულებლობაში ადანაშაულებდა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბილი ლიმაში დატოვეს. ოჰაიოს საკანონმდებლო საბჭო 1979 წელს მთელი ერთი წლის განმავლობაში განიხილავდა შეურაცხადობის მიზეზით პიროვნების უდანაშაულობის შესახებ მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შესაძლებლობას. სანამ პაციენტს შედარებით მსუბუქი რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანდნენ (როგორც ამას კანონი მოითხოვდა), საოლქო პროკურორს ექნებოდა უფლება, მოეთხოვა სასამართლო განხილვა დანაშაულის ჩადენის მომენტში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. პაციენტს საქმის გადასინჯვის მოთხოვნის უფლება 90-ის ნაცვლად ყოველ 180 დღეში ერთხელ ექნებოდა და მისი საქმე საზოგადოების, პრესისა და ტელევიზიისათვის ღია იქნებოდა. მალე ამ კანონს „კოლამბუს დისპეჩის კანონი“ ან „მილიგანის კანონი“ შეარქვეს. ბერნი იავიჩი, მილიგანის ყოფილი ბრალმდებელი, მოგვიანებით მეუბნებოდა, რომ ის ოჰაიოს პროკურორთა

ასოციაციის იმ ქვეკომიტეტის ერთ-ერთი წევრი იყო, რომელმაც ახალი კანონი შეიმუშავა.

— ვფიქრობ, ეს გუნდი მილიგანის ირგვლივ არსებული ვითარების შესახებ გაჩენილი პროტესტის საპასუხოდ შეიქმნა, — მითხრა მან.

ახალი კანონი — სენატის 297-ე კანონპროექტი — 1980 წლის 20 მაისს მიიღეს. მოსამართლე ფლაუერსმა მითხრა, რომ ახალი კანონი ბილის გამო მიიღეს.

1980 წლის 1 ივლისს ლიმის საფოსტო მარკიანი გზავნილი მივიღე. კონვერტს უკანა მხარეზე დიდი ასოებით დაებეჭდათ: „სასწრაფოა“. რომ გავხსენი, შიგ არაბულად დაწერილი სამგვერდიანი გზავნილი აღმოჩნდა. მთარგმნელის თქმით, წერილი გამართულ, სრულყოფილ არაბულ ენაზე იყო შესრულებული. აი ამონარიდი:

„ზოგჯერ არ ვიცი, ვინ ვარ, ან რა ვარ. ზოგჯერ იმასაც კი ვერ ვაცნობიერებ, რომ ირგვლივ ხალხი მახვევია. გონებაში ხმები ისევ მესმის, მაგრამ აზრი ვერ გამომიტანია. ზოგჯერ სახეებს ვხედავ, თითქოს სიბნელიდან გამოდიან, მაგრამ ძალიან მეშინია, რადგან გონება სულ მთლად დახლეჩილი მაქვს. ჩემი [შინაგანი] ოჯახი ჩემთან კავშირს როდი ინარჩუნებს. ეს დიდი ხანია, ასეა... უკანასკნელი კვირების მანძილზე განვითარებული მოვლენები ვერ იყო სანაქებო. ამაზე მე არ ვარ პასუხისმგებელი. მძულს ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, თუმცა არც ამის შეჩერება ძალმიძს, არც შეცვლა...“

ხელს „ბილი მილიგანი“ აწერდა.

რამდენიმე დღეში კიდევ ერთი წერილი მივიღე, რომლიდანაც ირკვეოდა, ვის ეკუთვნოდა პირველი.

„ბოდიშს გიხდით არაინგლისურენოვანი წერილებისთვის. ძალიან მრცხვენია ყველაფერს არასწორად რომ ვაკეთებ. არტურმა იცის, რომ არაბული არ იცით, მაგრამ ის სულელური წერილი მაინც გამოგიგზავნათ. არტური ადრე სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენას არ ცდილობდა ხოლმე. როგორც ჩანს, არეულია და ესეც დაავიწყდა. არტურმა არაბული სემუელსაც ასწავლა, მაგრამ სემუელს წერილების წერა არ სჩვევია. არტური ამბობს,

ტრაბახი ცუდიაო. ნეტავ მელაპარაკებოდეს. ცუდი რამეები ხდება და არ ვიცი, რატომ. არტურმა სუაჰილიც იცის. ლიბანში [ციხეში] არაბული ენის საფუძვლების შესახებ ბევრი წიგნი წაიკითხა. პირამიდებისა და ეგვიპტური კულტურის შესწავლა უნდოდა. მათი ენის ცოდნა სჭირდებოდა, რომ გაეგო, კედელზე რა დაწერეს. ერთხელ არტურს ვკითხე, სამკუთხა ქვების დიდი გროვა რატომ გაინტერესებს-მეთქი. მითხრა, სამარხის შიგთავსი იმდენად არ მაინტერესებს, რამდენადაც ის, თუ სამარხი იქ როგორ მოხვდაო. ეგ რაღაც ფიზიკის კანონს არღვევსო და პასუხის გაგება მინდაო. მუყაოს პატარა პირამიდებიც კი გააკეთა, მაგრამ მერე დევიდმა დაუშალა.

დ-ბილი“

საავადმყოფოში გატარებული ამ დროის განმავლობაში, ბილის თქმით, პაციენტებს სანიტრები ხშირად სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ, მაგრამ რეიგენის გარდა ბილის პიროვნებებიდან მათ მხოლოდ კევინი უწევდა წინააღმდეგობას. მადლიერების ნიშნად არტურმა ის „არასასურველების“ სიიდან ამოიღო. 1980 წლის 28 მარტს კევინმა მომწერა:

„რაღაც ძალიან ცუდი მოხდა, არ ვიცი, რა. ვიცოდი, რომ სრული გახლეჩა მალე მოხდებოდა და ბილი სამუდამოდ დაიძინებდა. არტურმა თქვა, რომ ბილიმ ცნობიერების მხოლოდ მცირე ნაწილი იგემა და სამწუხაროდ, ეს გემო მწარე აღმოჩნდა. აქ დღითიდღე სუსტდებოდა. არ ესმოდა, რატომ სძულდათ ასე აქაურობის უფროსებს. პაციენტებს აქეზებდნენ, რომ ბილის თავს დასხმოდნენ და რეიგენს ჩხუბი აეტეხა, მაგრამ ბილიმ შეძლო და შეაჩერა რეიგენი... თუმცა ახლა ასე აღარ არის. ექიმები ჩვენზე ცუდ რაღაცებს ამბობენ და ყველაზე მტკივნეული ის არის, რომ მართლები არიან. ჩვენ... მე სიმახინჯე, ბუნების გაუგებრობა, ბიოლოგიური შეცდომა ვარ. აქაურობა ყველას გვძულს, მაგ-

რამ ჩვენი ადგილი აქ არის. გარეთ დიდად არავინ არ გვიღებდა, ხომ ასეა? რეიგენმა ყველაფერი სამუდამოდ შეწყვიტა. ასეა საჭირო. თქვა, თუ ხმას არ ამოიღებ, არც შიგნით ავნებ ვინმეს და არც გარეთო. ბრალსაც ვერავინ ვერაფერში დაგვდებს. რეიგენმა სმენაც შეწყვიტა. ყურადღება შიგნით იქნება მიმართული და სრულ ბლოკირებას გააძლიერებს. თუ რეალობას კარს ჩავუკეტავთ, ჩვენს სამყაროში მშვიდად შეგვეძლება ცხოვრება. ვიცით, რომ სამყარო ტკივილის გარეშე — გრძნობებისგან დაცლილი სამყაროა... მაგრამ სამყარო გრძნობების გარეშე ტკივილისგან თავისუფალ სამყაროს ნიშნავს.

კევინი“

1980 წლის ოქტომბერში ფსიქიკური ჯანდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმად ლიმა ფსიქიკური აშლილობის მქონე დამნაშავეებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო დაწესებულებების კატეგორიიდან ამოიღეს და დაკვალიფიცირდა, როგორც პენიტენციურ დეპარტამენტს დაქვემდებარებული ციხე.

მილიგანის მომავალი ადგილსამყოფლის შესახებ მითქმა-- მოთქმა ისევ მოედო პრესას. რადგანაც შესაძლებელი იყო, ბილი ისევ ათენში, ან რომელიმე სხვა მინიმალურად მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში გადაეყვანათ, პროკურორმა ჯიმ ო'გრეიდიმ ახალი კანონის მიხედვით მისი კოლამბუსში გადაყვანა მოითხოვა, რათა მისი შეურაცხადობის განსახილველი განმეორებითი მოსმენა დაენიშნათ. მოსამართლე ფლაუერსმა მისი საქმის განხილვაზე თანხმობა განაცხადა.

1980 წლის 31 ოქტომბერს დანიშნული მოსმენა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე 7 ნოემბრამდე, არჩევნების მომდევნო დღემდე გადაიდო. პოლიტიკოსებისა და პრესის მიერ მილიგანის პროცესის პოლიტიკურ ამბად ქცევის თავიდან ასარიდებლად ეს

გონივრული გადაწყვეტილება იყო. მაგრამ ფსიქიკური ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მათ პროკურორ ო'გრეიდის შეატყობინეს, რომ გადაწყდა, მილიგანი აპრილში გახსნილ დეიტონის სასამართლო სამედიცინო ცენტრში გაეგზავნათ. უმკაცრესი რეჟიმის ამ ახალ დაწესებულებას ირგვლივ ეკლიან მავთულზე შემოხვეული ბასრი ლენტების ორმაგი ღობე ერთყა, მისი დაცვის მექანიზმები კი ბევრი ციხისაზე უფრო მკაცრი იყო. პროკურატურამ ეს მოთხოვნა მოსმენამდე გადადო. 1980 წლის 19 ნოემბერს ბილი მილიგანი დეიტონის სასამართლო სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს. არტურმა და რეიგენმა დ-ბილის სასოწარკვეთა იგრძნეს. შეეშინდათ, თვითმკვლელობა არ ეცადა და ისევ დააძინეს. როცა მისაღებ ოთახში არ იყო, კითხულობდა, წერდა და ჩანახატებს აკეთებდა. საღებავით ხატვის ნებას არ აძლევდნენ. მის სანახავად მერი მიდიოდა ხოლმე — ახალგაზრდა ამბულატორიული პაციენტი, რომელიც ათენში ყოფნის პირველ თვეებში გაიცნო. დეიტონში გადასულიყო, რომ ბილის მონახულება ყოველდღიურად შესძლებოდა. ბილი კარგად იქცეოდა. მითხრა, რომ 180-ე დღეს დანიშნულ ხელახალ მოსმენას იმედით ელოდა — იქნებ მოსამართლე ფლაუერსს გადაეწყვიტა, რომ უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულება არ იყო საჭირო და ისევ ათენში გაეგზავნა. იცოდა, რომ ექიმი კოლი შეძლებდა მის განკურნებას, შერწყმას და მასწავლებლის კონდიციამდე მიყვანას. მისი თქმით, ახლა, როცა დ-ბილის ეძინა, ყველაფერი ისევ ისე იყო, როგორც მაშინ, სანამ ექიმი კორნელია უილბური გააღვიძებდა. ვხედავდი, როგორ იხლიჩებოდა. მოსანახულებლად მისულს რამდენჯერმე მითხრა, რომ არ იცოდა, ვინ იყო. ნაწილობრივი შერწყმის დროს უსახელო პიროვნებად იქცეოდა ხოლმე. მისი თქმით, რეიგენმა ინგლისურად საუბრის უნარი დაკარგა. პიროვნებებმა ურთიერთ-

ბა შეწყვიტეს. ვურჩიე, ყოველდღიური ჩანაწერები ეწარმოებინა — ვინც შუეზე გამოვიდოდა, შეტყობინებები დაეტოვებინა. ამან ცოტა ხანს იმუშავა, მაგრამ ინტერესი მალე გაუნელდა და ჩანაწერებმა იკლო. 1981 წლის 3 აპრილს ბილის საქმის ხელმეორე მოსმენის დღე დადგა. სასამართლოზე ოთხი ფსიქიატრიდან და ფსიქიატრიული ჯანდაცვის ორი სპეციალისტიდან მხოლოდ ლიმის საავადმყოფოს ექიმმა ლინდნერმა (რომელსაც ბილი 5 თვე იყო, არ ენახა) განაცხადა, რომ ბილი უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებაში უნდა გაეგზავნათ. პროკურორმა სასამართლოს წერილი წარუდგინა. წერილში მილიგანი აღწერდა თავის რეაქციას მეორე პაციენტის ნათქვამზე, რომელმაც უთხრა, ვაპირებ ექიმი ლინდნერი ვინმეს მოვაკვლევინო:

„შენი ტაქტიკა სრულიად მცდარია... იმაზე თუ გიფიქრია, რომ ზოგიერთმა ექიმმა, იმის შიშით, რამე ისეთი თუ წამომცდა, თავში რამე არ ჩამართყასო, შეიძლება შენს მკურნალობაზე უარი თქვას? მაგრამ თუკი ლინდნერმა ისე დაგასახიჩრა და საქმე ისე აგირია, რომ მთელი ცხოვრების გატარება გისოსებს იქით მოგიწევს, მაშინ წარმატებას გისურვებ!“

როცა მილიგანი მოწმედ გამოიძახეს და სასამართლოს წინაშე თავის წარდგენა მოსთხოვეს, მან თავს „ტომი“ უწოდა. ტომიმ სასამართლოს აუხსნა, რომ წერილი ალენმა დაწერა, რათა მეორე პაციენტისათვის ექიმი ლინდნერის მოკვლა გადაეთქმევინებინა.

— ეგრე სად არი, იარო და ხალხი ხოცო მხოლოდ იმიტომ, რომ შენ წინააღმდეგ ჩვენება მისცეს. დღეს ექიმმა ლინდნერმა ჩემ წინააღმდეგ მისცა ჩვენება, მაგრამ მაგის გამო ნაღდად არ ვესროდი.

მოსამართლე ფლაუერსმა გადაწყვეტილების მიღება გადადო. გაზეთების პირველ გვერდებზე ბილის ათენში გადაყვანის

საწინააღმდეგო სტატიებისა და რეპორტაჟების კორიანტელი ტრიალებდა. განაჩენის მოლოდინში ალენი დეიტონში უმეტესად წიგნის ყდის ილუსტრაციის მონახაზზე მუშაობდა. გადაწყვიტა, გამომცემლისთვის ასარჩევად რამდენიმე ვარიანტი გაეგზავნა, მაგრამ ერთ დილას აღმოაჩინა, რომ სანამ ეძინა, ბავშვებიდან რომელიღაც შუქზე გამოსულიყო და ნახაზი ნარინჯისფერი ფანქრით დაეჩხაპნა. იმ დილას ბოლო ვადა იყო დანიშნული. ალენმა ქანცისგაწყვეტამდე იმუშავა და ნახატი ზუსტად დროზე დაასრულა. 1981 წლის 21 აპრილს ოჰაიოს მეოთხე ინსტანციის რეგიონულმა სააპელაციო სასამართლომ ხელახლა გადასინჯა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ბილი ლიმაში გაგზავნეს. გადასინჯვის შედეგად დადგინდა, რომ პაციენტის გადაყვანა მსუბუქი რეჟიმის დაწესებულებიდან უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებაში — ოჰაიოს შტატის ქალაქ ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოში „მოცემული პიროვნებისა თუ მისი ოჯახის გაფრთხილების გარეშე, პაციენტისთვის სასამართლოზე დასწრებისა თუ კონსულტაციის მიღების საშუალების მიცემის გარეშე, მოწმეების გამოუძახებლად — ესე იგი, სასამართლო მოსმენაზე მისთვის გათვალისწინებული უფლებების სრული აღკვეთა... უმძიმეს დარღვევას წარმოადგენს. გადაყვანის ნებართვა უნდა გაუქმდეს და პაციენტი დაბრუნდეს დაწესებულებაში, საიდანაც მისი გადაადგილება კანონდარღვევით აღსრულდა“.

მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში შეცდომა აღმოაჩინა, დაასკვნეს, რომ მას ზიანი არ მოუტანია, რადგან მილიგანის საქმის მოსმენა ალენის ოლქშიც მიმდინარეობდა. იქ კი „საკმარისი და წონიანი სამხილი იქნა წარდგენილი იმის დასადასტურებლად, რომ მომჩივანი, ფსიქიკური დაავადების გამო საკუთარი თავისა და გარშემომყოფებისათვის საფრთხეს წარმოადგენდა“. ამრიგად, სააპელაციო სასა-

მართლო არ დაეთანხმა მოსამართლე ჯოუნსის გადაწყვეტილებას, მაგრამ ბილის ათენში დაბრუნებაზე უარს აცხადებდა. ამის შემდეგ გოლდსბერიმ და თომპსონმა მოცემული გადაწყვეტილება ოჰაიოს უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრეს. 1981 წლის 20 მაისს 180-ე დღეს დანიშნული მოსმენიდან ექვს-ნახევარ კვირაში მოსამართლე ფლაუერსმა თავისი გადაწყვეტილება გაასაჯაროვა. მის სასამართლო ჩანაწერებში ორი განმარტება მოიძებნება:

პირველი: „სასამართლოს გადაწყვეტილება დიდწილად ეყრდნობა ნომერ პირველ ნივთიერ მტკიცებულებას [წერილს] და ექიმ ლუის ლინდნერის ჩვენებაში მის ინტერპრეტაციას. სასამართლო ჩვენებას დამაჯერებლად მიიჩნევს იმ ნაწილში, სადაც უილიამ ს. მილიგანს ამჟამად არ გააჩნია მორალური თავშეკავების დამაკმაყოფილებელი უნარი, ავლენს მჭიდრო კავშირს კრიმინალურ სუბკულტურასთან და გულგრილობას ადამიანის სიცოცხლის მიმართ“. მეორე: მოსამართლე ფლაუერსმა დაასკვნა, რომ ექიმ დევიდ კოლის წერილობითი ჩვენება, სადაც ის აცხადებს, რომ „სასამართლოს მიერ თავსმოხვეული აკრძალვებისადმი დამორჩილებას არ ისურვებდა“ აჩვენებს, რომ ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრი მილიგანისათვის ადეკვატურ დაწესებულებას არ წარმოადგენს“.

ისე, რომ არც კი უხსენებია დანარჩენი ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მოსაზრება, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მილიგანი სახიფათო არ იყო, მოსამართლე ფლაუერსმა გამოიტანა განაჩენი, გაეგრძელებინათ მილიგანის მკურნალობა დეიტონის საავადმყოფოში, რომელიც „მილიგანის მკურნალობის მიზნებისა და საზოგადოების უსაფრთხოების გათვალისწინებით, ყველაზე ნაკლებ მკაცრი დაწესებულება იყო, რომლის შეთავაზებაც მისთვის შეეძლო“. ამის შემდეგ მოსამართლე ფლაუერსმა

მილიგანს განუსაზღვრა ვალდებულება, ემკურნალა დეიტონის ფსიქოლოგთან (რომელმაც მოსამართლეს წინასწარ აცნობა, რომ მრავლობითი პიროვნების მკურნალობის გამოცდილება არ ჰქონდა) „საკუთარი ხარჯით“. ეს განაჩენი ბილი მილიგანის დაპატიმრებიდან სამწელიწად-ნახევარში და მოსამართლე ფლაუერსის მიერ მისი შეურაცხადობის საფუძვლით უდანაშაულოდ ცნობის შემდეგ ორ წელიწადსა და ხუთ თვეში იქნა გამოტანილი. აღენ გოლდსბერიმ ოჰაიოს შტატის ფრანკლინის ოლქის მეათე სააპელაციო განყოფილებაში დაუყოვნებლივ შეიტანა აპელაცია და მოკლე წერილი, რომელშიც 297-ე კანონპროექტს („მილიგანის კანონს“) ასაჩივრებდა, როგორც კანონს, რომელიც დაცვის მხარის თანასწორუფლებიანობას არღვევდა, არ იძლეოდა სასამართლოში საქმის სამართლიანად განხილვის საშუალებას და ამრიგად, არაკონსტიტუციური იყო. ამასთან, გოლდსბერი ამტკიცებდა, რომ ამ კანონის ბილი მილიგანის საქმის განხილვისას ამოქმედება ეწინააღმდეგებოდა ოჰაიოს კონსტიტუციას, რომელიც კანონის უკუძალას კრძალავდა.

განაჩენის გამო ბილი არც სააპელაციო სასამართლოზე ბრაზობდა, არც მოსამართლე ფლაუერსზე. მომეჩვენა, რომ ის ამ ყველაფრისგან, უბრალოდ, დაღლილი იყო. მე და ბილი ტელეფონით ახლაც ხშირად ვსაუბრობთ და დროდადრო დეიტონშიც ვაკითხავ მოსანახულებლად. ზოგჯერ ტომი მხვდება, ზოგჯერ — ალენი, ან კევინი. სხვა დროს უსახელო პიროვნებაა ხოლმე. ერთხელ, როცა ვკითხე, ვინ ხარ-მეთქი, მიპასუხა:

— არ ვიცი ვინ ვარ. გამოცარიელებული ვარ.

ვკითხე, რას გულისხმობ-მეთქი.

— როცა არც მძინავს და არც შუქზე ვარ, თითქოს პირქვე ვწევარ დიდ, უსასრულოდ გადაჭიმულ შუშაზე და მის მიღმა ყველაფერს ვხედავ. შუშის იქით, წარმოუდგენელ სიღრმეზე თითქოს კოსმოსური სივრცე და ვარსკვლავები ჩანს, მაგრამ უცებ განათებული წრე ჩნდება. გეგონება, ეს შუქი თვალებიდან გამომდის, იმიტომ, რომ სულ ჩემს წინ არის. მის გარშემო ჩემი ხალხი წევს კუბოებში. კუბოები თავახდილია — ჯერ ცოცხლები არიან, სძინავთ და რაღაცას ელოდებიან. რამდენიმე კუბო ცარიელია, იმიტომ რომ აქ ჯერ ყველა არ მოსულა. დეივიდს და სხვა პატარებს უნდათ, ცხოვრების შანსი დაიტოვონ. ზრდასრულებმა იმედი დაკარგეს.

— ეს რა ადგილია? — ვკითხე მე.

— სახელი დეივიდმა უწოდა, — მითხრა მან, — ეს ადგილი მან შექმნა და „სიკვდილის ადგილი“ დაარქვა.

ბოლოსიტყვაობა

ამ წიგნის პირველი გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ ქვეყნის ყველა კუთხიდან მომდიოდა წერილები. აინტერესებდათ, რა დაემართა ბილი მილიგანს მას შემდეგ, რაც მოსამართლე ფლაუერსმა ათენში გადაყვანის შესახებ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა.

მოკლე შეჯამება ასეთია: ჩემდამი გამოგზავნილ წერილებში ალენი ლიმის სახელმწიფო საავადმყოფოს ფსიქიკური აშლილობის მქონე დამნაშავეებისთვის „საშინელებათა ოთახს“ უწოდებდა. დეიტონის სასამართლო სამედიცინო ცენტრი კი მოგვიანებით ამიწერა, როგორც „მიკროორგანიზმების მოსამრავლებელი სტერილური სინჯარა-ციხე“. დეიტონის ხელმძღვანელი, ალენ ვოგელი მილიგანის მდგომარეობას თანაგრძნობითა და გაგებით ეკიდებოდა, მაგრამ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები გამუდმებით ეწინააღმდეგებოდნენ. ვოგელმა მილიგანს ზეთის საღებავით ხატვის ნება დართო და ტომიმ და ალენმა სახატავი აღჭურვილობა შეუკვეთეს. მაგრამ უსაფრთხოების სამსახურმა ვოგელის ბრძანება იმ საბაბით გააუქმა, რომ სელის ზეთი, რომლისგანაც საღებავი მზადდება, სახიფათო ნივთიერება იყო. ამის შემდეგ საღებავები და სახატავი აღჭურვილობა საავადმყოფოდან გაიტანეს. ალენმა, რომელიც სულ უფრო ღრმა დეპრესიაში ვარდებოდა, მერის, მეგობარსა და მუდმივ ვიზიტორს, დაჟინებით სთხოვა, უნივერსიტეტში სწავლა გაეგრძელებინა და თავის ცხოვრებაზე ეზრუნა. ამბობდა, ჩემთან ერთად ციხეში ხომ ვერ მეყოლება გამომწყვდეულიო. დეიტონიდან მერის წასვლის შემდეგ რამდენიმე კვირაში მილიგანის ცხოვრებაში კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი გაჩნდა: დეიტონში მცხოვ-

რებმა ტენდამ, რომელიც დეიტონის საავადმყოფოში ძმის მოსა-
ნახულებლად დადიოდა, მილიგანი სტუმრების მისაღებ ოთახში
შეამჩნია. ძმამ ტენდა და ბილი ერთმანეთს გააცნო. მალე ტენდა
მილიგანისთვის იმავს აკეთებდა, რასაც ადრე მერი — მისი კარ-
ნახით ბეჭდავდა, საჭმელი მოჰქონდა, ტანსაცმელს ყიდულობდა
მისთვის. 1981 წლის 22 ივლისს ტენდამ დამირეკა და მითხრა,
რომ ბილიზე ნერვიულობდა. ტანსაცმელს არ იცვლიდა, არ იპარ-
სავდა, აღარც ჭამდა. გარესამყაროსგან მთლიანად გამიჯნული-
ყო. ტენდამ მითხრა, ცხოვრებისადმი ინტერესი დაკარგაო.
საავადმყოფოში რომ მოვინახულე, ტომიმ შემატყობინა, არტურ-
მა მკურნალობისა და გამოჯანმრთელების იმედი დაკარგა და
თვითმკვლელობა გადაწყვიტაო. შევეკამათე, გამოსავალი ყო-
ველთვის არსებობს, მაგალითად, შეიძლება დეიტონიდან
გადაგიყვანონ-მეთქი. მსმენოდა, რომ ექიმი ჯუდით ბოქსი, რო-
მელმაც უკანასკნელ სასამართლო პროცესზე ბილის სასარგებ-
ლოდ მისცა ჩვენება, ახლახან კოლამბუსში ახლადგახსნილი რე-
გიონული სასამართლო სამედიცინო ცენტრის (რსსც) დირექტო-
რად დაენიშნათ. თავიდან ტომის ერთი უმკაცრესი რეჟიმის დაწე-
სებულებიდან მეორეში გადასვლის გაგონებაც არ უნდოდა.
„რსსც“ ცენტრალური ოჰაიოს ფსიქიატრიული საავადმყოფოს
განყოფილება იყო, სადაც მილიგანმა თხუთმეტი წლის ასაკში სა-
მი თვე გაატარა. ტომიმ დაიწინა, ექიმ კოლთან ათენში დაბრუნე-
ბას თუ ვერ შეეძლებ, სიკვდილი მირჩევნიაო. შევეცადე, დამერ-
წმუნებინა, რომ რადგან ექიმ ბოქსს მრავლობითი პიროვნებების
მკურნალობის გამოცდილება ჰქონდა, ექიმ კოლს ძალზე კარ-
გად იცნობდა და ბილის საქმის მიმართ უკვე გამოთქვა დაინტე-
რესება, შეიძლებოდა მისთვის დახმარების გაწევა მოეხერხებინ-
ა. ტომი, როგორც იქნა, დათანხმდა. ფსიქიკური ჯანდაცვის დე-
პარტამენტი, პროკურორი და მოსამართლე შეთანხმდნენ, რომ

რადგანაც ეს შიდა გადაადგილება იქნებოდა ერთი უმკაცრესი რეჟიმის საავადმყოფოდან მეორეში, სასამართლო განხილვა საჭირო აღარ იქნებოდა. მაგრამ საქმე ძალიან ნელა მიდიოდა. გადაყვანის წინააღმდეგ სხვა პაციენტმა დამირეკა და მითხრა, რომ მილიგანმა, რომელსაც ეშინოდა, ვინმესთვის რამე არ დაეშავებინა და გადაყვანის საქმე საფრთხეში არ ჩაეგდო, თვითონ გამოთქვა იზოლატორში ჩაჯდომის სურვილი. დაცვის ოთხმა წევრმა იზოლატორში შეიყვანა, ხელ-ფეხი შეუკრა, წიხლებით შესდგა და სცემა. 27 აგვისტოს აღენი რომ ვნახე, მარცხენა მკლავი დალილავებული და გასიებული ჰქონდა, ხელის მტევანს კი ვერ ამოძრავებდა. მარცხენა ფეხი გადახვეული ჰქონდა. 1981 წლის 22 სექტემბერს ცენტრალური ოჰაიოს რეგიონალურ სასამართლო სამედიცინო ცენტრში ბორბლებიანი სავარძლით გადაიყვანეს.

გადაყვანიდან ცოტა ხანში ფსიქიკური ჯანდაცვის დეპარტამენტმა ბილი მილიგანის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა — მისგან ათენში, ლიმასა და დეიტონში იძულებითი ჰოსპიტალიზაციისა და მკურნალობის ხარჯების — ორმოცდაათი ათასი დოლარის დაფარვას მოითხოვდნენ. მალე ბილის ადვოკატებმა შესაგებებელი შეიტანეს, სადაც ლიმის საავადმყოფოსაგან ბილის მიერ კედლებზე შესრულებული ნამუშევრების საფასურის გადახდას და მასზე ფიზიკური ძალადობისა და პროფესიული უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას მოითხოვდნენ. შესაგებებელი წარმოებაში არ მიიღეს, დეპარტამენტის სარჩელი კი ჯერ კიდევ თავის რიგს ელის.

ტენდამ, რომელსაც ბილისთან ახლოს ყოფნა უნდოდა, კოლამბუსში სამსახური იშოვა და ბილის დასთან, ქეთისთან გადავიდა საცხოვრებლად. ამბობდა, რომ ბილი უყვარდა და უნდოდა, მისი ხშირად მონახულება შეძლებოდა. ექიმმა ბოქსმა ბილის-

თან მუშაობა ინტენსიური თერაპიის იმ მეთოდებით დაიწყო, რომლებიც ათენის საავადმყოფოში წარმატებით დასრულდა. ექიმი ბოქსი დევიდთან, რეიგენტან, ალენტან და კევინთან მუშაობდა და ბოლოს მასწავლებელთან დაკავშირებაც შეძლო. ყოველ მისვლაზე ტომი და ალენი მეუბნებოდნენ, მასწავლებელი აქ შენს მოსვლამდე სულ ცოტა ხნის წინ იყო. ბოლოს დავუბარე, ოთახში მასწავლებლისთვის ჩემი შეტყობინება დაეტოვებინათ. ვთხოვდი, როცა გამოვიდოდა, ჩემთვის დაერეკა. დაახლოებით ერთი კვირაში დამირეკა.

— გაუმარჯოს, მითხრეს, რომ ჩემთან ლაპარაკი გინდოდათ.

მასწავლებელს პირველად ველაპარაკებოდი მას შემდეგ, რაც ბოლოს ლიმაში წიგნის ხელნაწერს გადავხედეთ ერთად. დიდხანს ვისაუბრეთ და მისგან ზოგიერთი ისეთი რამ შევიტყვე, რაც სხვებმა არ იცოდნენ. ერთხელ მასწავლებელმა დამირეკა და მითხრა:

— ვინმეს უნდა ვუთხრა ეს ამბავი. ტენდა მიყვარს და მასაც ვუყვარვარ. დაქორწინება გვინდა.

ქორწილი 15 დეკემბერს დანიშნეს, რომ ექიმი ბოქსის მშობლიურ ავსტრალიაში ხანგრძლივ შვებულებაში წასვლამდე მოესწროთ. მკურნალობის გეგმის თანახმად, ექიმმა ბოქსმა მილიგანი ახალ პალატაში გადაიყვანა სამ სხვა პაციენტთან ერთად, რომელთაც მრავლობითი პიროვნების აშლილობის წინასწარი დიაგნოზი დაუსვა. რადგან მრავლობითი პიროვნებები საგანგებო მკურნალობასა და ყურადღებას საჭიროებდნენ, ფიქრობდა, სჯობდა ისინი ერთად ჰყოლოდა. ამას კი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე კოლამბუსელი პოლიტიკოსების მხრიდან მისი კრიტიკა მოჰყვა, რისთვისაც ბოქსი მზად არ იყო.

1981 წლის 17 ოქტომბერს „კოლამბუს დისპენჩი“ წერდა, რომ შტატის წარმომადგენლის, კოლამბუსელი დონ გილმორის მტკი-

ცებით, ბილი მილიგანი კოლამბუსის საავადმყოფოში პრივილეგიებით სარგებლობს. კერძოდ, „მილიგანს საშუალებას აძლევენ, აირჩიოს, რომელ პაციენტებთან ერთად სურს პალატაში ყოფნა“. მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ბრალდება უარყო, გილმორი არ ცხრებოდა. 19 ნოემბრის „კოლამბუს სიტიზენ-ჯორნელში“ ეწერა:

„მიუხედავად მტკიცებისა, რომ უილიამ მილიგანი ოჰაიოს ცენტრალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში განსაკუთრებული პრივილეგიებით არ სარგებლობს, შტატის წარმომადგენელი დამატებითი გამოძიების დაწყებას ითხოვს... გილმორის ერთ-ერთი ეჭვი რამდენიმე კვირის წინ მომხდარ ინციდენტს ემყარებოდა, როცა როგორც ამბობენ, მილიგანმა დილის სამის სახევარზე ბოლონიური სენდვიჩი შეუკვთა. მისი თქმით, საავადმყოფოს თანამშრომლებს ასეთ შემთხვევაში სენდვიჩები მილიგანის პალატაში მყოფი ყველა პაციენტისთვის უნდა მოემზადებინათ“.

ტენდა დიდხანს ეძებდა მღვდელს, ან მოსამართლეს, რომელიც ცერემონიას აღასრულებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ახალგაზრდა მეთოდისტი მღვდელი იპოვა, ქალაქის ახალი თავშესაფრის დირექტორი, რომელიც ჯვრის დაწერაზე დათანხმდა. გერი უიტს იმედი ჰქონდა, რომ მისი ვინაობა არ გახმაურდებოდა, ეშინოდა, გასაჯაროებას მისი სამსახურეობრივი საქმიანობისთვის არ შეექმნა საფრთხე. მაგრამ „კოლამბუს დისპეჩის“ რეპორტიორმა მისი ამოცნობა შეძლო.

— ჩემი პირადი ფილოსოფია მკარნახობს, მუდამ ხელმოცარულთა მხარეს ვიდგე, — მიუგო ჟურნალისტს ახალგაზრდა მღვდელმა, — ცერემონიის შესრულება იმიტომ ვიკისრე, რომ ვიცოდი, ამას სხვა არავინ გააკეთებდა.

ცერემონია 1981 წლის 22 დეკემბერს გაიმართა. მას ესწრებოდნენ: მღვდელი, საპრობაციო სასამართლოს წარმომადგენე-

ლი, რომელმაც ქორწინების ნებართვა მოიტანა, და მე. ექიმი ბოქსი უკვე ავსტრალიაში იყო. ტენდას თითზე ბეჭედი მასწავლებელმა ჩამოაცვა და მანვე აკოცა. რადგან ოჰაიოში მეუღლეებისთვის სპეციალური ვიზიტები არ იყო განსაზღვრული, სანამ ბილის მსუბუქი რეჟიმის, ან სამოქალაქო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არ გადაიყვანდნენ, ახლადშეუღლებულებს მარტო დარჩენის საშუალება არ ექნებოდათ. ჯვრისწერის შემდეგ ტენდამ მომლოდინე რეპორტიორების, ფოტოგრაფებისა და ტელეოპერატორებისთვის ხანმოკლე პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პიროვნებათა დიდ ნაწილს იცნობდა და მათთვის მისაღები იყო. მისი თქმით, ერთ მშვენიერ დღეს ნორმალური ცხოვრებით ცხოვრებას შეძლებდნენ. მალე მასწავლებელმა და ტენდამ ავისმომასწავებელი ცვლილებები შენიშნეს. მასწავლებელს წამლები მოუხსნეს. დაცვამ მისი ოთახის ჩხრეკას მოუხშირა. ყოველი ვიზიტის წინ და შემდეგ ბილისაც თავიდან ფეხებამდე ჩხრეკდნენ. ერთხელ მოსანახულებლად მისული ტენდაც კი თავიდან ფეხებამდე გაჩხრიკეს. თავს ორივე დამცირებულად გრძნობდა და ხვდებოდნენ, რომ განზრახ შეურაცხყოფდნენ. ავსტრალიიდან დაბრუნებულმა ექიმმა ბოქსმა შეიტყო, რომ ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრი მასთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებდა.

— შემავიწროვეს და ბოლოს გამომაგდეს, — მითხრა მან.

1982 წლის 17 ივლისს „კოლამბუს დისპენჩმა“ რეპორტაჟი გამოაქვეყნა:

მილიგანის ექიმი სამსახურიდან წამოვიდა

ექიმმა ჯუდით მ. ბოქსმა ცენტრალური ოჰაიოს სასამართლოს საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან დავის შედეგად სახელმწიფო სამსახური დატოვა. შტატის წარმომადგენელი, დონ ე. გილმორი მის დათხოვნას მიესალმება...

მასწავლებელი გაიხლიჩა. მილიგანის ახალი თერაპევტი, ყოფილი სამხედრო-საზღვაო ფსიქიატრი, ჯონ (ჯეი) დეივისი თავიდან მილიგანის საქმისადმი სკეპტიკურად იყო განწყობილი, მაგრამ ნელ-ნელა მისი წარსულის შესწავლამ ძალზე ჩაითრია. მან პიროვნებათა უმეტესობის ნდობის მოპოვება შეძლო და მათთან მუშაობის საშუალება მიეცა. 12 თებერვალს ქეთიმ აღმოაჩინა, რომ მისი რძლის ტანსაცმელი და ნივთები გამქრალიყო, ბილის მანქანაც არსად ჩანდა. ტენდამ ბილის სახელზე წერილი დატოვა, რომელშიც იტყობინებოდა, რომ საერთო საბანკო ანგარიშიდან მთელი ფული გამოიტანა, მაგრამ ოდესმე ყველაფერს აუნაზღაურებდა. წერდა, ვიცი, ღამით გაპარვა არასწორი საქციელია, მაგრამ ყოველმხრივი ზეწოლის გაძლება არ შემეძლო.

— შეყვარებული ვიყავი და გულუბრყვილო, — მითხრა ალენმა, — ერთხანს ტკივილისგან პარალიზებული ვიყავი. მერე ჩემს თავს ვუთხარი, რომ უნდა გავძლიერებულიყავი და დამევიწყებინა, რაც გამიკეთა. უფლება არ მაქვს, ტენდას საქციელის მიხედვით ყველა ქალი განვსაჯო, ისევე როგორც ყველა კაცის მამილო ჩალის საქციელის მიხედვით შეფასება არ შეიძლება.

ექიმი ჯეი დეივისი აღტაცებული იყო, როგორ შეძლო მისმა პაციენტმა ამ ამბის შემდეგ თავი ხელში აეყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ბილის პიროვნებები თავს მოტყუებულად და დაღალატებულად გრძნობდნენ, უბედურებას ყოჩაღად მოერივნენ.

1982 წლის 26 მარტს მოსამართლე ფლაუერსის სასამართლოს წინაშე გაიმართა მოსმენა, რომელზეც უნდა გადაწყვეტილიყო, მილიგანი სხვებისა და საკუთარი თავისათვის კვლავაც საფრთხეს წარმოადგენდა თუ ახლა უკვე დასაშვები იყო მისი შედარებით მსუბუქი რეჟიმის დაწესებულებაში, მაგალითად, ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში გადაყვანა. ფსიქიატრებისა

და ფსიქოლოგების ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო. პროკურატურის პოზიცია ფრანკლინის ოლქის პროკურორის, თომას დ. ბილის მიერ „კოლამბუს სიტიზენ-ჯორნელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გახდა ნათელი, რომელიც 14 იანვარს გამოქვეყნდა:

„იმედი მაქვს, არსებობს [მტკიცებულება იმისა, რომ მილიგანი ძალადობისაკენ მიდრეკილი პიროვნებაა]. ეს კიდევ უფრო გაამყარებს უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებაში მისი დატოვების აუცილებლობას“.

მოსმენაზე ექიმმა მიჯო ზაკმანმა, ცენტრალური ოჰაიოს ფსიქიატრიული საავადმყოფოს დირექტორმა აჩვენა, რომ მოსმენამდე ორ კოლეგასთან ერთად ორ საათს სინჯავდა მილიგანს და მასში ვერავითარი „პიროვნებები“ ვერ აღმოაჩინა. მისი თქმით, მილიგანი სრულებით არ იყო ფსიქიკურად დაავადებული. ის უბრალოდ, ანთისოციალური პიროვნება იყო. მოვლენათა განვითარებას გამოგნებელი და საშიში პირი უჩანდა. თუკი ფსიქიკური ჯანდაცვის დეპარტამენტი შეძლებდა მოსამართლე ფლაუერსის დარწმუნებას, რომ მილიგანი ფსიქიკურად დაავადებული არ იყო, შეიძლებოდა საავადმყოფოდან მაშინვე გაეწერათ და როგორც ვადამდელი გათავისუფლების პირობების დამრღვევი, ოჰაიოს ბრდასრულთა შეწყალების კომისიას პირდაპირ ციხეში გაეგზავნა. მაგრამ ჯეი დეივისმა განაცხადა:

— ის ახლა საწყის ეტაპზეა... დანაწევრებულია. შემძლია გითხრათ, რომელი პიროვნება ზის ახლა თქვენს წინაშე... ეს ბილი არ არის.

დეივისმა აუხსნა მოსამართლე ფლაუერსს, რატომ იყო კოლამბუსი მილიგანისათვის შეუფერებელი ადგილი.

— უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებები მრავლობითი პიროვნების თერაპიის მიმდინარეობას ხელს უშლის.

თუკი მილიგანი კოლამბუსში დარჩებოდა, დეივისის თქმით, მისი მკურნალობა უნაყოფო იქნებოდა. ექიმმა ჰარი აიზელმა, კლინიკურმა ფსიქოლოგმა, ჩვენებაში განაცხადა, რომ მას ბილის ზოგიერთი აგრესიული პიროვნებისათვის ჩაეტარებინა ე.წ. „ხელის ტესტი“, რათა განესაზღვრა, რამდენად სახიფათონი შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ისინი. „ხელის ტესტი“ – ნახატების სერია, ზედ გამოსახული სხვადასხვაგვარად განლაგებული ხელებით, რომლებიც პაციენტს უნდა შეეფასებინა, ინდივიდის ძალადობრივი ქცევისადმი მიდრეკილების ამსახველი პროექციული ტექნიკა იყო. აიზელის თანახმად, მის მიერ შემოწმებული პიროვნებებიდან (შემდეგ შევიტყვე, რომ ესენი იყვნენ: ფილიპი, კვინი და რეიგენი) მნიშვნელოვან საფრთხეს არც ერთი არ წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურმა მუშაკმა პროკურორის მიერ დაკითხვისას განაცხადა, რომ მილიგანი მასა და მის ოჯახს ემუქრებოდა, ჯვარედინი დაკითხვისას აღიარა, რომ საერთოდ პაციენტები ხშირად ემუქრებოდნენ, თუმცა დღემდე მისთვის არავის არაფერი დაუშავებია. ექიმმა კოლმა დაამოწმა, რომ მზად იყო, მილიგანის მკურნალობა გაეგრძელებინა და სასამართლოს მიერ დადგენილ ნებისმიერ შეზღუდვას დამორჩილებოდა.

1982 წლის 8 აპრილს მოსამართლე ჯეი ფლაუერსმა ფსიქიკური ჯანდაცვის დეპარტამენტს ბილი მილიგანის ათენის ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრში დაბრუნება უბრძანა. ასევე, ბრძანა, პაციენტისათვის ხატვისა და ხეზე მუშაობის ნება დაერთოთ, მაგრამ სამაგიეროდ, პერსონალს მიუთითა, პალატის გარეთ მისთვის მკაცრად ედევნებინათ თვალყური. სანამ მილიგანს საავადმყოფოდან გასვლის უფლებას მისცემდნენ, სასამართლო უნდა გაეფრთხილებინათ.

— ამბობენ, რომ ის კიდევ ერთ შანსს იმსახურებს, — თქვა მოსამართლე ფლაუერსმა, — მოდით, მივცეთ მორიგი შანსი.

1982 წლის 15 აპრილს, დილის 11 საათზე, ოჰაიოს სამ უმკაცრესი რეჟიმის დაწესებულებაში გატარებული ორწელიწადნახევრის შემდეგ ბილი მილიგანი ათენში დაბრუნდა.

მე მას ხშირად ვსტუმრობ და ტომისა და ალენს ვესაუბრები. მათი თქმით, „ხალხის“ გამთლიანება დიდი ხანია აღარ მომხდარა. ალენს თავში ზოგჯერ ბრიტანული და იუგოსლავიური აქცენტები ესმის, მაგრამ ვერც ისა და ვერც ტომი ვერ ახერხებენ სხვებთან, ან ერთმანეთთან დაკავშირებას. შინაგანი კომუნიკაცია გაწყვეტილია. ძალიან ბევრი დროა დაკარგული. ახლა, როცა ამ წიგნს ვწერ, მასწავლებელი ისევ არ დაბრუნებულა. ტომი პეიზაჟებს ხატავს. დენი — ნატურმორტებს. ალენი — პორტრეტებს ხატავს და ლიმაში, დეიტონსა და კოლამბუსში ნანახ საოცარ ამბებს აღწერს, იგონებს, როგორ ცდილობდნენ მისი პიროვნებები ვითარებასთან გამკლავებასა და გადარჩენას. ექიმი დევიდ კოლი უკანასკნელი ორწელიწადნახევრის განმავლობაში ბილისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორებისა და მისი ნამსხვრევების ხელახლა შეწებების ურთულეს საქმეს შეუდგა. ამას რამდენი დრო დასჭირდება, არავინ იცის. ბილი მილიგანის ათენში დაბრუნების შესახებ კოლამბუსში ატეხილმა ორანზროვანმა მითქმამოთქმამ ბილი გაანაწყენა, სამაგიეროდ, ოჰაიოს უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთის წაკითხვამ გაახარა, რომელმაც ჯერ კიდევ 12 აპრილს იწინასწარმეტყველა ბილის გადაყვანა:

„...მილიგანი, რომელსაც ბედმა მეტისმეტად მძიმე ცხოვრება არგუნა, ათენში დაბრუნდა, რათა აქ პროფესიონალებთან განაგრძოს მკურნალობა. ამ საზოგადოებამ კი, თუკი ის საერთოდ რამის მაქნისია, დახმარება უნდა გაუწიოს და მისთვის ესოდენ საჭირო მხარდაჭერა აღმოუჩინოს... ჩვენ თქვენგან მილიგანის

გულში ჩაკვრას როდი ვითხოვთ. მხოლოდ იმას გთხოვთ, რომ შეეცადოთ, გაუგოთ. ეს ყველაზე მცირე რამაა, რაც მისთვის შეგვიძლია გავაკეთოთ“.

ათენი, ოჰაიო
1982 წლის 7 მაისი

ავტორის მინაწერი

უამრავ დოკუმენტს შორის, რომლებიც წიგნის წერის დაწყებამდე შევისწავლე, ორი განსაცვიფრებელი ჩანაწერი ვიპოვე ბილი მილიგანის ტვინის ელექტროენცეფალოგრამის შესახებ. ეს ორი ჩანაწერი 1978 წლის მაისში, ორი კვირის შუალედშია გაკეთებული, ორი სხვადასხვა ექიმის მიერ. გამოკვლევა სასამართლოს მითითების საფუძველზე ჰარდინგის საავადმყოფოს მიერ ბილის სამედიცინო შემოწმების ფარგლებშია ჩატარებული. უახლესმა კვლევამ მილიგანის ელექტროენცეფალოგრამების მნიშვნელობას ახლებური შუქი მოჰფინა. ფსიქიკური ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის ფსიქიატრმა, ექიმმა ფრენკ პუტნამ-უმცროსმა აღმოაჩინა, რომ მრავლობითი პიროვნების აშლილობის მქონე პირების ალტერნატიულ პიროვნებებს ერთმანეთისაგან და „ძირითადი პიროვნებისგან“ საგრძნობლად განსხვავებული ფიზიოლოგიური მახასიათებლები აქვთ. მათ შორის, კანის გაღვანური რეაქცია და ტვინის ტალღური აქტივობის განსხვავებული მოდელები. ცოტა ხნის წინანდელ სატელეფონო ინტერვიუში ექიმ პუტნამს ელექტროენცეფალოგრამების შესახებ ჩატარებულ კვლევაზე ვესაუბრე, რომელიც მან 1982 წლის მაისში, ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის ტორონტოში გამართულ შეხვედრაზე წარმოადგინა. მან მკაცრად გაკონტროლებული ტესტი ათ ცდისპირს ჩაუტარა, რომლებსაც მრავლობითი პიროვნების სინდრომის დიაგნოზი დადასტურებული ჰქონდათ. თითოეული ცდისპირის შემთხვევაში ექიმი „ძირითად პიროვნებას“ და ორ-სამ ალტერნატიულ პიროვნებას ამოწმებდა. ექსპერიმენტის საკონტროლო ჯგუფი ათი სხვა ინდივიდი იყო, რომელთა ასაკი და სქესი ექსპერიმენტული ჯგუფის წევრებისას ემ-

თხვეოდა. საკონტროლო ჯგუფის წევრებს წინასწარი პირობის თანახმად, საკუთარი ალტერნატიული პიროვნებები უნდა გამოეგონებინათ, თითოეული მათგანისათვის დეტალური ისტორია და ნიშან-თვისებები მოეფიქრებინათ. გამოგონილ პიროვნებებს დროდადრო ერთმანეთი უნდა შეეცვალათ. თითოეულ „ძირითად პიროვნებასა“ და ალტერნატიულ პიროვნებას ტესტი შემთხვევითი თანმიმდევრობით, ხუთ სხვადასხვა დღეს უტარდებოდა — თითოეულ პირს სულ 15-20 ტესტი უნდა გაეკლო. საკონტროლო ჯგუფის წევრებსა და მათ წარმოსახვით პიროვნებებს შორის ტვინის ტალღური აქტივობის მოდელების თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ დაფიქსირებულა, მრავლობითი პიროვნების სინდრომის დიაგნოზის მქონე პირებში ალტერნატიულ პიროვნებებს ერთმანეთისა და „ძირითადი პიროვნებისაგან“ განსხვავებული მონაცემები ჰქონდათ. 1982 წლის 29 მაისის „საიენს ნიუსის“ თანახმად, ექიმ პუტნამის მიერ მიღებულ შედეგებს კონექტივუტის შტატის ქალაქ ჰარტფორდის „სიცოცხლის შემსწავლელი ინსტიტუტის“ კვლევა უმაგრებს ზურგს. ინსტიტუტის თანამშრომელმა, ფსიქოლოგმა კოლინ პიტლადომ მრავლობითი პიროვნების ოთხ სხვადასხვა პიროვნებას შორის სწორედ ასეთი განსხვავებები აღმოაჩინა. ამ კვლევის შესახებ რომ შევიტყვე, ძველი საქალაქდებები გადავქექე და პუტნამის შედეგების პრეზენტაციამდე ოთხი წლით ადრე გაკეთებულ მილიგანის ელექტროენცეფალოგრამებს დავხედე.

1978 წლის 9 მაისს მედიცინის დოქტორი, ექიმი პ.რ. ჰეიმანი აცხადებდა, რომ იმ დღეს ჩატარებული გამოკვლევის შედეგად „ანომალური ელექტროენცეფალოგრამა“ იქნა მიღებული. ექიმმა შენიშნა რა მარჯვენა ჰემისფეროში „თეტა“ და „დელტა“ ტალღების აქტივობა (ეს ნელი ტალღები ფსიხელი ზრდასრული ადამიანის ენცეფალოგრამაზე არ ჩანს, თუმცა ბავშვებში მისი

დანახვა შესაძლებელია), და დაასკვნა, რომ ანომალიური სურათი სავარაუდოდ, ტექნიკური პრობლემით იყო გამოწვეული. მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, რომ „ელექტროდის შეცვლის მიუხედავად, ტექნიკოსმა ხარვეზის დადასტურება მაინც ვერაფრით შეძლო“. ამის შემდეგ ექიმი ელექტროენცეფალოგრამის ხელმეორედ გადაღების წინადადებით გამოდიოდა.

მედიცინის დოქტორი, ექიმი ჯიმს პარკერი 1978 წლის 22 მაისს წერდა, რომ პირველ ელექტროენცეფალოგრამაში გამოვლენილი ანომალია მეორე ელექტროენცეფალოგრამაზე არ ჩანდა. ამ სურათზე ფონური წყვეტილი ალფა-აქტივობა ვლინდებოდა. პარკერმა აღნიშნა, რომ ამ ელექტროენცეფალოგრამაზე „ანომალიური ბილატერალური თეტა და დელტა [და] ბილატერალური პერიოდული მკვეთრი ტალღები“ იკვეთებოდა. მკვეთრი ტალღები, მისი თქმით, შესაძლო იყო, ეპილეპტოფორმული ყოფილიყო.

ექიმმა ფრენკ პუტნამმა მითხრა, რომ მის მიერ შესწავლილი მრავლობითი პიროვნების სინდრომის მქონე პაციენტების ელექტროენცეფალოგრამების ათი-თხუთმეტი პროცენტი ტვინის ანომალიურ ტალღურ აქტივობას აჩვენებდა და თავის დროზე ამ პაციენტებსაც ეპილეფსიის დიაგნოზი დაუსვეს. ანომალიური ელექტროენცეფალოგრამებისა და მრავლობითი პიროვნებების მსგავსი ცალკეული შემთხვევები, მისი თქმით, ჰარვარდშიც იკვლიეს.

როცა მილიგანის ელექტროენცეფალოგრამები სპეციალისტს ვუჩვენე, ის მარწმუნებდა, რომ ეს ორი სხვადასხვა ადამიანის ელექტროენცეფალოგრამა იყო. ვფიქრობ, ამ სფეროში ჩატარებული კვლევების შედეგების შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰარდინგის საავადმყოფოში მიღებული ეს ელექტროენცეფალოგრამები მართლაც ორ სხვადასხვა პიროვნებას,

სავარაუდოდ, ბავშვებს ეკუთვნით. ახალი კვლევის მნიშვნელობაზე საუბრისას ექიმმა პუტნამმა მითხრა:

— მრავლობითი პიროვნების შესწავლას შეუძლია გონებისა და სხეულის კონტროლის შესახებ ძალიან მნიშვნელოვანი რამ გვითხრას. ვფიქრობ, შესაძლოა, მრავლობითი პიროვნებები ბუნების ერთ-ერთ ისეთ ექსპერიმენტს წარმოადგენდნენ, რომელიც ჩვენი თავის შესახებ გაცილებით მეტს შეგვატყობინებს, ვიდრე აქამდე ვიცოდით...”

ათენი, ოჰაიო
20 ივლისი, 1982